დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1998

ნაშრომი ეხება საქართველოში დასავლეთ ევროპის ისტორიის კვლევისა და სწავლების სამ თვალსაჩინო წარმომადგენელს: პროფესორ ნიკოლოზ დუბროვსკის, პროფესორ გრიგოლ ნათაძეს და პროფესორ ალექსანდრე ნამორაძეს. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში არ გამხდარა საგანგებო, სიღრმისეული შესწავლის საგანი.
განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტების და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი, პროფ. კ. ანთაძე

რეცენზენტები: პროფ. ნ. მამუკელაშვილი
პროფ. კ. მეშველიანი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

კ $\frac{0503000000}{608(06)-98}$
ISBN 99928-31-36-7

აეღებინ ფეხიმ ნთელ ბსოვნს.

შესავალი

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლას თავისი მდიდარი ტრადიციები გააჩნია.

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლამ რამდენიმე ეტაპი განელო. ისტორიული მონაკვეთი XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ამ საკითხის შესწავლის წინა ისტორიას უნდა განეკუთვნოს, როდესაც ჩნდება ცალკეული სპორადული ცნობები დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის შესახებ. 60-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპის ისტორიის პროპაგანდა და პოპულარიზაცია ახალ ფაზაში შედის. ეს მისია, უპირველეს ყოვლისა, ქართულმა პერიოდულმა პრესამ იტვირთა, რომელსაც 1879 წლიდან გვერდში ამოუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (35; 34; 326; 344).

შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოში შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში იყო 1918 წელი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელ საქართველოში შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შემდგომი პოპულარიზაციის თვალსაზრისით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. უპირველეს ყოვლისა, მისასალმებელია, რომ 1918-1921 წლებში დაიწყო ქართული, ორიგინალური სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა, რომელსაც საფუძვლად ედო თავისუფალი აზროვნება და უმთავრესად ევროპული, პირველ რიგში, კი რუსული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციები. ვ. დონდუა – საშუალო საუკუნეები, ალ. წერეთელი – საშუალო საუკუნეები, ს. ავალიანი – მსოფლიო ისტორია, (XIX საუკუნე), დ. უზნაძე, ი. გველესიანი – ახალი ისტორია, ალ. წერეთელი – ახალი ისტორია, თ. ჭუმბურიძე – ახალი ისტორია, გრ. ნათაძე – ინგლისის მოკლე ისტორია. ამიტომ მოსაზრება თითქოს დამოუკიდებელ საქართველოში პოზიტიური არაფერი გაკეთებულა ბოლშევიკური პროპაგანდის მორიგი ხრიკი იყო და მეტი არაფერი (10);

საქართველოში შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლა სამ ეტაპად შეიძლება დავყოთ. პირველი ეტაპი მოიცავს XX საუკუნის პირველ ნახევარს, როდესაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ამ დარგების მეცნიერულ შესწავლას. ამ დიდი მაშულიშვილური საქმის მესაძირკვლეები იყვნენ შესანიშნავი მეცნიერები და მოქალაქეები: პროფესორი ნიკოლოზ დუბროვსკი, პროფესორი გრიგოლ ნათაძე და პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე. პრაქტიკულად ეს იყო პირველი თაობა, რომელმაც გზა გაუკვალა საქართველოში მედიევისტიკისა და ახალი ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებას და სწავლებას. უნდა ითქვას, რომ მათ მეტად მძიმე ბედი ხვდათ წილად, რაც უმთავრესად იმით გამოიხატა, რომ ისინი გაიზარდნენ ლიბერალური აზროვნების გარემოში და მოღვაწეობა კი მოუწიათ სულ სხვა სამყაროში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, როდესაც თავისუფალი აზროვნების საშუალება არ იყო. ისინი შედარებით თავისუფალი სამყაროდან საპყრობილეში აღმოჩნდნენ. ტოტალიტარული რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობის ერთადერთი ალტერნატივა ფიზიკური განადგურება იყო, რასაც სამივე მათგანი ძალიან კარგად გრძნობდა.

პირველ და მეორე ეტაპს შორის მიჯნად პირობით 50-იანი წლები შეიძლება მივიჩნიოთ. საქართველოში დასავლეთ ევროპის ისტორიის კვლევისა და სწავლების საქმე გააგრძელეს ნ. დუბროვსკის, გრ. ნათაძის, ალ. ნამორაძის მოწაფეებმა და მათმა თანატოლებმა. ეს იყო უკვე მეორე თაობა, რომელსაც მოღვაწეობა მოუწია ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ისინი მარქსისტულ-ლენინურ, საბჭოური იდეოლოგიის წიაღში აღიზარდნენ. თუ პირველ თაობას ძალად თავს მოახვიეს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, მეორე თაობა ფაქტის წინ იყო დაყენებული. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ამ თაობის მეცნიერული მოღვაწეობის შეფასება დიდ სიფრთხილეს და ტაქტს მოითხოვს და მათი მემკვიდრეობის განქიქება მარქსისტული სტერეოტიპების გამო მეტად მკაცრად და უსამართლოდ მიგვაჩნია. თუ ჩვენ ამ ნაშრომებს მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, აქ, უთუოდ, რჩება ღირებული და სწორედ ეს ღირებული უნდა გახდეს მეცნიერული ანალიზის საგანი.

მესამე ეტაპი იწყება 90-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც 1991 წელს დაიშალა საბჭოთა კავშირი და წერტილი დაესვა ტოტალიტარულ რეჟიმს. ამ ეტაპს მხოლოდ მეორე თაობის რამდენიმე ისტორიკოსი მოესწრო. ამ ტეხილმა უმთავრესად მესამე თაობაზე გაიარა. ისინი ძირითადად ნ. დუბროვსკის, გრ. ნათაძის და ალ. ნამორაძის მოწაფეთა აღზრდილი და თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი შვილიშვილები არიან. რა თქმა უნდა, ამ თაობის ძირითადმა ნაწილმა თავისი პირველი მოკრძალებული ნაბიჯები მარქსისტული იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის წლებში გადადგა და უნდოდა თუ არ უნდოდა, მარქსისტული იდეოლოგიის ანბანი დედის რძესავით შეითვისეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ტოტალიტარული რეჟიმის დამლის შემდეგ მათ თავისი შანსი გაუჩნდათ. ისინი იმ ადამიანს ჰგვანან, რომელიც ციხიდან ახალი გამოსულია და ცხოვრების დაწყების არჩევანის წინ დგას. რა თქმა უნდა, მარქსისტული სტერეოტიპებისაგან განთავისუფლება სულაც არ გახლავთ ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება წარმოუდგენია ვინმეს. ეს არის რთული და ძნელი პროცესი. ამ ეტაპზე ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს ამოცანად მიგ-

ვაჩნია მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიისაგან განთავისუფლება. ესაა პირველი სერიოზული ნაბიჯი თავისუფალი აზროვნებისაკენ დაბრუნების გზაზე. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა, რომ იგივე მეთოდები გამოვიყენოთ ძველი სკოლის მიმართ. იმ ისტორიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც დარჩებიან მარქსისტულ-ლენინური, საბჭოური იდეოლოგიის პოზიციებზე, რა თქმა უნდა, ასეთები აუცილებლად იქნებიან. არ უნდა მოხდეს ძალდატანება არც მათ მიმართ, და არც მათი მხრიდან. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს ისტორიის შესწავლის საქმეში ქართულ ისტორიოგრაფიას შეიძლება ითქვას, რომ გააჩნია პირველი მოკრძალებული შედეგები. ნათქვამი, პირველ ყოვლისა, ეხება მსოფლიო ისტორიაში ახალი ორიგინალური სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნას (5, 6, 13, 14, 43, 44, 66, 67), დაიწერა სახელმძღვანელო ისტორიის მეცნიერების შესავალში. (116) დღის წესრიგში დადგა მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის გადასინჯვის აუცილებლობა. (454, 455) დაიწყო მუშაობა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს შექმნაზე.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა საქართველოში შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მეცნიერული კვლევა XX საუკუნის პირველ ნახევარში. ე.ი. მაშინ როდესაც ეს დარგები ფაქტობრივად ფეხს იდგამდა, ყალიბდებოდა. ქართული მედიევისტიკის და ახალი ისტორიის მეცნიერული კვლევის და სწავლების სათავეებთან დგანან: პროფესორი ნიკოლოზ დუბროვსკი, პროფესორი გრიგოლ ნათაძე და პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საგანგებოდ შეგვესწავლა და ჩვენს მონოგრაფიაში დაწვრილებით განგვეხილა, მათი ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს პრობლემა სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით არ გამხდარა სერიოზული შესწავლის საგანი.

ცალკეულ ისტორიკოსთა მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა და გაანალიზება ერთ-ერთ აქტუალურ თემად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა, რომ ბოლო პერიოდის რუსული ისტორიოგრაფია ამ საკითხს მეტად დიდ ყურადღებას უთმობს. დაიწყო სტატიების გამოქვეყნება ცალკეული საბჭოთა ისტორიკოსების შესახებ (592).

რა თქმა უნდა, აღნიშნული გამოკვლევა ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და, ბუნებრივია, მიზნად ისახავს სამი ცნობილი ისტორიკოსის ნ. დუბროვსკის, გრ. ნათაძის და ალ. ნამორაძის შეხედულებების გადმოცემას და ანალიზს. ცალკეული ისტორიკოსების შეხედულებების გადმოცემა ისტორიოგრაფიული განხილვის მხოლოდ ერთი მხარეა, რომელიც გვევლინება შემდგომი ანალიზის საწყის ეტაპად. ამა თუ იმ ისტორიკოსის შეხედულებების მარტო გადმოცემა, საკმარისი არაა და მას ნებისთ თუ უნებლიეთ რომელიმე ისტორიკოსის აპოლოგიასთან მივყავართ. ამიტომ ეს მეთოდი ცალმხრივია. იგი არ გვიქმნის ადეკვატურ წარმოდგენას ისტორიკოსის ნაშრევის მეცნიერულ ღირებულებაზე. მის ავკარგიანობაში გასარკვევად, რა თქმა უნდა, აუცილებელია ანალიზი. სწორედ ეს მოგვცემს საშუალებას კარგად ჩავწვდეთ და გავიაზროთ ისტორიკოსის კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ავტორის წინაშე იდგა ორი საშიშროება, რომლის თავიდან აცილებაც შეძლებისდაგვარად შეეცადეთ. პირველ რიგში, ვცადეთ თავიდან აგვეცილებინა მათი შეხედულებების აპოლოგეტური გადმოცემა. ამისათვის ყველა დებულება, თუ ცალკეული მოსაზრება, კრიტიკულად განვიხილეთ. გვსურდა გაგვერკვია მათი მეცნიერული ღირებულება და ამ გზით გვეჩვენებინა მათი ნაზრების ძლიერი და სუსტი მხარეები.

მეორე მხრივ, ძალზე ადვილი იქნებოდა მათ ნაშრომებში მარქსისტული იდეების წინ წამოწევა და (ნათქვამი ნ. დუბროვსკის არ შეეხება. იგი საბჭოთა პერიოდში აღარაფერს წერდა და ჩამოშორდა მეცნიერულ კვლევას) მათი როგორც მარქსისტი ისტორიკოსების გაკრიტიკება და მიწასთან გასწორება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ძალიან მკაცრი და უსამართლო მიდგომა, რაც ამუქებს რეალურ სიტუაციას და არსებითად დამახინჯებულად წარმოგვიდგენდა მათ მოღვაწეობას.

ალბათ, ლიტონი სიტყვები არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ისტორიოგრაფიული გამოკვლევის წერა ძალიან რთულია და თუ ჩვენში ამ საკითხის შესახებ რაიმე ილუზია შეიქმნა ეს, უპირველეს ყოვლისა, მარქსისტულ-ლენინური, საბჭოური იდეოლოგიის ნაყოფია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ერთი იდეოლოგიის პოზიციებიდან ისტორიოგრაფიული გამოკვლევის დაწერა მართლაც იოლი საქმე ჩანს. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მკვლევარის წინაშე საკმაოდ ადვილი ამოცანა დგას. რაც ახლოსაა ის მარქსისტულ-ლენინურ, საბჭოურ მსოფლმხედველობასთან მისასალმებელი და მისაღებია, ხოლო ის რაც არ შეესატყვისება ამ იდეოლოგიას, ცხადია, მიუღებელია. აი ამ მარტივი, პრიმიტიული, სქემით იწერებოდა ისტორიოგრაფიული გამოკვლევები მსოფლიო ისტორიული მეცნიერების კორიფეებზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ცალმხრივი ტენდენციური და პოლიტიზირებული მიდგომა ამახინჯებდა ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო სურათს. ისტორული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლების შეხედულებები უმთავრესად განხილული იყო კრიტიკულ-მამხილებელი ტონით, რომელსაც საკითხის აკადემიურ შეფასებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. ვფიქრობთ, დადგა დრო, როდესაც აუცილებლად საჭიროა საკითხის კრიტიკულ-მამხილებელი შეფასებიდან, გადავიდეთ მეცნიერულად ობიექტურ ინტერპრეტაციაზე და ამით ისტორიოგრაფიულ გამოკვლევას კვლავ ნორმალური კალაპოტი დაუბრუნდეს. წინამდებარე ნაშრომი ამის ერთ-ერთი მოკრძალებული მცდელობაა.

კარი პირველი

პროფესორი
ნიკოლოზ დუბროვსკი
(1874-1943 წწ.)

თავი I

ნ. დუბროვსკის ბიოგრაფია

პროფ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დუბროვსკიმ უდიდესი კვალი დატოვა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების საქმეში.

ნ. დუბროვსკი იყო არაჩვეულებრივად პრინციპული და უკომპრომისო მკვლევარი, უაღრესად განათლებული და ერუდირებული პიროვნება. პოლიგლოტი. იგი, უდავოდ იყო ევროპული რანგის ისტორიკოსი, ბრწყინვალე ლექტორი, რომელიც საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების სათავეებთან იდგა.

პროფ. ნ. დუბროვსკის მოღვაწეობა სრულიად შეუსწავლელია და მის სახელს გაკვრით იხსენებს პროფ. გ. კილურაძე თავის წიგნში „ახალი ისტორია" (48, გვ. 265). ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. ნ. დუბროვსკის დაკრძალვის დღეს პროფ. ალ. ნამორაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც პირველი მოკრძალებული ნაბიჯი ნ. დუბროვსკის მოღვაწეობის შესწავლის საქმეში, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი გამოქვეყნებული არ ყოფილა და მას არქივში წავაწყდით (663).

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დუბროვსკი დაიბადა 1874 წლის 16 მაისს ბათუმში, მამა პოლონელი ჰყავდა, ხოლო დედა ქართველი – ტაბატაძის ქალი. ქართველი იყო მამის დედაც ამილახვარის ქალი. აღსანიშნავია, რომ თვითონ ნ. დუბროვსკი თავს რუსად თვლიდა (552, გვ. 137). ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან იგი რუსული კულტურის ტრადიციებზე გაიზარდა. ნ. დუბროვსკი იყო პროგრესულად მოაზროვნე რუსი ინტელიგენტი.

1897 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მსმენელად ვარშავის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის განხრით. სტუდენტობის დროს ნიკოლოზ დუბროვსკის თავი გამოუჩენია როგორც ნიჭიერ, შრომისმოყვარე, ბეჯით ახალგაზრდას და ამიტომ იგი დაუტოვებიათ ვარშავის უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. ლექციების კითხვას იგი უკვე 1904 წლიდან შედგომია. მისი მეცნიერული ინტერესები ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოიკვეთა, ეს იყო იტალიური რენესანსის ეპოქა. მისი სადიპლომო ნაშრომი იტალიელ მოაზროვნეს კალუჩო სალიუტატის მიეძღვნა.

ვარშავაში ყოფნის დროს ნ. დუბროვსკი ძალიან ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ. აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ გაიხსენა, რომ ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს სრულიად ახალგაზრდა ისტორიკოსი ნ. დუბროვსკი ბერლინის თუ ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თვით სახელგანთქმულ ისტორიკოსს თეოდორ მომზენს შეხვედრია. პოლონეთში გატარებულ წლებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. დუბროვსკის შეხედულებების ფორმირებისათვის. ნ. დუბროვსკი როგორც ევროპული რანგის ისტორიკოსი სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. როგორც თავად ნ. დუბროვსკი აღნიშნავს ავტობიოგრაფიაში, მისი შეხედულებების ფორმირებაზე დიდი გავლენა მოუხდენია ი. მარხელოვსკისთან დაახლოებას (640; 637; გვ. 245-262). თუმცა უნდა ითქვას, რომ მარხელოვსკისაგან განსხვავებით ნ. დუბროვსკი არასოდეს არ ყოფილა თავდადებული მარქსისტი. იგი უფრო ლიბერალური ორიენტაციის გახლდათ. იყო კადეტთა პარტიის წევრი, თუმცა საბჭოთა პერიოდში დაწერილ ავტობიოგრაფიაში გასაგები მიზეზების გამო ამის თაობაზე კრინტს არ ძრავს (648).

1912 წელს მის პედაგოგიურ მოღვაწეობას პოლონეთში წერტილი დაესვა. იგი ავტობიოგრაფიაში ამ ამბავს არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობას უკავშირებს (640). უნდა ვაღიაროთ, რომ პოლონეთიდან წამოსვლამ ნ. დუბროვსკიზე როგორც დასავლეთ ევროპის ისტორიის მაღალკვალიფიცირებულ მკვლევარზე უარყოფითი გავლენა იქონია. რუსეთის იმპერიის მხარეებს შორის ევროპასთან ყველაზე ახლოს პოლონეთი იყო. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ ევროპის ისტორიის კვლევის უკეთესი საშუალება მეტი აღარ მისცემია. საქართველოში ამის გაკეთება უკვე ძნელი იყო.

იგი იძულებული შეიქნა საქართველოში დაბრუნებულიყო. 1912 წელს ნ. დუბროვსკი მიიწვიეს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე დასავლეთ ევროპის ისტორიის და ისტორიოგრაფიის მასწავლებლად. აქ მან იმუშავა 1918 წლამდე (640). მომდევნო 1919-1921 წლებში იგი უკვე ბაქოში მოღვაწეობს. საქართველოდან წასვლას ის პოლიტიკურ ფაქტორებს უკავშირებს და მენშევიკურ მთავრობასთან უთანხმოებით ხსნის (640). შეიძლება ცოტათი უცნაურად ეღერს, მაგრამ ფაქტია, რომ ნ. დუბროვსკიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებაში (640). 1922 წელს ნ. დუბროვსკი ტოვებს აზერბაიჯანს და გეზს ჩრდილოეთისაკენ იღებს, თუ რა კონკრეტული მიზეზებით იყო განპირობებული ეს გადაწყვეტილება ამის თაობაზე ავტობიოგრაფიაში ნ. დუბროვსკი არაფერს ამბობს.

მოსკოვში მან მთელი ათი წელი დაჰყო 1922-1932 წლები. იგი მუშაობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, გ. პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში და ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ლექტორად (640).

1932 წელს ნ. დუბროვსკი, როგორც თვითონ აღნიშნავს ავტობიოგრაფიაში, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ტოვებს მოსკოვს და საქართველოში ბრუნდება. თერთმეტი წელი იღვაწა მან თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში და როგორც ლექტორმა და პედაგოგმა წარუშლელი კვალი დატოვა.

1936 წლის 14 თებერვალს საკვალიფიკაციო კომისიის დადგენილებით ნ. დუბროვსკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად დაამტკიცეს (640).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბუნებრივია, ძალიან აფასებდა ნ. დუბროვსკის, როგორც ღრმად ერუდირებულ პედაგოგს და მეცნიერს, ადამიანს, რომელიც ფლობდა რუსულ, პოლონურ, დასავლეთ ევროპულ რამდენიმე და ქართულ ენას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თუ როგორ აფასებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნ. დუბროვსკის მოღვაწეობას. „პროფესორი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დუბროვსკი არის კოლონიური ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგე. იგი სარგებლობს დიდი ავტორიტეტით როგორც საგნის დიდი სპეციალისტი და ჩინებული ლექტორი. პროფ. ნ. დუბროვსკი ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებას ისტორიული მეცნიერების სფეროში. მთელი მისი პედაგოგიური და მეცნიერული მიღვაწეობა ატარებს კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის კვალს. იგი არის ავტორი რიგი გამოკვლევებისა დასავლეთ ევროპის ისტორიაში. იგი არაერთხელ გამოსულა საინტერესო მოხსენებებით უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე" (640). დახასიათებას ხელს აწერს უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში არჩილ ხარაძე.

1938-1942 წლებში ნ. დუბროვსკი ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლონიური ქვეყნების ისტორიის კათედრას. მან დიდი ამაგი დასდო მსოფლიო ისტორიის სწავლებას ქუთაისსა და სოხუმში.

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დუბროვსკი 1943 წლის 16 დეკემბერს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. კვირას 19 დეკემბერს გაზეთ კომუნისტმა დაბეჭდა მეტად თბილი ნეკროლოგი, რომლის ტექსტი სავარაუდოა პროფ. ალ. ნამორაძის შედგენილი უნდა იყოს. ნიკოლოზ დუბროვსკი დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. საფლავი სამწუხაროდ დაკარგულია.

ნ. დუბროვსკის ანდერძის თანახმად მისი პირადი ბიბლიოთეკა გადაეცა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს. ამით განსვენებულმა მეცნიერმა დაადასტურა თავისი ღრმა პატივისცემა ძირძველი ქართული ქალაქისადმი, სადაც მან მიიღო სწავლა-განათლება და სადაც ის მოღვაწეობდა.

ნიკოლოზ დუბროვსკის დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში ალ. ნამორაძემ, პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, აღნიშნა, რომ „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. დაკარგა ღვაწლმოსილი მუშაკი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დუბროვსკი. საზოგადოებას მოაკლდა ღრმა და ფართო ერუდიციის მეცნიერი. ფართოდ განათლებული ადამიანი, ახალი თაობის საუცხოო აღმზრდელი" (668).ამის შემდეგ ალ. ნამორაძე ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, ახასიათებს ნ. დუბროვსკის პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. შეიძლება ითქვას, რომ ნ. დუბროვსკი როგორც პედაგოგი, ლექტორი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა თუ არ აღემატებოდა კიდევაც ნ. დუბროვსკის როგორც მეცნიერს. საინტერესოა თუ როგორ ახასიათებს ალ. ნამორაძე ნ. დუბროვსკის როგორც პედაგოგს, „როგორც ლექტორი იგი სანიმუშო და შეუდარებელი იყო. მშვენიერი ენით გამართულ მის შინაარსიან ლექციებს თითქმის 40 წლის მანძილზე ისმენდნენ სტუდენტები. მის ღრმა და ფართო ცოდნას საუცხოოდ ამშვენებდა მისი მჭევრმეტყველება, ორატორული ნიჭი" (668). ნ. დუბროვსკის არაჩვეულებრივი პოპულარობის გასაღებიც სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. ნ. დუბროვსკიზე როგორც პედაგოგზე და ადამიანზე თბილისში, ქუთაისში და სოხუმში ლეგენდები დადის.

კოლონიური ქვეყნების ისტორიის კათედრა რომელსაც ხელმძღვანელობდა ნ. დუბროვსკი, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ღირსეული წინამორბედი იყო (1942 წელს ეს კათედრა დახურეს და იგი აღდგა 1980 წელს სულ სხვა სახელწოდებით– აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა). ამიტომ ამ დარგის ფუძემდებლად პროფ. ნ. დუბროვსკი უნდა მივიჩნიოთ. მართალია, იგი კათედრას ცოტა ხანს ხელმძღვანელობდა, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში შეძლო სერიოზული საქმეების გაკეთება. უპირველეს ყოვლისა, ნ. დუბროვსკის დიდ დამსახურებად მიგვაჩნია, რომ ყოველმხრივ ხელი შეუწყო ვ. დონაძის როგორც აზიისა და აფრიკის ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტად ჩამოყალიბებას. ნ. დუბროვსკიმ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის სწავლების საქმეს, რომელიც შემდგომში ღირსეულად განაგრძო მისმა მოწაფემ პროფ. ვარლამ დონაძემ (32; 35; 31; 42). ნ. დუბროვსკის სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ქართული ისტორიოგრაფიისათვის მის დამსახურებად, ჩვენი აზრით, ესეც იკმარებდა. „რა დამავიწყებს მის სიკეთეს - წერდა მოგვიანებით ვ. დონაძე თავის მასწავლებელზე - თავისი საათების მნიშვნელოვანი ნაწილი დამითმო. ერთი წლის შემდეგ კი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიმიწვია ლექციების წასაკითხად. შესანიშნავად იცოდა ქართული და უყვარდა ქართველები"(42. გვ. 6).

თუ როგორც პედაგოგმა და ლექტორმა ნ. დუბროვსკიმ მოახერხა თავის გამოჩენა, როგორც მკვლევარზე სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით. საკმაოდ კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ნ. დუბროვსკის მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე უფრო ნაყოფიერი ხანა, პოლონური პერიოდი აღმოჩნდა. ეს ადვილი გასაგებიცაა. მას პოლონეთში დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის და კვლევის ყველაზე უფრო კარგი პირობები ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მისი აქტიური მეცნიერული მოღვაწეობა დასაწყისშივე, პირველ ნაბიჯებზე შეწყდა. იგი ჯერ იძულებული შეიქმნა დატოვებინა პოლონეთი, ხოლო შემდეგ ცხოვრების საუკე-

თესო წლები გაატარა ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როდესაც მან, ეტყობა, საბოლოოდ ჩაიქნია ხელი დასავლეთ ევროპის ისტორიის კვლევაზე და ძირითადად პედაგოგიურ მუშაობაზე გადაერთო. შეიძლება იფიქვას, რომ ის შინაგან ემიგრაციაში წავიდა, რაც პრაქტიკულად სულიერი სიკვდილის ტოლფასი იყო.

ნიკოლოზ დუბროვსკიზე გამოქვეყნებული მოგონებები ითქმის არ შემოგვრჩა. ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მოგონებები, რომელიც მეტად თბილად იხსენებს პროფესორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დუბროვსკის.

„1942 წელი ჩემს პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო. ოჯახს მოვეკიდე. შევირთე ნატო ფალავანდიშვილი, ჩემივე სტუდენტი სამხატვრო აკადემიაში – გრაფიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვიგონებთ ჩემი მეუღლის მამინაცვალს პროფესორ ნიკოლოზ დუბროვსკის. ბევრი არ შემხვედრია ასეთი ნიჭიერი და ფართოდ განათლებული კაცი. ადრე ჟურნალისტობდა კიდეც, ერთხანს ბაქოში ცხოვრობდა და იქაურ უნივერსიტეტს ედგა სათავეში. შემდეგ კი – ჩემს დროსაც – თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა დასავლეთ ევროპის ისტორიის კურსს. დედა ქართველი ჰყავდა. მამის დედაც აგრეთვე (ამილახვარის ქალი), თვითონაც იცოდა ქართული, თუმცა არც ისე თავისუფლად როგორც რუსული. ბრწყინვალე ლექტორი იყო, არაჩვეულებრივად საინტერესო მოსაუბრე, მახვილგონიერი, კეთილგანწყობილი და კეთილმოსურნე. განათლება გერმანიასა და იტალიაში ჰქონდა მიღებული და რამდენადაც ვიცი, მისი საკვლევი სპეციალობა იტალიის რენესანსსი იყო, მაგრამ იმ დროს მთლიანად პედაგოგიურ მოღვაწეობაზე იყო გადასული. (ჭუთაისშიც კი კითხულობდა ლექციებს). მეცნიერულ მოღვაწეობას აღარ ეწეოდა. იმიტომ, რომ არსებითად მოწყვეტილი იყო თავისი კვლევის საგანს. მასთან ყოფნა და მისი მოსმენა მიყვარდა. ბევრის მომსწრე და მნახველი იყო. ძალიან ენანობ, რომ დიდხანს არ დამცალდა მასთან ურთიერთობა. მალე გარდაიცვალა, 1943 წლის დეკემბერში, თუმცა არც იმდენად მოხუცებული იყო – 69 წლისა. მიკვირს და მწყინს, რომ მის მემკვიდრეებს უნივერსიტეტში ერთხელაც არ გახსენებიათ ეს კაცი, რომ როგორმე მაინც აღენიშნათ მისი ხსოვნა – ის კი მუდამ ზრუნავდა ახალგაზრდებზე და ხელს უწყობდა მათ " (11). აი როგორ გაიხსენა ჩვენთან საუბარში თავისი ლექტორი და შემდგომში კოლეგა პროფ. ნ. დუბროვსკი პროფესორმა გივი ჟორდანიამ: „მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს 1931 წელს ნიკოლოზ დუბროვსკი მიკითხავდა ლექციას ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიაში. გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭით. შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას ამ დროს უკვე საკმაოდ ხანგრძლივი სტაჟი ჰქონდა. ლექციებს ძალიან დიდი გატაცებით კითხულობდა.

პოლიტიკური მოღვაწე არ ყოფილა. იყო კადეტთა პარტიის წევრი, მაგრამ იმ ხანებში ამას არავინ დაგიდევდა. საკმარისი იყო ისიც, რომ ის კადეტთა პარტიაში შედიოდა რათა დაეპატიმრებინათ.

შემდეგ მას ვხვდებოდით თბილისში როგორც კოლეგას, მაგრამ გაცილებით უფრო ინტენსიურად ვხვდებოდით ჭუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მე ვმუშაობდი რვა წელიწადი - 1937-1945 წლებში. სულ სხვადასხვა კათედრებს განვაგებდით. მე შუა საუკუნეების კათედრას, ნ. დუბროვსკი ახალი ისტორიის. სხვათა შორის, თავისი მოწაფეებიდან, იგი იგონებდა ა. ნეუსიხინს. იხსენებდა მის მუყაითობას სწავლის დროს. ნ. დუბროვსკი იხსენებდა ერთ ასეთ ფაქტს. „ერთხელ ნ. ნეუსიხინმა მომმართა თხოვნით დამესახელებინა ლიტერატურა ერთ პრობლემაზე. მე ვკითხე რა ენებს ფლობთ-თქო. ა. ნეუსიხინმა მიპასუხა რომ ფლობდა გერმანულს, ფრანგულს, ინგლისურს. ამ თემაზე არის ერთადერთი წიგნი იტალიურ ენაზე, მაგრამ თქვენ მას ვერ წაიკითხავთ რადგან იტალიური ენა არ იცით. მერე რა შევისწავლიო. მიპასუხა მან". მე თავად ვარ თვითმხილველი, რომ შემდეგ ა. ნეუსიხინი ბრწყინვალედ ფლობდა იტალიურს. ზეპირად იცოდა დანტე. რომ დაიღლებოდა ბოლთას ცემდა და ზეპირად კითხულობდა დანტეს.

ლექციებით დატვირთული იყო და ამან მოუსწრაფა სიცოცხლე. ნ. დუბროვსკის გაზრდილია ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვარლამ დონაძე.

ძალიან უყვარდა ბუნება. განსაკუთრებით დიდი ტრფიალი იყო ვარდების. იგი იხსენებდა, რომ ვარშავაში გამოფენაზე მის ვარდებს პრემია ჰქონდათ მიღებული. ეს იყო მისი ჰობი. სხვათა შორის თავისი ჰობი ჰქონდათ ცნობილ ისტორიკოსებს აკად. ს. სკაზკინს და აკად. ე. კოსმინსკის. პირველი გატაცებული იყო ხატვით, ხოლო მეორე კარიკატურებით, თუმცა არაფერი გამოუქვეყნებიათ. მე არ მახსოვს, რომ ნ. დუბროვსკი ამ ხალხთან მეგობრობდა, ჩაკეტილი კაცი იყო, მაგრამ ძალზე დიდი სპეციალისტია" (649).

ბატონ ვახტანგისა და ბატონი გივის ამ საინტერესო მოგონებებს ჩვენ დავუმატებთ აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის და აკად. ოთარ ჯაფარიძის გამოუქვეყნებელ მოგონებას.

„ბატონი ნ. დუბროვსკი გვიკითხავდა საგანს, რომელსაც ეწოდებოდა „კოლონიური და დამოუკიდებელი ქვეყნების ისტორია".

ჩვენ 1939 წელს ჩავირიცხეთ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მაშინ როდესაც სწავლა ხუთწლიანი იყო და ფაკულტეტზე სპეციალობები იყო გამოყოფილი, მაგრამ დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო რიგი სპეციალობები გაუქმდა. ისტორიის ფაკულტეტი გაერთიანეს ფილოსოფიის ფაკულტეტთან და სწავლების ვადა ოთხი წელი გახადეს. ჩვენს მომდევნო კურსებზე ისევ აღდგა ხუთწლიანი სწავლება. ჩვენ კი „მსოფლიო ისტორიის" სპეციალობა დავამთავრეთ.

ბატონი ნიკოლოზ დუბროვსკი ლექციებს რუსულად კითხულობდა. მსმენელები ბევრი არ ვიყავით. როდესაც პირველ კურსზე მივედით ისტორიის ფაკულტეტზე 100-ზე მეტი სტუდენტი იყო. ომის დაწყების შემდეგ ყმაწვილთა

დიდი უმრავლესობა ჯარში გაიწვიეს, სტუდენტთა ნაწილმა ხელმოკლეობის გამო დაანება თავი სწავლას.

მართალია ჩვენი თაობის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს გვქონდა ბედნიერება მოგვესმინა ცნობილი მეცნიერების, შესანიშნავი ლექტორების და პედაგოგების ლექციები, მაგრამ ბატონ ნ. დუბროვსკის ლექციებს თავისი დიდი ხიბლი ჰქონდა. კათედრაზე იდგა დახვეწილი ინტელიგენტი, ფართო განათლების ისტორიკოსი, რომელიც საკუთრივ კოლონიური ქვეყნების ისტორიას კითხულობდა მათი მეტროპოლიების ისტორიასთან უმჭიდროესი კავშირში. ლექციები, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავდა უაღრესად საინტერესო და მიმზიდველი იყო მოსასმენად.

როდესაც გამოცდის დრო მოვიდა მან ერთი პატარა რვეული მოგვცა და ამ ტექსტით მოითხოვა გამოცდის ჩაბარება. ჩვენ ძალიან გაგვეხარდა, რომ შედარებით ამ მცირე მასალით შემოვიფარგლებოდით, მაგრამ ძალიან მჭიდროდ და წვრილად იყო ნაწერი და შესასწავლი მასალა არცთუ ისე მცირე. ამასთან ის გადახვევები რის უფლებასაც ბატონი ნ. დუბროვსკი ლექციების დროს აძლევდა თავს, ნაწერ ტექსტში, რასაკვირველია, არ იყო.

გამოცდის ჩასაბარებლად, ბატონი ნ. დუბროვსკის ავადმყოფობის გამო, შინ დაგვჭირდა მისვლა, ჯორჯაძის ქუჩაზე. კარი შესანიშნავი გარეგნობის, უკვე არა ახალგაზრდა, მაგრამ დიდად მომხიბლავმა ქალბატონმა გაგვიღო და მაშინვე გავიგონეთ – ბაბალე ვინ არიან? ქალბატონი ბაბალე ბატონი ნიკოლოზის მეუღლე ბრძანდებოდა. გამოცდაზე ერთად მივედით მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, გივი კიღურაძე, ტარიელ ჩუბინაშვილი. გამოცდის ჩაბარება შეიძლებოდა სტუდენტის სურვილისამებრ რუსულად ან ქართულად. გამოცდამ საინტერესო საუბრის ფორმა მიიღო, მაგრამ ამ საუბარმა კარგად გამოავლინა ჩვენი ცოდნა. გამოცდილი პედაგოგი კარგად მიხვდა, რომ მისი „რვეული" ჩვენ კარგად გვქონდა დამუშავებული. ვახსოვდით ლექციებიდანაც. ახსოვდა ჩვენს მიერ მისთვის ლექციების დროს დასმული ზოგიერთი კითხვა.

სტუდენტებიც და ვფიქრობთ მასწავლებელიც ამ შეხვედრით კმაყოფილნი ვიყავით და სამუდამოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებად დაგვრჩა, როგორც მისი საინტერესო ლექციები, ისე მასთან შეხვედრა გამოცდის დროს" (646).

თავი II

ნ. დუბროვსკი ესოფლიო ისტორიის საკითხებზე

პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის მოღვაწეობის ერთ-ერთი მტკიცნეული, უფრო ზუსტად ტრაგიკული მხარეა მისი კვლევითი მუშაობა, რომელიც ისტორიკოს-სპეციალისტთა ვიწრო წრისთვისაც, კი ფაქტობრივად უცნობი იყო.

მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მისი საკუთარი ხელით დაწერილი ნაშრომთა სია, რომელიც მან წარადგინა უნივერსიტეტში როდესაც ანიჭებდნენ პროფესორის სამეცნიერო წოდებას შედგენილი იყო ისე, რომ სრულიად არ შეესატყვისებოდა ავტორის კალამს. მოგვყავს მთლიანად ეს დოკუმენტი:

„XIV საუკუნის ფლორენციელი პუბლიცისტი" „ივლისის რევოლუცია და ბურჟუაზია". „სალიუტატის წერილები როგორც ისტორიული წყარო".

„პოლონეთის ისტორიის ნარკვევები" „ფუსტელ დე კულანჟი" (640).

ამ საბუთის გაცნობის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რატომ არ არის დაცული ელემენტარული მოთხოვნა ნაშრომთა დასახელების დროს. რომელ წელს და სად გამოიცა ისინი თუკი ეს წიგნებია, ხოლო თუ ეს სტატიებია მაშინ რომელ ჟურნალში, რომელ წელს, რომელ ნომერში და რომელ გვერდებზეა გამოქვეყნებული.

ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ეს არ იცოდა? არა თუ სადიპლომო, არამედ საკურსო შრომების დროსაც ჩვენ ამის ცოდნას მოვითხოვთ სტუდენტებისაგან (101).

ეს იყო უდიდესი ტრაგედია. ის იძულებული იყო დაემალა თავისი ნაშრომები. თუ რატომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელი იყო მისი ნაშრომების მოძიება და გაცნობა, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მას თავისი ისტორია აქვს. ამიტომ მოკლედ ორიოდე სიტყვით შევჩერდები მასზე. საქმე ისაა, რომ ნ. დუბროვსკის მეცნიერულ გამოკვლევებს საქართველოში ვერსად შევაკვლიეთ. დაგვეხმარა შემთხვევა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ვ. ბუზესკულის წიგნში „მსოფლიო ისტორიის წარმომადგენლები რუსეთში" წავაწყდით მოხსენებას ნ. დუბროვსკის ნაშრომზე კალუჩო სალიუტატიზე. ცხადი იყო, რომ ნ. დუბროვსკის შრომების კვალი მოსკოვში უნდა გვეძებნა. 1995 წლის ნოემბერში მოსკოვში სამეცნიერო მივლინების დროს პროფ. კოტე ანთაძემ რუსეთის სახელმწიფო საჯარო ისტორიულ ბიბლიოთეკაში მიაკვლია ნ. დუბროვსკის შემდეგ ნაშრომებს: „XIV საუკუნის მიწურულის ფლორენციელი პუბლიცისტი", „ნ.ი. კარეევის სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა", „ივლისის რევოლუცია და ბურჟუაზია", „ოფიციალური მეცნიერება პოლონეთის სამეფოში (ვარშავის უნივერსიტეტი პირადი მოგონებებისა და შთაბეჭდილებების მიხედვით)" ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია უდიდესი მადლობა მოვახსენოთ

ბატონ გიზო მუსერიძეს, რომელიც ძალიან დაგვეხმარა მოსკოვიდან უსასყიდლოდ მიგვეღო ნ. დუბროვსკის ნაშრომების ქსეროასლები.

საინტერესოა, რომ ეს ნაშრომები და ნ. დუბროვსკის ნუსხა ნაწილობრივ არ ემთხვევა ერთმანეთს. ნ. დუბროვსკის ნაშრომთა სიაში მოხსენებული არაა მისი ნაშრომი ნ.ი. კარეევზე და გამოქვეყნებულ შრომებში ფუსტელ დე კულანჟზე მოხსენებული სტატიის კვალს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ. ამიტომ, როგორც კი მოვვეცეთ მოსკოვში სამეცნიერო მივლინებით წასვლის საშუალება ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ამ ნაშრომების გაცნობამ ცხადი გახადა ნ. დუბროვსკის საქციელი. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ეს შრომები არ შეესატყვისება ბოლშევიკურ-მარქსისტულ იდეოლოგიას. ამიტომ იგი იძულებული იყო მიეთითებინა ასე ბუნდოვნად, რომ მისი პოვნა ძნელი ყოფილიყო.

ნიკოლოზ დუბროვსკიმ თავისი მეცნიერული კვლევა- ძიება მსოფლიოს ისტორიაში ორი მიმართულებით წარმართა: შუა საუკუნეების და ახალი დროის ისტორია. უკვე ნ. დუბროვსკის ეს პირველი შრომები ცხადყოფენ, რომ საქმე გვაქვს ფრიად განსწავლულ, ღრმად ერუდირებულ, ფართო დიაპაზონის მკვლევარ ისტორიკოსთან, რომელიც საფუძვლიანადაა ჩახედული დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი დროის ისტორიასა და ისტორიოგრაფიაში.

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ეპოქის ისტორიას ნ. დუბროვსკიმ მიუძღვნა სამი სერიოზული ნაშრომი: „XIV საუკუნის დასასრულის ფლორენციელი პუბლიცისტი", „ნ.ი. კარეევის სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა. (მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ოცდამეხუთე წლისთავთან დაკავშირებით)", „ივლისის რევოლუცია და ბურჟუაზია" თუ ეს უკანასკნელი ნაშრომი ემპირიული, ფაქტოლოგიური ისტორიის სფეროს განეკუთვნება და მასში განხილულია 1830 წლის ივლისის რევოლუცია საფრანგეთში, პირველი ორი ნაშრომი თეორიულ ხასიათს ატარებს. მისი სტატია გამოჩენილ რუს ისტორიკოსზე ნ.ი. კარეევზე ისტორიოგრაფიის სფეროს განეკუთვნება, ხოლო მისი პირველი ნაშრომი XIV საუკუნის ფლორენციელ პუბლიცისტზე კალუჩო სალიუტატიზე უფრო მეტად წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათისაა.

ნიკოლოზ დუბროვსკის სტატია აღორძინების ეპოქის გამოჩენილ იტალიელ მოაზროვნეზე კალუჩო სალიუტატიზე (1331-1406) „XIV საუკუნის დასასრულის ფლორენციელი პუბლიცისტი" მის საუკეთესო ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ. გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ვ. ბუზესკულის სერიოზულ გამოკვლევაში ნ. დუბროვსკის დასახელებული ნაშრომის მოხსენიება ამის ნათელი ილუსტრაციაა (172).

ისეთი დიდი და სერიოზული ისტორიკოსი როგორიც ვ. ბუზესკული იყო თავის წიგნში შემთხვევით ავტორებს არ მოიხსენიებდა. აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ეტყობა იგი ნ. დუბროვსკის ამ ნაშრომზე საკმაოდ მაღალი აზრის ბრძანდებოდა. ეს კი ახალგაზრდა დამწყები ისტორიკოსის სერიოზულ წარმატებად და აღიარებად მიგვაჩნია.

ნ. დუბროვსკის დაინტერესება კ. სალიუტატის მსოფლმხედველობით უმთავრესად ორი ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული. შეიძლება ითქვას, რომ შერჩეული იქნა საინტერესო და აქტუალური თემა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ პეტრარკასა და ბოკაჩოს გარდაცვალების შემდეგ, სწორედ, კალუჩო სალიუტატი მოგვეელინა იტალიური აღორძინების მედროშედ (335; გვ. 127;169). რა თქმა უნდა, სალიუტატის შეხედულებებით ნ. დუბროვსკის დაინტერესებას ასევე ახალი მძლავრი სტიმული მისცა თვალსაჩინო იტალიელი მოაზროვნის წერილების პუბლიკაციამ (საქმე ეხება 1891 წელს პროფ. ნოვატის მიერ დაწყებულ და 1904 წელს გასრულებულ სალიუტატის წერილების ოთხტომეულის გამოქვეყნებას). ასე აღმოჩნდა ისტორიკოსების ხელში მეტად ძვირფასი წყარო სალიუტატის მსოფლმხედველობის გამოსარკვევად.

ნ. დუბროვსკის საინტერესო ნაშრომს „XIV საუკუნის დასასრულის ფლორენციელი პუბლიცისტი", რომელიც გამოქვეყნდა 1905 წელს ჟურნალ „ისტორიულ მიმოხილვაში" საფუძვლად ედო მის მიერ 1902 წლის 18 დეკემბერს ვარშავის უნივერსიტეტთან არსებული ისტორიის, ფილოლოგიის და სამართლის საზოგადოების სხდომაზე წაკითხული მოხსენება, რომელიც დაკავშირებული იყო ფრანჩესკო ნოვატის მიერ სალიუტატის წერილების პირველი სამი ტომის გამოსვლასთან (554,გვ.1)

ნ. დუბროვსკი თავის ნაშრომს ორ ნაწილად ყოფს. პირველში საუბარია კ. სალიუტატის ბიოგრაფიაზე, ეპოქის შესახებ, მოცემულია ჰუმანიზმის დახასიათება. მეორეში განხილულია სალიუტატის მსოფლმხედველობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. დუბროვსკის ნაშრომი კ. სალიუტატიზე ორიგინალური გამოკვლევაა, რაც მნიშვნელოვანწილად იმითაა განპირობებული, რომ მან პირველმა თუ არა ერთ-ერთმა პირველმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა სრულიად ახალი პირველწყარო კ. სალიუტატის წერილები, რომლის პუბლიკაცია, როგორც უკვე ითქვა, იმხანად მიმდინარეობდა და რომელსაც მისი წინამორბედი ისტორიკოსები, პირველ რიგში კი, აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი, მიხეილ კარელინი ჯერ კიდევ ჯეროვნად არ იყენებდა. მისი წინამორბედი ისტორიკოსები, მ. კარელინის მეთაურობით, კ. სალიუტატის მრწამსს ძირითადად აშუქებდნენ მის ტრაქტატებზე დაყრდნობით, ხოლო წერილები უმთავრესად მაინც ჩრდილში რჩებოდა (212; გვ. 219-257; 172, გვ. 40-45). კ. სალიუტატის წერილებმა საშუალება მისცა ნ. დუბროვსკის კიდევ უფრო ღრმად გაეგო კ. სალიუტატის მსოფლმხედველობა (554, გვ. 44). ამიტომ ნ. დუბროვსკის ნაშრომი კ. სალიუტატიზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია იმდროინდელი

ისტორიოგრაფიის ფონზე და, ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ იგი საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ახალ სიტყვად მოგვეელინა.

მოკლედ ჩერდება ნ. დუბროვსკი კ. სალიუტატის წერილების გამოცემაზე (554, გვ.3).

კ. სალიუტატის წერილების მნიშვნელობისადმი ნ. დუბროვსკის მიდგომა რეალისტური ჩანს. ნ. დუბროვსკი შორსაა მათი მნიშვნელობის უსაშველო განდიდებისაგან და პირველ ყოვლისა ამ წერილების მთავარ ღირსებას ხედავს „მძიმე ერუდიციაში". „მასში (ე.ი. სალიუტატის წერილებში – მ.კ.) მოვისმენთ XIV საუკუნის იტალიის ინტელიგენციის ხმას. მასში გვესაუბრება იტალიის საზოგადოება" (554,გვ.4).

„ეს წერილები იმსახურებს დიდ ყურადღებას როგორც პუბლიცისტური ნაწარმოები. რომელიც თავის დროზე ასრულებდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ როლს, რაზეც მეტყველებს ის აღტაცება, რომლითაც ეკიდებოდნენ მას სალიუტატის შეხედულების მომხრეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ წერილები არის სალიუტატის „სახელი და უკვდავება" და ის დაბნეულობა. რომელიც გამოიწვია მან ახალი საზოგადოებრივი მიმდინარეობის მოწინააღმდეგეებს შორის" (554, გვ.44).

თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ნ. დუბროვსკის მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული კ. სალიუტატის წერილების ღირსება. ამის საილუსტრაციოდ მას მოყავს მილანის ტირანის ჯანგალიაცო ვისკონტის სიტყვები „სალიუტატის წერილები მე მაყენებენ გაცილებით უფრო დიდ ზიანს, ვიდრე ათასი ფლორენციელი მხედარი" (554, გვ. 16).

ნ. დუბროვსკის მსჯელობა კ. სალიუტატის ბიოგრაფიაზე ღირებულია და მკვლევარი აზუსტებს ზოგიერთ დეტალს. კ. სალიუტატის ბიოგრაფიის დასადგენად მნიშვნელოვან მასალას იძლევა მისი წერილები „ჩვენ არ ვისახავთ მიზნად სალიუტატის ბიოგრაფიის დეტალურ და საფუძვლიან გაშუქებას. ჩვენი მიზნისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა საერთო მიმოხილვა. ვსარგებლობთ რა სალიუტატის წერილებით, რომელიც საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ფოგტის და სხვების შეცდომები და გავეცნოთ ისეთ დეტალებს, რომელიც წინათ არ შეიძლებოდა გვცოდნოდა" (554, გვ. 1.6). ეს, ცხადია, უკვე მნიშვნელოვანი წინსვლა იყო კ. სალიუტატის მოღვაწეობის შესწავლის საქმეში.

ნ. დუბროვსკიმ გაცილებით უფრო ვრცლად და დეტალურად, ვიდრე მისმა წინამორბედმა ისტორიკოსებმა გაშუქა კ. სალიუტატის ბავშვობა, ყრმობა, სტუდენტობის წლები და შეიძლება ითქვას, რომ კ. სალიუტატის ბიოგრაფიის ბევრი დეტალის დაზუსტება მოახერხა, რაც უკვე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო (554, გვ. 7).

ნ. დუბროვსკი კ. სალიუტატის ბიოგრაფიას ორ პერიოდად ყოფს: პირველ პერიოდს უწოდებს კეთილდღეობის და ძიების ხანას (1331-1374) მეორე პერიოდს ფლორენციის ხანას (1374-1406).

ნ. დუბროვსკი ფიქრობს, რომ კ. სალიუტატი მოლოს სკოლაში შევიდა 1346 წელზე ადრე (554, გვ.7). ნ. დუბროვსკი ვარაუდობს, რომ პეტრარკასადმი გაგზავნილ წერილზე პასუხი სალიუტატის არ მიუღია (554, გვ. 9). ნ.დუბროვსკიმ სცადა შეძლებისდაგვარად შეევსო კ. სალიუტატის ბიოგრაფიის ნისლით მოცული 1350-1361 წლები, როდესაც გამოჩენილი იტალიელი მოაზროვნე დამოუკიდებელ ცხოვრებაში პირველ სერიოზულ ნაბიჯებს დგამდა (554; გვ. 10). ნ. დუბროვსკიმ დააზუსტა, რომ კ. სალიუტატი არ ყოფილა რომის პაპის მდივანი, როგორც ეს ლიტერატურაში იყო მიღებული (407, გვ. 182). როგორც სალიუტატის წერილებიდან ჩანს იმ დროს ეს თანამდებობა ეკავა ფრანჩესკო ბრუნის (554; გვ. 10) თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით (467; გვ. 182; 274; გვ. 219). ნ. დუბროვსკი იმ აზრისაკენ უფრო იხრება, რომ კ. სალიუტატი ავინიონში არასოდეს ყოფილა (554; გვ. 13). აქ ცხადია, ლაპარაკია პაპობის ავინიონის ტყვეობაზე (1308-1378). ნ. დუბროვსკი შეცდომად მიიჩნევს მოსაზრებას თითქოს კ. სალიუტატი ერთხანს მსახურობდა პერუჯაში (554, გვ. 15).

ნ. დუბროვსკი ამ ნაშრომში შეეცადა პასუხი გაეცა ჟურნალ „ისტორიულ ვესტნიკში" მისი მიხამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნისათვის. თითქოსდა იგი ჰუმანიზმს ეკონომიკური მიზეზებით ხსნის. ეს არის სერიოზული შენიშვნა, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ ივარგებდა. ჩვენი აზრით, ასეთი ბრალდება ნ. დუბროვსკის მიმართ მკაცრად ჟღერს და პრაქტიკულად მარქსიზმში ადანაშაულებს, რაც გადაჭარბებული უნდა იყოს. რეცენზენტის ამ შენიშვნას ნ. დუბროვსკიმ დამაჯერებელი პასუხი გასცა. „ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ ავხსნათ ჰუმანიზმი ეკონომიკური მიზეზებით. ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ და გვსურდა ხაზი გაგვესვა, რომ ჰუმანიზმის კავშირი იმ ცვლილებებთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოციალურ ურთიერთობებში ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ამით, რა თქმა უნდა სულაც არ გვინდოდა გვეთქვა ყველაფრის განმსაზღვრელი ფაქტორი საერთოდ იყო ეკონომიკა. ამიტომ, ‹ ‹ მიგვაჩნია, რომ რეცენზენტი სწორი იყოს. „ისტორიული ვესტნიკი" ამტკიცებს, რომ ჩვენი ნაშრომი მიეძღვნება ჰუმანიზმის ახსნას ეკონომიკური მიზეზებით. ამგვარ ფართო ამოცანას წინამდებარე სტატია არ ისახავდა მიზნად და ასეთი განსაკუთრებული თვალსაზრისის პრეტენზია არ გვაქვს (554; გვ. 25-30). ჩვენი ღრმა რწმენით, ამ საკითხში ნ. დუბროვსკი გვეელინება იმ ტრადიციების გამგრძელებლად, რომლის სათავესთანაც რუსულ ისტორიოგრაფიაში დგანან მ. კარელინი და ა. ვესელოვსკი (272; 271; 184).

„ისტორიული ვესტნიკის" ეს შენიშვნა იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ, როგორც ეტყობა, ნ. დუბროვსკის კიდევ აქვს გამოქვეყნებული ნაშრომი კ. სალიუტატიზე, რომელსაც სამწუხაროდ ჯერ ვერ მივაკვლიეთ. შესაძლოა, ეს იყოს მისი ნაშრომი „სალიუტატის წერილები როგორც ისტორიული წყარო", რომელიც

მიუთითებული აქვს მას თავის ნაშრომში „ [illegible] “ (6-10).

ნ. დუბროვსკის ნაშრომის მეორე მონაკვეთი შეეხება კ. სალიუტატის მრწამს, მსოფლმხედველობას. საინტერესოდ მიგვაჩნია ნ. დუბროვსკის მსჯელობა კ. სალიუტატის მოსაზრებებზე ისტორიული პროცესის შესახებ. ამ თემაზე ჯერადღება გამახვილდება ნ. დუბროვსკის სტატიაში ღირებულია. ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს ნ. დუბროვსკის მოსაზრება, რომ კ. სალიუტატი ციკლური თეორიის მიმდევარია. ნ. დუბროვსკი ვარაუდობს, რომ კ. სალიუტატის მიხედვით, ისტორიული პროცესი წრეებრუნვაა და როგორც იგი აღნიშნავს კ. სალიუტატის შეხედულებას გარკვეული შეხების წერტილები აქვს კ. ჯანბატის ვიკოს კონცეფციასთან (554: გვ. 26). შეიძლება დავეთანხმოთ ნ. დუბროვსკის, რომ კ. სალიუტატი ცდილობს მოძებნოს გამოსავალი თავისი პესიმისტური დასკვნებიდან და ამისათვის მიმართავს მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას და იტალიელი მოაზროვნის მსჯელობას მკვეთრად გამოკვეთილი თეოლოგიური ელფერი დაჰკრავს (554: გვ. 27). აქ, ალბათ, კარგი იქნებოდა ნ. დუბროვსკის უფრო მკაფიოდ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება კ. სალიუტატის თვალსაზრისისადმი, თორემ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ის იწონებს კ. სალიუტატის შეხედულებას. ჩვენ კი გვგონია, რომ ციკლური თეორიის მეტაფიზიკურ-თეოლოგიური გააზრება საკამათო შეიძლება იყოს. კ. სალიუტატიმ აღიარა განგების ძალა, მაგრამ ეს გაიაზრა ისე, რომ ადამიანს გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ციკლურ თეორიას მსარს უჭერენ ევროპელი ისტორიოგრაფიის კორიფეები ედუარდ მაიერი, ოსვალდ შპენგლერი, არნოლდ ტოინბი, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საკითხისადმი მეტაფიზიკური მიდგომა არც მათთვისაა უცხო (317: 432: 396). საინტერესოა, რომ ციკლურ თეორიას მომხრეები ქართულ ისტორიოგრაფიაშიც გამოუჩნდნენ (38, 206). ეს ტენდენცია, რა თქმა უნდა, მისასალმებელია და ევროპულ ისტორიოგრაფიაზეა ორიენტირებული, რაც მარქსისტული იდეოლოგიის პირობებში ლეთარგიული ძილის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯია. ციკლური თეორია გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი უნდა ჩანდეს, ვიდრე ეს მარქსისტულ ისტორიოგრაფიას ეგონა.

ნ. დუბროვსკის ნაშრომში მეორე საინტერესო საკითხია კ. სალიუტატის პოლიტიკური მრწამსის, იდეალების გამორკვევა. ვფიქრობთ, ნ. დუბროვსკიმ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ კ. სალიუტატის პოლიტიკური შეხედულებები იყო როული და მრავალწახნაგოვანი. ეს ნ. დუბროვსკის მსჯელობის დადებითი მხარეა. იტალიელი მოაზროვნე დაწვრილებით გაარჩევს პოლიტიკური მმართველობის რომელი ფორმები შეესატყვისებოდა საზოგადოების ინტერესებს. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. დუბროვსკის მშვენივრად ესმის ამ თემის აქტუალობა, მნიშვნელობა და მას პირველ რიგში, იტალიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას უკავშირებს (554; გვ. 40; 362; 252). კ. სალიუტატის ღრმა რწმენით, „თავისუფლება არის პოლიტიკური ცხოვრების საძირკველი, ნორმალური ურთიერთობების საფუძველი, სახელმწიფო წყობილების სიმტკიცე“ (554; გვ. 40-41). ნ. დუბროვსკი ძალიან კარგად ხედავს, რომ კ. სალიუტატი მშობლიური ფლორენციის სახელმწიფო პოლიტიკურ წყობას ცოტათი შელამაზებული სახით, ვარდისფერებში წარმოაჩენს. კ. სალიუტატი ხოტბას ასხამს და განადიდებს ფლორენციის თავისუფლებას, სუვერენობას, ავტონომიას და მასში ხედავს დიდი რესპუბლიკის ნიმუშს. (554; გვ. 40). კ. სალიუტატი ფიქრობს, რომ თავისუფლება ყველაზე უფრო უკეთესად, კარგად ვლინდება რესპუბლიკის დროს (554; გვ. 40). მაგრამ მოდი ნუ ვიჩქარებთ კ. სალიუტატის რესპუბლიკის მომხრედ გამოცხადებას. ის საკმაოდ ჭკვიანი კაცი იყო და უფრო შორს იხედებოდა. უნდა დავეთანხმოთ ნ. დუბროვსკის, რომ სალიუტატი არც მონარქიული მმართველობის მოწინააღმდეგე არ იყო, თუ ის იქნებოდა კანონიერი და ჰუმანური. იგი ხაზს უსვამს, რომ მონარქიას სათავეში უნდა ედგას ჭკვიანი, ნიჭიერი, კეთილშობილი, განათლებული პიროვნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუ ტირანი დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას კ. სალიუტატის გამართლებულად მიაჩნია რადიკალური ზომების მიღება (554; გვ. 41-42). სავსებით ვეთანხმებით ნ. დუბროვსკის, რომ „ეს არ იყო არც თავისუფლად მოაზროვნის ბოდვები და არც რევოლუციონერის ეფექტური ფრაზეოლოგია. უბრალოდ ეს არის საზოგადოებრივი აზრის სინთეზი. იგი დააფიქრა იმ ვითარებამ, რომელიც ხდებოდა ტირანიის საუფლოში, ამ ძალმომრეობისა და განუკითხაობის სამეფოში“ (554, გვ. 42). აქ, ალბათ, კიდევ უფრო შეიძლებოდა ანალიზის გაღრმავება. ვგულისხმობთ იმას, რომ კ. სალიუტატის შეხედულებებს გარკვეული შეხების წერტილები აქვს ნიკოლო მაკიაველის მოძღვრებასთან. მაკიაველი თავის „მსჯელობებში“ დასძენდა: „ხალხს წართმეული არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ საკუთარი ნება-სურვილით, ბრალი დასდოს და განაჩენი გამოუტანოს ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა თვითნებობას, ვინაიდან იქ, სადაც მისი მრისხანება და გულისწყრომა ვერანაირ კანონიერ გამოსავალს ვერ პოულობს, სასიკეთო არა არის რა მოსალოდნელი“. ნ. მაკიაველი, სალიუტატის მსგავსად დარწმუნებულია, რომ თავისუფლებით ყველაზე უკეთესად შეიძლება სარგებლობა რესპუბლიკის დროს (307). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნ. მაკიაველის და კ. სალიუტატის შეხედულებებს შორის ბევრია საერთო. კ. სალიუტატში შეიძლება დავინახოთ ნ. მაკიაველის ერთ-ერთი წინამორბედი და, ალბათ ასეთი პარალელის გავლება ინტერესმოკლებული არ იქნებოდა, მაგრამ ნ. დუბროვსკი ასე არ იქცევა. ჩვენი აზრით, ამ საკითხის წინ წამოწევა შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნ. დუბროვსკის საინტერესო ნაშრომს.

ტირანიისადმი კ. სალიუტატის დამოკიდებულებაში ნ. დუბროვსკის, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო მკრთალად

აქვს გაშუქებული, ვიდრე ეს მის წინამორბედ ისტორიკოსებს, პირველ რიგში კი მ. კარელინს. მ. კარელინი ფიქრობს, რომ კ. სალიუტატის მიხედვით ტირანია არსებობს ორი სახის: ფარული და აშკარა. თავის მხრივ ეს უკანასკნელი კიდევ იყოფა სამ ფორმად: აბსოლუტისტური, შეზღუდული და დესპოტური (272; გვ. 239). როგორც კარგად შენიშნა იმავე მ. კარელინმა „სალიუტატი შორსაა ანტიკური რესპუბლიკანიზმისადმი ბრმა თაყვანისცემისაგან, რამაც ასე გაიტაცა ერთ დროს ბოკაჩო და პიროვნების უფლებების უსაზღვრო გადაჭარბებისაგან, რომელსაც იჩენდნენ მომდევნო თაობის ჰუმანისტები" (272; გვ. 241).

კ. სალიუტატის დამოკიდებულება იტალიის გაერთიანებისადმი ნ. დუბროვსკის ნაშრომის კიდევ ერთი საინტერესო საკითხია. ნ. დუბროვსკი აღნიშნავს, რომ სალიუტატი ამ თემაზე დადებით პასუხს არ იძლევა, მაგრამ იგი კარაუდობს, რომ თუ სალიუტატის მოუწევდა არჩევანი პაპს და იმპერატორს შორის, უეჭველია იგი უპირატესობას საერო ხელისუფლების წარმომადგენელს მიანიჭებდა. ნ. დუბროვსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კ. სალიუტატი პაპობის როგორც პოლიტიკური პრინციპის მოწინააღმდეგეა (554; გვ. 42-43).

ნ. დუბროვსკი მიუთითებს კ. სალიუტატის შეხედულებებზე საეკლესიო ავტორიტეტების გავლენის თაობაზე. თუმცა, ალბათ, გაცილებით უფრო უმჯობესი იქნებოდა ამ მოსაზრების დაკონკრეტება. ხაზგასმით უნდა ყოფილიყო აღნიშნული კ. სალიუტატის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე ნეტარი ავგუსტინეს როლი.

ნ. დუბროვსკის ეს ნაშრომი პრაქტიკულად წარმოადგენდა გამოჩენილი იტალიელი მოაზროვნის კ. სალიუტატის მსოფლმხედველობის სიღრმისეული შესწავლის დასაწყისს და იგი, როგორც ამ ნაშრომიდანაც ჩანს აპირებდა დაწყებული კვლევის გაგრძელებას. აი რას წერდა იგი: „სალიუტატის წერილების მეოთხე ტომის გამოსვლის შემდეგ ჩვენ განზრახული გვაქვს მასზე სერიოზული ნაშრომის დაწერა, როგორც ჰუმანისტ პოლიტიკურ მოღვაწეზე. XIV საუკუნის იტალიის სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეზე XIV საუკუნის იტალიის სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობებთან კავშირში საერთოდ" (554; გვ. 10). „უფრო სერიოზული ნაშრომი, რომელიც მიეძღვნება სალიუტატის წერილების და მსოფლმხედველობის გარჩევას, XIV საუკუნის იტალიის ინტელიგენციის მსოფლმხედველობასთან და იმ დროის სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობასთან კავშირში დაიბეჭდება სალიუტატის წერილების შემდგომი ტომის გამოსვლის შემდეგ" (554; გვ. 44).განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ნ. დუბროვსკი იძულებული იყო დაწყებული კვლევისათვის ნაადრევად დაესვა წერტილი და ფაქტობრივად პირველ ნაბიჯებზევე შეწყვიტა მუშაობა. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ეს გამოწვეული იყო არა აკადემიური, არამედ პოლიტიკური მიზეზებით. ჯერ ერთი, იგი იძულებული იყო დაეტოვებინა პოლონეთი და არსებითად მოწყდა თავისი კვლევის საგანს და მეორეც, მას ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც არსებობდა ერთი იდეოლოგიის დიქტატი და, როგორც ეტყობა ნ. დუბროვსკიმ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი და პრაქტიკულად შეწყვიტა მეცნიერული მუშაობა, რაც სულიერი სიკვდილის ტოლფასია. ვფიქრობთ, ყოველგვარ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ნორმალურ ატმოსფეროში ნ. დუბროვსკი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა და ბრწყინვალედ დაიცავდა სადოქტორო დისერტაციას ამ თემაზე.

ნ. დუბროვსკი იტალიური რენესანსის სერიოზული, კომპეტენტური, ევროპული რანგის მკვლევარია, რომლის სოლიდურ გამოკვლევას კ. სალიუტატის შესახებ, ჩვენი ღრმა რწმენით, გამოჩენილი იტალიელი მოაზროვნის ვერც ერთი ბიოგრაფი ვერ აუვლის გვერდს. ამ. ტომ სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია ის გულგრილი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდნენ ნ. დუბროვსკის ნაშრომის მიმართ ის საბჭოთა მკვლევრები, რომლებიც შეეხნენ კ. სალიუტატის შეხედულებებს (169; 358). იქნებ ისინი არ იცნობდნენ ნ. დუბროვსკის ამ ნაშრომს?

ნიკოლოზ დუბროვსკის მეორე, სერიოზული ნაშრომი ეხება რუსული ისტორიოგრაფიის კორიფეს ნიკოლოზ კარეევის სამეცნიერო ლიტერატურულ მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ ნ. დუბროვსკი ამ ნარკვევს თავის შრომებში არ იხსენიებს. ამიტომ, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი იყო თუ არა მისი ავტორი ის ნ. დუბროვსკი, რომელიც შემდგომში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუ ეს სხვა ნ. დუბროვსკია? ღ თუ ეს ნაშრომი საქართველოში დაბადებულ ნ. დუბროვსკის ეკუთვნის, მაშინ რატომ არ შეიტანა თავისი შრომების სიაში? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაბიჯი მან უმთავრესად პოლიტიკური მოსაზრებით გადადგა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ნ. დუბროვსკი არცერთ ნაშრომში ისე მკაფიოდ არ უპირისპირდება მარქსიზმს, როგორც ამ სტატიაში. ადვილი გასაგებია, რომ 30-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირში უსაშინელესი რეპრესიები დაიწყო ამის აფიშირება შეუძლებელი იყო. კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი. გასათვალისწინებელია, რომ 20-30-იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ნ. კარეევის სახელი უპირატესად უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებოდა. ამიტომ, ვვარაუდობთ, რომ ნ. კარეევზე ამ ნაშრომის ავტორი არის შემდგომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნ. დუბროვსკი, რომელმაც ბოლშევიკების შიშით თავისი შრომების სიაში ამ ნარკვევის მოხსენიება ვერ გაბედა.

თავისთავად ისეთი დიდი ისტორიკოსის ნამოღვაწარით დაინტერესება როგორც ნ. კარეევია, მრავლისმეტყველი უნდა იყოს და, ვფიქრობთ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ თვით ნ. დუბროვსკი იყო საკმაოდ მაღალი რანგის პროფესიონალი. ნ. კარეევზე სტატია, ბუნებრივია, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ხაზს უსვამს, რომ ნ. დუბროვსკი არის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიაში

ს. ფუძვლიანად ახალდული მკვლევარი.

ეს ნარკვევი უპირველეს ყოვლისა ღირებულია იმიტომ, რომ ნ. კარეევის არა რომელიმე ცალკეულ ნაშრომის, არამედ საერთოდ მისი სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის წარმოჩენის ერთ-ერთი პირველი სერიოზული ცდაა, რომელსაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გვერდს ვერ აუვლის ნ. კარეევის მოღვაწეობის ვერც ერთი კეთილსინდისიერი მკვლევარი.

ნ. დუბროვსკი ძალიან კარგად იცნობს ნ. კარეევის სამეცნიერო-ლიტერატურულ შრომებს. იგი თავის ნაშრომებში არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ჩამოთვლით, შინაარსის გადმოცემით და ცდილობს გააანალიზოს ნ. კარეევის სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ნაშრომი არ წარმოადგენს ნ. კარეევის პანეგერიკს, აპოლოგეტურ შეფასებას. რაც, სხვათა შორის, ფრიად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ეპოქის საუბილეო სტატიებისათვის.

ნ. კარეევზე ნ. დუბროვსკის ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ საკითხისადმი ავტორის მიდგომა მეცნიერულია და უპირატესად თავისუფალ აზროვნებაზეა ორიენტირებული. საფიქრებელი იყო, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ნ. კარეევის მოღვაწეობის მეცნიერული შეფასება გაგრძელდებოდა, კიდევ უფრო დაიხვეწებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების შემდეგ ეს კარგი ტრადიცია შეწყდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი ნ. კარეევის მოღვაწეობისადმი ვიწრო კლასობრივ-პარტიულმა მიდგომამ, რომელსაც მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულ შეფასებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. მას მიაკერეს იარლიყი „იდეალისტი ისტორიკოსი", „მარქსიზმის მოწინააღმდეგე" (308; გვ. 721; 237.). საბჭოთა კავშირში უფროსი თაობის ისტორიკოსების დევნა-შევიწროება და ფიზიკური განადგურება ისტორიული მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიაა. ვინც ემიგრაციაში წასვლა ვერ მოასწრო და არ დაიწყო მლიქვნელობა ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიის წინაშე, ან ფიზიკურად გაანადგურეს ანდაც სასტიკად დევნიდნენ და ავიწროებდნენ. პ. არდაშევს შიმშილით სული ამოხადეს, ხოლო ნ. კარეევს ცხოვრების ბოლო წლები უსამართლო მოპყრობით მოუწამლეს. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა პრესამ ამ უზარმაზარი მეცნიერის გარდაცვალებას არც ერთი სტრიქონი არ მიუძღვნა (56. გვ. 153) დღეს ეს ყველაფერი მხოლოდ საშინელი მოგონებაა და ვიმედოვნებთ, რომ საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ვ. ზოლოტარევმა დაწერა ნ. კარეევზე საინტერესო და სერიოზული ნაშრომი „ნ.ი. კარეევის ისტორიული კონცეფცია. შინაარსი და ევოლუცია" (242).

ნ. კარეევის სერიოზული მეცნიერული მოღვაწეობა იწყება 1879 წელს როდესაც მან გამოაქვეყნა თავისი სამაგისტრო დისერტაცია „ჭლეხები და გლეხთა საკითხი საფრანგეთში XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში". ბუნებრივია, რომ ნ. კარეევის მეცნიერული მოღვაწეობის განხილვას ნ. დუბროვსკი, სწორედ ამ ნაშრომზე საუბრით იწყებს. აღსანიშნავია, რომ იგი თავიდანვე ხაზს უსვამს მის მაღალ მეცნიერულ ღირსებას და დასძენს, რომ „ეს ნაშრომი წარმოადგენს უდიდეს წვლილს საკითხის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში" (553; გვ. 211). ნ. დუბროვსკი ძალიან კარგად იცნობს ნ. კარეევის წიგნზე დაწერილ რეცენზიებს, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მათ იყენებს თავისი დებულებების განმტკიცების მიზნით. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი აღნიშნავდა: „მე ვფიქრობ, რომ ნ. კარეევის წიგნი დაწერილია სარწმუნო და მეტად მრავალრიცხოვანი დოკუმენტების საფუძველზე და გარკვეულ ნათელს ფენს ამ თემას... ეს არის სერიოზული შრომის ნაყოფი და მე ვფიქრობ, რომ ფრანგები ძალიან ბევრს შეიძენენ ამ გამოკვლევიდან, რომელიც რუსმა გააკეთა ჩვენი ისტორიის ამ ნაწილში" (561; გვ. 133). საგულისხმოა, რომ ნ. კარეევი ამ საკითხში დღემდე რჩება ფრანგულ ისტორიოგრაფიაში დიდ ავტორიტეტად. საფრანგეთის რევოლუციის 200 წლისთავის დროს მარსელ დორიანი ნ. კარეევს უწოდებს „დღეს ყველაზე უფრო ცნობილ ავტორიტეტს აგრარულ საკითხში" (561; გვ. 133).

ნ. დუბროვსკის კარგად აქვს გაცნობიერებული ნ. კარეევის გამოკვლევის ძლიერი მხარეები. პირველ რიგში იგი აღნიშნავს, რომ ეს თემა სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად შეუსწავლელი იყო და ნ. კარეევმა „შეიტანა სინათლე მანამდე სრულიად ხელუხლებელ სფეროში" (553; გვ. 211-212). ეს იყო მანამდე შეუსწავლელი მასალის გულმოდგინედ დამუშავების შედეგი. „ნ. კარეევმა გამოარკვია თუ რა ურთიერთობა იყო ერთის მხრივ გლეხებს, სენიორებს, ბურჟუაზიას და სამეფო ხელისუფლებას შორის და მეორეს მხრივ დაგვიხატა მიწათმოქმედი წოდების მდგომარეობა და განიხილა გლეხთა საკითხის დასმა და მისი გადაწყვეტა" (553; გვ. 212). ღრმა ანალიზი, კონკრეტული მონაცემები, და მკაცრი მეთოდი, ნათელი დასკვნები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ წიგნის მეცნიერულ ღირებულებას (553 გვ. 213). ბოლოს უნდა ითქვას, რომ ნ. დუბროვსკის შეუმჩნეველი არ დარჩენია ნ. კარეევის ნაშრომის მთავარი სიახლე. მან წინ წამოწია სენიორსა და გლეხს შორის მიწაზე ურთიერთობის, არა წმინდა იურიდიული მხარე, რომელსაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ მისი წინამორბედი ისტორიკოსები, არამედ ეკონომიკური ასპექტები. ეს კი საკითხის ლიტერატურაში ახალი სიტყვა იყო და სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა (553; გვ. 212-213; 615; 627; 181; 247).

ჩვენი აზრით, ნ. დუბროვსკის თვალსაწიერს მიღმა რჩება ერთი ნიუანსი. მართალია ა. ტოკვილს სპეციალურად არ დაუწერია გლეხობის შესახებ, მაგრამ ამ თემის გაშუქების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა. ამიტომ ა. ტოკვილის ღვაწლისადმი გვერდის ავლა გამართლებულად

არ გვესახება. მისი დამსახურება ამ საკითხის შესწავლის საქმეში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე იმ ისტორიკოსების, რომელსაც ნ. დუბროვსკი ჩამოთვლის. მით უმეტეს ეს თემა საინტერესო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ტოკვილსა და კარეევს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა და სერიოზული პოლემიკა გაჩაღდა.

რა თქმა უნდა, ივ. ლუჩიცკისა და ნ. კარეევის შეხედულებებს შორის არსებობდა მსგავსება, მაგრამ, ალბათ, საჭირო იყო იმის აღნიშვნაც, რომ მათ შორის იყო პრინციპული განსხვავება. აქ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა მ. კოვალევსკის მოხსენიება, რომელიც, სხვათა შორის, გაცილებით უფრო მეტად აგრძელებდა ნ. კარეევის ხაზს, ვიდრე ივ. ლუჩიცკი (553; გვ. 214).

სავსებით ვეთანხმებით ნ. დუბროვსკის, რომ „ოცდახუთი წლის წინათ ნ. კარეევის ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ბრწყინვალედ". მიუხედავად აღნიშნულისა ნ. დუბროვსკის ნ. კარეევის საინტერესო გამოკვლევა სულაც არ მიაჩნია ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად და ამ მიმართულებით დაწყებული კვლევაძიების გაგრძელება პერსპექტიულად წარმოუდგენია (553; გვ. 214).

ნ. დუბროვსკი მოკლედ განიხილავს ნ. კარეევის შრომებს პოლონეთის ისტორიაზე. ამ შრომების მეცნიერული ღირებულების დაკნინება საკამათოა. აი რას წერდა ნ. დუბროვსკი. „ბევრი რამ, რაც ნათქვამია ამ შრომებში უნდა უკუვაგდოთ, როგორც რაღაც მოძველებული, მაგრამ შეიძლებოდა შესწორებების შეტანა, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს წიგნები დღესაც რჩება ძვირფას და ხშირად შეუცვლელ სახელმძღვანელოდ" (553; გვ. 214). ასეთი დასკვნა ნ. კარეევის როგორც მკვლევარ პოლონისტის მისამართით მეტად მკაცრად ეღერს. ეს შრომები არ არის მარტო სახელმძღვანელო და მას როგორც გამოკვლევებს თავისი ღირებულება გააჩნია (561; გვ. 136).

ნ. დუბროვსკი სამართლიანად უსვამს ხაზს, რომ შემდგომი ოცდახუთი წლის მანძილზე ნ. კარეევის მდიდარ და მრავალფეროვან სამეცნიერო-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ყველაზე მნიშვნელოვანია სადოქტორო დისერტაცია „ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი საკითხები" და მრავალტომიანი „დასავლეთ ევროპის ისტორია ახალ დროში".

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. დუბროვსკი განიხილავს ნ. კარეევის ისტორიოსოფიის მეტად პრინციპულ საკითხს - მარქსიზმთან მის დამოკიდებულებას. ნ. დუბროვსკი ცდილობს ნათელი მოჰფინოს ამ თემას და ეს მისი მსჯელობის ერთ-ერთი ღირებული მხარეა. ალბათ, ნ. დუბროვსკი იყო პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი, რომელიც ამ აქტუალურ თემას შეეხო. ავტორი იცავს ნ. კარეევს და ეკამათება მარქსისტებს. იგი წერდა: „მარქსის და ენგელსის სახელები წარმოადგენენ თავისებურ სიმბოლოს უცოდველობისა, ხოლო მათი ისტორიოსოფია ითვლებოდა თითქმის ყველაფრის გასაღებად. ცხოვრების მთელი სიჭრელე, განვითარების მთელი სირთულე, ისტორიის მსვლელობა დაყვანილი იქნა ერთ ეკონომიკურ წყაროზე, როგორც კულტურული ევოლუციის ერთადერთ ფაქტორზე. ისეთი უდავოდ ნიჭიერი და განათლებული ადამიანები როგორიც იყვნენ ბელტოვი, სტრუვე, ბულგაკოვი და სხვები გადაეშვნენ ამ ცალმხრივი გატაცების მორევში... და ცდილობენ დაამარცხონ ისინი ვინც არის სხვა საზოგადოებრივი თეორიის წარმომადგენელი. შეტაკება მათ შორის გარდაუვალი იყო. მის კერძო, მაგრამ ყველაზე უფრო მკაფიო ეპიზოდს წარმოადგენდა ცნობილი პოლემიკა აწ განსვენებულ ნ. მიხაილოვსკის და ტუგან-ბარანოვსკის შორის... იყო თუ არა ეს მარქსისტების დამარცხება ძნელი სათქმელია, მაგრამ სიმართლე რომ მათ მხარეზე არ იყო დაგვანახა შემდგომმა ისტორიამ" (553; გვ. 215). როგორც იტყვიან აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. ნ. კარეევის კვალდაკვალ ნ. დუბროვსკი მარქსიზმის ერთ-ერთ სერიოზულ ოპონენტად გვევლინება.

ნ. დუბროვსკი ძალიან კარგად გაერკვა მარქსიზმისადმი ნ. კარეევის დამოკიდებულებაში. „უკვე მაშინ ნ. კარეევი წინასწარმეტყველებდა მარქსიზმის ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანობას და ჩადგა მის ყველაზე უფრო სერიოზულ და ობიექტურ კრიტიკოსებს შორის" (553; გვ. 216). შეიძლება დავეთანხმოთ ნ. დუბროვსკის, რომ „ნ. კარეევი არის პოზიტივიზმისა და მეცნიერული რეალიზმის მოშხრეკ. სწორედ იმ რეალიზმისა, რომლის გულისთვისაც შეიქმნა მარქსიზმი და რომელიც სულ არ აღმოჩნდა რეალისტური" (553; გვ. 216).

ნ. კარეევის თხზულება „ფილოსოფიის ისტორიის ძირითადი საკითხები", პ. ლავროვის თქმით იყო „ბრწყინვალე ნაშრომი". სავსებით ვეთანხმებით ვ. ზოლოტარიოვს, რომ „პ. ლავროვის შეხედულება არის გაცილებით უფრო ობიექტური, ვიდრე საბჭოთა ფილოსოფოსების შეფასებები" (561; გვ. 136).

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ნიუანსს. ნ. დუბროვსკი თავის საინტერესო ნაშრომში კრინტს არ ძრავს იმის თაობაზე, რომ ნ. კარეევის თხზულებას „გლეხები და გლეხთა საკითხი საფრანგეთში XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში" მაღალ შეფასებას აძლევდნენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. ეს დუმილი შემთხვევითი არ უნდა იყოს. ძნელი საფიქრებელია, რომ ნ. დუბროვსკი არ იცნობდა კ. მარქსის და ფრ. ენგელსის მოსაზრებას ნ. კარეევის წიგნზე. როგორც ჩანს, მან სხვა რეცენზიები უფრო ღირებულად ჩათვალა.

ნ. დუბროვსკის შეხედულობიდან არ გამოპარვია, რომ ამავე დროს ნ. კარეევი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ ვინც ეჭვის თვალით უყურებს მსოფლიო-ისტორიული კონცეფციის პოზიტიურ მნიშვნელობას. ნ. დუბროვსკი ხაზს უსვამს ორივე ბანაკის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ასე მაგალითად ნ. დუბროვსკის სერიოზულად აღელვებს

რამდენად მართებულად წყვეტს მსოფლიო ისტორიული იდეა კარდინალურ საკითხს, კულტურის გენეტიკურ კავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას (253; გვ. 217). ნ. დუბროვსკის დამაფიქრებლად ესახება, რომ „მეტად საინტერესო და სასწავლებელია, რომ თვით პროფ. ნ. კარეევი, რომელიც კატეგორიულად ილაშქრებს „ისტორიული ატომიზმის" წინააღმდეგ, როგორც ამას უწოდებენ მსოფლიო ისტორიული თვალსაზრისის მოწინააღმდეგეები, ბოლო დროს ხელი მიჰყო ისტორიის ტიპოლოგიურ გადმოცემას, რომელიც გულისხმობს არა იმდენად მსოფლიო ისტორიული პროცესის განვითარებას, რამდენადაც განვითარების საკვანძო მომენტების გამეორებას ცალკეულ დამოუკიდებელ საზოგადოებრივ აგრეგატებში" (553; გვ. 217).

ნ. დუბროვსკიმ შეძლო ჩაწვდომოდა ნ. კარეევის ისტორიოსოფიის ძირითად იდეას. იგი ხაზს უსვამს, რომ „ნ. კარეევის შეხედულება მჭიდროდ უკავშირდება სოციოლოგიური სკოლის საერთო ისტორიულ შეხედულებას, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლებიც იყვნენ რუსეთში პ. ლავროვი და ნ. მიხაილოვსკი" (553; გვ. 218).

ნ. დუბროვსკის ღრმა რწმენით „პროფ. ნ. კარეევის დიდი დამსახურება ისაა, რომ პირველად არა მარტო ჩვენში (ე.ი. რუსეთში-მ.კ.), არამედ დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში დააყენა მთელი რიგი კაპიტალური თეორიული საკითხები... და შექმნა მთელი დასრულებული მსოფლმხედველობის სისტემა ისტორიულ პროცესზე... ეს წიგნი (ე.ი. „ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი საკითხები"-მ.კ.) არის პირველი ცდა შექმნას ისტორიის ფილოსოფია ახალ საწყისებზე, რომელზეც ნაწილობრივ ჯერ კიდევ ო. კონტიმ მიუთითა და რაც მთავარია, ცდა ძალიან სერიოზული, რომელიც დღემდე რჩება სწორედ ამ სფეროში განუმეორებელი... და არც ერთი წიგნი ამ საკითხების შესახებ არ იძლევა იმდენს რამდენსაც ნ. კარეევის ეს გამოკვლევა" (553; გვ. 219).

მიუხედავად ამგვარი მაღალი შეფასებისა, ნ. დუბროვსკი არაა ნ. კარეევის ამ ნაშრომის ბრმა მეხოტბე. პირიქით, მისი კრიტიკული პათოსი ობიექტურია და საშუალებას აძლევს ნ. დუბროვსკის უფრო ადეკვატურად წარმოაჩინოს ნ. კარეევის შეხედულებები. „ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ იმის მტკიცებას თითქოს პროფ. ნ. კარეევის ისტორიული კონცეფცია ჩვენთვის იყოს რაღაც საბოლოოდ დამკვიდრებული სწორი თვალსაზრისი სათანადო საგნებზე" (553; გვ. 220). ნ. დუბროვსკის აზრით „შეურიგებელი მსოფლმხედველობის ელემენტები – ძველი და ახალი – არაფრით არ იკვრება მასთან (ე.ი. ნ. კარეევთან-მ.კ.) რაღაც მწყობრად და ორგანიულად" (553; გვ. 220).

ნ. დუბროვსკი იზიარებს ნ. კარეევის მიმართ გამოთქმულ შენიშვნას, რომ: „იგი ზოგჯერ არათანმიმდევრულობას იჩენს ხშირად იცვლის შეხედულებას და დუალიზმში ვარდება, თანაც არც თუ გამართლებულად" (553; გვ. 220). ეს შენიშვნები, ვფიქრობთ, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ნ. დუბროვსკი მაღალი რანგის მკვლევარ – ისტორიკოსია.

დაბოლოს, ნ. დუბროვსკი ჩერდება ნ. კარეევის ფუნდამენტურ, კაპიტალურ ნაშრომზე „დასავლეთ ევროპის ისტორია ახალ დროში", რომელსაც ავტორი თითქმის მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე დიდი რუდუნებით წერდა. დაიწყო 1892 წელს და გაასრულა თებერვლის რევოლუციის წინ.

ნ. დუბროვსკი ნ. კარეევის ამ სოლიდურ ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს. საკმარისია ითქვას, რომ იგი ნ. კარეევის ამ თხზულებას არა თუ დასავლეთ ევროპული ისტორიოგრაფიის შედევრების გვერდით, არამედ მათზე მაღლაც აყენებს (553; გვ. 220). სიმართლე გითხრათ ასეთი შეფასება გადაჭარბებულად სულაც არ გვეჩვენება. „ეს წიგნი არის ერთადერთი ნაშრომის დასავლეთ ევროპის ისტორიაზე. ის გამოირჩევა აგრეთვე ფართო ჰორიზონტით, იმ ისტორიული პროცესების ღრმა გაშუქებით, რომელიც მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპის საზოგადოებაში... ცხოვრების ყველა მხარე სრულყოფილადაა გაშუქებული: ეკონომიკა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, პოლიტიკური პირობები, აზროვნების განვითარება" (553; გვ. 220). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნ. დუბროვსკის საჭიროდ წარმოუდგენია ნ. კარეევის ამ ნაშრომის უცხო ენაზე გადათარგმნა, რაც, მისი აზრით, „გაამდიდრებდა ევროპულ ისტორიულ ლიტერატურას" (553. გვ. 220). უნდა ითქვას, რომ ნ. დუბროვსკის განსაკუთრებით მოსწონებია ნ. კარეევის წიგნში XIX საუკუნის ისტორიის გადმოცემა (553; გვ. 220). რუსი ისტორიკოსი ს. ფორტუნატოვი ნ. კარეევის წიგნის მეექვსე ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ნ. კარეევის ახალ წიგნს ბადალი არ ჰყავს თვით დასავლეთ ევროპის ისტორიულ ლიტერატურაში". 1917 წელს, როდესაც გასრულდა ნ. კარეევის მონუმენტური ნაშრომი, ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა. კუდრიავცევი დასძენდა, რომ „მეშვიდე ტომის გამოსვლით სრულდება ნაშრომი, რომლის ბადალსაც ჩვენ ვერ ვიპოვით მთელ დასავლეთ ევროპულ ისტორიოგრაფიაში" (561; გვ. 142). ნ. კარეევის ნაშრომის შეფასებისას დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა საბჭოთა ისტორიოგრაფია. სავსებით ვეთანხმებით ნ. კარეევის ერთ-ერთ საუკეთესო ბიოგრაფს ვ. ზოლოტარიოვს, რომ „ნ. კარეევის ეს ნაშრომი ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შეფასებული საბჭოთა ისტორიოგრაფიაში" (338. გვ. 478). საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ნ. კარეევის ამ შედევრი მეტად მკაცრი და უსამართლო განაჩენი გამოუტანა: „ეს წიგნი არსებითად არის ეკლექტური და არა გამოხატულება რაიმე ჩამოყალიბებული სოციოლოგიური სისტემის" ნ. კარეევის ნაშრომის დაკნინების ცდა ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. საბჭოთა ისტორიოგრაფია ხაზს უსვამდა, რომ ნ. კარეევის „დასავლეთ ევროპის ისტორია ახალ დროში არის „არა მეცნიერული, არამედ სასწავლო და პოპულარული გამოცემა" ეს დაბალი

შეფასება, რა თქმა უნდა, სუბიექტური იყო. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ნ. დუბროვსკი აღნიშნავდა, რომ ამ ნაწარმოებში ნ. კარეევი დგას სინთეტურ თვალსაზრისზე (553; გვ. 220). გასაგებია რომ, ეს სინთეზი აშკარად სცილდება მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებს, რამაც ნ. კარეევის მარქსისტი ოპონენტების აღშფოთება გამოიწვია.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ნ. დუბროვსკის შესაძლებლად მიაჩნია ნ. კარეევის შესანიშნავი ნაშრომის შემდეგი დახვეწა. სრულყოფა. „რა თქმა უნდა, თავის ნაშრომში პროფ. ნ. კარეევს არ მიუღწევია XIX საუკუნის ისტორიის იდეალური გადმოცემისათვის. შეიძლება და აუცილებელიცაა ვიპოვოთ და ველოდეთ ამ სფეროში უკეთესს" (533; გვ. 222). „შეიძლება გვესურვა საკითხის სულ სხვაგვარი დასმა, სულ სხვა პერსპექტივები, განსხვავებული სოციოლოგიური საფუძვლები, მაგრამ პროფ. ნ. კარეევის ნაშრომი მთლიანობაში და მის ბოლო ნაწილში (იგულისხმება XIX საუკუნე-მ.კ.) დიდი კაპიტალური, ძვირფასი წვლილია ისტორიულ ლიტერატურაში, რომელიც აერთიანებს მეცნიერებას, ღრმა ერუდიციას და ისტორიული მოვლენების ყოველმხრივ გაშუქებას საერთო ფართო სოციოლოგიური ინტერესით" (553; გვ. 222).

ნ. დუბროვსკის ნაშრომში ნ. კარეევზე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ნ. კარეევის მრავალტომეული „დასავლეთ ევროპის ისტორია ახალ დროში" გაცილებით უფრო მკრთალადაა განხილული. როგორც ჩანს, ეს მომენტი მხედველობიდან არ გამოპარვია ნ. დუბროვსკის და დასძენს „ჩვენ არ ვფიქრობდით ამ სტატიაში მოგვეცა ნ. კარეევის შრომების საფუძვლიანი კრიტიკა. ამიტომ მისი „ისტორიის" მიმართაც შემოვიფარგლეთ მხოლოდ საერთო დახასიათებით, ვვარაუდობთ მის დეტალურ ანალიზს ხელი მოვკიდოთ სხვა დროს და სხვა ადგილას. აქვე დავძენთ, რომ ჩვენ სულაც არ ამოგვიწურავს ყველაფერი რაც ნ. კარეევს აქვს დაწერილი" (553; გვ. 222). ალბათ, ამის გაკეთებას იგი აპირებდა მაშინ როდესაც დასრულდებოდა ნ. კარეევის მრავალტომეულის გამოცემა, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ უმთავრესად პოლიტიკური გართულებების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთში ნ. კარეევის წიგნის გასრულების შემდეგ, 1917 წლის თებერვალში, ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. ეჭვს გარეშეა, რომ სხვა პირობებში ნ. დუბროვსკი ბრწყინვალედ გაართმევდა თავს ამ ამოცანას.

„ჩვენ არ ვფიქრობდით დაგვეწერა საფუძვლიანი კრიტიკული სტატია ღვაწლმოსილი პროფესორის სამეცნიერო ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. ჩვენ გვსურდა მხოლოდ აღგვენიშნა უმთავრესი შედეგები მისი ოცდახუთწლიანი შრომისა ისტორიულ მეცნიერებაში და რუსეთის განათლების სფეროში. ჩვენ გვსურდა მხოლოდ გვეჩვენებინა თუ რამდენად ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა აქამდის. ახალი რა მოგვცა და რაში შეიძლება ვეძიოთ მისი მნიშვნელობა. ჩვენ გვსურდა ხაზი გაგვესვა, რომ ნ. კარეევი არის ისტორიული მეცნიერების უდიდესი წარმომადგენელი. ის არის ერთ-ერთი პირველი რუსი მეცნიერი, რომელმაც ხელი მოკიდა დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლას და ამ სფეროში შექმნა შესანიშნავი გამოკვლევები. ის არის ერთ-ერთი უდიდესი და პოპულარული ხელმძღვანელი რუსეთის საზოგადოებისა და რუსეთის ახალგაზრდობის დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის საქმეში. ის არის ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი და დაუღალავი მუშაკი რუსეთის განათლების... და ბოლოს ეს არის თვალსაჩინო ისტორიკოსი თავისი მოღვაწეობის სიღრმით, მრავალფეროვნებით, რომელიც დგას ყველაზე მაღლა დასავლეთ ევროპის ისტორიის რუს მკვლევარებს შორის" (553; გვ. 222). ნ. დუბროვსკის მოკრძალება კარგია. ცხადია, ნ. კარეევზე დაწერილი ნაშრომი არის წინასწარი ინფორმაცია. თუ ეს მან დაწერა ასეთი სიღრმით და პასუხისმგებლობით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა იქნებოდა ის ნაშრომი მას საშუალება რომ მისცემოდა გამოექვეყნებინა თავისი გამოკვლევა. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს იქნებოდა, კ. სალიუტატიზე ნაშრომთან ერთად, ნ. დუბროვსკის კიდევ ერთი დიდი, სოლიდური გამოკვლევა. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, ადვილი წარმოსადგენი იქნებოდა, მიუხედავად იდეოლოგიური ზეწოლისა, თუ რა დიდი წარმატებით კითხულობდა ნ. დუბროვსკი მოსკოვის უნივერსიტეტში ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის კურსს.

ნ. დუბროვსკის უნარი ობიექტურად და დიდი სიღრმით შეაფასოს ისტორიკოსის მიერ გაწეული შრომა კარგად ჩანს ალ. ნამორაძის სადოქტორო დისერტაციაზე დაწერილ რეცენზიაში 1938 წელს (683). ამ რეცენზიაზე დაწერილებით მაშინ შევჩერდებით, როდესაც განვიხილავთ ალ. ნამორაძის სადისერტაციო ნაშრომს. აქ მხოლოდ ერთ სამწუხარო გარემოებას გვინდა მივაქცეოთ ყურადღება. მისი სამეცნიერო პოტენციალი ამ რეცენზიიდან გამომდინარე ძალზედ მაღალია და რაოდენ გულსატკენია, რომ ასეთი დიდი მეცნიერული შესაძლებლობების ადამიანი მეოთხედ საუკუნეზე მეტი დუმდა.

ნ. დუბროვსკის მომდევნო ნაშრომი უკვე ახალ ისტორიას შეეხება. კონკრეტულად 1830 წლის ივლისის რევოლუციას საფრანგეთში, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის განვითარებაში. ჩვენი ღრმა რწმენით, 1830 წლის ივლისის რევოლუციით ნ. დუბროვსკის დაინტერესება შემთხვევით არ ყოფილა და იგი უპირველეს ყოვლისა რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია.

ამ ნაშრომში ნ. დუბროვსკი წარმოგვიდგება როგორც შესანიშნავი ფაქტოგრაფი, პოპულარიზატორი, რომელიც, რა თქმა უნდა, კარგად იცნობს 1830 წლის ივლისის რევოლუციას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. დუბროვსკი მშვენივრად იცნობს 1830 წლის ივლისის რევოლუციის შესახებ არსებულ წყაროებს და ლიტერატურას

და ამ საინტერესო მასალაზე დაყრდნობით იგი კვალიფიცირებულად, პროფესიულად გააცნობს რუსულენოვან მკითხველს ამ მოვლენას (551; გვ. 42).

ნ. დუბროვსკიმ დამაჯერებლად ცხადყო 1830 წლის ივლისის რევოლუციის მიზეზები. ტალეირანის თქმით: „ბურბონებმა ვერც ვერაფერი ისწავლეს და ვერც ვერაფერი შეიგნეს". ფრანგული აბსოლუტიზმის კრიტიკა ნ. დუბროვსკის ნაშრომის პოზიტიური მხარეა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი ცოტათი შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოაჩენს რესტავრაციის პერიოდის ფრანგულ აბსოლუტიზმს და დამაჯერებლად ვერ ხსნის 1830 წლის ივლისის რევოლუციის მიზეზს (250; გვ. 279). ნ. დუბროვსკის ნაშრომი ანტიაბსოლუტისტური პათოსითაა გამსჭვალული და ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი კონცეფცია აღნიშნულ საკითხზე პროგრესულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში თავსდება.

საფიქრებელი იყო, რომ ნ. დუბროვსკი 1830 წლის ივლისის რევოლუციას საფრანგეთში დაუკავშირებდა 1830 წლის პოლონეთის აჯანყებას. მაგრამ იგი ასე არ იქცევა. მისი პოზიცია, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო მოტივირებული. ასეთი დაკავშირება, უთუოდ, ორიგინალურ ელფერს შესძენდა ნ. დუბროვსკის სტატიას, მაგრამ, ეტყობა, ამ შემთხვევაში ჟურნალის სპეციფიკიდან გამომდინარე არ ისახავდა ასეთ ამოცანას და მეორეც, შესაძლოა, ნ. დუბროვსკი ცენზურის გამო მოერიდა ამ თემის წინ წამოწევას.

ერთი გარემოება რომ არა, ნ. დუბროვსკის აღნიშნული ნაშრომის შესახებ საუბარი ამით შეიძლებოდა დაგვესრულებინა. აქ ცხადია, ეგულისხმობთ იმას, რომ 1905 წელს დონის როსტოვში გამოვიდა ნ.დუბროვსკის წიგნი „საფრანგეთი 1830 წლის ივლისში" ამიტომ, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი იყო თუ არა ეს ის ნ.დუბროვსკი, რომელიც მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა თუ ეს სულ სხვა ნ. დუბროვსკია.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნ.დუბროვსკი თავისი ნაშრომების ნუსხაში არ ასახელებს ორ ნაშრომს 1830 წლის რევოლუციაზე. მისი შრომების სიაში მოხსენიებულია ნაშრომი „ივლისის რევოლუცია და ბურჟუაზია", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „ბოჟე მირი" 1906 წლის მარტში, თუმცა თვითონ ნ. დუბროვსკი არ უთითებს სად, რომელ ორგანოში დაიბეჭდა თავისი ნაშრომი. ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ნ.დუბროვსკის რაიმე მოსაზრებით დაემალა დონის როსტოვში გამოცემული წიგნი. სიმართლე გითხრათ, ამის სერიოზულ მიზეზს ვერ ვხედავთ. ეს წიგნი ხომ რევოლუციას ეხება და ანტირევოლუციურ ხასიათს არ ატარებს.

ჩვენი აზრით, დონის როსტოვში გამოცემული ნაშრომი წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით შედარებით უფრო სუსტია, ვიდრე 1906 წელს ჟურნალ „ბოჟე მირში" დასტამბული სტატია. ამიტომ დაუშვებელია ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი მოსვლოდა იმ ნ. დუბროვსკის, რომელიც შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა.

უთუოდ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ორი ნაშრომის შინაარსი და სტილი განსხვავდება ერთმანეთისაგან და აშკარად არ გავს ერთი კაცის დაწერილს. დონის როსტოვში გამოცემული წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. შესავალი სადაც მოცემულია ბურბონთა რესტავრაციის ხანა და საკუთრივ 1830 წლის რევოლუცია (555; გვ. 5-11; და 11-26). 1906 წელს გამოსული ნაშრომი კი რვა ნაწილისაგან შედგება, მაგრამ სრულიად განსხვავებულია შინაარსი, სტილი, არქიტექტონიკა. ამ ორ ნაშრომს შორის მსგავსება არსებობს წმინდა კონცეფტუალური თვალსაზრისით. ორივე ნაშრომი დაწერილია პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან. სწორედ აქედან იღებს სათავეს კონკრეტული ისტორიული მოვლენების იდენტური შეფასება, ინტერპრეტაცია.

როგორც ეტყობა, დონის როსტოვში გამოსული წიგნის ავტორი საგანგებოდ სწავლობდა XIX საუკუნის 30-იან-40-იანი წლების საფრანგეთის ისტორიას და ამ ეპოქის შესახებ შრომების ციკლი ჰქონდა ჩაფიქრებული. „შემდგომ ნარკვევში ჩვენ შევჩერდებით ლუი-ფილიპეს შეფობაზე. გავეცნობით სხვადასხვა საზოგადოებრივ მიმდინარეობებს იმდროინდელ საფრანგეთში. შევეცდებით ფარდა ავხადოთ იმ ძალებს, რომლებმაც მოახდინეს 1848 წლის რევოლუცია და მივიდეთ გარკვეულ დასკვნამდე" (555; გვ. 26). ნიშანდობლივია, რომ ასეთი სურვილი 1906 წელს გამოცემულ სტატიაში არ იგრძნობა.

დაბოლოს, ალბათ, მნიშვნელოვანი უნდა იყოს ერთი პატარა დეტალი. ნიუანსი. ნ. დუბროვსკის მთელი თავისი სამეცნიერო კარიერის მანძილზე დონის როსტოვთან არანაირი კავშირი არ უჩანს. ამიტომ ჩვენი შეხედულებით დონის როსტოვში დასტამბული წიგნის ავტორი სულ სხვა ნ. დუბროვსკია. უნდა ვთქვათ, რომ არის კიდევ ერთი ნ. დუბროვსკი, რომელიც წერდა რელიგიურ საკითხებზე მართლმადიდებლობის პოზიციებიდან XIX საუკუნის 70-იან წლებში. ამ დუბროვსკის გამიჯვნა მომდევნო ორი ნ. დუბროვსკისაგან, ცხადია, ძნელი არაა.

საქართველოში მოღვაწე ნ. დუბროვსკის შემდეგი სერიოზული ნაშრომი, რომლის კვალსაც მივაგენით არის მისი ბროშურა „ოფიციალური მეცნიერება პოლონეთში" (ვარშავის უნივერსიტეტი პირადი მოგონებების და შთაბეჭდილებების მიხედვით).

ერთი შეხედვით ისეთი სურათი იქმნება თითქოს ეს ბროშურა ისტორიის მეთოდიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ეს მხოლოდ სათაურით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნ. დუბროვსკი ამ ბროშურაში ამპლუაში გვევლინება, არა მარტო როგორც სერიოზული მეცნიერი, არამედ როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი. ამ ბროშურაში ძალიან კარგად ჩანს, რომ ის იყო დიდი კრიტიკული უნარის მქონე ერუდირებული სტუდენტი. ალბათ, ყველაზე უფრო ზუსტი იქნებოდა ნ. დუბროვსკის ეს ბროშურა მეცნიერული პუბლიცისტიკის სფეროს

მივაკუთვნოთ. ნაშრომი ნათელი ილუსტრაციაა, რომ იგი იყო არა მარტო შესანიშნავი ორატორი და ლექტორი, არამედ ბრწყინვალე სტილისტი, რომელიც ტოლს არაფერში დაუდებდა ნებისმიერ ჟურნალისტს. ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს თითქოს ამ ბროშურას მეცნიერული სიღრმე აკლდეს. მისი წმინდა პროფესიული ღირსებები ექვს გარეშეა.

როგორც აღნიშნავს ნ. დუბროვსკი „ეს ბროშურა დიდი ხნის ჩაფიქრებული იყო. ჯერ კიდევ მაშინ როდესაც თავი წამოყო იმ მოძრაობამ რომელსაც თან მოყვა ვარშავის უნივერსიტეტის დახურვა. ჟურნალის „ბოქე მირ" აწ. განსვენებულმა რედაქტორმა ა.ი. ბოგდანოვიჩმა თანხმობა განმიცხადა დამებეჭდა იგი სტატიის სახით თავისი ჟურნალის უახლოეს ნომერში. იგი უნდა გამოქვეყნებულიყო წლევანდელი წლის დასაწყისში. სამწუხაროდ სხვადასხვა გარემოებებმა შეუშალეს ხელი ავტორს თავის დროს შეესრულებინა თავისი ჩანაფიქრი და მან მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მოკიდა ხელი ამ ამოცანას. მაგრამ მოფიქრებული სტატია გაიზარდა და ბროშურად მოგვევლინა და ამიტომ გადავწყვიტე გამომეცა ცალკე წიგნად" (552: გვ. 137).

საინტერესოა რა მიზანს ისახავდა ნ. დუბროვსკი თავის ბროშურაში „ავტორის მიზანს წარმოადგენს ვარშავის უნივერსიტეტის დაწვრილებითი დახასიათების გზით, არა მხოლოდ გამოვარკვიოთ მოტივები, თუ რატომ აქციეს ზურგი პოლონელებმა რუსულ უნივერსიტეტს, ამავე დროს ვაჩვენოთ ამ კონკრეტულ მაგალითზე. თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება საერთოდ უმაღლესი სკოლა რუსეთში. გარდა ამისა თავის ბროშურაში ავტორს სურდა ეთქვა პოლონეთის საზოგადოებისათვის, რომ ნუ იმსჯელებენ ვარშაველი პროფესორების მიხედვით რუსეთის ინტელიგენციაზე, რუსეთის კულტურაზე, რუსეთის მეცნიერებასა და ლიტერატურაზე. მე რუსი ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა სულაც არ მეშინია მოგცეთ საბაბი იმისა, რომ იცინოთ რუს პროფესორებზე ვარშავაში, რადგან ისინი არ წარმოადგენენ რუსულ ინტელიგენციას, რუსეთის მეცნიერებას და საზოგადოებრივ აზრს. ვაფასებ, მიყვარს და მუხლს ვიდრეკ რა მის წინაშე მე სულაც არ მრცხვენია და მეშინია ვილაპარაკო ამ მახინჯებზე რუსი ხალხის ოჯახში, ვინაიდან მათში როდია ჩვენი ეროვნული სიამაყე და ისინი არ განსაზღვრავენ რუსი ხალხის ღირსებას და პატიოსნებას" (552, გვ.137-138)

ნ. დუბროვსკის ბროშურის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს რევოლუციამდელ რუსეთში უმაღლეს სკოლებში არსებულ სწავლების სისტემას. ნ. დუბროვსკი იყო ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი რუსეთის პროგრესული ინტელიგენციისა, რომელსაც ჭეშმარიტად შესტკივა გული იმ სავალალო მდგომარეობაზე რომელიც არსებობს სწავლების სფეროში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს არის უაღრესად ობიექტური კრიტიკა, რომელსაც საფუძვლად ედო სამშობლოს სიყვარული, ღრმა ერუდიცია და უდიდესი პროფესიონალიზმი.

თავისი ბროშურის დასაწყისში ნ. დუბროვსკი, როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, სასტიკად გმობს იმ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელსაც ცარიზმი ატარებდა იმპერიის განაპირა მხარეებში, სახელდობრ, ვარშავის უნივერსიტეტში (552: გვ. 3-10). გარკვეულწილად ეს შეიძლება იყოს არაპირდაპირი გამოძახილი იმ უკმაყოფილებისა რომელსაც იჩენდა ნ. დუბროვსკი ცარიზმის პოლიტიკის მიმართ კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, სადაც ის დაიბადა და გაატარა ბავშვობა და ყრმობა, მიიღო დაწყებითი განათლება. გამოთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ნ. დუბროვსკი ასევე კრიტიკულად განწყობილი შეიძლება ყოფილიყო გიმნაზიაში სწავლების მიმართ. (სხვათა შორის, ნ. დუბროვსკის სტატიამ უნებლიეთ გაგვახსენა აკაკის „ჩემი თავგადასავალი" (130). სადაც ზუსტად ანალოგიური ვითარებაა აღწერილი. უნდა ითქვას, რომ ცენზურის თვალსაზრისით ამ რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე გაცილებით უფრო უარესი იყო ბოლშევიზაციის პროცესი, რომელიც თავს დაატყდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 20-იანი წლების შუა ხანებიდან და რომლის მსხვრალი ხელი ნ. დუბროვსკიმ თავის თავზე გამოსცადა.

საგულისხმოა ის მაღალი მოთხოვნები, რომელსაც ნ. დუბროვსკი უყენებდა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორებს. უპირველეს ყოვლისა იგი ხაზს უსვამს ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორთა დიდი უმრავლესობის დაბალ პროფესიულ დონეს, რომელთა ლექციები, ნ. დუბროვსკის შეხედულებებით, მეტად უფერული და უღიმღამო იყო. უკეთეს შემთხვევაში ლექციები იყო კომპილაცია, ცნობილი ლიტერატურის მოხმობა, რომელიც სტუდენტებისათვის, ცხადია, ძალზე ადვილი ხელმისაწვდომი იყო. ცხადია, ასეთი ლექცია უინტერესოა და მსმენელს არაფერს აძლევდა. ნ. დუბროვსკი დარწმუნებულია, რომ ლექცია შემოქმედებითი ხასიათს უნდა ატარებდეს. იგი პრაქტიკულად სვამს საკითხს პრობლემური ლექციის ჩატარების შესახებ. ლოგიკური იქნებოდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ასეთ ლექციას ატარებდა ნ. დუბროვსკი მოსკოვისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რასაც, სხვათა შორის, ხაზს უსვამენ თავიანთ მოგონებებში პროფ. გ. ეორდანია, აკადემიკოსები მ. ლორთქიფანიძე და ო. ჯაფარიძე.

როგორც ჩანს, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორებიდან ნ. დუბროვსკიზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გამოჩენილ რუს ისტორიკოსს დიმიტრი პეტრუშევსკის, რომელიც ერთხანს პოლონეთის დედაქალაქში მოღვაწეობდა. ნ. დუბროვსკის განმარტებით „პროფ. დ. პეტრუშევსკის ლექციები, რომელიც ოქტომბრის თვეში დაგვინიშნეს მსოფლიოს ისტორიის პროფესორად, ამ წყვდიადის სამეფოში წარმოადგენდა ნათელ სხივს" (552: გვ. 24). მეორე ადგილას იგი დასძენს, რომ „ზუსტად ასევე გარდა

პატივისცემისა და მადლიერებისა სხვა არაფერი დარჩათ პოლონელებს დ. პეტრუშევსკის მიმართ" (552; გვ. 40). მართალია, თვითონ ნ. დუბროვსკის პროფ. ნ. კარეევის ლექციები ვარშავის უნივერსიტეტში არ მოუსმენია, რადგან ნ. კარეევი უკვე გადასული იყო სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ მას ვარშავის უნივერსიტეტში ნ. კარეევზე, როგორც შესანიშნავ მეცნიერსა და ლექტორზე მეტად თბილი მოგონებები დახვდა „ცნობილია თუ რა პატივით იხსენებდნენ იგივე პოლონელები ვარშავის უნივერსიტეტში ნ. კარეევის მოღვაწეობას" (552; გვ. 4-).

აღსანიშნავია, რომ ნ. დუბროვსკი არ შემოიფარგლა ვარშავის უნივერსიტეტში არსებული სასწავლო სისტემის გაცამტკერებით. ეს იქნებოდა იოლი გზით სიარული, რაც, სხვათა შორის, ნ. დუბროვსკისთვის ნიშანდობლივი არ იყო. იგი ცდილობს დასახოს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი. ამიტომ მისი კრიტიკა, ვარშავის უნივერსიტეტში და საერთოდ რუსეთის უმაღლეს სკოლაში შექმნილი სავალალო ვითარებისა, კონსტრუქციულად მიგვაჩნია. ნ. დუბროვსკის შექმნილი სიტუაციიდან ორი გამოსავალი ესახება: ან სრულიად გააუქმონ ვარშავის უნივერსიტეტი ან გადასცენ ის პოლონეთის საზოგადოებას (552; გვ. 40) ოუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას ძალზე კარგად ესმის ის სიძნელეები, რომელიც ამ გზაზე არსებობს. ნ. დუბროვსკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი პესიმიზმს არ ეძლევა და შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ხედავს მხოლოდ სწავლების, მეცნიერული მუშაობის და პროპაგანდის სრულ თავისუფლებაში (552, გვ. 134-136).

აღვნიშნავთ, რა ამ ბროშურის მნიშვნელობას, შეიძლება ითქვას, რომ ნ. დუბროვსკიმ ძალიან კარგად დაინახა ვარშავის უნივერსიტეტში უფერული სწავლების პირველწყარო – რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომლის ლოგიკური შედეგია სწავლების დაბალი დონე და შეეცადა დაესახა ამ სიტუაციიდან გამოსავალი.

ნ. დუბროვსკი თავის შრომების ნუსხაში იხსენებს ერთ საინტერესო სტატიას გამოჩენილ ფრანგ ისტორიკოსზე ფუსტელ დე კულანჟზე. მაგრამ სამწუხაროდ, მას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა ნ. დუბროვსკის ნაშრომთა მოძიება კვლავ გაგრძელდეს. კიდევაც რომ ვერაფერი მოიძებნოს რაც ხელთ გვაქვს, საკმარისია იმისათვის, რომ გამოვაქვეყნოთ მისი ნაშრომების ერთტომეული.

კარი მეორე

პროფესორი გრიგოლ ნათაძე

(1878-1951 წწ.)

თავი I

გრ. ნათაძის ბიოგრაფია

პროფესორი გრიგოლ (გიგო) იასონის ძე ნათაძე (1878-1951) მე-20 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. მან თავისი კვალი დააჩნია საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარებას, რაც პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების მესაძირკვლედ მოგვევლინა. ამიტომ წინამდებარე გამოკვლევის მეორე ნაწილი სწორედ გრ. ნათაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება.

„დაბადებული ლიტერატორის ოჯახში, აღზრდილი თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლაში, კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი რევოლუციონერი, დევნილი ძველი რეჟიმის პირობებში, 24 წლის ახალგაზრდა პუბლიცისტი - გაზეთ „ცნობის ფურცელის" თანამშრომელი, მხურვალე თავგამოდებული პატრიოტი - აღსავსე სამშობლოს უანგარო სიყვარულით, ქენევის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, შემდეგ იმავე ქართული გიმნაზიის საუკეთესო პედაგოგი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე, თბილისის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეპუტატი, მსოფლიო ისტორიის პირველი პროფესორი ჩვენს უნივერსიტეტში, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, ახალი სამეცნიერო კადრების საუცხოო აღმზრდელი და მსოფლიო ისტორიის სამი ახალი კათედრის ფუძემდებელი – აი, მოკლედ ის ფრიად ნაყოფიერი, ღრმა შინაარსიანი გზა, რომელიც განვლო სამშობლოს სამსახურისათვის მგზნებარე პატრიოტმა, ღვაწლმოსილმა მეცნიერმა, განსვენებულმა გრიგოლ იასონის ძე ნათაძემ" (517, გვ.35.7). აი, ასეთი შესანიშნავი დახასიათება მისცა პროფ. ალ. ნამორაძემ თავის უფროს კოლეგას პროფ. გრ. ნათაძის მოღვაწეობას, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, იძულებულია გამოთქვა, რომ ის იყო ესერთა პარტიის წევრი და როგორც ყველა ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტი ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის დროს იმყოფებოდა ჩეკას მეთვალყურეობის ქვეშ (648, 528).

„უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანია პროფ. გრიგოლ ნათაძის ღვაწლი და დამსახურება სამშობლოსა და ჩვენი ქართული უნივერსიტეტის წინაშე, რომლის პირველ მშენებლებთან ერთად მან მძიმე ტვირთი ზიდა მისი ზრდისა და წინსვლისათვის" (517, გვ. 358).

გრიგოლ (გიგო) იასონის-ძე ნათაძე დაიბადა 1878 წლის 16 იანვარს სოფელ კასპში. მამა იასონ ივანეს ძე ნათაძე იყო ცნობილი ლიტერატორი, გაზეთ „დროების" თანამშრომელი. იზიარებდა ხალხოსანთა შეხედულებებს. დედა მარიამ ხმიადაშვილი მღვდლის დიმიტრი ხმიადაშვილის ქალიშვილი იყო. ის გახლდათ ფრიად ნაკითხი და განათლებული ქალბატონი, ძალიან კარგად იცნობდა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას და საქართველოს ისტორიას. მათ ჰყავდათ სამი ვაჟი: გრიგოლი (გიგო), ლევანი, შალვა და ქალიშვილი თამარი. ლევანი პოლიტიკურ მოღვაწეობას მისდევდა. იყო მენშევიკური პარტიის წევრი, გაზეთ „დროების" რედაქტორის მოადგილე. გარდაიცვალა ძალზედ ახალგაზრდა 1922 წლის იანვარში ფილტვების ანთებით.

უმცროსი ძმა შალვა დაიბადა 1882 წელს. როგორც ირკვევა იგი პროფესიონალი ისტორიკოსი ყოფილა. წარმატებით დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტი, მაგრამ მეცნიერულ მუშაობაზე უფრო პოლიტიკურმა მოღვაწეობამ გაიტაცა. თანამშრომლობდა რუსეთის ცენტრალურ ლიბერალურ გაზეთებთან. დაწერა ბროშურა „Как Грузинские крестьяне боролись за свободу". რევოლუციური მოღვაწეობის გამო დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ ციხიდან გაიქცა და იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო. იგი გარდაიცვალა 1911 წელს სტამბულში, სისხლის მოწამვლის გამო (517, გვ. 360, 125, გვ. 218-219).

და, თამარი გათხოვილი ყოფილა დიმიტრი იაგორაშვილზე, რომელიც პროფესიით იურისტი იყო და მუშაობდა ნოტარიუსად; კასპში ნათაძეებს ჰქონდათ დიდი ვენახი, რომელიც გასაბჭოების შემდგომ ჩამოართვეს და მის ადგილას გააშენეს კასპის ცემენტის ქარხანა. ქ-ნ თამარს ყავდა ოთხი ვაჟი. არჩილი და დავითი ტყუპები, ლევანი და მიხეილი; თამარი გარდაიცვალა 1937 წელს*. გრ. ნათაძის ბიოგრაფიის გამოსარკვევად საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენდა მისი „მოგონებანი", რომელიც ინახებოდა საქართველოს განათლების მუზეუმში მუზეუმი მდებარეობდა პირველ საშუალო სკოლაში. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მკვლევარი ამ დოკუმენტით სარგებლობის საშუალებას მოკლებულია, ვინაიდან პირველი საშუალო სკოლის შენობა 1991-92 წლების ზამთრის მოვლენების შედეგად დაიწვა. ამიტომ ალ. ნამორაძის ნაშრომი მეტად ღირებულია, ვინაიდან ის უშუალოდ იცნობდა ამ საბუთს, რაც მას მნიშვნელოვანწილად ისტორიულ წყაროდ აქცევს.

ექვს წლამდე პატარა გიგო კასპში ცხოვრობდა. მოსალოდნელი იყო, რომ მამა ბავშვს სასულიერო სასწავლებელში მიაბარებდა, მაგრამ ბ-ნ იასონს სხვაგვარად განუსჯია. საქმე ისაა, რომ ის სასტიკი მოწინააღმდეგე

*ეს ცნობები მოგვაწოდა ბ-ნ. ნოდარ ნათაძემ, რისთვისაც ღრმა მადლობას მოვახსენებთ.

ყოფილა სქოლასტიკური განათლების და არ მოინდომა სასულიერო განათლება მიეცა თავისი შვილისათვის (650; 517, გვ. 359), ამიტომ 1885 წელს პატარა გიგო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც ჯერ გამონაკლისის წესით, ხოლო შემდეგ საერთო წესით, გლეხის შვილებსაც იღებდნენ. როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს, იგი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში 1892 წლამდე სწავლობდა და შემდეგ გადასულა თბილისის მეორე გიმნაზიაში, რომელიც 1898 წელს გაუსრულებია (650, 517, გვ. 359). ახალგაზრდა გრ. ნათაძის წინაშე, ბუნებრივია, დაისვა პროფესიის არჩევის საკითხი. როგორც ირკვევა მას თავიდანვე ისტორიკოსის პროფესია როდი აურჩევია. ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს ალ. ნამორაძის მოსაზრება, რომ 1898 წელს გრ. ნათაძე „ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად და თავის სპეციალობად დასავლეთ ევროპის ისტორია არჩია" (517, გვ.359). თავდაპირველად ის სამედიცინო ფაკულტეტზე შესულა და მხოლოდ შემდეგ პროფ. ივან ლუჩიცკის ლექციებით მოხიბლულს განუზრახავს სწავლის გაგრძელება ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და თავის სპეციალობად დასავლეთ ევროპის ისტორია აურჩევია (643). ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ მედიცინით დიდად იყო დაინტერესებული ალ. ნამორაძე და სხვათა შორის, მის წინაშე იდგა ალტერნატივა მედიცინა თუ ისტორია; აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა ცნობილი ისტორიკოსი, ალ. ნამორაძის ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე, პროფ. გივი კიღურაძე და შემდგომში მისი მეგობრის, ასევე ისტორიკოსის გიორგი ფუთურიძის დაკინებული თხოვნით გადმოსულა ისტორიის ფაკულტეტზე (4, გვ. 4).

გრ. ნათაძემ კიევის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულება ვერ შეძლო. რაც უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში აღმოჩნდა ჩაბმული; მონაწილეობდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც ორჯერ გარიცხეს კიევის უნივერსიტეტიდან. პირველად 1901 წელს და მეორედ 1902 წელს. ჯერ იყო და 1901 წელს სტუდენტებმა პროტესტი გამოთქვეს უკიდურესი რეაქციონერი ბურავიოვის ძეგლის დადგმის გამო პოლონეთში, ხოლო 1902 წელს კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს ყაზახების მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტების დარბევის გამო (650, 517, გვ. 359).

კიევის უნივერსიტეტში გრ. ნათაძეს საინტერესო მეცნიერული კარიერა ელოდა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მისთვის ყურადღება მიუქცევია და ძალიან დაუახლოვებია გამოჩენილ რუს ისტორიკოსს ივან ლუჩიცკის. ბუნებრივია, სწორედ მისი გავლენით იყო განპირობებული, რომ გრ. ნათაძე დაინტერესდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობით, რომლის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარიც იყო ივ. ლუჩიცკი. გრ. ნათაძე აქტიურმა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ გაიტაცა და ასეთ პირობებში ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობაზე ფიქრი ძნელი იყო. მან კიევის უნივერსიტეტის დასრულება ვერ შეძლო და გამოსაკვლევი თემაც დაუმთავრებელი დარჩა.

1902 წელს გრ. ნათაძე თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა ჟენევის უნივერსიტეტში. ამის თაობაზე გრ. ნათაძე იგონებს „1902—03 წლებში მე და ჩემი ცოლი ოლღა ივანეს ასული ერთად ვსწავლობდით ჟენევის უნივერსიტეტში. ერთად ვმუშაობდით იქაურ წიგნთსაცავებში. ერთად ვისმენდით ლენინისა და პლეხანოვის საჯარო მოხსენებებს. საუნივერსიტეტო მუშაობაში ძლიერ მიწყობდა ხელს ჩემი მეუღლე, რადგან მან კარგად იცოდა ფრანგული და გერმანული ენები" (650; 517, გვ. 359). სავარაუდოა, რომ იგი არა მარტო ლენინისა და პლეხანოვის გამოსვლებს, არამედ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებსაც უსმენდა. მაგრამ ამის თაობაზე ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ბუნებრივია ხმას არ იღებს. ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ მისი მეუღლის ოლღა ივანეს ასული ტუჩიკის შესახებ. იგი სულ ერთი წლით იყო უფროსი თავის მეუღლეზე. წარმოშობით პოლონელს კრაკოვის მახლობლად ჰქონდა დიდი მამულები. ჩინებულად იცოდა უცხო ენები. გარდაიცვალა 89 წლის ასაკში 1968 წელს.* მატერიალური ხელმოკლეობის გამო გრ. ნათაძე იძულებულია სამშობლოში დაბრუნდეს და თანამშრომლობას იწყებს გაზეთ „ცნობის ფურცელთან"; მხოლოდ რედაქციასთან თანამშრომლობა მატერიალურად ვერ უზრუნველყოფდა ოჯახს და იგი იძულებული იყო კერძო გაკვეთილები აეღო.

ერთი ხანობა პოლიტიკური მოღვაწეობის გამო, გრ. ნათაძე დაპატიმრებულიც კი ყოფილა და 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ გაუთავისუფლებიათ. საინტერესოა როგორი იყო გრ. ნათაძის პოლიტიკური მრწამსი, კრედო? რომელ პოლიტიკურ პარტიას თანაუგრძნობდა იგი? გრ. ნათაძე მხარს უჭერდა სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიას, რომელიც რუსეთში შეიქმნა 1902 წელს და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კადეტთა პარტიასთან და სოციალ-დემოკრატებთან (მენშევიკებთან) ერთად გვერდში ამოუდგა დროებით მთავრობას და ემხრობოდა რუსეთის ნორმალური გზით განვითარებას. ესერთა პარტიის მოღვაწეობა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მეტად გაყალბებულია და ფაქტობრივად თავიდანაა დასაწერი (125).

ცხადია, გრ. ნათაძეს სურდა უნივერსიტეტის დამთავრება, კიევის უნივერსიტეტში, ბუნებრივია, იგი კეღარ დაბრუნდებოდა. ამიტომ ის მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ირიცხება ექსტერნის წესით გამოცდების ჩაბარების უფლებით. აქ მას

*ეს ცნობები მოგვაწოდა ბ. ნ. ნოდარ ნათაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ხელმძღვანელობდნენ ცნობილი რუსი ისტორიკოსები პროფ. რ. ვიპერი და პროფ. დ. პეტრუშევსკი. პროფ. რ. ვიპერის რჩევით მან განაგრძო იმ თემაზე მუშაობა, რომელიც ჯერ კიდევ კიევის უნივერსიტეტში შეარჩია პროფ. ივ.ლუჩიცკიმ. ეს თემა „საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ", გახდა მისი სადიპლომო ნაშრომი მოსკოვის უნივერსიტეტში. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ პროფ. რ. ვიპერს მაღალი შეფასება მიუცია გრ. ნათაძის სადიპლომო ნაშრომისათვის და განუზრახავს მისი ავტორის დატოვება მოსკოვის უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად (თანამედროვე ტერმინით ასპირანტურაში). მაგრამ ეს უკვე მეორედ, სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელება, ძირითადად პოლიტიკური მოტივების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა. თავის მოგონებებში გრ. ნათაძე აღნიშნავს „პროფ. რ. ვიპერს ჩემი დატოვების განზრახვა ჰქონდა, მაგრამ ჩემი მოსკოვში დარჩენა იმ დროს შეუძლებელი იყო, ვინაიდან ჩემი ძმის შალვას ციხიდან გაქცევის გამო მე ათასი თვალი დამტრიალებდა გარშემო. აუცილებელი იყო, რომ ამ თვალებისათვის როგორმე გზა-კვალი ამერია. ერთადერთი გზა ამისათვის იყო მოსკოვიდან წასვლა, მაგრამ სად? სამშობლოში? ეს მოდარაჯე თვალები იქამდის ადვილად გამომყვებოდნენ. გზა-კვალის ასაბნევად საჭირო იყო ჯერ სხვაგან სადმე წავსულიყავი და იქ მეცხოვრა ერთხანს ინკოგნიტოდ" (650, 517, გვ.359). ასე აღმოჩნდა გრ. ნათაძე მოსკოვის უნივერსიტეტის შემდეგ ყირიმში, სადაც მან ცოტა ხანს, სულ ორიოდე თვე დაჰყო.

როგორც ჩანს, გრ. ნათაძეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემა საკმაოდ საფუძვლიანად დაუმუშავებია. საგულისხმოა, რომ მისი დასკვნები, როგორც თვითონ აღნიშნავს, სავსებით დაემთხვა ივ. ლუჩიცკის მოსაზრებას, რომლის ნაშრომიც გამოქვეყნდა შემდგომში 1912 წელს (504, გვ. 158). ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ გრ. ნათაძემ აღნიშნულ თემაზე მუშაობის გაგრძელება ვეღარ მოახერხა და დაწყებული კვლევა ბოლომდე ვერ მიიყვანა. ეს მე-20 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიისათვის სერიოზული დანაკლისია.

1907 წელი მეტად მნიშვნელოვანია გრ. ნათაძის მოღვაწეობაში. ამ წელს ის სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომლის დირექტორიც იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანი, მეტად საინტერესო პიროვნება, რომელიც 30-იან წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენის მასწავლებლად, პროფესიით ისტორიკოსი. პროფ. ალ. ნამორაძეს მოჰყავს ერთი საინტერესო ცნობა, რომლის თანახმადაც ალ. მდივანს დაწერილი ჰქონია „მსოფლიო ისტორიის განზოგადოებანი", „შუა საუკუნეების ისტორია", „ახალი ისტორია". რაც დღევანდლამდე დაუბეჭდავია, ორი უკანასკნელი წიგნი სამუალო სკოლის სახელმძღვანელოა (517, გვ. 361). სამწუხაროდ, შესაძლოა, ეს წიგნები დღეს დაკარგულიც კი იყოს. ასე დაიწყო გრ. ნათაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. როგორც იგი აღნიშნავს მოგონებებში „პედაგოგიური მუშაობისადმი ბუნებრივი მიმკვიდრეობითი (ჩემი ბიძებისაგან) მიდრეკილება უნდა მქონოდა, რაც ჩანს იქიდან, რომ გიმნაზიაში ყოფნის დროს წარმატებით ვასწავლიდი" (650; 517; გვ.361). აქ ის გულისხმობს, რომ უკვე 10-12 წლისა იყო როდესაც თავისი პირადი ინიციატივით და სურვილით ასწავლიდა წერა-კითხვას სოფლის გოგო-ბიჭებს (650; 517; გვ. 361). ქართულ გიმნაზიაში გრ. ნათაძე ასწავლიდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას და ნაწილობრივ რუსულ ლიტერატურას.

უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძეს თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა ნოვატორულად დაუწყია. მას მოსწავლეებისაგან შეუქმნია ისტორიის შემსწავლელი წრე. ეს იდეა სხვათა შორის, „მანამდე აზრად არ მოსვლია ისტორიის არცერთ მასწავლებელს აღნიშნულ სასწავლებელში" (517, გვ.361). მეორე საყურადღებო სიახლე რომლის დანერგვაც გრ. ნათაძეს როგორც პედაგოგს უცდია იყო ის, რომ ისწრაფოდა უფროს კლასებში ისტორიის სწავლებისათვის მეცნიერული ხასიათი მიეცა. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, დიდად განაპირობა გრ. ნათაძის როგორც პედაგოგის წარმატებები და პოპულარობა. მან შეძლო შეეყვარებინა მოსწავლეებისათვის თავისი საგანი და დიდი აღმზრდელობითი გავლენა მოეხდინა მათზე, მაგრამ როგორც პოლიტიკურად არასაიმედო იგი თვალში არ მოსვლია ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფს და აღარ დაუმტკიცებიათ მასწავლებლის თანამდებობაზე.

1909 წელს გრ. ნათაძე ჭუთაისში მიდის და ცდილობს მოეწყოს მასწავლებლად ქართულ კერძო სასწავლებელში, რომელსაც „მკურნალის გიმნაზიას" ეძახდნენ, აი როგორ ახასიათებს სასწავლებელს „მოგონებებში" გრ. ნათაძე: „კოტე მკურნალი თავის თავს იტალიელად თვლიდა. მისი სიტყვებით, მისი პაპა ყოფილა იტალიელი ჰერცოგი, გვარად კოჩნარიო, ის რაღაც მიზეზის გამო იტალიიდან გამოქცეულია და სამეგრელოსთვის შეუფარებია თავი. მისი შთამომავლობისთვის ქართველებს გვარი თავისებურად გადაუკეთებიათ და შეურქმევიათ „მკურნალი?. კოწია მკურნალს, ასე ეძახდნენ მას მისი მახლობლები, განათლება აკლდა, მაგრამ ნიჭით დაჯილდოვებული იყო. ჰქონდა უნარი ფართო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებთან კავშირის დაჭერისა. ეს არის მხოლოდ, რომ ამ წრეებს არ არჩევდა კარგი იყო თუ ცუდი, მისაღები იყო მასთან კავშირი თუ არა" (650, 514; გვ. 362). ალ. ნამორაძე ფიქრობს რომ კ. მკურნალის გიმნაზია 1906 წელს შეიძლება იყოს დაარსებული (517, გვ. 362). გრ. ნათაძეს არწმუნებენ, რომ ჭუთაისში, უეჭველად, მოუხერხებენ დამტკიცებას და მიიღებენ მასწავლებლად. მართლაც ეს ასეც მოხდა. გრ. ნათაძე თავის „მოგონებებში" აღნიშნავდა: „ სწავლის

დაწყებისას თურმე მკურნალმა წარუდგინა ჟანდარმერიას ოფიციალური საბუთი, რომ მე სამი თვეა ქუთაისში ვცხოვრობ და არავითარ უკანონო საქციელში არ ვარ შენიშნული. ამ საბუთის საფუძველზე მასწავლებლობის ნებაც მომცეს. ასე ადვილად მოწესრიგდა ქუთაისში ის საქმე რომელიც თბილისში ვერ მოწესრიგდა". როგორც მისი მოგონებებიდან ვიგებთ თბილისშიც შეეცადნენ ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის პედაგოგები, მისი დირექცია, პირადად თვით ამ გიმნაზიის დირექტორი ალ. მდივანი და თბილისის კერძო გავლენიანი პირები თავადაზნაურთა წრიდან დახმარებოდნენ, მაგრამ პოლიტიკურ საქმეებში მონაწილის დამტკიცება მასწავლებლის თანამდებობაზე, რა თქმა უნდა, უფრო ადვილი იყო ქუთაისში (მეტადრე ისეთი მოხერხებული პიროვნების, წყალობით როგორიც იყო კოტე მკურნალი), ვიდრე თბილისში, საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრში (650; 517. გვ. 362).

ცოტა ხნის შემდეგ გრ. ნათაძე უკვე ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიწვიეს მასწავლებლად, ამავე გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით. ეს იყო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი. მისი დირექტორი იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი. გრ. ნათაძე თავის მოგონებებში აღნიშნავს „საქართველოში ორი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია იყო: ერთი თბილისში, მეორე ქუთაისში, ეს ორი გიმნაზია, ამბობდა თურმე იოსებ ოცხელი „ჩვენი დედა სამშობლოს ორი ძუძუა... რომელნიც კვებავენ და ზრდიან ქართველ ახალგაზრდებს" (517; გვ. 363). ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მიწვევა მოულოდნელი იყო და გრ. ნათაძე ძალიან გაახარა; იგი აღნიშნავს: „ჩემი მოწვევა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ჩემს ზეიმად მიმაჩნდა. რადგან მოწვევა მოხდა თვით პედაგოგიური საბჭოს ინიციატივით, ჩემი თხოვნის გარეშე ისე რომ ჩემი მოწვევის ამბავი მე სრულიად შემთხვევით გავიგე" (517, გვ. 363). ქუთაისში გატარებული სამი წელი (1909-1912) გრ. ნათაძის მოღვაწეობაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ მოკლე ხანში მან მოასწრო უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის დამსახურება. ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში გრ. ნათაძე ასწავლიდა მსოფლიო ისტორიას და რუსულ ლიტერატურას. გარდა თავისი უშუალო მოვალეობისა იგი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ჩაბმული იყო ქუთაისის დრამატული წრის საქმიანობაში, აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ სალიტერატურო გამოცემებში. კითხულობდა ლექციებს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში. „სახალხო უნივერსიტეტი - აღნიშნავს გრ. ნათაძე თავის მოგონებებში -უნდა ჩაითვალოს 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთ კულტურულ ნაშთად. ფართო მასებში მუშაობა იქამდის აუცილებელი გახდა, რომ მთავრობამ ვერ გაუწია წინააღმდეგობა ამ მძლავრ მოთხოვნილებას და ამჯობინა მისი ლეგალიზაცია და გარკვეულ აკადემიურ ჩარჩოებში ჩაყენება. თბილისის სახალხო უნივერსიტეტი მუშაობდა უკვე 1907 წელს, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი უფრო გვიან დაარსდა, მაგრამ მან ერთბაშად უფრო უკეთესად მოაწყო თავისი ორგანიზაცია, ლექტორთა გარკვეული კადრი შეიძინა და ლექციებმა სისტემატური ხასიათი მიიღო (517; გვ. 363). აღსანიშნავია, რომ გრ. ნათაძეს თურმე აქ წაუკითხავს საინტერესო მოხსენება ლევ ტოლსტოის შემოქმედებაზე (650, 517; გვ. 363).

თუ რამდენად დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა გრ. ნათაძემ ქუთაისის საზოგადოებაში ეს კარგად ჩანს ცნობილი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის სილოვან ხუნდაძის წერილიდან „ძვირფასო გიგო! საპატიო მიზეზები ნებას არ მაძლევენ შენს გამოსათხოვარ სადილს დაესწრო ნება მომეცი წერილობით გითხრა ის, რაც პირადად მეწადა მეთქვა. მცირე ხანია რაც ჩვენს ამხანაგობაში შემოხვედი, მაგრამ მიუხედავად ამისა შენი წასვლა ჩვენს საერთო გულისტკივილს იწვევს. ზოგიერთებისაგან საყვედურის ხმაც მესმის - და გაგიტყდები ჩემს გულშიაც ჩაისახა ეს გრძნობა.

მაგრამ საყვედურიც არის და საყვედურიც! ილია ერთ თავის ლექსში ამბობდა „კარგი გული კი მაშინვე სცნობს, ამ სიძულვილში თუ რაოდენი სიყვარულია" ჩვენც ვიტყვით: შენი გული ადვილად იგრძნობს, ჩვენს საყვედურში რამდენი სიყვარულია შენსდამი...

გული გვტკივა, რომ გეშორდები... და განა ჩვენს გულისტკივილს მცირე მიზეზი აქვს? გეშორდები წრფელი კეთილშობილი აზრებით გამსქვალული შრომისმოყვარე და კარგი საამხანაგო ადამიანი - და ჩვენმა გულმაც ტკივილი იგრძნო.

ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ შენი კეთილი გული, საცა უნდა წახვიდე, თან წაგყვება და მატარებელი იქნება იმ კეთილშობილი გრძნობებისა და საქმიანობისა, რომელსაც ჩვენს შორის იჩენდი ამხანაგობის სასიამოვნოდ და ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ. დავშთები მარად შენი მოყვარული ძმა და მეგობარი სილოვან ხუნდაძე. 1912 წლის 26 აგვისტო" (517; გვ. 364).

არანაკლებ დიდი გულისტკივილი გამოიწვია ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიიდან გრ. ნათაძის წამოსვლამ მოწაფეებს შორის. ისინი სინანულით აღსავსე წერილებს უგზავნიდნენ თბილისში გრ. ნათაძეს და „უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი ბედით, რომ დააკლდათ მათთვის სათაყვანებელი გიგო მასწავლებელი" (517; გვ. 364).

ფრიად საგულისხმოა ის დეპეშა რომელიც ამავე გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეებს გამოუგზავნიათ თბილისში გრ. ნათაძისათვის. იგი რუსულადაა დაწერილი, რადგან იმ ხანებში ტელეგრაფი არ იღებდა ქართულ ენაზე, თუნდაც რუსული ასოებით დაწერილ დეპეშას. ამიტომ ეს საბუთი რუსულ ენაზე მოყავს პროფ. ალ. ნამორაძეს და ჩვენც ხელუხლებლად ვტოვებთ მას. „Глубоко огорчены вашим отъездом. Сожалеем что не могли показать вам

нашу искреннюю привязаность и любовь. Осырателые восмиклассники" (517. გვ. 364). ასე ბრწყინვალედ დასრულდა გრ. ნათაძის მოღვაწეობის ჭუთაისური ეტაპი.

გრ. ნათაძის მოღვაწეობის შემდგომი პერიოდი 1912-18 წლები ერთგვარ „თეთრ ლაქად" შეიძლება მივიჩნიოთ. ალ. ნამორაძის ნაშრომში ეს წლები შედარებით მკრთალადაა გაშუქებული, რაც, შესაძლოა, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ გრ. ნათაძის მოგონებებში ეს საკითხი სათანადოდ არაა ასახული; ნათელია ერთი რამ, ამ პერიოდში ის განაგრძობდა პედაგოგიურ საქმიანობას, მაგრამ ეს არაა მთავარი. ჩვენი ვარაუდით, იგი ამ წლებში ეტყობა, უმთავრესად პოლიტიკური მოღვაწეობით იყო დაკავებული. ამის გამომზეურებას ვერც გრ. ნათაძე და ვერც ალ. ნამორაძე ბოლშევიკური რეჟიმის დროს, ცხადია, ვერ გაბედავდნენ.

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება გრ. ნათაძის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება. გრ. ნათაძე ცარიზმის რეჟიმის დროს არაკეთილსაიმედოდ იყო გამოცხადებული და მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში შეძლო თავისუფლად ამოესუნთქა და განთავისუფლებულიყო ამ იარლიყისაგან. ამიტომ საუსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ამ დროს მან გადაწყვიტა საბოლოო არჩევანი გაეკეთებინა. რა გზას დადგომოდა, ვის უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო საქართველოსთვის გრ. ნათაძეს, როგორც პოლიტიკოსს თუ როგორც მეცნიერს? მას მიაჩნდა, რომ ის მიზნები რომლის განხორციელებისთვისაც იბრძოდა მიღწეულია. საქართველომ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. გრ. ნათაძემ რეალურად განსაჯა მას როგორც მეცნიერს გაცილებით უფრო დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო საქართველოსთვის, ვიდრე პოლიტიკოსს. ესერთა პარტიაში იყვნენ ძალები, რომლებსაც შესწევდათ უნარი საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანები განეხორციელებინათ, ხოლო მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხში საქართველოს არ ყავდა კვალიფიცირებული პროფესიონალი კადრები. ამიტომ მან გადაწყვიტა დაბრუნებოდა მეცნიერულ საქმიანობას და თავის სპეციალობად მსოფლიო ისტორია აერჩია.

1918 წლის 8 თებერვალს (ძვ. სტილით 26 იანვარს) დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თავდაპირველად მას ეწოდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი). უნივერსიტეტის დაარსება იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართველი ერის ისტორიაში. ასე გაუჩნდა გრ. ნათაძეს კიდევ ერთი შესაძლებლობა დაბრუნებოდა მეცნიერულ საქმიანობას. ეს მესამე შანსი, მას ამჯერად ხელიდან არ გაუშვია. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე მან გააკეთა საუსებით სწორი არჩევანი. ეჭვს გარეშეა, რომ გრ. ნათაძეს მეცნიერულ სარბიელზე გაცილებით უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ვიდრე როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს. მით უმეტეს, რომ 1921 წლის შემდეგ ფაქტობრივად პოლიტიკურმა მოღვაწეობამ დაკარგა თავისი უწინდელი პეწი და ლაზათი. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ რომ ერთპარტიული სისტემის პირობებში ეს შეუძლებელი გახდა.

როგორ მოხდა გრ. ნათაძის მიწვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში? მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძის საინტერესო ნაშრომში უნივერსიტეტში გრ. ნათაძის მოსვლის წინაისტორია სათანადოდ არაა გაშუქებული. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ერთი დოკუმენტი რომელსაც ალ. ნამორაძე, ეტყობა, არ იცნობდა და ამიტომ არ მოიხსენიებს. „ჩემთან მოვიდა ბ-ნი გრიგოლ ნათაძე - იგონებს ივანე ჯავახიშვილი და გამომიტყდა, რომ დიდი ხანია, ის საისტორიო კათედრისათვის სამაგისტრო გამოცდების დასაჭერად ემზადება და გამოცდების დასაჭერად მოსკოვში წავიდოდა კიდეც რომ გზა შეკრული არ იყოს. ის პეტრუშევსკის მოწაფე ყოფილა და სპეციალურ საგნად საშუალო საუკუნეების ისტორია ჰქონია არჩეული. რაკი ახლანდელ პირობებში რუსეთში წასვლაზე ოცნებაც შეუძლებელია მას კი გადაწყვეტილი აქვს რომ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდეს და მხოლოდ სამეცნიერო მუშაობას მოანდომოს მთელი თავისი დრო. მან მკითხა შეიძლება თუ არა, რომ მას ჩვენს უნივერსიტეტში და ჩვენს ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის პრაქტიკული მეცადინეობა და ლათინური ენის მასწავლებლობა მიენდოს, სანამ სამაგისტრო გამოცდებს ჩააბარებს. მე ვუპასუხე. რომ წარმოადგინოს წერილობითი გეგმა თუ როგორ ფიქრობს ამ საქმის განხორციელებას და განხილვის შემდეგ საკითხი გამოირკვევა. მან წარმოადგინა მთელი პროგრამა, რომელიც ნათლად მოწმობს, რომ ბ-ნ გრ. ნათაძეს კარგად აქვს წარმოდგენილი ის მოვალეობა, რომელსაც თხოულობს. შესაფერი წყაროების ცოდნა... მე მომხრე ვიქნებოდი, რომ ბ-ნ გრიგოლ ნათაძისათვის მსოფლიო ისტორიის პრაქტიკული მეცადინეობის, სემინარის ხელმძღვანელობა და ლათინური ენის ლექტორობა დასაწყის კურსებისათვის მიგვენდო" (693). ეს დოკუმენტი 1918 წლის მარტის თვითაა დათარიღებული. ივ. ჯავახიშვილის ამ წერილთან დაკავშირებით უღრმესი პატივისცემით და მოწიწებით გვინდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება. ვფიქრობთ, გაცილებით უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ გრ. ნათაძე იყო არა მხოლოდ დ. პეტრუშევსკის, არამედ ივ. ლუჩიცკის და რ. ვიპერის მოწაფე. 1919 წლის მაისში გრ. ნათაძე მიწვეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად. მას მიყავდა პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარები მსოფლიო ისტორიაში და დაწყებით კურსებზე ასწავლიდა ლათინურ ენას (643). 1919-1920 წლებში იყო სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. 1921 წელს გრ. ნათაძემ წარმატებით ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და 1922 წლის 22 ივნისს იგი პროფესორთა საბჭოს დადგენილებით დაამტკიცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე (614; 517; გვ. 365). 1922

წლის 30 ივნისს დოც. გრ. ნათაძე აირჩიეს სიბრძნისმეტყველების განყოფილების მეცნიერ მდივნად (541; 517 გვ. 365). 1923 წლის 30 მარტს პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად დოც. გრ. ნათაძე აირჩიეს იმავე ფაკულტეტის პრეზიდიუმის წევრად (642; 517; გვ. 365).

ახლადფეხადგმული ქართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში გრ. ნათაძის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვა ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა. საქმე ისაა, რომ ფაქტობრივად ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დაიცვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიაში, კერძოდ კი ძველი ქვეყნების ისტორიაში. სადოქტორო დისერტაციის თემად გრ. ნათაძეს არჩეული ჰქონდა პრობლემა „უძველესი საბერძნეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც კილონის აჯანყების საფუძველი". დაცვა დანიშნული იქნა კვირას, 1924 წლის 8 ივნისს 12 საათზე. ოფიციალურ ოპონენტებად გამოყვეს პროფ. ივ. ჯავახიშვილი და პროფ. მ. პოლიევქტოვი (643).

აღსანიშნავია, რომ თავისი სადოქტორო ნაშრომის წიგნად გამოქვეყნების მიზნით მას მიუმართავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანისათვის. ეს დოკუმენტი ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი და ალ. ნამორაძის გამოკვლევაში გამოყენებული არ ყოფილა. „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანს! უმორჩილესად გთხოვთ, მიშუამდგომლოთ ფაკულტეტის წინაშე რათა ჩემი გამოკვლევა „კილონის აჯანყება და მისი სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები" რომელიც ამჟამად უკვე დამთავრებული მაქვს, დაბეჭდილი იქნას უნივერსიტეტის ხარჯით. ჩემს გამოკვლევას გაცნობილები არიან პროფ. ს. ავალიანი და პროფ. გრ. წერეთელი, რომელნიც ამ საკითხის გადასაწყვეტად თავის დასკვნებს მოგახსენებენ და მათი დასკვნის მიხედვით ფაკულტეტს საშუალება მიეცემა ჩემი თხოვნა ასე თუ ისე გადაწყვიტოს" (643). მოუხედავად ამ თხოვნისა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძის ეს საინტერესო გამოკვლევა მაინც გამოუქვეყნებელი დარჩა. ეს კი მსოფლიო ისტორიის შესწავლის სფეროში მე-20 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული დანაკლისია. სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ გრ. ნათაძე 1926 წლის 15 დეკემბერს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. ეს მსოფლიო ისტორიის კვლევის საქმეში მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის დიდი მიღწევაა. ფრიად მრავლისმეტყველი უნდა იყოს ის მაღალი შეფასება, რომელსაც აძლევდნენ გრ. ნათაძის მეცნიერულ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გამოჩენილი ქართველი მეცნიერები პროფ. გრ. წერეთელი და პროფ. მ. პოლიევქტოვი. ამ საინტერესო დოკუმენტს ალ. ნამორაძე, როგორც ჩანს, არ იცნობდა და გვერდს უვლის. „8 ივნისს შესრულდა ორი წელიწადი მას შემდეგ, რაც დოც. გრ. ნათაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. სამეცნიერო კვლევა-ძიებანი გრ. ნათაძისა ტრიალებს ფეოდალიზმის საკითხის გარშემო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ძველი ქვეყნების ისტორიიდან იყო აღებული მისი თემა „საბერძნეთის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც კილონის აჯანყების საფუძველი", რომლითაც მან მოიპოვა დოქტორის ხარისხი. ამ ბოლო დროს მისი კვლევა-ძიება უმთავრესად ორი მიმართულებით წარიმართა — შუა საუკუნეების და ახალი ისტორია. 1926 წლის იანვარში გრ. ნათაძე მუშაობდა სამეგრელოს ვასალიტეტის საკითხის გამოსაკვლევად დადიანების არქივში ზუგდიდში. ყველა სამეცნიერო ნაშრომში მუდამ აღბეჭდილია დამოუკიდებელი მკაფიო აზრი და მეთოდის წესების სასტიკი დაცვა. ყველა მისი გამოკვლევა წარმოადგენს ისტორიის მეცნიერებაში შეტანილ წვლილს. თავის სამეცნიერო მუშაობასთან ერთად გრ. ნათაძე კითხულობს კურსს საზოგადოდ ისტორიისა და დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს სტუდენტების პრაქტიკულ მეცადინეობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ პირველწყაროს შესწავლა. პრაქტიკული მუშაობის გარდა გრ. ნათაძე დიდ ყურადღებას აქცევს ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის თეორიულ საკითხებსაც. გრ. ნათაძეს ეკუთვნის რამდენიმე წერილი, სასკოლო, მხარეთმცოდნეობის და საზოგადოებათმცოდნეობის შესახებ. ამჟამად, გრ. ნათაძე დასაბეჭდად ამზადებს საშუალო საუკუნეების კურსს რომელსაც დართული ექნება საშუალო საუკუნეების ისტორიის საბუთები. ყველა ეს დიდ ფასს აძლევს გრ. ნათაძის მონაწილეობას უნივერსიტეტის ცხოვრებაში როგორც მეცნიერი მკვლევარისა, ისე აკადემიური მასწავლებლისა. ჩვენ შემოგვაქვს პედაგოგიკის ფაკულტეტში შუამდგომლობა, რათა გრ. ნათაძე იქნეს არჩეული მსოფლიოს ისტორიის კათედრაზე პროფესორად. გარდა აღნიშნული დამსახურებისა მას ფორმალური უფლება აქვს, რადგანაც მსოფლიო ისტორიის დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ ორი წელიწადია აკადემიურ მუშაობას განუწყვეტლივ აწარმოებს" (643).

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის აგრეთვე შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. „პროფესორების გრ. წერეთელის და მ. პოლიევქტოვის წინადადებას დოც. გრ. ნათაძის პროფესორად არჩევის შესახებ მხარს კუჭერ პროფ. ივ. ჯავახიშვილი" (643).

30-იანი წლების შუა ხანებში პროფ. გრ. ნათაძე აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგედ და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ამ კათედრას (669).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძეს ძალები უცდია თეატრში, კერძოდ კი დრამატურგიაში. როგორც ალ. ნამორაძე ვარაუდობს პიესა მას ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაუწერია და მხოლოდ 20-იანი წლების შუა ხანებში მოუხერხებია მისი პუბლიკაცია. ეს არის პიესა-

ზღაპარი. სადაც დასმულია მარადიული პრობლემა თუ რა გზით უნდა იაროს კაცობრიობამ. მისი მთავარი გმირია რკინის კაცი, რომელიც მოუპოვებს ხალხს მიწას, თავისუფლებას და ბედნიერებას. პიესა დაწერილია ჩინებული ქართული ენით (517. გვ. 370). ეს ფაქტი უპირველეს ყოვლისა იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ აქ ძალიან კარგად ჩანს, თუ რამდენად მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი იყო გრ. ნათაძის ნიჭი.

„უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში გრიგოლ იასონის ძე ნათაძე ერთადერთი ისტორიკოსი იყო მსოფლიო ისტორიის სპეციალობისა, რომელიც ერთ დროს მარტო უძღვებოდა უნივერსიტეტში ამ საქმეს, რასაც ამჟამად სამი კათედრა (ანტიკური ისტორიის კათედრა, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა და ახალი ისტორიის კათედრა) ემსახურება. ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში გრ. ნათაძემ პირველმა წაიკითხა მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა კურსი და სათანადო გეზი და მიმართულება მისცა მომავალ ლექტორთა მუშაობას. იმ პირველ წლებში იგი უკითხავდა სტუდენტებს საბერძნეთის და რომის ისტორიას. შუა საუკუნეების ისტორიას, ახალ ისტორიას, ისტორიოგრაფიას, წყაროთმცოდნეობას, ისტორიის სწავლების მეთოდიკას, სხვადასხვა სპეცკურსებს და ამასთან ერთად ატარებდა სათანადო სპეცსემინარებს. გასაგებია, თუ რა მძიმე მუშაობა დაწვა პროფ. გრ. ნათაძეს უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში, ვინაიდან სათანადო სპეციალისტები ჯერ არ მოგვეპოვებოდნენ; გასაგებია ისიც თუ რა მწვავედ იდგა იმ პირველ ხანებში სამეცნიერო კადრების მომზადების საკითხი. გრ. ნათაძე მთელი თავისი ენერგიით შეუდგა ამ მეორე მძიმე საქმესაც და წარმატებით გადაწყვიტა ეს ფრიად პასუხსაგები ამოცანაც. პროფ. გრ. ნათაძის პირადი თაოსნობით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით და დაუღალავი მუშაობის წყალობით თანდათან აღიზარდნენ მსოფლიო ისტორიის ახალი სამეცნიერო ძალები, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა სამ ახალ კათედრას, რომლებიც მალე ცალკე დამოუკიდებელ კათედრებად გამოეყვნენ მსოფლიო ისტორიის კათედრას. მსოფლიო ისტორიის ამ სამივე კათედრას, სახელდობრ ანტიკური ისტორიის კათედრას, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას, ახალი ისტორიის კათედრას გრ. ნათაძემ მისცა დამოუკიდებელი არსებობის საფუძველი. სამივე კათედრა მისი ქმნილებაა, ამ სამივე კათედრის ახლანდელი ხელმძღვანელები მისი ყოფილი მოწაფეები არიან" (517, გვ. 366).

ეს ვრცელი ამონაწერი, ალ. ნამორაძის გამოკვლევიდან შემთხვევით არ მოვიყვანეთ. საქმე ისაა, რომ აქ ძალიან მკაფიოდ, ყველაზე უფრო რელიეფურად გამოკვეთა ალ. ნამორაძემ ის უდიდესი დამსახურება, რომელიც გრ. ნათაძეს მიუძღვის ქართულ სინამდვილეში მსოფლიო ისტორიის კვლევისა და სწავლების საქმეში. ალ. ნამორაძემ ხაზი გაუსვა, რომ გრ. ნათაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, მის მაღალ პროფესიულ დონეზე სწავლებას და აღზარდა მსოფლიო ისტორიის ნიჭიერ მკვლევართა ახალგაზრდა თაობა; სათავე მისცა მსოფლიო ისტორიის სამ ახალ კათედრას. ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს პროფ. ალ. ნამორაძის მოსაზრება, თითქოს „გრ. ნათაძემ ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში პირველად წაიკითხა მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა კურსი". როგორც ირკვევა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიოს ისტორიის პირველი ლექტორი-მასწავლებელი სიმონ ავალიანი ყოფილა (48, გვ. 363).

უნივერსიტეტში ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად პროფ. გრ. ნათაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის მთელ რიგ სასწავლო და საკვლევო დაწესებულებებში. მთელი ათი წელი იღვაწა მან საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში, ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, საქართველოს ცენტრალურ არქივში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, ა.ს. პუშკინის სახელობის (ამჟამად სულხან საბა ორბელიანის) სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში (643).

„გრ. ნათაძის დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე მნიშვნელოვნად და მრავალფეროვნად აღიბეჭდა მის სამეცნიერო კვლევით მუშაობაში; რა მოგვეპოვებოდა ჩვენ უნივერსიტეტის დაარსებამდე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიიდან ქართულ ენაზე? თითქმის არაფერი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ბროშურას ანდა ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ ცალკეულ სტატიებს, რომელნიც ინფორმაციული და ნაწილობრივ პუბლიცისტური ხასიათისა და შინაარსისა იყვნენ. ქართველი მკითხველი სრულიად მოკლებული იყო საისტორიო ლიტერატურას დასავლეთ ევროპის ისტორიის შესახებ - საჭირო იყო ეს ხარვეზი ნაწილობრივ მაინც შევსებულიყო. პირველ რიგში უმაღლესი სკოლისათვის შექმნილიყო დასავლეთ ევროპის ისტორიის სახელმძღვანელო. მართალია, ხარვეზი ისევ რჩება, ვინაიდან დასავლეთ ევროპის საისტორიო ლიტერატურას ადგილობრივ ნაციონალურ ენაზე ერთი ადამიანი ვერ შექმნის - ამას ისტორიკოსთა რამდენიმე თაობა სჭირდება. მაგრამ ისიც დიდია ჩვენთვის, რაც ამ მიმართულებით გააკეთა და მოგვცა გრ. ნათაძემ თავისი მოღვაწეობის სულ მოკლე ხანში (მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი თორმეტი წელიწადი ხომ მძიმე ავადმყოფობაში გაატარა)" (517, გვ. 167).

ალ. ნამორაძემ ლაკონიურად, მოკლედ და, ვფიქრობთ ძალიან მკაფიოდ უჩვენა მკითხველს ის დიდი დამსახურება, რომელიც გრ. ნათაძეს მიუძღვის დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის საქმეში. სურათის სრულყოფილი წარმოჩენისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაზე იყო სასკოლო სახელმძღვანელოები, მათ შორის ორი თვითონ გრ. ნათაძისა „ინგლისის მოკლე ისტორია" და „პირველყოფილი კულტურა".

ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი რომელმაც დიდად განსაზღვრა გრ. ნათაძის ისტორიული გამოკვლევების

წარმატება და მეცნიერული ღირებულება უცხო ენების ზეადმიწევნით კარგი ცოდნაა. ამ თვალსაზრისით იგი, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ფრანგი ისტორიკოსები შარლ ლანგლუა და შარლ სენიობოსი უყენებდნენ ისტორიკოსებს. მათი შეხედულებით ისტორიკოსმა როგორც მინიმუმი აუცილებლად უნდა იცოდეს ორი უცხო ენა. გრ. ნათაძე სრულყოფილად ფლობდა როგორც კლასიკურ ენებს: ბერძნულს და ლათინურს, ისე ევროპულს: გერმანულს, ფრანგულსა და რუსულს. მსოფლიო ისტორიის ქართველ მკვლევართა პირველი თაობის მიერ უცხო ენების საფუძვლიანი ცოდნა მისაბაძია; სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს მაღალი მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად მიივიწყა. საინტერესოა აღინიშნოს რომ ჯერ კიდევ ალ. ნამორაძე გამოთქვამდა თავის გულისტკივილს იმ ჩამორჩენის თაობაზე, რომელიც ამ მიმართულებით გამოიკვეთა (666). უნდა ვაღიაროთ, რომ შემდგომში ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო გაღრმავდა. მომავალში ამ კარგი ტრადიციის აღდგენა, უდავოდ, მისასალმებელი იქნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ ეს ასეც მოხდება, როდესაც აღდგება კავშირები, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში მსოფლიო ისტორიის კვლევის სფეროში რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

სავსებით ვეთანხმებით პროფ. ალ. ნამორაძეს, როდესაც ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე გრ. ნათაძის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად ახალი კადრების მოზიდვას ასახელებს. პროფ. ალ. ნამორაძისათვის გვერდში დგომა და მხარის დაჭერა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე გრ. ნათაძის დიდ დამსახურებად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძე არ ყოფილა გრ. ნათაძის მოწაფე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იგი კიეველი ისტორიკოსი პ. არდაშევის მოწაფე იყო. მაგრამ არდაშევის შემდეგ თუ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს პრეტენზია იწოდებოდეს ალ. ნამორაძის ხელმძღვანელად, ეს, ჩვენის აზრით, უთუოდ გრ. ნათაძე უნდა იყოს. თავის მოწაფეთა შორის გრ. ნათაძე მოიხსენიებს პროფ. მათე ალექსიშვილს, რომელიც ხელმძღვანელობდა ანტიკური ისტორიის კათედრას და პროფ. გ. ტივაძეს რომელიც გრ. ნათაძის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას. ფაქტობრივად გრ. ნათაძე იყო საქართველოში მსოფლიოს ისტორიის პირველი კვალიფიცირებული, პროფესიონალი მკვლევარი და ლექტორი. ცოტა მოგვიანებით მას მხარში ამოუდგნენ: ალ. წერეთელი, ალ. ნამორაძე, ნ. დუბროვსკი.

მიუხედავად ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობისა (თითქმის თორმეტი წელი სახლიდან ვერ გამოდიოდა) მას პედაგოგიური მუშაობა არასოდეს არ შეუწყვეტია. მსოფლიო ისტორიის სტუდენტთა ჯგუფი მასთან ბინაზე დადიოდა და ისმენდა ბ-ნ გრიგოლის მიერ საინტერესოდ წაკითხულ სპეციკურსს. როგორც მსმენელები იხსენებენ (უ. სიდამონიძე, კ. ანთაძე) ამ სპეციკურსებმა ძალიან ბევრი მისცა სტუდენტებს. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1951 წლის 24 მაისს პროფ. გრ. ნათაძე გარდაიცვალა. დაკრძალვის დროს სტუდენტთა სახელით სიტყვა წარმოთქვა უშანგი სიდამონიძემ.

გრ. ნათაძის მდიდარი და მრავალფეროვანი მეცნიერული მემკვიდრეობა ნაკლებადაა შესწავლილი და დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვევსო ეს ხარვეზი.

1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრ. ნათაძის გარდაცვალების ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერული გააზრების პირველ სერიოზულ მცდელობად უნდა მივიჩნიოთ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი მოწყობის ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი ალბათ ალ. ნამორაძე იყო. მთავარი მოხსენებით „პროფესორი გრიგოლ იასონის ძე ნათაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)" გამოვიდა პროფ. ალ. ნამორაძე. ეს გამოსვლა დაედო საფუძვლად მის ნაშრომს გრ. ნათაძეზე, რომელიც 1959 წელს გამოქვეყნდა უნივერსიტეტის შრომებში, მაგრამ სამწუხაროდ ალ. ნამორაძე ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო. ანტიკური ისტორიის კათედრის გამგე მ. ალექსიშვილი შეეხო გრ. ნათაძის გამოკვლევებს ძველი საბერძნეთის ისტორიაზე. შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგემ გ. ტივაძემ განიხილა გრ. ნათაძის წვლილი საქართველოში მედიევისტიკის განვითარების სფეროში, ხოლო კ. გრიგოლიამ მიმოიხილა გრ. ნათაძის ნაშრომები საქართველოს ისტორიაზე. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ თითქოს „გრ. ნათაძე თავიდანვე დადგა მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე და ყოველმხრივ ცდილობდა მარქსიზმის პრინციპების დაცვას" (517, გვ. 367). ასეთი ხაზგასმით ამის აღნიშვნა შემთხვევითი არ ყოფილა და უმთავრესად ბოლშევიკური იდეოლოგიის თვალის ახვევას ისახავდა მიზნად. ეს არცაა გასაკვირი. ამ ფონზე მათ კარგად შეეძლოთ წარმოეჩინათ ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე გრ. ნათაძის დამსახურება. მათ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში თავისი აზრის სხვაგვარად გამოთქმის საშუალება არ ჰქონდათ. რა თქმა უნდა, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ გრ. ნათაძე არასოდეს არ ყოფილა მარქსისტი, მაგრამ იძულებული იყვნენ ასე ემოქმედათ. ამიტომ ამის გამო მათი მკაცრად განსჯა უმართებულო იქნებოდა. აქ ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე ცალკეულ ისტორიკოსს, არამედ სისტემას რომელიც უკრძალავს მეცნიერს თავისუფალ აზროვნებას, თავისი აზრის ხმამაღლა გამოთქმას.

ჭეშმარიტებისაგან შორს არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ გრ. ნათაძის მოღვაწეობის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის დოც. ტასო კასრაძეს. მის მიერ შედგენილი გრ. ნათაძის შრომების ბიბლიოგრაფია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარისათვის, უდავოდ, უძვირფასესი, პირველხარისხოვანი

საბუთია (691). ვფიქრობთ, რომ ქ-ნ ტასომ ეს ბიბლიოგრაფია შეადგინა 50-იანი წლების დასაწყისში, გრ. ნათაძის გარდაცვალების შემდეგ. სავარაუდოა, რომ ეს ბიბლიოგრაფია შედგა პროფ. ალ. ნამორაძის თხოვნით, რომელსაც ბუნებრივია, გრ. ნათაძეზე გამოკვლევის დასაწერად ესაჭიროებოდა ამომწურავი ინფორმაცია განსვენებული მეცნიერის შრომებზე. (შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ ძვირფას მასალას სწორედ ალ. ნამორაძის არქივში წავაწყდით) უნდა ითქვას, რომ ამ დავალებას ტ. კასრაძემ ჩინებულად გაართვა თავი. ბიბლიოგრაფიამ უდიდესი დახმარება გაგვიწია და პირველხარისხოვანი გზამკვლევის როლი შეასრულა გრ. ნათაძის მეცნიერული მემკვიდრეობის დადგენის საქმეში, თუმცა მოგვიხდება ზოგიერთი უმნიშვნელო დეტალის დაზუსტება. მივყვეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. გრ. ნათაძის გამოკვლევა „ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიაში, ბენეფიციების წარმოშობა, იმუნიტეტის საკითხი" დაიბეჭდა არა 1926 წელს, როგორც ეს ქ-ნ ტასოს აქვს მოთითებული არამედ, ერთი წლით ადრე 1925 წელს (691). გრ. ნათაძის გამოკვლევა „ნაპოლეონ I დაწინაურების მიზეზები" გამოქვეყნდა არა 1928 წელს, არამედ ერთი წლით ადრე 1927 წელს (691). ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა ბიბლიოგრაფიაში ზუსტად ყოფილიყო მითითებული თუ კონკრეტულად რომელ პერიოდულ ორგანოში იყო მოთავსებული გრ. ნათაძის ნაშრომი „Capitullare de Villis" ერთი ნიმუში ფორმალურ-ლოგიკური მიდგომისა ისტორიულ კვლევაში", თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში კარგად არ ჩანს ეს მონოგრაფიაა თუ ცალკე სტატია. მკითხველი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და არ იცის სად ნახოს ეს ნაშრომი. როგორც წიგნი თუ როგორც სტატია (691) და ბოლოს გრ. ნათაძის გამოკვლევა „მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების დროს" გამოქვეყნდა არა 1944 წელს როგორც ეს ბიბლიოგრაფიაშია ნაჩვენები, არამედ ცოტათი ადრე 1942 წელს (691).

პროფ. ალ. ნამორაძის გამოკვლევა დღემდე რჩება ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთადერთ სერიოზულ შრომად რომელიც პროფ. გრ. ნათაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. მის წინაშე იდგა სრულიად კონკრეტული ამოცანა, გაეცნო ქართველი მკითხველისათვის ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერის მიერ განვლილი გზა, ხაზი გაესვა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი დამსახურებისათვის. უნდა ითქვას რომ ამ მისიას ალ. ნამორაძემ წარმატებით გაართვა თავი და მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა საფუძველი ჩაუყარა გრ. ნათაძის ცხოვრების და მოღვაწეობის მეცნიერულ შესწავლას. ამით მან, ვფიქრობთ, პირნათლად მოიხადა ვალი თავისი უფროსი კოლეგის წინაშე (517). გრ. ნათაძის მოღვაწეობას გაკვრით, სულ ორიოდე სიტყვით ეხება პროფ. გივი კიღურაძე თავის წიგნში, "ახალი ისტორია" (48, გვ. 363). გრ. ნათაძის მოღვაწეობაზე არის საუბარი აგრეთვე პროფ. ი. ტაბაღუას და დოც. ვაჟა ჩოჩიას ნაშრომში „მსოფლიოს ისტორიის სწავლება და კვლევა საქართველოში" (526, გვ. 161-171). 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის თაოსნობით აღინიშნა გამოჩენილი მეცნიერის დაბადებიდან 100 წლისთავი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გრ. ნათაძეზე არც მოგონებებით ვართ განებივრებული. ამ ხარვეზს მნიშვნელოვანწილად ავსებს პროფ. ვ. სურგულაძის გულითადი მოგონება მასწავლებელზე გრ. ნათაძეზე (109, გვ. 53-59). სავსებით ვეთანხმებით ალ. ნამორაძეს, რომ გრ. ნათაძის მოღვაწეობაში ორი პერიოდი აღინიშნება: პირველი 1919 წლამდე, ვიდრე იგი დაიწყებდა მუშაობას ახლადდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მეორე 1919 წლის შემდეგ, როდესაც იგი მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ, თუ პირველი პერიოდი მისი მოღვაწეობისა უმთავრესად სამწერლო-კრიტიკულ და პუბლიცისტურ ხასიათს ატარებდა, სამაგიეროდ მეორე პერიოდი უმთავრესად სამეცნიერო ხასიათისაა (517, გვ. 358). პირველი პერიოდის დახასიათებისას ალ. ნამორაძეს, ეტყობა, უნებლიედ გამორჩა გრ. ნათაძის ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც ის შესანიშნავად იცნობს. პირველ პერიოდში გრ. ნათაძის ლიტერატურულ-საგანმანათლებლო და პუბლიცისტურ საქმიანობაზე ყურადღების გამახვილება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ადვილი გასაგებია, რომ ალ. ნამორაძე გრ. ნათაძის პოლიტიკურ საქმიანობაზე, რაც, უდავოდ, მნიშვნელოვანი იყო მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში კრინტს ვერ დაძრავდა. მან კარგად დაინახა თუ რამდენად საშიში იყო ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ამ თემის თუნდაც გაკვრით აღნიშვნა. გრ. ნათაძის მოღვაწეობის მეორე პერიოდი, ჩვენი აზრით, ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ. პირველი, როდესაც მარქსისტული იდეოლოგიის მარწუხები ჯერ კიდევ არ იგრძნობა მკაცრად, განსაკუთრებით 20-იანი წლების პირველ ნახევარში და მეორე, როდესაც მტკიცედ და საბოლოოდ ყალიბდება მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია და თავისუფალი აზროვნების საშუალება სულ უფრო და უფრო მცირდება, განსაკუთრებით 30-იანი წლებიდან მოყოლებული. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს ორი ფაქტორი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან ივ. ჯავახიშვილის განთავისუფლება და ის უბედურებები, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ თავს დაატეხა უნივერსიტეტს (528; გვ. 163-164) და 1934 წელი როდესაც საბჭოთა კავშირში აღდგა სამოქალაქო ისტორიის სწავლება და მიიღეს ისტორიის სწავლების პროგრამა (239). ამან ფაქტობრივად დაასრულა საბჭოურ-ბოლშევიკური იდეოლოგიის ფორმირების პროცესი (490, გვ. 3-26) რაც, სხვათა შორის, ძალიან კარგად ჩანს გრ. ნათაძის მეცნიერულ მოღვაწეობაში.

თავი II

გრ. ნათაძე ძველი ისტორიის საკითხებზე

1469 წელს ცნობილი მეცნიერის ნიკოლა კუზანელის პარაკლისის დროს, ეპისკოპოსის ჯოვანი ანდრეას მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომ „განსვენებულმა ძალიან კარგად იცოდა ძველი, შუა საუკუნეების და ახალი ისტორია" ქართველი ისტორიკოსებიდან ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მეტად პროფ. გრ. ნათაძის მეცნიერულ მოღვაწეობას მიესადაგება. გრ. ნათაძე ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო, რომელიც კარგად ფლობდა კლასიკურ და დასავლეთ ევროპის ენებს და მსოფლიო ისტორიის საკითხებში ღრმა ჩახედულებას ამჟღავნებდა, რაც იმით გამოიხატა, რომ მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოში ძველი, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მეცნიერული კვლევისა და სწავლების საქმეში.

1920 წელს გიმნაზიის პირველი კლასის კურსი „პირველყოფილი კულტურა" ფაქტობრივად იყო პირველი სერიოზული ნაშრომი, რომელიც გრ. ნათაძემ დაწერა ძველ მსოფლიო ისტორიაში. ამიტომ ძველ ისტორიაში გრ. ნათაძის მეცნიერული მოღვაწეობის განხილვა მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ სახელმძღვანელოთი დავიწყოთ. ჯერ კიდევ პროფ. ალ. ნამორაძე შენიშნავდა, რომ გრ. ნათაძის სახელმძღვანელო „პირველყოფილი კულტურა" დიდ დახმარებას გაუწევდა საშუალო სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს" (517, გვ. 372).

უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ გრ. ნათაძეს ძალიან კარგად აქვს შეცნობილი ის სირთულეები რომელსაც შეიცავს სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა დაბალი კლასის მოსწავლეებისათვის. აი, რას წერდა იგი: „ყოველ პედაგოგს მოეხსენება, რომ უმცროსი ასაკის ბავშვისათვის უფრო ძნელია სახელმძღვანელოს შედგენა, ვიდრე უფროსი ასაკისათვის. საზოგადოდ საგნის კარგად ცოდნის გარდა აქ ბევრ ისეთ წვრილმან გარემოებას აქვს მნიშვნელობა, რომელიც სახელმძღვანელოს ავტორს ან ადვილად გამოეპარება ან არ გამოეპარება, მაგრამ სათანადოდ ვერ გაატარებს სახელმძღვანელოში. სახელმძღვანელოს ნაკლი, რასაკვირველია, მის ხმარებაში აღმოჩნდება, მაგრამ თუ საზოგადოდ გეგმა და ძირითადი მეთოდები მაინც წინდაწინვე არა აქვს გათვალისწინებული ავტორს, გამოვა სახიფათო ექსპერიმენტი, რომელმაც შეიძლება სულ დაამახინჯოს ნორჩი ბავშვის სული და გონება, ვიდრე გამოირკვეოდეს წიგნის უვარგისობა. ყოველი სახელმძღვანელო უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად აშენებული იმ ცოდნაზე, რომელიც ბავშვს უკვე შეუთვისებია და ის შემოკლებული მრავალი მასალა, რომელიც ამა თუ იმ დარგის მეცნიერებას შეუგროვებია, უნდა იყოს სრულიად კონკრეტულად აღწერილი, რასაკვირველია, მასალის სიძნელის მხრივ სათანადოდ გეგმაზე დაწყობილ – დალაგებით. მოკლე და ზოგადი ცოდნა და კონკრეტიზაცია ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო და ორივე აუცილებელი მიზანი ყოველი სახელმძღვანელოს უპირველეს სიძნელეს შეადგენს და ამასთან უპირველეს საჭიროებას" (81, გვ.3).

აღსანიშნავია, რომ სასკოლო პროგრამაში ამ კურსის ფართოდ შეტანას იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს. იგი წერდა: „პირველყოფილი კულტურის ისტორია ამ მხრივ მიმდინარე სასწავლო წლიდან განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს, ვინაიდან განათლების სამინისტროს ახალ პროგრამაში მეტად ფართე, და ამასთან საჭირო კურსია შეტანილი. გარდა ნივთიერი ნაშთისა, რომელსაც იქამდე სწავლობდნენ ბავშვები, ერთი წლის განმავლობაში და ისიც პირველ კლასში. ბავშვმა უნდა შეითვისოს აგრეთვე პირველყოფილი ადამიანის საზოგადოებრივი და სულიერი განვითარების ისტორია" (81, გვ.4). გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ გიმნაზიის პირველი კურსი შეესატყვისებოდა ჩვენს მეოთხე კლასს. ეს არის რთული პრობლემა. ისტორიის სწავლების პროპედევტიული კურსის შეტანა 3-4 კლასში და ისიც მშობლიური ისტორიის საფუძველზე, დღესაც არ გვაქვს გადაწყვეტილი და, როგორც ჩანს, ეს საკითხი დამოუკიდებელ საქართველოში საკმაოდ წარმატებით ყოფილა გადაჭრილი. დაწყებით კლასში პირველყოფილი კულტურის შეტანა მოითხოვდა სახელმძღვანელოს ავტორისაგან, ყოფილიყო არა მარტო კარგი მეცნიერი არამედ ჩინებული პედაგოგი.

სახელმძღვანელოს შესავალში გრ. ნათაძე უპირველეს ყოვლისა დიდ ყურადღებას უთმობს საკითხს თუ როგორ უნდა აწარმოოს მასწავლებელმა მოსწავლეებთან მუშაობა. მისასალმებელი უნდა იყოს რომ, იგი ორივე მხარეს ფართო თავისუფლებას ანიჭებდა და შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ის კითხვები და სავარჯიშოები, რომელიც მოთავსებულია სახელმძღვანელოში ყოველი საკითხის გარჩევის შემდეგ. ავტორის შეხედულებით „მასწავლებელს ეძლევა ფართე საშუალება ყოველი შემთხვევით ისარგებლოს და ამგვარი სამუშაო ხშირად მისცეს ბავშვს. მაშინ დარწმუნებული ვარ, მოსწავლეები სრულიად შეუმჩნეველად შეითვისებენ მასალას და ხალისითაც იმეცადინებენ" (81, გვ.4). ყველაფერი ეს, ცხადია, იმისკენაა მიმართული, რომ ბავშვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი გამოუმუშავოს. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს კარგი ტრადიცია ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში გაწყდა და დღეს ხდება მისი აღდგენა, თვისებრივი განვითარება (67; 43; 44; 5;13).

ამ საგნის შესწავლის საქმეში დიდი დატვირთვა ენიჭება ექსკურსიებს, რომლის მთავარი ინიციატორი, რა თქმა უნდა, მასწავლებელია. ექსკურსიების გარეშე აღნიშნული საგნის შესწავლა გრ. ნათაძეს ვერ წარმოუდგენია (81, გვ. 4).

გრ. ნათაძეს მიაჩნია, რომ „კურსის დაწყება საჭიროა იმით, რაც უფრო ახლოა ბავშვთან და თვალსაჩინოა მისთვის, რაც მას გარს ახვევია" (81, გვ.5). ავტორის შეხედულებით „ასეთი ბავშვისათვის უნდა იყოს ოჯახი და

ის იარაღები, თუ ჭურჭელი, რომელსაც მის ოჯახში ხმარობენ ამიტომ ისტორიის სახელმძღვანელო უნდა დაიწყოს თანამედროვე ცხოვრებით, მერე განვითარების სხვადასხვა საფეხური აღინიშნოს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ცხოვრების მიხედვით, კერძოდ ადამიანის განვითარებაც როგორც ბუნებრივი მოვლენა და შემდეგ როდესაც ამნაირად ბავშვს გონებაში აქვს ჩასახული ცნება განვითარებისა, მას შეუძლია პირველყოფილი ადამიანის შესწავლა. შესწავლის პროცესში ის (ე.ი. ბავშვი - მ.კ.) განვითარების პროცესს უფრო კარგად შეითვისებს და მცნება „ისტორია" თავისთავად შემზადდება მის გონებაში. აგრეთვე სხვა საჭირო სიტყვები, რომელთა რიცხვიც არ უნდა იყოს ჭარბი, რომ ბავშვის გულისყური მის შესწავლასა და გაზეპირებას არ მოუნდეს" (81, გვ.5).

დაბოლოს, იგი ხაზს უსვამს პირველყოფილი კულტურის დაკავშირებას თანადროულობასთან, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საკითხი შეეხება რელიგიას. მისი შეხედულებით „ამან უნდა ამბავი გააცხოველოს, ბავშვს საგნისადმი ინტერესი განუვითაროს შეიტანოს სწავლაში ოვიიშემოქმედება სხვადასხვა ზეპირგადმოცემების და ზღაპრების შეკრების სახით, იმ შემთხვევაში თუ ეს რიგიანად არის შესრულებული" (81, გვ.7).

ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს პროფ. ალ. ნამორაძის მეტად ფრთხილი ვარაუდი რომ გრ. ნათაძის ნაშრომი „თუ არ ვცდები პირველი სახელმძღვანელო იყო ქართულ ენაზე ამ დარგში, განკუთვნილი საშუალო სკოლის პირველი კლასელებისათვის" (517; გვ. 372). ეტყობა, ღვაწლმოსილ მეცნიერს რაღაცნაირად მხედველობიდან გამორჩა პროფ. დიმიტრი უზნაძის შრომები, რომელიც უფრო ადრე გამოვიდა და ამ დარგში პირველ სახელმძღვანელოდ სწორედ ეს წიგნები უნდა მივიჩნიოთ (115; 114).

აღსანიშნავია, რომ პროფ. დიმიტრი უზნაძე ღრმად იყო ჩახედული ისტორიის საკითხებში და საინტერესო სახელმძღვანელოები შექმნა მსოფლიო ისტორიაში. სამწუხაროდ უნდა ითქვას რომ მისი წვლილი ამ მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურაში შეუსწავლელია და ელის თავის მკვლევარს.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ რევოლუციამდელი ქართული საზოგადოება პირველყოფილი კულტურისადმი გარკვეულ დაინტერესებას იჩენდა, რაც პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ ამ ხანებში სასკოლო სახელმძღვანელოებთან ერთად ითარგმნა ზოგიერთი საინტერესო ნაშრომი. ჯერ იყო და 1905 წელს სპ. ჭელიძემ თარგმნა ცნობილი რუსი ისტორიკოსის მაქსიმ კოვალევსკის წიგნი „ოჯახისა და კერძო საკუთრების წარმოშობა-განვითარება" (56) რომელიც, როგორც მეცნიერები ფიქრობდნენ, რუსული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევაა (92; გვ.51). ხოლო 1920 წელს კი ის. კვიცარიძემ თარგმნა დ. კუდრიავსკის ნაშრომი „როგორ ცხოვრობდნენ ძველი ადამიანები" (58). შემდგომში ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების შედეგად ეს ინტერესი ერთგვარად შენელდა. მეცნიერებაში ფართოდ იკიდებს ფეხს უნიფიკაციის პროცესი და ქართული ისტორიოგრაფია იძულებულია მხოლოდ თარგმნილი ლიტერატურის პუბლიკაციით შემოიფარგლოს (92; 57).

შეიძლება ითქვას, რომ გრ. ნათაძე პირველყოფილი კულტურის ისტორიაში საკმაოდ ჩახედულია და წინამდებარე ნაშრომი, ვფიქრობთ, კიდევ ერთი საუკეთესო საბუთია მისი ფართო განათლებისა და ღრმა ერუდიციის. ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი გრ. ნათაძის სახელმძღვანელოს წარმატებას, უპირველეს ყოვლისა იყო მისი მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება და მასში გათვალისწინებულია ამ დარგში ისტორიული მეცნიერების უახლესი მიღწევები (393; 394).

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საინტერესოა თუ რამდენად შეძლო გრ. ნათაძემ ამ სახელმძღვანელოში თავისი ჩანაფიქრის რეალიზაცია და რამდენად მოახერხა მან თავისი დიდი ერუდიციის გადაცემა ბავშვებისათვის? უნდა ითქვას, რომ ამ ორ სირთულეს გრ. ნათაძემ წარმატებით გაართვა თავი. მან დაწერა პირველყოფილი კულტურის საინტერესო სახელმძღვანელო დ თავისი უზარმაზარი ცოდნა ბავშვებს მიაწოდა უაღრესად სადად, მარტივად, გასაგები ენით.

შექმნილ სახელმძღვანელოზე შენიშვნების მიცემა ყველას შეუძლია, მიუხედავად იმისა თუ ვინ უფრო ახლოსაა ჰეშმარიტებასთან ავტორი თუ რეცენზენტი, მაგრამ ამჯერად საკითხის ეს მხარე ჩვენ არ გვაინტერესებს. ეს იყო თავის დროისათვის ძალიან კარგად დაწერილი სახელმძღვანელო და ძველ მსოფლიო ისტორიაში გრ. ნათაძეს მეტი არაფერი რომ არ დაეწერა ესეც საკმარისი იყო რათა ის შესულიყო საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდის ისტორიაში.

შესაძლოა, სახელმძღვანელოში ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა მოძველებული ჩანდეს. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ ხნის მანძილზე აღნიშნული დარგი გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. (286; 531).

ამრიგად, ჩვენი აზრით, გრ. ნათაძემ წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ საქმეს და შექმნა საინტერესო სკოლის სახელმძღვანელო პირველყოფილ კულტურაში, რაც იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი წარმატებაა.

* * *

მეორე სერიოზული საკითხი, რომლის შესწავლას მოჰკიდა ხელი გრ. ნათაძემ ძველ მსოფლიო ისტორიაში საბერძნეთის ისტორია იყო. მისი ყურადღების ცენტრში მოექცა ანტიკური ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთი, უძველესი საბერძნეთის ისტორია ქრისტეს შობამდე მე-7 საუკუნეში. ამ პრობლემას მან მიუძღვნა შემდგომი გამოკვლევები: „გლეხთა გადასახადები საბერძნეთში"; „ვალი და გირაო როგორც გლეხთა დამონავების საფუძველი"; „მსხვილი მიწისმფლობელობ

უძველეს საბერძნეთში"; „ჰექტემორები უძველეს საბერძნეთში"; „გვაროვნული წყობილება და მისი გავლენა საბერძნეთის ისტორიის პირველ ნახევარზე"; „კილონის აჯანყება"; „უძველესი საბერძნეთის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა როგორც კილონის აჯანყების საფუძველი".; „ჰექტემორების საკითხი და კილონის აჯანყების საკითხი". ეს უკანასკნელი ნაშრომი პასუხია სიმონ ყაუხჩიშვილის რეცენზიაზე და ცოტათი განცალკევებით დგას (513), დანარჩენი შვიდი ნაშრომი კი ქმნის ძველ ისტორიაში გრ. ნათაძის მთავარი გამოკვლევის ძირითად ბირთვს, რომელიც მან 1924 წელს დაიცვა როგორც სადოქტორო დისერტაცია „უძველესი საბერძნეთის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, როგორც კილონის აჯანყების საფუძველი" ეს რვა ნაშრომი როგორც სამეცნიერო სტატია საგულისხმოა, მაგრამ რამდენად იყო გამართლებული მათი გაერთიანება და საპაექროდ გატანა, როგორც სადოქტორო დისერტაციისა, ძნელი სათქმელია.

გრ. ნათაძის გამოკვლევები, უპირველეს ყოვლისა იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ ქართულ სინამდვილეში საბერძნეთის უძველესი ისტორიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი პირველი ცდაა, ამიტომ ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ გრ. ნათაძე, ალ. წერეთელი და დიმ. უზნაძესთან ერთად ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველი საბერძნეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში გრ. ნათაძის მოღვაწეობის ყველაზე უფრო ნაყოფიერი პერიოდი 20-იანი წლების პირველი ნახევარია, როდესაც ძირითადად გამოქვეყნდა მისი შრომები ძველი საბერძნეთის ისტორიაში. შემდეგ იგი უკვე მედიევისტიკის და ახალი ისტორიის პრობლემებზე გადაერთო და ძველ ისტორიაში მუშაობა უმთავრესად ალ. წერეთელმა გააგრძელა (460; 527).

გრ. ნათაძის ამ შრომების მეცნიერულ ღირებულებას ბევრად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ეს გამოკვლევები დაწერილია დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ჯერ კიდევ შემორჩენილია თავისუფალი აზროვნების საშუალება. ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხები ჯერ არ იგრძნობა ისე მკაცრად და ერთი ბოლშევიკური იდეოლოგიის მონოპოლია ჯერ არ დამყარებულა. სამი კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე 1956 წლის 24 მაისს, რომელიც მიეძღვნა გრ. ნათაძის გარდაცვალების ხუთი წლისთავს, ეხებოდა რა ძველი ისტორიის შესწავლის საქმეში გრ. ნათაძის წვლილს ანტიკური ისტორიის კათედრის გამგე პროფ. მ. ალექსიშვილი აღნიშნავდა: „პროფ. გრ. ნათაძის პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობის დახასიათებისას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ჩვენში ძველი თაობის ისტორიკოსთაგან იგი ყველაზე პირველად და ყველაზე მტკიცედ დადგა მარქსიზმის მსოფლმხედველობის ნიადაგზე. რა თქმა უნდა, აქ მას ჰქონდა და არც შეიძლება არ ჰქონოდა ზოგიერთი ზიგზაგი და მარქსიზმისაგან დაცილების წერტილები, მაგრამ აქ მაინც მთავარი ის გარემოებაა, რომ მარქსიზმის მსოფლმხედველობაზე მისი ეს დადგომა იყო გულწრფელი, გამომდინარე საგანთა ლოგიკის მისი გაგებიდან და ამიტომ ნაკარნახევი მისი საკუთარი სინდისით, რაც მტკიცდება მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლით. მისი მისვლა მარქსიზმთან იყო გულწრფელი და ნაყოფიერი" (517; გვ. 357). რამდენად გულწრფელი იყო ამ შემთხვევაში თვითონ მათე ალექსიშვილი ძნელი სათქმელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დებულება უმთავრესად წინ იქნა წამოწეული კონიუნქტურული მოსაზრებებით, ცენზურის თვალის ასვევის მიზნით. რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძე იძულებული იყო გაეზიარებინა ეს მოსაზრება. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ძველი საბერძნეთის ისტორიაზე გრ. ნათაძის შრომებში მარქსიზმის კვალს ვერსად ვიპოვით. ამ თვალსაზრისით, უთუოდ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს ის, რომ კ. მარქსი და ფრ.ენგელსი ნაშრომში არსად არაა მოხსენიებული. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ რომ გრ. ნათაძის ეს შრომები უწინარეს ყოვლისა, დაწერილია არა მარქსისტული იდეოლოგიის პოზიციებიდან, არამედ ევროპული და რუსული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით და უმთავრესად თავისუფალ აზროვნებაზე ორიენტირებული, რაც, უდავოდ, ნაშრომის ერთ-ერთი სერიოზული ღირსებაა.

პირველ რიგში ხაზი უნდა გავუსვათ გრ. ნათაძის შრომის მაღალ პროფესიულ დონეს, რაც უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ ზედმიწევნით ფლობდა რა ძველ ბერძნულ ენას იგი ძალიან კარგად იცნობდა აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ პირველწყაროებს, რაც მის გამოკვლევას, ცხადია, სოლიდურ ფუნდამენტს უქმნის.

გრ. ნათაძის შრომის მეორე სერიოზული ღირსებაა საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა და ღრმა გაგება. გრ. ნათაძე ძალიან კარგად იცნობს ამ თემის ირგვლივ არსებულ საზღვარგარეთელი ისტორიკოსების გამოკვლევებს და რუსი მეცნიერების შრომებს. ამიტომ არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ გრ. ნათაძემ არსებითად გაითვალისწინა მისი თანადროული ისტორიოგრაფიის ყველა მიღწევა. გრ. ნათაძის მიდგომა საკითხისადმი წმინდა პროფესიულია. იგი ორიგინალში ამუშავებს პირველწყაროებს და აქედან საკუთარი დასკვნები გამოაქვს, რის შემდეგაც იგი ეკამათება ისტორიკოსთა ერთ ჯგუფს და ემხრობა მკვლევართა მეორე ნაწილს. ცდილობს ახალი არგუმენტებით გაამაგროს მათი პოზიცია. გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს სადავო საკითხების ირგვლივ. გრ. ნათაძის ნაშრომის ისტორიოგრაფიული ასპექტი, უთუოდ, საინტერესოა და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. რაც უწინარეს ყოვლისა, იმ კეთილისმყოფელი გავლენის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც რუსულ ისტორიოგრაფიაში საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა ისტორიკოსმა ვ.ბუზესკულმა (171).

როგორც ჩანს, გრ. ნათაძეს თავისი სადოქტორო დისერტაციის გამოცემა ვერ მოუხერხებია და თავის

გამოქვეყნებული შრომები წიგნად აუკინძავს. თავის მონოგრაფიაში მან გამოქვეყნებულ შრომებს დაუმატა შესავალი, „ოიკოსური მეურნეობა და სოციალური ურთიერთობა უძველეს საბერძნეთში", „სასოფლო და საქალაქო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობა უძველეს საბერძნეთში" დამატება და დასკვნები. სტატიები ზემოთ ჩამოვთვალეთ იმ თანამიმდევრობის მიხედვით, როგორც ისინი გამოაქვეყნა გრ. ნათაძემ. დისერტაციაში ისინი შინაარსობრივი სტრუქტურების მიხედვით დაალაგა. საბოლოოდ დისერტაციის არქიტექტონიკამ ასეთი სახე მიიღო: წინასიტყვაობა; ოიკოსური მეურნეობა და სოციალური ურთიერთობა უძველეს საბერძნეთში, სასოფლო და საქალაქო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობა უძველეს საბერძნეთში, ჰექტემორები უძველეს საბერძნეთში, ჰექტემორების ვინაობა არისტოტელეს განსაზღვრით, გლეხთა გადასახადი უძველეს საბერძნეთში, ვალი და გირაო, როგორც გლეხთა დამონავების საფუძველი, მსხვილი მიწათმოქმედება უძველეს საბერძნეთში, გეოგრაფიული წესწყობილება და მისი გავლენა საბერძნეთის ისტორიის პირველ ნახევარში, კილონის აჯანყება, დამატება და დასკვნები.

გრ. ნათაძის სადოქტორო დისერტაცია ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელუხლებელ ფონდში.

კვლავ ვიმეორებთ, რომ ამ ცალკეული საინტერესო სტატიების მონოგრაფიად შეკვრა და საპაექროდ გატანა როგორც სადოქტორო დისერტაციის, საკამათოდ მიგვაჩნია, რადგან ლოგიკური კავშირი სადისერტაციო ნაშრომის ცალკეულ კომპონენტებს შორის მოიკოჭლებს და რაც მთავარია იგი ცდილობს ახლებურად ახსნას მთელი რიგი პრობლემები, რომელთა პრაქტიკული გადაწყვეტა წყაროების სიმცირის გამო შეუძლებელია, ხოლო არსებული წყაროები, უნდა ვაღიაროთ, რომ მის წინამორბედ ისტორიკოსებს საკმაოდ დაწვრილებით აქვთ დამუშავებული და გაანალიზებული. ჰეშმარიტად ახალი ორიგინალური აზრის გამოთქმა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გრ. ნათაძე ახალ წყაროს შემოიტანდა მიმოქცევაში, მაგრამ ეს არათუ გრ. ნათაძემ ვერ შეძლო, არამედ შემდგომი 70 წლის მანძილზე ისტორიულ მეცნიერებას ახალი არაფერი აღმოუჩენია.

ცნობილია, რომ გრ. ნათაძის სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტები იყვნენ პროფ. ივ. ჯავახიშვილი და პროფ. მ. პოლიევქტოვი, მაგრამ მათი რეცენზიები აღარ შემოგვრჩა, თუმცა ერთი კი ცხადია რომ გრ. ნათაძის ნაშრომს ორივე ოპონენტი დადებით შეფასებას აძლევდა. ოფიციალური ოპონენტების რეცენზიების უქონლობას, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად ავსებს აღნიშნული ეპოქის ისეთი კომპეტენტური სპეციალისტის გამოხმაურება, როგორიცაა ბ-ნ სიმონ ყაუხჩიშვილი, რომლის პატარა, მაგრამ, ჩვენი აზრით, საგულისხმო რეცენზია დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ „ჩვენს მეცნიერებაში" მისი ღირსება ისაა, რომ პროფესიულად გაგვაცნობს საქმის ვითარებას და კარგად დაგვანახებს გრ. ნათაძის ნაშრომის ავკარგიანობას. უნდა ვიფიქროთ, რომ სიმონ ყაუხჩიშვილი კიდევ უფრო აკონკრეტებს ოფიციალური ოპონენტების და უპირველეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილის ნათქვამს. პირველ რიგში ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ სავსებით ვეთანხმებით იმ დადებით შეფასებას, რომელსაც გრ. ნათაძის ნაშრომს აძლევს ყაუხჩიშვილი. „გულახდილად უნდა ვაღიაროთ, უაღრესად მადლობის ღირსია ავტორი რომელიც თავისი შრომით უდიდეს სამსახურს უწევს ქართულ მეცნიერებას და თავის გამოკვლევაში ეხება ისეთ საკითხს, რომლის განხილვით მას შეჰყავს ქართული მეცნიერება საერთაშორისო ოჯახში.

აღნიშნულ საკითხს კილონის აჯანყებას - ეხება საბერძნეთის ისტორიის ყველა სპეციალისტი. გერმანელები: ბელოხი, ედუარდ მაიერი, რობერტ პელმანი, კარლ ბუზოლტი, იტალიელი დე სანქტისი, რუსები: ვ. ბუზესკული, რ. ვიპერი, მ. ხვოსტოვი და სხვანი. ყველა ესენი სათანადოდ იხილავენ კილონის აჯანყების საკითხს. ყოველი მათგანი თავისებურ ახსნა-განმარტებას აძლევს იმ წყაროებს რომელიც კი აღნიშნულ საკითხს ეხება და უახლოვდება საკითხის გადაჭრას.

გრ. ნათაძეს თავისი წვლილი შეაქვს ამ საკითხის ისტორიაში და სწორედ ამით არის მნიშვნელოვანი მისი გამოკვლევა" (526 ბ, გვ. 137).

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წარმოიქრება საკითხი თუ რატომ მოჰკიდა ხელი მაინცდამაინც ამ თემას: რით იყო აქტუალური ეს პრობლემა? „კილონის აჯანყება როგორც შედეგი განსაზღვრული ეკონომიკური და სოციალური პირობებისა, რომელიც არსებობდა საბერძნეთში მე-7 საუკუნეში, დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. არ არის არც ერთი წიგნი, რომელიც შეიცავს ამ ხანის აღწერას, რომ გაკვრით მაინც არ იყოს აღნიშნული ეს კავშირი მაშინდელი ცხოვრების ორ სხვადასხვა მხარეს შორის, მაგრამ სპეციალურად ამ საკითხებზე არავინ შეჩერებულა. ალბათ, იმიტომ, რომ წყაროების მეტისმეტი სიმცირე არ აძლევს მკვლევარს საშუალებას სათანადოდ გაშალოს ფრთა და თავისუფლად და გაბედულად მოუსვას კალამი ქაღალდს. მით უმეტეს ძნელია ამაზე რისამე წერა თბილისის პირობებში, სადაც, რასაკვირველია ყველა წყარო არ მოიპოვება. ამიტომ ამ თხელი წიგნის წერას რამდენიმე წელიწადი დასჭირდა, რომ თანდათან თითო თითოდ მეშოვა და მომეგროვებინა ის წყაროებიც, რომელსაც თავი მოუყარე ამ გამოკვლევის დასამთავრებლად" (511; გვ.1). უნდა ითქვას, რომ ამგვარი პრობლემა ჩვეულებრივია უძველესი და ძველი ისტორიის მკვლევრებისათვის და ამ მხრივ გრ. ნათაძე, რა თქმა უნდა, არ იყო გამონაკლისი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსები შარლ ლანგლუა და შარლ სენიობოსი თავიანთ წიგნში „ისტორიული მეცნიერების შესავალი" წერდნენ: „ფულისტკივილს იწვევს ის, თუ როგორ ებრძოდნენ ძველი ისტორიკოსები მამაცურად მაგრამ ამაოდ, იმ სიძნელე-

ებს, რომლებიც სრულიადაც არ წამოიჭრებოდნენ მათ უფრო ვრცელი ისტორიული მასალა რომ ჰქონოდათ ხელთ. თვით შესანიშნავი შორსმჭვრეტელობაც კი ვერ შეცვლიდა ნივთიერ საბუთთა ნაკლებობას" (283, გვ.14).

გრ. ნათაძის ზემოთმოყვანილ მსჯელობაში გვხვდება ერთი პატარა ლაფსუსი, რომელიც უმალ გეცემა თვალში. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მისი მსჯელობა „მაშინდელი ცხოვრების ორ მხარეს შორის მეტად ზოგადია, ბუნდოვანი ჩანს და კონკრეტულობა აკლია". დასაწყისში ცხადია მკითხველმა არ იცის მაშინდელი ცხოვრების რომელ ორ მხარეს გულისხმობს პატივცემული მკვლევარი. ამიტომ მიგვაჩნია რომ სასურველი იყო ავტორს წიგნის დასაწყისშივე ნათლად მკაფიოდ გაესვა ხაზი თუ რომელი ორი მხარე აქვს მხედველობაში მას - ერთი მხრივ ეს არის ოიკოსური მეურნეობა მეორე მხრივ მრეწველობის ჩასახვა. მართალია ცოტათი ქვემოთ გრ. ნათაძე ფრჩხილებს ხსნის, რაც ადრე უნდა გაეკეთებინა და აღნიშნავს „საქმე ის არის რომ კილონის აჯანყება მის თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ პირობებთან შედარებით გასაგებია მხოლოდ მაშინ, თუ პროცესი საბერძნეთის მეურნეობის განვითარებისა წარმოვიდგინეთ როგორც ოიკოსური მეურნეობის ორგანიზაციის განვითარება. თუ მრეწველობის განვითარების განხილვის დროს ჩვენ ჩამოვაშორებთ ერთმანეთს მე-8-ე და მე-6-ე საუკუნეები. რასაც ბევრი მეცნიერი არ შვრება და ამ ორ ხანას ერთ ფარგლებში აქცევს,. ამით კი იქმნება ადვილი შესაძლებლობა პოლიტიკური მოვლენების იმ სისტემასთან დაკავშირება, რომლის დასაწყისიც მართალია მე-7 საუკუნეშია, მაგრამ რომლის განვითარება და გავლენა მე-6-ე საუკუნეშიც კი ჯერ საკმაოდ საგრძნობელი არ იყო. აქედან წარმოსდგება მრავალი შეცდომა ცნობილ მეცნიერებთანაც კი" (511, გვ.1).

აღნიშნულ ეპოქაზე გრ. ნათაძის მსჯელობა ცოტა ბუნდოვანი ჩანს და წინააღმდეგობას მოკლებული არ უნდა იყოს. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება თითქოს გრ. ნათაძე ამ ეპოქას გარდამავალ ხანად აღიქვამდეს, რაც გავრცელებული იყო იმ პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში (173. 190) მაგრამ შემდგომში საბჭოთა ისტორიოგრაფიამ უარი თქვა ამ მოსაზრებაზე (249). ამ თვალსაზრისით გამონაკლისია პროფ. ალ. წერეთლის ნაშრომი „ძველი საბერძნეთი", სადაც ეს პერიოდი განიხილება როგორც გარდამავალი ხანა (132). გრ. ნათაძე არ უარყოფს, რომ აღნიშნული ეპოქის საბერძნეთის ეკონომიკაში მიმდინარეობს ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მაგრამ უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ეს ძვრები უძველესი ისტორიის ფარგლებს არ სცილდება; მას მიაჩნია, რომ მე-7 საუკუნეში არაა ოიკოსური მეურნეობის რღვევის პროცესი. არამედ მისი განვითარება გრძელდება.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკითხის შესახებ, რომელიც მეტად მწვავედ დგას გრ. ნათაძის წინაშე და რომელსაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და არა ნაკლებ მწვავედ იდგა ამ სტრიქონების ავტორის წინაშეც. ძალიან კარგად გვესმის გრ. ნათაძის გულისტკივილი, რომ აღნიშნული პრობლემის კვლევა ევროპისაგან მოწყვეტით, იზოლირებულად მეტად ძნელია (511; გვ.2). ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ეს საქმე გამოსწორდება და მსოფლიო ისტორიის ქართველ მკვლევართა ახალ თაობას ამგვარი სიძნელეები წინ აღარ გადაეღობება.

ნაშრომის პირველი თავი „ოიკოსური მეურნეობა და სოციალური ურთიერთობები უძველეს საბერძნეთში" უმთავრესად მაინც ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და მისი ყურადღების ცენტრშია დავა ორ გამოჩენილ გერმანელ ისტორიკოსს კარლ ბიუხერსა და ედუარდ მაიერს შორის.

1893 წელს გამოვიდა ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორის კარლ ბიუხერის წიგნი „სახალხო მეურნეობის წარმოშობა" (176) რომელმაც ორიგინალური იდეებით უმალ მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება და ამ საინტერესო გამოკვლევის ირგვლივ მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ცხარე დისკუსია გაიშალა. ამიტომ ამ პრობლემით გრ. ნათაძის დაინტერესება სავსებით კანონზომიერია. ცხადია. მისასალმებელია რომ ქართული ისტორიოგრაფია ამ დისკუსიაში გვერდზე არ დადგა და შეეცადა შეძლებისდაგვარად გაეშუქებინა იგი. პირველ რიგში ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ამ საკითხის წარმოჩენას გარდა წმინდა მეცნიერული ღირებულებისა დიდი შემეცნებითი დატვირთვა ენიჭებოდა. ფაქტობრივად ეს არის ქართული ისტორიოგრაფიაში ამ რიგი თემის წარმოჩენის პირველი სერიოზული მცდელობა. სხვათა შორის, ეს მომენტი არც გრ. ნათაძეს გამოპარვია მხედველობიდან. „აქედან ცხადია. რომ მე იძულებული ვარ შეკჩერდე ამ საკითხებზე. მით უმეტეს რომ ქართველი მკითხველისათვის სულ მთლიანად ცნობილი არ არის ეს: ვინაიდან ამის შესახებ ლიტერატურა არ არსებობს. იმ იმედით. რომ ის მკითხველი და კრიტიკოსი ვისთვისაც ეს საკითხები ახალს არ წარმოადგენს ყურადღებას მიაპყრობს უმთავრესად იმ საკითხებს, რომლებიც ჩემს მიერ ახლად არის წამოყენებული ან ახალი გზით და საშუალებით გამოკვლეული" (511; გვ.2). რა თქმა უნდა, მისასალმებელია კარლ ბიუხერის თეორიისადმი გრ. ნათაძის რეალისტური დამოკიდებულება. იგი არ ისწრაფვის გერმანელი ისტორიკოსის კონცეფციის სუსტი მხარეების გაზვიადებას, რაც სხვათა შორის ფრიად ნიშანდობლივი იყო მისი თანამედროვე ზოგიერთი მეცნიერისათვის (399; გვ. 148,151) და განსაკუთრებით ფართოდ მოიკიდა ფეხი შემდგომი პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (215; გვ. 120). გრ. ნათაძე აღნიშნავს რომ „ოიკოსური მეურნეობა ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სრულიად კარდახშულ ორგანიზაციის მქონე, რომელიც ერთ წერტილზეა გაჩერებული და არავითარი ელასტიკობა და განვითარების უნარი არა აქვს, რის გამოც განვითარების პირველ ნაბიჯიდანვე უნდა დაირღვეს და ორგანიზაციამ სულ ახალი სახე უნდა მიიღოს. თვით ბიუხერს ეს ასე არა აქვს" (511, გვ. 2) ნათაძე თავისი წინამორბედი ზოგიერთი ევროპელი ისტორიკოსისაგან განსხვავებით ოიკოსურ

მეურნეობას არ განიხილავს როგორც ერთ წერტილზე გაყინულს, უძრავს, სტატიკურს და ცდილობს მასში დაინახოს დინამიურობა, განვითარების პროცესი. „უძველესი ისტორიის მკვლევართ ხშირად ავიწყდებათ, რომ თვით ოიკოსური ორგანიზაცია არ არის უცვლელი და ერთ წერტილზე გაყინული მოვლენა. მასაც ჰქონდა თავისი განვითარების ისტორია წარმოების ტექნიკისა და ორგანიზაციის პროცესში. ისე, რომ ოიკოსი ბერძნების ბალკანების ნახევარკუნძულზე ახლად დასახლების ხანაში და ოიკოსი შემდგომი დროისა როდესაც წოდებრივი დანაწილება შორსაა წასული, ერთი და იგივე არ არის. პირველ ხანში იგი თავსდება სისხლით ნათესაობით შეკავშირებულ ჯგუფში - ოჯახში ან გვარში. მეორე ხანაში კი წარმოადგენს უფრო რთულ ორგანიზაციას რომელშიც შედის, არა მარტო სისხლის ნათესაობით დაკავშირებული ხალხი, არამედ მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე შეკავშირებულნიც" (511: გვ.2).

კარლ ბიუხერის მთავარი ოპონენტის როლში მეორე გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი მოგვევლინა. „ისინი საბერძნეთის ეკონომიური განვითარების პროცესის საკითხში ორ სრულიად მოწინააღმდეგე თვალსაზრისზე დგანან" (511, გვ.2) აღნიშნავს გრ. ნათაძე. მან. ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს კარგად დაანახა ის პრინციპული განსხვავება რომელიც იყო ამ ორი გამოჩენილი ისტორიკოსის შეხედულებებს შორის. თუ ბიუხერი ფიქრობდა, რომ ანტიკური მეურნეობა არასოდეს ამ ფორმას (ოიკოსურ მეურნეობას) არ გასცილებია. მისი ოპონენტი კი პირიქით ამტკიცებდა, რომ ანტიკური ისტორიის ბოლოს კაპიტალისტური ფორმები არსებობდა (318). ეს გრ. ნათაძის მსჯელობის ღირებული მხარეა, რომელსაც თავისი შემეცნებითი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს რთული პრობლემა უფრო კრიტიკულად განიხილა მან თავის მეორე ნაშრომში „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია" იგი შეეცადა ხაზი გაესვა ანტიკური ეკონომიკის შეფასების საკითხში ისტორიოგრაფიაში არსებული ორი მთავარი მიმართულების ნიშანდობლივი უკიდურესობისათვის. იგი წერდა: „რომის კაპიტალიზმს არ დაერქმის კაპიტალიზმი, ვინაიდან ერთი ცხადზე უცხადესია, რომ რომის წარმოება ვერ აძლევდა სამუშაოს იტალიის პროლეტარიატს... ამ მხრივ კ. ბიუხერი უეჭველად მართალია და მისი შენიშვნაც მეურნეობის კარჩაკეტილობის შესახებ არსებითად სწორია, თუმცა გაზვიადებულად უნდა ჩაითვალოსო (76; გვ.14). მაგრამ ასეთი ზოგადი დეკლამაციური განცხადება საკმარისი არ უნდა იყოს და აქ ვფიქრობთ, გრ. ნათაძეს ხაზგასმით უნდა ეთქვა თუ რა ესახება კ. ბიუხერის თეორიაში გაზვიადებულად. ამიტომ კ. ბიუხერის შეხედულებების კრიტიკა ზოგად ხასიათს ატარებს და არადამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია. ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ გრ. ნათაძე კ. ბიუხერის თეორიის მიმდევარი იყოს. ამ რთულ საკითხში გრ. ნათაძე ეტყობა, მაინც ედ. მაიერის თვალსაზრისისაკენ უფრო უნდა იხრებოდეს და ძალზე ფრთხილად აღიარებს ძველ აღმოსავლეთში და განსაკუთრებით რომში თავისებური კაპიტალიზმის არსებობას (83. გვ 13). რის გამოც გრ. ნათაძე სრულიად უსამართლოდ, მიწასთან გაასწორეს 1936 წლის დისკუსიის დროს. სავსებით ვეთანხმებით გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ვ. ბუზესკულის მოსაზრებას, რომელიც აჯამებდა, ამ ორ გერმანელ ისტორიკოსს შორის დისკუსიის შედეგებს დასძენდა: „ერთნი იზიარებენ კარლ ბიუხერის თვალსაზრისს, მეორენი და ახლა ისინი უმრავლესობას შეადგენენ, ედ. მაიერის მხარეს დგებიან. უახლესი აღმოჩენები, განსაკუთრებით პაპირუსების გაშიფვრა იძლევა ახალ მდიდარ მასალას ამ საკითხის გადასაწყვეტად და ედ. მაიერის თვალსაზრისს უფრო ადასტურებს" (171: გვ. 504).

კონკრეტულად ამ საკითხში ქრ. შ-მდე მე-7 საუკუნეში ძველი საბერძნეთის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ გრ. ნათაძე იზიარებს კარლ ბიუხერის თვალსაზრისს და ფიქრობს რომ ეკონომიკური ვითარება კვლავ ძველია და ატიკის ცხოვრებაში შეჭრილმა ფულმა ოიკოსი ჯერჯერობით ვერ დაარღვია, რაც საკამათოდ მიგვაჩნია. საფიქრელია რომ ამ შემთხვევაში ედ. მაიერი უფრო ახლოსაა ჰეშმარიტებასთან. ეს პერიოდი გარდამავალი ეპოქა უნდა ჩანდეს როდესაც, როგორც წყაროებიდან ვგებულობთ, იწყება ძველი ურთიერთობების რღვევის და ახლის ჩასახვის პროცესი. ამ დროისათვის ოიკოსის რღვევა დაწყებული უნდა იყოს.

შესაძლოა, კარლ ბიუხერი ოდნავ აკნინებდა ძველ საბერძნეთში ვაჭრობის, აღებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარებას, რის თაობაზეც მას საყვედურობდა ედ. მაიერი მაგრამ თავის მხრივ ეს უკანასკნელი მეორე უკიდურესობაში ვარდება და აჭარბებდა ძველ საბერძნეთსა და რომში აღებ-მიცემობის ვაჭრობის და მრეწველობის განვითარების მნიშვნელობას. ედ. მაიერი ფიქრობს, რომ ოიკოსი ძველ საბერძნეთში მე-7-6 საუკუნეებში დაიშალა ხოლო მე-5-6 საუკუნეებში ათენის ცხოვრება გამოკვეთილად კაპიტალისტურ ხასიათს ატარებდა.

კ. ბიუხერის და ედ. მაიერის შეხედულებებს შორის არსებულ მსგავსებაზე ლაპარაკი როგორც ამას გრ. ნათაძე აკეთებს გადაჭარბებულად მიგვაჩნია. განსხვავება პრინციპულია. მსგავსება ნიუანსებშია რომლის მნიშვნელობის გაზვიადება, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვასკვნით, რომ გრ. ნათაძის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას ჩვენი აზრით შეიძლება ცოტა მეცნიერული სიღრმე აკლდა, მაგრამ მას გააჩნდა დიდი შემეცნებითი ღირებულება და რაც მთავარია, ამ რთული ისტორიოგრაფიული პრობლემის განხილვას გრ. ნათაძე მეცნიერულად მიუდგა. სწორედ ამაში ვხედავთ გრ. ნათაძის ძირითად დამსახურებას.

მეორე თავი „სასოფლო და საქალაქო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობა უძველეს საბერძნეთში" წინა თავის შინაარსობრივ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ

და მის ყურადღების ცენტრში კვლავ დგას სოციალ-ეკონომიკური თემატიკა. იგი პროფესიული თვალსაზრისით სათანადო დონეზეა შესრულებული და უმთავრესად ემყარება საკითხის ირგვლივ არსებულ პირველწყაროებს და მდიდარ ლიტერატურას, რაც მის მსჯელობას სოლიდურ იერსახეს ანიჭებს. აქვე დავძენთ, რომ ამ მონაკვეთის ცალკე თავად გამოყოფა საკამათოდ მიგვაჩნია და ეს თემა შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო პირველ თავში სადაც საუბარია ოიკოსურ მეურნეობაზე. გრ. ნათაძე აღნიშნავს რომ ედ. მაიერი აქარბებს მე-7-6 საუკუნეებში უძველეს საბერძნეთში აღებ-მიცემობის და ვაჭრობის განვითარების შეფასებისას, რაც, გრ. ნათაძის აზრით, იმით იყო განპირობებული, რომ „იგი (ე.ი. მაიერი - მ.კ.) საბერძნეთის წვრილ სახელმწიფოებს უფრო ეხება, ვიდრე ატიკას. უფრო კოლონიებს, ვიდრე მეტროპოლიას. ვინაიდან კოლონიებში უფრო ადრე განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა, ვიდრე ნახევარკუნძულზე... ატიკაში კი ამ დროს სრულიად სხვა სურათს ვხედავთ. ამ მხრივ ერთმანეთში არევა საბერძნეთის სხვადასხვა სახელმწიფოებისა ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ისინი მეშვიდე საუკუნეში სულ სხვა პირობებში ცხოვრობდნენ და პოლიტიკური მოძრაობაც სულ სხვანაირი იყო". (76, გვ. 16). რამდენად დამაჯერებელია ედ. მაიერის პოზიციის ამგვარად ახსნა ძნელი სათქმელია. მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძის ნაშრომში მეტად სუსტად, მკრთალადაა ნაჩვენები ის ეკონომიკური „ბუმი", აღმავლობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უძველეს საბერძნეთში მე-7-6 საუკუნეებში, რაც შეიძლება იმითაც აიხსნება, რომ გრ. ნათაძე გვერდს უვლის ისეთ საინტერესო თემას, როგორიცაა ბერძნული კოლონიზაცია მე-8-6 საუკუნეებში, რომელმაც თავის მხრივ მძლავრი სტიმული მისცა ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებებს (61). ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემის თაობაზე ორიოდე სიტყვის თქმა ურიგო როდი იქნებოდა. ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა გრ. ნათაძე კარლ ბიუხერის მსგავსად ხომ არ აკნინებს 7-6 საუკუნეების საბერძნეთში ვაჭრობის და აღებ-მიცემობის განვითარების ფაქტს; იმის მტკიცება, რომ ყოველივე ამას ადგილი ჰქონდა გაცილებით უფრო გვიან მე-5 საუკუნეში არადამაჯერებლად გამოიყურება (76. გვ. 19) განა მე-5 საუკუნეში იმ პროცესების გაგრძელებას არა აქვს ადგილი რომლებმაც თავი იჩინეს წინა საუკუნეებში? ნუთუ ის ფუფუნება რომელზეც ლაპარაკობდნენ ედ. მაიერი, რ. ვიპერი, რ. პელმანი, კ. ბუზოლტი. ცარიელ ნიადაგზე აღმოცენდა? ვერ დავეთანხმებით გრ. ნათაძეს, როდესაც წერს: „ბიუხერის აზრით ანთიური ეკონომიკა არასოდეს ამ ფორმას არ გასცილებია, ხოლო მაიერის აზრით კი ანთიური ისტორიის ბოლოში კაპიტალისტური ფორმები არსებობდა.მაშასადამე საკითხი ის არის თუ როდის ირღვევა ოიკოსური ფორმა მეურნეობისა. მაიერის აზრით ეს ფორმა მეურნეობისა ირღვევა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების პირველი ნაბიჯებიდან, საქალაქო მეურნეობის დაწყებასთან ერთად. ე.ი. მე-7 საუკუნეში. მაშასადამე ორივე მოწინააღმდეგეთა აზრით მე-7 საუკუნეში ჯერ კიდევ ოიკოსური მეურნეობა არსებობდა" (511 გვ. 5). მთავარი ის არ იყო, რომ მე-7 საუკუნეში ოიკოსი ისევ არსებობდა, არამედ ის, რომ კ. ბიუხერი ფიქრობდა, რომ ოიკოსის დაშლის პროცესი დაწყებული არაა ხოლო მაიერის მიხედვით, რღვევის პროცესი უკვე დაწყებულია. აი ამის ხაზგასმა იყო საქირო. მით უმეტეს რომ გრ. ნათაძეს ეს საკითხი მხედველობიდან არ გამორჩენია.

ამ თავში ყურადღებას იპყრობს გრ. ნათაძის პოლემიკა გერმანელ ისტორიკოს რობერტ პელმანთან, რომელიც ქაროველი მკვლევარის შეხედულებით არ გამოყოფს უძველეს საბერძნეთის ისტორიაში ბერძენთა სხვადასხვა კატეგორიებს და მათ ერთ ჯგუფად განიხილავს (76; გვ.21).

თავის მსჯელობაში გრ. ნათაძე ძალიან მოუახლოვდა ერთ საინტერესო საკითხს, რომლის თაობაზე აზრის გამოთქმა, ვფიქრობთ ინტერესს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ საკითხს რატომღაც სიღრმისეულად, კონკრეტულად არ განიხილავს. რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობთ საბერძნეთის უძველესი ისტორიის პერიოდიზაციას. სად გადის მიჯნა საბერძნეთის უძველეს და ძველ ისტორიას შორის? ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად პირობით შეიძლება მივიჩნიოთ მე-6 საუკუნის დასაწყისში სოლონის კანონმდებლობა ქრ.შ-მდე 594 წელს, რომლის შემდეგაც საბერძნეთის ისტორიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალმა სიომ კიდევ უფრო ძალუმად დაბერა. ძველი გვაროვნული საზოგადოების დაშლის პროცესი დასრულდა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა სახელმწიფო (8; 8-16; 143; გვ. 185-188; 93; გვ. 137-175; 131). გამოვიქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ გრ. ნათაძეს, შესაძლოა სწორედ, სოლონის რეფორმები ესახებოდა მიჯნად საბერძნეთის უძველეს და ძველ ისტორიას შორის. ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ მიგვაჩნია მისი ერთი მსჯელობა, რომელიც მართალია პირდაპირი პერიოდიზაციის საკითხს არ ეხება, მაგრამ შეიძლება ამ თემაზე გარკვეული მინიშნებაა. „მე-7 საუკუნეში ჯერ კიდევ ოიკოსური მეურნეობა არსებობდა ყოველ შემთხვევაში ხალხის სულის განწყობილებაზე და სოციალურ ურთიერთობაზე ახლად დაწყებული პროცესი ჯერ ისეთ გავლენას ვერ მოახდენდა, რომ ახალ ნიადაგზე და ახალ მოძრაობაზე დაწყებულიყო. რეფორმების ხანა ხომ სოლონის დროს დაიწყო" (76, გვ.5). მეორე ადგილას იგი დასძენს: „რა მიზეზი იყო, რომ მე-7 საუკუნეში გვარებს ჯერ კიდევ დიდი ძალა ჰქონდათ, თუმცა მათმა ძლიერებამ შიგნიდან დაიწყო რყევა. ალბათ, მიზეზი იყო იმ პროცესებში, რომელიც სოლონის რეფორმებით დასრულდა. ამის მეტი ახსნა ამ გარემოებას არ აქვს, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში სოლონის რეფორმაზე დიდი მნიშვნელობა არა მომხდარა რა" (176, გვ.97).

გრ. ნათაძის მონოგრაფიის ის მონაკვეთი, სადაც განხილულია მე-7 საუკუნის საბერძნეთის სოციალ-ეკონომიკური ვითარება: ჰექტემორები, ვალი და გირაო, მსხვილი

მიწათმფლობელობა, გლეხთა მდგომარეობა, ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაკვეთი წმინდა კომპოზიციური თვალსაზრისით ყველაზე უფრო შეკრულ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა მეორე მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ამ სიუჟეტის კავშირი ძირითად თემასთან, კილონის აჯანყებასთან, მეტისმეტად გაზვიადებულია, რაც, ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის ნაშრომის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია. საკითხის დასმა უძველესი საბერძნეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა მე-7 საუკუნეში, ვფიქრობთ, უფრო ადეკვატურად ასახავდა გრ. ნათაძის სადოქტორო დისერტაციის შინაარსს ვიდრე მისი დაკავშირება კილონის შეთქმულებასთან. როდესაც გრ. ნათაძის ნაშრომის ამ მონაკვეთს განვიხილავთ, პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეს შრომები არა იმდენად ისტორიული კვლევაა, რამდენადაც წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ძიება. ამ კუთხით ავტორის მსჯელობა ბევრად უფრო საინტერესოა და ფასეულიცაა.

აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთის მიმართ გრ. ნათაძე საკმაოდ მაღალი აზრისაა და ფიქრობს რომ ისინი „უფრო კვლევით ხასიათს ატარებს და შედარებით ორიგინალურია, ვიდრე წინა თავები" (76; გვ.1). ეს მსჯელობა უფრო ემოციურია ვიდრე ანალიტიკური. აღნიშნული მონაკვეთის ნოვატორობაზე საუბარი, ჩვენი აზრით, გაზვიადებული უნდა იყოს. კონკრეტული საკითხების კვლევის დროს ჭეშმარიტად ახლის თქმა ადვილი არაა. ეტყობა, გრ. ნათაძე გაიტაცა ამ რთული პრობლემის კვლევამ და მის ირგვლივ საკუთარი მოსაზრებები ახლად, ორიგინალურად დაგვისახა. აქ, ცხადია, იმას ვგულისხმობთ, რომ წყაროებში არსებული მცირე ინფორმაციის გამო, ამ რთული პრობლემების ირგვლივ ჭეშმარიტად ახალი სიტყვის თქმა, უკვე მაშინ, როდესაც გრ. ნათაძის ნაშრომი იწერებოდა, თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენ ვერ მოვთხოვთ გრ. ნათაძეს, რომ ამ ძნელი საკითხების გადაწყვეტისას ორიგინალური იყოს და სავსებით საკმარისია, რომ მას ამ თემაზე თავისი აზრი გააჩნია.

საკითხის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული მიმოხილვა საინტერესო და მნიშვნელოვანია. გრ. ნათაძის ნაშრომის მესამე თავი საბერძნეთის ისტორიის ერთ-ერთ რთულ საკითხს, ჰექტემორებს შეეხება. რა თქმა უნდა, მისასალმებელია გრ. ნათაძის მისწრაფება რთული პრობლემის ახლებური ორიგინალური გადაწყვეტისაკენ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ რომ მის მიერ არჩეულ გზას ხელშესახები შედეგები როდი მოაქვს. ჰექტემორების შესახებ ცნობას გვაწვდიან ძველი ისტორიკოსები არისტოტელე და პლუტარქე. მაგრამ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ბუნდოვანია. კარგად არ ჩანს, თუ როგორი იყო ჰექტემორსა და მემამულეს შორის დადებული ხელშეკრულება და მოსავლის რა ნაწილს იხდიდა ან იღებდა ჰექტემორი (8; გვ.6; 93 გვ. 149). ამ საკითხის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. გრ. ნათაძე იმ მკვლევარებს ემხრობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჰექტემორები მოიჯარადრეები იყვნენ და იჯარით იხდიდნენ შემოსავლის 1/6 (1,8) .ჩემი აზრით, ამ საკითხის გამოკვლევას ბევრი სხვა საბუთიც სჭირდება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არისტოტელეს ჰექტემორები ისეთ გლეხებად მიაჩნია, რომლებიც იხდიან იჯარად ან ღალად შემოსავლის 1/6 და არა ხუთი მეექვსედის სახით" (76, გვ.27). სულ სხვა აზრისაა ამ საკითხზე მეორე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პროფ. ალ. წერეთელი. „პირადად ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ჰექტემორები 5/6 იხდიან" (131 გვ.20-21). ყველაფერი იმაზე არის დამოკიდებული, ესა თუ ის მეცნიერი თვლის თუ არა მეექვსედის გადახდას დამამძიმებლად. საინტერესოა როგორ ხსნიდა ამ საკითხს გრ. ნათაძე. ამის მიზეზს იგი, პირველ ყოვლისა გლეხთა იურიდიულ და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის არსებულ განსხვავებაში ხედავდა და ფიქრობს, რომ სინამდვილეში, რეალურად ჰექტემორები გაცილებით იმაზე მეტს იხდიდნენ, ვიდრე ეს კანონიერად ეკუთვნოდა ერთ მეექვსედელს და ამიტომ მათი ფაქტობრივი მდგომარეობა მეტად მძიმე იყო" (170; გვ.308). პროფ. ს. ყაუხჩიშვილი სულ სხვა აზრისაა. იგი უფრო ემხრობა იმ მკვლევარებს, რომლებიც მიიჩნევენ რომ ჰექტემორები დაქირავებული მუშები იყვნენ და იღებდნენ ხელფასს. ისინი კი არ იხდიდნენ 1/6, არამედ მათ უხდიდნენ 1/6 (526 ბ, გვ.139). ეს რთული საკითხი ყველაზე უფრო ღრმად და საფუძვლიანად გააშუქა გამოჩენილმა რუსმა ისტორიკოსმა ვ. ბუზესკულმა. მან სწორად დ[illegible] საკითხი, მაგრამ მათი გადაწყვეტისას საბოლოოდ [illegible]ნც პესიმისტურ დასკვნამდე მივიდა. აი რას წერდა იგი: „ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ჩვენს ხელთ არსებული წყაროები საკმარისი არაა. გვესაჭიროება ახალი მონაცემები. აუცილებელია უფრო ზუსტი ცოდნა ატიკის მეურნეობის, ვიდრე დღეს არსებულ წყაროებშია ასახული". ვ. ბუზესკული უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ჰექტემორები იხდიდნენ მოსავლის 5.6 და იღებდნენ 1.6 (170; გვ. 302-308). ეტყობა, მოუსავლიან წლებში როდესაც მათი მოსავალი არ ყოფნიდათ, ჰექტემორები იძულებული იყვნენ აეღოთ ვალი. ვ. ბუზესკული ვარაუდობს რომ ჰექტემორები შესაძლოა იყვნენ ადამიანები რომლებიც თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გამო გადაიქცნენ ნახევრად დამოუკიდებლებად. ჰექტემორების შესახებ მსგავს თვალსაზრისს ანვითარებს მ. ხვოსტოვი (418; გვ. 152). ასევე პესიმისტურადაა განწყობილი ქართველი ისტორიკოსი ალ. წერეთელი. „საზოგადოდ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ დრომდე დაცული ცნობების მიხედვით ჰექტემორების საკითხის გარკვევა თითქმის შეუძლებელი ხდება. რასაკვირველია, შეიძლება გამოვთქვათ ესა თუ ის ჰიპოთეზა, მაგრამ საკითხი კვლავ საკამათოდ დარჩება" (131, გვ.20-21).

გრ. ნათაძის ცდა, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს და შესაძლოა, ალ. წერეთელს ამ შემთხვევაში, სწორედ გრ. ნათაძე ჰყავდა მხედველობაში,

რადგან იგი მისი წიგნის რედაქტორი იყო. გრ. ნათაძის მონოგრაფიის მეოთხე თავი „გლეხთა გადასახადები უძველეს საბერძნეთში" ჰექტემორებისადმი მიძღვნილი მონაკვეთის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ეხება გლეხობის მდგომარეობას უძველეს საბერძნეთში. გრ. ნათაძე ხაზს უსვამს ამ თემის აქტუალობას და მნიშვნელობას. „გლეხკაცების მდგომარეობა უძველეს საბერძნეთში და განსაკუთრებით მე-7 საუკუნეში დღემდე არ არის სათანადოდ გამორკვეული. მასალების უქონლობის გამო მკვლევარნი ვერ ახერხებენ ლოგიკური მსჯელობისა და ვარაუდების სფეროს მოსცილდნენ" (76, გვ. 35). საინტერესო ჩანს, ამ მონაკვეთის ისტორიოგრაფიული ნაწილი. იგი ეკამათება ანტიკური ისტორიის ცნობილ გერმანელ მკვლევარს გეორგ ბუზოლტს, რომელიც გრ. ნათაძის თვალსაზრისით, სათანადოდ არ გამიჯნავს გლეხთა ორ კატეგორიას პელატებს და ჰექტემორებს. „ამით სპობს ყოველ საშუალებას მიწათმფლობელობისა და სოციალური ურთიერთობების გამორკვევისას, ვინაიდან რეალური საფუძველი პელატების, თეტების და ჰექტემორების დიდი მემამულეებისაგან დამოკიდებულებისა სხვადასხვა იყო" (511, გვ. 35). შემდეგ იგი ეხება აღნიშნული საკითხის შესახებ მაქს ვებერის და ედუარდ მაიერის მოსაზრებებს. იგი ორივე გერმანელი მეცნიერის შეხედულებებს მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ მიაჩნია რომ, ისინი ზოგადი ხასიათისაა (511; გვ. 35-36). იგი ამ პრობლემის კვლევის სფეროში საუკეთესოდ მიიჩნევს რუსი ისტორიკოსის მ. ხვოსტოვის თვალსაზრისს. გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ რუსმა ისტორიკოსმა კარგად დაინახა ის უფსკრული რომელიც არსებობდა ერთი მხრივ, გლეხთა რეალურ მდგომარეობასა და მეორე მხრივ, კანონმდებლობას, იურიდიულ ყოფას შორის: „ეს მოსაზრება ძლიერ უახლოვდება საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ მას აკლია განმარტება არ ჩანს თუ რომელი ჯგუფის გლეხკაცობას ეხება ეს მოსაზრება. გარდა ამისა ჩემი აზრით აქ მთავარი ის კი არ არის რომ წყაროები იურიდიულ მდგომარეობას არ ეხებიან, არამედ ისაა, რომ თვით საკითხს აქვს იურიდიული და ფაქტობრივი მხარე რომელთა დეტალების გამორკვევას წყაროები ვერ ახერხებენ. სწორედ ამ დეტალებს არ არკვევს პროფ. მ. ხვოსტოვი და ეს არის მისი სუსტი მხარე" (511; გვ.37). ამ მსჯელობის დასკვნითი ნაწილი ბუნდოვანი ჩანს და გარკვეული კორექტივების შეტანას საჭიროებს, თუ ამ დეტალების გამორკვევას წყაროები ვერ ახერხებენ, როგორც ამას თავად გრ. ნათაძე აღნიშნავს, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი – მაშ რა პრეტენზია შეიძლება გვქონდეს რუსი ისტორიკოსის მიმართ? რისი გამორკვევა შეეძლო და არ გამორკვია? მეტისმეტად მკაცრი, მომთხოვნი ხომ არ იყო გრ. ნათაძე რუსი ისტორიკოსის მიმართ?

ამ თავში გრ. ნათაძე ეხება ორ სერიოზულ თემას. 1. გლეხთა მდგომარეობას მე-7 საუკუნეში და 2. გლეხთა გადასახადები უძველეს საბერძნეთში. გრ. ნათაძე ხაზს უსვამს საბერძნეთის გლეხობის მძიმე მდგომარეობას. გრ. ნათაძე ამას ძირითადად უკავშირებს იმ განსხვავებებს, რომელიც არსებობდა უძველესი საბერძნეთის გლეხობის იურიდიულ მდგომარეობასა და ფაქტობრივ, რეალურ, ყოფას შორის; გლეხთა მძიმე მდგომარეობის ამგვარი ახსნა საინტერესოა, თუმცა ამომწურავად არ მიგვაჩნია, ამ გაჭირვების მიზეზი არისტოტელეს „ათენის პოლიტეის" თანახმად ორგვარი იყო: 1. პოლიტიკურ-ოლიგარქიული წყობა და ამით განპირობებული დემოსის - სრული უუფლებობა. 2. სოციალ-ეკონომიკური (8, გვ.6). გრ. ნათაძე რატომღაც გვერდს უვლის არისტოტელეს ამ მოსაზრებას რაც გაკვირვებას იწვევს. ვინაიდან იგი არისტოტელეს თხზულებას ძალიან კარგად იცნობს. გრ. ნათაძე ხაზს უსვამს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც საბერძნეთის გლეხობის იურიდიულ და ფაქტობრივ, რეალურ ყოფას შორის არსებობდა და მიუთითებს, რომ „ჰექტემორებს, პელატებს და თეტებს შორის განსხვავება იურიდიული მხარის გათვალისწინებით კიდევ უფრო თვალში საცემი ხდება" (511; გვ. 37-38). მაგრამ, ჩვენი აზრით, ნაშრომში დამაჯერებლად არ არის ნაჩვენები თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს განსხვავება და გრ. ნათაძე ამის შემდეგ არსებითად სულ სხვა საკითხის განხილვაზე გადადის და ეს თემა ფაქტობრივად ღიად რჩება (76; გვ. 87-38). მიგვაჩნია, რომ აქ საჭირო იყო უფრო მეტი კონკრეტული მასალის მოხმობა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ გრ. ნათაძის მსჯელობა მტკიცების თვალსაზრისით ცოტათი მოიკოჭლებს.

გრ. ნათაძის მონოგრაფიის შემდეგომი თავია მისი ნაშრომი „ვალი და გირაო როგორც გლეხთა დამონავების საფუძველი უძველეს საბერძნეთში". გრ. ნათაძე აღნიშნავს რომ მე-7 საუკუნეში საბერძნეთში დამოუკიდებლობის დაკარგვის მთავარი საშუალება დავალიანება იყო. რა იყო დავალიანების მიზეზი? გრ. ნათაძე ეთანხმება გერმანელ ისტორიკოსს რ. პელმანს, რომელიც დავალიანების ამ მიზეზს ასახელებს: 1. დავალიანების მთავარი მიზეზი იყო ფული, 2. ომების შედეგად გლეხკაცის მეურნეობის გაჩანაგება, 3. ხალხის გამრავლება (511, გვ.51). გრ. ნათაძე საინტერესო პარალელს ავლებს უძველესი საბერძნეთისა და საშუალო საუკუნეების გლეხობას შორის და აღნიშნავს, რომ დავალიანება ორივე შემთხვევაში თავისუფლების დაკარგვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველთაგანი იყო და მოჰყავს ამის კონკრეტული მაგალითები ინგლისისა და რუსეთის ისტორიიდან (511; გვ, 51-61).

დავალიანების რა სახეები არსებობდა უძველეს საბერძნეთში? ამ საკითხის გამორკვევა სულაც არ გახლავთ ადვილი საქმე, ვინაიდან „დავალიანების ფორმების შესახებ უძველეს საბერძნეთში პირდაპირი ცნობები ძველ ავტორებს არ მოეპოვებათ ხოლო რომ დავალიანებას ჰქონდა ადგილი, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, ვინაიდან მე-4 საუკუნიდან დარჩენილი წარწერები აშკარად ჰხდიან, რომ სხვადასხვაგვარი ქონების ვალში დაგირავების ფორმებს უნდა ხანგრძლივი გზა გაეარათ" (511, გვ.54).

გრ. ნათაძე თავის ნაშრომში დაწერილებით ჩერდება

უძველეს საბერძნეთში დავალიანების სხვადასხვა ფორმების შესახებ. მართალია, იგი აღნიშნული საკითხის გარშემო ახალს და ორიგინალურს არაფერს ამბობს, მაგრამ პოლემისტური ტონი მის მსჯელობას, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ყურადღებას იპყრობს დისკუსია გერმანელ ისტორიკოსთან მაქს ვებერთან, რომელსაც გირავნობის ერთ-ერთი ფორმა რატომღაც შუა საუკუნეებში გავრცელებულ პრეკარიუმს აგონებს. გრ. ნათაძე არ იზიარებს ამ მოსაზრებას, ვინაიდან „პრეკარიუმი სრულიად არ ჰგულისხმობს დავალიანების აუცილებლობას. პრეკარიუმმა სამი ფორმა იცოდა საშუალო საუკუნეებში და არც ერთი მათგანი დაკავშირებული არ არის ვალთან. რა თქმა უნდა პრეკარისტი დავალიანებული შეიძლება ყოფილიყო... მაგრამ შესაძლებელია, ვალი იმას სულ სხვისა მართებოდა და პირობით სულ სხვას შეჰკვროდა, რადგან პრეკარიუმის საშუალებით, უმეტეს შემთხვევაში გლეხი ცდილობდა საჯარო გადასახადების ტვირთი მოეშორებინა თავიდან. ამ მოსაზრებით პრეკარისტი მიწას გადასცემდა დიდ მემამულეს და მერე ამ მიწას, ზოგჯერ სხვა ნაკვეთის დამატებით, უკანვე იბრუნებდა. უძველეს საბერძნეთში კი გლეხკაცი...ძალით სრულიად ჰკარგავდა მამულს და თუ სურდა თავის მამულში დარჩენა, დარჩებოდა როგორც მოჯამაგირე ან დღიური მუშა (თეტი) მაშინ მემამულის მომვლელად, გამგედ და მომვლელად ახალი მესაკუთრე ხდებოდა" (511; გვ.60).

გრ. ნათაძის მონოგრაფიის შემდეგი თავია „მსხვილი მიწათმფლობელობა უძველეს საბერძნეთში" წინა მონაკვეთის დასასრულს გრ. ნათაძე დასძენს, რომ უძველეს საბერძნეთში არსებობდა „მიწათმფლობელობის მეტად რთული ფორმები რომლის გამორკვევაც, გლეხკაცების მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს" (511; გვ.61). ამიტომ მსხვილი მიწათმფლობელობისადმი მიძღვნილი თავი წინა ნაწილის შინაარსობრივი გაგრძელებაა. იმის გამოსარკვევად არსებობდა თუ არა უძველეს საბერძნეთში მსხვილი მიწისმფლობელობა, გრ. ნათაძეს, პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილად ეჩვენება ერთმანეთისაგან გაირჩეს საკითხის იურიდიული და ფაქტობრივი მხარე. ე.ი. რა ვითარება იყო კანონმდებლობის მიხედვით და როგორი მდგომარეობა არსებობდა რეალურად. საკითხისადმი წმინდა იურიდიული მიდგომა მას საკმარისად არ მიაჩნია (511; გვ.67). გრ. ნათაძე ვარაუდობს რომ მსხვილი მიწათმფლობელობის სფეროში დაახლოებით ასეთი სურათი იკვეთება. სინამდვილეში მთელი ადგილმამული მებატონის კუთვნილებას წარმოადგენდა, მაგრამ იურიდიულად იგი ამ მიწის სრული მესაკუთრე არ იყო; თუ მებატონე მიწის ერთი ნაწილის სრული ბატონპატრონია, მეორე ნაწილი იურიდიულად მის საკუთრებას არ წარმოადგენდა, მაგრამ იგი მისი ფაქტიური მფლობელია, რადგან ეს მიწა რომელიმე მებატონის მოხარკეა და მის განკარგულებაში იმყოფება. ის ვის ხელშიც ეს მიწა იყო სხვადასხვა პირობით დამოკიდებულია მებატონეზე" (511; გვ. 68-69). გრ. ნათაძეს ერთ-ერთ მთავარ ამოსავალ წერტილად მიაჩნია ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობდა იურიდიულ ყოფასა და ფაქტობრივ რეალურ ვითარებას შორის. საკითხის ამ კუთხით გაშუქება იმ პერიოდის ლიტერატურაში ახალი იყო და საყურადღებოა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი მიდგომა პირველ ყოვლისა, შესანიშნავი რუსი ისტორიკოსის ივ. ლუჩიცკის გავლენის შედეგი შეიძლება იყოს, რომელსაც კიევის უნივერსიტეტში სწავლის დროს ძალიან დაუახლოვდა გრ. ნათაძე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზუსტად ანალოგიურ მეთოდს იყენებდა მე-17-18 საუკუნეების საფრანგეთის ადმინისტრაციული მეცნიერების შესწავლის დროს ალ. ნამორაძეც, რაშიაც გარკვეულწილად მისი უფროსი კოლეგის გრ. ნათაძის გავლენა შეიძლება დავინახოთ. გარკვეულწილად იმიტომ ვამბობთ, რომ ამ საკითხში პირველობის დაფნის გვირგვინი ალ. ნამორაძის პირველ მასწავლებელს გამოჩენილ რუს ისტორიკოსს პავლე არდაშევს უნდა მიეკუთვნოს. საინტერესოა ნაშრომის ისტორიოგრაფიული ასპექტი, სადაც გრ. ნათაძე ეკამათება გამოჩენილ რუს ისტორიკოსებს ვ. ბუზესკულს და რ. ვიპერს. მას საკამათოდ მიაჩნია მათი დამოკიდებულება არისტოტელეს ერთი ცნობისადმი. არისტოტელეს მიხედვით „მთელი მიწა უმცირესობის ხელში იყო" (8, გვ.6). გრ. ნათაძის მიხედვით არისტოტელეს ცნობისადმი ამ მეცნიერის კრიტიკული მიდგომა მნიშვნელოვანწილად იმით იყო განპირობებული, რომ ისინი სათანადოდ არ გაარჩევენ ერთმანეთისაგან გლეხების იურიდიულ და რეალურ ყოფას (სხვათა შორის ზუსტად იგივე მოსაზრებას გამოთქვამს იგი გერმანელი ისტორიკოსის ედ. მაიერის მიმართაც). გრ. ნათაძე უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ არისტოტელეს ცნობა ადეკვატურად ასახავდა ვითარებას და მას არაფერი გადაუჭარბებია როგორც ამას ვ. ბუზესკული და რ. ვიპერი ფიქრობენ (511; გვ. 69). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა საინტერესო ჩანს, თუმცა გრ. ნათაძის კრიტიკული პათოსი შეიძლება ცოტა გადაჭარბებულია და ამ შემთხვევაში ვ. ბუზესკულის და რ. ვიპერის მოსაზრება გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევია, ვიდრე ეს გრ. ნათაძის მსჯელობიდან ჩანს (170; 190ა). „ მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში ატიკაში არ იყო მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელთა კლასი. ეტყობა, არსებობდა წვრილი და საშუალო მიწათმფლობელობა, თუმცა ის დავალიანებული, დაგირავებული იყო. სოლონის სისახთეა, დემოსის ბრძოლა ეუპატრიდების წინააღმდეგ და მისი შედეგები, დემოკრატიის შემდგომი ზეიმი, ყველაფერი ეს გაუგებარი იქნებოდა ატიკაში მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში. მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელობა რომ ყოფილიყო, საშუალო მიწათმფლობელობა მაინც შემორჩენილი იყო, თუმცა გადაიტანა მძიმე და სახიფათო კრიზისი" (170; გვ.308) - დასძენს ვ. ბუზესკული; ჩვენი აზრით, საკითხისადმი გრ. ნათაძის მიდგომა გაცილებით

უფრო რთულია და აძნელებს რეალურად არსებული ვითარების აღქმას. კიდრე ვ. ბუზესკულის და რ. ვიპერის პოზიცია. აღსანიშნავია, რომ გრ. ნათაძე არ უარყოფს უძველეს საბერძნეთში წვრილი მიწათმფლობელობის არსებობას. ამ მიზნით იგი პარალელს ავლებს მე-7 საუკუნის საბერძნეთსა და 1789 წლის რევოლუციამდელ საფრანგეთს შორის. მისი აზრით, მე-7 საუკუნის საბერძნეთში იგივე მდგომარეობაა, როგორიც იყო საფრანგეთში რევოლუციის წინ (7. :511, გვ. 67-68). ამიტომ განსხვავება ვ. ბუზესკულისა და მის შეხედულებებს შორის არც ისე დიდია, როგორც ამას გრ. ნათაძე უსვამს ხაზს.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ რომ საგულისხმოდ მიგვაჩნია გრ. ნათაძის შენიშვნა – სად არის აქ ის ძლიერი რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც ზოგნი პოულობენ მე-7 საუკუნეში? შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველ ყოვლისა გრ. ნათაძე აქ მარქსისტ-ისტორიკოსებს უნდა გულისხმობდეს, ვინაიდან აღნიშნული ტენდენცია ყველაზე უფრო ძალუმად სწორედ მათ შრომებში იჩენს თავს (399). ეს რეპლიკა მრავლისმეტყველი უნდა იყოს და ყველაზე საუკეთესო საბუთია იმის, რომ გრ. ნათაძე არასოდეს არ ყოფილა რწმენით მარქსისტი.

მე-7 საუკუნის საბერძნეთის გლეხობის კლასობრივი შეგნების შეფასების გადაჭარბება, რაც სხვათა შორის, ნიშანდობლივი იყო მომდევნო პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის, ცხადია, არ ღირს (605; გვ. 7-26; გვ. 26-61; ვ. 61-110.; 571; გვ.111-132; 579; გვ. 132-166, 249). სავსებით ვეთანხმებით გრ. ნათაძეს, რომ არავითარ კლასობრივ შეგნებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, აღსანიშნავია რომ ეს ძალიან კარგად ჩანს წყაროებში. აი რას წერდა ჰესიოდე, რომელსაც გრ. ნათაძე თავის ნაშრომში ხშირად იმოწმებს „მექოთნე ემუქრება მექოთნეს, ხუროს სძულს ხური, გლახაკი შურით უცქერის გლახაკს, მომღერალი მომღერალს" (511; გვ.72).

გრ. ნათაძის ნაშრომის მომდევნო თავი „გვაროვნული წესწყობილება და მისი გავლენა საბერძნეთის ისტორიის პირველ ნახევარზე" ჰაერშია გამოკიდებული და საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს. მისი გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა რა კავშირი აქვს ამ თემას კილონის აჯანყებასთან? აღსანიშნავია რომ აქ კილონის აჯანყებაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. ამავე დროს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მონაკვეთის წმინდა პროფესიული ღირსებები ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. გრ. ნათაძე ავლენს საკითხის ირგვლივ არსებულ პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და ანალიზის უნარს. პოლემისტური ტონი გრ. ნათაძის მსჯელობას უფრო მეტად საინტერესოდ აქცევს (511, გვ. 43-84).

გრ. ნათაძის სადისერტაციო ნაშრომს, ბუნებრივია, ასრულებს კილონის აჯანყებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა. გრ. ნათაძის ნაშრომისათვის ნიშანდობლივი უცნაურობა, ვფიქრობთ, ძალიან კარგად შენიშნა ჯერ კიდევ სიმონ ყაუხჩიშვილმა. მოვუსმინოთ პატივცემულ მკვლევარს: „პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება. გამოკვლევის საგანს შეადგენს კილონის აჯანყება და ამ საკითხის გარშემო უნდა მიმდინარეობდეს მთელი კვლევა-ძიება. მაშასადამე, საჭიროა მკითხველი იმთავითვე შეიყვანო და პირველ რიგში გააცნო საქმის ვითარება და საკითხის მოცულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველს არც კი ეცოდინება რომ თემა კილონის აჯანყებას ეხება. აღნიშნულ შრომაში სწორედ ასეც არის. ვიდრე მკითხველი გამოკვლევის სამ წილს არ წაიკითხავს, ვიდრე 84 გვერდამდე, მან თითქმის არც კი იცის რომ კილონის აჯანყებაა მთავარი თემა. თითქმისო ვამბობთ, რადგან მხოლოდ ერთხელ (გვ.13) არის გაკვრით ნათქვამი კილონის აჯანყებაზე, ისიც ისე, რომ სრულებით არ ჩანს რომ ეს იყო გამოკვლევის თემა. კილონის აჯანყებას ავტორი აცნობს მკითხველს მხოლოდ უკანასკნელ თავში (გვ. 84-97). აქაც საკითხი ისეა მოთხრობილი, თითქოს თავისთავად ცხადი იყოს, რომ მკითხველი მას უკვე იცნობს. (526 ბ, გვ. 137). გრ. ნათაძე ასეთ ნაბიჯს უმთავრესად იმით ხსნის, რომ კილონის აჯანყებას საფუძვლად ედო უძველესი საბერძნეთის სოციალ-ეკონომიკური ვითარება მე-7 საუკუნეში (513; გვ. 179-181). მიუხედავად ამისა ალბათ მაინც მიზანშეწონილი იქნებოდა კილონის აჯანყების უფრო მეტად წინ წამოწევა მას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა. კილონის აჯანყების ფონზე უნდა განხილულიყო იმ ეპოქის სოციალ-ეკონომიკური ყოფა და არა პირიქით – იმდროინდელი სოციალ-ეკონომიკური ვითარების ფონზე კილონის აჯანყება; შეუსაბამობა ისტორიულ ფონსა და მთავარ თემას შორის იმდენად ნათელია, რომ აქ სადავოს ვერაფერს ვხედავთ.

„არისტოტელეს თხზულების ის ნაწილი, სადაც ის მსჯელობს კილონის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე, ჩვენამდე არ მოულწეია. ამიტომ ძნელია ზუსტად ვთქვათ თუ როგორ აფასებდა არისტოტელე ამ ფაქტს და რა ხასიათს ანიჭებდა იგი მას, ეტყობა, არისტოტელე არ ხედავს კილონის აჯანყებაში არისტოკრატიასა და დემოსს შორის ბრძოლას და ხაზს არ უსვამს მის კავშირს იმ მძიმე მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებოდა ათენის მოსახლეობა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა საკამათო უნდა იყოს; კილონის გამოსვლა ერთ-ერთი ეპიზოდია იმ პოლიტიკური და სოციალური ბრძოლისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბერძნეთში" (170; გვ. 300-301). აღნიშნავს ვ. ბუზესკული.

რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ გრ. ნათაძე ევროპული და რუსული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციებს მიჰყვება და წინ წამოწევს კილონის გამოსვლის სოციალ-ეკონომიკურ საფუძვლებს. მაგრამ როგორც ჩანს, იგი მეორე უკიდურესობაში ვარდება. იგი აზვიადებს სოციალ-ეკონომიკური ფაქტორის გავლენას კილონის შეთქმულებაზე, რომლის ფესვებიც, ჩვენი აზრით, პირველ ყოვლისა მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ და მხარს უჭერს ისტორიის სოციოლოგიურ გაშუქებას.

სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით „როგორც გამოკვლევის

სათაურიდან ჩანს, ჩვენი ავტორიც, ზოგიერთი სხვაც ცალმხრივად უდგება საკითხს. კილონის აჯანყების საფუძველს ეძებს მხოლოდ სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობებში და განზე სტოვებს იმ პოლიტიკურ პირობებს, რომელმაც აგრეთვე ხელი შეუწყვეს „კილონის აჯანყებას" (526 ბ, გვ. 137). პატივცემული რეცენზენტის ამ მოსაზრებას სავსებით ვიზიარებთ, თუმცა აქ მსჯელობის გასრულება, წერტილის დასმა, ნაადრევი ხომ არ იქნებოდა?

ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ღრმად პატივცემული მკვლევარი ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, დამაჯერებლად ვერ გვიხსნის თუ რითი იყო განპირობებული საკითხისადმი გრ. ნათაძის ამგვარი ცალმხრივი მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზები გრ. ნათაძის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ემხრობოდა ისტორიის სოციოლოგიურ გაშუქებას და „ეკონომიკური მატერიალიზმისაკენ" უფრო იხრება, რაც რუსი ისტორიკოსების, პირველ რიგში კი ივ. ლუჩიცვის და რ. ვიპერის გავლენის ლოგიკური შედეგია.

უნდა დავეთანხმოთ ს. ყაუხჩიშვილს, რომ გრ. ნათაძის ნაშრომში აუცილებელი იყო ყურადღების გამახვილება კილონის აჯანყების დათარიღებაზე. აი რას წერდა რეცენზენტი: „განსაკუთრებით საგულისხმო იყო შეხებოდა ის კილონის აჯანყების დათარიღების საკითხს. ბელოხი და დე სანქტისი კილონის აჯანყებას ათავსებენ სოლონის რეფორმასა და პისისტრატეს მმართველობას შორის.

დათარიღების საკითხის გამორკვევა - თუნდაც მოთხრობის სახით ყოფილიყო ის, უეჭველ საჭირო იყო, რადგან ის ეხებოდა იმ დიდ მოვლენას რომლის გარშემოც უნდა ტრიალებდეს მთელი კვლევა-ძიება. ამ ზოგად მოსაზრებას რომ თავი დავანებოთ, ეს საჭირო იყო უშუალოდ აღებული. თემისათვის იმის გასარკვევად თუ რა მდგომარეობაში იყო ეკონომიურად ხალხი. ამიტომ ვამბობ მე საჭირო იყო ავტორი, ეჭვეულ შეხებოდა კილონის აჯანყების დათარიღების საკითხს და იმთავითვე განესაზღვრა მას თავისი პოზიცია ამ საკითხში. ნაშრომიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კილონის აჯანყების თარიღის საკითხი არავისათვის იყო საცილებელი და ყველა თანახმა იყო ერთ თარიღში" (526 ბ, გვ. 138). გრ. ნათაძის პასუხს, ვფიქრობთ, დამაჯერებლობა აკლია. აი რას წერდა იგი: „ჰექტემორების საკითხთანაა დაკავშირებული ჩემს წარმოდგენაში კილონის აჯანყების დათარიღების საკითხი. მართალია, ამგვარი მეთოდი კილონის აჯანყების თარიღის გამოსარკვევად სრულიად ახალია მეცნიერებისათვის. აქამდის დათარიღების საშუალებას, წყაროების ცნობებს უკავშირებდნენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ვინაიდან მაშინდელი წყაროები ისეთ ზედმიწევნულობას, რომ თარიღი გამოირკვეს, მოკლებულნი არიან, ყველას სჯობია ცნობილი ისტორიული ფაქტების თანამიმდევრულობა მაინც ურყევად დადასტურდეს. ეს კი ადვილია ჩემი მეთოდით. ჯერ გამოირკვეს თვით კილონის აჯანყების საზოგადო ხასიათი, შემდეგ ის თუ რა სოციალ-ეკონომიურ ვითარებასთან იყო დაკავშირებული და აქედან თანამიმდევრულობა ურყევად დამტკიცდება. მე ჩემს შრომაში თარიღის შესახებ არაფერს ვამბობ, შესაძლოა, უკეთესი იყო მეთქვა, მაგრამ მე მგონი მთელი მსჯელობიდან თავისთავად ცხადია, რომ თანამიმდევრულობა კილონის აჯანყებისა სოლონის რეფორმებისა და პისისტრატეს ტირანობისა იქამდის თავისთავად ცხადია, რომ ამაზე აქ საჭირო არ იყო ლაპარაკი და სიტყვის გაჭიანურება (513; გვ. 177-178). რა თქმა უნდა, კილონის აჯანყების დათარიღების საკითხის განხილვა, უთუოდ, შინაარსობრივად გაამდიდრებდა გრ. ნათაძის მონოგრაფიას და ჩვენი აზრით, აქ სადავო არაფერია.

კილონის აჯანყების დათარიღების დაკავშირება ჰექტემორებთან შეიძლება ახალი იყოს, მაგრამ სადავოა და ძალზე არადამაჯერებლად გამოიყურება. როგორც წყაროებიდან ვგებულობთ ჰექტემორები სოლონის რეფორმების შემდეგ (ქრ. შ-მდე 594 წ.) გაქრნენ. ე.ი. კილონის აჯანყების დროს მე-7 საუკუნეში ისინი ჯერ კიდევ არსებობდნენ, მაგრამ ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა კავშირი ჰქონდათ მათ კილონის აჯანყებასთან? ალბათ არაფერი. ყოველ შემთხვევაში წყაროებიდან (ჰეროდოტე, თუკიდიდე, არისტოტელე, პლუტარქე) ეს არ ჩანს. გრ. ნათაძის ეს მთელი მსჯელობა, ჩვენი აზრით, ძალზე წააგავს ღია კარის მტვრევას. აქ ვგულისხმობთ იმას რომ გრ. ნათაძის მსჯელობის სერიოზულ მინუსად მიგვაჩნია ის გარემოება რომ იგი კრიტიკულ არ ძრავს იმის თაობაზე, რომ მას შემდეგ რაც 1892 წელს ლონდონში აღმოაჩინეს არისტოტელეს თხზულება „ათენის პოლიტეა", შესაძლებელი შეიქმნა კილონის შეთქმულების უფრო ზუსტი დათარიღება. ვფიქრობთ, ეს ფაქტი გაცილებით უფრო ძლიერი არგუმენტი იქნებოდა მის ხელში, ვიდრე კილონის აჯანყების დათარიღების დაკავშირება ჰექტემორებთან.

სავსებით ვეთანხმებით პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, რომ გრ. ნათაძეს „უნდა აღენიშნა; უთუოდ უმთავრესი მაინც თუ როგორ არის დღეს მეცნიერებაში ამ საკითხის მდგომარეობა" (526 ბ, გვ. 138). აქ, ცხადია, პატივცემული რეცენზენტი იმას გულისხმობს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა გრ. ნათაძის ნაშრომში განხილული ყოფილიყო საკითხის ისტორიოგრაფია. გრ. ნათაძის ეს მოქმედება მით უფრო მოულოდნელად მიგვაჩნია. რომ იგი საკითხის ისტორიოგრაფიას თავის ნაშრომში ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა.

დაბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ ჩვენი ფრთხილი ვარაუდით გრ. ნათაძის სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ დაახლოებით ანალოგიური მოსაზრებები შეიძლება ჰქონოდათ ოფიციალურ ოპონენტებს ივანე ჯავახიშვილს და მიხ. პოლიევქტოვს.

კილონის აჯანყების შესახებ თანამედროვეთა ცნობები ფაქტობრივად არ არსებობს. ანტიკური ავტორები ამ ფაქტის ირგვლივ მეტად ძუნწ ინფორმაციას გვაწვდიან. სადაც შეიძლება ითქვას, რომ ბუნდოვანი საკითხები მეტია, ვიდრე ნათელი. კილონის აჯანყებას ეხება სულ ოთხი ავტორი: ჰეროდოტე, თუკიდიდე, არისტოტელე, პლუტარქე. აქედან დაახლოებით ასეთი სურათი იკვეთება:

მე-7 საუკუნეში საბერძნეთში, კერძოდ ათენში ევპატრიდების ფენაში დიდი განხეთქილება მომხდარა. ადგილი ჰქონდა კილონის შეთქმულებას. თვით კილონი შთამომავლობით არისტოკრატი იყო. ცოლად ყავდა მეგარის ტირანის თეაგანას ქალიშვილი. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ მიახლოებით 640-წელს ქრ. შ-მდე გამარჯვება მოუპოვებია ოლიმპიურ ასპარეზობაში და ამ დღიდან მოყოლებული ათენში დიდი პოპულარობა მოუხვეჭია. მან მოაწყო შეთქმულება და დღესასწაულის დღეებში დაეუფლა ათენის ციხე-სიმაგრე აკროპოლს. მისმა მოწინააღმდეგეებმა ალყა შემოარტყეს აკროპოლში გამაგრებულ კილონს, როგორც ისტორიკოსი თუკიდიდე გადმოგვცემს კილონი და მისი ძმა გაიქცნენ (412, გვ. 54) ხოლო დანარჩენმა შეთქმულებმა იქვე მდებარე ათინას ტაძარს შეაფარეს თავი. ევპატრიდებმა განიზრახეს, რომ მათთვის შიმშილით მოეღოთ ბოლო. შეთქმულებმა გადაწყვიტეს, რომ დანებებულიყვნენ მხოლოდ იმ პირობით თუ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ, რაზეც ევპატრიდებმა რომელთაც სათავეში ედგა ალკმეონიდების გვარის უფროსი და მაშინდელი არქონტი მეგაკლე, იმ წუთში თანხმობა შეუთვალეს, მაგრამ მიცემული სიტყვა დაარღვიეს და ტაძრიდან გამოსული შეთქმულები უმოწყალოდ ამოჟლიტეს. ამით მათ დიდი ცოდვა ჩაიდინეს და ალკმეონიდების გვარი საყოველთაო წყევლის საგანი გახდა. ეს ფაქტი კარგად გამოიყენეს მათმა მტრებმა და დიდხანს სარგებლობდნენ ალკმეონიდების წინააღმდეგ ბრძოლაში (143; გვ. 337-338; 8; გვ. 6; 93; გვ. 147-149; 412; გვ. 54-55).

გრ. ნათაძე არ იზიარებს წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც კილონის აჯანყებას ხსნის ტირანობის სურვილით. გრ. ნათაძის შეხედულებით წყაროების ასეთი პოზიცია იმით აიხსნება, რომ „იმ დროს სულ მუდამ ტირანობის შიში არსებობდა და გასაკვირველი არ არის, რომ ყოველ ბრძოლას ტირანობად სახავდნენ" (511; გვ.94). აღსანიშნავია რომ არგუმენტაცია, რომელსაც თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მიმართავს გრ. ნათაძე არადამაჯერებლად გამოიყურება და გაბატონებული შეხედულება გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი ჩანს, ვიდრე ეს გრ. ნათაძეს მიაჩნია. ეტყობა გრ. ნათაძე თავად გრძნობს საკუთარი არგუმენტაციის წინააღმდეგობრიობას და დასძენს: „შესაძლებელია, რომ თვით კილონს თეაგანის მიმბაძველობით, ტირანობა სურდა, მაგრამ რაკი ამისათვის ნიადაგი სრულიად არ აღმოჩნდა მომზადებული, ამიტომ მიზანს ვერ მიაღწია. ეს უკანასკნელი დებულება, ყოველ შემთხვევაში ნათქვამის შემდეგ, უდავოა". ამრიგად, გრ. ნათაძის მისწრაფება უარყოს ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება რომელიც კილონის აჯანყებას ტირანობის სურვილით ხსნის საკამათოდ მიგვაჩნია.

გრ. ნათაძის მონოგრაფიის ძირითადი იდეა თითქოს კილონის აჯანყება ძველი ურთიერთობის ფარგლებს არ გასცილებია, ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა რომ მე-7 საუკუნე უძველესი საბერძნეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც ადგილი აქვს ძველი გვაროვნული საზოგადოების დაშლას და ახალი ურთიერთობების ჩასახვას, ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის აღმავლობას, სახელმწიფოს აღმოცენებას. ამიტომ მე-7 საუკუნე საბერძნეთის ისტორიაში თავისებურ გარდამავალ პერიოდად გვეელინება, ალბათ, სწორედ ამ რაკურსში უნდა შეეხედოთ კილონის აჯანყებას. ამიტომ მასში აღმოვაჩენთ როგორც ძველ, ისე ახალ ურთიერთობებისათვის ნიშანდობლივ ელემენტებს. ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი ჩანს ანტიკური ისტორიის ცნობილი რუსი სპეციალისტის ვ. ბუზესკულის დაკვირვება, რომ „კილონის დროს წოდებრივი ბრძოლის ჩანასახი უკვე არსებობდა და კილონის აჯანყება იყო მისი პირველი სიმპტომი" (170, გვ. 300.) ეს კი, რა თქმა უნდა, სცილდება ძველი ურთიერთობების ფარგლებს და მკვეთრად გამოკვეთილი ახალი ელფერი დაკრავს, მეორეს მხრივ, კი როგორც გერმანელი ისტორიკოსი ედ. მაიერი აღნიშნავს მას არც ძველი იერსახე დაუკარგავს მთლიანად და კილონის აჯანყებაში გვაროვნული ბრძოლის ელემენტებიც ერია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ კილონის აჯანყებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ნიშანდობლივი უნდა იყოს გარდამავალი პერიოდისათვის და არა ძველი ურთიერთობებისათვის როგორც ამას გრ.ნათაძე ამტკიცებს.

ბუნებრივია ისმის კითხვა რისი იმედი ჰქონდა კილონს? გრ. ნათაძე ხაზს უსვამს რომ პირველ რიგში კილონს იმედი ჰქონდა იმ დიდი პოპულარობისა, რომელიც მას მოუტანა ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებამ. მეორეც, ერთ აჯანყებამდე ის შეეკითხა სამისნოს, რომლისგან ორჭოფული პასუხი მოისმინა, რომელიც კილონმა თავის სასარგებლოდ ახსნა. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელზეც კილონი დიდ იმედს ამყარებდა და რომელსაც გრ. ნათაძე დუმილით უვლის გვერდს. „ეს, ცხადია, ვგულისხმობთ რომ კილონს ცოლად ყავდა მეკგარის ტირანიის თეაგანას ქალიშვილი (170; გვ. 300; 171 გვ.39). ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელი მხარს დაუჭერდა თავის სიძეს.

გრ. ნათაძე ცდილობს გაერკვეს თუ რა ძალებს ეყრდნობოდნენ მოპირდაპირე მხარეები. ეს არაა ადვილი საქმე და წყაროებში ამის თაობაზე მეტად მწირი ინფორმაციაა; მისი შეხედულებით „ერთის მხრივ იბრძვის კილონი და მისი პირადი მეგობრებით და აშკარა და ჩუმი უკმაყოფილო არისტოკრატული გვარებით, მეორეს მხრივ კი, ალკმეონიდების გვარი თავისი დამოუკიდებელი გლეხკაცობით" (511; გვ. 90-91). გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ვ. ბუზესკულის კვალდაკვალ გრ. ნათაძე უგულვებელყოფს თვალსაზრისს თითქოს კილონის აჯანყება ოლიგარქიული რეჟიმის ინტერესებს შეესატყვისებოდა და იზიარებს მკვლევარ ჰუგო ლანდვერის შეხედულებას რომ კილონი ეყრდნობოდა ევპატრიდებს და მასში ხედავს არა ხალხის წარმომადგენელს, არამედ ევპატრიდების ერთ-ერთი ფრაქციის წარმომადგენელს,

რომელიც დაუპირისპირდებოდა მეორე ფრაქციას (511; გვ. 87; 170; გვ. 300; 173; გვ. 39).

ბუნებრივია, ისმის კითხვა რა იყო კილონის აჯანყების დამარცხების მიზეზი? ამ პრინციპულ საკითხზე გრ. ნათაძე არაფერს ამბობს, რაც მსჯელობის სერიოზული ნაკლია. კილონის გამოსვლის მარცხის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მას არ გააჩნდა რეალური დასაყრდენი დემოკრატიაში.

სავსებით ვეთანხმებით გრ. ნათაძეს როდესაც გერმანელი ისტორიკოსის რ. პელმანის თვალსაზრისს თითქოს „მდიდრები სოციალური რევოლუციის შიშით" ურიგდებოდნენ ტირანიასო გადაჭარბებულად მიიჩნევს. გრ. ნათაძეს სოციალურ რევოლუციებზე საუბარი გაუმარილებლად მიაჩნია, რაც მისი კონცეფციის ძლიერ მხარედ წარმოგვიდგენია. (513; გვ. 97). ამ შემთხვევაში იგი იმ საუკეთესო ტრადიციებს მიყვება, რომელიც ამ სფეროში ევროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიას გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ სოციალური რევოლუციების იდეამ განსაკუთრებით ფართოდ გაშალა ფრთები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და თავის აპოგეას მიაღწია 30-40-იან წლებში, როდესაც ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმი იმყოფებოდა ზენიტში. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ყველაფერი ის რაც ამ მიმართულებით შემდგომში გააკეთა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ გრ. ნათაძის გამოკვლევასთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი არაა. (399; 622). თუ ა. ტიუმენევის ნაშრომი მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობითაა დაწერილი, გრ. ნათაძის ნაშრომი უმთავრესად თავისუფალ აზროვნებაზეა ორიენტირებული, რაც მისი მთავარი ღირსებაა. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო უახლესი ლიტერატურით სარგებლობის საშუალება მოკლებული ვართ, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ძირითადად იმ პროგრესულ ტრადიციებს გააგრძელებდა, რომელსაც აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში საფუძველი ჩაეყარა უკვე მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე.

გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ აქამდე თურმე ისტორიკოსები სათანადო ყურადღებას არ მიაგებდნენ კილონის აჯანყებას და ამით გარკვეულწილად აკნინებდნენ მის მნიშვნელობას. სიმართლე გითხრათ, ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანის საფუძველს ვერ ვხედავთ. გრ. ნათაძე შესაძლოა, აზვიადებს კილონის აჯანყების ისტორიულ მნიშვნელობას „კილონის აჯანყებას საზოგადოდ ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ძველი ისტორიის სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა თითქმის საბერძნეთის ისტორიის ყველა კურსში არის ნათქვამი კილონზე ორიოდე სიტყვა მაინც, მაგრამ მხოლოდ ორიოდ სიტყვა, ეს, ალბათ იმიტომ, რომ კილონის აჯანყებას არავითარი პირდაპირი შედეგი არ მოყოლია, მაგრამ, ეს გასასამართლებელი საბუთი არ არის. ჩემი აზრით, კილონის აჯანყება იმდენად დამახასიათებელი და სიმპტომატური მოვლენაა, რომ მისი ცოტა გულდასმით შესწავლა დიდ შუქს მოჰფენს ჩვენს უმთავრეს საკითხს, გლეხკაცთა მდგომარეობას სოლონის რეფორმამდე" (513, გვ. 86). რა თქმა უნდა, სავსებით მართალია გრ. ნათაძე როდესაც ფიქრობდა, რომ კილონის გამოსვლა სოციალური რევოლუცია არ იყო. ბუნებრივია, რომ ისმის კითხვა მაშ რა იყო იგი? კილონის აჯანყებაზე საუბარი ასევე გადაჭარბებულად შეიძლება მივიჩნიოთ რადგან ეს არ არის აჯანყება ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. იქნებ უფრო ადეკვატურად ასახავდეს ვითარებას „კილონის ამბოხი" ან „კილონის შეთქმულება". სხვათა შორის, სწორედ ამ კონტექსტში აქვს მოხსენიებული კილონის გამოსვლა პლუტარქეს (93; 149; 249; გვ. 149-150; 132 გვ. 170-171; 170; გვ. 295).

ამრიგად, კილონის აჯანყებაზე გრ. ნათაძის ნაშრომი ახალი და ორიგინალურია. 1. გრ. ნათაძემ პირველმა ისტორიოგრაფიაში კილონის აჯანყების დათარიღება დაუკავშირა ჰექტემორებს. მართალია, კილონის აჯანყების დროს მე-7 საუკუნეში ჰექტემორები კიდევ არსებობდნენ, მაგრამ სოლონის რეფორმების შემდეგ ქრ. შ-მდე 594 წელს გაქრნენ, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ ჰექტემორების კილონის აჯანყებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. 2. გრ. ნათაძე ცდილობს უგულებელყოს ლიტერატურაში გაბატონებული აზრი, რომ კილონის აჯანყება არ იყო ტირანობის მცდელობა. 3. გრ. ნათაძე ცდილობს განსაზღვროს, გამოარკვიოს კილონის აჯანყების სიმპტომატური მნიშვნელობა. ორივე ეს მოსაზრება სადავოა, მაგრამ მას ისევე აქვს მოქალაქეობის უფლება როგორც ლიტერატურაში გავრცელებულ სხვა შეხედულებას.

დასკვნაში გრ. ნათაძე ცდილობს შეაჯამოს ჩატარებული კვლევის შედეგები. იგი განსაკუთრებით ჩერდება სოლონის რეფორმაზე და აღნიშნული საკითხის შესახებ ქართველ მკითხველს მცირე ინფორმაციას აწვდის. ავტორი ხაზს უსვამს სოლონის კანონმდებლობის პროგრესულ ისტორიულ მნიშვნელობას. გრ. ნათაძის შეხედულებით „სოლონის მიერ შემოღებული ცვლილებების მნიშვნელობა იმაში ყოფილა რომ გლეხი პირადად განთავისუფლდა და მას მისცემია საშუალება საერთო ბრძოლისა თავისი წოდებრივი უფლებებისათვის" (513; გვ. 110; 131).

უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი დაინტერესებული იყო, რომ ქართულ უნივერსიტეტს ჰყოლოდა მსოფლიო ისტორიაში პროფესორი, კვალიფიცირებული, საქმისმცოდნე სპეციალისტი, პროფესიონალი. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით გრ. ნათაძემ მიიპყრო ივ. ჯავახიშვილის ყურადღება. უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი არჩევანში არ შემცდარა. მართლაც, გრ. ნათაძეზე უკეთესი კანდიდატის შერჩევა იმ დროს ძალზე ძნელი იქნებოდა. გრ. ნათაძეს გააჩნდა ყველა ის თვისება რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროებოდა მსოფლიო ისტორიის მომავალ მკვლევარს. აქ პირველ რიგში, ცხადია, იმას ვგულისხმობთ, რომ მან შესანიშნავად იცოდა როგორც ევროპული გერმანული და ფრანგული, ისე კლასიკური ძველი ბერძნული და ლათინური ენები, რაც ივ. ჯავახიშვილის თვალში მსოფლიო ისტორიის

სფეროში ნაყოფიერი მუშაობის საიმედო გარანტია ჩანდა. ჩვენი აზრით, შეიძლება ითქვას რომ ივ. ჯავახიშვილის იმედები გრ. ნათაძემ მსოფლიო ისტორიის კვლევის და სწავლების საქმეში სავსებით გაამართლა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროისათვის როდესაც გრ. ნათაძე წერდა თავის ნაშრომს ევროპელმა მეცნიერებმა ამ პრობლემას უკვე მოხადეს ნაღები და ამიტომ სამართლიანი არ იქნებოდა გრ. ნათაძეს მოვთხოვოთ კონკრეტული საკითხების ახლებური, ორიგინალური, ნოვატორული ინტერპრეტაცია. სრულიად საკმარისად მიგვაჩნია რომ მას ამ რთული პრობლემების შესახებ თავისი აზრი გააჩნია. ამ თვალსაზრისით გრ. ნათაძის ნაშრომი, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში. ეს იყო საკითხის ერთი მხარე. ჩვენ მაინც ისე გვესახება რომ ეს არის არა იმდენად წმინდა ისტორიული კვლევა რამდენადაც ისტორიოგრაფიული. ამ კუთხით მისი სამეცნიერო ღირებულება გაცილებით უფრო დიდია. სამწუხაროდ უნდა. ითქვას, რომ საკუთრივ კილონის აჯანყების გაშუქების დროს ავტორი არღვევს ამ ტრადიციას და საკითხის ისტორიოგრაფიას რატომღაც გვერდს უვლის. ისტორიოგრაფიული მასალის განხილვა საინტერესოა და სიახლის ელფერი დაკრავს. ამ ნაწილში გრ. ნათაძე უფრო ახერხებს თავისი სათქმელის თქმას და სიახლეების შეტანას. საბერძნეთის უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში გრ. ნათაძის დამსახურება, ჩვენი აზრით, სწორედ ამაშია. ამით მან წვლილი შეიტანა საქართველოში ძველი საბერძნეთის ისტორიის შესწავლის საქმეში და იგი, დ. უზნაძესთან და ალ. წერეთელთან ერთად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველი საბერძნეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებლად მოგვევლინა.

თავი III

გრ. ნათაძე ქართული მედიევისტიკის მესაძირკველე

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ თვისებრივად ახალი ფურცელი ჩაწერა ქართული მედიევისტიკის განვითარების ისტორიაში. ფაქტობრივად, აქედან იწყება საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის მეცნიერული კვლევა და სწავლება.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამდე საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაში არსებითი არაფერი შექმნილა. ეს არცაა გასაკვირი. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზრს, ცხადია, გაცილებით ნაკლებად აწუხებდა, ვიდრე ახალი ისტორიის მიმდინარე საკითხები (ფაქტობრივად, მათთვის ეს ხომ თანამედროვე ისტორია იყო). ამ ფონზე ერთადერთ ბედნიერ გამონაკლისად შუა საუკუნეების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გვეელინება, რომლის მიმართაც ქართული საზოგადოება ყოველთვის განსაკუთრებულ კეთილგაწყობას იჩენდა. ასე აღმოჩნდა ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში ასწლიანი ომის დროს, XV საუკუნის დასაწყისში, ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი მთავარი გმირი „ორლეანელი ქალწული" ჟანა დარკი და XV საუკუნის დასაწყისში ჩეხეთში რელიგიურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცი იან ჰუსი (95). მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება ის დიდი პოპულარობა, რომლითაც სარგებლობდა საქართველოში XIX საუკუნის დასასრულს ფრიდრიხ შილერის დრამა „ვილჰელმ ტელი", რომელიც ეხებოდა შუა საუკუნეების განმათავისუფლებელ მოძრაობას. შკეიცარიელი ხალხის ბრძოლა ავსტრიელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ (99; 47; 60; 134; 477; 431; 291; 436; 437).

ალბათ, შორს არ ვიქნებით ჭეშმარიტებისაგან თუ ვიტყვით, რომ გრ. ნათაძე ქართული მედიევისტიკის კორიფეა, ხოლო მისი გამოკვლევები ქართული მედიევისტიკის კლასიკაა. ქართულ სინამდვილეში გრ. ნათაძე იყო ერთადერთი მკვლევარი, რომელიც წმინდა მედიევისტიკის პრობლემებს ამუშავებდა. ჩვენი აზრით, ქართული მედიევისტიკის წინაშე გრ. ნათაძის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ: 1. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის კვლევას და სწავლებას, 2. გრ. ნათაძემ პირველმა სცადა შეექმნა უმაღლესი სასწავლებლებისათვის შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, 3. გრ. ნათაძემ გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯი შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის შესწავლის საქმეში, 4. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად გრ. ნათაძემ ჩაუყარა საფუძველი შუა საუკუნეების ისტორიის ქართულ

ტერმინოლოგიას, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ შემდგომში მის მიერ შემოთავაზებული ყველა ტერმინი და სახელწოდება როდი დამკვიდრდა, რაც, ვფიქრობთ, ოდნავადაც არ ამცირებს მის დამსახურებას, 5. გრ. ნათაძემ დაიწყო და შემდეგ ალ. ნამორაძემ განაგრძო, ქართული მედიევისტიკის სკოლის ჩამოყალიბება. ქართული მედიევისტიკის წინაშე გრ. ნათაძის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად ალ. ნამორაძის ხელისშეწყობა, წინ წამოწევა და გ. ტივაძის წარმოჩენა, ჩამოყალიბება მიგვაჩნია.

აღსანიშნავია, რომ გრ. ნათაძემ მედიევისტიკის პრობლემების დამუშავებას ხელი მოკიდა 20-იან წლების შუა ხანებში, უკვე ჩამოყალიბებულმა მკვლევარმა ამ სფეროში მან თითქმის მთელი 20 წელი იმუშავა და საკმაოდ ნაყოფიერად იღვწოდა. გრ. ნათაძის ამ შრომების მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის ძალზე დიდია და ამ გამოკვლევებით მან არსებითად საფუძველი ჩაუყარა ქართულ მედიევისტიკას. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე გრ. ნათაძის დამსახურების „ლომის წილი" სწორედ მედიევისტიკის პრობლემებზე მოდის. ერთი სიტყვით, ქართულ ისტორიოგრაფიაში გრ. ნათაძე გვევლინება პირველ მეცნიერ-მედიევისტად, რომელიც, ვფიქრობთ, დღემდე რჩება ქართულ სინამდვილეში ადრეული შუასაუკუნეების ისტორიის საუკეთესო სპეციალისტად (თუ ეს ერთი მხრივ გრ. ნათაძის დიდი მიღწევაა, მეორე მხრივ ეს შემდგომი პერიოდის ქართული მედიევისტიკის სერიოზული ჩამორჩენაა).

გრ. ნათაძის მოღვაწეობა მედიევისტიკის სფეროში ორ ეტაპად შეიძლება გავყოთ. 20-იან წლებში იგი, როგორც მედიევისტი არსებითად მეცნიერული გზით მიდიოდა და ევროპულ ისტორიოგრაფიაზე იყო ორიენტირებული, ხოლო 30-იანი წლებიდან იგი იძულებულია დაემორჩილოს ბოლშევიკურ-ტოტალიტარული სახელმწიფოს დიქტატს, რაც უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ ცდილობს ეკონომიური მატერიალიზმიდან მარქსიზმისაკენ ევოლუციას.

ვიდრე კონკრეტულად ვისაუბრებთ გრ. ნათაძეზე როგორც მედიევისტზე, მანამდე აუცილებლად საჭიროა ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, შევჩერდეთ მის თეორიულ კრედოზე. როგორი იყო მისი ისტორიული კონცეფცია? მით უმეტეს, რომ ამ საკითხის გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს და პრაქტიკულად გრ. ნათაძის მსოფლმხედველობის გასაღებს ჩაგვიგდებდა ხელში. გრ. ნათაძე ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრეა და ეკონომიკური მატერიალიზმისაკენ უფრო იხრება. სწორედ ამით აიხსნება სოციალ-ეკონომიკური პრობლემატიკით მისი დიდი დაინტერესება, ხოლო პოლიტიკური ისტორია და კულტურა ძალიან მკრთალად, სუსტადაა გაშუქებული. ასეთი მიდგომა გვხდება მის შრომებში ინგლისის ისტორიაზე, კილონის შეთქმულებაზე, საქართველოს ისტორიის სოციოლოგიურ მიმოხილვაში, შუა საუკუნეების ისტორიის ორივე სახელმძღვანელოში. რა თქმა უნდა, ისტორიის ამგვარი ხედვა ცალმხრივია და მიუღებლად მიგვაჩნია.

***

გრ. ნათაძემ ძალიან კარგად დაინახა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება ყოვლად წარმოუდგენელი იყო მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურის გარეშე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იგი მშობლიურ უნივერსიტეტში მოსვლის პირველი დღიდანვე შეუდგა ზრუნვას ამ საკითხის მოსაგვარებლად. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე გრ. ნათაძის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი სამი წიგნი: „ინგლისის მოკლე ისტორია (1919), „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია" (1926) და „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია" (1933). დავიწყოთ „ინგლისის მოკლე ისტორიით".

წიგნის მეცნიერულ ღირებულებას, პირველ ყოვლისა, მისი შემეცნებითი მნიშვნელობა განსაზღვრავს. აი, რას წერდა გრ. ნათაძე თავისი წიგნის შესავალში - „ეს წიგნი დაიწერა მაშინ, როდესაც ჩვენში ქართულ ენაზე სწავლა-განათლების საქმის ფართოდ მოწყობა, როგორც ამჟამად არის განზრახული, არ იყო ჯერ ნაფიქრიც კი. მაშინ, ამ წიგნს ერთადერთი მნიშვნელობა ის უნდა ჰქონოდა, რომ მკითხველთა ფართო წრისათვის გამომდგარიყო. ეს მნიშვნელობა ამჟამადაც იგივე დარჩა. ესე, რომ ავტორს სრულიადაც არ აქვს აზრად, ამ წიგნმა უკვე მომზადებულ მკითხველს გაუწიოს დახმარება ინგლისის ისტორიის შესწავლაში. იგი გამოდგება ისევ მკითხველთა ფართო წრეებისათვის და შესაძლოა, საშუალო სასწავლებელთა მოწაფეთაც დახმარება გაუწიოს. სხვა დანიშნულებისათვის წიგნი მეტისმეტად მოკლეა (78, გვ. 4). გრ. ნათაძეს ეს წიგნი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ჰქონია დაწერილი, მაგრამ მისი გამოქვეყნება მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოუხერხებია, როდესაც კიდევ უფრო აქტუალური გახდა ქართულ ენაზე სწავლა-განათლების მოწყობა. უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძემ თავის მისიას წარმატებით გაართვა თავი და ქართულ საზოგადოებას მიაწოდა მოკლე, გაბმული ინფორმაცია ინგლისის ისტორიაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევდა, არა მარტო საშუალო სკოლის მოწაფეებს, არამედ სტუდენტებსაც და მასწავლებლებსაც, რომლებსაც არ გააჩნდათ ლიტერატურა მშობლიურ ენაზე ინგლისის ისტორიაზე. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით შემდგომ პერიოდში მდგომარეობა უკეთესობისაკენ ბევრად არ შეცვლილა. მნიშვნელოვანწილად ამ ხარვეზს ავსებს რ. გაჩეჩილაძის ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომი „ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა" (18).

გრ. ნათაძის წიგნი „ინგლისის მოკლე ისტორია" გამოვიდა დამოუკიდებელ საქართველოში და, ცხადია, თავისუფალი იყო ყოველგვარი იდეოლოგიური ზეწოლისაგან. იგი ემყარება იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომელიც გაჩნდა რუსულ და ნაწილობრივ ევროპულ ისტორიოგრა-

ფიას. სხვათა შორის, ეს საკმაოდ კარგად ჩანს იმ ძირითადი ლიტერატურიდან, რომელსაც მიუთითებს. ეს სია საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. მას გამოყენებული აქვს: პ. ვინოგრადოვის, დ. პეტრუშევსკის, რ. ვიპერის, ნ. კარეევის, ა. ტოინბი (უმცროსის), რ. გნეისტის და სხვათა შრომები. ამ სერიოზული შრომების „უმთავრეს წყაროებში" მოხსენიება, როგორც ამას აკეთებს გრ. ნათაძე, საკამათო უნდა იყოს და უხერხულად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ამ შრომებში თავმოყრილი ძირითადი პირველწყაროების გამოყენება სავსებით ბუნებრივია. მაგრამ, ცხადია, ეს არ იძლევა საფუძველს ვუწოდოთ მას „უმთავრესი წყაროები" (78. გვ. 4). ეფიქრობთ, აქ გაცილებით უფრო ადეკვატური იქნებოდა უბრალო კლიშე „გამოყენებული ლიტერატურა". [illegible], სასურველი იქნებოდა აქ რუსი ისტორიკოსის ა. [illegible]ის წიგნის „ამბები ინგლისის ისტორიიდან. XI საუ[illegible]ნიდან XIX საუკუნის დამლევამდის" მითითება, რომელიც ქართულ ენაზე იყო თარგმნილი (12.).

მისაბაძი უნდა იყოს გრ. ნათაძის თვითკრიტიკული დამოკიდებულება ნაშრომისადმი. „ზოგიერთი ადგილი შეიძლება კარგად გაშუქებული და სავსებით ნათელი არ აღმოჩნდეს. მაგალითად, ქრისტიანობის გავრცელების ძირითადი მიზეზები, პირველი უთანასწორობის წარმოშობა და მსხვილი მესაკუთრეობის დამყარება, ფეოდალური სისტემის შექმნა. ყველა ამის დაწვრილებით აღწერას ჩვეულებრივ უკავშირებენ კონტინენტის ისტორიას და ინგლისის ისტორიაში მხოლოდ აღნიშნავენ იმას თუ რა თავისებურება იყო იქ, მაგრამ რადგან ქართულ ენაზე ევროპის კონტინენტის ამგვარი ისტორია არ არსებობს, საკითხის გასაშუქებლად მე მაინც მოკლედ შევეხე ფეოდალიზმის წარმოშობას და ქრისტიანობის საქმეს და, შეიძლება საკმაოდ ნათელი არ ეფინება, რადგან სულ გვერდის ახვევაც არ შეიძლებოდა, ხოლო დაწვრილებით აღწერა საგანს პირდაპირ არ შეეხებოდა.

შემდეგი საუკუნეების აღწერა ცოტა უფრო დეტალურია. რასაკვირველია, შესაძლოა და, უეჭველად, ასეც იქნება, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო გამოწვეულ ნაკლთა გარდა, ბევრი სხვა ნაკლიც შეიძლება აღმოჩნდეს წიგნში. პირუთვნელი კრიტიკა ამას აღნიშნავს და თუ საჭირო აღმოჩნდება, როდესმე მეორედ გამოცემა ამ წიგნისა. შეეცდები ყოველივე ნაკლის შესწორებას და ახალი მოთხოვნების თანახმად წიგნის გაფართოებას.

ამჟამად. მხოლოდ ერთს ვთხოვ მკითხველსა და კრიტიკას, წიგნის მიუდგომლად შეფასების დროს პირადად მე მკაცრ მოთხოვნებს ნუ წამომიყენებს, ვინაიდან ზემოაღნიშნულ გარემოებათა გარდა, ბევრი სხვა რამ უშლიდა ხელს გულდასმით მუშაობას და რაც უფრო საყურადღებოა ეს წიგნი პირველი ცდა არის" (78. გვ. 4). გრ. ნათაძის ამ ბოლო ფრაზებს კიდევ უფრო დავაკონკრეტებდით და ვიტყოდით, რომ როგორც უკვე ითქვა, მისი წიგნი ქართველი მკვლევარის მიერ ამ ქვეყნის ისტორიის წარმოჩენის პირველი ცდაა და ისტორიული მეცნიერების სფეროში გრ. ნათაძის პირველ სერიოზულ მცდელობად გვევლინება.

ძნელი სათქმელია, თუ რატომ მიაკუთვნებს პროფ. ალ. ნამორაძე გრ. ნათაძის ამ წიგნს ახალ ისტორიას (517. გვ. 374). ეს არის ინგლისის ისტორიაზე დაწერილი წიგნი, რომლის მიკუთვნება კონკრეტულად რომელიმე ეპოქისადმი სადავო უნდა იყოს. მით უმეტეს, როგორც თვით ბ-ნ ალექსანდრე აღნიშნავს, ეს წიგნი იწყება ინგლისის ძველი ისტორიით და მთავრდება XIX საუკუნის მიწურულით. იქნებ ეს გაუგებრობა ლაფსუს-კალამად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ღვაწლმოსილ მეცნიერს მოუვიდა?

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი თავისი პირველი წიგნის თემად გრ. ნათაძემ რატომ მაინცდამაინც ინგლისის ისტორია აირჩია, მით უმეტეს, რომ იგი ინგლისურ ენაში ნაკლებად გაწაფული იყო. ამ შემთხვევაში, ცხადია, გაცილებით უფრო ლოგიკური იქნებოდა გერმანიის ან საფრანგეთის ისტორიაზე დაეწერა, ვინაიდან ეს ენები მან კარგად იცოდა, მაგრამ არა, პირველი სერიოზული ნაშრომი მან სწორედ ინგლისის ისტორიაზე დაწერა. რატომ? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გრ. ნათაძეს როგორც ესერთა პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა აგრარულ საკითხს, ინგლისის ისტორიით იმიტომ დაინტერესდა, რომ აგრარული პრობლემა ამ ქვეყნის ისტორიაში დიდ როლს ასრულებდა. შესაძლოა, „ინგლისის მოკლე ისტორიაში" გრ. ნათაძემ ქართველ მკითხველს დაუხატა ქვეყნის აგრარული განვითარების ერთ-ერთი გზა, მოდელი. ამიტომ, საკითხავ წიგნში დიდი ყურადღება ექცევა ინგლისის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო პოლიტიკური ისტორია ჩრდილშია მოქცეული. შედარებით მკრთალადაა წარმოჩენილი. ნაშრომის ამ პრინციპებზე აგება, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ უფრო საინტერესო იყო ყველა საკითხი შეწონასწორებულად, თანაბრად ყოფილიყო განხილული.

წიგნში ინგლისის სოციალ-ეკონომიკური ისტორია დამაჯერებლადაა გაშუქებული, რაც მის ერთ-ერთი დადებითი მხარეა, თუმცა, მეორე მხრივ უნდა ვაღიაროთ, რომ ფართო მკითხველზე გაანგარიშებული ნაშრომის ამ თემატიკით გადატვირთვა ცოტათი ამძიმებს. აქ უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, რომ ამ პოპულარული ხასიათის წიგნში აღნიშნული პრობლემებისათვის ასეთი დიდი ადგილის დათმობა შეიძლება გადაჭარბებული იყოს. ამის მიზეზები გრ. ნათაძის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძებოთ. იგი, ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრეა და „ეკონომიკური მატერიალიზმისკენ" უფრო იხრება, რაც რუსი ისტორიკოსების, პირველ რიგში კი, ივ. ლუჩინსკის და რ. ვიპერის გავლენის შედეგია.

საკითხავ წიგნში ყურადღებას იპყრობს ინგლისის ისტორიის პერიოდიზაცია და ეს გრ. ნათაძის ნაშრომის კიდევ ერთი დადებითი მხარეა. ეს მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში გრ. ნათაძე არ განიცდიდა რაიმე იდეოლოგიურ ზეწოლას და იგი ევროპული ისტორიოგრაფიის ტრადიციებს მიჰყვება, თავისუფალი აზროვნების პოზიციებზე დგას. სავსებით ვიზიარებთ გრ. ნათაძის მოსაზრებას, როდესაც ახალ ისტორიას, ეფიქრობთ, სავსებით მართებულად იწყებს, თიუდორთა ტახტზე ასვლით.

„მეთექვსმეტე საუკუნიდან იწყება ინგლისის ნამდვილი ახალი ისტორია (78. გვ. 53) - დასძენს გრ. ნათაძე. ეს მართლაც მნიშვნელოვანი ტეხილი იყო ქვეყნის ისტორიაში. თიუდორებმა წერტილი დაუსვეს ხანგრძლივ გაჭიანურებულ შინაომს ალისფერ და თეთრ ვარდებს შორის და დაამყარეს სტაბილური ვითარება, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ აყვავებას და სწრაფ განვითარებას (454; 474). ჩვენი აზრით, ინგლისის ისტორიის პერიოდიზაცია გაცილებით უფრო ადეკვატურად ასახავდა სინამდვილეს, ვიდრე ის, რომელიც შემდგომში მიღებული და აღიარებული იქნა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (434, 433).

ვფიქრობთ, საჭირო იყო წიგნში კიდევ უფრო ფართოდ ყოფილიყო გაშუქებული ინგლისის პოლიტიკური ისტორია და კულტურა. ძალიან მწირი ინფორმაციაა რომაელთა ბატონობაზე ბრიტანეთში, ანგლო-საქსების ბრძოლაზე დანიელების წინააღმდეგ. მეფე ალფრედის (871-900) მოღვაწეობაზე, მის კულტურულ საქმიანობაზე, რეფორმებზე. ასწლიან ომზე (1337-1453), ალისფერი და თეთრი ვარდების ომზე (1455-1486). წიგნში თითქმის არაფერია ნაოქვამი ინგლისური კულტურის თაობაზე და ადრე შუა საუკუნეების თვალსაჩინო მოაზროვნეებზე, ბედაპატივსაცემზე, ინგლისური ლიტერატურის თანავარსკვლავედზე: ჩოსერზე, შექსპირზე, მარლოზე, სვიფტზე, დეფოზე და სხვ. ეს საკითხები, ეჭვს გარეშეა, რომ შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს და იგი ფართო საზოგადოებისათვის გაცილებით უფრო საინტერესო გახდებოდა. შედარებით უფრო უკეთესადაა გაშუქებული ახალი დროის ინგლისის პოლიტიკური ისტორია.

ვფიქრობთ, მკაფიოდ, ხაზგასმით უნდა ყოფილიყო გამოკვეთილი ინგლისის ისტორიაში ცალკეული პიროვნებების როლი და ადგილი. ალფრედ დიდი, ჰენრი II, ედუარდ IV, ჰენრი VII, ჰენრი VIII, ელისაბედი, მარიამ სტიუარტი; კრომველი, უილიამ პიტი (უფროსი), უილიამ პიტი (უმცროსი), რობერტ პილი, ლორდი პალმერსტონი, გლადსტონი, დიზრაელი. მკითხველისათვის ამ თემის წინა პლანზე წამოწევა ასევე ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა.

გრ. ნათაძე მოგვითხრობს რა ინგლისის ისტორიის მთელ რიგ დიდ მნიშვნელოვან მოვლენებზე, რატომღაც იშვიათად მიუთითებს კონკრეტულ თარიღებს. ასე მაგალითად, მითითებული არაა ცეზარის შეკრა ბრიტანეთში ქრისტიანობამდე 54 წელი, რომის მიერ ბრიტანეთის დაპყრობა ქრისტიანობის 43 წელი, ასწლიანი ომი (1337-1453), უოტ ტაილერის აჯანყება (1381), ალისფერი და თეთრი ვარდების ომი (1455-1485), ელისაბედის ზეობა (1558-1603), აქტი სუპერმატიის შესახებ (1534), უძველესი არმადის განადგურება (1558), სანავიგაციო აქტი (1651) და სხვ.

ის გულგრილი დამოკიდებულება, რომელსაც გრ. ნათაძე იჩენდა უილიამ დამპყრობლის ვაჟის - უილიამ ქერას (1087-1110) მიმართ, გასაკვირი არ უნდა იყოს, და სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან გავრცელებული იყო. შემდგომში გამოითქვა განსხვავებული თვალსაზრისიც. თანამედროვე ინგლისელმა ისტორიკოსმა, ლონდონის უნივერსიტეტის მასწავლებელმა ემა მეისონმა თავის ნაშრომში „უილიამ ქერა, სინამდვილე თუ მითი" ხმა აღიმაღლა მისი მოღვაწეობის მკვეთრად ნეგატიური შეფასების წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა, რომ ის იყო უილიამ დამპყრობელის პოლიტიკის გამგრძელებელი. (609, გვ. 242), უფრო უკეთესი იქნებოდა გვეთქვა არა უილიამ წითელი, არამედ უილიამ ქერა ანდა წითური.

ჰენრი I (1110-1135) მოღვაწეობის დადებითი შეფასება, რა თქმა უნდა, სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, თუმცა, შესაძლოა, გრ. ნათაძე ცოტათი აჭარბებდა მის დახასიათებას და მისი მოღვაწეობის იდეალიზაციისაკენ იხრებოდა.

საფიქრელია, რომ რიჩარდ III (1483-1485) გრ. ნათაძის დამოკიდებულება ნეგატიური შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან რიჩარდის როლის ასეთი ინტერპრეტაცია დომინირებდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაში, თუმცა ეს სრულიადაც არ ამართლებს მისი მოღვაწეობისადმი საერთოდ გვერდის ავლას, როგორც ეს გრ. ნათაძის წიგნშია.

ანგლო-საქსების სოციალური ყოფის დასათაურება „ძველი ინგლისის სოციალური წეს-წყობილება" დაბნეულობას იწვევს და უხერხულად მიგვაჩნია (78. გვ. 11-14). ტერმინი ძველი ადეკვატურად არ ასახავს ვითარებას და სინამდვილეში ეს იყო ადრეული შუა საუკუნეები.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ტერმინის „ინგლისი" ხმარება ადეულ შუა საუკუნეებში ნაადრევი უნდა იყოს. ისტორიულად ეს ტერმინი გაჩნდა გაცილებით უფრო გვიან XI საუკუნეში, როდესაც საბოლოოდ დასრულდა ეთნოგენეზისის პროცესი. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ტერმინი „ინგლისური ენა" სწორედ XI საუკუნეში ჩნდება (427).

გრ. ნათაძის მიერ შემოთავაზებულ ტერმინმა „ანგლო-საქსონელები" სამეცნიერო ლიტერატურაში ფეხი ვერ მოიკიდა და სადღეისოდ მიღებული და აღიარებულია „ანგლო-საქსები"

გრ. ნათაძე, აჭარბებდა როდესაც წერდა, ინგლისში გასალაშქრებლად უილიამ დამპყრობელმა 50000 ჯარისკაცი შეკრიბაო (78. გვ. 16): შესაძლოა, ეს კორექტურული შეცდომა იყოს: როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ყველაზე უფრო რეალურია, რომ უილიამის ლაშქარი 5000 კაცს არ აღემატებოდა.

წიგნში გაპარულია ზოგიერთი ფაქტობრივი ხასიათის უზუსტობა. გლეხებს ერთგულებაზე ფიცი უილიამმა დაადებინა არა 1080 წელს, როგორც ეს არის აღნიშნული გრ. ნათაძის წიგნში, არამედ უფრო გვიან 1087 წელს (78. გვ. 16). უოტ ტაილერის აჯანყების დროს ინგლისის მეფე რობერტ I კი არ იყო, არამედ რიჩარდ II (1377-1399), (78, გვ. 16).

როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, XIX საუკუნის ინგლისის ისტორია წიგნში სქემატურადაა განხილული, რაც მისი აზრით, მნიშვნელოვანწილად იმითაა განპირობებული, რომ თურმე თავდაპირველად ავტორს უნდოდა,

„აღეწერა მოკლედ ინგლისის წარსული მეთვრამეტე საუკუნემდე. მაგრამ, რადგანაც მოუმზადებელი მკითხველისათვის ისტორია სრულიად გაუგებარი იქნება, თუ მან არ იცის რა კავშირი არსებობს წარსულსა და ახალანდელ დროს შორის. მე შევეცადე, ინგლისის წარსული დამეკავშირებინა მეცხრამეტე საუკუნესთან, ისე კი, რომ ამ საუკუნის ისტორია არ ჩართულიყო შიგ. ამიტომ მე დავხატე მეტისმეტად შემოკლებული და ზოგადი სქემა მეცხრამეტე საუკუნის ისტორიისა, რომელიც სრულიად განსაკუთრებული ისტორიის საგანია და უნდა ვრცლად და დიდის შემზადებით დაიწეროს. ცოტად თუ ბევრად, სისტემური ისტორია ამ წიგნში მოთხრობილია. მაშასადამე, მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდე, როდესაც ჩემის აზრით, დაიწყო ახალი ინგლისის წარმოშობა, განსაკუთრებით სამრეწველო რევოლუციის შემდეგ.

ამიტომ, თვით სამრეწველო რევოლუციაც, რომელსაც ბევრად მეტი ადგილი და ყურადღება უნდა დასთმობოდა ინგლისის ისტორიაში, მე სათანადოდ არ ავწერე იმ მოსაზრებით, რომ ეს შეადგენს XIX საუკუნის ისტორიის საფუძველს. მაშასადამე, სქემატური აღწერაც სწორედ ამ დროიდან დავიწყე" (78. გვ. 3). ამ ფონზე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისის ისტორია უფრო უკეთესად გვესახება გაშუქებული, ვიდრე XIX საუკუნის პირველი ნახევარი (127).

ამრიგად, გრ. ნათაძის წიგნი „ინგლისის მოკლე ისტორია" XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ვფიქრობთ, გრ. ნათაძემ წარმატებით გაართვა თავი მიზანს: ესაა საქმის ცოდნით, სიყვარულით დაწერილი წიგნი, სადაც ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცოტათი თუ ბევრად სისტემური ისტორიაა ამ წიგნში მოთხრობილი". აქ თავმოყრილი ფაქტობრივი მასალა იმ დროისათვის უეჭველად, ღირებული იყო. ჩვენი აზრით, წიგნს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა შედარებით ფართოდ რომ ყოფილიყო წარმოჩენილი ინგლისის პოლიტიკური ისტორია და კულტურა. ინგლისის ისტორიისა და კულტურის ცალკეული ბრწყინვალე წარმომადგენელი.

* * *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრ. ნათაძე არ დაკმაყოფილდა ერთი ქვეყნის ისტორიაზე სახელმძღვანელოს დაწერით და შეეცადა შეექმნა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, რაც ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი ერთ-ერთი სერიოზული დამსახურებაა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი ორი წიგნი „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია" (76; 77). გრ. ნათაძის ეს ნაშრომები იმდროინდელი ქართული მედიევისტიკის შენაძენია, რომელიც მთელი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ქართველი სტუდენტებისათვის იყო სახელმძღვანელო და ფართო მკითხველს წარმოდგენას უქმნიდა მსოფლიოს ისტორიის ამ ურთულესი და ფრიად საინტერესო ეპოქის შესახებ.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძე შუა საუკუნეების სახელმძღვანელოზე ინტენსიურად მუშაობდა 20-იანი წლების შუა ხანებიდან და 30-იანი წლების პირველ ნახევარში, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური ვითარება მკვეთრად იცვლება. საქმე ისაა, რომ 1934 წელს საბჭოთა კავშირში აღდგა სამოქალაქო ისტორიის სწავლება და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთი ბოლშევიკური იდეოლოგიის დიქტატურა, რასაც თან მოყვა მეცნიერების უნიფიკაცია, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ 1938 წელს გამოვიდა შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის ე. კოსმინსკის და ო. ვაინშტაინის რედაქციით, რომლის მიხედვითაც სწავლება სავალდებულო შეიქნა ყველა რესპუბლიკისათვის. ასეთ პირობებში, ცხადია, ადვილი გასაგებია, რომ შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობის გაგრძელებას აზრი ეკარგებოდა (517, გა. 376).

აუცილებლად მიგვაჩნია სულ მოკლედ, ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ სახელმძღვანელოების ძირითად იდეაზე, მით უმეტეს, რომ იგი მეტად თავისებურია. უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძის ისტორიული შეხედულებების ძირითად ლაიტმოტივად გვევლინება დებულება, რომ საზოგადოების განვითარების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა, პრიმატი ეკონომიკურ ფაქტორს ენიჭება. ამიტომ მის სახელმძღვანელოებში, თუ სოციალ-ეკონომიკურ პრობლემატიკას საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა, პოლიტიკური ისტორია და კულტურა ჩრდილშია მოქცეული და გაცილებით მკრთალად, სუსტადაა გაშუქებული. ასეთი ისტორიული კონცეფცია ცალმხრივია.

პირველი სახელმძღვანელო შედგება ორი ნაკვეთისაგან. პირველში განხილულია ისტორია რომის იმპერიიდან ხალხთა დიდ გადასახლებამდე და დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამდე. მეორე ნაკვეთი ეხება ბარბაროსთა სახელმწიფოების ჩამოყალიბებას: ოსტგოთების სამეფო, ანგლო-საქსების სამეფო, ფრანკთა სახელმწიფო მეროვინგების დროს. მეორე სახელმძღვანელო პირობით ორ ნაწილად უნდა გავყოთ: პირველი ნაწილი ფაქტობრივად წინა სახელმძღვანელოს შემოკლებული ვარიანტია, ხოლო მეორე ნაწილი პირველი სახელმძღვანელოს გაგრძელებაა და ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს კაროლინგების აღზევებიდან ინგლისში და საფრანგეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის ჩამოყალიბებამდე.

შეიძლება არ დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, როდესაც ის ამ ორ წიგნს ერთ სახელმძღვანელოდ მიიჩნევს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „მეორე წიგნი იყო შემოკლებული ვარიანტი პირველისა" (490). მიუხედავად ამ ორი წიგნის ერთნაირი სათაურისა, მათ შორის მაინც არსებობს გარკვეული განსხვავება, რომელზე თვალის დახუჭვა, ვფიქრობ უმართებულო იქნებოდა. ალ. ნამორაძის მოსაზრება მხოლოდ მეორე წიგნის პირველ მონაკვეთს ეხება, მეორე წიგნის მეორე ნაწილში კი განხილულია სულ სხვა თემები, რომელიც პირველი წიგნის მეორე ნაწილის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს არის ორი სახელმძღვანელო და არა ერთი, როგორც ამას ალ. ნამორაძე ფიქრობს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მეორე სახელმძღვანელოში შუა საუკუნეების ისტორიის თემატიკა ამოწურულად არაა განხილული. აქ ვგულისხმობთ, რომ სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი შუა საუკუნეების კულტურაზე, პაპობის ისტორიაზე, გამოტოვებულია შუა საუკუნეების ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო და დრამატული მომენტი, ბრძოლა ინვესტიტურისათვის რომის პაპსა და გერმანიის იმპერატორს შორის. „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის შექმნა", რეკონკისტა ესპანეთში. ამ თემების განხილვის გარეშე უმაღლესი სკოლის შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო სრული არ იქნებოდა და, ვფიქრობთ, უფრო ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ამიტომ, ვერ დავეთანხმებით ალ. ნამორაძეს, თითქოს ეს ორი წიგნი წარმოადგენდეს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს (517, გვ. 377). ასეთი მიდგომა საკითხისადმი თავად გრ. ნათაძის მოსაზრებას უნდა ემყარებოდეს. იგი ამ წიგნებს უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოდ აღიქვამდა. ასეთი შეხედულება გადაჭარბებული უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ეს უფრო შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობაა, რაც, სხვათა შორის, სულაც არ ამცირებს გრ. ნათაძის დამსახურებას.

ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, რით იყო განპირობებული მეორე წიგნის დასაწყისში პირველი წიგნის გამეორება? ჩვენი ღრმა რწმენით, ეს უმთავრესად განპირობებული იყო მასალის მარქსისტულ იდეოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანით, რომლის მონოპოლია აზროვნების სფეროში 30-იანი წლების დასაწყისიდან უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს. გრ. ნათაძე ამ ნაბიჯს არც კი გადადგამდა, რომ არა გართულებული პოლიტიკური ვითარება, როდესაც დამოუკიდებლად აზროვნება შეუძლებელი ხდებოდა.

რა თქმა უნდა, ინტერესმოკლებული არ იქნება გავოვარკვიოთ გრ. ნათაძის დამოკიდებულება შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციისადმი. ეს არის საკმაოდ აქტუალური თემა, რომელსაც იგი შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობის დროს, ცხადია, გვერდს ვერ უვლიდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გრ. ნათაძე შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს ასრულებს წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის წარმოშობით საფრანგეთის XIV საუკუნის დასაწყისში. მას მიაჩნია, რომ XIV საუკუნის დასაწყისმა პრაქტიკულად დამთავრდა შუა საუკუნეების ისტორია. ვერ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში გრ. ნათაძე ორიგინალური იყოს და მსგავსი თვალსაზრისი სხვა ევროპულ ისტორიკოსებსაც აქვს გამოთქმული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ XIV საუკუნის დასაწყისში შუა საუკუნეების ისტორიის გასრულება ცოტათი ნაადრევი შეიძლება ჩანდეს და საკამათოა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ თანამედროვე ცივილიზებული ევროპული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული (ამ თემას გრ. ნათაძე საერთოდ გვერდს უვლის.) XIV საუკუნეში დასრულდა შუა საუკუნეების ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც ფეოდალიზმი აღწევს თავისი განვითარების აპოგეას, მწვერვალს. ამის შემდეგ იწყება შუა საუკუნეების ისტორიის თვისებრივად ახალი ეტაპი, რომელიც უკავშირდება კომუტაციას და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას. დგება გვიანი შუა საუკუნეების ეპოქა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ XIII საუკუნის მიწურული და XIV საუკუნის დასაწყისი წარმოადგენდა მნიშვნელოვან მიჯნას შუა საუკუნეების ისტორიის შიგნით და არა მის დასასრულს, როგორც მას გრ. ნათაძე გვიმტკიცებდა. პერიოდიზაციის ამგვარი გააზრება, ჩვენი ღრმა რწმენით, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები, პირველ ყოვლისა, გრ. ნათაძის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძებოთ. ეს იმით აიხსნება, რომ გრ. ნათაძე ემხრობა ისტორიის სოციოლოგიურ გაშუქებას და „ეკონომიკური მატერიალიზმის" გავლენას განიცდის.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სახელმძღვანელოების სათაურში გამოტანილია „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია" და არა, ჩვეულებრივ „შუა საუკუნეების ისტორია", ეს იმით აიხსნება, რომ 20-იანი და 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სინამდვილეში ისტორია სასწავლო სისტემის მიღმა აღმოჩნდა და მისი ადგილი დაიკავა საზოგადოებათმცოდნეობამ. ბუნებრივია, გრ. ნათაძე თავის სახელმძღვანელოს ვერ უწოდებდა „შუა საუკუნეების ისტორია"-ს, რადგან ასეთი საგანი აღარ ისწავლებოდა. იმ პერიოდში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში რატომღაც დაგმობილი იყო მსოფლიოს ისტორიის ტრადიციული სამწევროვანი დაყოფა და ფართოდ მოიკიდა ფეხი „სავაჭრო კაპიტალის" თეორიამ.

პირველ სახელმძღვანელოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა შესავალი ნაწილი, სადაც ჩანს გრ. ნათაძის მისწრაფება გაერკვეს და რეალისტურად წარმოაჩინოს ის სიახლეები, რომელმაც თავი იჩინეს XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ მედიევისტიკაში, კერძოდ კი, ალფონს დოფშის და დიმიტრი პეტრუშევსკის შემოქმედებაში. როგორც ჩანს, გრ. ნათაძე როგორც მედიევისტი რეალისტურად უნდა იყოს ორიენტირებული და სურს ღრმად ჩაიხედოს, კარგად გაერკვეს იმ სიახლეებში, რომელიც ხდება XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ მედიევისტიკაში. ფაქტობრივად იგი საფუძველს უყრის ქართული მედიევისტიკის ევროპულ ორიენტაციას, იგი ცდილობს გაყვეს იმ სიახლეებს, რომელიც ფეხს იკიდებს XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში გრ. ნათაძე იძულებული იყო გადაეხვია არჩეული გზიდან და დამორჩილებოდა ერთი მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიას. უნდა ითქვას, რომ ეს მისთვის როგორც მეცნიერისათვის, ტრაგედია იყო. გრ. ნათაძე მეტად არასასიამოვნო დილემის წინაშე აღმოჩნდა. დადუმებულიყო ან კომპრომისზე წასულიყო (დაუმორჩილებლობის ერთადერთი ალტერნატივა ფიზიკური განადგურება იყო და ამის მაგალითი მრავლად ჰქონდა თვალწინ გრ. ნათაძეს). მან კომპრომისის გზა აირჩია და ამის გამო ძნელია გავამტყუნოთ ღვაწლ-

მოსილი მეცნიერი. წინააღმდეგ შემთხვევაში დღეს ის ცოტაც არ გვექნებოდა, რაც გაგვაჩნია.

პირველი სახელმძღვანელოს შესავალში გრ. ნათაძე აყალიბებს თავის გეგმას. აქ , როგორც თავად აღნიშნავს, ახალს არაფერს ამბობს და დოფშისა და პეტრუშევსკის მიერ დასახულ გზას მიჰყვება. ეს უკვე თავისთავად საინტერესო ფაქტია. შესავალში ყურადღებას იპყრობს დოფშისა და პეტრუშევსკის შეხედულებების დადებითი შეფასება, რაც ამ მონაკვეთის კიდევ ერთი ღირსებაა (76, გვ. 1-7). ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გრ. ნათაძეს უნდოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ა. დოფშის და დ. პეტრუშევსკის ხაზი გაეგრძელებინა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ შემდგომში გრ. ნათაძე იძულებული იყო, აღნიშნული საკითხის შესახებ შეხედულებები მკვეთრად შეეცვალა. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ გრ. ნათაძის ეს მეტამორფოზი გულწრფელი არ იყო და ძლიერი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ზეწოლის შედეგია. ეს იყო აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი, რაც ისტორიის პოლიტიზაციის ნაყოფია. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ 1933 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში, პირველი სახელმძღვანელოს ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთი, შესავალი, გრ. ნათაძემ აღარ შეიტანა.

ამრიგად, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ გრ. ნათაძეს ევროპულ მედიევისტიკაზე ჰქონდა აღებული კურსი და მეცნიერული გზით მიდიოდა, მაგრამ ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მისი, როგორც მეცნიერი მედიევისტის განვითარება მკვეთრად შეფერხდა, რადგან მას თავისუფალი აზროვნების საშუალება მკვეთრად შეეზღუდა. ფართოდ ინერგება ერთი, ბოლშევიკური, მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია, რის შედეგადაც მეცნიერულ აზროვნებას დევნის დოგმატიკური აზროვნება.

გრ. ნათაძე თავისი ჩანაფიქრის თანახმად, ორივე სახელმძღვანელოში გადადის რომის იმპერიის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის განხილვაზე. პირველ ყოვლისა, წარმოიქმნება საკითხი თუ სად გადის ზღვარი ძველ და შუა საუკუნეების ისტორიას შორის. გრ. ნათაძეს, ისე როგორც ისტორიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მიჯნად ძველ ისტორიასა და შუა საუკუნეებს შორის შეიძლება მივიჩნიოთ 476 წელი, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა (76, გვ. 1; 77, გვ. 1).

ჯერ კიდევ ფიუსტელ დე კულანჟი შენიშნავდა, რომ რომის იმპერია იყო განვითარების თვისებრივად ახალი, უფრო მაღალი ეტაპი (415). ფრანგი ისტორიკოსის ეს დაკვირვება საგულისხმოა. შეიძლება დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც ფიუსტელ დე კულანჟის და დოფშის კვალდაკვალ ფეოდალიზმის ფესვებს რომის იმპერიაში ეძებს. კოლონატი, დიდი ლატიფუნდიები, მიწაზე საკუთრება.

ამის შემდეგ ისმის საკითხი, თუ რას წარმოადგენდა შრომის ეკონომიკა ქრისტიანული წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე? უნდა ითქვას, რომ ეს არის საკმაოდ აქტუალური საკითხი და მისი წინ წამოწევა სავსებით გამართლებული და მისასალმებელია. განსაკუთრებით ფასეულია ისტორიოგრაფიული მიმოხილვა. აქედან კარგად ჩანს, რომ გრ. ნათაძე საფუძვლიანად იცნობს იმ დროს ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს და საკითხში ღრმა ჩახედულებას ამჟღავნებს, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი მსჯელობის მეცნიერულ მნიშვნელობას. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს გერმანელმა ისტორიკოსმა კარლ ბიუხერმა წამოაყენა თეზისი, რომლის მიხედვითაც ძველი საბერძნეთის და რომის ეკონომიკა თითქოსდა ჰერმეტულ, კარჩაკეტილ ხასიათს ატარებდა, სადაც აღებ-მიცემობა სრულიად არ იყო განვითარებული (176). ბიუხერის დებულება უმალ მოექცა სპეციალისტების ყურადღების ცენტრში და ფართო მსჯელობის საგნად იქცა. მალე ბიუხერს ოპონენტებიც გამოუჩნდნენ. მათ შორის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი. მან დამაჯერებლად ცხადყო, რომ რომში ვაჭრობა და აღებ-მიცემობა საკმაოდ განვითარებული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მეორე უკიდურესობაში ვარდება და იმ თვალსაზრისს ავითარებს, რომ თითქოს რომში კაპიტალიზმი არსებობდა (318; 367). მართალია, ეს მეორე ტენდენცია გაცილებით უფრო ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან, მაგრამ „ანტიკურ კაპიტალიზმზე" მსჯელობა გადაჭარბებული უნდა იყოს, რაც აღნიშნულ ეპოქაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობის გაზვიადების ლოგიკური შედეგია. გრ. ნათაძე ცდილობს აზრი გამოთქვას ამ რთულ საკითხზე. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ამ ორ სახელმძღვანელოში მოცემულია საკითხის დიამეტრალურად განსხვავებული გადაწყვეტა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ვგულისხმობთ იმას, რომ საბჭოთა კავშირში ამ წლების განმავლობაში დამოუკიდებელი აზროვნების საშუალება „შაგრენის ტყავივით" სულ უფრო მცირდებოდა. პირველ სახელმძღვანელოში იგი მეცნიერულად უდგება საკითხს და უმთავრესად ევროპულ ისტორიოგრაფიას ეყრდნობა. ამიტომ, მისთვის უცხოა საკითხისადმი წმინდა ფორმაციული მიდგომა, რაც სხვათა შორის, ნიშანდობლივია 1933 წელს გამოცემული სახელმძღვანელოსათვის. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ იგი ისწრაფის თავი დააღწიოს ევროპულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ ორივე უკიდურესობას. რა თქმა უნდა, იგი ძალიან კარგად ხედავს, რომ რომის მეურნეობა სულაც არ ატარებდა ჰერმეტულად კარჩაკეტილ ხასიათს, როგორც ამას ბიუხერი ამტკიცებდა, მაგრამ მეორეს მხრივ მის კაპიტალისტურ ხასიათზე საუბარი სიფრთხილეს მოითხოვს. გრ. ნათაძე ხაზს უსვამს, რომ რომის მეურნეობა ანტიკური ეკონომიკის მწვერვალია, სადაც ვაჭრობა და აღებ-მიცემობა საკმაოდ განვითარებული ჩანს (76, გვ. 17). ძნელი სათქმელია, რომ მან შეძლო საკითხის გადაწყვეტა და ეს არც უნდა მოვთხოვოთ, მაგრამ საეჭვო არ უნდა იყოს, რომ სწორი მიმართულებით მიდიოდა. ჩვენი აზრით, საკითხის ასეთი დაყენება გაცილე-

ბით უფრო ახლოა ჰეშმარიტებასთან, ვიდრე წმინდა ფორმაციული მიდგომა, რომელიც გვხვდება მეორე სახელმძღვანელოში. აქ შეიძლება ითქვას, რომ გრ. ნათაძე საკითხს შედარებით ადვილად წყვეტს. „ეს არ არის არც კარჩაკეტილი მეურნეობა, არც კაპიტალიზმი", მარქსმა მას მიწათმფლობელური ფორმაცია დაარქვა (77, გვ. 10). ასე მოინახა გამოსავალი ამ რთული პრობლემიდან. ვფიქრობთ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძნელი პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტის მცდელობასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში ძალად თავსმოხვეულ დოგმატურ მიდგომასთან. იქ, სადაც მეცნიერულ აზროვნებას უჭირს, დოგმატიზმი ძალიან ადვილად პოულობს გამოსავალს.

სახელმძღვანელოებში ამ მონაკვეთის ბოლოს განხილულია რომის პოლიტიკური სტრუქტურა. აქ თავმოყრილი მცირე ინფორმაცია იმ დროისათვის, უთუოდ, საინტერესო იქნებოდა და ქართველ სტუდენტებს, ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნიდა ამ საკითხზე. შესაძლოა, რესპუბლიკის დაცემიდან და იმპერიის დამყარებიდან თხრობის დაწყება ცოტათი შორეული იყოს (76, გვ, 16-29; 77, გვ. 12-22).

ორივე სახელმძღვანელოს მეორე თავში დასმულია ორი პრინციპული საკითხი: რომის ეკონომიკური დაცემა და კოლონატი. პირველ სახელმძღვანელოში ამ საკითხის განხილვა გაჭიანურებულია. აუცილებელი არაა შეჩერება ეგვიპტის მიწათმოქმედებაზე, ალ. მაკედონელის აგრარულ პოლიტიკაზე. ეს ტვირთავს სახელმძღვანელოს და ძირითად თემას გვაშორებს. ამ თვალსაზრისით მეორე სახელმძღვანელოში მასალა შედარებით კომპაქტურადაა დალაგებული და აღსაქმელად უფრო ადვილია (76, გვ. 30-54; 77, გვ. 28-43).

გრ. ნათაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რომის იმპერია უკვე მესამე საუკუნიდან დაცემის გზას ადგას. იგი მისი ეკონომიკური დაქვეითების ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად მიიჩნევს იმას, რომ რომს ყველაფერი მოჰქონდა პროვინციებიდან და თვითონ სამაგიეროდ არაფერს უბრუნებდა, როდესაც ამ პოლიტიკამ ამოწურა თავი, კატასტროფა გარდაუვალი შეიქნა (76, გვ. 30-31; 77, გვ. 23-24). აქ, ალბათ, საჭირო იყო ორიოდე სიტყვის თქმა მონური შრომის არარენტაბელურობაზე, რომელმაც აგრეთვე დიდად შეუწყო ხელი რომის ეკონომიკის კრიზისს(102).

საინტერესოა გრ. ნათაძის მსჯელობა კოლონთა ინსტიტუტის წარმოშობაზე. პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს მისი პოლემიკა ცნობილ ფრანგ ისტორიკოსთან ფიუსტელ დე კულანჟთან, რომელსაც, მისი აზრით, თურმე სათანადოდ არ აქვს გამორკვეული თუ როგორ წარმოიშვა კოლონატი სხვადასხვა ადგილებსა და პირობებში (76, გვ. 40; 413). გრ. ნათაძე კოლონობის აღმოცენების სამ გზას მიგვანიშნებს: ჯერ ერთი, კოლონობა შედგებოდა ყოფილი მონებისაგან, მეორეც ერთი, ეს იყო ქალაქის პლებსი, რომლებიც პოლიტიკური ბრძოლის და მოქალაქეობრივი თავისუფლების ლიკვიდაციის შემდეგ უსახსროდ აღმოჩნდნენ და ფაქტობრივად სხვა არაფერი დარჩენოდათ, რომ იჯარით აეღოთ მიწა და კოლონებად გადაქცეულიყვნენ. დაბოლოს, კოლონებად იქცეოდა უცხოეთიდან მოსული უადგილ-მამულო ხალხი (76, გვ. 35; 77, გვ. 25). წყაროებზე დაყრდნობით ფართოდ არის განხილული კოლონთა უფლება-მოვალეობანი (77, გვ. 23-30). გრ. ნათაძემ მიუთითა, რომ კოლონი მომავალი ფეოდალური საზოგადოების საფუძვლად იქცა (77, გვ. 24). შესაძლოა, ეს პ. ვინოგრადოვის კეთილისმყოფელი გავლენის შედეგი იყო. ჯერ კიდევ პ. ვინოგრადოვი აღნიშნავდა, რომ კოლონის მდგომარეობა ძალიან წააგავდა შუა საუკუნეების ყმა-გლეხების უფლება-მოვალეობას (188).

ამის შემდეგ, ბუნებრივია, ორივე სახელმძღვანელოში განხილულია ძველი გერმანელების ყოფა-ცხოვრება. თემა საინტერესოა და რაც მთავარია აქტუალური. თუ პირველ წიგნში ძველი გერმანელების ყოფა-ცხოვრების განხილვას საკმაოდ ფართო ადგილი ეთმობა, მეორე წიგნში ის გადმოცემულია შედარებით მოკლედ და ლაკონიურად, მაგრამ არის ერთი პატარა განსხვავება. საქმე ისაა, რომ მეორე სახელმძღვანელოში ეს თემა მოთავსებულია რომის ეკონომიკისა და კოლონატისადმი მიძღვნილ მონაკვეთში (77, გვ. 30-43). საქმის ასეთი გადაწყვეტა ვერ გეტყვით რითი იყო გამოწვეული და საკამათოდ მიგვაჩნია. ეს არის სულ სხვა თემა და აუცილებელი იყო მისი ცალკე გამოყოფა, როგორც ეს არის პირველ სახელმძღვანელოში.

1926 წელს გამოცემულ პირველ სახელმძღვანელოში ძველი გერმანელების ისტორიას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მას წიგნის პირველი მონაკვეთის თითქმის ნახევარი უკავია (სულ 62 გვერდი) და არსებითად აღნიშნული პრობლემებისადმი მიძღვნილი საინტერესო ნარკვევია, მაგრამ როგორც სახელმძღვანელო ფაქტობრივი მასალით ცოტა გადატვირთული შეიძლება იყოს. ამ თვალსაზრისით, მეორე სახელმძღვანელოში მასალა გაცილებით კომპაქტურადაა დალაგებული, მაგრამ იგი იდეურად, კონცეფტუალურად, უდავოდ, უფრო ღარიბია, ვიდრე პირველი (76, გვ. 54-118; 47, გვ. 30-43). ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ 30-იანი წლების დასაწყისში ბოლშევიკურ-მარქსისტული იდეოლოგიის მარწუხები სულ უფრო მეტად იგრძნობა. თანდათან მყარდება ერთი იდეოლოგიის მონოპოლია.

ძველ გერმანელებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან რომაელი ისტორიკოსები ცეზარი და ტაციტუსი, რომლებსაც უშუალო შეხების წერტილები ჰქონდათ გერმანელ ტომებთან და კარგად იყვნენ ინფორმირებული თუ რა ხდებოდა მათ უშუალო მეზობლებთან. მათი ცნობები ყოველთვის იწვევდა ისტორიკოსთა დიდ ინტერესს და განაპირობებდა აზრთა სხვადასხვაობას, კამათს, დებატებს, ეს არცაა გასაკვირი. თანამედროვე ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა"

ბუნებრივია, გრ. ნათაძე ჩინებულად იცნობდა უშუალოდ პირველწყაროებს, ცეზარის და ტაციტუსის ცნობებს

და ორიგინალში კითხულობდა მათ. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს ცნობები ქართულ ენაზე დღემდე არ გაგვაჩნია და მისი თარგმნა მიზანშეწონილი იქნებოდა (225). მისასალმებელია, რომ იგი ცდილობს ღრმად ჩასწვდეს და საფუძვლიანად გაერკვეს უშუალოდ პირველწყაროებში და ისწრაფვის საკუთარი დასკვნები გამოიტანოს, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი მსჯელობის ღირებულებას. გრ. ნათაძის ნაშრომის ამ მონაკვეთის კიდევ ერთი ღირსებაა ამ საკითხისადმი მიძღვნილი საკვლევი ლიტერატურის ჩინებული ცოდნა. ევროპელ და რუს ისტორიკოსებთან პოლემიკა ამ რთული საკითხების განხილვას კიდევ უფრო საინტერესოდ აქცევს. ვფიქრობთ, ამ ძნელი პრობლემის შესწავლის საქმეში გრ. ნათაძე უმთავრესად ევროპულ ისტორიოგრაფიაზეა ორიენტირებული და ცდილობს გაერკვეს, ღრმად ჩასწვდეს იმ ნოვაციებს, რომელსაც ადგილი აქვს XX საუკუნის დასავლურ მედიევისტიკაში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გრ. ნათაძის პირველი სახელმძღვანელო, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს გამოჩენილი ავსტრიელი ისტორიკოსის ალფონს დოფშის შეხედულებების წინ წამოწევა, მისი დადებითი შეფასება (76, გვ. 88). როგორც ჩანს, თავდაპირველად XX საუკუნის 20-იან წლებში ქართულ მედიევისტიკას ამ საინტერესო თემაზე მეცნიერული გზა ჰქონია ამორჩეული და ძირითადად ევროპულ ისტორიოგრაფიას ეყრდნობოდა, რომლის გაგრძელებაც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როდესაც თავისუფალი აზროვნება სასტიკად ითრგუნებოდა, ცხადია, შეუძლებელი აღმოჩნდა.

სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობისას უცხოური ტექსტების შეტანას თავისი ახსნა გააჩნდა. გრ. ნათაძე იმედოვნებს, რომ მედიევისტიკის საკითხებით დაინტერესებული სტუდენტი ვალდებულია ერკვეოდეს უცხო ენებში. ეს იყო სავსებით სწორი მიდგომა. აქედან კარგად ჩანს, თუ რაოდენ მაღალ მოთხოვნებს უყენებდნენ იმ დროს სტუდენტებს. სამწუხაროდ, ეს კარგი ტრადიცია შემდგომში თანდათანობით დაიკარგა.

პირველი სახელმძღვანელოს შემდგომი ქვეთავი შეეხება ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო პრობლემას სათემო მიწათმფლობელობას და გერმანიის მარკას. ეს არის ფრიად აქტუალური თემა, რომელსაც ისტორიკოსები ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. ამიტომ საკითხის ისტორიოგრაფიის წინ წამოწევა სავსებით მართლზომიერი იყო. გრ. ნათაძე ამეღავნებს საკითხის ისტორიოგრაფიის საფუძვლიან ცოდნას (მაურერი, ლამპრეხტი, ფუსტელ დე კულანჟი, სიბომი, მეიტლანდი, ვაიცი, როტი, ვიტიხი, კარო, დოფში) რაც, რა თქმა უნდა, მის მსჯელობას სერიოზულ მეცნიერულ იერსახეს ანიჭებს. გრ. ნათაძე აღნიშნავს, რომ ამ საკითხში ისტორიკოსები უმთავრესად ორ ბანაკად გაიყვნენ. თუ თავდაპირველად ისინი გეორგ მაურერის მეთაურობით უფრო იქითკენ იხრებიან, რომ ძველ გერმანელებში არსებობდა გლეხური თემი, მიწაზე კოლექტიური საკუთრებით, „აგრარული კომუნიზმი". XIX-XX საუკუნის მიჯნაზე არაერთი ისტორიკოსი გამოვიდა ამ თეორიის წინააღმდეგ (ფიუსტელ დე კულანჟი, სიბომი, მეიტლანდი, ვიტიხი, მაქს ვებერი, დოფში). გრ. ნათაძეს ეს სიახლეები, ეტყობა, საინტერესოდ ესახება და გარკვეული სიმპათიითაც ეკიდება, თუმცა საბოლოო ჭეშმარიტებად არ მიაჩნია. სავსებით ლოგიკური იყო, რომ 1933 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში თეორიული და ისტორიოგრაფიული საკითხები თითქმის სრულიად ამოღებული იყო და ეს მონაკვეთი მარქსისტულ იდეოლოგიასთან შესატყვისობაშია მოყვანილი. გრ. ნათაძე უმთავრესად განიხილავს ფაქტობრივ მასალას, წყაროებს, ცეზარისა და ტაციტუსის ცნობებს.

. გრ. ნათაძის მისწრაფება გააცნოს სტუდენტებს ევროპულ მედიევისტიკაში არსებული ძირითადი ტენდენციები, სიახლეები და ჩაახედოს ისინი ამ საკითხში, უსათუოდ, მისასალმებელია. ის გარემოება, რომ ამ აქტუალური თემის განხილვისას გრ. ნათაძეს ევროპულ მედიევისტიკაზე აქვს აღებული კურსი XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მედიევისტიკის ერთ-ერთ დიდ მიღწევად მიგვაჩნია (76, გვ. 86).

გრ. ნათაძე ეხება ძველი გერმანელების სოციალურ ყოფას და ურთიერთობებს. იგი გამოყოფს ძველ გერმანელებში ოთხ სოციალურ ფენას. პრინციპები (მეთაურები), თავისუფალნი, ნახევრად თავისუფალნი, მონები (76, 64). ეს დაყოფა მცირე კორექტივების შეტანას საჭიროებს. პროფ. ა. ნეუსიხინი წყაროების ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ძველ გერმანელებში უმთავრესად შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი სოციალური დაჯგუფება: უმაღლესი ფენა ნობილიტეტი, მეორე ფენას წარმოადგენს მეომარ-მიწათმოქმედი, მესამე ფენა არის - სერვები. ეს არის ყველაზე უფრო დაბალი სოციალური ფენა (330, გვ. 163-195). როგორც ა. ნეუსიხინი აღნიშნავს, ძველი გერმანელების საზოგადოების დაყოფა სამ სოციალურ ჯგუფად მოხდა სამხედრო-მიწათმოქმედების საფუძველზე (330, გვ. 195). ბუნებრივია, პატარა კორექტივების შეტანას მოითხოვს ის შინაარსი, რომელსაც გრ. ნათაძე დებს ამ სოციალური ფენების უფლებამოსილებებში.

პირველ სახელმძღვანელოში საინტერესოდაა განხილული ბრძოლა რომსა და ძველ გერმანელებს შორის. იმის ერთ-ერთ მიზეზს, რომ რომმა თითქმის მთელი ოთხი საუკუნე გაუძლო ბარბაროსთა შემოტევებს, გრ. ნათაძე იმაში ხედავს, რომ რომაელები საკმაოდ წარმატებით იყენებდნენ ცნობილ ტაქტიკას „გათიშე და იბატონე". ცეზარის მიერ გალიის დაპყრობის შემდეგ (ქრისტეშობამდე 58-51 წლები) ძლევამოსილი რომი უშუალოდ დაუმეზობლდა გერმანელ ტომებს. მათ შორის შეტაკებები ამიერიდან კიდევ უფრო გახშირდა. სახელმძღვანელოში მოხსენიებულია გერმანელთა ბრწყინვალე გამარჯვება ტევტობურგის ტყეში ქრისტეშობის მე-9 წელს, თუმცა რატომღაც ამ ბრძოლის თარიღი მითითებული არაა (76, გვ. 94-95).

აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელ ბანაკს ემხრობა გრ. ნათაძე გერმანისტების თუ რომანი-

სტების? ამ საკითხშიც გრ. ნათაძეს მეცნიერული გზა აქვს არჩეული და ევროპული ისტორიოგრაფიის ბოლოდროინდელ მიღწევებს ემყარება. იგი გერმანულ-რომაული თეორიის სინთეზისაკენ უფრო იხრება, რომელიც ნელნელა, მაგრამ მტკიცედ იკიდებს ფეხს XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპულ მედიევისტიკაში. „რომი, როგორც სახელმწიფო, რომელმაც განვლო ყველა საფეხური ეკონომიური სტრუქტურისა და მიადგა უკანასკნელს კლასობრივი საზოგადოების მოსპობას და საზოგადოებრივ მეურნეობას, რომელიც ვერ განახორციელა. ამიტომ, ისევ მეურნეობის უმარტივეს საფეხურს დაუბრუნდა, თავიდან დაიწყო. გერმანელები კი, ხალხი, რომელსაც მხოლოდ დაწყებული ჰქონდა თავისი ეკონომიური განვითარება უკლასო საზოგადოებით და საზოგადებრივი მეურნეობით და ახლა შემდეგ კლასობრივ საზოგადოებაზე და კერძო მეურნეობის საფეხურზე გადადის. ეს არის ჩემი აზრით, მთავარი საფუძველი რომაული და გერმანული ცხოვრების შეწყობისა და მათი არევისა" (76, გვ. 111-112).

პირველ სახელმძღვანელოში მოცემულია რომსა და ძველ გერმანელებს შორის ომების პერიოდიზაცია. გრ. ნათაძე ამ ბრძოლას ორ ეტაპად ყოფს. თუ პირველი ეტაპისათვის, ქრისტეშობიდან I-II საუკუნე, დამახასიათებელია რომის აქტიურობა, მეორე ეტაპზე III-V საუკუნეები, მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება, რომმა შეცვალა ტაქტიკა და ახლა უმთავრესად თავდაცვაზე ზრუნავს. ამ ორ მონაკვეთს შორის წყალგამყოფად II საუკუნის მიწურულს, მარკომანული ომებია (165-180) მიჩნეული, რომელიც დ. პეტრუშევსკის თქმით „ ერთგვარი პრელუდიაა ხალხთა დიდი გადასახლების" (76, გვ. 103).

რომსა და ძველ გერმანელებს შორის ბრძოლამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია ხალხთა დიდი გადასახლების დროს, რომლის შესახებაც არის საუბარი პირველი სახელმძღვანელოს გვერდებზე. აღსანიშნავია, რომ 1933 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ეს თემა შეტანილი არ ყოფილა, რაც, ალბათ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ გრ. ნათაძემ პირველ სახელმძღვანელოში მოთავსებული ინფორმაცია საკმარისად მიიჩნია და მისი დუბლირება საჭიროდ არ სცნო. ყოველ შემთხვევაში არა გვგონია, რომ ეს ფაქტი იდეური და პოლიტიკური ზეწოლით ყოფილიყო განპირობებული. საინტერესოდ არის მოთხრობილი რომსა და ვესტგოთებს, სტილიხონსა და ალარიხს შორის ბრძოლა (76, გვ. 104-105).

უნდა ითქვას, რომ თუ ეს ვარაუდი მართალია, მაშინ გრ. ნათაძის ნაბიჯი საკამათოდ მიგვაჩნია. პირველ სახელმძღვანელოში ეს თემა ამოწურული არაა და ფრაგმენტულადაა გაშუქებული. რა თქმა უნდა, მეორე სახელმძღვანელოში მას შეეძლო შეევსო ეს მასალა, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, ასე არ იქცევა. სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი 455 წელს ვანდალების მიერ რომის დარბევაზე, როდესაც მათ პირწმინდად გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს მარადიული ქალაქი, იავარქმნეს კულტურის ძეგლები. ამიერიდან, სიტყვა ვანდალი ყოველგვარი უკულტურობის, ბარბაროსობის სინონიმად იქცა. ამიტომ ამ საკითხის გაშუქება, ვფიქრობთ, საინტერესო იყო და მას გარკვეული შემეცნებითი დატვირთვაც ენიჭება. არავითარი ინფორმაცია არაა სახელმძღვანელოში ლანგობარდების და ბურგუნდების ბრძოლაზე რომის წინააღმდეგ, ჰუნებზე.

ამ თემაზე საუბრისას, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი პრინციპული საკითხი, რომლისადმი გრ. ნათაძის დამოკიდებულება, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. როგორ მოხდა ძველი სამყაროს გარდაქმნა, მშვიდობიანად, ყოველგვარი კატაკლიზმების გარეშე თუ ნახტომით? დასავლეთ ევროპის ისტორია უწყვეტია თუ წყვეტილი? უკვე XVIII საუკუნეში დაიწყო დავა იმის ირგვლივ თუ ვინ მისცა საწყისი შუა საუკუნეებს, რომაელებმა თუ გერმანელებმა. ასე ჩაეყარა საფუძველი რომანისტულ და გერმანისტულ თეორიებს ამ კონცეფციას თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში ფიუსტელ დე კულანჟის და დოფშის შრომების გამოსვლის შემდეგ მან დაკარგა თავისი უწინდელი აქტუალობა. ხდება სიმძიმის ცენტრის გადანაწილება რომანისტული და გერმანისტული თეორიებიდან კონტინუიტეტის (უწყვეტობის) საკითხზე. ასე გაიშალა XX საუკუნის დასაწყისში დისკუსია დასავლეთ ევროპის ისტორიული განვითარების წყვეტილობა-უწყვეტობის ირგვლივ. ამ საკითხზე გრ. ნათაძის მოსაზრება საინტერესოდ მიგვაჩნია და ძირითადად დასავლური ისტორიოგრაფიის უახლეს მიღწევებს ითვალისწინებს და ემყარება.

„მიუხედავად დიდი ომებისა, ხოცვა-ჟლეტისა, ისტორიული პროცესი მაინც თავისი გზით მიდის და ამზადებს ახალ საზოგადოებას, არა კატასტროფის არამედ ევოლუციის დინჯი გარდაქმნის პროცესის საშუალებით" (76, გვ. 112). როგორც იტყვიან, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია და იგი ფიუსტელ დე კულანჟისა და ალფონს დოფშის კონცეფციას უჭერს მხარს. ამ თეორიას სრული მოქალაქეობის უფლება აქვს და თავისი მრავალრიცხოვანი მომხრეები ჰყავს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ევროპულ ისტორიოგრაფიაში არის მეორე საინტერესო მიმართულება, რომელიც, ალბათ, კიდევ უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ბელგიელი ისტორიკოსის ანრი პირენის და ფრანგი ისტორიკოსის მარკ ბლოკის შეხედულებები. მათ მიაჩნიათ, რომ რომის აღსასრულს და გერმანელთა შემოსევებს არ მოჰყოლია ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკის დაცემა მეროვინგების ხანაში. ამ შემთხვევაში, ისინი უწყვეტობის იდეას ავითარებენ უახლოვდებიან დოფშის თეორიას, მაგრამ წყვეტილობას ისინი ბოლომდე მაინც არ უარყოფენ. მათი აზრით, ვითარება მკვეთრად იცვლება VIII-IX საუკუნეში არაბთა შემოსევების შედეგად, რომლებსაც თან მოჰყვა ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკის დაცემა, პოლიტიკური დაქუცმაცება და ნატურალური მეურნეობის ბატონობა (447, 165, გვ. 129-132). მათი თეზისი მეროვინგთა ეპოქაში ხმელთაშუა ზღვის ეკონო-

მიკის შენარჩუნების თაობაზე, მეცნიერთა აზრით, ნაკლებადაა არგუმენტირებული და საკამათოა. ნაწილობრივ ეს, შესაძლოა, იმითაც იყოს განპირობებული, რომ მარკ ბლოკი სათანადოდ არ უსვამს ხაზს იმ პრინციპულ განსხვავებას, რომელიც გვიან რომაულ და მეროვინგების ხანის აგრარულ ურთიერთობებს შორის არსებობდა. იგი ამტკიცებდა, რომ მეროვინგების დროს თითქმის არავითარ ცვლილებებს არ ჰქონია ადგილი. ყველაზე უფრო სრულყოფილი ფორმით ფეოდალიზმის ელემენტების სინთეზი ძველ ურთიერთობებთან მოხდა ფრანკთა სახელმწიფოში მეროვინგების დროს. ეს კი, უკვე თვისებრივი სიახლე იყო. გვიან რომაულ ლატიფუნდიასა და მეროვინგების პერიოდის ალოდს შორის მსგავსებაზე მსჯელობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. აქ საქმე გვაქვს საკუთრების სხვადასხვა ფორმებთან, რომელიც ნიშანდობლივია სხვადასხვა ისტორიული ეპოქებისათვის. ფრანკთა ალოდი არის თვისებრივი სიახლე, სრულიად ახალი ინსტიტუტი, რომელიც აღმოცენდება გარდამავალ საფეხურზე (331; 214). ცოტათი ხომ არ ამუქებენ ა. პირენი და მ. ბლოკი კაროლინგების ეპოქაში შექმნილ ეკონომიკურ ვითარებას? აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში არაბებმა ხელი შეუწყვეს ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობის გამოცოცხლებას. პირენისა და ბლოკის თეზისს კაროლინგების ეპოქაში ნატურალური მეურნეობის არსებობის თაობაზე მოჰყვა დოფშის და მისი მიმდევრების მწვავე რეაქცია, რომელმაც არსებითად სათავე დაუდო ა. პირენის კონცეფციის გარშემო დისკუსიას (540). თუ ასეთი წყვეტილი არსებობდა და იგი მართლაც იყო, მაშინ, შესაძლოა, ეს მოხდა გაცილებით უფრო ადრე, გერმანელთა-შემოსევების და რომის იმპერიის დაცემის დროს.

476 წელს ვესტგოთმა ოდოაკრმა ტახტიდან ჩამოაგდო უკანასკნელი იმპერატორი რომულუს ავგუსტუსი და რომის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა, ხოლო ათი წლის შემდეგ, 486 წელს წერტილი დაესვა რომაელთა ბატონობას გალიაში. ამით მთავრდება გრ. ნათაძის მიერ 1926 წელს გამოცემული პირველი სახელმძღვანელოს პირველი ნაკვეთი.

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, მიგვაჩნია, რომ ეს არის სულ სხვადასხვა პრინციპებზე აგებული სახელმძღვანელოები. პირველ და მეორე სახელმძღვანელოს შორის თვისებრივი განსხვავება არსებობს. პირველ სახელმძღვანელოში გრ. ნათაძე ჯერ კიდევ მაინც ევროპულ ისტორიოგრაფიაზე ამახვილებს ყურადღებას, მეორე სახელმძღვანელოში „ეკონომიური მატერიალიზმიდან" მარქსიზმისაკენ ევოლუციის მცდელობაა. პირველი სახელმძღვანელო, ვფიქრობთ, კიდევ იმითაა საინტერესო, რომ ყველაზე უფრო ნათლად წარმოაჩენს მისი მსოფლმხედველობის განვითარების რეალურ სურათს და დაგვანახებს მისი შეხედულებების ევოლუციას. რომ, თუ ქართული ისტორიოგრაფია ნორმალური გზით წავიდოდა გრ. ნათაძე დადგებოდა დოფშის მიმდევარი ისტორიკოსი. პირველ სახელმძღვანელოში გატარებულია სულ სხვა კონცეფცია. გრ. ნათაძე მხარს უჭერს ა. დოფშის თეორიას, ხოლო მეორეში იგი იძულებულია კომპრომისებზე წავიდეს მარქსისტულ ფილოსოფიასთან. ბუნებრივია, რომ პირველ სახელმძღვანელოში ის უფრო ახლოს მივიდა ჭეშმარიტებასთან ცალკეული საკვანძო საკითხების შეფასების დროს. (აქ, ცხადია, „ინგლისის მოკლე ისტორიასაც" ვგულისხმობთ, რომელიც ადრეულ პერიოდს განეკუთვნება): 1.რომის ეკონომიკის დახასიათება; 2. ძველი გერმანელების ყოფა; 3. ძველი ისტორიიდან შუა საუკუნეებზე გადასვლა.

პირველი სახელმძღვანელოს მეორე ნაკვეთი იწყება ოსტგოთთა სახელმწიფოს ისტორიის განხილვით. მეორე ნაკვეთი სულ მთლიანად ბარბაროსთა სახელმწიფოების წარმოშობას და განვითარებას შეეხება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს თემა სახელმძღვანელოში სრულყოფილად, ამომწურავად არაა გაშუქებული. ამისათვის საჭირო იყო ორიოდე სიტყვა თქმულიყო ბურგუნდებისა და ვანდალების სამეფოზე, ლანგობარდების მიერ იტალიის დაპყრობაზე, ჰუნთა კავშირის ჩამოყალიბებაზე.

სახელმძღვანელოში განხილულია ოსტგოთთა სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ყოფა და სტუდენტები მასში, უდავოდ, საინტერესო და საჭირო ინფორმაციას მოიპოვებდნენ. ჩვენი აზრით, საჭირო იყო სახელმძღვანელოში კიდევ უფრო მკვეთრად, მკაფიოდ, გამოკვეთილიყო ისეთი კოლორიტული ფიგურა, როგორიც იყო ოსტგოთების ბელადი თეოდორიხი, რომლის მოღვაწეობასაც დადებით შეფასებას აძლევს გამოჩენილი იტალიელი მოაზროვნე და ისტორიკოსი ნიკოლო მაკიაველი თავის თხზულებაში „ფლორენციის ისტორია". აღსანიშნავია, რომ ტერმინმა „ოსტგუთები" სამეცნიერო ლიტერატურაში ფეხი ვერ მოიკიდა და დამკვიდრდა სახელწოდებით „ოსტგოთები" (76, გვ. 1-20).

შემდგომი თემა სახელმძღვანელოში არის ანგლო-ს.-ქსების ისტორია, რომლის ცოდნა გრ. ნათაძემ უკვე „ინგლისის მოკლე ისტორიაში" გამოამჟღავნა. ამ სახელმძღვანელოში მან სტუდენტებს ინგლისის ისტორიის ამ საინტერესო პერიოდის ირგვლივ უფრო ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა, რაც ამ მონაკვეთის ღირსებაა.

გრ. ნათაძე მიმოიხილავს ბრიტანეთში შექმნილ მდგომარეობას ანგლო-საქსების გამოჩენამდე და ამით კარგ ისტორიულ ფონს უქმნის მთავარი საკითხის გაშუქებას. ამ წინაისტორიის გაცნობის შემდეგ ორი მოსაზრება გვიჩნდება. ალბათ, საჭირო იყო ბრიტანეთში ცეზარის შეჭრის თარიღის მითითება ქრისტეშობამდე 54 წელი. ბრიტანეთის უძველეს მოსახლეობას შორის მოხსენიებული არაა იბერიელები, რომელსაც ინგლისელი ისტორიკოსები ასახელებენ ინგლისის უძველეს მკვიდრთა შორის (323).

ყურადღებას იპყრობს გრ. ნათაძის პოლემიკა ინგლისელ ისტორიკოს ფრედერიკ სიბომთან. გრ. ნათაძე მასთან მეცნიერულ პოლემიკაში ეყრდნობა შესანიშნავ რუს ისტორიკოსებს პ. ვინოგრადოვისა და დ. პეტრუშევსკის შეხედულებებს, რასაც თავის მხრივ უმატებს: „საზოგადოდ ბრიტების ხანაზე მხოლოდ ვარაუდით შეიძლება ლაპარაკი

და მკვლევარნიც ვარაუდით ლაპარაკობენ, რადგან არ აქვთ ნიადაგი რაიმე ისტორიული საბუთი თუ სხვა, ჩვენც ვარაუდით უნდა ვთქვათ, რომ ბრიტების დროს რომაელების ასეთი დიდი გავლენა რომ ყოფილიყო დარჩენილი, ეს ანგლების და საქსების დროსაც ძლიერ საგრძნობი იქნებოდა. ეს კი, სრულიად არაფერში არ ჩანს" (76, გვ. 24; 77, გვ. 45). აქ გრ. ნათაძე უფრო იმ აზრისაა, რომ ფ. სობომი აპარბებდა ბრიტანეთში რომანიზაციის მნიშვნელობას.

მომხვდურ ანგლო-საქსებს მთელი საუკუნენახევარი დაჭირდათ ადგილობრივ მკვიდრთა დასამორჩილებლად, რაც მნიშვნელოვნად კელტების სასტიკი წინააღმდეგობით იყო განპირობებული. VII საუკუნის დასაწყისში ყალიბდება ანგლო-საქსთა ცალკეული სამეფოები: ნორთუმბრია, კენტი, აღმოსავლეთ ინგლისი, მერსია უესექსი, სესექსი, ესექსი, ამ შვიდ სამეფოს „ჰეპტარქიის" სახელით მოიხსენიებენ. ანგლო-საქსთა სახელმწიფოს ფორმირება ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი მოიცავს VII-VIII საუკუნეებს და ხასიათდება ცალკეულ სამეფოებს შორის ქიშპობით, პირველობისათვის ბრძოლით. მეორე ეტაპი მოიცავს IX-X საუკუნეებს, როდესაც მიმდინარეობს ანგლო-საქსთა სახელმწიფოს კონსოლიდაციის პროცესი (76, გვ. 24; 77, გვ. 46; 366). რა თქმა უნდა, დანიელთა შემოსევა იყო უდიდესი უბედურება, რომელსაც ჟამთააღმწერელი ადარებდა ყინვასა და შიმშილს, მაგრამ მას ჰქონდა დადებითი მხარეებიც. დანიელთა შემოსევის პოზიტიური ელემენტის წინ წამოწევა გრ. ნათაძის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია. შეიძლება დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, რომ დანიელთა დაპყრობებმა მძლავრი სტიმული მისცა ანგლო-საქსების სახელმწიფოს კონსოლიდაციის პროცესს, ხელი შეუწყო მის გაერთიანებას (76, გვ. 28; 77, გვ. 49).

სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა ანგლო-საქსების სახელმწიფოს სოციალურ ურთიერთობებს და აგრარულ ყოფას. რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერია და ეს მასალა კარგად ჩაახედებდა სტუდენტებს ანგლო-საქსების ეკონომიკურ განვითარებაში, მაგრამ მეორე მხრივ ძნელი სათქმელია ამ თემატიკის ასე დაწვრილებით განხილვა რამდენად აუცილებელი იყო სახელმძღვანელოში. და ეს მაშინ, როდესაც ამ ეპოქის პოლიტიკური ისტორია არსებითად ჩრდილშია მოქცეული. ამ კუთხით საკითხის გაშუქება სტუდენტებისათვის, ვფიქრობთ, კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა და შინაარსობრივად გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს. განსაკუთრებით საგულისხმო, მეფე ალფრედის ბრძოლა დანიელების წინააღმდეგ (76, გვ. 44-67; 77 გვ. 60-63).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძე ბრმად როდი მიჰყვებოდა ევროპულ მედიევისტიკაში გავრცელებულ ნოვაციებს და ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი მსჯელობა „ორი ფეოდალიზმის თეორიაზე", რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი ევროპულ ისტორიოგრაფიაში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე. იგი ისტორიოგრაფიაში გავრცელებული ამ მოდური თეორიის მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი და არ იზიარებს მას. „ასეთი დაყოფა ფეოდალიზმისა — პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური - მე დიდ შეცდომად მიმაჩნია. ფეოდალური წესწყობილება არის დამახასიათებელი ერთი სახელმწიფოს მთელი ცხოვრების ურთიერთობის თვისებისა და ხასიათის, სადაც პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ისეა გადახლართული ერთმანეთზე, როგორც საზოგადო ცხოვრებაში, რომ გაყოფა მათი ყოვლად შეუძლებელია" (76, გვ. 64; 77, გვ. 60). აქ საგულისხმოა კიდევ ერთი მომენტი. იგი ფართოდ მსჯელობს ფეოდალიზმის რაობაზე. აქ აღნიშნული საკითხის განხილვა რამდენად მართლზომიერი იყო ძნელი სათქმელია.

პირველ სახელმძღვანელოში ანგლო-საქსების ისტორიის დაწვრილებით განხილვა მისასალმებელია, თუმცა, შესაძლოა, ფაქტობრივი მასალით ცოტათი გადატვირთული იყოს და ამიტომ მოჭარბებულად მიგვაჩნია. იმ მხრივ 1933 წელს გამოცემულ ნაშრომში მასალა უფრო კომპაქტურადაა დალაგებული. თუმცა აქაც „ლომის წილი" ანგლო-საქსების სოციალ-ეკონომიკურ ყოფაზე მოდის, ხოლო პოლიტიკური ისტორია კვლავ ჩრდილშია მოქცეული და შედარებით მოიკოჭლებს.

ბარბაროსთა სახელმწიფოებიდან ყველაზე დიდხანს იარსება და ღრმა კვალი დატოვა ფრანკთა სამეფომ. ამიტომ, ბუნებრივია, გრ. ნათაძე გვერდს ვერ აუვლიდა ამ თემას და სახელმძღვანელოს შემდეგი მონაკვეთიც, სწორედ, აღნიშნულ პრობლემას შეეხება.

გრ. ნათაძე, პირველ რიგში, მიმოიხილავს ფრანკთა სახელმწიფოს წარმოშობის წინაისტორიას, ხოლო შემდგომში საუბრობს ფრანკთა სახელმწიფოზე მეროვინგების დროს. შეიძლება ითქვას, რომ ეს მონაკვეთი საინტერესო ისტორიული ნარკვევია ფრანკთა სახელმწიფოზე მეროვინგების ხანაში, მაგრამ როგორც სახელმძღვანელო, შესაძლოა, ფაქტობრივი მასალით ცოტა გადატვირთული იყოს და ამგვარი დეტალური გადმოცემა ცოტათი ართულებს სტუდენტთათვის მთავარი სათქმელის გაგებას. ამ მხრივ მეორე სახელმძღვანელოში მასალა უფრო მოკლედაა გადმოცემული.

მეროვინგების პერიოდის ფრანკთა სახელმწიფოს ისტორიის გაშუქებისას გრ. ნათაძე, ცხადია, ფართოდ იყენებს გრ. ტურელის თხზულებას „ფრანკების ისტორია" (398). შემთხვევითი არ იყო, რომ ფრანგმა მეცნიერმა ჟ. ამპერმა გრ. ტურელს „ბარბაროსების ჰეროდოტე" უწოდა. თანამედროვე ფრანგი მკვლევარის რ. ლატუშის აზრით, გრ. ტურელის თხზულების გარეშე ფრანკების ისტორიის ეს მონაკვეთი იქნებოდა „ისტორიის თეთრი ლაქა" (398, გვ. 321-322).

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ ფრანკთა სახელმწიფომ მეროვინგების ხანაში თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია ხლოდვიგის (481-511) დროს. ის გვერდები რომელიც ხლოდვიგის მოღვაწეობას ეხება საინტერესოდ იკითხება. მიუხედავად ამისა ამ თემის გაცნობისას გაგვიჩნდა ზოგიერთი მოსაზრება: 1. კარგი იყო მითითებული ყოფილიყო ფრანკების მიერ კათოლიკობის მიღების კონკრეტული თარიღი - 496 წელი; 2. ვფიქრობთ, გაუგებრობის

თავიდან აცილების მიზნით საჭირო იყო ხაზგასმით თქმულიყო, რომ ვესტგოთების მეფე იყო ალარიხ II, თორემ მკითხველი ვერ გაიგებს თუ რომელი ალარიხია. ეს აბნევს მკითხველს. ძნელი საფიქრებელია, რომ ფრანკების ბრძოლას ვესტგოთების წინააღმდეგ საფუძვლად რელიგიური მოტივი ედო (76, გვ. 71-72; 77, გვ. 65-66). უფრო რეალურია ვიფიქროთ, რომ ეს იყო საბაბი და არა მიზეზი. ხლოდვიგს დიდი ხანია თვალი ეჭირა ვესტგოთების სამფლობელოზე და კათოლიკების შევიწროვება; ეტყობა, საბაბად გამოიყენა.

სახელმძღვანელოში, როგორც წესი საკმაოდ ვრცლად, დეტალურად არის განხილული მეროვინგების ხანაში ფრანკთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მაგრამ ამ თემატიკის ასეთი დაწვრილებითი განხილვა, ჩვენი აზრით, შესაძლოა, ტვირთავს სახელმძღვანელოს. უპრიანი იქნებოდა ამ მასალის დაწნეხვა, ლაკონიურად გადმოცემა და ამით სახელმძღვანელო, რა თქმა უნდა, მოიგებდა. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო მარტის მინდორზე, რომელიც მეროვინგების დროს თვალსაჩინო როლს ასრულებდა და ფრანკთა სახელმწიფოს გარკვეულ დემოკრატიულ ელფერს უნარჩუნებდა.

ფაქტობრივად ამ პრობლემის გარჩევით მთავრდება გრ. ნათაძის პირველი სახელმძღვანელო. მასზე საუბარი ამით შეიძლებოდა დაგვესრულებინა კიდეც, რომ არა ერთი გარემოება. პირველი სახელმძღვანელოს ერთ-ერთ დიდ ღირსებად მიგვაჩნია პირველწყაროების პუბლიკაცია (76, გვ. 140-163). ქართულ ენაზე დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაზე არსებული დოკუმენტებით დღესაც არა ვართ განებივრებული და გრ. ნათაძის მისწრაფება მიაწოდოს ქართველ მკითხველს ამ ეპოქის ამსახველი დოკუმენტური მასალა, უსათუოდ, მნიშვნელოვანია. გრ. ნათაძის მიერ გამოქვეყნებული ეს მასალები, შუა საუკუნეების ისტორიის ქრესტომათიის შექმნის საქმეში გადადგმული, პირველ სერიოზულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. ფაქტობრივად მან ამით დღის წესრიგში დასვა შუა საუკუნეების ისტორიის ქრესტომათიის შექმნის აუცილებლობის საკითხი. ეს საქმე შემდეგ განაგრძო პროფ. ალ. ნამორაძემ, მაგრამ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მისი ბოლომდე მიყვანა და ქრესტომათიის გამოცემა, ვერც მან შეძლო. ამიტომ, ეს პრობლემა დღესაც დგას ქართული მედიევისტიკის წინაშე.

პირველ სახელმძღვანელოს დამატების სახით თან ერთვის გრ. ნათაძის გამოკვლევა „ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციების წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი", რომელიც "1925 წელს დაიბეჭდა უნივერსიტეტის მოამბეში. ძნელი სათქმელია რით იყო განპირობებული ამ გამოკვლევის მოთავსება უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოში?

პირველ სახელმძღვანელოს ბოლოში დართული აქვს ლიტერატურის, მათ შორის უცხოურის სია, რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტს დამოუკიდებლად ემუშავა და კიდევ მეტად გაეღრმავებინა ცოდნა.

აღსანიშნავია, რომ პირველი სახელმძღვანელოს მეორე მონაკვეთში კონცეფტუალური ხასიათის ცვლილებები უკვე აღარ გვხვდება, რაც უმთავრესად იმითაა განპირობებული, რომ ამ მონაკვეთში სერიოზული თეორიული პრობლემები აღარ დგას და აქ უმთავრესად ბარბაროსთა სახელმწიფოს ისტორიაა განხილული.

ამრიგად, თავისი პირველი სახელმძღვანელო გრ. ნათაძეს, ვფიქრობთ, უფრო მეტად ევროპულ ყაიდაზე აქვს აგებული. მასში ძალზე დიდია კვლევითი ელემენტები, როგორც ეს იყო მიღებული სახელმძღვანელოს შედგენისას დასავლეთ ევროპაში. ამის მსგავსი მაგალითები ქართულ სინამდვილეშიც მოგვეძებნება. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ესაა დიდი ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია" (139), კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორია" (45), ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორია" (140). სახელმძღვანელოს წერის ეს პრინციპი საინტერესოა და მას მოქალაქეობის სრული უფლება გააჩნია. გრ. ნათაძის მეორე სახელმძღვანელო მაქსიმალურად განტვირთულია კვლევითი ელემენტებისაგან და უფრო მეტად სხვა პრინციპზე, საბჭოთა მეთოდზეა აგებული, რომელსაც ასევე გააჩნია მოქალაქეობის უფლება.

მეორე სახელმძღვანელოში გრ. ნათაძემ ორი არსებითი კორექტივი შეიტანა, რომელმაც, უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი ავკარგიანობა. თუ ლიტერატურული სრულყოფა, დახვეწა, მასალის უფრო კომპაქტურად დალაგება აშკარად წაადგა სახელმძღვანელოს, იდეურ, თეორიულ მხარეზე ამას ვერ ვიტყვით. კონცეფტუალურად იგი უფრო ღარიბია, ვიდრე პირველი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. გრ. ნათაძის მსოფლმხედველობის ევოლუცია, „ეკონომიური მატერიალიზმიდან" მარქსიზმისაკენ, რაც 20-იანი წლების შეხედულებებთან შედარებით აშკარად უკანგადადგმული ნაბიჯია.

1933 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს შემდეგ მონაკვეთი პირველი სახელმძღვანელოს ქრონოლოგიური გაგრძელებაა. აქ უკვე განხილულია დასავლეთ ევროპის ისტორიის შემდეგი მონაკვეთი კაროლინგების აღზევებიდან წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის ჩამოყალიბებამდე - VIII-XIII საუკუნეები.

გრ. ნათაძე სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს სამ ნაწილად ყოფს: 1. ფეოდალური წესწყობილება დასავლეთ ევროპაში, 2. ვაჭრობა და მრეწველობა ადრინდელი ფეოდალიზმის დროს, 3. ფეოდალური წყობილების რღვევის დასაწყისი. ეს დაყოფა საყურადღებოა და მისთვის გვერდის ავლა, ვფიქრობთ, უმართებულო იქნებოდა. იგი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ისეთ სერიოზულ საკითხზე, როგორიცაა შუა საუკუნეების ისტორიის შიდა პერიოდიზაცია. თემა მართლაც საინტერესოა, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საკითხზე გრ. ნათაძის მსჯელობა არის მეტად არათანამიმდევრული და წინააღმდეგობრივი, რაც პირველ ყოვლისა მისი მსოფლხედველობით იყო განპირობებული. გრ. ნათაძე შუა საუკუნეების ისტორიას

ორ პერიოდად ყოფს: ადრეული ფეოდალიზმის ხანა (V-IX საუკუნეები) და გვიანდელი ფეოდალიზმის ხანა (IX-XIII საუკუნეები) „საშუალო საუკუნეების პირველ ნახევრს მეცხრე საუკუნემდის შეიძლება ეუწოდოთ ადრე ფეოდალიზმის ხანა, ხოლო როდესაც ეს პროცესი დასრულდა, ფეოდალიზმის სრულ სახესთან გვაქვს საქმე, ამას ეწოდება უგვიანესი შუა საუკუნეები" (77, გვ. 95). ჯერ ერთი, ადრე ფეოდალური ხანის დასრულება IX საუკუნეში ნაადრევი უნდა იყოს. ეს მართლაც მნიშვნელოვნი ტეხილია ადრეული შუასაუკუნეების ისტორიის შიგნით, მაგრამ არა მისი დასასრული. მეორეც, რომელ ადრეფეოდალურ ხანაზეა ლაპარაკი, როდესაც ეს პერიოდი ფაქტობრივად გარდამავალ ხანას წარმოადგენს, როდესაც ფეოდალიზაციის პროცესი დასრულებულიც არაა. ალოგიკურობა ამ პერიოდიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ. ერთ მაგალითს. განა ფეოდალიზმის სრული სახით ჩამოყალიბებას გვიან ფეოდალიზმის ხანა ჰქვია? მაშინ რას ეწოდება განვითარებული ფეოდალიზმი? როდის იყო ის? ნუთუ ფეოდალიზმის განვითარება აღმავალი პერიოდი არ ყოფილა? რატომ აუარეს გვერდი მას. პერიოდიზაციის საკითხში ასეთი ქაოსი და გაურკვევლობა სავსებით მართლზომიერი იყო და ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების ნაყოფია.

ბუნებრივია, გრ. ნათაძის ყურადღების ცენტრშია აღნიშნული ეპოქის სოციალური ურთიერთობები, ეკონომიკა, აგრარული ვითარება, სასოფლო-მეურნეობის ორგანიზაცია - ამ თემებზე გრ. ნათაძე სტუდენტებს აწვდის საინტერესო ინფორმაციას, რომელიც ემყარება საკითხის შესახებ არსებული პირველწყაროების და ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას.

უნდა დავეთანხმოთ გრ. ნათაძე როდესაც აღნიშნავს, რომ „ძველი საფრანგეთი ფეოდალური ფორმების მხრივ ყველაზე ტიპიური იყო, ხოლო თუ ავიღებთ ინგლისის და გერმანიის ფეოდალიზმს, თუმცა აქაც ამდაგვარი სიტუაცია დამკვიდრდა, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისში და გერმანიაში ასეთი ურთიერთობები უფრო გვიან ჩამოყალიბდა და ასე სრულად არ განვითარებულა" (77, გვ. 91).

მოკლედ არის განხილული გლეხთა ცალკეული კატეგორიები, მათი უფლება-მოვალეობანი. გრ. ნათაძე წყაროებზე დაყრდნობით, საქმის ცოდნით აშუქებს ამ თემას; მაგრამ ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა გამორიცხულად არ მიგვაჩნია. სახელმძღვანელოში კოლონის ფუნქცია შედარებით ბუნდოვანია და მკაფიოდ არაა გამიჯნული, რაც, შესაძლოა, იმით აიხსნება, რომ ისინი თავიანთი ვალდებულებებით ძალიან გავდნენ, ახლოს იდგნენ სერვებთან, მაგრამ მათი სერვებთან გათანაბრება, ცხადია, უმართებულო იქნებოდა" (77, გვ. 87-89; 569). სასურველი იყო უფრო მეტი ინფორმაცია ყოფილიყო ვასალიტეტზე, ფეოდალურ კიბეზე. ეს საინტერესო საკითხებია და უმაღლესი სკოლის შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოში ურიგო არ იქნებოდა მათზე ყურადღების გამახვილება. შესაძლოა, ამ მონაკვეთის სათაურად უფრო უპრიანი იქნებოდა „მსხვილი მამულის ორგანიზაცია". რომელიც უფრო ადეკვატურად ასახავდა მის შინაარსს, ვიდრე „სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია" (77, გვ. 91-96). მცირე ინფორმაციას ფეოდალური მამულის, დომენის შესახებ გრ. ნათაძის პოლემისტური ტონი კიდევ უფრო საინტერესოს ხდის (77, გვ. 92-93).

სახელმძღვანელოში კაროლინგების ეპოქის პოლიტიკური ისტორია ძალზე მკრთალად, სუსტადაა წარმოჩენილი. კარლ მარტელის, პიპინ მოკლეს და კარლოს დიდის შესახებ ძალზე ძუნწი ინფორმაციაა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ საინტერესო თემას სულ რაღაც სამიოდე გვერდი ეთმობა, რაც მეტად ცოტაა (77, გვ. 96-99). ასეთი დამოკიდებულება საშუალებას არ აძლევს ავტორს მკაფიოდ გამოკვეთოს ისტორიაში პირვნების როლი, რაც სტუდენტებისათვის საინტერესო იქნებოდა.

სახელმძღვანელოში განხილულია ფეოდალიზაციის პროცესი ბრიტანეთში. ეს საინტერესო და აქტუალური საკითხია და მას გრ. ნათაძე, ბუნებრივია, სახელმძღვანელოში გვერდს ვერ აუვლიდა. გრ. ნათაძე ხაზს უსვამს, რომ ეს პროცესი ბრიტანეთში ნელი ტემპით მიმდინარეობს და ცდილობს თავისებურად ახსნას ამის მიზეზები (77, გვ. 99). რუსმა ისტორიკოსებმა პ. ვინოგრადოვმა და მ. კოვალევსკიმ დამაჯერებლად უჩვენეს, რომ ბრიტანეთში ეს პროცესი იმიტომ წარიმართა ნელა, რომ აქ რომის გავლენა სუსტი იყო და მას საფუძვლად დაედო ანგლო-საქსური თემის სპონტანური დაშლა (187-189). გრ. ნათაძე იზიარებს მოსაზრებას, რომ ბრიტანეთში ფეოდალიზაციის პროცესი დასრულდა გვიან XI საუკუნის შუა ხანებში ნორმანთა დაპყრობის შემდეგ. როგორც მეცნიერთა უმრავლესობა აღნიშნავს (პ. ვინოგრადოვი, ფ. სიბომი, ფ მეიტლანდი, მ. ბარგი, ე. გუტნოვა, ა. გურევიჩი), ნორმანთა დაპყრობამ პოზიტიური გავლენა მოახდინა ქვეყნის ისტორიულ განვითარებაზე. ხელი შეუწყო მის გაერთიანებას. ვფიქრობთ, ამ კუთხით საკითხის გაშუქება ურიგო არ იქნებოდა.

ჩვენი აზრით, სასურველი იყო აქვე განხილულიყო ფეოდალიზაციის პროცესი გერმანიაში, მით უმეტეს, რომ აქ ეს პროცესი მეტად თავისებურად წარიმართა (331), მაგრამ გრ. ნათაძე ასე არ იქცევა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნაშრომში გერმანიის ისტორია IX-XIV საუკუნეებში, ძალზე სუსტადაა გაშუქებული, პრაქტიკულად უგულველყოფილია, რაც სახელმძღვანელოს ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია.

გრ. ნათაძე ცალკე გამოყოფს და განიხილავს ფეოდალურ სისტემას, მაგრამ არაფერს ამბობს იმის თაობაზე თუ რით იყო არგუმენტირებული ასეთი გადაწყვეტილება. სიმართლე გითხრათ, ამ თემის ცალკე გამოყოფის აუცილებლობას ვერ ვხედავთ და ეს უკვე ერთხელ დასმული საკითხებისადმი დაბრუნებად მიგვაჩნია. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იყო ეს თემა განხილულიყო ერთ ადგილას ქვეთავში „ფეოდალური წყობილება დასავლეთ ევროპა-

ში" (77, გვ. 107-108; გვ. 86-91).

გრ. ნათაძე საუბრობს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე ადრინდელი ფოდალიზმის დროს. აღნიშნულია, რომ ამ ეპოქაში ეს დარგი შედარებით სუსტადაა განვითარებული, რასაც დიდად უწყობს ხელს ნატურალური მეურნეობის კარჩაკეტილობა (77, გვ. 108-118). გრ. ნათაძე ხაზს უსვამს, რომ დასავლეთ ევროპაში ვაჭრობისა და მრეწველობის გამოცოცხლება, აღმავლობა იწყება XI საუკუნის შუა ხანებიდან. პირველწყაროებსა და ლიტერატურაზე (მათ შორის უცხოურზე) დაყრდნობით გრ. ნათაძემ დამაჯერებლად უჩვენა ის ფაქტორები, რომელიც აბრკოლებდა, ხელს უშლიდა ამ პერიოდში, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, თუმცა ალბათ, შეიძლებოდა, რომ თვით ეს განვითარების პროცესი უფრო ნათლად, მკაფიოდ ყოფილიყო ნაჩვენები. სახელმძღვანელოში მცირე ინფორმაციაა აღნიშნულ პერიოდში შრომის ორგანიზაციის შესახებ (77, გვ. 118-124).

რა თქმა უნდა, გრ. ნათაძე თავის სახელმძღვანელოში გვერდს ვერ აუვლიდა ისეთი გრანდიოზული მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას, როგორიც ქალაქების წარმოშობაა, რომელიც სპეციალურად გამოიკვლია მისი საქმის გამგრძელებელმა პროფ. ალ. ნამორაძემ (86). უპირველეს ყოვლისა, გრ. ნათაძე ყურადღებას აქცევს თემის აქტუალობას, მის მეცნიერულ ღირსებას „ქალაქების ისტორია - დასძენს იგი - ერთ-ერთი დიდი და ძნელი პრობლემათაგანია. მრავალი წყაროა შესწავლილი ამ საკითხის შესახებ, მრავალი გამოკვლევაა დაწერილი, მაგრამ მეცნიერთა შორის დღესაც დიდი წინააღმდეგობაა ქალაქების წარმოშობის და მნიშვნელობის შესახებ ფეოდალურ ეპოქაში" (77, გვ. 124). ამის შემდეგ იგი მოკლედ ჩერდება საკითხის ისტორიოგრაფიაზე. უნდა ითქვას, რომ ავტორი საკმაოდ ჩახედულია ლიტერატურაში და მან კარგად დაანახა სტუდენტებს ის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები, რომელიც ამ პრობლემის ირგვლივ არსებობს (77, გვ. 124-125). ერთნი ამტკიცებენ, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ქალაქები ჩაკვდა, რაც, მათი თვალსაზრისით, იმით იყო განპირობებული, რომ ნატურალური მეურნეობის არსებობის ვითარებაში, ქალაქების, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. მეორენი პირიქით, კატეგორიულად უარყოფენ ნატურალური მეურნეობის არსებობას და ხაზს უსვამენ, რომ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ვითარდებოდა და რომის იმპერიის დაცემას არ მოყოლია ქალაქების ლიკვიდაცია (77, გვ. 124-125). მაგრამ მისი შემდგომი მსჯელობა ცოტათი ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი ჩანს. „ამ თეორიის მომხრეები (ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემას არ მოყოლია ქალაქების დაცემა) არ უარყოფენ იმას, რომ იმპერიის დაცემის შემდეგ მეათე საუკუნემდის, როდესაც გამუდმებული სამხედრო მოქმედება, თავდასხმები და შემოსევები წარმოებდა, ბევრი ხალხი იღუპებოდა, კულტურული შრომა ისპობოდა, დოვლათი ილეოდა „და საერთო დონე კულტურისა დაბლა იწევდა" (პეტრუშევსკი). ჩვენც აქედან დავიწყოთ და საყოველთაოდ მიღებულად ვცნოთ ეს დებულება, ვინაიდან ამას არც ერთი მხარე არ უარყოფს. მაშასადამე გამოდის, რომ V-X საუკუნეებში ქალაქის ცხოვრება დაცემულია" (77, გვ. 125). გრ. ნათაძის ეს მსჯელობა ალოგიკური ჩანს და ეწინააღმდეგება მის დებულებას საკითხის ისტორიოგრაფიაში ორი ბანაკის არსებობაზე. თუ. ყველა აღიარებს V-X საუკუნეებში საქალაქო ცხოვრების ჩაკვდომას, მაშინ ლიტერატურაში ორი მიმართულება საიდან გაჩნდა. საკვლევით მართლზომიერად მიგვაჩნია, რომ თავისი მსჯელობის გასამაგრებლად გრ. ნათაძეს არსებითად არანაირი არგუმენტები არ მოჰყავს. მოყვანილი ციტატიდან არ ჩანს, რომ დოფში და პეტრუშევსკი აღიარებდნენ ქალაქების დაქვეითებას. აქ ზოგად, საერთო ტენდენციებზეა საუბარი და არა კონკრეტულად ქალაქების დაცემაზე. მიუხედავად ომებისა, თავდასხმებისა, კულტურული დონის დაქვეითებისა, არც დოფში და არც პეტრუშევსკი არსად არ აღნიშნავენ, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ საქალაქო ცხოვრება შეწყდა. ასე, რომ აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, რომელიც გრ. ნათაძის მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. გრ. ნათაძე, ალ. ნამორაძის მსგავსად, უფრო მეტად იმ მოსაზრებისაკენ იხრება, რომ დასავლეთ ევროპის ქალაქების განვითარებაში ადგილი ჰქონდა წყვეტილობას და დაცემა გრძელდებოდა X საუკუნემდე.

საინტერესოა, რა იყო გრ. ნათაძის აზრით, დასავლეთ ევროპის ქალაქების წარმოშობის, გენეზისის მიზეზები? ეს საკითხი ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. გაჩნდა მრავალი თეორია, რომელს ემხრობოდა გრ. ნათაძე? უნდა ითქვას, რომ ამ რთულ საკითხზე გრ. ნათაძის და ალ. ნამორაძის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა. ისინი უფრო იმ აზრს იზიარებდნენ, რომ დასავლეთ ევროპის ქალაქები აღმოცენდა ბაზრის განვითარების შედეგად და ემხრობიან „ბაზრის თეორიას", რომლის ფუძემდებელია გერმანელი ისტორიკოსი რუდოლფ ზომი. „ქალაქების მნიშვნელობის ზრდა დაკავშირებულია ფართო ბაზრის დაარსებასთან" (77, გვ. 130) - დასძენს გრ. ნათაძე. ეს უდავოდ, იყო ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც განაპირობა საქალაქო ცხოვრების გამოცოხლება, ხელი შეუწყო ქალაქების განვითარებას, მაგრამ იყო სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მომენტები, რომელთა გვერდის ავლა, ცხადია, მართებული არ იქნებოდა.

სახელმძღვანელოში, ბუნებრივია მოთავსებულია მცირე ინფორმაცია კომუნალურ მოძრაობაზე, რომელმაც ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ისტორიაში. ამ თემაზე გრ. ნათაძის მსჯელობა ემყარება წყაროებისა და ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და ინტერესით იკითხება (77, გვ. 129-133). ეს საკითხი სერიოზულად დაამუშავა და გააღრმავა ალ. ნამორაძემ. მან ამ თემაზე კიდევ უფრო ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა სტუდენტებს (86, გვ. 65-87).

ჩვენი აზრით, პოლიტიკური ისტორიის უგულვებე-

ლყოფა, გრ. ნათაძის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში პოლიტიკურ ისტორიას სულ რამდენიმე ფურცელი ეძღვნება, ხოლო „ლომის წილი" დათმობილი აქვს სოციალ-ეკონომიკურ პრობლემატიკას. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ისტორიისადმი უფრო მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა გრ. ნათაძეს, ამით სახელმძღვანელო კიდევ მეტად მოიგებდა.

წიგნში ჯვაროსნული ლაშქრობები მეტად ზოგადადაა გაშუქებული და კაროლინგების ეპოქის მსგავსად, სტუდენტებს მეტად მწირ ინფორმაციას აწვდის (77, გვ. 134-139). ვფიქრობთ, აქ წარმოშობილ ვაკუუმს, მნიშვნელოვანწილად ავსებს ალ. ნამორაძის შრომა, სადაც ჯვაროსნულ ლაშქრობებს მთელი საინტერესო ნარკვევი ეძღვნება (86, გვ. 110-153).

სახელმძღვანელოს დასასრულს ავტორი ეხება ორ საინტერესო თემას: წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის შექმნა საფრანგეთსა და ინგლისში. ამ ორი სახელმწიფოს გამყოფა შემთხვევითი არ ყოფილა და აქ, ეს პროცესები გადაჯაჭვულია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი წიგნში დამაკმაყოფილებლადაა გაშუქებული.

გრ. ნათაძე ცდილობს, რომ სტუდენტებმა თვალი გაადევნოს საფრანგეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის შექმნის პროცესს (417). აღსანიშნავია, რომ იგი მსჯელობას იწყებს არა პირველი კაპეტინგებიდან, არამედ შედარებით ცოტა მოგვიანებით, ლუი VI(1108-1137) მეფობიდან. მან პირველ რიგში გადაწყვიტა წესრიგი დაემყარებინა სამეფო დომენში. „ეს მეფე უპირველეს ყოვლისა, ცდილობს, რომ თავისი საკუთარი მამული, სამეფო დომენი, განიმტკიცოს მკვიდრად, აქ მაინც იყო ნამდვილი მეფე, თუ საფრანგეთის სახელმწიფოში მეფობა არ მოუხერხდა" (77, გვ. 135-136; 207). ვფიქრობთ, სასურველი იყო კიდევ უფრო მკაფიოდ, ხაზგასმით აღნიშნულიყო, რომ ინგლისის ტახტზე ჰენრი II (1154-1189) ასვლის შემდეგ საფრანგეთის დამოუკიდებლობას სერიოზული საფრთხე შეექმნა, და იგი ინგლისელთა სამფლობელოების რკალში მოექცა. ფილიპ-ავგუსტუსის (1180-1223) დამსახურება, სწორედ ის იყო, რომ იგი წარმატებით იბრძოდა ამ რკალის გასარღვევად. სახელმძღვანელოში მოკლედ არის საუბარი ფილიპ-ავგუსტუსის წარმატებებზე ინგლისელების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, გამოვთქვამთ ორ მოსაზრებას. სასურველი იყო კონკრეტულად ყოფილიყო მითითებული ბუვინესთან ბრძოლის თარიღი 1214 წლის 27 ივლისი. გრ. ნათაძე არაფერს ამბობს იმაზე, რომ მანამდე ლაროშ-ო-მუანთან ბრძოლაში 1214 წლის 2 ივლისს, ფილიპ-ავგუსტუსმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცალკეული დიდგვაროვნების წინააღმდეგ ბრძოლაში ფილიპ-ავგუსტუსი ხშირად ეყრდნობოდა ქალაქ-კომუნებს (303; 350). სწორედ ამიტომ იყო, რომ კომუნალური მოძრაობის თაყვანისმცემელი ისტორიკოსები (ო. ტიერი, ფ. გიზო, ა. სმირნოვი) მას ქება-დიდებით მოიხსენიებენ. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა სახელმძღვანელოში ამ საკითხზე ორიოდე სიტყვის თქმა. ასევე სასურველი იყო, ავტორი ძალიან მოკლედ შეხებოდა ლუი IX (1126-1170) მეფობას, ვინაიდან, მისმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას. ფილიპე IV ლამაზის (1285-1314) მეფობა საფრანგეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის ჩამოყალიბების ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენდა. საფრანგეთის ისტორიაში პირველად 1302 წლის 8 აპრილს მოწვეული იქნა გენერალური შტატები (416). ამიტომ მიგვაჩნია, რომ მცირე ინფორმაცია ფილიპე IV ლამაზზე ურიგო არ იქნებოდა.

გრ. ნათაძე საფრანგეთისაგან განსხვავებით, ინგლისში არ იძლევა წინა პერიოდის მიმოხილვას და იღებს ორ მნიშვნელოვან მოვლენას „თავისუფლების დიდი ქარტია" (1215) და „პარლამენტის წარმოშობა" (77, გვ. 146-156; 340; 215).

ამრიგად, გრ. ნათაძეს განზრახული ჰქონდა შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერა. თავდაპირველად მას ამ საკითხში, როგორც ჩანს, მეცნიერული გზა აურჩევია და ევროპული ისტორიოგრაფიის უახლოეს მიღწევებზე იყო ორიენტირებული, რაც საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების შედეგად მიგვაჩნია. საფიქრელია, რომ ნორმალურ ვითარებაში გრ. ნათაძე ამ ჩანაფიქრს ბოლომდე მიიყვანდა, მაგრამ შემდგომში პოლიტიკური ვითარების მკვეთრმა ცვლამ, საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების შედეგად, დამკვიდრდა ერთი ბოლშევიკურ-მარქსისტული იდეოლოგიის დიქტატი, რამაც სახელმძღვანელოს შექმნის ნორმალური პროცესი ძალზედ შეაფერხა და ფაქტობრივად აიძულა გრ. ნათაძე არჩეული გზიდან გადაეხვია, „რაც სხვათა შორის, ძალიან კარგად იგრძნობა მის მეორე სახელმძღვანელოში. ამიტომ, შუა საუკუნეების ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი ღიად დარჩა. ეს საქმე არსებული იდეოლოგიის პირობებში, ბოლომდე მიიყვანა გრ. ნათაძის ერთ-ერთმა მოწაფემ პროფ. გიორგი ტივაძემ, რომელმაც შექმნა შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, რომელზეც სტუდენტთა მრავალი თაობა აღიზარდა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს არ იყო გრ. ნათაძის ჩანაფიქრის დაგვირგვინება. გ. ტივაძეს არ შეეძლო და ვერც მოვთხოვთ შეექმნა ბოლშევიკური იდეოლოგიისაგან თავისუფალი სახელმძღვანელო, რასაც აპირებდა გრ. ნათაძე. ამიტომ ამ ჩანაფიქრის დაგვირგვინება თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

* * *

სავსებით მართლზომიერი იყო, რომ რახან 30-იანი წლების შუა ხანებიდან საბჭოთა კავშირში ფაქტობრივად შეუძლებელი შეიქნა სახელმძღვანელოების წერა, მან ხელი მოკიდა კონკრეტულ გამოკვლევებს და ამ მიმართულებით მისი მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა.

შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ეს შრომები შემდეგი თანამიმდევრობით დაგველაგებინა: 1. „სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში"; 2. „სალიკური კანონი, როგორც წყარო ევროპის ეკონომიური ისტორიის შესასწავლად"; 3. „მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების მეფობის ხანაში"; 4. "ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან" (ბენეფიციუმის წარმოშობა, იმუნიტეტის საკითხი); 5. „Capitulare de Vills, ერთი ნიმუში ფორმალურ-ლოგიკური მიდგომისა ისტორიის კვლევაში"; 6. „დოფშის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი".

გრ. ნათაძის ამ გამოკვლევების ხერხემალია მისი სამი ნაშრომი: „სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში", „სალიკური კანონი, როგორც წყარო ევროპის ეკონომიური ისტორიის შესასწავლად", „Capitulare de Vills, ერთი ნიმუში ფორმალური ლოგიკური მიდგომისა ისტორიულ კვლევაში", რომელიც ფაქტობრივად გამოხატავს ძველი გერმანელების განვითარების სამ საფეხურს, ეტაპს: ძველი გერმანელები ცეზარისა და ტაციტუსის ცნობების მიხედვით, გერმანელები, „სალიკური სამართლის" დროს, გერმანელები კაპიტულარების ეპოქაში. მისი დანარჩენი სამი ნაშრომიც, სწორედ, ამ სამი დიდი პრობლემის ირგვლივ ტრიალებს. მეროვინგების დროს ფრანკთა სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკურ ყოფას ეხება მისი ორი ნაშრომი: „მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების მეფობის ხანაში" და „ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან" (ბენეფიციუმის წარმოშობა, იმუნიტეტის საკითხი). ფეოდალიზაციის პროცესზე აქვს გამახვილებული ყურადღება გრ. ნათაძეს თავის ნაშრომში „დოფშის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი".

როგორც თავად გრ. ნათაძე აღნიშნავს, მას სურს შეისწავლოს ძველი გერმანელების ყოფა-ცხოვრების სამი ფაზა: ძველი გერმანელები ცეზარისა და ტაციტუსის ცნობების მიხედვით, გერმანელები „სალიკური კანონის" დროს გერმანელები კაროლინების ეპოქაში „კაპიტალური მამულების შესახებ". ამიტომ ამ პუბლიკაციების რიგითობა, რომლის მიხედვითაც ის გამოუქვეყნებია გრ. ნათაძეს, ცოტა უცნაურად მიგვაჩნია და საკამათოა. საფიქრელი იყო, რომ გრ. ნათაძე თავის შრომებს დაალაგებდა და გამოსცემდა ისტორიული თანამიმდევრობის დაცვით, ცეზარისა და ტაციტუსის ცნობების მიხედვით, რაც ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ იგი, რატომღაც სხვაგვარად იქცევა, და ამ შრომების გამოქვეყნების დროს ქრონოლოგიური თანამიმდევრობა დაცული არ აქვს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მან პირველად გამოუშვა ნაშრომი კაროლინგების ეპოქის შესახებ, ხოლო სულ ბოლოს შეეხო ცეზარისა და ტაციტუსის ცნობებს. თუ რითი იყო განპირობებული გრ. ნათაძის ასეთი მოქმედება ძნელი სათქმელია, შესაძლოა, კაროლინგების ეპოქაზე ნაშრომი მას ადრე ჰქონდა დაწერილი, მაშინ იქნებ მოცდა სჯობდა, რათა ისტორიული თანამიმდევრულობა არ დარღვეულიყო. მითუმეტეს, მკითხველისათვის ასე გაცილებით ადვილია თვალი გაადევნოს ძველი გერმანელების განვითარების საერთო სურათს, ვიდრე ისე როგორც აქვს გაკეთებული გრ. ნათაძეს. შებრუნებით კაროლინგების ეპოქიდან დაწყებული ცეზარისა და ტაციტუსის ცნობებით გასრულებული. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად, სწორედ პუბლიკაციების რიგითობის დარღვევით შეიძლება იყოს გამოწვეული ის ტავტოლოგიები, რომელიც გრ. ნათაძის შრომებში გვხვდება. ასე მაგალითად, ცეზარის და ტაციტუსის ცნობებს ძველ გერმანელებზე გრ. ნათაძე განიხილავს, როგორც 1938 წელს გამოცემულ ნაშრომში სალიკური კანონი, ისე 1940 წელს გამოსულ „სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში". რომელიც სპეციალურად ცეზარისა და ტაციტუსის ცნობებს ეხება. ასეთი გაუგებრობა, უეჭველად, თავიდან იქნებოდა აცილებული, გრ. ნათაძეს ეს შრომები ისტორიული თანამიმდევრობით რომ გამოეცა.

სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ გრ. ნათაძე როგორც მედიევისტი არ ყოფილა ვიწრო ფაქტოგრაფი, ემპირიკოსი მკვლევარი. მისი დაინტერესება დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ამ ერთ-ერთი ურთულესი თეორიული პრობლემით, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაციაა. გრ. ნათაძის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მრავალწახნაგოვანი გარდამავალი ხანა, რომელიც მკვლევარის წინაშე წამოჭრის მრავალ თავსატეხს და სვამს არაერთ რთულად გადასაჭრელ პრობლემას და ჭეშმარიტებასთან მიახლოება შეიძლება მხოლოდ დაუღალავი შრომითა და კვლევა-ძიებით. ამიტომ გრ. ნათაძეს როგორც ისტორიკოსს, ოღლი გზით სიარულის მოტრფიალეთა კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ.

ფრიად ნიშანდობლივია, რომ გრ. ნათაძემ ხელი მოჰკიდა არა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ისტორიის რომელიმე მნიშვნელოვან პრობლემას, არამედ დაინტერესდა ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური თემატიკით. ჩვენი ღრმა რწმენით გრ. ნათაძის გატაცება ამ საკითხებით შემთხვევითი არ ყოფილა და ამის მიზეზები მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ძალიან ადვილი იქნებოდა ამ დაინტერესებაში ბოლშევიკურ-მარქსისტული იდეოლოგიის გავლენა დაგვენახა, მაგრამ მაშინ უმალ წამოიჭრება საკითხი, რა ვუყოთ „ინგლისის მოკლე ისტორიას" ანდა, თუნდაც შუა საუკუნეების ისტორიის პირველ სახელმძღვანელოს, სადაც ამ გავლენაზე ლაპარაკი ძნელია. ამიტომ საკითხის ამგვარი ახსნა ზედაპირულია.

გრ. ნათაძის დაინტერესება ადრინდელი შუა საუკუნეების ისტორიის სოციალ-ეკონომიკური პრობლემატიკით საკმაოდ კანონზომიერად მიგვაჩნია და მასში პირველყოვლისა ეკონომიკური მატერიალიზმის გავლენის ლოგიკურ შედეგს ვხედავთ.

გრ. ნათაძის ინტერესების სფეროში შედიოდა მედიევისტიკის ურთულესი პრობლემების მთელი კასკადი: ანტიკურობის დასასრული, გარდამავალი ხანა, შუა

საუკუნეების დასაწყისი, სახელმწიფოებრიობის ჩასახვა, გერმანელებში საკუთრების განვითარება, ფეოდალიზაციის პროცესი. ის ცდილობს თვალი გაადევნოს გერმანელთა საზოგადოების განვითარებას, ევოლუციას ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე ცეზარისა და ტაციტუსის ცნობებით დაწყებული კაროლინგების ეპოქით გასრულებული. წერილობითი წყაროები ამ საკითხების შესახებ საკმაოდ ძუნწ ინფორმაციას გვაწვდიან და მათი მონაცემების ინტერპრეტაცია ისტორიკოსთა შორის სერიოზულ კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამ დავაში ჩაბმა, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არაა და დიდ ერუდიციას და საფუძვლიან ცოდნას მოითხოვდა, რასაც გრ. ნათაძე თავის გამოკვლევებში შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილად ავლენს. აღსანიშნავია, რომ გრ. ნათაძემ პირველად ქართულ მედიევისტიკაში დასვა ეს საკითხები და შეეცადა, შეძლებისდაგვარად, არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, მათ გადაწყვეტას. რაც, ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად შეიძლება მიკიჩნიოთ.

გასათვალისწინებელია, რომ მედიევისტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი გრ. ნათაძის შრომები უმთავრესად გამოვიდა ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში და ორმოციანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმი სულ უფრო ძალუმად შლიდა ფრთებს და დამოუკიდებელი აზროვნება იზღუდებოდა. ამიტომ ის, რაც ღაწლმოსილმა მეცნიერმა შექმნა ამ მიმართულებით დიდ პატივს სდებს მას.

ეს ექვსი გამოკვლევა თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ერთი საინტერესო, დაახლოებით 170 გვერდიანი მონოგრაფია და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ თემაზე გრ. ნათაძის მიერ ჩაფიქრებული დიდი გამოკვლევის ცალკეული ნაწილებია. სავარაუდოა, რომ გრ. ნათაძე ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი საკითხების დამუშავების შემდეგ, რომელიმე კონკრეტულ თემას აირჩევდა და მის კვლევას შეუდგებოდა.

საინტერესოა, როგორი იყო აღნიშნულ საკითხზე გრ. ნათაძის კონცეფცია? მით უმეტეს, რომ მან თავისებური ევოლუცია განიცადა თავისუფალი აზროვნებიდან მარქსიზმისაკენ, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო ამ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ვფიქრობთ, თავდაპირველად 20-იან წლებში, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხები ჯერ კიდევ მკაცრად არ იგრძნობოდა და თავისუფალი აზროვნების მცირეოდენი საშუალება მაინც არსებობდა, გრ. ნათაძეს ამ საკითხის შესწავლაში მეცნიერული მიმართულება ჰქონდა. რადგან ის უპირატესად ევროპულ ისტორიოგრაფიას მიყვებოდა კვალში და ჩვენი ფრთხილი ვარაუდით ადვილი შესაძლებელია, რომ ნორმალურ სიტუაციაში, თავისუფალი აზროვნების პირობებში, გრ. ნათაძე ანტერესული ისტორიკოსის დოფშის სკოლას მიმხრობოდა. 30-იან წლებში გრ. ნათაძე მკვეთრად იცვლის პოზიციას და ორიენტაციას უფრო მეტად ფორმაციულ პრინციპზე იღებს. ამგვარი მეტამორფოზი, ცხადია შემთხვევითი არ ყოფილა და ამ ხანებში ბოლშევიკურ-მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიის დამკვიდრების შედეგია. ვფიქრობთ, ამ რთული საკითხის შესახებ გრ. ნათაძის კონცეფცია სავსებით თავსდება 30-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და იდეურ ჩარჩოებში. რა სიახლეები შეიტანა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ აღნიშნული პრობლემის კვლევის საქმეში. წმინდა კონცეფტუალური თვალსაზრისით ამ ნოვაციების გაზვიადება, ვფიქრობთ, არ ღირს. მათ მოგვცეს ადრე შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია. ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ გერმანელებში კერძო საკუთრების და მსხვილი მამულის არსებობას და ხაზს უსვამდნენ მიწაზე კოლექტიურ საკუთრებას. ფეოდალიზაციის პროცესს განიხილავდნენ, როგორც სოციალურ რევოლუციას, რომლის შედეგადაც წარმოიშვა სრულიად ახალი ფეოდალური ფორმაცია. ეს კონცეფცია უპირველეს ყოვლისა უპირისპირდებოდა იმ სიახლეებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპულ მედიევისტიკაში XX საუკუნის დასაწყისში და მას უმთავრესად საფუძვლად ედო არა იმდენად აკადემიური მოტივები, რამდენადაც პოლიტიკური ფაქტორები. კერძო საკუთრების იდეის უარყოფა და კოლექტიური საკუთრების უპირატესობის დამტკიცება. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ეს იყო გეორგ მაურერის სათემო თეორიის მატერიალისტურ-მარქსისტული ინტერპრეტაცია. 1. თუ სათემო თეორიის მომხრეები ევოლუციონისტები იყვნენ საბჭოთა ისტორიოგრაფია რევოლუციურ პოზიციებზე იდგა; 2. ფეოდალიზაციის პროცესს განიხილავს წმინდა ფორმაციული პოზიციებიდან, როგორც მონათმფლობელური სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლას; 3. ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობის აბსოლუტიზირება, რაც ისტორიის მონისტური პრინციპის აღიარების ლოგიკური შედეგია; 4. მარქსისტული საბჭოთა მიდგომა ძლიერ პოლიტიზირებული იყო და პირველ ყოვლისა უპირისპირდებოდა იმ ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20-30-იანი წლების ევროპულ მედიევისტიკაში. ძნელი სათქმელია, ასეთი მიდგომა რამდენად წარმოადგენდა წინგადადგმულ ნაბიჯს ისტორიოგრაფიაში. ეს შეხედულებები კარგად გამოხატავდა ერთიანი ისტორიული სკოლის მისწრაფებებს და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდა ქემმარიტების უკანასკნელ ინსტანციას, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ. მაშინ, როდესაც სათემო თეორიას ევროპულ ისტორიოგრაფიაში სერიოზული ოპონენტები გამოუჩნდნენ. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ სცადა მისი რეანიმაცია მატერიალისტური პოზიციებიდან, რაც მაშინდელი ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო ფონზე ანაქრონიზმად ჩანს. ამ თვალსაზრისით ევროპული ისტორიოგრაფიის ორივე მიმდინარეობა, როგორც დოფშის მომხრეები, ისე ბლოკის მიმდევრები, ამ მხრივ

საკმაოდ შორს იყვნენ წასულები. რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს იმ დიდ მიღწევებს, რომელიც საბჭოთა მედიევისტიკას გააჩნია კონკრეტული საკითხების კვლევის საქმეში და ამ წარმატების გვერდის ავლა უმართებულო იქნებოდა (402; 208; 329; 331; 372; 214).

ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის მედიევისტური შტუდიების მეცნიერულ ღირსებას, პირველ ყოვლისა, ისტორიოგრაფიის და წყაროთმცოდნეობის საკითხების წინა პლანზე წამოწევა განსაზღვრავს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძე მშვენივრად იცნობს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიას და პირველწყაროებს და ცდილობს თავისი დასკვნები სწორედ ამ მასალაზე დააფუძნოს, რაც ბუნებრივია და ეს არის საქმისადმი პროფესიული მიდგომა. ამ ისტორიოგრაფიულ მიმოხილვებში გრ. ნათაძე ქართველ მკითხველს კარგად აცნობს საკითხის დაყენებას ისტორიულ ლიტერატურაში, სხვადასხვა მიმდინარეობებს, მიმართულებებს, სკოლებს, მათ წარმომადგენლებს, და ამით გრ. ნათაძე ქართველ საზოგადოებას არსებითად წარმოდგენას უქმნის ევროპული მედიევისტიკის განვითარების საერთო დონეზე, მის სიახლეებზე. ახლოს გააცნობს საზღვარგარეთული მედიევისტიკის კორიფეებს. ბუნებრივია, იგი იძულებულია მათ მოსაზრებებს მარქსისტული ინტერპრეტაცია მისცეს. ეს ადვილი გასაგებიცაა. ვინაიდან, მაშინ ამ საშური საქმის სხვა გზით გაკეთება წარმოუდგენელი იყო. ამ შემთხვევაში გრ. ნათაძე ეზოპეს ენით ცდილობს მიახვედროს მკითხველი და ამ საშუალებით მეტად ძვირფას ინფორმაციას აწვდის შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას.

თამამად შეგვიძლია თქმა, რომ გრ. ნათაძე საფუძვლიანად იცნობს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ არსებულ გამოქვეყნებულ პირველწყაროებს და თავისი დასკვნები სწორედ ამ მასალაზე აქვს დაფუძნებული. ქართულ სინამდვილეში პირველად გრ. ნათაძემ სცადა მეცნიერული ხასიათი მიეცა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლისათვის რაც მისასალმებელია და მისი ერთ-ერთი სერიოზული დამსახურებაა. ამ წყაროთმცოდნეობით შრომებს დიდი შემეცნებითი დატვირთვა ენიჭება. პირველ რიგში იგი აჩვევდა სტუდენტებს უშუალოდ პირველწყაროზე მუშაობას, ხელს უწყობდა სემინარული მეცადინეობის მაღალ დონეზე ჩატარებას და ახალგაზრდა სპეციალისტის პროფესიულ დაოსტატებას. სტუდენტს კარგად შეეძლო დაენახა თუ რაოდენ რთული იყო ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა, სინამდვილესთან მიახლოება. ისტორია, არაა მხოლოდ მეფეთა დაბადების და გარდაცვალების აღმნუსხველი მეცნიერება. ფრანგი ისტორიკოსის ფიუსტელ დე კულანჟის თქმით „ერთი დღის სინთეზს ათი წლის შრომა ჭირდება" (413, გვ. XXXV).

„კონკრეტული სიახლეები გაცილებით ნაკლებია და ამას გაჩნია თავისი ახსნა. საქმე ისაა, რომ მედიევისტიკის სფეროში ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას გრ. ნათაძე შედარებით გვიან შეუდგა. მას, ალ. ნამორაძისაგან განსხვავებით ადრე დაგროვილი მასალა არ ჰქონდა, ხოლო ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, მით უმეტეს გრ. ნათაძის პოლიტიკური წარსულის მქონე პიროვნებას, ის ხომ ესერთა პარტიის აქტიური წევრი იყო, სამეცნიერო მივლინებით, რა თქმა უნდა, არავინ გაუშვებდა. ამიტომ მისთვის საზღვარგარეთის წიგნთსაცავებში დაცული ევროპული პირველწყაროები ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა, რამაც დიდად განსაზღვრა კონკრეტული სიახლეების სიმწირე. ასეთ პირობებში ის მცირე დაკვირვებები, მიგნებები, მოსაზრებები, რომელიც გრ. ნათაძეს გააჩნია, მისასალმებელია და, შესაძლოა, საკმარისიც იყოს.

* * *

ვინაიდან, გრ. ნათაძე დიდ ყურადღებას უთმობს შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიას, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ექვსი ნაშრომის გარჩევა აღნიშნული თემით დაგვეწყო.

ამ თემის განხილვის დროს ყურადღებას იპყრობს სამი მომენტი: 1. ბუნებრივია, იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს საბჭოთა კავშირში შექმნილ ვითარებას და ერთი მარქსისტული იდეოლოგიის დიქტატის დამყარებას, რაც იმ დროისათვის ისტორიულ მეცნიერებაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო; 2. გრ. ნათაძე გამოთქვამს მოსაზრებებს, რომელიც მის დროს ისტორიულ ლიტერატურაში მიღებული და გავრცელებული იყო, თუმცა, შემდგომმა ისტორიოგრაფიამ მასში თავისი კორექტივები შეიტანა; 3. ცხადია, არის საკითხები, რომლის გადაწყვეტა საკამათო შეიძლება იყოს.

ისტორიული თანამიმდევრულობით ყველაზე უფრო ადრეულ ეპოქას ეხება გრ. ნათაძის გამოკვლევა „სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში", სადაც ეს თემა განხილულია ცეზარისა ტაციტუსის ცნობების მიხედვით.

ამ ნაშრომის შესავალი ნაწილი, პირველ ყოვლისა, იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ ძალიან კარგად გვიხატავს იმ მკვეთრ ცვლილებას, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში მოხდა გრ. ნათაძის შეხედულებებში. ამ მხრივ საინტერესოა მისი დამოკიდებულება ისეთი პრინციპული საკითხისადმი, როგორიცაა ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლა. ეს არის საკმაოდ აქტუალური საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თუ თავდაპირველად ამ რთული საკითხის განხილვისას გრ. ნათაძის მსჯელობას მეცნიერული გეზი ჰქონდა და ძალზე უახლოვდებოდა ავსტრიელი ისტორიკოსის ა. დოფშის თეორიას, შემდგომ წლებზე ამას ვერ ვიტყვით და აღნიშნული ნაშრომი ნათქვამის მკაფიო ილუსტრაციაა. 20-იანი წლების შუა ხანებში გრ. ნათაძე თავის პოზიციას ასე აყალიბებდა: „მიუხედავად დიდი ომებისა, ხოცვა-ჟლეტისა, ისტორიული პროცესი მაინც თავისი გზით მიდის და ამზადებს ახალ საზოგადოებას, არა კატასტროფების, არამედ ევოლუციის, დინჯი გარდაქმნის პროცესის

საშუალებით" (76, გვ. 112). 1940 წელს გამოცემულ ნაშრომში გრ. ნათაძე უკვე დიამეტრალურად განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს. აქ იგი უკვე ავითარებს ტრადიციულ მარქსისტულ თვალსაზრისს, რომელიც თავის დროზე წამოაყენა ი. სტალინმა, რომლის მიხედვითაც თურმე ძველი ისტორიიდან შუა საუკუნეებზე გადასვლა რომის იმპერიის დამხობა ატარებდა რევოლუციურ ხასიათს „მონათა რევოლუციამ მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მონათა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა „ბარბაროსები" გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და ზარით დაამხეს რომის იმპერია" (108). ბელადის სიტყვას კანონზე უფრო დიდი ძალა გააჩნდა. ისტორიკოსებმა „აიტაცეს" ეს ოეზისი და ერთხმად იმეორებდნენ, რომ ძველი რომი დაემხო მონათა რევოლუციების შედეგად. ხოლო გერმანელებმა მას ახალი ცოცხალი შემოქმედებითი ძალა შეუმატეს. „მონათა რევოლუციის შემდეგ ბაგაუდების, ცირკულციელიონების და სხვათა აჯანყებები ანგრევდნენ ძველს, მაგრამ ახალს, ცოცხალს საკმაოდ მოქმედ ძალას ვერ ჰქმნიან, მშობიარობის პროცესი მეტად გართულდა და გაძნელდა. გერმანელებმა საკმაოდ დიდი ცოცხალი, მოქმედი და შემოქმედი ძალები შემატეს ამ პროცესს და მშობიარობა გააადვილეს" (509, გვ. 49-50) - დასძენს გრ. ნათაძე. ეს შეხედულება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში მიღებული და აღიარებული იყო (200, გვ. 815-817; 570). ბუნებრივია, რომ უმალ წამოიპრება საკითხი, რით იყო განპირობებული გრ. ნათაძის ასეთი მკვეთრი შემობრუნება? ძნელი საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში გრ. ნათაძე გულწრფელი ყოფილიყო და მისი 360° შემოტრიალება მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებთან, მარქსისტული იდეოლოგიის და მეთოდოლოგიის დიქტატის დამყარებასთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული ის ფაქტი, რომ ერთ შემთხვევაში მან სცადა საკითხის მეცნიერული გააზრება, ხოლო მეორე შემთხვევაში იძულებული იყო პოლიტიზირებული შეფასებით დაკმაყოფილებულიყო.

გრ. ნათაძის აღნიშნული გამოკვლევის მეორე მონაკვეთი ისტორიოგრაფიული მიმოხილვით იწყება. ნაშრომში ამ თემისადმი მიჩენილი ადგილი საკმაოდ მიგვაჩნია, ვინაიდან, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ეს საკითხი განხილულიყო შესავალში, პირველ მონაკვეთში, სადაც დასმულია თეორიული საკითხები. რაც შეეხება თვით ამ მიმოხილვას, წმინდა პროფესიული თვალსაზრისით საინტერესოა. იგი ეყარება საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის საფუძვლიან, ღრმა ცოდნას, რაც გრ. ნათაძის გამოკვლევის ერთ-ერთი სერიოზული ღირსებაა, თუმცა, ზოგიერთი საკითხის შემდგომი დაზუსტება, სრულყოფა გამორიცხული არ უნდა იყოს. გრ. ნათაძე გერმანელ ისტორიკოსს გეორგ მაურერს და ავსტრიელ ისტორიკოსს კარლ თეოდორ ინამა-შტერნეგს ერთი მიმართულების წარმომადგენლებად მიიჩნევს, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანწილად ორი გარემოებით უნდა იყოს განპირობებული: 1. ორივე არის გერმანისტული თეორიის წარმომადგენელი; 2. ორივე აღიარებს ადრეულ შუა საუკუნეებში ნატურალური მეურნეობის არსებობას (509, გვ. 55). ეს შეხედულება კიდევ უფრო მკაფიოდ არის გატარებული გრ. ნათაძის ბოლო გამოკვლევაში „დოფშის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი". „მაურერის მოღვაწეობა შემდგომში განაგრძო ინამა-შტერნეგმა, რომელიც, გარდა იმისა, რომ იგი მთლიანად და სავსებით მიემხრო მაურერს, მრავალი ახალი მასალით დაადასტურა იგი და გარდა ამისა გამოკვეთილად დააყენა საკითხი ნატურალური მეურნეობისა, როგორც ფეოდალური წესწყობილების საფუძველის შესახებ. ფეოდალური წესწყობილების გენეზისს ძირითადად ხსნის წვრილი საკუთრების მოსპობისა და მსხვილი საკუთრების მიერ მისი ჩაყლაპვის პროცესის განვითარებით. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ძირითად საკითხებში ინამა-შტერნეგი ეთანხმება მაურერს, მსხვილი საკუთრების თავიდანვე არსებობის საკითხში იგი მისი მოწინააღმდეგეა" (497, გვ. 161). ამ ორი გამოჩენილი ისტორიკოსის შეხედულებებს შორის შეხების წერტილები, რა თქმა უნდა, უეჭველად არსებობს, მაგრამ მათი ერთი ბანაკისადმი მიკუთვნება, ვფიქრობთ, მაინც საკამათო შეიძლება იყოს. მართალია, ორივე ისტორიკოსი გერმანისტულ თეორიას ემხრობა, ორივე აღიარებს ადრეულ შუა საუკუნეებში ნატურალური მეურნეობის არსებობას, მაგრამ პრინციპულ საკითხში ფეოდალიზმის გენეზისის საქმეში ამ ორ დიდ ისტორიკოსს სრულიად განსხვავებული პოზიცია უკავია. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ გეორგ მაურერი მიეკუთვნება „სათემო თეორიის" მომხრეებს, რომლის მიმდევრებიც ამტკიცებენ, რომ ფეოდალიზაციის პროცესს საფუძვლად უდევს ძველი გერმანული თემის (მარკის) დაშლა (315) და ამიტომ, მას „სათემო თეორიას" უწოდებენ. ინამა-შტერნეგი კი პირიქით, „სამამულო თეორიის" მომხრეა. იგი ამტკიცებს, რომ ფეოდალიზაციის პროცესს საფუძვლად ედო არა ძველი გერმანული თემის (მარკის) დაშლა, არამედ მსხვილი მამულის აღმოცენება და ამით არსებითად საფუძველს უყრის და ანვითარებს „სამამულო თეორიას" (441; 221). ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, თითქოს მაურერსა და ინამას შორის განსხვავება პრინციპულ ხასიათს არ ატარებდა და მხოლოდ დეტალებში იყო. გრ. ნათაძის მსჯელობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის იგი აიგივებს ერთმანეთთან „სათემო" და „სამამულო თეორიებს"? ამიტომ საჭირო იყო ამ ორი მიმდინარეობის მკვეთრი გამიჯვნა, რასაც სამწუხაროდ გრ. ნათაძე არ აკეთებს. ეს კი, მისი მსჯელობის ნაკლოვანი მხარეა. ვერ დავეთანხმებით გრ. ნათაძის მოსაზრებას, თითქოს ინამა აღიარებდეს „მსხვილი მამულის თავიდანვე არსებობას". მაშინ, რაშია განსხვავება ინამასა და დოფშს შორის? რაში ეკამათება დოფში ინამას? რაში იყო დოფშის თეორიის სიახლე? ინამა, მაურერის კვალდაკვალ, უფრო იმ

აზრისაკენ იხრება, რომ გერმანელებში მიწის მფლობელობის ყველაზე უფრო ძველი ფორმა თემი იყო. კერძო საკუთრება მიწაზე ჯერ კიდევ არ არსებობდა და მიწას ამუშავებდნენ ერთობლივად (441, გვ. 38). ეს იყო კიდევ ერთი შეხების წერტილი მაურერსა და ინამას შეხედულებებს შორის, რაც, ეტყობა გრ. ნათაძის მხედველობის არეალს მიღმა რჩება.

გრ. ნათაძე იზიარებდა იმ ხანად სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს და გამოჩენილ ფრანგ ისტორიკოსს ფისტულ დე კულანჟს რომანისტული თეორიის მომხრეთა რიგებს მიაკუთვნებს (497, გვ. 55; 146; 549). როგორც უახლესი გამოკვლევებიდან ჩანს, ეს გაბატონებული შეხედულება გარკვეული კორექტივების შეტანას მოითხოვს და თანამედროვე მეცნიერება უფრო მეტად იმ აზრისაა, რომ ფიუსტელი გერმანულ-რომაული სინთეზის მომხრეთა ბანაკშია (635).

იმ ნოვაციებზე, რომლებიც უმთავრესად ავსტრიელი ისტორიკოსის ალფონს დოფშის სახელთანაა დაკავშირებული და, რომელმაც თავი იჩინა XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ ევროპის მედიევისტიკაში, ანტიმარქსისტულ მიმართულებაზე საუბარი, რაც ფრიად დამახასიათებელი იყო 20-30-იანი წლების ისტორიოგრაფიისათვის, გადაჭარბებული უნდა იყოს (497, გვ. 55). უპირველეს ყოვლისა ა. დოფშის კონცეფცია უპირისპირდებოდა იმ დროის ევროპულ მედიევისტიკაში გაბატონებულ ორივე ძირითად მიმდინარეობას „სათემო" და „სამამულო" თეორიებს და ფაქტობრივად, ახალ „სამამულო თეორიას" უყრის საძირკველს. ასე, რომ ახალი ძიებები მარტო ანტიმარქსისტულ ხასიათს არ ატარებდა. გრ. ნათაძე ძალიან კარგად ხედავს, რომ დოფშის შეხედულებები XX საუკუნის პირველ ნახევარში მეტად პოპულარული იყო და ბევრი მომხრეები შეიძინა, მათ შორის საბჭოთა კავშირში. ავსტრიელი ისტორიკოსის მიმდევრები იყვნენ დ. პეტრუშევსკი და მისი მოწაფე ა. ნეუსიხინი. მათი შემოქმედებისადმი გრ. ნათაძის ნეგატიური დამოკიდებულება სავსებით ბუნებრივი იყო იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ ეს იყო ძალად თავსმოხვეული თვალსაზრისი, ვინაიდან, თავდაპირველად ა. დოფშს თავად გრ. ნათაძეც თანაუგრძნობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდა ეთიკური მოსაზრებებით ის გვერდს უვლის იმ განმაქიქებელ კამპანიას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდიკაში ამ ორი მეცნიერის წინააღმდეგ 20-იანი წლების მიწურულს (562; 634; 577; 578). სავარაუდოა, რომ გრ. ნათაძე მშვენივრად ხედავდა თუ რაოდენ პოლიტიზირებული, ანტიმეცნიერული იყო ეს დისკუსია და ობიქტური, არგუმენტირებული, მეცნიერული მსჯელობის ნაცვლად ადგილი ჰქონდა ჩვეულებრივ ლანძღვა-გინებას (ბოლშევიკური სტილია).

გრ. ნათაძე ისტორიოგრაფიული მიმოხილვის ფონზე განიხილავს გერმანელების ნომადობის საკითხს. იყვნენ თუ არა გერმანელები მომთაბარეები? პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძე ძალიან კარგად იცნობს ამ საკითხის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს და ამ ისტორიოგრაფიული მიმოხილვის საშუალებით სურს გამოკვეთოს თავისი დამოკიდებულება ამ თემისადმი. გრ. ნათაძე საკითხის ისტორიოგრაფიაში სამ მიმართულებას გაარჩევს. ნომადობის თეორიის მომხრეები არიან: კ. ლამპრეხტი, ვ. ვიტიხი, ა. მაიცენი. ნომადობის თეორიის მოწინააღმდეგეთა რიგებს მიეკუთვნებიან: ა. დოფში, დ. პეტრუშევსკი, ა. ნეუსიხინი. საშუალედო, გრ. ნათაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შემრიგებლური პოზიცია" უკავია ჰილდებრანდს (497, გვ. 75). ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, რომელი თვალსაზრისი მიაჩნია გრ. ნათაძეს მისაღებად? იგი არგუმენტირებულად, დამაჯერებლად უარყოფს გერმანელების ნომადობას და ხაზს უსვამს, რომ „ნომადური ცხოვრების თეორია ძველი გერმანელების მიმართ, რასაკვირველია, არ არის სწორი. არა მარტო ბუნებრივი პირობები, არამედ მთელი წყობა, კერძო თუ საზოგადოებრივი, დაწყებული ბინების ნაგებობებიდან და დამთავრებული საომარი წესებით, ეწინააღმდეგება ამას" (497, გვ. 76). ა. ნეუსიხინის თქმით, „ნომადობის თეორია შეიძლება მართებული იყოს ყირგიზების მიმართ, მაგრამ არამცდარამც ძველი გერმანელების მიმართ" (330, გვ. 110). ნომადობის თეორიის მოწინააღმდეგეებისადმი გრ. ნათაძის კრიტიკული განწყობილება ნაკლებადაა არგუმენტირებული და არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება. ეს თეორია გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი ჩანს, ვიდრე ეს გრ. ნათაძეს ჰგონია. ამ საკითხისადმი ქართველი მედიევისტის სკეპტიკური დამოკიდებულება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად იმით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ მას ეჭვი ეპარება თითქოს ძველი გერმანელები ბინადარი, მიწათმოქმედი საზოგადოება იყო. ამიტომ გრ. ნათაძეს ამ საკითხში სიმართლესთან ყველაზე უფრო ახლოს გერმანელი ისტორიკოსის ჰილდებრანდის კომპრომისული, შემარიგებელი პოზიცია მიაჩნია, თუმცა მისი მსჯელობაც ბოლომდე არ აკმაყოფილებს. „აქვე უნდა ითქვას, რომ გერმანელთა ცხოვრებისადმი ნომადობის თუ არა ნომადობის თვალსაზრისით კვალიფიკაციის მიცემა არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. მეურნეობის ფორმების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და საზოგადო ფორმაციულობის მხრივ სულ სხვა არის. ნომადობა არ არის კაცობრიობის განვითარების აუცილებელი საფეხური - პირველყოფილი კომუნიზმი კი არის. ამიტომ, კვალიფიკაცია საჭირო არაა პირველის, არამედ მეორის თვალსაზრისით. დასკვნა ჩვენი ამ კვალიფიკაციის მიხედვით ასეთია, რომ ტაციტუსის დროს ძველ გერმანელებში არსებობდა ჯერ კიდევ პირველყოფილი კომუნიზმის ნაშთები, სათემო მიწისმფლობელობის სახით და უკვე იწყებოდა სოციალური დიფერენციაცია" (497, გვ. 80). როგორც ხედავთ, გრ. ნათაძეს ჰილდებრანდთან პოლემიკა ფორმაციულ რელსებზე გადაყავს, რაც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის და

გრ. ნათაძის ეს მსჯელობა, ძნელი სათქმელია, რამდენად აშუქებს ამ თემას. დასასრულ, გვინდა დავძინოთ, რომ აღნიშნულ საკითხში გრ. ნათაძის მიერ დაკავებული პოზიცია საკამათოდ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ ნომადობის თეორიის მოწინააღმდეგეები გაცილებით უფრო ახლოს მივიდნენ ქეშმარიტებასთან და რაიმე საშუალედო ხაზის ძიება ზედმეტი უნდა იყოს. ამიტომ, საკითხის ისტორიოგრაფიაში სამი მიმართულების გამოყოფა ალოგიკურად მიგვაჩნია. ან ნომადობის თეორიის მომხრე უნდა იყო ან მოწინააღმდეგე კომპრომისული გზა არ არსებობს.

ქრონოლოგიურად ამის შემდეგაა გრ. ნათაძის ნაშრომი სალიკური კანონის შესახებ, რომელიც გერმანელთა საზოგადოების განვითარების მეორე საფეხურს გვიხასიათებს. პირველ რიგში, გრ. ნათაძე ცდილობს წარმოაჩინოს საკითხის ისტორიოგრაფია, განიხილოს ისტორიკოსების წვლილი ბარბაროსული კანონების შესწავლის საქმეში.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, გრ. ნათაძის მიერ გამოჩენილი ავსტრიელი ისტორიკოსის ა. დოფშის წყაროთმცოდნეობის საქმიანობის დადებითი დახასიათება, რაც ამ საკითხზე გრ. ნათაძის მსჯელობის ერთ-ერთი სერიოზული ღირსებაა. გრ. ნათაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ბარბაროსული კანონების შესწავლის საქმეში ა. დოფშის მიერ გაწეული უდიდესი შრომა თვისებრივი სიახლეა, რაც, მისი აზრით, იმით გამოიხატება, რომ ა. დოფშმა შესძლო დაეძლია საკითხისადმი წმინდა ფორმალურ-იურიდიული მიდგომა, რაც ნიშანდობლივი იყო მისი წინამორბედი ისტორიკოსებისათვის, თუმცა, უნდა. ითქვას, რომ გრ. ნათაძეს ყველაფერი ეს მაინც არ მიაჩნია საკმარისად და აქვე დასძენს: „დოფშის კონცეფციაში უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი საკითხები მიჩქმალულია. სახელდობრ, ეს არის საკითხი მეურნეობის ფორმების, მისი ტექნიკის, მისი განვითარების შესახებ. ბარბაროსთა კანონების ასეთი გარჩევით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. თუკი გვინდა იგი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და შევისწავლოთ მისი ეპოქა, მით უმეტეს საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სხვა დოკუმენტები თვით დოფშსაც სხვაგვარად აქვს განხილული. აქ გაკვრით მაინც აღძრულია მეურნეობის საკითხები" (508, გვ. 89).

როგორც ირკვევა, ამ პრობლემისადმი მიძღვნილი შრომებიდან გრ. ნათაძეს საუკეთესოდ მიაჩნია შესანიშნავი რუსი ისტორიკოსის მაქსიმ კოვალევსკის გამოკვლევა. აი, რას წერდა გრ. ნათაძე - „ისეთი სიღრმით და ყურადღებით გარჩევა ბარბაროსთა კანონებისა, როგორც ეს აქვს მ. კოვალევსკის, მე სხვაგან ბურჟუაზიულ მეცნიერთა შრომებში არ შემხვედრია. ამ მეცნიერზე პირდაპირ ითქმის, რომ იგი ფორმალურად კი არ უდგება იმ წყაროების შესწავლას, მრავალ არსებით საკითხს სვამს და ბევრ საყურადღებო შედეგსაც აღწევს" (508, გვ. 89-90). მაგრამ სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ იგი კონკრეტულად არაფერს ამბობს და მკაფიოდ არ გამოკვეთს აღნიშნული პრობლემის შესწავლის საკითხში მ. კოვალევსკის წვლილს. რუსი ისტორიკოსის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა სამიწათმოქმედო თემის გამოყოფა, რომელიც თურმე მისი შეხედულებით არსებობდა სისხლით ნათესაურ თემას და მარკას შორის (268, გვ. 15, 62-63, 433). სხვათა შორის, მ. კოვალევსკის ამ დამსახურებაზე ერთ-ერთმა პირველმა ფრ. ენგელსმა მიუთითა (312, გვ. 139-140).

„გავბედავ, ვიტყვი ქება-დიდებასთან ერთად, რომელიც წილად ხვდა დოფშის შრომებს, მისი მეცნიერული აპარატურის, დიდი განსწავლულობის ლიტერატურის და წყაროების ცოდნის მხრივ ნაკლად უნდა ჩავუთვალოთ (დიდ ნაკლადაც) ის, რომ იგი მ. კოვალევსკის შრომებს იმ საკითხებში, რომელსაც ის ეხება ან სულ არ იცნობს ან ანგარიშს არ უწევს. უდავოდ, მისი შრომები ბევრს მოიგებდა, კოვალევსკის შრომების შედეგები, რომ ყოფილიყო მასში გამოყენებული" (508, გვ. 90). იქნებ გრ. ნათაძე აჭარბებდა და ა. დოფშისათვის სათემო თეორიის მომხრე მ. კოვალევსკის შრომებს არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ამას ქართველი მკვლევარი ფიქრობს, იქნებ დოფშს ხელი შეუშალა ეხობრივმა ბარიერმა? ამიტომ იბადება კითხვა, ცოტა პრეტენზიული ხომ არ იყო ამ შემთხვევაში გრ. ნათაძე ავსტრიელი მკვლევარის მიმართ?

მ. კოვალევსკის მიმართ გრ. ნათაძე გამოთქვამს ორ შენიშვნას გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ რუსი ისტორიკოსი სათანადოდ არ ითვალისწინებს ძველ ტექსტებს და შემდგომი დროის დამატებებს შორის განსხვავებას. მეორე შენიშვნა უმთავრესად მარქსისტული ხასიათისაა და შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაბატონებული იდეოლოგიისადმი ხარკის მოხდას უფრო ისახავდა მიზნად. იგი მ. კოვალევსკის საყვედურობს თითქოსდა სათანადოდ ვერ გაერკვა „საწარმოო ძალთა როლში" (508, გვ. 90).

რა თქმა უნდა, აქ საინტერესო იქნებოდა ფრანგი ისტორიკოსის ფიუსტელ დე კულანჟის შეხედულებების განხილვა. ამ შესანიშნავი ისტორიკოსის მოსაზრებების გვერდის ავლა გრ. ნათაძის საინტერესო ისტორიოგრაფიული მიმოხილვის ნაკლია. თავისი მიმოხილვა გრ. ნათაძეს სასურველი იყო დაეწყო არა დოფშის შეხედულებებით, არამედ სწორედ ფიუსტელ დე კულანჟის მოსაზრებებით, ვინაიდან ის იყო პირველი, რომელმაც ხმა აღიმაღლა გაბატონებული ისტორიული სტერეოტიპების წინააღმდეგ.

გრ. ნათაძე კარგად იცნობს და თავის ნაშრომებში იმოწმებს ფრანგი მეცნიერების ერნსტ გლასონის, პოლ ვიოლეს და ჟაკ ფლაკის შრომებს. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა მათი წვლილის მოკლედ წარმოჩენა, მით უმეტეს, რომ ისინი ფიუსტელ და კულანჟის ოპონენტები იყვნენ. ეს საშუალებას მისცემდა გრ. ნათაძეს, მკვეთრად გამოეკვეთა საწინააღმდეგო ბანაკი, რაც შინაარსობრივად გაამდიდრებდა მის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას.

გრ. ნათაძის შემდგომი ორი ნაშრომი მეროვინგების ხანას ეხება. ნაშრომში „მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების ხანაში" იგი ტრადიციულად

დიდ ადგილს უთმობს საკითხის ისტორიოგრაფიას და ცდილობს თვალი გაადევნოს თუ როგორ განიხილებოდა მსხვილი მიწისმფლობელობის პრობლემა სამეცნიერო ლიტერატურაში. გრ. ნათაძის მსჯელობის დადებით მხარედ გვეევლინება საკითხის ისტორიოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნა. იგი ეთანხმება ისტორიკოს უდალცოვს, რომელიც საკითხის ისტორიოგრაფიაში სამ მიმართულებას გამოყოფს, მაგრამ გრ. ნათაძის კონკრეტულ მსჯელობაში ეს სამი მიმართულება კარგად არ ჩანს და იკვეთება ორი. თუ წინა ნაშრომში ის გვერდს უვლის ფიუსტელ დე კულანჟს, ამ შრომაში ის ეხება ფრანგი ისტორიკოსის შეხედულებებს. ფიუსტელ დე კულანჟი და დოფში ამტკიცებდნენ, რომ მსხვილი მიწათმფლობელობა არსებობდა როგორც გერმანელებში რომის დაპყრობამდე, ისე ფრანკთა მონარქიაში (414, გვ. 357). შესაძლოა, ეს ისტორიკოსები რაღაც ცალმხრივობას იჩენდნენ, როდესაც საერთოდ უგულვებელყოფდნენ როგორც თემური მიწისმფლობელობის, ისე თავისუფალი გლეხის არსებობას. გრ. ნათაძის, თქმით, ფიუსტელ დე კულანჟი ამას „რომანს უწოდებსო". მეორე ჯგუფი ისტორიკოსებისა ამტკიცებს, რომ მსხვილი მიწისმფლობელობა და კერძო საკუთრება არ ყოფილა მუდმივი და თავდაპირველად არსებობდა გლეხური თემი და კოლექტიური საკუთრება. აქ ყველაფერი ლოგიკურია: კერძო საკუთრების მომხრეები და მოწინააღმდეგეები, თემური მფლობელობის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ორივე ამ მიმართულებას, ცხადია, აქვს თავისი განშტოებები, მაგრამ სად არის მესამე მიმართულება? ვინ მიეკუთვნება მას? აქ უბრალოდ მესამე მიმართულება არ არსებობს. საბოლოოდ ან ერთ ბანაკს უნდა მიემხრო ან მეორეს. მესამე მიმართულება არ იკვეთება. გრ. ნათაძე იმეორებს ა. უდალცოვის დაყოფას, რომელიც საკამათო ჩანს. ქართველი ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შეიძლება გავიზიაროთ მ. კოვალევსკის და ა. უდალცოვის თვალსაზრისი, რომ „სათემო მიწისმფლობელობა თანდათანობით ირღვეოდა და კერძო საკუთრების განვითარება წინ მიდიოდა, მსხვილი მიწათმფლობელების განვითარების და გლეხობის მუშებად გადაქცევის გზით" (501, გვ. 107). ეს იყო რაღაც კონკრეტულ ეტაპზე, მაგრამ საერთოდ მთლიანობაში ან ერთ ან მეორე მიმართულებას უნდა მიემხრო. ძნელი სათქმელია, რომ ეს შეხედულება მესამე მიმართულებას წარმოადგენდეს და იგი მეორე ჯგუფის განშტოება უფრო გვგონია. რუსი ისტორიკოსი მ. კოვალევსკი, როგორც თავად გრ. ნათაძე აღნიშნავს, სათემო თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

გრ. ნათაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ მეროვინგების ხანაში მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარება ხდებოდა ან ახოს აღების, ყამირის გატეხვის ნიადაგზე ან მას საფუძვლად ედო ალოდის წარმოშობა. თავის ნაშრომში იგი კარგად გვიჩვენებს თუ როგორ ხდებოდა ახოს აღების, ყამირის ათვისების შედეგად, მსხვილი მამულის აღმოცენება, რაც მისი მსჯელობის პოზიტიური მხარეა (501, გვ. 108-110), ხოლო, რაც შეეხება ალოდის მნიშვნელობას მსხვილი მიწისმფლობელობის წარმოშობის საქმეში ამას გრ. ნათაძე უკვე აღარ ეხება. ურიგო არ იქნებოდა თუ ავტორი თავის ნაშრომს ამ თემის განხილვით გაასრულებდა. მით უმეტეს, რომ ნაშრომის დასკვნითი ნაწილი, სადაც განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ტერმინები - ყაჩაღები, კაცი უკეთური და კაცი კეთილი საერთო სიუეეტიდან ამოვარდნილი ჩანს და ზედმეტად მიგვაჩნია (501, გვ. 123-124). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ თემაზე სტატია მას დაწერილი ჰქონდა დახელოვნურად ჩართო თავის ნაშრომში.

აღნიშნული პრობლემის განხილვის დროს ბუნებრივია წამოიჭრება საკითხი, როგორ ხასიათს ატარებდა მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარების პროცესი? ეს არის საინტერესო და აქტუალური თემა, რომელიც ისტორიკოსთა შორის საკამათოა. ამიტომ, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა თუ აქ გრ. ნათაძე მცირე ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას დაურთავდა. ეს შინაარსობრივად მეტად გაამდიდრებდა მის ნაშრომს. ზოგიერთი ისტორიკოსი (ფიუსტელ დე კულანჟი, დოფში) ამტკიცებენ, რომ მსხვილი მიწათმფლობელობის ჩამოყალიბების პროცესი უმტკივნეულო ხასიათს ატარებდა. ამ მოსაზრებას ბევრი მკვლევარი მიემხრო, მაგრამ მას სერიოზული ოპონენტები გამოუჩნდნენ. მათ შორის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო ფრანგი ისტორიკოსი მარკ ბლოკი. მისი ერთ-ერთი სერიოზული დამსახურებაა ის ფაქტი, რომ წყაროებზე დაყრდნობით დამაჯერებლად ცხადყო, თემიდან (მარკიდან) მამულზე გადასვლა არ ყოფილა უმტკივნეულო პროცესი და ხაზი გაუსვა იმ ძალმომრეობას, რომელიც ხდებოდა მამულის გაშსხვილების დროს (156; 155). გრ. ნათაძე ამ მეორე მოსაზრებისაკენ უფრო იხრება „როდესაც ამ შემოხვევებმა (მიწის დატაცებამ - მ. კ.) მასობრივი ხასიათი მიიღეს, მაშინ ამ უხეშ ძალადობას რაიმე კანონიერი გამართლება ესაჭიროებოდა და სწორედ ამის შედეგად შემოვიდა პრეკარიუმების და კომენდაციების წესი" (501, გვ. 115-116).

გრ. ნათაძე აღნიშნავს, რომ მსხვილი მამულების მოუწესრიგებლობას და მისი მართვის საკითხში არსებულ არაორგანიზებულობას, იგი ძირითადად ორ მომენტს უკავშირებს – მამულების გაფანტულობას და მშრომელი მასების წინააღმდეგობას, თუმცა აქვე გვინდა დავძინოთ, რომ იგი ამას აკეთებს თავისი გამოკვლევის დასასრულს მეექვსე ნაწილის ბოლოში და არა მეხუთე ნაწილში, სადაც უშუალოდ არის საუბარი ამ თემაზე (501, გვ. 123-124).

გრ. ნათაძის გამოკვლევა „ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიისადმი ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი" მედიევისტიკის სფეროში მის პირველ სერიოზულ ნაშრომად გვეევლინება და ჯერ კიდევ 1925 წელს გამოქვეყნდა. ეს გამოკვლევა პირველ ყოვლისა, იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ 20-იანი წლების შუა ხანებში ჯერ კიდევ მკაცრად არ იგრძნობოდა ბოლშევიკური იდეოლოგიის მარწუხები და

თავისუფალი აზროვნების საშუალება არსებობდა. ამიტომ ამ გამოკვლევაში გრ. ნათაძე არ განიცდიდა რაიმე ძლიერ იდეოლოგიურ ზეწოლას, რაც, სხვათა შორის, ძალუმად იგრძნობა მის მოგვიანებით გამოკვლევებში 30-40-იან წლებში. ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გრ. ნათაძის ნაშრომში სადავო არაფერია. პირიქით, აქ საკამათო შეიძლება მეტიც კი იყოს.

ბუნებრივია, რომ, გრ. ნათაძე თავის გამოკვლევაში ყურადღებით მიმოიხილავს საკითხის ისტორიოგრაფიას. როგორი იყო ამ პრობლემის შესწავლის საქმეში ცალკეული ისტორიკოსების წვლილი? ეს ისტორიოგრაფიული ექსკურსი ნაშრომის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია. ყურადღებას იპყრობს ა. დოფშის შეხედულებებისადმი მეცნიერული, ობიექტური მიდგომა (495, გვ. 165, 167). ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მსჯელობა არაა კონიუნქტურული, პოლიტიზირებული, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო ავსტრიელი ისტორიკოსის ღვაწლის შეფასებისას უკვე 30-40-იან წლებში.

გრ. ნათაძე აღნიშნავს, რომ ბენეფიციუმის წარმოშობის საკითხზე ისტორიკოსები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი ამტკიცებენ, რომ ბენეფიციუმი წარმოიშვა არა უგვიანეს VIII საუკუნის კაროლინგების ეპოქაში. ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია გერმანელი ისტორიკოსი პაულ როტი. მეორე ბანაკი, რომლის აღიარებული ლიდერის როლში სწორედ დოფში გვეელინება, ფიქრობენ რომ ბენეფიციუმი წარმოიშვა გაცილებით უფრო ადრე მეროვინგების პერიოდში (495, გვ. 165, 167). რომელ ბანაკს ემხრობა ქართველი ისტორიკოსი? აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე გრ. ნათაძეს აქვს თავისი საინტერესო დაკვირვება და ამიტომ ღირს ყური მივუგდოთ მის მსჯელობას. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ სიტყვა ბენეფიციუმი კაროლინგების ეპოქამდე არ იხსენიებაო. ამ დებულებაში კორექტივები შეიტანა ა. დოფშმა, მაგრამ გრ. ნათაძეს მიაჩნია, რომ არც ეს მონაცემები ჩანს ყველაზე ადრეული. ამ მხრივ საგულისხმო უნდა იყოს 528 წელს გამოცემული საბუთი (495, გვ. 168). ამ შემთხვევაში ის დოფშზე წინ მიდის და მისი დაკვირვება ისტორიოგრაფიაში ახალ სიტყვად შეიძლება მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გრ. ნათაძე ამ საკითხში ა. დოფშის პოზიციისკენ უფრო იხრება და მიიჩნევს, რომ ბენეფიციუმები უკვე მეროვინგების ხანაში არსებობდა. „მე კი, ვამტკიცებ ძველი სკოლის საწინააღმდეგოდ, რომ ეს წესი შემოვიდა, სწორედ, მეროვინგების დროს, მაგრამ სულ სხვა სახით, ვიდრე ეგონათ და ახალი სკოლის წინააღმდეგ, რომ ეს წესი შემოვიდა მეროვინგების დროს და მისი პირველი სახე სწორედ კულტურული განუვითარებლობის შედეგი იყო, ვინაიდან გაურკვევლობა მემკვიდრეობის საკითხში, გაურკვევლობა იმაში, თუ რა არის საკუთრება, კერძო უფლებრივი ურთიერთობის ძლიერება - ყველა ეს ედვა საფუძვლად ბენეფიციუმის წესს და ამიტომ, იგი მეტად გაურკვეველი ინსტიტუტი იყო. რის გამოც მრავალი გაუგებრობა და ბევრი ბრძოლა მოხდა" (495, გვ. 177).

გრ. ნათაძის მიერ თემის არჩევანი მისასალმებელია რადგან მისი ყურადღების ცენტრში მოექცა მედიევისტიკის ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური თემა. ეს არის გარდამავალ და ადრეფეოდალურ ხანაში მიწაზე საკუთრების, მამულის წარმოშობა. ამ პრობლემების გამოკვლევა, ცხადია, არ იყო ადვილი საქმე და იგი იმ დროისათვის ევროპულ მედიევისტიკაში ბოლომდე კარგად გარკვეული არ ყოფილა.

იმისათვის, რომ უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ საკითხს, პირველ ყოვლისა, საჭიროა გრ. ნათაძეს ერთმანეთისგან მკაფიოდ გაემიჯნა ისეთი ცნებები, როგორიცაა ალოდი, პრეკარია, ბენეფიციუმი, იმუნიტეტი. თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება. რომ ხომ არ აიგივებს გრ. ნათაძე ამ ცნებებს ბენეფიციუმთან.

რა თქმა უნდა, კარგია, რომ გრ. ნათაძე დიდ ყურადღებას უთმობს ბენეფიციუმის ეკონომიკურ ასპექტებს, რაც სოციალ-ეკონომიკური თემატიკით მისი გატაცების ლოგიკური შედეგია. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია ბენეფიციუმის არსებითი და მთავარი მხარე, პირადი ურთიერთობები, რომლის მნიშვნელობაზე მინიშნება მისი ნაშრომის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია (495, გვ. 176). როგორც ჩანს, ის იზიარებდა ფრანგი მეცნიერის ჟაკ ჟოფრუა ფლაკის შეხედულებებს, თუმცა ამ ნაშრომში მის გამოკვლევას რატომღაც არ იხსენიებს (440, გვ. 172). ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა გრ. ნათაძის ნაშრომში ეს აზრი გატარებული ყოფილიყო უფრო მკვეთრად, მკაფიოდ, ნათლად. ძნელია დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, თითქოს ეს პირადი ურთიერთობები რაღაც გაურკვევლობას წარმოშობდა მემკვიდრეობის ან საკუთრების საკითხში. თუ წყაროებს კარგად ჩავუკვირდებით მაშინ დავინახავთ, რომ ბენეფიციუმი, პირველ ყოვლისა, იყო პირადი კავშირების, კონტაქტების შედეგი და მიწის ჩუქება არაა სამსახურის შესრულების აუცილებელი პირობა. აქ უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ბენეფიციუმის დროს წინა პლანზე გამოდის პირადი კონტაქტები მეფესა და სენიორს შორის, რომელსაც თან მოყვება მიწათმოქმედებითი ურთიერთობები (166; 214).

შეიძლება გადაჭარბებული იყოს იმის მტკიცება, თითქოს ბენეფიციუმი უნდა იყოს, არა დროებითი მემკვიდრეობა, არამედ სამემკვიდრო მფლობელობა (495, გვ. 176).

ალბათ უკეთესი იქნებოდა გრ. ნათაძეს ხელი მოეკიდა რომელიმე ერთი პრობლემის დამუშავებისათვის ან ბენეფიციუმი ან იმუნიტეტი. ამ ორი რთული საკითხის გაშუქება ერთ ნაშრომში, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელი საქმე იყო. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად შეიძლება ამით აიხსნას ის ფაქტი, რომ გრ. ნათაძის ნაშრომში იმუნიტეტის საკითხი შედარებით ფრაგმენტულადაა წარმოჩენილი (495, გვ. 163-173).

ვაჯამებთ რა აღნიშნულ ნაშრომს უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძემ ხელი მოჰკიდა მედიევისტიკის აქტუალურ თემას, რომელიც თვით ევროპულ ისტორიოგრაფიაში იმ

დროისათვის, როდესაც გრ. ნათაძის ნაშრომი დაიწერა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე კარგად გამორკვეული და ცდა აზრი გამოეთქვა ამ საკითხის ირგვლივ, მისასალმებელია. მიუხედავად ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანი მსჯელობისა, ბენეფიციუმის არსის განსაზღვრისას გრ. ნათაძე, ვფიქრობთ, ახლოს მივიდა რეალობასთან და პირველ რიგში მასში პირადი კავშირების გამოვლინება დაინახა. ამიტომ, ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის ეს ნაშრომი მედიევისტიკის საკითხებზე დაწერილ საუკეთესო გამოკვლევად შეიძლება მივიჩნიოთ და 1926 წელს გამოცემულ წიგნთან ერთად, ქართული მედიევისტიკის ოქროს ფონდს უნდა მივაკუთვნოთ.

მედიევისტიკის საკითხისადმი მიძღვნილი გრ. ნათაძის შემდგომი გამოკვლევა ეხება გერმანელთა ყოფის ევოლუციის დასკვნით ფაზას, ბოლო მესამე საფეხურს, რომელიც კარგად აისახა „კაპიტულარში მამულების შესახებ".

როგორც წესი, გრ. ნათაძე დიდ ინტერესს იჩენს საკითხის ისტორიოგრაფიისადმი, რაც თავისთავად ცხადია, საინტერესოა. ეს ისტორიოგრაფიული მიმოხილვა უპირველეს ყოვლისა იმითაა ღირებული, რომ ქართველ მკითხველს ახლოს გააცნობს XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსის მაქს ვებერის მრწამსს.

სანამ უშუალოდ მაქს ვებერის შეხედულებების განხილვას შეუდგებოდა, გრ. ნათაძე მოკლედ ჩერდება ნეოკანტიანელებზე, რომლებმაც როგორც მაშინ ბევრი ფიქრობდა, მათ შორის გრ. ნათაძეც, თავისი როლი შეასრულეს მაქს ვებერის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში(150, გვ. 181-214; 269, გვ. 71-87). ნეოკანტიანელების ემპირიზმსა და ფაქტოგრაფიაზე საუბარი უხერხული უნდა იყოს (360). ნეოკანტიანელების მისამართით გამოთქმული შენიშვნების მიზეზს, პირველ ყოვლისა, მის მსოფლმხედველობაში ვხედავთ, რომელიც ეკონომიკური მატერიალიზმის ძლიერ გავლენას განიცდიდა, ამ შემთხვევაში იგი ემხრობა იმ ხაზს, რომელსაც ავითარებდა მისი მასწავლებელი რ. ვიპერი თავის წიგნში „ისტორიული მატერიალიზმის კრიზისი" (498, გვ. 290-291). მისასალმებელია, რომ ბოლო ხანებში დაისვა საკითხი ნეოკანტიანელების ნეგატიური შეფასების გადასინჯვის თაობაზე. ინტერესსმოკლებული არ იქნება, ყური მივუგდოთ ა. გურევიჩს: „ნეოკანტიანელებმა გააშიშვლეს ისტორიული შემეცნების მთელი სირთულე და უკიდურესად გაამწვავეს მთელი პრობლემა ისტორიული ეპისტემოლოგია - მარქსიზმმა (მარქსისა და ენგელსის შემდეგ) უარი თქვა ჩაღრმავებოდა ამ პრობლემატიკას და მიუხედავად ამისა, არ დააყოვნა და არაკვალიფიცირებული, არაკონსტრუქციული კრიტიკა დაატეხა თავს ჰ. ვილდელბანდს, გ. რიკერტს, მ. ვებერს.

ისტორიის შემეცნების პრობლემისადმი მარქსისტულ - ჰეგელიანურმა მიდგომამ ჩვენი ისტორიკოსებისათვის დაჩრდილა მისასვლელი გზა ყველაზე უფრო საინტერესო და პროდუქტული მიმართულებისაკენ XX საუკუნის ისტორიულ მეცნიერებაში" (547, გვ. 24).

გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი მაქს ვებერი XX საუკუნის ევროპული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომლის შეხედულებებსაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. ამიტომ, მისი ნაზრევით გრ. ნათაძის დაინტერესება სავსებით ბუნებრივი იყო. აღსანიშნავია, რომ მაქს ვებერი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული გეგმიანი ეკონომიკის უპერსპექტივობაში. მისი ღრმა რწმენით „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ცენტრალიზებული, გეგმიანი ეკონომიკა, რომელსაც თან მოყვება საზოგადოების უნიფიკაცია, ინდივიდუალური თავისუფლების ჩახშობა და პოლიტიკური ტოტალიტარიზმი" (182). ამით, მან ფაქტობრივად განაჩენი გამოუტანა მომავალ სოციალისტურ ეკონომიკას, ამიტომ, ცხადია, ადვილი გასაგებია, თუ რატომ შეხვდა საბჭოთა ისტორიოგრაფია მ. ვებერის შეხედულებებს ასე მტრულად. მ. ვებერთან, ამ პოლემიკას, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად და არა აკადემიური, მეცნიერული. ისტორიამ სავსებით დაადასტურა მ. ვებერის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, ალღო და ამით დამჯერებელი პასუხი გასცა მის ოპონენტებს. ამიტომ სავსებით მართლზომიერი იყო, რომ უკვე 20-იან წლებში მ. ვებერის შეხედულებების მეცნიერული გაანალიზების პირველი სერიოზული ცდები უმალ სასტიკად ამხილეს, დაგმეს, ძირშივე ჩაახშვეს და აღკვეთეს (332, გვ. 372-498). ამის შემდეგ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი კრიტიკულმა პათოსმა, მ. ვებერის განქიქებამ, არაკონსტრუქტულმა, არაკვალიფიცირებულმა კრიტიკამ, პირდაპირ ვიტყოდი უსაშველო ლანძღვა-გინებამ. აღსანიშნავია, რომ ეს განწყობილება იმდენად ძლიერი იყო, რომ თითქმის 80-იან წლების ბოლომდე შემორჩა (336; 306). ასე, რომ გრ. ნათაძემ ძალიან კარგად იცოდა თუ რა გზას უნდა დადგომოდა.

მაქს ვებერის მსოფლმხედველობის ფორმირების საქმეში ნეოკანტიანელების გავლენის გადაჭარბება არ ღირს. ეს მეტად.აღარიბებს მისი შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესს (498, გვ. 291). სინამდვილეში საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და იგი მხოლოდ ნეოკანტიანელების გავლენით არ შემოფარგლება. ამ მხრივ საგულისხმოა ა.პატრუშეევის დაკვირვება, „ვებერის მეთოდოლოგიური მოძღვრება წარმოადგენს პრინციპულ სინთეზს იმ პოზიტიური იდეებისა, რომელიც გააჩნია ნეოკანტიანელობას, პოზიტივიზმს და ისტორიის მატერიალისტურ გაგებას" (596, გვ. 67). ამავე დროს უნდა დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც მაქს ვებერს; როგორც მკვლევარ მეცნიერს, ნეოკანტიანელებზე მაღლა აყენებს (498 გვ. 291).

აჭარბებდა გრ. ნათაძე, როდესაც წერდა, თითქოს ა. ნეუსიხინმა ხოტბა შეასხა მაქს ვებერს (498, გვ. 291-292). ა. ნეუსიხინის პოზიციის ამდაგვარი შეფასება იმ ხანად არსებული პოლიტიკური და იდეური ვითარების

ანარეკლად მიგვაჩნია.

ფორმაციული პოზიციებიდან მაქს ვებერის კონცეფციის კრიტიკა ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო გრ. ნათაძის სოციოლოგიური თვალსაზრისით. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისტორიის სოციოლოგიურ გაშუქებას თავისი შეხების წერტილები გააჩნია მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან და არ ეწინააღმდეგებოდა გაბატონებული ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს იდეოლოგიას. ისტორიული განვითარების პანორამა, რომელსაც მაქს ვებერი გვიხატავს თავის შრომებში, გაცილებით საინტერესო და მდიდარია, ვიდრე ამ მოვლენების ფორმაციული პრინციპით გაშუქება (180). „მთავარი შეცდომა მაქს ვებერისა იმაშია, რომ ის ანალოგიებს აწარმოებს, არა ფორმაციულად, არამედ მთელი ისტორიის ფარგლებით და ანალოგიების საფუძვლად უფრო უფლებრივი მსგავსება აქვს მიღებული ვიდრე საწარმოო ძალთა განვითარება და საწარმოო ურთიერთობები. ცნობილია, რომ მაქს ვებერს წარმოდგენა არ აქვს ფორმაციულ კანონებზე და სინთეტურ მუშაობას თუ აწარმოებს, ფორმაციების გარეშე, ისიც იმისთვის, რომ „გაწვრთნას შედეგებზე მიზეზის დაყვანის ნიჭი" როგორც ამბობს თვითონ. მაქს ვებერი ანალოგიებს მსოფლიო ისტორიის ფარგლებში ეძებს, მას სწამს მსოფლიო ისტორიული კანონები, რომელიც ბუნების კანონებს უახლოვდება. ფორმაციული კანონების ისტორიული მნიშვნელობა კი, მას არ ესმის. მართლაც ასე უნდა იყოს იმისათვის, ვის წარმოდგენაშიც „მიგორავს დაუსრულებელი ღვარი გაუზომელი არსისა მარადიულობის მიმართულებით, სულ ახალი და სხვაფრივ შეფერადებული ჩნდებიან კულტურული პრობლემები, რომლებიც ხალხს ამოძრავებენ" (498, გვ. 292).

მაქს ვებერი დამოკიდებულებას მარქსიზმისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფია და მათ შორის, ცხადია, გრ. ნათაძეც, უპირატესად განიხილავდა სწორხაზოვნად, მარტივად, და მას ანტიმარქსისტთა ბანაკს მიაკუთვნებდა (498. გვ. 292). სინამდვილეში რეალური ვითარება გაცილებით უფრო მრავალწახნაგიანი იყო. იმის გაფიქრებაც კი, რომ მ. ვებერი არ იცნობდა მარქსიზმს უბრალოდ ღიმილის მომგვრელია (336, გვ. 148). მარქსიზმისადმი მ. ვებერის დამოკიდებულება შემოქმედებითია. მარიან ოეუხოვსკაიამ მას უწოდა „პოზიტიური აღმშენებლობითი კრიტიკა" თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსის ერიკ ჰობსბაუმის თქმით „არაფერია სამარცხვინო იმაში, რომ ისევე როგორც ვებერმა ბევრი ისწავლა მარქსისაგან, მაგრამ არ გამხდარა მარქსისტი, არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ მარქსისტმა არ ისწავლოს ვებერისაგან, ისე რომ არ გახდეს ვებერის ტიპის ლიბერალი" (596, გვ. 68). ბოლო წლებში მაქს ვებერზე გამოქვეყნდა არაერთი საინტერესო ნაშრომი, რომელთა შორისაც საუკეთესოა გერმანელი ისტორიკოსის ვ. მომზენის გამოკვლევა (581; 595; 617; 542).

ვფიქრობთ, შეიძლება დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც მაქს ვებერს როგორც მეცნიერს ა. დოფშზე მაღლა აყენებს. იგი ამას იმით ხსნის, რომ დოფში „უფრო ვიწრო ფარგლებით აწარმოებს კვლევით მუშაობას, ვიდრე მაქს ვებერი. ის (ე. ი. დოფში - მ. კ.) იკვლევს დასავლეთ ევროპის ისტორიის ფეოდალიზმის დროს და ფეოდალიზმის ხანას. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ამცირებს ავსტრიელი ისტორიკოსის დამსახურებას და იგი, უდავოდ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპულ მედიევისტიკაში, რომელმაც თავისი სიტყვა თქვა მის შემდგომ განვითარებაში. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დოფშის შრომები სავსებით სამართლიანად განეკუთვნება ევროპული მედიევისტიკის ოქროს ფონდს. რა თქმა უნდა, გრ. ნათაძემ მშვენივრად იცოდა ეს, მაგრამ არსებულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ვითარებაში ამის თქმის საშუალებას მოკლებული იყო და ამიტომ ეზოპეს ენას ამჯობინებდა. ა. დოფშის შეხედულებებისადმი ის ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც გაბატონებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გადასასინჯია და სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ მიუხედავად კრიტიკისა გრ. ნათაძე მაქს ვებერზე და ა. დოფშზე, როგორც ისტორიკოსებზე მაღალი აზრისაა. გრ. ნათაძე ა. დოფშის მიმართ ძირითად ორ შენიშვნას გამოთქვამს (498, გვ. 297): 1. დოფში ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფეოდალიზმის დროს ნატურალური მეურნეობა კი არა, ფავისებური კაპიტალისტური მეურნეობა არსებობდა და, რომ მის ეკონომიკას არავითარი კავშირი არ აქვს ფეოდალიზმის სტრუქტურებთან, ვინაიდან ეს მხოლოდ პოლიტიკური მოვლენაა... ამიტომ, თუმცა ფეოდალური ფორმაციის, თუნდაც ასეთი არსებობის მას არ სწამს, ფაქტობრივად მაინც ფორმაციის შესახებ მსჯელობს მის უარსაყოფად. ამითაა განსაკუთრებით საინტერესო მისი გამოკვლევა ჩვენთვის; 2. წყაროების გარჩევის და ფაქტების ანალიზის გამოვლინების დროს ესენი (ვებერი და დოფში - მ. კ.) ემყარებიან ფორმალურ ლოგიკას და არავითარი წარმოდგენა არ აქვთ დიალექტიკურ ლოგიკაზე (498, გვ. 292-293). გრ. ნათაძის პირველი შენიშვნა გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია. როგორც ჩანს, გრ. ნათაძეს იმ აზრის გატარება სურს, რომ ფეოდალიზმის წმინდა პოლიტიკური ინტერპრეტაცია, რომელსაც ავსტრიელი ისტორიკოსი გვთავაზობდა, საკმარისი არ უნდა იყოს, რასაც, სხვათა შორის, ა. დოფშს საყვედურობდნენ მისი ევროპელი ოპონენტები, პირველ რიგში კი, ანრი პირენი და მარკ ბლოკი, მაგრამ მათგან განსხვავებით გრ. ნათაძეს დოფშთან პოლემიკა ფორმაციულ ნიადაგზე გადააქვს. რაც შეეხება მეორე შენიშვნას, გრ. ნათაძე აქ, ვფიქრობთ, გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდება. საქმე ისაა, რომ თუ ამ ნაშრომში გრ. ნათაძე დოფშს საყვედურობს წყაროსადმი ფორმალურ მიდგომას, სულ ორიოდე წლის შემდეგ გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „სალიკური კანონი" პირიქით, ის აქებს

დოფშს, რომ დასძლია წყاროებისადმი ფორმალური მიდგომაო (508, გვ. 89). რით იყო განპირობებული ასეთი საპირისპირო შეფასებები ძნელი სათქმელია. ჩვენი აზრით, შესაძლოა, ეს მეორე შეფასება უფრო სწორია და ამიტომ ასეთი „ევოლუციაც" სასიკეთოდ შეიძლება აღვიქვათ. გრ. ნათაძის მიერ გამოთქმული მოსაზრების დასამტკიცებლად თითქოს დოფში „ფორმალურ ლოგიკას ემყარება და არავითარი წარმოდგენა არ აქვს დიალექტიკურ ლოგიკაზე. უფრო მეტი კონკრეტული მასალის მოხმობა იყო საჭირო და ამიტომ ჩნდება კითხვა — გრ. ნათაძის მსჯელობა მტკიცების თვალსაზრისით ხომ არ მოიკოჭლებს?

აქ, ალბათ, სასურველი იქნებოდა გრ. ნათაძეს ეთქვა, რომ ა. დოფში ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა და საკმაოდ სამართლიანადაც კაპიტულარებს, როგორც ისტორიულ წყაროს, მაგრამ შედარებით უგულისყუროდ ეკიდებოდა პოლიტიკების მამულის აღწერას (216, გვ. 363).

მედიევისტიკის საკითხებზე დაწერილი შრომებიდან ყურადღებას იპყრობს გრ. ნათაძის გამოკვლევა „დოფშის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი" სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი მისი უკანასკნელი გამოკვლევა აღმოჩნდა არა მარტო მედიევისტიკის სფეროში, არამედ საერთოდ მეცნიერებაში და ამის შემდეგ მთელი შვიდი წლის განმავლობაში, მძიმე ავადმყოფობის გამო, მას უკვე აღარაფერი დაუწერია.

როგორც სათაურიდან ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო წმინდა ისტორიოგრაფიული გამოკვლევა. საფიქრელია, რომ აქ იქნებოდა გამოჩენილი ავსტრიელი მედიევისტის ალფონს დოფშის შრომების განხილვა, ანალიზი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამის მსგავსს ნაშრომში ვერაფერს ვიპოვით. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ნაშრომი არაა წმინდა ისტორიოგრაფიული გამოკვლევა და მისი სათაური არ შეესატყვისება შინაარსს. ცხადია, იმ რანგის ისტორიკოსს, როგორიც გრ. ნათაძე იყო ასეთი უბრალო, ელემენტარული რამ მხედველობიდან არ შეიძლებოდა გამოპარვოდა. მაშ რაშია საქმე? შეიძლება ვიფიქროთ, რომ გრ. ნათაძემ, უპირველეს ყოვლისა, ცენზურის გულის მოგების მიზნით, გერმანიასთან ომის დროს, შეგნებულად, სპეციალურად მისცა ასეთი სათაური თავის ნაშრომს, რათა იგი უფრო ადვილად გამოსულიყო. ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება ის შეუსაბამობა, რომელიც გრ. ნათაძის გამოკვლევის სათაურსა და შინაარსს შორის შეიმჩნევა. ერთია პრობლემის ისტორიოგრაფიის განხილვა, მეორეა კონკრეტული ისტორიკოსის შეხედულებების გადმოცემა. მათ შორის შეხების წერტილები, უეჭველად, არსებობს, მაგრამ მათი გაიგივება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სულ სხვა საკითხია ის, რომ გრ. ნათაძე ეხება ისეთ თემებს, რომელსაც ა. დოფშიც განიხილავს, მაგრამ ეს რა თქმა უნდა, ა. დოფშის თეორიის განხილვა არაა. ის დოფშს სხვა საკითხებთან დაკავშირებით ეხება.

საინტერესოა ის ამოცანები, რომელსაც გრ. ნათაძე ისახავს მიზნად თავის ნაშრომში. მას მიზნად დაუსახავს არა ა. დოფშის შრომების გარჩევა, არამედ სულ სხვა რამე „მე ვფიქრობ, ამ შრომის პირველ ნაწილში შეეხო საკითხს ფეოდალური სისტემის სოციალ-ეკონომიკური საფუძვლებისა და, თუ სადმე უფრო უკეთესად გაშუქებას შეეძლებ გავაშუქო, ხოლო მეორე ნაწილში გამოვარჩევთ თუ რა ხასიათისა და ორგანიზაციის იყო მაშინდელი ვაჭრობა" (497, გვ. 263-264). აბა, რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ა. დოფშის შეხედულებების გარჩევასთან? ჩვენი აზრით, არაფერი.

გრ. ნათაძის დაინტერესება ა. დოფშის შეხედულებებით სავსებით ბუნებრივია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ავსტრიელმა მკვლევარმა მთელი გადატრიალება მოახდინა მედიევისტიკაში და დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის მთელი რიგი კარდინალური საკითხები სრულიად ახლებურად დასვა და წარმოაჩინა. გრ. ნათაძის მიერ ა. დოფშის შეხედულებების განხილვა, პირველ ყოვლისა, იმიტომაა ღირებული, რომ ფაქტობრივად ის ქართულ სინამდვილეში ავსტრიელი მედიევისტის ნაზრევის წარმოჩენის პირველი სერიოზული მეცნიერული მცდელობაა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძე ძალიან კარგად იცნობს ა. დოფშის ძირითად შრომებს, რომლებიც, სხვათა შორის, მათი ანტიმარქსისტული მიმართულების გამო, რუსულ ენაზე თარგმნილი არ ყოფილა და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში რუსული ისტორიოგრაფია გამოასწორებს ამას, და რაც მთავარია, ცდილობს ჩაუღრმავდეს მის ძირითად დებულებებს, იდეებს. ჯერ კიდევ ალ. ნამორაძე აღნიშნავდა, რომ გრ. ნათაძემ მშვენივრად შეძლო გარკვეულიყო ა. დოფშის ძირითად მოსაზრებებში. „1. დასავლეთ რომის იმპერიამ მიიძინა ისე, რომ არ განუცდია ნგრევის ქარცეცხლი, რის გამოც იმპერიასა და შუა საუკუნეებს შორის არავითარ ცეზურიას, არავითარ წყვეტილობას ადგილი არ ჰქონია; 2. რომის იმპერიის ტერიტორიაზე შესევისას გერმანელთა ტომები უკვე ერთგვარ საფეხურზე იდგნენ და მაშასადამე, არ დაანგრევდნენ და არ მოსპობდნენ რომის კულტურას, პირიქით, მათ მიიღეს რომის მემკვიდრეობა, მთლიანად გამოიყენეს იგი და განაგრძეს მისი განვითარება; 3. როგორც რომის იმპერიაში, ისე შუა საუკუნეების ხანაში იყო მსხვილი საკუთრება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რომში ამუშავებდნენ მონებს, რომლებიც შუა საუკუნეებში ყმებად გადაიქცნენ; 4. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში არსებობდა „ნატურალურ-მეურნეობითი კაპიტალიზმი" (497, გვ. 378). მესამე პუნქტი, ჩვენი აზრით, გარკვეული კორექტივების შეტანას უნდა მოითხოვდეს და შედარებით უმნიშვნელო, მეორეხარისხოვან საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული. აქ ვგულისხმობთ, რომ გრ. ნათაძე და მის კვალდაკვალ ალ. ნამორაძე არ ეხებიან ა. დოფშის თეორიის ერთ-ერთ მთავარ ძარღვს, რომ მან არსებითად საფუძველი ჩაუყარა ახალ სამამულო თეორიას, რომელიც ემყარება „სათემო თეორიის" სრულ უგულვებელყოფას. ამ კონცეფციის ისრები უპირატესად მიმართულია „სათემო-თეორიის" და „მამულის კლასიკური თეორიის" წინააღმდეგ და არა

იმდენად მარქსიზმისაკენ, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია.

დოფშისადმი გრ. ნათაძის დამოკიდებულებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა, რაც, ვფიქრობთ, სავსებით ტიპური იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის 20-30-იან წლებში. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ა. დოფშისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიდგომას ცივილიზებული სახე ჰქონდა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ა. დოფშს გამოუჩნდნენ, როგორც მიმდევრები დ. პეტრუშევსკის და ა. ნეუსიხინის სახით, ისე სერიოზული ოპონენტები - ნ. გრაციანსკი, მაგრამ შემდგომში, 30-იანი წლებიდან მოყოლებული ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მტკიცედ დამკვიდრდა დოფშისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება. უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძეს დასაწყისში, განსაკუთრებით 20-იანი წლების შუა ხანებში, ა. დოფშის შეხედულებების გარჩევისას მეცნიერული გზა ჰქონდა არჩეული და ცდილობდა ობიექტურად, რეალისტურად წარმოეჩინა მისი თეორიის ავკარგიანობა, დაენახვებინა მკითხველისათვის მისი შეხედულებების მეცნიერული ღირებულება. ამ პერიოდში გრ. ნათაძე ა. დოფშის მომხრე უფრო ჩანს, ვიდრე კრიტიკოსი, მაგრამ შემდგომში ვითარება რადიკალურად იცვლება, კრიტიკული პათოსი მკვეთრად ძლიერდება. ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, რით იყო განპირობებული ასეთი მკვეთრი შემობრუნება? უნდა ვიფიქროთ, რომ გრ. ნათაძის აღნიშნული მეტამორფოზი განპირობებული იყო არა იმდენად წმინდა აკადემიური, მეცნიერული მოტივებით, არამედ პოლიტიკური ფაქტორებით. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების, ბოლშევიკური იდეოლოგიის მონოპოლიის დამკვიდრების შემდეგ, არსებითად შეუძლებელი შეიქნა ა. დოფშის თეორიის მეცნიერული კრიტიკა.

ა. დოფშის თეორიამ ევროპული მედიევისტიკის დიდი დაინტერესება გამოიწვია და მაშინვე გამოჩნდნენ როგორც მიმდევრები, ისე სერიოზული ოპონენტები. მათ საფუძველი ჩაუყარეს დოფშის კონცეფციის მეცნიერულ კრიტიკას. საბჭოთა ისტორიოგრაფია ა. დოფშს ძირითადად ეკამათებოდა ფორმაციული და კლასობრივი პოზიციებიდან და დოფშის კრიტიკა პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. თუ ევროპული მედიევისტიკა ა. დოფშთან პოლემიკას უმთავრესად წმინდა აკადემიური, მეცნიერული პრინციპებიდან აწარმოებდა, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ამ დისკუსიას კლასობრივი, იდეოლოგიური, პოლიტიკური ხასიათი მისცა. ვფიქრობთ, გრ. ნათაძის გამოკვლევის სათაურიდანაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ პოლიტიზირებული, იდეოლოგიზირებული იყო იმ ხანად ა. დოფშისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიდგომა. გრ. ნათაძის მიერ ა. დოფშის დაკავშირება თანამედროვე ფაშიზმსა და რასობრივ თეორიასთან, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ აშკარად, ძალად თავსმოხვეული ბოლშევიკური სტერეოტიპი იყო, რომელიც უმთავრესად კონიუნქტურული მოტივებით იყო ნაკარნახევი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს არის არაფრისმთქმელი, არაფრისმომცემი არგუმენტი, რომელიც არავითარ ჩრდილს არ აყენებს სახელგანთქმულ ავსტრიელ მედიევისტს. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ როგორც კომუნისტი, ისე ფაშისტი და ნაციონალისტი შეიძლება იყოს კარგი მედიევისტი. აქ პოლიტიკური სიმპათიები რა შუაშია? აქედან ძალიან კარგად ჩანს, რომ საბჭოურმა იდეოლოგიამ ა. დოფშის კრიტიკა პოლიტიკის კომპეტენციად აქცია. ამ პოლიტიკური იარლიყებით სურდათ საბჭოთა მკითხველის თვალში ევროპელი ისტორიოგრაფიის კორიფეების დისკრედიტირება. ა. დოფშის ჩვეულებრივი ლანძღვა-გინება მეცნიერებისაგან ძალზე შორსაა და საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ნაცადი არგუმენტია.

გრ. ნათაძეს მშვენივრად აქვს გაცნობიერებული ფეოდალიზაციის პროცესის სირთულე, აქტუალობა, მეცნიერული ღირებულება. იგი წერდა: „სულ სხვა არის ფეოდალური სისტემის გაფორმების დასაწყისი პერიოდი. აქ ჩვენ თვალწინ გვეშლება იქამდის რთული, მრავალწახნაგოვანი მოვლენა, იქ ერთ კალაპოტში სუმარულად თავს იყრის იქამდის სხვადასხვა ფორმა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისა, თვით საბუთებშიც იქამდის რთული და სხვადასხვაგვარი მოვლენებია აღბეჭდილი, რომ მათი გამორკვევა და სუმარული დახასიათება როგორც ერთი მოვლენის სხვადასხვა თვისებისა, საერთო ჯამში ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ ფორმაციად მოვლინებულის ძნელია. ამიტომ ყოველგვარი თეორია, რაც უნდა მცდარი იყოს იგი, ადვილად პოულობს ნიადაგს ამ საკითხში, რის გამოც მისი გაბათილება და დამარწმუნებლად უარყოფა, შედარებით ძნელია, ვიდრე ცეზარისა და ტაციტუსის ტექსტების ცოდნასთან დაკავშირებულ საკითხებში“ (497, გვ. 159). ამ ძნელ და მრავალწახნაგოვან თემასთან შეჭიდება, მისი გაშუქების, გამორკვევის სურვილი, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ მიმოიხილავს გრ. ნათაძე საკითხის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ძირითად მიმდინარეობებს. ამ მიმოხილვაში გრ. ნათაძე რატომღაც დუმილით უვლის გვერდს გერმანულ-რომაული სინთეზის თეორიას, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა ევროპულ ისტორიოგრაფიაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მით უმეტეს მოულოდნელად მიგვაჩნია ეს იმიტომ, რომ აღნიშნული საკითხის გააზრებისას თავად გრ. ნათაძე უფრო მეტად, სწორედ, გერმანულ-რომაული სინთეზის თეორიისკენ იხრება. ამ ისტორიოგრაფიული მიმოხილვის გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ცოტა ხომ არ აფერმკრთალებს გრ. ნათაძე სინამდვილეში არსებულ ისტორიოგრაფიულ პანორამას? თვით გერმანისტული თეორიის შიგნით არსებობდა კიდევ მთელი განშტოებები: „სათემო თეორია“ მაურერის მეთაურობით, „სამამულო თეორია“ და მისი წარმომადგენლები კ. ლამპრეხტი, კ. ბიუხერი, კ. თ. ინამა-შტარნეგი. უფრო მეტი სიცხადისათვის საჭირო იყო მათი მკვეთრი, მკაფიო გამიჯვნა, თორემ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გრ. ნათაძე აიგივებდეს მათ. XIX-XX

საუკუნეების მიჯნაზე ევროპულ მედიევისტიკაში თავისი სიტყვა თქვა „სტრასბურგის სკოლამ" (ვ. ვიტიხი, გ. ზელიგერი და სხვ.) და „კრიტიკულმა სკოლამ", რომელსაც მიეკუთვნებოდა დოფში (497, გვ. 160).

საკამათოდ მიგვაჩნია, გრ. ნათაძის მიერ ცნობილი რუსი ისტორიკოსების პ. ვინოგრადოვის და მ. კოვალევსკის პოზიციის შეფასება ფეოდალიზმის გენეზისის საკითხში. მათი მიკუთვნება გერმანისტული თეორიის მომხრეებისადმი მიზანშეწონილი არაა. ისინი ფეოდალიზმის აღმოცენებას უკავშირებენ, ერთი მხრივ, რომში არსებულ აგრარულ ვითარებას, ხოლო მეორე მხრივ კი, ძველ გერმანელებში თემური წყობილების ელემენტების დაშლის სინთეზს, ეს კი, უკვე გერმანისტული თეორია კი არა, არამედ სულ სხვა, მესამე გზა იყო — გერმანულ-რომაული სინთეზის თეორია (187; 188; 189; 268).

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა გრ. ნათაძეს აღენიშნა, რომ ა. დოფშმა დაუკარგა თავისი უწინდელი სიმწვავე გერმანისტულ და რომანისტულ თეორიებს, რაც მისი ერთ-ერთი დამსახურება იყო და სიმძიმის ცენტრი გადაიტანა სულ სხვა სფეროში, წყვეტილობა-უწყვეტლობის იდეაზე. რამდენად გამართლებული იყო ასეთი მოქმედება, ეს უკვე სულ სხვა საკითხია.

გრ. ნათაძე ეხება მსხვილი მამულის გაფართოებას და თავისუფალი გლეხის არსებობა-არარსებობის თაობაზე ისტორიკოსთა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და ეს პატარა ისტორიოგრაფიული მიმოხილვა მისი ნაშრომის ღირებული მონაკვეთია. იგი ძალიან კარგად იცნობს საკითხის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს და საკვლევ ლიტერატურაში საკმაოდ ჩახედული ჩანს. აღნიშნული საკითხის თაობაზე ორ, ერთმანეთის საპირისპირო თვალსაზრისს გამოყოფს. ავსტრიელი ისტორიკოსი ინამა-შტარნეგი ფიქრობს, რომ კაროლინგების ეპოქაში წვრილი საკუთრება ან არ არსებობდა ანდაც მას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. მისი შეხედულებებით ამ პერიოდში დომინირებს მსხვილი მამული. სტრასბურგის სკოლის წარმომადგენლები ვ. ვიტიხის თავკაცობით კი, პირიქით ფიქრობენ, რომ კაროლინგების დროს მსხვილი საკუთრება ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამტკიცებენ, რომ წვრილი საკუთრება საბოლოოდ ლიკვიდირებული ჯერ არ ყოფილა. გრ. ნათაძე ცდილობს ახსნას თუ რითი იყო განპირობებული ამ ისტორიკოსების ასეთი პოზიცია. „შესაძლოა, ზოგიერთი მეცნიერი შეცდომაში შეყავს სწორედ იმ გარემოებას, რომ ამ აღწერის მასალებში გვიჩვენებენ ერთი მხრივ წვრილ, თავისთავად მეურნეობას და მეორე მხრივ, ამ მეურნეობათა არა ეკონომიკური, არამედ ხელისუფლების დამოკიდებულებას უფრო მსხვილი მამულისადმი" (497, გვ. 171-172).

ა. დოფში ინამა-შტარნეგის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ მსხვილი მამული არსებობდა არა მარტო კაროლინგების დროს, არამედ მეროვინგების დროს და ასე განსაჯეთ, ტაციტუსის ეპოქის ძველ გერმანელებში. იქნებ ეს იყო მესამე მიმართულება? ამიტომ, შესაძლოა, საკითხის ისტორიოგრაფიაში გამოვყოთ არა ორი, როგორც ამას გრ. ნათაძე ვარაუდობს, არამედ სამი მიმდინარეობა.

გრ. ნათაძე განიხილავს მსხვილი მამულის ორგანიზაციის საკითხს. პოლემისტური ტონი კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის მსჯელობას, ეკამათება ვ. ვიტიხს და გ. კაროს და მიაჩნია, რომ დასმული საკითხი ყველაზე უფრო დამაჯერებლად წარმოაჩინა რუსმა ისტორიკოსმა ა. უდალცოვმა (403; 402). გრ. ნათაძემ კარგად დაინახა, რომ მსხვილი მამულის სტრუქტურა იყო რთული და მრავალფეროვანი. მსხვილი მამულის ფორმირების პროცესი სხვადასხვაგვარი იყო. როგორც წყაროებიდან ჩანს, უმთავრესად „ფრანკთა სახელმწიფოს ჩრდილოეთ ნაწილში მდ. რაინსა და ლუარას შორის ტერიტორიაზე ჭარბობდა მთლიანი, განუყოფელი მსხვილი მამული, რომელშიც შედიოდნენ დიდი სოფელი ან რამოდენიმე სოფელი. სამხრეთ ნაწილში კი ცოტა განსხვავებული სურათია. აქ გვხვდება გაფანტული წვრილი მამულები და მათი მფლობელი შეძლებისდაგვარად ცდილობს მათ გაერთიანებას" (497, გვ. 173; 166). გრ. ნათაძე ინამა-შტარნეგის თეზისისაკენ უფრო იხრება და ფიქრობს, რომ კაროლინგების ხანაში სრულდება მსხვილი მიწისმფლობელობის ფორმირების პროცესი და არ ეთანხმება ა. დოფშს, როდესაც ამტკიცებს, რომ მსხვილი მამული არსებობდა უხსოვარი დროიდან, როგორც მეროვინგების პერიოდში, ისე ტაციტუსის დროინდელ ძველ გერმანელებში.

აქ წამოიჭრება კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია. ეს არის ფრიად მნიშვნელოვანი და აქტუალური თემა. რა ბედი ეწია თავისუფალ გლეხობას მსხვილი მამულის ფორმირების პროცესში?. სტრასბურგის სკოლის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ მსხვილი მამულის ჩამოყალიბების შედეგად თავისუფალი გლეხობის გაქრობას. გრ. ნათაძე არ იზიარებს ამ მოსაზრებას და უფრო იმ ისტორიკოსებს ემხრობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ თავისუფალი გლეხის გაქრობა იყო მსხვილი მამულის აღმოცენების ლოგიკური შედეგი. ადგილი აქვს თავისუფალი გლეხის ყმად გადაქცევას. რა თქმა უნდა, ეს არ იყო უმტკივნეულო, ადვილი პროცესი, როგორც ეს ზოგიერთ ისტორიკოსს გონია. ფრანგი ისტორიკოსი მარკ ბლოკი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „საფრანგეთის აგრარული განვითარების თავისებურებანი" ხაზგასმით აღნიშნავდა - ძალმომრეობის ფაქტორის როლს გლეხური თემიდან მამულზე გადასვლის და თავისუფალი გლეხის დამორჩილების პროცესში. გრ. ნათაძისათვის ეს მეორე ტენდენცია უფრო მახლობელი და მისაღებია, თუმცა საქმის ვითარების გამუქება, რომელსაც სხვათა შორის, ადგილი ჰქონდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ცხადია, არ ღირს. პროგრესი მტკივნეული პროცესია.

გრ. ნათაძე მოკლედ ეხება ადრინდელ შუა საუკუნეებში ნატურალური მეურნეობის არსებობას და ხაზს უსვამს, რომ ეს თემა ლიტერატურაში სადისკუსიოა. მაურერი და ინამა-

შტარნეგი აღიარებენ ნატურალური მეურნეობის არსებობას, მაგრამ კითხვის ნიშნის ქვეშ სვამენ ადრეულ შუა საუკუნეებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობას. ა. დოფში და მისი მიმდევრები კატეგორიულად უარყოფენ ადრეულ შუა საუკუნეებში ნატურალური მეურნეობის არსებობას და გადაჭარბებით აფასებენ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობას საუბრობენ „ნატურალურ მეურნეობით კაპიტალიზმზე". გრ. ნათაძე ცდილობს ჩასწვდეს მათ ნაზრევს და ახსნა მოუძებნოს მას. „ამისთანა რისამე თქმა ეს მეცნიერები იმან აიძულა, ალბათ, რომ როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, მაშინდელი მამულები თავმოყრილი იყო ერთ-ერთი მამულის ხელისუფლების ქვეშ მრავალი სხვადასხვა კატეგორიის მუშა ხალხი. ამგვარი ხალხი ზოგიერთ მამულზე ათასობით იყო დასახლებული. ამას გარდა ამ ნამუშევარს წარმოადგენდა არა მარტო მიწის ნაყოფი, არამედ ხელოსნური პროდუქციაც, რაც ახლანდელი მოქალაქის წარმოდგენაში კაპიტალისტურ წარმოებასთან, არის დაკავშირებული" (497, გვ. 179).

კაროლინგების ეპოქაში კაპიტალიზმზე საუბარი გადაჭარბებული უნდა იყოს და გრ. ნათაძე არ იზიარებს დოფშისა და მისი მომხრეების თეზისს. იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო მკაფიოთ მოფინოს შუქი ამ თემას გრ. ნათაძე შედარებით ვრცლად ჩერდება აღნიშნულ პერიოდში ხელოსნობის განვითარებაზე. შესაძლოა, რომ ეს იყო წინა ნაშრომში დასმული საკითხისაკენ მიბრუნება, მაგრამ მეცნიერმა აქ თავისი მსჯელობა კიდევ უფრო გააღრმავა და გაამდიდრა უშუალო პირველწყაროებით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძე ცდილობს ის ხაზი განავითაროს, რომელიც წარმოადგენს „სათემო" და „სამამულო" თეორიების სუსტ მხარეს. გრ. ნათაძე ისტორიკოსთა იმ ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც ისწრაფვის აღნიშნული პრობლემის შეფასებისას საშუალედო ხაზი გამოძებნოს, რომელიც, ალბათ, ყველაზე უფრო ახლოა ჰეშმარიტებასთან. აქ იგი ავითარებს წინა ნაშრომში გამოთქმულ აზრს, რომ „ხელოსნობა და აღებ-მიცემობა ადრე შუასაუკუნეებში იმდენად არსებობდა, რამდენადაც ამას მოითხოვდა ნატურალური მეურნეობის ინტერესები და იმ პერიოდში იმდენად მცირე იყო, რომ ოდნავადაც არ არყევდა მას" (497, გვ. 179). იქვე ეხება იგი ამ პერიოდში ბაზრის ფუნქციას და მიუთითებს, რომ ის ამ დროისათვის უმნიშვნელო იყო. ამ მხრივ საგულისხმოა „კაპიტულარი მამულების შესახებ" ორმოცდამეთოთხმეტე მუხლი _ „თითოეულმა მოურავმა თვალი დაიჭიროს, რომ ჩვენი კაცები კარგად მუშაობდნენ მათ საქმეზე და ბაზარში არ დაეხეტებოდნენ" (498, გვ. 300).

გრ. ნათაძე ეთანხმება გერმანელ ისტორიკოსს გერჰარდ ზელიგერს, რომელიც მსხვილი მიწათმფლობელობის გამოსარკვევად მიმართავს ბენეფიციუმის და პრეკარიუმის სისტემის გამოკვლევას, თუმცა, აქვე დასძენს, რომ გერმანელი მკვლევარის მიღებული დასკვნები მას საკამათოდ მიაჩნია (497, გვ. 186). გრ. ნათაძის ეს განცხადება ზოგად ხასიათს ატარებს და, ვფიქრობთ, ამ თემაზე მსჯელობის ფართოდ გაშლა ინტერესსმოკლებული არ უნდა ყოფილიყო. აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ კონკრეტულად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები ზელიგერის რომელი დასკვნები მიაჩნია მას მიუღებლად.

შეიძლება ითქვას, რომ გრ. ნათაძის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ფეოდალიზაციის პროცესის აქტუალური თემები: მიწაზე საკუთრება გარდამავალ ხანაში და ადრე შუასაუკუნეებში, სენიორისა და ვასალის ურთიერთობები, სენიორთაშორისი კავშირები. ეს პრობლემები ევროპული მედიევისტიკის დიდ ინტერესს იწვევდა, ხოლო მათი ინტერპრეტაცია სერიოზულ კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას განაპირობებდა. საბჭოთა ისტორიოგრაფია აღნიშნულ პრობლემას, ბუნებრივია, წმინდა მატერიალისტური პოზიციებიდან განიხილავდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდა გარდამავალი პერიოდის და ადრე შუა საუკუნეების აგრარულ ურთიერთობებზე, წინ წამოწევდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკურ ფაქტორს და სავსებით უგულვებელყოფდა პირად კავშირებს, რომელიც გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი ჩანს, ვიდრე აქამდის ეგონათ. ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც ხაზი გაუსვა პირადი კავშირების დიდ მნიშვნელობას, ფრანგი მეცნიერი ჟაკ ფლაკი იყო. ეს აზრი აქვს გატარებული მას თავის მთავარ ნაშრომში „ძველი საფრანგეთის წარმოშობა" (440). ფლაკის ამ თეზისს მხარი დაუჭირა და კიდევ უფრო გააღრმავა მისმა თანამემამულემ მარკ ბლოკმა თავის წიგნში „საფრანგეთის აგრარული განვითარების თავისებურებანი" (166). საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ თვალსაზრისით ბედნიერი გამონაკლისია ა. გურევიჩის მსჯელობა, რომელიც წინ წამოწევს პირადი კავშირების როლს და მნიშვნელობას გარდამავალ პერიოდში და ადრე შუა საუკუნეებში, თუმცა მოულოდნელად მიგვაჩნია, რომ იგი არსად არ იხსენიებს ჟ. ფლაკს და მ. ბლოკს (214).

ჯერ კიდევ მარკ ბლოკი გვაფრთხილებდა, რომ „სწორი არ იქნებოდა სენიორსა და მის ხელქვეითს შორის ურთიერთობაში მხოლოდ ეკონომიკური მხარე დავინახოთ, რაც არ უნდა დიდი იყოს მისი მნიშვნელობა". სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ ფრანგი ისტორიკოსის ეს გაფრთხილება საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ყურად არ იღო. გერმანელი ისტორიკოსი ჰალბანა ბლუმენშტოკის თქმით „მიწა კვებავს ადამიანს, მაგრამ არ ამდიდრებს მას". ფრანგ ისტორიკოსს მარკ ბლოკს მოჰყავს ერთი საინტერესო მაგალითი: „არა ერთი ფრანკი და მოგვიანებით ფრანგი ბარონი გვიპასუხებდა ზუსტად ისე, როგორც შოტლანდიელი მთიელი აზნაური, როდესაც ჰკითხეს თუ რა შემოსავალს აძლევდა მიწა „ორმოცდაათი კაცი" (166, გვ. 131). წმინდა ნივთიერი, მატერიალური მდგომარეობა კი არ ედო საფუძვლად სენიორსა და ვასალს შორის ურთიერთობას გარდამავალ ხანაში და შუა საუკუნეების გარიჟრაჟზე, არამედ პირადი კავშირები, უშუალო დაქვემდებარება. მიწათმოქმედებითი ურთი-

ერთობა ამის ლოგიკური შედეგია. ამიტომ მატერიალური კეთილდღეობის ფაქტორის მნიშვნელობის გადაჭარბება არ ღირს. სენიორალურ-ვასალური ურთიერთობები, პირველ ყოვლისა, აღმოცენებული იყო შემდეგ ნიადაგზე: პირადი კავშირები, მფარველობა, ერთგულება, სამსახური. მათი ურთიერთობა აგებულია პირად კომენდაციაზე, რასაც შემდეგ მოყვებოდა მიწათმოქმედებითი ურთიერთობები. ამიტომ ვასალური ურთიერთობების დაყვანა, აგრარულ ურთიერთობებზე, რაც ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მიწაზე ფეოდალის ძალაუფლების ამოსავალი წერტილია სენიორის ძალაუფლება გლეხზე. ფეოდალს პირველ რიგში, აინტერესებდა არა იმდენად მიწა, როგორც სამფლობელო, არამედ ხალხი, რომელიც ამ მიწაზე იყო მიმაგრებული და სხვადასხვა ფორმით იმყოფებოდა სენიორის პირად დამოკიდებულებაში. შუა საუკუნეებში საზოგადოებრივი, მათ შორის, ვასალური ურთიერთობები უმთავრესად პირად ხასიათს ატარებდა.

უკვე ის ფაქტი, რომ გრ. ნათაძემ მიზნად დაისახა გაეშუქებინა მედიევისტიკის ეს რთული საკითხები მრავლისმეტყველია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პრობლემის გარკვევისას, ყოველ შემთხვევაში თავდაპირველად მაინც, გრ. ნათაძე ისტორიკოსთა იმ ბანაკს უახლოვდება, რომელიც, ალბათ, ყველაზე ახლოსაა ჭეშმარიტებასთან და ევროპულ მედიევისტიკას მიჰყვება კვალში, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მიგვანიშნებს გარდამავალ ეპოქაში და ადრე შუა საუკუნეებში პირადი ურთიერთობების მნიშვნელობაზე (495, გვ. 176). სავსებით ადვილი შესაძლებელია, რომ თავისუფალი აზროვნების პირობებში, ნორმალურ ვითარებაში, გრ. ნათაძე სწორედ ამ ხაზს გაჰყოლოდა, მაგრამ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როდესაც დამყარდა ბოლშევიკური იდეოლოგიის დიქტატურა, ამის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ, სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ გრ. ნათაძის ამ ბოლო ნაშრომში ბენეფიციუმის განხილვის დროს პირადი ურთიერთობები შედარებით უკან იხევს და წინაა წამოწეული აგრარული ურიერთობა, ნივთიერი, მატერიალური მდგომარეობა, რაც სავსებით შეესატყვისებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს (497, გვ. 186-189).

ფეოდალიზმის გენეზისის საკითხში გრ. ნათაძე გერმანელ-რომაული სინთეზის მომხრეთა ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა, იძულებულია მას ბოლშევიკურ-სტალინისტური ინტერპრეტაცია მისცეს. აი, რას წერდა იგი: „ამგვარად, ირკვევა, რომ გერმანელი ერის განვითარების ყოველი მხარე წარმოადგენს ძველი რომაული და ახალი გერმანული ელემენტების შერწყმას და მის განვითარებას, რაც დიდის მტკივნეულობით ხდებოდა ერთის მხრივ გერმანელთა შემოსევების ნიადაგზე და მეორეს მხრივ რომის მონებისა და სხვა დამოუკიდებელი ხალხის აჯანყებისა" (497, გვ. 189). თუ გრ. ნათაძის ამ მსჯელობას მარქსისტულ იდეებს ჩამოვაშორებთ, რომელიც საფიქრელია, რომ ძალად თავს მოხვეული იყო, მთავარში, ფეოდალიზაციის პროცესის გაგების საკითხში, გრ. ნათაძე ძალზე ახლოს მივიდა ჭეშმარიტებასთან. გერმანულ-რომაული სინთეზის თეორია ყველაზე უფრო პერსპექტიული ჩანს.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს ვასკვნით, რომ მედიევისტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი გრ. ნათაძის გამოკვლევების ერთ-ერთი სერიოზული ღირსება ისტორიოგრაფიული საკითხების წარმოჩენაა. ამიტომ, გრ. ნათაძე ალ. ნამორაძესთან ერთად ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის მეცნიერული კვლევა-ძიების და შესწავლის მესაძირკვლედ მიგვაჩნია.

* * *

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის საფუძვლიანი განხილვა მედიევისტიკის პრობლემებზე გრ. ნათაძის შრომების კიდევ ერთი ღირსებაა. საკითხისადმი გრ. ნათაძის მიდგომა გამოირჩევა პროფესიონალიზმით და მაღალკვალიფიციურობით. იგი, პირველ ყოვლისა, ემყარება წყაროების საგულდაგულო შესწავლას და აქედან საკუთარი დასკვნები გამოაქვს, რის შემდეგაც, რამდენადაც შესაძლებელი იყო იმ პოლიტიკურ ვითარებაში, ემხრობა ისტორიკოსთა იმ ბანაკს, რომლის თვალსაზრისიც ჭეშმარიტად მიაჩნია.

შეიძლება ითქვას, რომ არსებითად ეს არის ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხებზე ძირითადი წყაროების (ცეზარისა და ტაციტუსის ცნობების, „სალიკური სამართლის" და „კაპიტულარი მამულის შესახებ") პირველი სერიოზული განხილვა, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მის მეცნიერულ მნიშვნელობას. პოლემისტური ტონი გრ. ნათაძის მსჯელობას ამ პრობლემის ირგვლივ კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

გრ. ნათაძე თავის ნაშრომში „სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში" ეხება მათი ყოფის პირველ საფეხურს, ცეზარისა და ტაციტუსის ცნობებს. მართალია, ეს ნაშრომი ყველაზე უფრო გვიან, 1940 წელს გამოიცა, მაგრამ ქრონოლოგიის მიხედვით ყველაზე უფრო ადრეულია.

მოსალოდნელი იყო, რომ თავის ნაშრომს გრ. ნათაძე დაიწყებდა ძველი გერმანელების შესახებ ცეზარის მონაცემების გარჩევით, მაგრამ იგი ასე არ იქცევა და ამ საკითხს განიხილავს თავისი გამოკვლევის დასასრულს (509, გვ. 87). ის ადგილი, რომელსაც გრ. ნათაძე თავის ნაშრომში მიუჩენს ამ თემას, საკამათოდ მიგვაჩნია. საკითხის ასე არათანამიმდევრულად გადმოცემის აუცილებლობას სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავთ. საინტერესოა, როგორ ხსნის გრ. ნათაძე ასეთ გადაწყვეტილებას. „სწორედ ამიტომ მოვაქციეთ ბოლოში ამ ისტორიკოსის (ე. ი. ცეზარის - მ. კ.) ნაწერების გარჩევა, რომ ის ნაკლებ კამათს იწვევს, მეტადრე ტაციტუსის ნაწერების შესახებ საკითხის გადაჭრის შემდეგ" (509, გვ. 81). ვფიქრობ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გრ.

ნათაძის ეს არგუმენტაცია არადამაჯერებლად გამოიყურება. შესაძლოა, ცეზარის ცნობები ტაციტუსის მონაცემების განხილვის შემდეგ მართლაც იწვევდეს ნაკლებ კამათს", მაგრამ განა ეს ამართლებს ქრონოლოგიური თანამიმდევრულობის დარღვევას? ამიტომ, ალბათ, მაინც უფრო უპრიანი იქნებოდა ამ საკითხების ისტორიული რიგითობის მიხედვით განხილვა. ვფიქრობთ, ეს უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა მკითხველს.

გრ. ნათაძის ყურადღების ცენტრში დგას ერთ-ერთი მთავარი საკითხი – იყო თუ არა ძველ გერმანელებში ცეზარის დროს კერძო საკუთრება? წყაროს უშუალო განხილვის დროს ისტორიოგრაფიული საკითხების ჩართვა, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის მსჯელობას და გარკვეულწილად, განსაზღვრავს მის მეცნიერულ ღირებულებას. იგი ეკამათება ავსტრიელ ისტორიკოსს ა. დოფშს, რომელიც ამტკიცებდა, რომ, ძველ გერმანელებში ცეზარისა და ტაციტუსის დროს ადგილი ჰქონდა კერძო საკუთრებას. საქმე ის არის, რომ ცეზარის ნაწერების საფუძველზე იმის უარყოფა, რის უარყოფასაც აღნიშნული ისტორიკოსები ცდილობენ ტაციტუსის ნაწერების საფუძველზე, ოდნავადაც ვერ ხერხდება. ცეზარს ბევრად უფრო მკაფიოდ და კატეგორიულად აქვს გაშუქებული ის აზრები, რომელიც ტაციტუსის ნაწერებშიც არის გატარებული, მაგრამ ნაკლები კატეგორიულობით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტაციტუსი არ ხმარობს სიტყვას proprium და ეს აძლევს კამათის საბაბს კერძო საკუთრების მომხრეებს. ცეზარი კი ამ სიტყვას ხმარობს „საკუთარი მიჯნები არა აქვთო" და ამაზე მკაფიოდ თქმა როგორღა შეიძლებოდა (330). რა გამოსავალს პოულობენ დოფში და მისი მომხრეები ამ სიტუაციიდან? ისინი ასეთ არგუმენტაციას მიმართავენ. „თურმე ცეზარის დროს ხშირი ომიანობის გამო გერმანელთა საზოგადოებაში დროებით მოუსპიათ კერძო საკუთრება და დაუწესებიათ სათემო მფლობელობა, ხოლო როგორც კი ტაციტუსის დროს მშვიდობა დამყარდა. ხელახლა აღუდგენიათ კერძო საკუთრება" (509, გვ. 87). შეიძლება დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც ამგვარი არგუმენტაცია საეჭვოდ, მე ვიტყოდი, ცოტათი მიამიტურად, მიაჩნია.

წყაროს ანალიზის შემდეგ გრ. ნათაძე უფრო მეტად იმ ბანაკისაკენ იხრება, რომელიც ამტკიცებს, რომ ძველ გერმანელებში არც ცეზარის და არც ტაციტუსის დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა კერძო საკუთრება. „სინამდვილე რას გვეუბნება, არც ცეზარის და არც ტაციტუსის დროს არ არსებობდა ჯერჯერობით მიწაზე კერძო საკუთრება. ტაციტუსის დროს მხოლოდ ოდნავ შეცვლილი იყო მდგომარეობა საკუთრების განვითარების მიმართულებით, რაც გამოიხატებოდა საბიფანგო მეურნეობის არსებობაში და სახნავის ცვლის მეტ ხანგრძლივობაში. ასევე ოდნავ წინ წაწეული იყო აგრეთვე კლასობრივი დანაწილების პროცესი, მაგრამ ჯერ კიდევ შორს იყო, როგორც კერძო საკუთრების წარმოშობა, აგრეთვე კლასობრივი განვითარების ჩამოყალიბება. ყველაფერი ეს მოწმობს ბუნებრივი ისტორიული პროცესის არსებობას, რომელშიც ტაციტუსის ხანა, შედარებით ცეზარის ხანასთან, შემდეგ, მომდევნო საფეხურს წარმოადგენს" ასეთ თვალსაზრისს აქვს მოქალაქეობის უფლება და სავსებით პასუხობდა იმ ხანად ისტორიული მეცნიერებისადმი წაყენებული მოთხოვნების, მისი განვითარების საერთო დონეს.

როდესაც გრ. ნათაძე ტაციტუსის „გერმანიას" განიხილავს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაციტუსის თხზულების 26-ე თავის გარჩევა, რომლის გაგება, ისტორიკოსთა შორის, როგორც თავად გრ. ნათაძე აღნიშნავს, დიდ დავას იწვევს.

ეტყობა, გრ. ნათაძეს ა. უდალცოვის თანადროულად გადაუთარგმნია ტაციტუსის თხზულება, მაგრამ მისი გამოქვეყნება ვეღარ მოუხერხებია და რუსი მეცნიერის წიგნი უფრო ადრე გამოსულა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ზოგიერთ საკითხში მათი მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა, გრ. ნათაძეს აქვს რიგი საკუთარი მოსაზრებები და დაკვირვებები (509, გვ. 60). აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე გრ. ნათაძის მსჯელობა სავსებით პასუხობდა იმ პერიოდში ისტორიული მეცნიერების განვითარების მოთხოვნებს (392).

ტაციტუსი აღნიშნავდა, რომ „მიწას იქერენ ყველა ერთობლივ მიწის მუშათა რაოდენობის მიხედვით, რომელსაც შემდეგ თავის შორის ინაწილებენ ღირსების მიხედვით. განაწილებას აადვილებს მინდვრების სივრცე". უპირველეს ყოვლისა, ცხადია, იბადება კითხვა, თუ სად და რა გარემოში ინაწილებენ მიწას ამ წესით? ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ტაციტუსი უნდა გულისხმობდეს ახალ ტერიტორიას (330, გვ. 92), მაგრამ ისინი, გრ. ნათაძის აზრით, დამაჯერებლად ვერ ხსნიან თუ რა გზით ხორციელდებოდა ახალ ტერიტორიებზე დასახლება. ასეთი რამ კი, შეიძლება განხორციელებულიყო ორი საშუალებით ან ომის გზით ან, როდესაც გვარი სახნავ მინდორს იცვლის. გრ. ნათაძე ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში ტაციტუსი უნდა გულისხმობდეს იმ პერიოდულ მოვლენას, როდესაც თემი ან გვარი სახნავ მინდორს იცვლის. „სახნავს რამოდენიმე წლის შემდეგ ცვლიან და კიდევ რჩება მინდორი" (509, გვ. 57-58) - დასძენს ტაციტუსი. აქ წარმოიქმნება კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, როგორ ხასიათს ატარებდა მიწის დაკვება — დროებითს თუ მუდმივს. იგი ეკამათება ა. დოფშს და მის მიმდევრებს და არ იზიარებს მათ მოსაზრებას, რომ ის იქცეოდა მუდმივ საკუთრებად. აი რას წერდა გრ. ნათაძე „აქ არ შეიძლება კერძო საკუთრება იყოს ნაგულისხმევი, ვინაიდან, რამდენიმე წლის შემდეგ სახნავი მინდორი იცვლებოდა და ამასთან იცვლებოდა ერთობლივად და არა თითოეული ოჯახის მიერ ცალ-ცალკე" (509, გვ. 57-58). ავითარებს რა ამ აზრს; გრ. ნათაძე განაგრძობს: „სახნავთცვლითი სისტემა ხორციელდება ერთობლივად, კოლექტიური ერთეულის მიერ, და სულ სხვაა როდესაც იგი ხორციელდება კერძო პირის ან მოსახლეობის მიერ. პირველ შემთხვევაში შესაძლებელია მიწის საკუთრება არსებობდეს, თუნდ იურიდიულად, თუნდ ფაქტიურად, მეორე შემთხვევაში კი, თუ იურიდი-

ულად არა, ფაქტიურად მაინც შესაძლებელია კერძო საკუთრება. ტაციტუსს აქ პირველი შემთხვევა აქვს აღწერილი. აი, რა მნიშვნელობა აქვს სიტყვას „ab universis" (509, გვ. 57-58).

ლიტერატურაში სადავოდ არის ქცეული სიტყვის „ღირსების მიხედვით" მნიშვნელობა. რა დატვირთვა ენიჭება მას? მიწის ღირსებაზეა საუბარი თუ მიმღების ღირსებაზე? გრ. ნათაძის აზრით, „ჩვენ საქმე გვაქვს მთელი სახნავი მიწების სამ ნაწილად დაყოფასთან მიწის ღირსების მიხედვით, როგორც ეს იყო ზოგიერთ ტომში, მაგალითად ანგლებსა და საქსებში. ამ შემთხვევაში თითოეულ მოსახლეს სამივე მინდორში ეძლეოდა თითო ნაჭერი მიწა იმ ვარაუდით, რომ სამივე ნაკვეთი ერთად გამოსულიყო იმდენი, რამდენიც ერგება ამა თუ იმ მოსახლეს. შეიძლება აქ ტაციტუსს ეს ჰქონდა მხედველობაში. თუ ეს ასეა, აქ სადავო არაფერია კერძო საკუთრების არსებობა ან არარსებობის თვალსაზრისით" (509, გვ. 97; 76; 65).

გრ. ნათაძე ცდილობს შუქი მოფინოს კიდევ ერთ რთულ საკითხს, როგორ შეიძლება გავიგოთ, რომ მიწას აძლევდნენ პირადი წარჩინების მიხედვით. გრ.ნათაძე იმ აზრისაა, რომ აქ ტაციტუსი მუშახელს შეიძლება გულისხმობდეს (76, გვ. 58).

იყო თუ არა ძველ გერმანელებში ცეზარისა და ტაციტუსის დროს კერძო საკუთრება. წერილობითი წყაროების მიხედვით ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ჭირს. საკითხი ასეც შეიძლება გადავწყვიტოთ და ისეც. საინტერესოა, თვალი გავადევნოთ ამ თემაზე გრ. ნათაძის შეხედულებების ევოლუციას. თავდაპირველად, 20-იან წლების შუა ხანებში იგი ამ პრობლემის გააზრებისას უმთავრესად ევროპულ მედიევისტიკას ეყრდნობა და მიაჩნია, რომ შესაძლებელია ა. დოფშის თვალსაზრისის გაზიარება, რომელიც აღიარებდა ძველ გერმანელებში კერძო საკუთრების არსებობას, თუმცა გრ. ნათაძის კონკრეტული მსჯელობა ცოტათი ბუნდოვანი ჩანს; შეიძლება იგი ახლად ფეხადგმული საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში მაინც მოერიდა ამის პირდაპირ აღიარებას (76, გვ. 65-66). თუმცა 30-იანი წლების შუა ხანებიდან, როდესაც საბჭოთა კავშირში განმტკიცდა ერთი, ბოლშევიკურ-მარქსისტული იდეოლოგიის პრინციპები, იგი იძულებულია არჩეული გზიდან გადაუხვიოს და კატეგორიულად უარყოფს ძველ გერმანელებში კერძო საკუთრების არსებობას და, ახლა, უკვე კოლექტიური საკუთრების მომხრეებს ემხრობა.

ტაციტუსის დროს, ძველ გერმანელებში სოციალური დიფერენციაცია გაცილებით უფრო შორს იყო წასული, ვიდრე ეს აქამდე ეგონა საბჭოთა ისტორიოგრაფიას; უახლესი არქეოლოგიური მონაცემები მიგვანიშნებს, რომ არ იყო „ძველ გერმანელებში არც სოციალური და არც ქონებრივი თანასწორობა" (541; 253). მიწაზე საკუთრების ხასიათი ბარბაროსთა საზოგადოებაში და შუა საუკუნეების გარიჟრაჟზე მეტად მრავალწახნაგოვანი და რთულია, რაც იწვევს ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას (214, გვ. 26-32). ეს ბუნებრივიცაა, ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა".

ძველი გერმანელების შედარება ამერიკის ადგილობრივ მოსახლეობასთან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, როგორც ჩანს, არ იყო ადეკვატური ძველი გერმანელების ყოფისათვის ხალხთა დიდი გადასახლების წინ (76, გვ. 66). ძნელი სათქმელია, ამ შემთხვევაში რამდენად იყო გრ. ნათაძე გულწრფელი და ამ პარალელში უფრო მეტად ფრ. ენგელსის იდეებისადმი ხარკის მოხდა შეიძლება დავინახოთ.

გრ. ნათაძე ხაზს უსვამს, რომ ძველ გერმანელებში არსებობდა მეურნეობის ორი ფორმა. ძირეული გაბატონებული ფორმა მეურნეობისა, სახნავცვლითი მეურნეობა და ახლად ფეხადგმული ბიფანგი (ახოს აღება, ყამირის გატეხვა), რომელიც თანდათანობით სპობს სახნავცვლით მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ იურიდიულ ნორმებს და ყოფა-ცხოვრების ფორმებს, თუმცა თვითონ მის ნიადაგზეა წარმოშობილი, ხოლო.გერმანელთა სახნავცვლით სისტემასთან, როგორც ძირითადთან, დაკავშირებულია სათემო და არა კერძო საკუთრება. კერძო საკუთრება კი, წარმოშობის პროცესში იმყოფება საბიფანგო სისტემის ზეგავლენით (76, გვ. 64). გრ. ნათაძე აღნიშნავს, რომ „ეს ორი ერთმანეთთან გენეტიკურად დაკავშირებული და ამავე დროს ერთმანეთის საწინააღმდეგო და უარმყოფელი სისტემა განსხვავდებოდა აგრეთვე მეურნეობის ინტერესებისა და ნაყოფიერების მხრივ" (76, გვ. 64). იგი უთითებს, რომ ჩანასახის პროცესში მყოფი ახალი ფორმები და პირველ რიგში კი ბიფანგი „უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ჩვეულებრივ გერმანელის წვრილი მეურნეობა" (76, გვ. 65). ამის შემდეგ იგი განიხილავს თუ რითი განსხვავდებოდა დიდგვაროვნის მეურნეობა რაზმის წევრის მეურნეობისაგან და ცდილობს ახსნას ამის გამომწვევი მიზეზები (76, 68-69).

გრ. ნათაძე სვამს საკითხს – ნებაყოფლობითი იყო გადასახადები, რომელსაც თავისუფალი გერმანელი უხდიდა რაზმის უფროსს თუ არა? ამ თემის გარჩევისას ის ეკამათება რუს ისტორიკოსს დ. პეტრუშევსკის, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს გადასახადი მთლიანად ნებაყოფლობითი არ ყოფილა. იგი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს და ტაციტუსის თხზულებაზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ ეს გადასახადი უფრო ნებაყოფლობითი იყო, თუმცა აქვე დასძენს, რომ "მომავალში ეს ნებაყოფლობითი გადასახადი სავალდებულოდ უნდა გადაქცეულიყო. თუ აქ რაიმე იძულების მომენტი არის, ეს უმთავრესად, ალბათ, მაინც მორალური ხასიათისაა" (76, გვ. 71-72).

რა სახის იყო ის ძღვენი, რომელიც თავისუფალ გერმანელს უნდა მიეტანა? გრ. ნათაძე ვარაუდობს, რომ „მრავალ სხვა ნაყოფთა შორის პურიც შეიძლება ყოფილიყო" (76, გვ. 71-72).

გრ. ნათაძე ეხება კიდევ ერთ საინტერესო საკითხს. რომელი უფრო მნიშვნელოვანი იყო ტაციტუსის დროს, მიწათმოქმედება თუ მესაქონლეობა? დასკვნა, რომელსაც

წყაროების ანალიზის შედეგად გრ. ნათაძე აკეთებს, საკამათო უნდა იყოს. იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ „ტაციტუსის დროს მიწათმოქმედების განვითარებულ მდგომარეობაზე არც კი შეიძლება საუბარი. ამრიგად, არავითარი ეჭვი არ რჩება, რომ მესაქონლეობა ჭარბობდა მიწათმოქმედებას" (76, გვ. 77-81). სხვათა შორის, გრ. ნათაძე არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი, რომელიც ხაზს უსვამდა ტაციტუსის დროს ძველ გერმანელებში მესაქონლეობის პრიმატს მიწათმოქმედებაზე. მსგავსი მოსაზრება ჯერ კიდევ გერმანელმა ისტორიკოსებმა ჰილდებრანდმა და ვიტიხმა გამოთქვეს, თუმცა მათ შრომებს ამ შემთხვევაში გრ. ნათაძე თავის გამოკვლევაში არ მოიხსენიებს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა უმრავლესობამ არ გაიზიარა ეს დებულება (221, გვ. 220). გრ. ნათაძე აზვიადებს მესაქონლეობის როლს და აკნინებს მიწათმოქმედებას ძველ გერმანელებში ტაციტუსის დროს. ამიტომ, მისი მისწრაფება უგულვებელყოს დ. პეტრუშევსკის თვალსაზრისი ამ საკითხზე, არადამაჯერებელია. შეიძლება დავეთანხმოთ დ. პეტრუშევსკის, რომ „ტაციტუსი ხატავს ბინადარ მიწათმოქმედთა საზოგადოებას, რომელიც, ბუნებრივია, მესაქონლეობასაც მისდევს, ვინაიდან, უამისოდ წარმოუდგენელია საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედება". ასეთი მსჯელობა უფრო ლოგიკური ჩანს. საგულისხმოა, რომ ეს აზრი აქვს გატარებული ა. ნეუსიხინსაც (330, გვ. 55-83). ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გრ. ნათაძის ცდა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს თითქოს ძველი გერმანელები წარმოადგენდნენ ბინადარ მიწათმოქმედ საზოგადოებას, წყაროებში სათანადო ასახვას ვერ პოულობს და არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ნათაძე რუსულის გავლენით წერს ტაციტი მაშინ, როდესაც უფრო სწორი იქნებოდა ქართული შესატყვისი ტაციტუსი.

ძველი გერმანელების ევოლუციის გზაზე მეორე საფეხურია „სალიკური სამართალი", რომელსაც განიხილავს გრ. ნათაძე თავის ნაშრომში „სალიკური კანონი, როგორც წყარო ევროპის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად". ეს გამოკვლევა მისი ნაშრომის „სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში" თემატურ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, ეს უკანასკნელი გამოქვეყნდა შედარებით გვიან, 1940 წელს. აქვე გვინდა მოკრძალებით აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „სალიკური კანონი" ცუდი არაა, მაგრამ უფრო დამკვიდრდა, ფეხი მოიკიდა და, ვფიქრობთ, შედარებით უკეთესიცაა „სალიკური სამართალი".

პირველ ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა მიზნებს ისახავდა თავის ნაშრომში გრ. ნათაძე. უნდა ითქვას, რომ თავისი ამოცანები საკმაოდ მკაფიოდ, ნათლად აქვს დასახული. იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ გერმანელთა სამეურნეო განვითარებაში სამი საფეხური, ეტაპი არსებობს, რომელსაც აქვს თავისი წყაროები. „პირველი პერიოდი ტაციტუსის გერმანელების პერიოდი, მეორე - „სალიკური კანონის პერიოდი", ხოლო მესამე - „კაპიტულარების პერიოდი" (მე-8, 9 საუკუნეები). მიუხედავად ამ სამი პერიოდის მჭიდრო გენეტიკური კავშირისა, მათ შორის მაინც მკაფიო განსხვავება არსებობს და ეს მრავალ გაუგებრობას ქმნიდა ყოველთვის და შექმნის დღესაც. ამიტომ, განვიზრახე, ამჟამად, საერთო საკითხების აღნუსხვის შემდეგ შევეხო მხოლოდ მეორე ეტაპს ბარბაროსთა სამართლისა (განსაკუთრებით სალიკურ კანონს მე-5, 7 საუკუნეებში), რათა აღინიშნოს ამ პერიოდის გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თავისებურება და მისი დამოკიდებულება წინა და მომდევნო პერიოდებთან" (508, გვ. 75-76) ვფიქრობთ, ამ მიზანს გრ. ნათაძემ კარგად გაართვა თავი. იგი უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ამ პროცესში „სალიკური კანონი" გარდამავალი საფეხურია, რომელსაც წინ უსწრებდა „აგრარული კომუნიზმი" ძველ გერმანელებში, ხოლო მოჰყვება ფეოდალური საკუთრების აღმოცენება. აი, რას წერდა გრ. ნათაძე: „საკუთრების (ბუფის, ბიფანგის და ამათთან დაკავშირებით ალმენდის) განვითარების საფეხურები, რომლის პროცესშიაც „სალიკური კანონის" ხანას, საშუალო, გარდამავალი ადგილი უჭირავს და, რომელსაც წინ უძღვის აუცილებლად აგრარული კომუნიზმი, ხოლო უკან მოსდევს ფეოდალური საკუთრების განვითარება" (508, გვ. 75-76).

მოულოდნელია გრ. ნათაძის პოზიცია „სალიკური სამართლის" დათარიღების საკითხში. მისი მსჯელობა ამ თემის ირგვლივ ძალიან ჰგავს ღია კარის მტვრევას. იგი ვარაუდობს, რომ „სალიკური სამართალი" შექმნილი უნდა იყოს IV-V საუკუნეებში (508, გვ. 90-91). რუსმა ისტორიკოსმა ნ. გრაციანსკიმ უკვე 1913 წელს დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ეს საბუთი შეიქმნა VI საუკუნის დასაწყისში ხლოდვიგის მმართველობის დასასრულს (507-511) და, შესაძლოა, მისი ბრძანებით (209; 589; 590; 591; 592). ძნელი საფიქრელია, რომ ნ. გრაციანსკის ამ გამოკვლევას გრ. ნათაძე არ იცნობდა, მაგრამ, რატომ არ ითვალისწინებს მის მოსაზრებას გაუგებარია. თუ არ იზიარებდა ამ შეხედულებას, მაშინ უფრო კონკრეტულად უნდა შეჩერებულიყო მასზე.

გრ. ნათაძის ნაშრომში ცეზარისა და ტაციტუსის ცნობების განხილვა, ალბათ, მნიშვნელოვანწილად იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ მან შრომა სალიკურ სამართალზე შედარებით უფრო ადრე გამოსცა, ვიდრე ძველ გერმანელებზე. ამ პუბლიკაციების დროს, ისტორიული რიგითობა დაცული რომ ყოფილიყო, ეს ტავტოლოგია უეჭველად თავიდან იქნებოდა აცილებული.

ვფიქრობთ, სასურველი იყო ავტორს შეძლებისდაგვარად თვალი გაედევნებინა ძველი გერმანელების ყოფისათვის ტაციტუსის ხანიდან „სალიკურ სამართლამდე" ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის ნაშრომს.

ვფიქრობთ, გრ. ნათაძემ დამაჯერებლად ვერ უჩვენა ის წინსვლა, პროგრესი, რომელიც მოხდა გერმანელთა მეურნეობაში ტაციტუსის ეპოქის შემდეგ. ამ თვალ-

საზრისით საგულისხმოა მისი მსჯელობა თემაზე რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა „სალიკური სამართლის" დროს მესაქონლეობას თუ მიწათმოქმედებას? მართალია, იგი აღნიშნავს, რომ VI საუკუნისათვის ტაციტუსის დროსთან შედარებით მესაქონლეობის ხვედრი წონა ჩამოქვეითებული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც იმ აზრს ავითარებს, თითქოს სალიკური სამართლის დროს მესაქონლეობის უპირატესობა ჰქონია მიწათმოქმედებაზე (508, გვ. 95). კიდევ უფრო მეტიც, იგი ისე შორის მიდის, რომ კატეგორიულად აცხადებს „მესაქონლეობა მთავარ ძალას წარმოადგენდა ფრანკებში" (498, გვ. 305). საინტერესოა, რა არგუმენტებს ემყარება გრ. ნათაძის ეს მოსაზრება. ცხენზე და თივაზე ზრუნვა არ უნდა ნიშნავდეს მესაქონლეობის პრიმატს მიწათმოქმედებაზე, ვინაიდან გამწევი ძალის უცხენოდ, უხაროდ ინტენსიური მიწათმოქმედების წარმოება ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომ, გრ. ნათაძე შესაძლოა ცოტას აჭარბებდა, როდესაც მესაქონლეობაზე ასეთ ზრუნვას აღიქვამდა მიწათმოქმედებაზე მისი პრიმატობის დასაბუთებად. ამით იგი ნებსით თუ უნებლიედ საეჭვოს ხდის იმ წინსვლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანელების სამეურნეო ცხოვრებაში ტაციტუსის ცნობების შემდეგ, რაც მისი მსჯელობის ჩრდილოვანი მხარეა. ეჭვს გარეშეა, რომ სოფლის მეურნეობის დონე ფრანკებში გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ძველ გერმანელებში ტაციტუსის დროს. როგორც წყაროები მოწმობენ VI საუკუნეში მიწათმოქმედება წარმოადგენდა ფრანკების ძირითად საქმიანობას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფრანკები უკვე გადავიდნენ ორმინდვრიან სისტემაზე, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ არც ეს მომენტია სათანადოდ ასახული გრ. ნათაძის ნაშრომში, რაც მისი მსჯელობის მინუსად მიგვაჩნია. ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ფრანკების სოფლის მეურნეობის პროგრესია იქ უნდა ვეძიოთ, რომ მათ კარგად აითვისეს მეურნეობის წარმოების ის მაღალი კულტურა, რომელიც დახვდათ რომის ტერიტორიაზე.

თავის ნაშრომში გრ. ნათაძე სვამს კიდევ ერთ პრინციპულ საკითხს, იყო თუ არა „სალიკური სამართლის" დროს კერძო საკუთრება. როგორც თვითონ შენიშნავს, ეს საკითხი მეცნიერთა შორის დიდ დავას იწვევს. ერთნი ფიქრობენ, რომ ამ დროს კერძო საკუთრება არსებობდა, ხოლო მეორენი კი პირიქით, კატეგორიულად უარყოფენ ამას. გრ ნათაძე ამ მეორე ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ. იგი „სალიკურ სამართალს" გარდამავალ საფეხურად აღიქვამს გერმანელები საკუთრების განვითარების გზაზე, როდესაც ხდებოდა „საკუთრების განვითარების და თემობის რღვევის პროცესი". გრ. ნათაძის მიხედვით, ეს პროცესი ასე უნდა მომხდარიყო „ახოების აღების გახშირებამ, მსხვილ-მსხვილი მიწების კერძო პირების ხელში ჩაგდებამ, სათემო მიწების ფართობი შეამცირა. თემს თვითონ აღარ ჰქონდა საშუალება, რომ ახალი ოჯახისათვის ახალი ნაკვეთი მიეცა. ბოლოს ის საშუალებაც მოესპო, რომ ჰუფების გადანაცვლება მოეხდინა. გადანაცვლების ვადა თანდათანობით გრძელდებოდა და ბოლოს მოისპო. ვისაც რა ჰუფი ერგო უკანასკნელად ის დარჩა. თეორიულად ჰუფი საკუთრებად ითვლება, თემს ეკუთვნოდა ფაქტიურად კი, სამემკვიდროდ გადადიოდა და ამაში გამოიხატებოდა საკუთრების განვითარების გარდამავალი მდგომარეობა" (498, გვ. 98).

ჩვენი აზრით, წმინდა წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით გრ. ნათაძის ეს ნაშრომში შედარებით ჩამოუვარდება ძველი გერმანელების შესახებ ცეზარისა და ტაციტუსის შრომების განხილვას. გრ. ნათაძეს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული „სალიკური სამართლის", როგორც ისტორიული ძეგლის ღირებულება, მნიშვნელობა, და მასში ხედავს აღნიშნული ეპოქის ევროპის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთ ძვირფას საბუთს. საკითხის ასეთი დასმა საკსებით მიღებული და სწორი იყო, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს ხაზი ნაშრომში ბოლომდე არ იყო სათანადოდ განვითარებული და ამ ასპექტში საკითხი შედარებით ფრაგმენტულად, მკრთალადაა გაშუქებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მას აინტერესებს ამ თემის ცალკეული საკითხები და არა თვითონ ეს პრობლემა მთლიანობაში. ამიტომ, მკითხველისათვის მთლად დამაჯერებლად არაა ნაჩვენები თუ რატომ იყო „სალიკური სამართალი" ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი იმ პერიოდის დასავლეთ ევროპის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. ამიტომ, წამოიჭრება საკითხი, ხომ არ ჩნდება შეუსაბამობა ნაშრომის სათაურსა და შინაარსს შორის?

დასასრულ, გვინდა დავსძინოთ, რომ გრ. ნათაძეს განზრახული ჰქონია დაეწერა სპეციალური გამოკვლევები სხვა ბარბაროსული კანონების შესახებ, მაგრამ, ეტყობა, ავადმყოფობამ ხელი შეუშალა და ეს ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. „აქ ჩამოყალიბებული დებულებების სრულიად დასამტკიცებლად საჭიროა ეს სამუშაო გაგრძელდეს. როგორც „სალიკური კანონი" გავარჩიეთ, ასევე უნდა გაირჩეს აგრეთვე ყველა „ბარბაროსული კანონი": რიპუართა, ბურგუნდთა, ვესტგოთთა, საქსონთა, ალემანთა, კაპიტულარებიც და ფორმულარებიც ამ მეთოდით გაირჩეს" (498, გვ. 103).

"Capitulare de Villis" ანუ „კაპიტულარი მამულების შესახებ" არის გერმანელთა საზოგადოების განვითარების მესამე საფეხურის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი პირველწყარო, რომელიც გვიხატავს იმ ეპოქის ფრანკთა საზოგადოებრივ ყოფას და სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას, საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ გერმანელთა ცხოვრების შემდგომი განვითარების ევოლუციას. ამიტომ ეს გამოკვლევა უკვე განხილული შრომების ლოგიკური დაგვირგვინებაა, თუმცა გრ. ნათაძეს იგი რატომღაც ყველაზე უფრო ადრე, 1936 წელს გამოუქვეყნებია.

პირველ ყოვლისა გვინდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ნათაძის

ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას განაპირობებს მისი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, იმას, რომ მშობლიურ ენაზე დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ამ ღირსშესანიშნავი პირველწყაროს თარგმნა ქართული მედიევისტიკის წინაშე გრ. ნათაძის დამსახურებაა. ფაქტობრივად ეს იყო პირველი სერიოზული მცდელობა შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობითი მეცნიერული შესწავლის საქმეში. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ხაზი თანამედროვე მედიევისტიკაში მიიივიწყეს. ამიტომ, ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის გაშლა სამომავლო ამოცანად უნდა დავსახოთ. მიზანშეწონილი იქნებოდა, როგორც შუა საუკუნეების ისტორიის ქრესტომათიის შედგენა, ისე შუა საუკუნეების ისტორიის, წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელოს შექმნა. ეს იქნებოდა გრ. ნათაძის და ალ. ნამორაძის ჩანაფიქრის ლოგიკური დაგვირგვინება.

გრ. ნათაძე თავის ნაშრომში სამ საკითხს სვამს და ცდილობს მათ პასუხი გასცეს: 1. წყაროს დათარიღება; 2. ვინ იყო მისი ავტორი; 3. სამეფო მამულებს ეხებოდა ის თუ საერთო მამულებს. უშუალოდ წყაროს დათარიღების საკითხზე გრ. ნათაძის მსჯელობა ცოტათი ბუნდოვანი ჩანს და წინააღმდეგობას მოკლებული როდია მაგრამ საბოლოოდ, როგორც ჩანს იგი მაინც იმ მოსაზრებისაკენ იხრება, რომ იგი შედგენილი უნდა იყოს კარლოს დიდის მიერ, თუმცა კონკრეტულ თარიღს რატომღაც არ ასახელებს. ამავე დროს გრ. ნათაძე არგუმენტებით ხელში, უგულვებელყოფს ა. დოფშის მტკიცებას, თითქოს ეს საბუთი გამოცემული იქნა აქვიტანიის მეფის ლუი ღვთისმოსავის მიერ. გრ. ნათაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ საკითხის ამგვარი გაგება, შესაძლოა, ემყარება ანონიმი ისტორიკოსის ცნობას (497, გვ. 165). უკვე 1919 წელს რუსმა ისტორიკოსმა ნ. გრაციანსკიმ ცხადყო, რომ ეს საბუთი გამოცემულ იქნა 800 წელს კარლოს დიდის მიერ (210, გვ. 140-170).

გრ. ნათაძე ეკამათება იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ კაპიტულარი ითვალისწინებდა სამეფო მამულების მოგვარებასო და უფრო იმ თვალსაზრისს უპერს მხარს, რომ ეს საბუთი ეხება მამულის მართვა-გამგეობის მოწესრიგებას, რაც საკამათო შეიძლება იყოს. ჯერ კიდევ ნ. გრაციანსკი აღნიშნავდა, რომ მსჯელობა იმის თაობაზე, რომ კაპიტულარმა საფუძველი ჩაუყარა მამულის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ორგანიზაციას დიდ სიფრთხილეს მოითხოვს (210 გვ. 166).

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ნათაძის მსჯელობაში გვხვდება ზოგიერთი ფაქტობრივი უზუსტობა, რომელიც უმალ თვალში მოხვდება მკითხველს. როგორც გრ. ნათაძე აღნიშნავს, თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ კაპიტულარი გამოცემული უნდა ყოფილიყო კარლოს დიდის დროს 913-915 წლებში (498, გვ. 104). სინამდვილეში, აქ უნდა იყოს 813-815 წლები. შესაძლოა, გრ. ნათაძეს მოუვიდა ლაფსუს-ჯალამი ანდაც, რაც კიდევ უფრო რეალურია, ეს იყო კორექტურული შეცდომა.

ა. დოფშის მიხედვით, ლუი ღვთისმოსავმა ეს კაპიტულარი მიიღო 795 წელს და არა 797 წელს (498, გვ. 109), როგორც ეს აღნიშნული აქვს გრ. ნათაძეს. შესაძლოა, ეს იყო კორექტურული შეცდომა, მაგრამ ამგვარი ვარაუდი უნდა გამოვრიცხოთ, ვინაიდან ეს თარიღი გვხვდება სხვაგანაც (497, გვ. 165).

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გრ. ნათაძე დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის მეცნიერული კვლევა-ძიების ფუძემდებლად მიგვაჩნია, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მედიევისტიკის საკითხებზე მისი გამოკვლევების მეცნიერული ღირებულება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პირველწყაროებზე გულდასმით მუშაობამ. რა თქმა უნდა, მისასალმებელი იყო მათი ქართულ ენაზე პუბლიკაცია.

***

რთული თეორიული პრობლემების განხილვის შემდეგ, ბუნებრივია, გრ. ნათაძე გააღრმავებდა თავის მეცნიერულ კვლევას და, ალბათ, რომელიმე კონკრეტულ თემას მოჰკიდებდა ხელს. საფიქრელია, რომ ეს ასეც იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება, რომლის გაუთვალისწინებლობა, გვერდის ავლა, უმართებულო იქნებოდა. თუ ალ. ნამორაძემ ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოასწრო საფრანგეთის წიგნთსაცავებში მუშაობა, გრ. ნათაძეზე ამას ვერ ვიტყვით. რა თქმა უნდა, ის ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ ევროპაში წაუსვლელად კონკრეტული სიახლეების მიკვლევა თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ, ის ცდილობს გამოსავალი მოძებნოს ამ სიტუაციიდან. შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული მასალის დეფიციტს გრ. ნათაძე მეტად მოხერხებულად ავსებს ისტორიოგრაფიის და წყაროთმცოდნეობის საკითხების საფუძვლიანი განხილვით.

ჩვენი აზრით, კონკრეტული სიახლეები, მიგნებები, რომლებიც გვხვდება მედიევისტიკის საკითხებზე გრ. ნათაძის გამოკვლევებში, პირობით ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. გრ. ნათაძე გულდასმით შეისწავლის პირველწყაროებს და აქედან გამოაქვს თავისი დასკვნები და ამის შემდეგ ემხრობა ისტორიკოსთა იმ ბანაკს, რომლის თვალსაზრისი ჭეშმარიტებასთან ახლოს ესახება. ეს ასეც უნდა იყოს. ამას ეწოდება საკითხის მეცნიერული განხილვა და წმინდა პროფესიული თვალსაზრისით გ. ნათაძეს ძნელია რაიმე უსაყვედურო;.2. მართალია, შედარებით ცოტა და იშვიათად, მაგრამ მაინც არის საინტერესო ვარაუდები, დაკვირვებები, მიგნებები: ა. იგი კიდევ უფრო აზუსტებს ა. დოფშის მოსაზრებას და გამოთქვამს თავის ვარაუდს, რომ სიტყვა ბენეფიციმი შეიძლება პირველად იხსენიება 528 წელს გამოცემულ საბუთში. საინტერესო მიგნებაა. ბ. გააჩნია თავისი დასკვნები ტაციტუსის თხზულების 26- თავის ირგვლივ. გ. თავის შეხედულებას გამოთქვამს გარდამავალ პერიოდში კერძო საკუთრების განვითარების გზებზე. დ. საინტერესოა ვარაუდი, რომ ა. დოფშის მსჯელობა „კაპიტულარზე მამულების შესახებ" შეიძლება ეყრდნობა ანონიმი ისტორიკოსის ცნობას. იმ

სიტუაციაში, რომელშიც გრ. ნათაძეს მოუხდა მუშაობა, ეს დაკვირვებები და მიგნებები საკმარისია.

გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი მარკ ბლოკი თავის შესანიშნავ წიგნში „ისტორიის აპოლოგია ანუ ისტორიკოსის სახელოსნო", დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერული ტერმინოლოგიის განსაზღვრას (164, გვ. 89-108). მისი დადგენის შემუშავების ცდა ქართული მედიევისტიკის წინაშე გრ. ნათაძის კიდევ ერთი დიდი დამსახურებაა. მართალია, დღეს ბევრი ტერმინი უკვე ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს გრ. ნათაძის წვლილს. ის ამ საქმეში, ალ. ნამორაძესთან ერთად გზამკვლევად გვევლინება და სწორედ ეს იყო მთავარი.

ამრიგად, გრ. ნათაძემ ქართულ მედიევისტიკაში პირველად დასვა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხები, ურთულესი გარდამავალი ხანის პრობლემატიკა და თავისებურად გადაწყვიტა ეს სიძნელეები, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როდესაც თავისუფალი აზროვნება მკვეთრად იზღუდებოდა და ბოლშევიკურ-მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი, მას ამ პრობლემების სხვაგვარად გადაწყვეტა არ შეეძლო. საფიქრელია, რომ ნორმალურ ვითარებაში, თავისუფალი აზროვნების პირობებში იგი სულ სხვა გზით წავიდოდა და უფრო ევროპულ ისტორიოგრაფიას გაჰყვებოდა, რაც ჩვენი ღრმა რწმენით, გაცილებით საინტერესო იქნებოდა.

თავი IV

გრ. ნათაძე და ახალი ისტორიის პრობლემები

გრიგოლ ნათაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში, დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში, რაც ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი დიდი დამსახურებაა.

გრ. ნათაძის კალამს ეკუთვნის ორი სახელმძღვანელო "კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2, საფრანგეთის დიდი რევოლუცია" და „ინგლისის მოკლე ისტორია". სამი გამოკვლევა: „რამდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა", „ნაპოლეონ I დაწინაურების მიზეზები", „ნაპოლეონის მეგობარები და ანდერძი" და ერთი დოკუმენტების კრებული „პარიზის კომუნა", საგაზეთო სტატია „ბურჟუაზიული დემოკრატია", რომელიც გამოქვეყნდა 1903 წელს „ცნობის ფურცელში" უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძის ეს შრომები საქართველოში ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული შესწავლის პირველი სერიოზული მცდელობაა.

ვფიქრობთ, საკვლევით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ გრ. ნათაძის მიერ ახალი ისტორიის პრობლემების ინტენსიური დამუშავების პერიოდია 20-იანი წლების მეორე ნახევარი და 30-იანი წლების პირველი ნახევარი. აღსანიშნავია, რომ შემდგომში გრ. ნათაძის მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა მისმა უმცროსმა კოლეგამ შესანიშნავმა ისტორიკოსმა ალ. ნამორაძემ, ხოლო გრ. ნათაძეს საშუალება მიეცა გაეღრმავებინა თავისი საქმიანობა მედიევისტიკაში. მით უმეტეს, რომ 30-იანი წლების შუა ხანებში იგი სათავეში ჩაუდგა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას.

ოციან წლებში დაიწერა საინტერესო გამოკვლევები საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხისა და ნაპოლეონის შესახებ, რაც დაგვირგვინდა ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობით.

აღსანიშნავია, რომ ახალი ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი შრომები უმთავრესად შეეხება ერთი ქვეყნის ისტორიის ერთ პერიოდს. ესაა საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული და საინტერესო მონაკვეთი 1789 წლის რევოლუციიდან პარიზის კომუნამდე. ეს შრომები მიზანშეწონილი იქნებოდა დავალაგოთ ასეთი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: „რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა", „ნაპოლეონ I დაწინაურების მიზეზები", „ნაპოლეონის მეგობარები და ანდერძი", „კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2, საფრანგეთის დიდი რევოლუცია", რომელიც სინამდვილეში შეეხება საფრანგეთის ისტორიის უფრო ფართო მონაკვეთს 1789-1830 წლებს და ბოლოს დოკუმენტების კრებული „პარიზის კომუნა". გრ. ნათაძის ნაშრომი „ინგლისის მოკლე ისტორია", რომელშიც განხილულია როგორც შუა

საუკუნეები, ისე ახალი ისტორია ჩვენ უკვე განვიხილეთ და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

* * *

გრ. ნათაძის ნაშრომი „რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი აგრარული კანონმდებლობისა" წმინდა კვლევითი ხასიათისაა და, ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის მიერ ახალი ისტორიის პრობლემებზე დაწერილ საუკეთესო ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ. მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი დაწერილია ძველი ისტორიული სკოლის ტრადიციების, თავისუფალი აზროვნების პირობებში. ეს ადვილი გასაგებიცაა და იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველ ხანებში ბოლშევიკური იდეოლოგიის მარწუხები ისე მწვავედ არ იგრძნობოდა და გრ. ნათაძეს მოუსწრია მისი გამოქვეყნება: გრ. ნათაძის ნაშრომი ემყარება პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და იძლევა მათ ღრმა ანალიზს, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ნაშრომის მეცნიერულ ღირსებას.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული და აქტუალური საკითხით აგრარული პრობლემებით გრ. ნათაძის დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გრ. ნათაძის მეცნიერული არჩევანი უმთავრესად ორი ფაქტორით იყო განპირობებული. ჯერ ერთი, იგი როგორც ესერთა პარტიის აქტიური წევრი, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას იჩენდა აგრარული პრობლემებისადმი საქართველოში და მეორეც, ამ გატაცებას მძლავრი სტიმული მისცა „რუსულმა სკოლამ" უპირველეს ყოვლისა კი ივან ლუჩიცკიმ, რომელსაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიევის უნივერსიტეტში სწავლის დროს ძალიან დაუახლოვდა გრ. ნათაძე. შეიძლება ითქვას, რომ მან აგრარული საკითხით გრ. ნათაძის დაინტერესებას კონკრეტული მიმართულება მისცა.

ამ თემაზე მუშაობა მან ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ივ. ლუჩიცკის ხელმძღვანელობით და შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში რ. ვიპერის რჩევით განაახლა. ამ საკითხზე დაიცვა მან სადიპლომო ნაშრომი. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, უმთავრესად გრ. ნათაძის პოლიტიკური საქმიანობის გამო, ვეღარ მოხერხდა და გრ. ნათაძის მიერ დაწერილი ნაშრომი გამოქვეყნებული არ ყოფილა, ხოლო ივ. ლუჩიცკის კაპიტალური გამოკვლევის (574) გამოსვლის შემდეგ მისმა გამოცემამ, ცხადია დაკარგა მეცნიერული ღირებულება. თავისთავად ეს ფაქტი საგულისხმოა და, ვფიქრობთ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში გრ. ნათაძე მეცნიერული გზით მიდიოდა. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ ნაშრომის დროული გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, რაც ეკუთვნის გარემოა, ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა. წინამდებარე გამოკვლევა, როგორც თავად გრ. ნათაძე აღნიშნავს, ერთი პატარა ფრაგმენტია იმ სერიოზული ნაშრომისა, რომელიც დაუწერია გრ. ნათაძეს უკვე XX საუკუნის დასაწყისში. „ვიპერისაგან 1906-07 წლებში არავრიხელ გამიგონია, რომ ამგვარი შრომა (ე.ი. საფრანგეთის რევოლუციის საგლეხო კანონმდებლობა) დიდ საჭიროებას წარმოადგენს, ამიტომ იმ ხანებში, როდესაც პროფ. ი. ლუჩიცკის ჯერ ამგვარი შრომა დაბეჭდილი არ ქონდა, მე შეკრიბე მასალები ამ საკითხის გასაშუქებლად და შრომაც დავწერე, მაგრამ მაშინ სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო დაბეჭდვა ვერ მოვახერხე, ხოლო ლუჩიცკი ყოველმხრივ სრული შრომის გამოქვეყნების შემდეგ, ჩემი შრომის დაბეჭდვას, რასაკვირველია აზრი არ ქონდა. მიუხედავად ამისა ჩემს მიერ შეკრებილ მასალებში არის თითოოროლა ისეთი რამ, რაც პროფ. ი. ლუჩიცკის წვრილმანად ჩაუთვლია და არ გამოუქვეყნებია. ამ მასალებს წარმოადგენს ოქმები დამფუძნებელი კრებისა, მისი კომისიებისა, ეგრეთ წოდებული ფეოდალური კომიტეტისა და სხვა კრებათა ანგარიშები, ცალკე ორატორთა სიტყვები" (504; გვ. 158). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მართალია წვრილმანში, მაგრამ გრ. ნათაძის ნაშრომი გარკვეულ სიახლეებს მოკლებული როდია და მას სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ზოგიერთი ახალი მასალა.

„საფრანგეთის რევოლუცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი შორეულ წარსულს არ განეკუთვნება დღემდე მაინც სათანადოდ გამოკვლეული არ არის, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ მასალა ნაკლები იყოს, არამედ პირიქით, სწორედ იმით, რომ მასალა ძლიერ ბევრია, რომ ბოლო დროს საფრანგეთის რევოლუციის სხვადასხვა საკითხს თავისი მკვლევარები გამოუჩნდა. წინანდელი გეგმა ამ შესანიშნავი დროის კვლევის წესისა, რომლის მიხედვითაც მას იკვლევდნენ ამ ბოლო დროს უარყოფილია, ვინაიდან ყველა დარწმუნდა, რომ ევროპის ისტორიის ამ ხანას მრავალი რთული და სპეციალური მხარე აქვს. მაგალითად ვიცით, რომ პოლიტიკური მხარე რევოლუციისა შეადგენს სპეციალური კვლევა-ძიების საგანს ოლარისა, რომლის შრომამაც სრულიად ცხადყო, თუ რაოდენ რთული საქმეა საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორიის გამოკვლევა, მაგრამ არა ნაკლებ რთულია სოციალური მხარე, რომლის კვლევა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ამ საქმის გამოკვლევაში, სხვათა შორის, ძალზე დიდი წვლილი მიუძღვით რუსეთის მეცნიერებს. მახსოვს 1900 წელს საფრანგეთის მეცნიერებმა პერიოდულ პრესაში საჭიროდ სცნეს აღენიშნათ ეს ღვაწლი რუსეთის მეცნიერებისა, განსაკუთრებით კი აწ. განსვენებული პროფ. ივ. ლუჩიცკისა, რომელმაც მრავალი შრომა დასწერა საფრანგეთის რევოლუციის დროს გლეხთა მდგომარეობის შესახებ" (504; გვ. 156-157).

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ გრ. ნათაძე ღრმადაა ჩახედული საფრანგეთის დიდი

რევოლუციის ისტორიოგრაფიაში და, ვფიქრობთ კარგად გაიცნობიერა ის მოთხოვნები, რომელსაც ახალი ეპოქა უყენებდა საფრანგეთის რევოლუციის მკვლევარებს. იგი მშვენივრად ხედავს, რომ ტრადიცია რომელსაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ჩაუყარეს საფუძველი რესტავრაციის ეპოქის ფრანგმა ისტორიკოსებმა, როდესაც წერდნენ მთლიანად რევოლუციის ისტორიას, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. ამიერიდან წინა პლანზე წამოიწია კონკრეტული პრობლემების გამოკვლევამ. საკუთარი ვეთანხმებით გრ. ნათაძეს, რომ ეს სულაც არ არის იოლი საქმე და საკითხი საკმაოდ რთულია და მრავალწახნაგოვანი. ვფიქრობთ, სწორედ ამ ცვლილებებში ხედავს გრ. ნათაძე იმ წინგადადგმულ ნაბიჯს, რომელიც მოხდა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიოგრაფიაში.

ამის შემდეგ გრ. ნათაძე ეხება და სათანადოდ წარმოაჩენს ივ. ლუჩიცკის წვლილს აგრარული საკითხის შესწავლის საქმეში (504; გვ. 157-158). ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ნ. კარეევისა და მ. კოვალევსკის შესახებ, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ პრობლემების დამუშავებაში. მით უმეტეს ეს საინტერესო იქნებოდა იმიტომ, რომ ისინი ივ. ლუჩიცკის ოპონენტები იყვნენ და არ იზიარებდნენ მის დასკვნებს. ამ საკითხის წინ წამოწევა შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა გრ. ნათაძის ნაშრომს.

გრ. ნათაძე თავის გამოკვლევაში დიდ ადგილს უთმობს 1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტების განხილვას. საკითხის ასეთი დეტალური ანალიზი და დაწვრილებითი განხილვა მისასალმებელი უნდა იყოს და ამ საკითხის გაშუქების პირველი სერიოზული მცდელობაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. გრ. ნათაძის მიერ 1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტის მნიშვნელობის შეფასება ქართულ სინამდვილეში სერიოზული მიღწევაა. საქმე ისაა, რომ მისი წინამორბედები 4 აგვისტოს დეკრეტს ცოტათი შელამაზებული სახით უჭვრეტდნენ და აჭარბებდნენ მის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში, ისინი მას აღიქვამდნენ როგორც ფეოდალიზმის სრული და საბოლოო ლიკვიდაციის აქტს, რაც ევროპელი ისტორიოგრაფიის ამ შემთხვევაში ა. ოლარისა და ვ. ბლოსის გავლენის ლოგიკური შედეგია (64, გვ. 43, 96 გვ. 19-21). დეკრეტის მიხედვით, ფეოდალური ვალდებულებები და გადასახადები ორ კატეგორიად დაიყო: „პირადი უფლებები" და „რეალური უფლებები" პირველ კატეგორიაში შედიოდა მემამულესა და გლეხს შორის არსებული პირადი დამოკიდებულება, ხოლო მეორე კატეგორია დაკავშირებული იყო მიწის საკუთრებასთან და ეკონომიკურ ურთიერთობებთან (368). ცხადია, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პირველი. აგვისტოს დეკრეტის თანახმად გაუქმდა პირველი კატეგორიის ვალდებულებები „პირადი უფლებები", რომელიც აქა-იქ თუღა იყო შემორჩენილი. დეკრეტმა იურიდიულად დააკანონა რეალურად არსებული სიტუაცია. ამიტომ სავსებით ვეთანხმებით გრ. ნათაძეს, რომ ამ ფაქტის ისტორიული მნიშვნელობის გაზვიადება არ ღირს. მეორე კატეგორიის გადასახადები „რეალური უფლებები" უფრო ბევრი და გაცილებით უფრო მძიმე იყო და დეკრეტის თანახმად გამოსასყიდად იქნა გამოცხადებული (504; გვ. 159-162). ამიტომ ფეოდალიზმის სრულ და საბოლოო ლიკვიდაციაზე საუბარი ნაადრევია. აქ მართალია გრ. ნათაძე არ იმოწმებს ივ. ლუჩიცკის, მაგრამ იზიარებს მის თვალსაზრისს, რომ „4-11 აგვისტოს დეკრეტის თანახმად გაუქმებული სენიორალური რეჟიმი მთელი თავისი არსებით ძალაში დარჩა და ამდენად მისი მოსპობა მხოლოდ ქაღალდზე მოხდა" (298; გვ. 91)

გრ. ნათაძის მსჯელობის ნაკლია ის ფაქტი, რომ იგი რატომღაც არაფერს ამბობს მეათედის გაუქმებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რომლის მოსპობამ შესამჩნევად შეუმსუბუქა მდგომარეობა ფრანგ გლეხს. თუ რამდენად უკმაყოფილო იყო ფრანგი გლეხი ეს კარგად ჩანს ერთი მაგალითიდან, რომელიც ფრანგ ისტორიკოს ჟან ჟორესს მოჰყავს. როდესაც მტერი შემოიჭრა საფრანგეთში და ჰკითხა გლეხს „რატომ გიყვართ რევოლუციონერები?" მათი პირველი პასუხი ასეთი იყო „მათ გააუქმეს მეათედი" (231; გვ.37;). ამიტომ აღნიშნული დეკრეტების შეფასებისას გრ. ნათაძე მეტად პესიმისტურად ჩანს განწყობილი.

კიდევ ერთი სერიოზული საკითხი რომელსაც ეხება თავის ნაშრომში გრ. ნათაძე არის 1790 წლის 15 მარტის და 3 მაისის დეკრეტები. ამ კანონებისადმი გრ. ნათაძის სკეპტიკური დამოკიდებულება საკამათო უნდა იყოს. 15 მარტის დეკრეტის თანახმად ნაწილობრივ გაუქმდა ტრიაჟის კანონი. ეს კი აგრარული საკითხის გადაწყვეტის საქმეში უკვე წინგადადგმული ნაბიჯი იყო (435, ტ. XII, გვ. 172-177 და XV, გვ. 364-365). ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამფუძნებელმა კრებამ ფეოდალურ გადასახადთა და ვალდებულებათა გამოსყიდვის იმდენად მაღალი ნიხრი დააწესა, რომ ამ ვალდებულებისაგან თავის დახსნა არსებითად შეუძლებელი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ გლეხკაცობა იმდენად გაწბილებული დარჩა ამ დეკრეტით, რომ თავის გამოსყიდვა არც კი სურდა. როგორც ერთი თანამედროვე აღნიშნავს ამ გადასახადებისაგან გამოსყიდვა იმდენად ძნელი იყო, რომ თუნდაც ერთისაგან, რომ გაგენთავისუფლებინა თავი ყველაფერი უნდა გაგეყიდა. გრ. ნათაძე დაასკვნის, რომ „დამფუძნებელი კრების საქმიანობა სოციალურ სფეროში სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. ის დეკრეტებს იღებდა ცხოვრება კი თავისით მიდიოდა" (504; გვ. 164-170).

მორიგი სერიოზული საკითხი, რომელსაც განიხილავს გრ. ნათაძე თავის ნაშრომში, არის საკანონმდებლო კრების მიერ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა. საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობისადმი გრ. ნათაძის ნეგატიური დამოკიდებულება საკამათო შეიძლება იყოს. საფიქრებელია, რომ აღნიშნულ საკითხში საკანონმდებლო კრებას სწორი კურსი ჰქონდა აღებული, მაგრამ პოლიტიკური გართულებების გამო, ომი ევროპასთან, რომლის ლოგიკური შედეგი იყო 1792 წლის 10 აგვისტოს გადატ-

რიალება, მას თავისი ჩანაფიქრის განხორციელება არ დასცალდა. აღნიშნული საკითხის პესიმისტური შეფასება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ იგი დუმილით უვლის გვერდს 1792 წლის აგვისტოს დეკრეტებს, რომლის მიღება აგრარულმა კრებამ სულ ბოლო წამს მოასწრო. გრ. ნათაძის გამოკვლევის გასრულება ამ საკითხის განხილვით, ალბათ ყველაზე უფრო უკრიანი იქნებოდა (504, გვ. 170-175).

განხილულია 1792 წლის ივნისის კანონები. მისი დედააზრი ასე გამოიყურება. ყველა სენიორს აქვს უფლება საბუთის მაგვარად წარადგინოს სამი ხელწერილი თავისი უფლებისა, კანონიერების და სამართლიანობის დასამტკიცებლად. ამით საკანონმდებლო კრებას უნდოდა ფეოდალური გადასახადების გაუქმების საკითხში მემამულის მდგომარეობა ცოტა მაინც შეემსუბუქებინა (504; გვ. 170-175).

„სამაგიეროდ მათ მუშაობაში იყო რამოდენიმე მომენტი, რომელთაც ხელი შეუწყვეს გლეხთა საკითხის გადაწყვეტას საკანონმდებლო კრების შეუმჩნეველად, რადგან ისინი ამ მომენტში გლეხთა საკითხის გადაწყვეტას არ ისახავდნენ მიზნად. მაშასადამე, ისტორიის მსვლელობა თვითონ გამოიყენა თავისი ასე ვთქვათ, მიზნისთვის ის, რაც პოლიტიკურ მოღვაწეებს თავისი მიზნისთვის უნდოდა. მე მხედველობაში მაქვს ჯერ ერთი საეკლესიო მამულების გაყიდვა და მერე ემიგრანტთა მამულისა. ამ ორმა აქტმა გლეხკაცობის დიდი ნაწილი დააკმაყოფილა და სოფელში შექმნა თავისუფალი გლეხკაცობის კადრი, ვინაიდან მამულის შეძენის გარდა, თავადაზნაურობის გაქცევამ და გაძევებამ თავისთავად მოსპო ფეოდალური გადასახადები და ვალდებულებები" (504; გვ. 176-177) ამგვარმა გადაწყვეტამ ახალი საკითხები წამოჭრა. „გლეხკაცობის ერთი ნაწილი, რომ სოფლად დარჩა და მეურნეობას მოკიდა ხელი, მეორე ნაწილი, რომელმაც მიწის შესყიდვა ვერ მოახერხა, თუმცა პირადად განთავისუფლდა, მაგრამ სრულიად გაღატაკდა. ვინაიდან, მაშინდელ სიძვირეში თავის რჩენა იმისათვისაც ვისაც თავისი მეურნეობა ან მუდმივი სამუშაო არ ქონდა, ყოვლად შეუძლებელი იყო. გაჩნდა მრავალი უმუშევარი. ამიტომ სოციალური საკითხი ახლა (განსაკუთრებით კონვენტის დროს) ხშირად სხვა სახით წამოიჭრა" (504, გვ. 177).

გრ. ნათაძის ეს დასკვნა, უპირველეს ყოვლისა, იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ უპირისპირდება მისი მასწავლებლის ივ. ლუჩიცკის მოსაზრებას, რომელიც ფიქრობდა, რომ თითქოს საფრანგეთში ადგილი არ ქონდა გლეხობის უმიწოდ დატოვებას (298, გვ. 6). ამ შემთხვევაში იგი უფრო ნ. კარეევის და მ. კოვალევსკის შეხედულებებს ემხრობა, რომლებიც ხაზს უსვამენ რევოლუციის წინ გლეხთა გაბოგანობის, ექსპროპრიაციის, უმიწოდ დატოვების, შემთხვევებს (262. გვ. 115-117; 266, გვ. 171, 179, 195-197).

გრ. ნათაძე თავის გამოკვლევაში საინტერესო დასკვნამდე მიდის. მისი აზრით, გლეხთა საკითხის გადაწყვეტისას საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში მიღწეული წარმატებები იმდენად საკანონმდებლო კრების დამსახურება კი არ იყო, რამდენადაც რეალური ცხოვრებისა. „ჯერჯერობით კი ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხთა საკითხი პოლიტიკური მოღვაწეობის ნებისყოფის გარეშე ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ დასახული მიზნებისა და გეგმების გარეშე, თვით ისტორიულმა პროცესმა გადაწყვიტა ისე, როგორც ამას ძალთა ურთიერთობა მოითხოვდა და არ წარმოადგენს მათ მიერ დასახული მიზნების განხორციელებას" (504, გვ. 177). მიგვაჩნია, რომ გრ. ნათაძე დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარულ პოლიტიკას პესიმისტურად უყურებდა და შეიძლება ცოტა ამუქებდა რეალურ სინამდვილეს. იგი ცდილობს დააკნინოს დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების როლი რევოლუციის დასაწყისში აგრარული საკითხის გადაწყვეტის საქმეში, „ამის მიზეზები, პირველ ყოვლისა მის ესერულ წარსულში შეიძლება ვეძიოთ. დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკა ოპტიმიზმის საფუძველს უფრო მეტად იძლევა, ვიდრე პესიმიზმისა. ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის ისეთი კომპეტენტური მკვლევარი როგორიც პ. კროპოტკინი იყო მიუთითებდა, რომ დამფუძნებელი კრების წინაშე აგრარული პრობლემების გადაჭრის ორი გზა არსებობდა: 1. ის შეიძლება შედგომოდა ფეოდალური უფლებების შესახებ კანონპროექტის შემუშავებას, რომლის განხილვას მოუნდებოდა მთელი თვეები, უფრო სწორად, წლები და მათ შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანდა, გარდა კრების შიგნით განხეთქილებისა, რაც გამოიწვევდა მეფის მიერ მის დათხოვნას. (ეს შეცდომა დაუშვა რუსეთის დუმამ 1905 წელს მიწის საკითხის განხილვის დროს.) ანდა 2. მას შეეძლო გამოეცხადებინა ზოგიერთი მთავარი საწყისები, რომელიც მომავალში გახდებოდა კანონების შედგენის საფუძველი. კრებამ ეს მეორე გზა აირჩია და იგი გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იყო, ვიდრე პირველი (247, გვ. 111). პრაქტიკაში „სოფლად კრების ეს პრინციპიალური დადგენილებანი აღიქვეს როგორც ფეოდალური უფლება ვალდებულებების რევოლუციური გზით გაუქმება და ამან იმდენად შეარყია მთელი ფეოდალური სისტემა, რომ ოთხი წლის შემდეგ კონვენტს შეეძლო გაეტარებინა კანონი ფეოდალური ვალდებულებების სრული ლიკვიდაციის შესახებ" (247, გვ. 111) – დასძენს იგივე პ. კროპოტკინი. 1789 წლის აგვისტოს დეკრეტებს თან მოჰყვა საკუთრების თავისუფლება, რაც პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ დასაბამი მისცა საკუთრების ახალ გაგებას, სათავე დაუდო მიწით სარგებლობის თავისუფლებას, აგრარული ინდივიდუალიზმის ტრიუმფს(231, გვ. 531). მეათედის გაუქმება, ტრიაჟის გაუქმება, გაბელის გაუქმება (1790 წლის 21 მარტი) სერიოზული წინსვლა იყო აგრარული საკითხის გადაჭრის გზაზე და დამფუძნებელი კრების აქტივს უნდა მიეკუთვნოს. ამ მიღწევებზე თვალის დახუჭვა, რა თქმა უნდა, უმართებულო იქნებოდა, რამაც, სხვათა

შორის, ფართოდ მოიკიდა ფეხი შემდგომში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (410, გვ. 77).

ამრიგად, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის რევოლუციის საგლეხო კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლის საკითხში პირველი სერიოზული ნაბიჯი უკვე გრ. ნათაძემ გადადგა, რაც ახალი ისტორიის პრობლემების კვლევის სფეროში მისი ერთ-ერთი დამსახურებაა, აღსანიშნავია, რომ შემდგომში ეს ხაზი განაგრძო და კიდევ უფრო გააღრმავა ალ. ნამორაძემ. შესაძლოა, ამ პრობლემებით მის დაინტერესებას სტიმული მისცა გრ. ნათაძემაც.

* * *

მეორე სერიოზული პრობლემა, რომელიც ახალი ისტორიის სფეროში თავისი კვლევის საგნად აირჩია გრ. ნათაძემ, იყო ნაპოლეონის ეპოქა. მისი დაინტერესება ამ პიროვნების მოღვაწეობით ადვილი გასაგებია. ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ ლეფევრის თქმით „ნაპოლეონი იყო საუკუნის ადამიანი". ე. ტარლეს თანახმად „ნაპოლეონი იყო მსოფლიო ისტორიის ერთერთი ყველაზე საინტერესო და რთული პიროვნება" (389, გვ. 3). ამ თემას ეხება გრ. ნათაძის ორი გამოკვლევა „ნაპოლეონ I დაწინაურების მიზეზები" და „ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი".

ნაპოლეონის მოღვაწეობის ინტენსიური კვლევის პერიოდად 20-იანი წლები გვეკლინება. ამ თემით დაინტერესების სიმპტომებმა უკვე 20-იანი წლების დასაწყისში იჩინა თავი. როგორც თვითონ აღნიშნავს ჯერ კიდევ 1922 წელს საისტორიო საზოგადოებაში წაუკითხავს მოხსენება ნაპოლეონზე (503, გვ. 216) აღნიშნულ თემაზე ინტენსიური მეცნიერული მუშაობის გაშლა ქართველი მკვლევარისთვის, ცხადია, ადვილი საქმე არ იყო. აქ პირველ რიგში გრ. ნათაძე გულისხმობს, რომ საკითხის ირგვლივ არსებული მდიდარი პირველწყაროები და საკვლევი ლიტერატურა ძნელად ხელმისაწვდომი იყო, ხოლო მის ხელთ არსებული მასალა მეტად ძუნწ ინფორმაციას იძლეოდა. ამიტომ „საკმაო პირველწყაროების უქონლობის გამო ჩემი გამოკვლევის გამოქვეყნება ვერ გავბედე, რადგან დასაბუთება ყველასათვის გასაგებად და მარწმუნებლად შეუძლებლად მიმაჩნდა" (503, გვ. 216). ირკვევა, რომ ამ თვალსაზრისით გრ. ნათაძეს დიდი სამსახური გაუწია 1924 წელს გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ალფონს ოლარის მიერ გამოცემულმა ნაშრომმა. „ახლა როდესაც მე მივიღე ახალი წიგნები, რომელშიც ირკვევა, რომ საფრანგეთში დიდი სპეციალისტების მიერ ნაწარმოები მუშაობა იმ საკითხებისა და თითქმის იმავე დასკვნების გარშემო ტრიალებს, რის გარშემო ტრიალებდა ჩემი აზრიც, მე საჭიროდ ვთვლი გამოვთქვა ჩემი დასკვნები, მით უმეტეს, რომ პირველწყაროდან ამონაწერის მაგივრობას ზოგიერთ შემთხვევაში ახლა გამიწევს ოლარის მიერ ამონაწერი ადგილები იმ პირველწყაროებიდან, რომელიც მე ხელთ არ მომეპოვება" (503, გვ. 216). ამის შემდეგ გრ. ნათაძე მსჯელობს იმის თაობაზე თუ რითი იყო გამოწვეული ესოდენ დიდი ინტერესი ნაპოლეონის პიროვნებისადმი? „ჩემის ფიქრით, ეს აიხსნება იმითი, რომ ხალხს და მათ შორის მეცნიერთა ერთ ნაწილსაც, თანდაყოლილი აქვს ერთგვარი მოწიწებითი დამოკიდებულება დიდი პიროვნებისადმი და ხშირად უნებურად ამათუიმ ისტორიულ გმირისადმი ინტერესი მისდამი თაყვანისცემად გადაიქცევა. დღემდე მეცნიერული მიდგომა ისტორიული საკითხების ახსნისა იქამდის სუსტად არის გავრცელებული, რომ დიდი მოვლენები და დიდი გამარჯვებები პოლიტიკურად და რეალისტურ აზროვნებაში გაუწვრთნელ კაცს, თუნდაც მეცნიერი იყოს იგი მაინც ყველა ეს პიროვნების საქმედ ეჩვენება და ამიტომ, რასაკვირველია, ეს პიროვნება დევგმირულ და ხშირად ღვთაებრივი შარავანდედით იმოსება" (503, გვ. 213).

სავსებით ვეთანხმებით გრ. ნათაძეს როდესაც მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ნაპოლეონის უსაზღვრო განდიდებას, გაღმერთებას, მაგრამ ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი განუზომელი ინტერესის მიზეზები, ჩვენი ღრმა რწმენით, აშკარად სცილდება პიროვნების კულტის ჩარჩოებს და გაცილებით უფრო ღრმაა. მისი მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, ნაპოლეონის პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ, რომელშიც პროგრესული ელემენტი აშკარად ჭარბობდა ნეგატიურს. აკად. ე. ტარლეს აზრით „ნაპოლეონმა ფეოდალიზმს მიაყენა ისეთი მძლავრი დარტყმა, რომ ის ამის შემდეგ წელში ვეღარ გასწორდა. ამაში მდგომარეობს იმ ეპოქის პროგრესული მნიშვნელობა, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული". 389 გვ.9. იმის მიზეზები, რომ ნაპოლეონისადმი უსაზღვრო ინტერესი დღემდე არ ცხრება, აქ უნდა ვეძიოთ.

გრ. ნათაძის ნაშრომი „ნაპოლეონ I-ის დაწინაურების მიზეზები" ცალკე საინტერესო ნარკვევია ნაპოლეონის მოღვაწეობის საწყის პერიოდზე, ბონაპარტეს აღზევებაზე, მისი ცხოვრების პირველ ოცდაათ წელზე (1769-1798). ამიტომ ამ ნაშრომში ნაპოლეონ I ტიტულით მოხსენიებული ციტატები უხერხულად მიგვაჩნია. შესაძლოა, ეს იყო ალ. ტრაჩევსკის გავლენის შედეგი (397 ბ). იმ წლებში რომელზეც საუბარია გრ. ნათაძის ნაშრომში ის ჯერ კიდევ არ იყო ნაპოლეონ I. ეს მოხდა გაცილებით უფრო გვიან როდესაც მან 1804 წელს თავი იმპერატორად გამოაცხადა, მაგრამ მისი ცხოვრების ამ მონაკვეთს გრ. ნათაძის ნაშრომი არ ეხება. მას აინტერესებს ნაპოლეონის დაწინაურება, აღზევება. ამიტომ, ალბათ, უფრო უმჯობესი იქნებოდა გვესაუბრა გენერალ ბონაპარტზე. ა. ვანდალმა თავის წიგნს ზედმიწევნით ზუსტად უწოდა „ბონაპარტის აღზევება".

უთუოდ მისასალმებელია, რომ ნაშრომში მოკლედ არის მიმოხილული ნაპოლეონის შესახებ არსებული ლიტერატურა და ყურადღება არის გამახვილებული მის ავკარგიანობაზე (503, გვ. 213-218). პატარა ისტორიოგრაფიული მიმოხილვა გრ. ნათაძის ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია. მის მეცნიერულ ღირებულებას, პირველ ყოვლისა, მისი შემეცნებითი მნიშვნელობა განსაზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არაფერი დაწერილა და ფაქტობრივად ეს იყო ამ რთული საკითხის წარმოჩენის პირველი სერიოზული მცდელობა ქართულ სინამდვილეში.

ვფიქრობთ, ურიგო არ უნდა ყოფილიყო ამ მიმოხილვაში ორიოდე სიტყვა თქმულიყო ალბერ სორელის ფუნდამენტურ გამოკვლევაზე „ევროპა და საფრანგეთის რევოლუცია". რომლის ბოლო ოთხი ტომი, სწორედ, ნაპოლეონის მოღვაწეობას შეეხება. ამის გაკეთება მით უმეტეს იმიტომ იყო საჭირო, რომ გრ. ნათაძე ძალიან კარგად იცნობს ა. სორელის ამ ნაშრომს და როგორც წყაროს იყენებს. ნ. კარეევის თქმით, „ნაშრომის დასასრულს ა. სორელის მეცნიერული ობიექტური ტონი სადღაც ქრება და ნაპოლეონზე საუბრისას მისი ტონი მკვეთრად ზეაწეული და აღფრთოვანებულია" (260; გვ. 257; 379).

ჩვენი აზრით, ამ მოკლე მიმოხილვაში კარგი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ანტიბონაპარტისტულ მიმართულებაზე. მით უმეტეს, რომ ამის გაკეთება სულაც არ იყო ძნელი საქმე და პიერ ლანფრესა და ჟიულ მიშლეს შრომები იოლად ხელმისაწვდომი იყო. ისინი თბილისში მოგვეპოვება (284; 320).

ნაპოლეონისადმი გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის იპოლიტ ტენის დამოკიდებულების გაშუქება საკამათოდ მიგვაჩნია. ა. ტიერისა და ი. ტენის მკვეთრი დაპირისპირება შემთხვევით არ უნდა იყოს და ამ უკანასკნელის მიკუთვნება ანტიბონაპარტისტული ბანაკისადმი უმართებულო იქნებოდა (503; გვ. 215-216). მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონისადმი ტენის დამოკიდებულება რთული და თავისებურია, ნაპოლეონის მოღვაწეობაში არის ერთი მომენტი, რომელიც, უეჭველად, განაპირობებდა ტენის კეთილგანწყობილებას, მოწონებას, სიმპათიებსაც. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ნაპოლეონმა წერტილი დაუსვა რევოლუციის შედეგად გამოწვეულ ნგრევას, ქაოსს, არევ-დარევას, რომლისადმი ტენის დამოკიდებულება გამოკვეთილად უარყოფითი იყო. თუ ამ კუთხით შეეხედავთ საკითხს ტენი, ალბათ, მართლაც იყო ბონაპარტისტი (395). იგი ნაპოლეონში ხედავდა კონდოტიერს, მართალია არც ისე განათლებულს, მაგრამ გენიალურს, რომელმაც მისცა საფრანგეთს მტკიცე ორგანიზაცია, თუმცა ჩამოაყალიბა კაზარმული სახელმწიფო (359, გვ. 96). ამიტომ, ვფიქრობთ ტიერისა და ტენის მკვეთრი დაპირისპირება არ ღირს და ტენის ანტიბონაპარტისტული განწყობილება გაზვიადებული უნდა იყოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრანგი ისტორიკოსის ანტიბონაპარტისტული განწყობილების საილუსტრაციოდ გრ. ნათაძეს რაიმე სერიოზული არგუმენტები ვერ მოჰყავს და მისი მსჯელობა ძალზე ზოგადია.

გრ. ნათაძის გამოკვლევის მეორე თავი შეეხება ნაპოლეონის მოღვაწეობას კორსიკაზე. ეს მონაკვეთი გრ. ნათაძის ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესოა. ამ თემის წინ წამოწევა ძალიან კარგია. ეს იყო აქტუალური თემა, რომელიც იმ დროს სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა ყოფილიყო თქმული ნაპოლეონის ბავშვობაზე, მშობლებზე. შვეიცარიელი ისტორიკოსი კირჰაიზენი, „საფრანგეთის მიერ კორსიკის დაპყრობას ადარებდა ინგლისის მიერ ბურების დაპყრობას". ნაპოლეონი ამბობდა „მე მშინ დავიბადე როდესაც სამშობლო განსაცდელში იყო".

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მონაკვეთი, სადაც გრ. ნათაძე მოკლედ განიხილავს კორსიკის წარსულს, მის ისტორიას. ამ გვერდებს, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული შემეცნებითი დატვირთვა ენიჭება და ქართველ მკითხველს აწვდის მცირე ინფორმაციას დასავლეთ ევროპის ამ პატარა კუნძულის შესახებ (503, გვ. 229-230). ყველაფერი ეს, ცხადია, კარგ ისტორიულ ფონს ქმნის მთავარ თემაზე გადასასვლელად. ნაპოლეონის მოღვაწეობა კორსიკაზე საინტერესოა, და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაპოლეონის იდეურ-პოლიტიკური ევოლუციის საქმეში (310. თავი I და II). ვ. სოროტკინისა და მ. სტრონოვას თქმით „კორსიკა იყო ნაპოლეონისათვის პოლიტიკური ბრძოლის პირველი პოლიგონი" (613, გვ. 178). ამ დროისათვის ნაპოლეონის კორსიკული პატრიოტიზმი თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს. (ნაპოლეონის ნაციონალიზმზე საუბარი როგორც ამას აკეთებს მის წინააღმდეგ განწყობილი ზოგიერთი ავტორი უმართებულოა).

გრ. ნათაძე ცდილობს თვალი გაადევნოს ნაპოლეონის ურთიერთობას კორსიკელი პატრიოტების ლიდერის პასკუალე პოლისთან და ახსნას მათ შორის შემდგომში დამოკიდებულების გაუარესების მიზეზები. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი პოლემიკა ცნობილ რუს ისტორიკოსთან ალ. ტრაჩევსკისთან, რომელიც ცალმხრივად უყურებდა ამ საკითხს და ყველაფერში დამნაშავედ ნაპოლეონს მიიჩნევდა. „ბედუკუღმართი ლეიტენანტი ყველაფერს იწუნებდა და თვით პაოლისაც ჩამორჩენილ და მოძველებულ კაცად სთვლიდა". სავსებით ვეთანხმებით გრ. ნათაძეს როდესაც საკითხის ამგვარი ახსნა არ აკმაყოფილებს და ცდილობს უფრო ღრმად ჩაწვდეს მის მიზეზებს. „ნაპოლეონი რომელიც საფრანგეთში ნამყოფი იყო და იაკობელთა წრეებს რამდენადმე იცნობდა, რომელიც გარკვეული მომხრე იყო რუსოს მოძღვრებისა კორსიკელთა ღარიბი ნაწილის ინტერესებისაკენ გადაიხარა და ამ ბრძოლაში ნელნელა დაშორდა თავის სათაყვანებელ პაოლის" (503, გვ. 234). გრ. ნათაძე უფრო იქეთკენ იხრება, რომ ნაპოლეონსა და პაოლის შორის ბრძოლა იყო ტრადიციული დავა ძველსა და ახალს შორის და კორსიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი სიო, სწორედ ამ ახალგაზრდა ლეიტენანტიდან მიდიოდა, მაგრამ არც საკითხის ამდაგვარი ახსნა გვესახება ამომწურავად. საქმე ისაა, რომ მათ შორის განხეთქილების მთავარი მიზეზი კლასობრივ პოზიციაში კი არა, ეროვნულ საკითხში უნდა ვეძიოთ. თუ საფრანგეთის რევოლუციის შედეგად ეროვნულ საკითხებზე ნაპოლეონის შეხედულებებმა გარკვეული ცვლილება განიცადა, პაოლიზე ამას ვერ ვიტყვით. როგორც ა. მანფრედი აღნიშნავს „ნაპო-

ლეონს ეყო იმდენი ჭკუა, რომ გაეგო და გადაეწყვიტა, რომ ამიერიდან კორსიკა და საფრანგეთი ერთმანეთს კი არ უნდა დაპირისპირებოდა, არამედ მისი ინტერესები მოითხოვდნენ სრულ ერთიანობას კონტინენტთან" (310, გვ. 45). ეს, უთუოდ, უფრო შორსმჭვრეტელური და ჭკვიანი პოლიტიკა იყო. ნაპოლეონმა გაცილებით უფრო ჯარგად აუღო ალღო ახალ სიტუაციას. ვიდრე პაოლიმ, რომელიც სეპარატისტულ პოზიციებზე დარჩა. ამიტომ მათ შორის განხეთქილება გარდაუვალი იყო. ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაშ, რამ გამოიწვია სეპარატისტების წარმატება? პაოლისტების გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო იმით, რომ გლეხობა უკმაყოფილო იყო დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკით, და დაამყარა დროებითი კავშირი არისტოკრატიასთან. იყო ამის სხვა მიზეზები. გენუის გავლენა ჯერ მაინც დიდია. თაობა ჯერ არ იყო აღზრდილი ფრანგული სულისკვეთებით. საფრანგეთის რევოლუციის დროს წარმოიქმნა გარკვეული სირთულეები. შესუსტდა კონტროლი კორსიკაზე. ამით ისარგებლა ინგლისმა და საფრანგეთს მოუძებნა სუსტი ადგილი კორსიკაზე (613.გვ. 186).

გრ. ნათაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ პერიოდისათვის ნაპოლეონი მეტად რადიკალურად იყო განწყობილი. ეს დაკვირვება მართებულია. ფრანგი ისტორიკოსის ჟ. ტიულარის თქმით „სოციალური უსამართლობის ასეთ მკაცრ მხილებაზე უარს არ იტყოდა თვით ბაბეფიც, რომ სცოდნოდა ამის შესახებ" (613, გვ. 183). ბევრნი ფიქრობდნენ, რომ ნაპოლეონის ასეთი გატაცება განმანათლებელთა მოძღვრებით, რესპუბლიკის იდეით, დესპოტიზმისა და ფრანგული მონარქიისადმი სასტიკი სიძულვილით გამოწვეული უნდა იყოს მისი ეგზალტირებული პატრიოტიზმი „კორსიზმით", რაც, უდავოდ, ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერს (613, გვ. 177-178).

აჯამებდა რა ნაპოლეონის მოღვაწეობის ამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულ და საპასუხისმგებლო მონაკვეთს გრ. ნათაძე ასკვნის, რომ „მიუხედავად ბრძოლის ახალი მეთოდებისა, მიუხედავად ძალთა ახალი კომბინაციისა, ნაპოლეონი კორსიკაში დამარცხდა, მაგრამ იქ მან ღრმა კვალი დასტოვა, მისი ბრძოლა ნამდვილად რევოლუციური მეთოდებით იყო წარმოებული... მაგრამ კორსიკაში ჯერ კიდევ შერყეული და შეძრული არ იყო ძველი პატრიარქალური დაჯგუფება საზოგადოებისა, რომ ახალ რევოლუციურ მეთოდს გაემარჯვა ამიტომ პაოლის პარტიამ გაიმარჯვა და გააძევა კორსიკიდან ბონაპარტეს ოჯახი. (503; გვ. 237). კორსიკის საზოგადოების ჩამორჩენაზე, კონსერვატიზმზე საუბარი, როგორც უახლესი გამოკვლევები მოწმობენ ცოტა გადაჭარბებული უნდა იყოს.

მესამე თავში გრ. ნათაძე არკვევს ნაპოლეონის პოლიტიკური მრწამსის და იდეური შეხედულებების სიღრმეს და სიმტკიცეს. ამიტომ მისი ყურადღების ცენტრშია ნაპოლეონის იდეური სამყარო, მისი მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესი. ეს არის აქტუალური და საინტერესო თემა, რომელიც იმ დროისათვის ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი, ამიტომ მისი წინა პლანზე წამოწევა საყურადღებოა.

კორსიკიდან პაოლისტების მიერ დევნილმა ნაპოლეონმა კვლავ თავის მეორე სამშობლოს საფრანგეთს მიაშურა. „აქედან ნაპოლეონის ცხოვრების შემსწავლელისათვის იშლება მთელი ოკეანე გრძნობათა, ვნებათა, ფიქრთა, მდუღარე და მჭეხარე მოქმედება. იმ პირობებში რომელშიც ვიმყოფებით ტიფლისში (ე.ი. თბილისში მ.კ.) საზღვარგარეთ წასვლელად და იქაური არქივების გადაუთვალიერებლად ამ ოკეანის ფარგლებში კვლევა-ძიების ცდაც კი ყოვლად შეუძლებელია და მეც წუთსაც არ მიფიქრია ეს. ამჟამად ჩემი მიზანი სრულიად მცირეა და სპეციალური ასპარეზი კი ვიწრო, მტკიცედ და მკაფიოდ შემოფარგლული. მე მიზნად ვისახავ მხოლოდ იმას, რომ გამოვარკვიო რამდენად გულწრფელი იყო ნაპოლეონი იმ ხანებში, როდესაც ის თავის პოლიტიკურ სიმპათიას ანტიპატიას არკვევს... რამდენად მისი იაკობელობა ეთანხმებოდა, იმას, რომ შემდგომში მან თავისი დიქტატურა გამოაცხადა და იაკობელობა მოსპო" (503, გვ. 238).

ეს იყო ფრიად რთული და საინტერესო თემა, რომლის ირგვლივ დისკუსია, შეიძლება ითქვას, რომ დღესაც გრძელდება. რამდენად გულწრფელი იყო მისი გატაცება რევოლუციის იდეებით, რესპუბლიკით, იაკობინებით. თუ ყველაფერი ეს ი. ტენის თქმით იყო „აკანტურისტი კონდოტიერის კარიერისტული მისწრაფებები"

გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ ნაპოლეონის იდეურ-პოლიტიკური ევოლუციის საქმეში ყველაზე უფრო საინტერესოა XVIII საუკუნის მიწურული, როდესაც ნაპოლეონი თანდათანობით და ნელ-ნელა მიიწევს წინ პოლიტიკურ სარბიელზე, ხდება მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. „კორსიკის ხანა თავისთავად არის შემოფარგლული და აქ ისეთი დიდი სიფრთხილე არ არის საჭირო. კონსულობის და იმპერატორობის ხანაში ნაპოლეონი დიდი დიპლომატია და იმ დროს გულწრფელობაზე ლაპარაკი ზეუმეტია. აქ მან მართლაც გადალახა ყოველი მცნება ადამიანური სიმართლისა, ლმობიერებისა და ზნეობის, მაგრამ მაშინ იგი ქვეყნის მბრძანებელი იყო და მის მდგომარეობაში ყველა ასე იზამდა. ჩვენთვის კი საინტერესოა ის მომენტები როდესაც ნაპოლეონში ჩნდება გარდატეხა. მართლაც ეს პირწავარდნილი და გარკვეული ღალატი იყო წინასწარი გარკვეული გეგმით, თუ ნაპოლეონი თვითონაც ჩათრეული იყო რევოლუციის განვითარების მსვლელობის წყალვარდნილში და თითქოს ერთგვარ იარაღად გამოდის, როდესაც მისი აღტკინებული ვნება ამ წყალვარდნილთან ერთად სადღაც უფსკრულში მიექანებოდა" (503, გვ. 238-239).გრ. ნათაძე ხაზს უსვამს ახალგაზრდა ბონაპარტეს გატაცებას ჟან ჟაკ რუსოს იდეებით და მიუთითებს მის დიდ გავლენას ნაპოლეონის მსოფლმხედველობაზე. მაგრამ, ვფიქრობთ, ვერ შეძლო დამაჯერებლად აეხსნა თუ რითი იყო განპირობებული რუსოს იდეებით გატაცება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო გამოწვეული მხოლოდ იმით, რომ თავის ერთადერთ ტრაქტატში რუსო აქებს ნაპოლე-

ონის სამშობლოს კორსიკას (503, გვ. 238-239). იყო ამის სხვა სერიოზული მიზეზები, რომლის სათავეები ახალგაზრდა ბონაპარტის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მას უმთავრესად საფუძვლად ედო არსებული საზოგადოებრივი სისტემის თამამი მხილება. ახალგაზრდა ბონაპარტი შეიძლება მივაკუთვნოთ ფრანგული პოლიტიკური აზროვნების რადიკალურ მიმდინარეობას და ამიტომ, ბუნებრივია, რომ მას ხიბლავდა და იტაცებდა რუსოს დემოკრატიზმი, რესპუბლიკის იდეა, ტირანიისა და დესპოტიზმის სასტიკი სიძულვილი. კორსიკის ირგვლივ ატეხილ პოლიტიკურ დავაში რუსოს თხზულება ნაპოლეონის ხელში წარმოადგენდა ძლიერ არგუმენტს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში და ამიტომ „ნაპოლეონის მიამიტობაზე" საუბარი საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია (503; გვ. 240). ძნელია ვთქვათ, რომ ეს იყო „რუსოს იდეების ზერელე ცოდნა" (503; გვ. 240). აღსანიშნავია, რომ შემდგომი გამოკვლევები სრულიად საწინააღმდეგოს მეტყველებენ და ხაზს უსვამენ, რომ ჭაბუკი ბონაპარტი ჩახედული იყო რუსოს მოძღვრებაში (310, გვ. 35-38;).

ვფიქრობთ, გრ. ნათაძე აკნინებს ნაპოლეონის ნიჭს და ტალანტს როდესაც მას მხოლოდ დიდ მხედართმთავრად, „სამხედრო გენიოსად" აღიქვამს (503, გვ. 242-243). ნაპოლეონი, რომ დიდი სარდალი იყო და გაცილებით მაღლა იდგა თავის წინამორბედებზე, მათ შორის ფრიდრიხ დიდზე, ეს უდავოა (129, გვ. 119-160). ამავე დროს ის იყო შესანიშნავი პოლიტიკოსი და დიპლომატი, რაც, სხვათაშორის, ძალიან კარგად გამომჟღავნდა XIX საუკუნის დასაწყისში 1800-1801 წელს რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების დროს. ეს არ იყო „ქმიერული კავშირი", როგორც ეს ალბერ სორელს წარმოუდგენია (370, გვ. 86). „ნაპოლეონის ერთერთ უდიდეს დიპლომატიურ მიღწევას, უდავოდ, წარმოადგენს სრული გადატრიალება, რომელიც მოახდინა მან რუსეთთან ურთიერთობაში" (112, გვ. 154) — აღნიშნავს ე. ტარლე. როგორც ა. მანფრედი შენიშნავს „ფაქტობრივად ნაპოლეონი იყო პირველი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც სათანადოდ შეაფასა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის მნიშვნელობა და მასში დაინახა არა კონიუნქტურული მოვლენა, არამედ კავშირი, რომელიც განპირობებული იყო სახელმწიფო ინტერესებით და საფუძვლად ედო ორივე ქვეყნის ეროვნული მისწრაფებები, მაგრამ ნაპოლეონის ტრაგედია ის იყო, რომ მან თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში გადადგა ნაბიჯი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის საგარეო პოლიტიკურ კურსს" (310, გვ. 364-365). შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონის ნიჭი და ტალანტი ამით არ ამოიწურებოდა და ის საკმაოდ მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი იყო. ის არის ჩინებული ადმინისტრატორი, ფინანსისტი, ეკონომისტი, საფუძვლიანად ერკვევა იურისპრუდენციაში (129 გვ.).

ნაპოლეონის ინტელექტუალური სამყაროსადმი, მისი პოლიტიკური ფილოსოფიური შეხედულებებისადმი, გრ. ნათაძის ნეგატიური დამოკიდებულება შემთხვევითი არ ყოფილა და იმ დროისათვის საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გავრცელებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც მნიშვნელოვანწილად იმით იყო განპირობებული რომ ეს თემა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ დამუშავებული. ნაპოლეონის უვიცობაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია (503, გვ. 241-242). აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის საქმიანობაზე მწერლობაში გრ. ნათაძე ძალიან დაბალი აზრისაა და ფიქრობს, რომ მისი ნაწარმოებები ყოველგვარ ლიტერატურულ ღირსებას მოკლებულია (503, გვ. 249). შეიძლება მას არ მოეწონა სტილი, მაგრამ შინაარსი სულ სხვაა. ამ შემთხვევაში გრ. ნათაძის მსჯელობა უმთავრესად სტენდალის თხზულებას ემყარება, რომელიც ამჯერად საიმედო არგუმენტი არაა, ვინაიდან სტენდალის დროს ბონაპარტის ლიტერატურული მემკვიდრეობა თითქმის უცნობი იყო.

სავსებით ვეთანხმებით გრ. ნათაძეს, რომ „იმ ხანებში ნაპოლეონს არავითარი გეგმები არ გააჩნდა და ვთქვათ, რომ ნაპოლეონს თავისი მომავალი გეგმები, უკვე წინასწარ ესახებოდა, სწორი არ იქნება" (503, გვ. 249). ნაპოლეონი ამ ხანებში მატერიალურ ხელმოკლეობასაც კი განიცდიდა და ასე განსაჯეთ კონსულტანტად თურქეთის არმიაში წასვლაც კი ჰქონდა განზრახული (503, გვ. 250).

გრ. ნათაძის ნაშრომის მეოთხე თავს ეწოდება „ცვალებადობა თუ ღალატი" (503, გვ. 250-253). აღსანიშანვია, რომ გრ. ნათაძე ჩერდება 9 თერმიდორის გადატრიალების შემდეგ ნაპოლეონის დაპატიმრებაზე. ნაპოლეონის დაპატიმრების მიზეზები დღემდე ბოლომდე გამორკვეული არ არის. ბურიენის ცდა უარყოს ამ ფაქტის კავშირი რობესპიერებთან სიახლოვესთან სუსტადაა არგუმენტირებული. ჯერ კიდევ ვალტერ სკოტი მიუთითებდა რობესპიერ-უმცროსთან ნაპოლეონის დაახლოებაზე. გრ. ნათაძე უფრო მეორე მოსაზრებისაკენ იხრება და ხაზს უსვამს, რომ 9 თერმიდორის გადატრიალების შემდეგ ნაპოლეონის დატუსაღება სწორედ რობესპიერთან სიახლოვის შედეგი იყო, თუმცა სკოტს რატომღაც არსად არ იხსენებს. იგი აღნიშნავს იმ უარყოფით როლს რომელიც ამ საქმეში შეასრულა ნაპოლეონის თანამემამულემ ქრისტეფორე სალიჩეტიმ (503, გვ. 253). რითი იყო გამოწვეული სალიჩეტის ასეთი მკაცრი შემობრუნება ბონაპარტის წინააღმდეგ, რომლის დაწინაურებას ტულონის დროს თავადვე შეუწყო ხელი? შესაძლოა, სალიჩეტის თვითონაც იაკობინს შეეშინდა თერმიდორიანელების და თავისი გადარჩენის მიზნით, პროფილაქტიკურ ზომებს მიმართა (129, გვ. 91). „სალიჩეტისაც, რასაკვირველია, ეშინოდა იმავე ბედის და ახლა ის ეშმაკობას ხმარობს, რომ ახალ მთავრობას სამსახური გაუწიოს, რათა თავიდან აიცილოს მწარე ბედი თავისი ყოფილი თანამოაზრეთა" (503, გვ. 253). გრ. ნათაძე ვარაუდობს, რომ სალიჩეტიმ თავის მსხვერპლად ნაპოლეონი იმიტომ აირჩია, რომ ის წინ უსწრებდა მას (503, გვ. 253). მაგრამ გრ. ნათაძე რატომღაც დუმს იმ პოზიტიურ როლზე რომელიც სალიჩეტიმ შეასრულა ნაპოლეონის განთავისუფლების საქმეში

(310 გვ.100-101, 129 გვ. 92).

გრ. ნათაძეს მოჰყავს ნაპოლეონის 1794 წლის 7 აგვისტოს წერილი და კომენტარს უკეთებს მას. აი რას წერდა ნაპოლეონი: „მე ცოტა ამაღელვა უმცროსი რობესპიერის დაღუპვამ, რომელიც მე მიყვარდა და უმწიკვლო კაცად ვთვლიდი, მაგრამ ის რომ მამაჩემიც ყოფილიყო, ჩემი ხელით დავხანჯლავდი, რომ შემეტყო, რომ მას ტირანობა გაუფიქრებია". გრ. ნათაძე არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ეს წერილი, პირველ ყოვლისა ნაკარნახევი იყო თავდაცვის ინსტინქტით და ამით ნაპოლეონს სურდა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე რობესპიერთან კავშირის გამო (503, გვ. 255). ეს მოსაზრება გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი უნდა ჩანდეს, ვიდრე ამას გრ. ნათაძე ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში, მის მიერ მოხმობილი კონტრარგუმენტები ცოტათი მოიკოჭლებს და დამაჯერებლობა აკლიათ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ წერილში ნაპოლეონი გულწრფელი ყოფილიყო, როგორც ამას გრ. ნათაძე ფიქრობს. ამ რთულ სიტუაციაში როდესაც ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე თუ არა, კარიერა მაინც, ძნელი საფიქრებელია, რომ იგი გულწრფელობაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე საკუთარი თავის გადარჩენაზე. აქ გრ. ნათაძე ოლარის მოსაზრებას იზიარებს, რომ „ამნაირი გრძნობების მატარებელი დიდხანს დატუსაღებული არ დარჩებოდა" (503, გვ. 255). ასეც იქნებოდა, მაგრამ როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ბონაპარტმა თავის დაზღვევის მიზნით დაწერა ეს წერილი, რაც, იმ არეულ დროში, უსათუოდ, სწორი ნაბიჯი იყო (310, გვ. 97).

მეორე მნიშვნელოვანი საბუთი, რომელსაც გრ. ნათაძე განიხილავს, ეს არის ნაპოლეონის მიერ მიწერილი საპროტესტო წერილი საპატიმროდან კონვენტის წარმომადგენლისათვის, რომელიც მოჰყავს, არა მარტო სტენდალს, არამედ ბურიენსაც. ნაპოლეონის მოთხოვნა მეტად მარტივია. „მომისმინეთ, გამასამართლეთ და თუ დამნაშავედ აღმოვჩნდე მაშინ გამომაცხადეთ საეჭვო მოქალაქედ". ვფიქრობთ, გრ. ნათაძე ძალიან ამუქებდა ვითარებას და ვერ დავეთანხმებით მას თითქოს „ეს დოკუმენტი მეტად ცხადად გვიყენებს თვალწინ ნაპოლეონის პოლიტიკურ მოუმზადებლობას და თითქმის ბავშვურ მიამიტობას" (503, გვ. 257). ეს დოკუმენტი გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე პროფ. დ. ცისკრიშვილის წიგნში და სიმართლე გითხრათ, მასში ამის მსგავსი ვერაფერი დავინახეთ. (129, გვ. 91-92). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გრ. ნათაძეს თავისი მსჯელობის გასამტკიცებლად ვერაფერი სერიოზული არგუმენტი ვერ მოჰყავს. აღსანიშნავია, რომ ეს წერილი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და როგორც ფიქრობენ გარკვეული წვლილი შეიტანა ნაპოლეონის გათავისუფლების საქმეში.

გრ. ნათაძის ნაშრომში თავისებურადაა გამუქებული ჟოზეფინასა და ნაპოლეონის ურთიერთობა. ძნელი სათქმელია, რომ ამ ქორწინების შემდეგ ჟოზეფინამ მხოლოდ მოიგო, ბონაპარტი კი წაგებული აღმოჩნდა" (503, გვ. 292). აღსანიშნავია, რომ ამ ქორწინებით ნაპოლეონმა მიაღწია თავის მიზანს და ბოლოსდაბოლოს დაინიშნა იტალიური არმიის სარდლად. როგორც თანამედროვეები ხუმრობდნენ ბარასმა ჟოზეფინას მზითვში გაატანა იტალიური არმიის მთავარსარდლის პოსტი. თუ აქამდის ნაპოლეონის სახელი საფრანგეთის საზღვრებს არ გასცდენია იტალიის კამპანიის შემდეგ მისი სახელი მთელ ევროპას მოედო. რომელ წამგებიანობაზეა მსჯელობა? გასათვალისწინებელია, პირადი მოტივები, წმინდა ადამიანური ურთიერთობები. ნაპოლეონის მხრივ ეს იყო დიდი, ადამიანური გატაცება.

გრ. ნათაძე ეხება ნაპოლეონის თხზულებას„ ვახშამი ბოკერში" და აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები „დაწერილია ტულონის აღების პერიოდში, საზოგადოდ ეს ნაწარმოები არკვევს ნაპოლეონის ნამდვილ პოზიციას იაკობელების მიმართ და მისი მოღვაწეობის პრინციპულ საფუძველს როგორც სარდლისა. ეს ნაწარმოები გამოარკვევს თუ რამდენად იყო ნაპოლეონი იაკობელების მომხრე და რამდენად თავისთავად მიიჩნდა ყველა მათი ნაბიჯი პოლიტიკაში ან რამდენად მხოლოდ ღებულობდა მათ პოლიტიკას, როგორც აუცილებელს ყველა მამულიშვილისათვის" (503, გვ. 258). პირველ ყოვლისა უნდა დავძინოთ, რომ ნაპოლეონის თხზულება დაწერილია გაცილებით უფრო ადრე 1793 წლის ივლის-აგვისტოში. (573, გვ. 234). ნაპოლეონი ტულონში ჩავიდა 1793 წლის სექტემბერში, როდესაც ეს თხზულება დაწერილი ჰქონდა. გრ. ნათაძის მერყეობა, ამ თხზულების ავტორი იაკობინების მომხრეა თუ არა, საკამათოა. მისი თხზულება ამაში ეჭვის შეტანის საფუძველს ნაკლებად იძლევა. „იგი დაწერილია რევოლუციონერი იაკობინიზმის პოზიციებიდან" საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმდენად რევოლუციური და რადიკალური იყო ნაპოლეონის თხზულება, რომ რვა წლის შემდეგ ნაპოლეონმა მოიძია მის ეგზემპლარები და გაანადგურა.

ძნელი საფიქრებელია თითქოს ნაპოლეონს უკვე 1789 წელს ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური მრწამსი, როგორც ხაზს უსვამს ა. მანფრედი. რა თქმა უნდა, ნაპოლეონის მიერ რევოლუციის აღქმა უპირატესად ემოციურ ხასიათს ატარებდა. იგი, ალბათ, არასოდეს არ ყოფილა რწმენით იაკობინელი. განმანათლებელთა იდეებით გატაცება არ გადაზრდილა მტკიცე რწმენაში. ფრანგი ისტორიკოსის არტურ შიუკეს თქმით „ნაპოლეონი იმიტომ ეხმარებოდა იაკობინებს, რომ გამარჯვება მათ მხარეზე იყო". „ჟირონდისტებსა და მონტანიარებს შორის ურთიერთობის საკითხში მისთვის გადამწყვეტია არა მათი პრინციპები, არამედ მათი პრაქტიკა. მისთვის არ არსებობს თეორიული საკითხები პოლიტიკისა. ის მასში ვერ ერკვევა. სამაგიეროდ იგი გენიოსური განჭვრეტით ხედავს პრაქტიკულ მნიშვნელობას და შედეგებს მოქმედებისა და ამ ნიადაგზე არჩევს თუ ვის მიემხროს იგი. საფრანგეთის ცხოვრება კი ისე მოეწყო, რომ ერის ნებისყოფის გაერთიანება და ძალების თავმოყრა შეძლეს მონტანიარებმა.

მათ წინააღმდეგ გამოსვლა ერის ნებისყოფის დასუსტებას და საფრანგეთის მტრების დახმარებას ნიშნავდა. ამიტომ ყოველი პატიოსანი ადამიანი კონვენტსა და იაკობინებს უნდა ემხრობოდნენ. აქედან ცხადია, რომ ის არ ყოფილა იაკობინელების მომხრე და ჟირონდისტების წინააღმდეგი მსოფლმხედველობით და რწმენით. ის ასეთ დეტალებში ვერ ერკვევა. ის მხოლოდ რევოლუციასა და რესპუბლიკის, როგორც ერთი ნებისყოფის გამომხატველი წესწყობილების, პოლიტიკური თავისუფლების მომხრე იყო. ხოლო როდესაც სამოქალაქო ბრძოლაში ის ჰხედავს სხვადასხვა ჯგუფების მიერ დაკავებულ პოზიციებს მისთვის, ცხადია, ვის უნდა მიემხროს. ჟირონდელიები სამოქალაქო ომში ძალაუნებურად როიალისტებს უკავშირდებიან და არ ესმით, რომ თუ მათ გაიმარჯვეს, როიალისტებს ერგებათ მთელი გამარჯვება. ამიტომ ნაპოლეონი 9 თერმიდორის შემდეგ ზომიერ იაკობელებს (ე.ი. თერმიდორიანელებს — მ.კ.) ემხრობა და იარაღით იცავს მათ როიალისტებისაგან. ის წინააღმდეგია უკიდურესი იაკობელებისა, რადგან ისინი თავისი გამოსვლებით არღვევენ ერის ნებისყოფას" (503, გვ. 260-261). შესაძლოა, ზოგიერთი შეფასება ცოტათი მკაცრი მოგეჩვენოს, მაგრამ მართალია, გრ. ნათაძე როდესაც ხაზს უსვამს, რომ ნაპოლეონმა ამ რთულ ვითარებაში სათანადო პრაქტიკოსი გამოავლინა.

რა თქმა უნდა, ნაპოლეონს ჰყავდა წინამორბედები, მაგრამ მისი ორიგინალური წვლილის, ნოვატორობის, თვითმყოფადი ხელწერის ეჭვს ქვეშ დაყენება უმართებულო იქნებოდა. უთუოდ, ძალიან უხერხულია იმის მტკიცება თითქოს იტალიაში ლაშქრობის გეგმა მას მორბუასაგან ჰქონოდეს აღებული და მასში თავისი ახალი არაფერი შეეტანოს (397ბ, გვ. 100). ჩვენის აზრით, ალ. ტრაჩევსკის ეს მოსაზრება, რომელსაც იმეორებს გრ. ნათაძე კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს, რასაც სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძე ვერ იჩენს და ფაქტობრივად უერთდება ალ. ტრაჩევსკის მცდარ დებულებას (503, გვ. 263). „გრ. ნათაძე ავითარებს თავის მსჯელობას და განაგრძობს — თვით ახალ საომარ სისტემაში და ტაქტიკაშიც ჰყავდა წინამორბედები. კარნოსაც ბევრი რამ გაუკეთებია ამ საქმეში. ისე, რომ კარგად რომ ჩაუკვირდე ისტორიას, ნაპოლეონს სრულიად ახალი არა შეუქმნია. რა. ყოველი მისი ნაბიჯი შემზადებული იყო ისტორიულად თვით სამხედრო საქმის რეფორმაშიც კი, რომელშიც იგი, უდავოდ, გენიოსურ ნიჭს იჩენდა" (503, გვ. 263). რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს, რომ ნაპოლეონს სამხედრო საქმის რეორგანიზაციის საკითხში თავისი წინამორბედები ჰყავდა, თუმცა ეს, ცხადია, სულაც არ ამცირებს მის ღვაწლს სამხედრო ხელოვნების განვითარებაში. ის ორიგინალური წვლილი, რომელიც მიუძღვის ნაპოლეონს ამ სფეროში დამაჯერებლადაა ხაზგასმული პროფ. დ. ცისკარიშვილის წიგნში და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (129, გვ. 119-160). „რაც შეეხება ნაპოლეონს როგორც მოაზროვნეს, თუნდაც პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში და თუნდაც ამ ხასიათის გეგმების შედგენაში ამაში საშუალო ნიჭიც კი არ ქონდა და არც მომზადება უწყობდა ხელს. როგორც შემდგომში დავინახავთ გეგმების შედგენის მხრივ მას სიესი ბევრად ჯობდა. თუ მას (ე.ი. ნაპოლეონს — მ.კ) რაიმე გეგმა ქონდა, რომ ყველა იქამდის იყო შემზადებული ისტორიულად, რომ თითქმის, როგორც იტყვიან, ჰაერი იყო გაჟღენთილი ან ყველას პირზე ეკერა ამათუ იმ ცვლილების აუცილებლობა, რომლის გეგმასაც ნაპოლეონი ან სპეციალისტებს ადგენინებდა ან თვითონ შეადგენდა როდესაც სპეციალისტების კამათს მოისმენდა ამ საკითხზე" (503, გვ. 263). ნაპოლეონის შესაძლებლობების, ნიჭის, ტალანტის შეფასების საკითხში გრ. ნათაძე ბოლომდე ობიექტური ვერ იყო. იგი მკვეთრად ამუქებდა ვითარებას და ნაპოლეონს როგორც პიროვნებას, შეიძლება ითქვას, პირდაპირ მიწასთან ასწორებდა.

საკითხის ამგვარად დასმა „ცვალებადობა თუ ღალატი" უმართებულოდ მიგვაჩნია, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ადეკვატურად არ ასახავს ნაპოლეონის მიმართებას საფრანგეთის რევოლუციისადმი. გრ. ნათაძის მისწრაფება ჩაუღრმავდეს ამ სერიოზულ პრობლემას, უდავოდ, მისასალმებელია, მაგრამ ის გზა, რომელიც მან აირჩია ამ საკითხის გადაწყვეტისას, საკამათოა. უპირველეს ყოვლისა წამოიჭრება კითხვა რას უღალატა მან? რა ცვალებადობაზე, ღალატზე შეიძლება ლაპარაკი როდესაც რევოლუციამ ფაქტობრივად ამოწურა თავისი შესაძლებლობები. რაც დასანგრევი იყო დაანგრიეს. ძველი რეჟიმი მოისპო. ფრანგებმა მოიპოვეს სანუკვარი თავისუფლება და დემოკრატია. ახლა საჭირო იყო აღმშენებლობის დაწყება, წესრიგის დამყარება. აი სწორედ ეს მისია იტვირთა გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტმა. რას უღალატა კონსტიტუციურ მონარქიას, რომელიც მის როგორც სამხედროს თვალში, უნიათოდ გამოიყურებოდა, ვინაიდან ფრონტებზე მარცხს მარცხზე განიცდიდა. ჟირონდას, რომელიც იაკობინების წინააღმდეგ ბრძოლაში როიალისტებს შეეკრა და ამით ფაქტობრივად მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. მართალია, იაკობინელებმა ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში შეძლეს გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ნაპოლეონს, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ ახლის შენების თვალსაზრისით ისინი მოიკოჭლებდნენ. „მავრმა გააკეთა საქმე, მავრი უნდა წავიდეს". თერმიდორიანელებს რომელთა ამორალური გახრწნილობა და სრული პოლიტიკური უნიათობა თვალწინ ჰქონდა. ძველი რეჟიმის ალტერნატივა არ ჩანდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ 1795 წლის არჩევნებში ფრანგმა ხალხმა კვლავ მონარქიას დაუჭირა მხარი. ხალხს მოწყინდა არეულობა, ქაოსი, უწესრიგობა. მას წესრიგი სურდა. ნაპოლეონმა პირველ რიგში, წერტილი დაუსვა შინაშლილობას, ქაოსს, ნგრევას, რაც თან მოჰყვა რევოლუციას. ფრანგი ისტორიკოსი ჟ. ჟორესის თქმით „რევოლუცია ეს არის პროგრესის ბარბაროსული ფორმა". შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონი შეუდგა მოპოვებული თავისუფლების წესრიგში მოყვანას. ამ შემთხვევაში ის ნ. მაკიაველის მიმდევარია: „თავისუფლება კარგია, მაგრამ წესრიგი

კიდევ უკეთესია". ნაპოლეონმა რევოლუციის იდეები მთელს კონტინენტზე განავრცო და სასიკვდილო მახვილი ჩასცა ძველ რეჟიმს ევროპაში. ფაქტობრივად ნაპოლეონი ახალი საფრანგეთის და ევროპის მესაძირკველედ მოგვევლინა. მან ფრანგ ერს შესთავაზა ახალი გზა. სწორედ ეს იყო ძველი რეჟიმის ალტერნატივა, თუმცა მან საძირკველი ჩაუყარა ავტორიტარულ სახელმწიფოს.

ნაპოლეონის აღზევების ისეთი საკვანძო მომენტებისათვის გვერდის ავლა როგორც არის ტულონის აღება 1793 წლის დეკემბერში და იტალიის კამპანია (1796-1797), გაუმართლებელია და გრ. ნათაძის ნარკვევის ერთერთი სერიოზული მინუსია. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა იტალიის კამპანიისადმი სპეციალური თავის დათმობა, ვინაიდან მან ნაპოლეონის დაწინაურებაში ძალზე დიდი როლი შეასრულა. ფაქტობრივად ამის შემდეგ 27 წლის გენერალ ბონაპარტის სახელი მთელ ევროპას მოედო. უფუოდ, უფრო მეტი უნდა თქმულიყო ეგვიპტის ექსპედიციაზე (1798-1799), მით უმეტეს, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული 1799 წლის 18 ბრიუმერის გადატრიალებასთან. ნაშრომში მოცემული მწირი ინფორმაცია საკმარისი არაა. ბუნებრივია, გრ. ნათაძე თავისი ნაშრომის დასასრულს განიხილავს 1799 წლის 18 ბრიუმერის გადატრიალებას, რომელიც ფაქტობრივად აგვირგვინებს ნაპოლეონის აღზევებას.

გრ. ნათაძე წყაროებსა და მდიდარ ლიტერატურაზე დაყრდნობით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 18 ბრიუმერის გადატრიალება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ისტორიულ მოვლენათა განვითარების ლოგიკური დაგვირგვინებაა (503, გვ. 264).

ზოგიერთი ისტორიკოსი (ა. სორელი, ა. ვანდალი, ლ. მადლენი, ე. ტარლე) ფიქრობს, რომ ნაპოლეონი ეგვიპტიდან წამოვიდა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის მიზნით. საინტერესოა რას ფიქრობს ამ საკითხზე გრ. ნათაძე. იგი წერდა: „როდესაც ეგვიპტეში ყოფნის დროს ნაპოლონს მოუვიდა ამბავი პარიზის მდგომარეობის შესახებ, სრულიად მოულოდნელად და სწრაფად მიატოვა მთელი არმია, ამხანაგი კლებერი და გაეშურა პარიზისაკენ... მაგრამ რა განზრახვა ჰქონდა მას? კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ თვითონაც არ იცოდა. საერთო სურვილი მისი იყო ისეთივე როგორც ბევრი სხვისი, რომელთაც გადატრიალების მოხდენა უნდოდათ, მაგრამ რა საშუალებით, რა გეგმით, ამაზე არაფერი წარმოდგენა არ ჰქონდა" (503, გვ. 241). გამოდის, რომ გრ. ნათაძე იზიარებდა ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებას, რომ ნაპოლეონმა ეგვიპტე დატოვა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის მიზნით, თუმცა, მისი შეხედულებებით, თუ როგორ უნდა განეხორციელებინა ეს, ამის თაობაზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ბოლო ხანებში ა. მანფრედმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ნაპოლეონი ეგვიპტიდან სახელმწიფო გადატრიალების მიზნით არ წამოსულა და იგი ამ საქმეში ჩაება მხოლოდ მას შემდეგ როდესაც საფრანგეთში დაბრუნდა, და ახლოს გაეცნო შექმნილ სიტუაციას (574, 310). ამავე აზრს ავითარებს თავის წიგნში დ. ცისკარიშვილი (129, გვ. 311-340), ეტყობა გრ. ნათაძე იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს თითქოს სიესს მზად ჰქონდა კონსტიტუციის პროექტი(503 გვ. 272). მაგრამ როგორც ა. მანფრედი ფიქრობს ამის მსგავსი არაფერი ყოფილა (574; გვ. 250).

ვერ დავეთანხმებით გრ. ნათაძეს თითქოსდა „ეგეგმების შედგენის თვალსაზრისით სიესი სჯობდა ბონაპარტეს" (503, გვ. 263). 18 ბრიუმერის გადატრიალებამ ყველაზე უფრო კარგად დაგვანახა, რომ ეს ასე არ იყო. ნაპოლეონმა წმინდად მოუგო პოლიტიკური დუელი სიესს 18 ბრიუმერის გადატრიალების შემდეგ. ასე რომ არც ამ საქმეში იყო ნაპოლეონი ისეთი სუსტი, როგორც ეს გრ. ნათაძეს ესახებოდა.

ნაპოლეონის დაწინაურების მიზეზების ახსნა მისი გენიით, როგორც ამაში გვარწმუნებს ნაპოლეონის მრავალრიცხოვანი აპოლოგეტები, გრ. ნათაძეს არადამაკმაყოფილებლად ესახება, ეს მისი მსჯელობის ძლიერი მხარეა. მაგრამ აღნიშნული საკითხის დამაჯერებელი ახსნა, ჩვენი აზრით, ვერც გრ. ნათაძემ შეძლო. ამ თემაზე, მისი მსჯელობის კონკრეტულობა აკლია და მეტად ზოგად ხასიათს ატარებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძე თავის ნაშრომში დასმულ საკითხს ნაპოლეონის დაწინაურებს მიზეზების კონკრეტულად არ განიხილავს და მასზე სპეციალურად არსად ჩერდება. არადა ამგვარი ნაბიჯი სწორედაც ლოგიკური იქნებოდა. მისი ნაშრომი ხომ ამ პრობლემას ეძღვნება, მაგრამ გრ. ნათაძის გამოკვლევაში ამის მსგავს ვერაფერს ვხედავთ. ნაპოლეონის დაწინაურების მიზეზების ზოგადი განხილვა სქემატურია და მასში უმთავრესად ისტორიის სოციოლოგიური გაშუქებით გრ. ნათაძის გატაცების ლოგიკურ შედეგს ვხედავთ. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ გრ. ნათაძის ნაშრომში დასმული საკითხი, ნაპოლეონის დაწინაურების მიზეზები, ფაქტობრივად ჰაერში გამოკიდული აღმოჩნდა: ყოველივე ზემოთქმულიდ გათვალისწინებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთში ბონაპარტიზმის აღმოცენებაზე გრ. ნათაძეს აქვს მეტად მიამიტური, გულუბრყვილო წარმოდგენა.

ნაპოლეონის მოღვაწეობით გრ. ნათაძის დაინტერესება ამით არ ამოიწურება და ამ პიროვნებას ეძღვნება გრ. ნათაძის კიდევ ერთი საინტერესო გამოკვლევა „ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი". როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს მიზანი კონკრეტულია – საინტერესო ისტორიული წყაროს, ნაპოლეონის მემუარების განხილვა-ანალიზი და იგი ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ.

საქართველოში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის მეცნიერული კვლევა-ძიება სერიოზულად მოიკოჭლებს და ამ მიმართულებით ძალიან ცოტაა გაკეთებული. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხების წინა პლანზე წამოწევა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია და

გრ. ნათაძის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა. იგი საქართველოში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის მეცნიერული შესწავლის ინიციატორად გვევლინება.

პიროვნების როლის წინააღმდეგ გალაშქრების შემდეგ, რაც, ჩვენის აზრით, ზედმეტი უნდა იყოს და მთავარ თემას გვაშორებს, გრ. ნათაძე კვლავ უბრუნდება საკვლევ წყაროს და ცდილობს გააცნობიეროს მისი ისტორიული მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება. იგი დასძენს: „უაღრესი მნიშვნელობა აქვს თვით ნაპოლეონის ნაამბრევს და ნაფიქრს. ამგვარი მასალა კი ბევრი არ მოგვეპოვება. მართალია, ბევრი რამ არის დაწერილი ნაპოლეონის ინტიმურ ცხოვრებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ცნობისმოყვარეებს თუ დააკმაყოფილებს, თორემ მეცნიერებას, ყოველ შემთხვევაში ისტორიულს ვერას შესძენს, გარდა ყოფა-ცხოვრების დახასიათებისა. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ნაპოლეონის ნაამბრევი და ნაფიქრი, მისი გეგმებისა და პოლიტიკის შესახებ. მისი ფარული ზრახვანი შეგნებულნი და შეუგნებელნი. გარდა ცოტოდენი ნაწერებისა ამ საგნისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მის მემუარებს, მაგრამ მისი მემუარები მის მიერვე შედგენილი და დამუშავებული არ არსებობს. არსებობს მხოლოდ მისი გენერლების მემუარები წმინდა ელენეს კუნძულზე დაწერილი, როგორც გამომცემლები ამბობენ „მის მიერ ნაკარნახები". მაგრამ ამ წყაროს თანამედროვე მეცნიერება მეტად უნდობლად უცქერის და ამის საფუძველიც აქვს" (502, გვ. 41-42).

გრ. ნათაძეს ხელთ ჰქონდა ნაპოლეონის მემუარების 1823 წლის ორი გამოცემა სხვადასხვა პირის და სხვადასხვა ქალაქში გავრცელებული. ერთი პარიზში, მეორე მაინის ფრანკფურტში და მესამე გამოცემა 1830 წლისა პარიზში. იგი დეტალურად არკვევს ამ გამოცემების ავკარგიანობას და იმ განსხვავებებს რომელიც მათ შორისაა.

პარიზის ორივე გამოცემაში 1823 წლისა და 1830 წლისა თავმოყრილია გარდა თვით ნაპოლეონის ხელნაწერებისა, აგრეთვე მის მიერ ნაკარნახები ამბები, რაც, სხვათა შორის, 1823 წლის ფრანკფურტის გამოცემაში არ მოიპოვება. „მთელი ეს წიგნი შედგება მოკლე შენიშვნებისა და მოკლე ცნობებისაგან"(502, გვ. 43). ამიტომ გრ. ნათაძე ასკვნის, რომ ორივე ფრანგული გამოცემა როგორც ისტორიული წყარო გაცილებით საინტერესოა და შედარებით უფრო გასათვალისწინებელია, ვიდრე ფრანკფურტის გამოცემა (502, გვ. 43). ამიტომ, ბუნებრივია, რომ იგი. სწორედ ამ ორ გამოცემას უთმობს ყველაზე დიდ ყურადღებას. პირველ რიგში, წამოიჭრება საკითხი თუ რა განსხვავება არსებობდა ამ ორ გამოცემას შორის. „პირველ გამოცემაში – დასძენს გრ. ნათაძე გამომცემელნი საკმაო გულუბრყვილობას იჩენენ წყაროს მეცნიერულ შეფასებაში. მეორე გამოცემაში კი ეს არ ჩანს. აქ გამომცემლები რეალურად აცხადებენ: ჩვენ ვცდილობდით არ შეგვესუსტებინა ნაპოლეონის შეხედულებები, გარდა ამისა მეორე გამოცემა უფრო უკეთესია პირველზე, როგორც გარეგნობით (შრიფტით, ქაღალდით და სხვა) ისე მასალის დალაგების მხრივ (502, გვ. 45-46). თუ პირველ გამოცემას სუბიექტურობისა და ტენდენციურობის ნიშანწყალი რ ეტყობა მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. „კილოსა და განწყობილების მხრივ ის წარმოადგენს ნაპოლეონის დითირამბებს" და ამის საილუსტრაციოდ მოაქვს დიდი ამონაწერი მეორე გამოცემის შესავლიდან, რომელიც სავსებით ადასტურებს მის დაკვირვებას (502, გვ. 46-48).

გრ. ნათაძემ, ვფიქრობთ, დამაჯერებლად ახსნა თუ რით იყო განპირობებული ამ ორ გამოცემას შორის ასეთი მკვეთრი განსხვავება. მისი შეხედულებით ამის მთავარი მიზეზი საფრანგეთის პოლიტიკურ ყოფაში უნდა ვეძიოთ. „1823 წელს საფრანგეთში ლუი XVIII მეფობდა და მისი რეჟიმი კი სრული უარყოფა იყო არა თუ რევოლუციის პრინციპებისა, არამედ თვით ნაპოლეონის მართვა გამგეობის სისტემისაც, ამიტომ მაშინ ნაპოლეონის სასარგებლოდ რისამეს თქმა სახიფათო იყო. ეს კიდევ არაფერი. იმ დიდი კატასტროფის შემდეგ, რომელიც საფრანგეთმა გამოიარა ლუი ბურბონის გამეფებამდის, პირველ ხანებში გამეფდა, ისეთი გონებრივი და სულიერი სიცარიელე, რომ არავითარი პოლიტიკური იდეალები არ არსებობდა და ამიტომ წიგნში ტენდენციის გატარება მოსალოდნელი არ იყო. 1830 წელს კი მდგომარეობა შეიცვალა. საფრანგეთში ხელახლა რევოლუციური მოძრაობა დაიწყო. ბურჟუაზია ხელახლა წელში გაიმართა და შესაძლო თავისი კლასობრივი ინტერესების შესაფერი იდეალი შექმნა. მისი იდეალი შორს არ მიდიოდა... კონსტიტუციური მართვა-გამგეობა სრულიად აკმაყოფილებდა მის მადას" (502, გვ. 48).

საინტერესოა, გრ. ნათაძის მსჯელობა იმ შინაარსობრივი განსხვავების შესახებ, რომელიც ამ ორ გამოცემას შორის არსებობდა. ვფიქრობთ, მან კარგად დაინახა, რომ შინაარსში არსებული განსხვავება უპირატესად პოლიტიკური ყოფის ლოგიკური შედეგია. სწორედ ამ კუთხით წარმოაჩენს იგი იმ ფაქტს, რომ მეორე გამოცემაში 18 ბრიუმერის ამბები ამოღებულია, ვინაიდან, მათი შეხედულებით, იმ დღეს ნაპოლეონის მოქმედება ნაკლებად იძლეოდა მისი განდიდების საშუალებას, ხოლო 13 ვანდემიერი კი ვრცლადაა წარმოდგენილი, ვინაიდან იგი პირიქით გმირული შარავანდით მოსავდა მემუარების ავტორს (502, გვ. 48).

ამ ორი გამოცემის შედარების შედეგად გრ. ნათაძე ასკვნის, რომ „უკეთეს წყაროს წარმოადგენს მისი მემუარების პირველი გამოცემა, როგორც უფრო დაახლოებული მის საკუთარ ნაწერებთან და ნაკარნახევთან, როგორც უკვე ნაკლებად გადამუშავებულთან" (502, გვ. 53).

წმინდა მეცნიერული ღირებულების გარდა გრ. ნათაძის გამოკვლევას დიდი შემეცნებითი დატვირთვაც გააჩნდა. იგი, უეჭველად, უღვიძებდა სტუდენტებს ინტერესს ისტორიული წყაროებისადმი და მოახედებდა მათ ისტორიის ამ დამხმარე დისციპლინისაკენ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის მინაწერი, რომელიც გაუკეთებია ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს ლევან

ალექსანდრეს ძე ჩიქოვანს 1940 წლის 1 აპრილს. „წავიკითხე და ძლიერ მომეწონა".

გრ. ნათაძის საინტერესო გამოკვლევაში თითქმის არაფერია ნათქვამი ნაპოლეონის ანდერძზე. ეს მისი მსჯელობის სერიოზული ნაკლია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნაშრომის სათაური არ შეესატყვისება მის შინაარსს. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, ხომ არ აიგივებდა გრ. ნათაძე ერთმანეთთან მემუარებს და ანდერძს? რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ნაპოლეონის ნაწერები არ იყო მემუარები ამ სიტყვის მკაცრი მეცნიერული მნიშვნელობით, რასაც, სხვათა შორის, თვითონ გრ. ნათაძეც აღიარებს, მაგრამ ბოლოს-დაბოლოს მაინც მემუარებს უწოდებს. უფრო მიღებულია სახელწოდება „რჩეული ნაწერები" (327; 89).

ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მეტად მოიგებდა ნაშრომი, რომ ნაპოლეონის მემუარების ანალიზის ფონზე გრ. ნათაძეს გამოეკვეთა საერთოდ მემუარული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, მისი ღირსება-ნაკლოვანებანი. ნაშრომის გასრულება, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა, სწორედ, ამ თემაზე საუბრით. ამიტომ მიგვაჩნია, რომ თავის ნაშრომში გრ. ნათაძემ წერტილი ნაადრევად დასვა.

ამრიგად, სრული საფუძველი გვაქვს გავაცხადოთ, რომ გრ. ნათაძის გამოკვლევები ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული საკვანძო საკითხების მეცნიერული შესწავლის პირველ სერიოზულ მცდელობად გვევლინება. მისი პროფესიული ღირსებები ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მათ მეცნიერულ ღირებულებას ბევრად განსაზღვრავს პირველწყაროების და მდიდარი ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა და ამ მასალებიდან საკუთარი დასკვნების გამოტანა, მაგრამ მათი ერთი ნაწილი, ჩვენი აზრით, საკამათოა. ძნელია ვამტკიცოთ, რომ ნაპოლეონმა უღალატა რევოლუციას. მიუღებლად მიგვაჩნია ისტორიაში პიროვნების როლისადმი გრ. ნათაძის ნიჰილისტური დამოკიდებულება, და ამიტომ იგი ბოლომდე ობიექტური ვერ იყო ნაპოლეონის პიროვნების შეფასებისას.

* * *

გრ. ნათაძე არ დაკმაყოფილდა ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებზე გამოკვლევის დაწერით და თავისი წვლილი შეიტანა ახალი ისტორიის პრობლემებზე დოკუმენტების პუბლიკაციის საქმეში. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის შესახებ ქართულ ენაზე არსებული პირველწყაროების დეფიციტს დღესაც კი მტკივნეულად განიცდის ქართული ისტორიოგრაფია (119). ამიტომ განსაკუთრებით ღირებულად მიგვაჩნია გრ. ნათაძის მიერ პარიზის 1871 წლის კომუნის შესახებ დოკუმენტური მასალის პუბლიკაცია. ეს დოკუმენტების კრებული იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული შენაძენია. თემატიკის შერჩევაც, ვფიქრობთ, სავსებით გამართლებული იყო. სხვა თემატიკაზე წყაროები შეიძლება არც კი გამოექვეყნებინათ, ხოლო პარიზის კომუნაზე დოკუმენტების გამოცემაზე უარს ვერ იტყოდნენ. წმინდა მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად წყაროების ამ პუბლიკაციას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნდა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ იგი სტუდენტებს შეაჩვევდა წყაროებზე დამოუკიდებელ მუშაობას, გამოუმუშავებდა მეცნიერული კვლევა-ძიების საჭირო ჩვევებს აამაღლებდა მათ პროფესიულ დონეს, ხოლო სკოლის მასწავლებელს საშუალებას მისცემდა კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა საშუალო სკოლაში ახალი ისტორიის სწავლება.

წინასიტყვაობა, რა თქმა უნდა, სავსებით შეესატყვისებოდა იმ დროს საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო მოთხოვნებს და დღეს ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია (80, გვ. 2-3). აქ უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ის მაღალი შეფასება, რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია აძლევდა 1871 წლის პარიზის კომუნას, გადაჭარბებულია.

განსაკუთრებით ფასეულია ის დოკუმენტები, რომელიც გრ. ნათაძეს მოსკოვში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მოუპოვებია. ამან, ცხადია, კიდევ უფრო გაამდიდრა მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული, მაგრამ დაწყებული სამუშაო გრ. ნათაძეს გასრულებულად არ მიაჩნია და მისი გაგრძელება პერსპექტიულად ესახება: „ყველა ეს მასალა ერთად ვერ ამოწურავენ პარიზის კომუნის გარშემო აღძრულ პრობლემებს, მაგრამ თვითოეულ მათგანს, უდავოდ, თავისი წვლილი შეაქვს ამ საკითხების გადაწყვეტაში" (80, გვ. 2). შეიძლება ითქვას, რომ გრ. ნათაძის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მათი ერთი ნაწილის გამოყენება ქრესტომათიის შედგენის დროს გამორიცხული არ უნდა იყოს.

* * *

გრ. ნათაძის სახელმძღვანელო „კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2 საფრანგეთის დიდი რევოლუცია" გაცილებით უფრო ვრცელ ისტორიულ პერიოდს მოიცავს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს წიგნის სათაურიდან. გრ. ნათაძე არ დაკმაყოფილდა მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციაზე ვრცელი ინფორმაციის მიწოდებით და საკმაოდ ფართოდ მიმოიხილა მომდევნო პერიოდები: ნაპოლეონის მოღვაწეობა, რესტავრაციის ხანა, 1830 წლის ივლისის რევოლუცია. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით ასეთი გადაწყვეტილება საკამათოა და გარკვეულ შეუსაბამობას წარმოშობს სახელმძღვანელოს სათაურსა და შინაარსს შორის, მაგრამ შემეცნებითი თვალსაზრისით ასეთი ნაბიჯი უფრო გამართლებულად გამოიყურება, რადგან იმ დროისათვის აღნიშნული საკითხების შესახებ ქართულ ენაზე არაფერი მოგვეპოვებოდა. ფაქტობრივად, ეს არის ძალიან კარგად დაწერილი სახელმძღვანელო 1789-1830 წლების საფრანგეთის ისტორიაზე. ამიტომ იქნებ უმჯობესი იქნებოდა სახელმძღვა-

ნელოსათვის სწორედ ასეთი სათაური მიეცა ავტორს? ვინაიდან ნაშრომში განხილულია საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის მოღვაწეობის მომდევნო პერიოდიც, ბურბონთა რესტავრაცია და 1830 წლის რევოლუცია, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა ახალი ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი გრ. ნათაძის შრომების განხილვა ამ სახელმძღვანელოს გარჩევით გაგვესრულებინა.

ჯერ კიდევ ალ. ნამორაძე აღნიშნავდა, რომ გრ. ნათაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა (517. გვ. 374). შეიძლება ვიფიქროთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენდა ჩაფიქრებული სახელმძღვანელოს ერთ ფრაგმენტს.

ბუნებრივია, მაშინვე წამოიჭრება საკითხი, რომელი იყო პირველი თემა. ასეთ „ალოგიკურობას" შეიძლება მოეძებნოს თავისი ახსნა. სავარაუდოა, რომ პირველი თემა უნდა ყოფილიყო ნიდერლანდების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ან ინგლისის რევოლუცია, მაგრამ, როგორც ჩანს, გრ. ნათაძე ძალიან კარგად იცნობდა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის ისტორიას და თავდაპირველად სწორედ ეს ნაშრომი გამოაქვეყნა. საფიქრებელია, რომ მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირში მიიღეს ისტორიის ბოლშევიკური პერიოდიზაცია, რომლის თანახმადაც ახალი ისტორია იწყებოდა XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთის რევოლუციით, გრ. ნათაძე იძულებული იყო ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

შეიძლება ითქვას, რომ 1933 წელი შემოქმედებითი თვალსაზრისით გრ. ნათაძისათვის საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ის წერს ორ სახელმძღვანელოს შუა საუკუნეების ისტორიაში და ახალ ისტორიაში. აქ, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ ორივე სახელმძღვანელო დაწერილია მარქსიზმის ზეწოლის ვითარებაში.

გრ. ნათაძის სახელმძღვანელო ხუთ მონაკვეთად უნდა დავყოთ: 1. ძველი რეჟიმი, 2. საფრანგეთის პირველი რევოლუცია, 3. ნაპოლეონის მოღვაწეობა, 4. ბურბონთა რესტავრაცია, 5. 1830 წლის ივლისის რევოლუცია. თავის მხრივ ეს მონაკვეთები იყოფა ცალკე პატარა პარაგრაფებად, რომლებსაც კონკრეტული თემის განხილვის დროს შევეხებით.

პირველი სერიოზული თემა, რომელსაც თავის სახელმძღვანელოში ეხება გრ. ნათაძე, ბუნებრივია, არის საფრანგეთის დიდი რევოლუცია. გრ. ნათაძის წვლილი ამ პრობლემების შესწავლის საქმეში, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთება თუ მოკლედ გადავავლებთ თვალს იმას, რაც ამ მიმართულებით იყო გაკეთებული მანამდე საქართველოში. საფრანგეთის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის გაცნობიერება ერთ-ერთმა პირველმა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა პუბლიცისტიკამ სცადა (34). სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ 1905-07 წლების რევოლუციამ საქართველოში საფრანგეთის რევოლუციით დაინტერესებას ახალი მძლავრი სტიმული მისცა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამჯერად საფრანგეთის რევოლუციის პერიპეტიები უმთავრესად პოლიტიკურ მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვ. ლორთქიფანიძის ნაშრომი საფრანგეთის რევოლუციაზე, რომელიც მას, როგორც თვითონ აღნიშნავს, უმთავრესად ვილჰელ ბლოსისა და ალფონს ოლარის წიგნების მიხედვით შეუდგენია (64) საინტერესოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის პირველი რევოლუცია მოექცა ქართული მენშევიკების ლიდერის ნოე ჟორდანიას ყურადღების ცენტრში. მან ეს თემა გააშუქა თავის ნარკვევში „საფრანგეთის ისტორია, დიდი რევოლუცია" (96). რა თქმა უნდა, სულაც არ ვამცირებთ ამ შრომების წმინდა შემეცნებით ღირებულებას, მაგრამ მათი ავტორები პროფესიონალი ისტორიკოსები არ ყოფილან და ამიტომ ამ წიგნებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული შესწავლის პრეტენზია არცა ჰქონიათ და ვერც წაუყენებთ. ფაქტობრივად, ქართულ სინამდვილეში პირველი პროფესიონალი ისტორიკოსი, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის მეცნიერულ შესწავლას მოჰკიდა ხელი გრ. ნათაძე აღმოჩნდა.

სავსებით ვეთანხმებით ალ. ნამორაძეს, რომ წიგნის ის მონაკვეთი, რომელიც ეხება „ძველ რეჟიმს" ნაშრომში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესოა (517, გვ. 376) უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძემ, ჩვენი აზრით, არსებითად ზუსტად განსაზღვრა „ძველი რეჟიმის" ქრონოლოგიური ჩარჩოები. აი რას წერდა იგი: „როდესაც „ძველი რეჟიმის" შესახებ გვაქვს საუბარი, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ XVIII საუკუნე, ვინაიდან ამ დროს ჩამოყალიბდა მთელი თავისი სისრულით ის წესწყობილება, რომელიც წინა საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა და მიიღო ის სახე რა სახითაც ვითარდებოდა რევოლუციამდე, როდესაც დაიწყო მისი ნგრევის პროცესი" (79, გვ. 7). აქ გრ. ნათაძე უნდა გულისხმობდეს ლუი XIV მმართველობის დასასრულს და ორი უკანასკნელი ლუის მეფობას. ეს არის ისტორიული მონაკვეთი 1689-1789 წლები. საინტერესოა რას გულისხმობდა „ძველი რეჟიმში" გრ. ნათაძე. იგი, პირველ ყოვლისა, ხედავს ძველისა და ახლის სინთეზს და ამით ხაზს უსვამს, რომ ეს საფრანგეთის ისტორიაში თვისებრივი სიახლე იყო. „ძველი რეჟიმის დახასიათების დროს ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს როგორც მართვის ძველი ფორმები, ისე ახლის ჩასახვა, რათა შემდეგ გამოირკვეს თუ როგორ ხდებოდა დიდი რევოლუციის დროს ძველის გადაგვარება და საფრანგეთის გარკვეულ ახალ სტრუქტურებზე გადასვლა. გრ. ნათაძის პოზიცია ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ზუსტი და მკაფიოა, ვიდრე მოგვიანებით ახალ სტრუქტურაზე გადასვლა" (79, გვ. 7). გრ. ნათაძის პოზიცია ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო მკაფიო და ზუსტია ვიდრე მოგვიანებით პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეხედულებები, რომელიც რევოლუციამდელი საფრანგეთის პოლიტიკურ წყობას ახასიათებდა, როგორც ფეოდალურ-აბსოლუტურ სისტემას.

მისასალმებელია, გრ. ნათაძე თავის ნაშრომს არ იწყებს უშუალოდ რევოლუციის მსვლელობით და ჯე-

როვან ყურადღებას იჩენს მისი წინა პერიოდის მიმართ და ვრცლად მიმოიხილავს „ძველ რეჟიმს" უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი ემყარება პირველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას, რაც მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა.

ყურადღებას იპყრობს ის გეგმა, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობს გრ. ნათაძე „ძველი რეჟიმის" გაშუქების დროს. იგი გამოყოფს შემდეგ თემებს: პატარა შესავალი, გლეხობის მიწათმფლობელობა, მეურნეობის გაუმჯობესების საკითხი, მრეწველობის მდგომარეობა რევოლუციის წინ, ვაჭრობა, ძირითადი კლასები და მათი ინტერესების წინააღმდეგობანი რევოლუციის წინ, ბურჟუაზიის კლასობრივი დაჯგუფება, მუშათა კლასი რევოლუციის წინ. ეს გეგმა სრულყოფილი არაა და გააჩნია ნაკლოვანი მხარეები, რომლის შესახებ მაშინ მოგახსენებთ როდესაც სათანადო საკითხებს განვიხილავთ.

საფრანგეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გლეხობა შეადგენდა. ამიტომ სახელმძღვანელოში განსაკუთრებით დეტალურადაა განხილული აგრარული საკითხი. აღსანიშნავია, რომ ეს თემა მას ყველაზე უფრო ხელეწიფებოდა, ვინაიდან საკითხი საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი უკვე სტუდენტობის დროს გამოჩენილი მეცნიერების ივ. ლუჩიცკის და რ. ვიპერის ხელმძღვანელობით. მან ამ თემაზე მოსკოვის უნივერსიტეტში დაიცვა სადიპლომო ნაშრომი, რომლის დროულად გამოქვეყნება ვერ მოახერხა და მხოლოდ 1922 წელს, მას შემდეგ რაც 1912 წელს გამოვიდა ივ. ლუჩიცკის ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელსაც არსებითად დაემთხვა სადიპლომო ნაშრომში გრ. ნათაძის მიერ მიღებული დასკვნები, მან გამოაქვეყნა შემოკლებული სახით თავისი შრომა ამ პრობლემაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გრ. ნათაძემ ისარგებლა იმ მასალით, რომელიც დაგროვებული ჰქონდა და თავის სახელმძღვანელოში ფართოდ წარმოაჩინა ეს საკითხი.

სახელმძღვანელოში გრ. ნათაძე ეხება შემდეგ პრინციპულ საკითხებს: 1. რა იყო ცენზივა. 2. როგორი იყო ფრანგი გლეხის ყოფა რევოლუციის წინ. 3. მიწის მესაკუთრემ რა სიახლეები შეიტანა მეურნეობაში. რითი განსხვავდებოდა არაპრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი თავისი წინამორბედისაგან, როდესაც ის ხდებოდა მიწის მფლობელი.

გრ. ნათაძე მიმოიხილავს საკითხს გლეხობის მიწისმფლობელობის შესახებ რევოლუციამდელ საფრანგეთში. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის ისტორიოგრაფიაში ჩახედულება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გრ. ნათაძის მსჯელობის ღირებულებას. მიგვაჩნია, რომ იმ ისტორიკოსების ჩამოთვლა, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანა ამ პრობლემების შესწავლის საქმეში ავტორს ტოკვილით უნდა დაეწყო, ვინაიდან, ტოკვილი იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა რევოლუციამდელ საფრანგეთში წვრილი გლეხური მეურნეობის არსებობა, მაგრამ უფრო მეტიც გრ. ნათაძე რატომღაც არც კი მოიხსენიებს ტოკვილს. გრ. ნათაძე შესანიშნავად იცნობს ტოკვილის თხზულებას „ძველი რეჟიმი და რევოლუცია" (79. გვ. 7). ამიტომ, ვფიქრობთ, მას უნებლიეთ გამორჩა ფრანგი ისტორიკოსის დასახელება, რაც ლაფსუს-კალამი შეიძლება იყოს.

„თანამედროვე მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში წარმოებდა კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად იყო გავრცელებული საფრანგეთში წვრილი გლეხური მიწისმფლობელობა რევოლუციის წინ. ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა ძალიან გავრცელებული იყო და მეორე კი პირიქით ამტკიცებდა, რომ თავადაზნაურობა და სამღვდელოება ფლობდა მიწის უდიდეს ნაწილს. პროფ. ლუჩიცკი ოდესღაც აუარებელი ციფრებით ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის სხვადასხვა ოლქებში ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად, ძალიან გავრცელებული იყო წვრილი საკუთრება. მისი აზრით, ზოგიერთ ოლქში საგლეხო მიწების რაოდენობა აღემატებოდა კიდეც დანარჩენი წოდებების ხელში მყოფ საკუთრების რაოდენობას, მაგრამ მას გლეხობის მნიშვნელობის გაზვიადების გამო მოსდიოდა. ნამდვილად კი რა მნიშვნელობა აქვს იმას, ფლობდა თუ არა გლეხობა საკუთრებას, როდესაც სულ ერთია საკუთრებაც ისეთი გაუმართლებელი და მეურნეობის მიერ აუნაზღაურებელი გადასახადებით იყო დაბეგრილი, რომ ეს საკუთრება სრულიადაც არ გავდა საკუთრებას" (79. გვ. 9). რა თქმა უნდა, გრ. ნათაძეს მხედველობაში აქვს გახმაურებული დისკუსია მის მასწავლებელს ივ. ლუჩიცკის და მ. კოვალევსკის შორის. შეიძლება ითქვას, რომ მას კარგად აქვს გაცნობიერებული ის ძირითადი საკითხები, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობდა დავა ამ ორ დიდ ისტორიკოსს შორის: 1. იყო თუ არა რევოლუციამდელ საფრანგეთში წვრილი გლეხური მიწისმფლობელობა, 2. გლეხთა დიფერენციაცია რევოლუციის წინ, 3. იყო თუ არა ცენზივა საკუთრება. (79. გვ. 9).

გრ. ნათაძემ სტუდენტებს გააცნო თუ როგორი იყო საკითხის დაყენება იმ პერიოდის ისტორიულ ლიტერატურაში და რომელი პრობლემები იწვევდა ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას, კამათს, რაც სახელმძღვანელოსათვის საკმარისად მიგვაჩნია.

გრ. ნათაძე მხარს უჭერს ივ. ლუჩიცკის თეზისს, რომლის თანახმადაც რევოლუციის წინ მთელ საფრანგეთში არსებობდა წვრილი გლეხური მიწათმფლობელობა და არ იზიარებს მ. კოვალევსკის თვალსაზრისს, რომელიც ძალზე აახლოებდა ინგლისისა და საფრანგეთის აგრარულ განვითარებას და ხაზს უსვამდა პრივილეგირებული წოდების მსხვილი მიწის საკუთრების გაფართოებას. გრ. ნათაძემ, ვფიქრობთ, კარგად დაინახა თუ რითი იყო გამოწვეული აზრთა ეს სხვადასხვაობა და დამაჯერებლად ახსნა მისი მიზეზები. გრ. ნათაძე მას, პირველ რიგში, წყაროთმცოდნეობის სფეროში ხედავს. თუ ლუჩიცკი დიდ ყურადღებას უთმობდა ხუთპროცენტიან გადასახადების სიას, მისი ოპონენტი პირიქით ძირითადად ეყრდნობოდა საჩივართა რვეულებს, თუმცა ის მ. კოვალევსკის აქ რატომღაც არ-

სად მოიხსენიებს (79, გვ. 17). ე. ლეფევრის, ნ. ლუკინის, ს. სკაჯკინის გამოკვლევებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ ტოკვილ-ლუჩიცკის ეს მოსაზრება, რომ რევოლუციამდე საფრანგეთში არსებობდა წვრილი გლეხური საკუთრება, უფრო ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან. უკვე ა. ტოკვილი შენიშნავდა, რომ „რევოლუციამ კი არ შექმნა წვრილი გლეხური საკუთრება, არამედ გაათავისუფლა ფეოდალური ვალდებულებებისაგან" (397 ა, გვ. 22-23).

რა თქმა უნდა, გრ. ნათაძეს მხედველობიდან არ გამოეპარებოდა, რომ ივ. ლუჩიცკისა და მ. კოვალევსკის შორის აზრთა სხვაობა იყო გლეხთა დიფერენციაციის საკითხშიც, მაგრამ იგი ამ საინტერესო თემას რატომღაც დუმილით უვლის გვერდს. როგორც მეცნიერების უმრავლესობა ფიქრობს ამ შემთხვევაში მ. კოვალევსკი უფრო ახლოს მივიდა რეალობასთან, ვიდრე ი. ლუჩიცკი. რევოლუციამდელ საფრანგეთში გლეხთა დიფერენციაცია გაცილებით შორსაა წასული, ვიდრე ამას ივ. ლუჩიცკი ვარაუდობს (262, თავი II; 265; 246, გვ. 517; 181, გვ. 277; 615, გვ. 101). ვფიქრობთ, ორიოდე სიტყვის თქმა ამ თემაზე ურიგო არ იქნებოდა.

დაბოლოს, ალბათ, ყველაზე უფრო ძნელი საკითხი, რა არის ცენზივა? ბუნებრივია, გრ. ნათაძე გვერდს ვერ აუვლიდა ამ თემას და მისი დამოკიდებულება ცენზივისადმი ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. „იმ შემთხვევაში, როდესაც მემამულეს სალეწო მიწის დამუშავება სურდა, მას გლეხს გადასცემდა, მაგრამ რაკი საკუთრებად შეძენა გლეხს არ შეეძლო, ის ჩინშს ანუ ცენზს უხდიდა. ცენზიტარი გლეხი ე.ი. ცენზის გადამხდელი, თვით გლეხთა შორისაც კი ყველაზე დაბლა მდგომი და უუფლებო იყო. ცენზი წარმოადგენდა სამარადისო რენტას, ისე რომ ეს გლეხი თითქმის სრულიად დამოუკიდებელი იყო ბატონობისაგან. ეს იყო ყმა. მართალია, მას იურიდიულად უფლება ჰქონდა მიწის სხვისთვის გადაცემისა, მაგრამ თუ წინდაწინ ბატონის თანხმობა არ იქნებოდა, ესეც არ შეიძლებოდა" (267, გვ. 28, 58-60).

„რუსული სკოლის" ყურადღების ცენტრში იდგა საკითხი იყო თუ არა ცენზიტარი მესაკუთრე და თუ არ იყო მესაკუთრე მაშინ ხომ არ იყო არენდატორი? ივ. ლუჩიცკი ამტკიცებდა, რომ ცენზიტარი იყო მესაკუთრე (298, გვ. 50-51). ამ საკითხში მას არ ეთანხმება მ. კოვალევსკი. თავდაპირველად ის ფიქრობდა, რომ ცენზივა იყო უბრალო ჩვეულებრივი არენდა, ხოლო შემდგომში იგი იმ აზრს ადგა, რომ ეს იყო მემკვიდრეობითი არენდა (266, გვ. 133-135; 265). დასაწყისში ამ შეხედულებას იზიარებდა ნ. კარეევი, მაგრამ ივ. ლუჩიცკის გამოკვლევების შედეგად ის უფრო ახლოს გაეცნო საქმის ვითარებას (262, II თავი). მეცნიერთა უმრავლესობა (კარე, ს. სკაჯკინი). ძალიან ფრთხილად უფრო იმ აზრისკენ იხრება, რომ ივ. ლუჩიცკი შედარებით ახლოს მივიდა სინამდვილესთან ვიდრე მისი ოპონენტი. ვუწოდოთ „ცენზიტირებს არენდატორები, როგორც ამას მ. კოვალევსკი ჩადიოდა. გადაჭარბებული იქნებოდა თვით ცენზიტარები თავის მიწას, ცენზივას, განიხილავდნენ როგორც საკუთრებას. ცენზიტარი და ცენზივა ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ფორმებია. ცენზივა არ იყო გლეხური საკუთრება ასეთად იგი საფრანგეთის რევოლუციის შედეგად გადაიქცა და სწორედ ეს იყო საფრანგეთის რევოლუციის დამსახურება" (615, გვ. 100-109). გრ. ნათაძე ასკვნის, რომ ცენზივა წარმოადგენდა „სამარადისო რენტას" და ამ საკითხში მ. კოვალევსკის მომხრეთა ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ.

გრ. ნათაძე თავის სახელმძღვანელოში პირველწყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით განიხილავს ფრანგი გლეხის მდგომარეობას რევოლუციის წინ. აი, როგორ ახასიათებდა იგი მათ ყოფას ამ პერიოდში: „გლეხი რჩებოდა გაღატაკებული, მისი ხვალინდელი დღე არ იყო უზრუნველყოფილი, მოკლებული იყო ადამიანურ ცხოვრებას, ჭამა-სმასა და ჩაცმა დახურვის მხრივ და გარდა ამისა მეტისმეტად ბნელი და უკულტურო იყო. ისე, რომ არავითარი ბრძოლის უნარი არ გააჩნდა მას ბუნების ძალების წინააღმდეგ. ამიტომ მოუსავლიანობა ხშირი იყო და მაშინ გლეხი სიცოცხლის სიტკბოებას ვერაფერში ხედავდა მზად იყო ამბოხებისათვის. ეს გარემოება ქმნიდა გლეხობაში ნაყოფიერ ნიადაგს რევოლუციაში მონაწილეობისათვის" (79. გვ. 24-25). უნდა დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც ფრანგი გლეხის რევოლუციონერი განწყობილებების მიზეზს, პირველ ყოვლისა, მის შეჭირვებულ მდგომარეობაში ეძებს.

ფრანგი გლეხის ესოდენ შეჭირვებული ყოფის, ერთ-ერთ სერიოზულ ფაქტორს, გრ. ნათაძე ფეოდალურ ანუ სენიორალურ გადასახადებში ხედავს (79, გვ. 11-16). მართლაც XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ფეოდალური ვალდებულებები მკვეთრად გაიზარდა. დაიწყო „სენიორალური რეაქცია" (429). ამიტომ რევოლუციის წინ სენიორალური რეჟიმის შესუსტებაზე საუბარი, როგორც ამას ტოკვილი ფიქრობდა, დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. და მაინც, გრ. ნათაძის მსჯელობის გაცნობისას ერთი კითხვა, ცოტა ცალმხრივად ხომ არ წარმოჩენილა იგი რევოლუციის წინ ფრანგი გლეხის ყოფას? საქმე ისაა, რომ ამ დროს ფრანგი გლეხობის ერთი ნაწილის მდგომარეობა უმჯობესდება და ამ საკითხისადმი გვერდის ავლა გამუქებულ ვითარებას დაგვიხატავდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარის პ. კროპოტკინის მოსაზრება, რომ „სინამდვილეში სოფელში შეინიშნებოდა ორგვარი მოვლენა, გლეხთა მასების გაღატაკება და ზოგიერთი გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება (247, გვ. 18). აი ეს ასპექტი, ვფიქრობთ, გრ. ნათაძის სახელმძღვანელოში სათანადოდ არაა გაშუქებული.

გრ. ნათაძე თავის წიგნში წამოჭრის ერთ ფრიად აქტუალურ საკითხს, რომლის ირგვლივ ისტორიკოსთა შორის დიდი კამათი იყო. საქმე ეხება რევოლუციამდელი საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში ახალი პროგრესული ტენდენციების შეღწევის პროცესს. თავის დროზე გრ. ნათაძის მასწავლებელი ივ. ლუჩიცკი უგულვებელყოფდა სოფლის

მეურნეობაში კაპიტალისტური განვითარების ელემენტების შეღწევას (298). მისმა მთავარმა ოპონენტმა მ. კოვალევსკიმ დამაჯერებლად ცხადყო, რომ XVIII საუკუნის მიწურულს ფრანგულ სოფელში სიახლეები თანდათან, ნელ-ნელა იკვლევს გზას, თუმცა, შესაძლოა, იგი ცოტათი აკარბებდეს მის მნიშვნელობას და ადგილს საფრანგეთის აგრარულ განვითარებაში. იგი ძალიან აახლოებდა, თითქმის აიგივებდა საფრანგეთის და ინგლისის აგრარულ ყოფას (266, გვ. 175, 194-195). ვფიქრობთ, გრ. ნათაძეს კარგად აქვს გაცხადებული ის შემაფერხებელი გარემოებები, რომელიც თან მოჰყვა სოფლის მეურნეობაში ახალ ძვრებს: „ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზია მიწას ყიდულობდა და ამასთან არც ისე იშვიათი იყო, მაგრამ ის მიწას ყიდულობდა უმეტეს შემთხვევაში არა იმისათვის, რომ შიგ კაპიტალი ჩაეყარა და გაუმჯობესებული მეურნეობა შემოეღო, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ მიწები დაენაწილებინა, იჯარით გაეცა და აეღო მიწის მუშისაგან იმგვარივე გადასახადი, როგორსაც თავადაზნაურობა იღებდა და მიწა ისევ გაეყიდა დიდის მოგებით". (79, გვ. 23-24). მაგრამ მხოლოდ ამის აღნიშვნა საკმარისი არა და მივიღებთ გამუქებულ სურათს, რომელსაც საკითხის ნეგატიურ შეფასებამდე მივყავართ. რეალური სინამდვილე კი უნდა ვაღიაროთ, ამის საფუძველს ნაკლებად იძლევა. მიუხედავად რიგი შემაფერხებელი გარემოებებისა საფრანგეთის სოფლის მეურნეობა მაინც აღმავალი ხაზით ვითარდება. როგორც თანამედროვეები აღნიშნავდნენ ინგლისელებს თვალს ჭრიდა ჩრდილო-აღმოსავლეთის აყვავებული, უხვმოსავლიანი მიწები, რაც ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ახალი პროგრესული ტენდენციების შეღწევის ლოგიკური შედეგი იყო. როგორც დამაჯერებლად უჩვენა მ. კოვალევსკიმ ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებამ მძლავრი სტიმული მისცა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას. მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოში სათანადოდ არაა ხაზგასმული კონკრეტულად რით გამოიხატა მეურნეობის გაუმჯობესება XVIII საუკუნის მიწურულს (79, გვ. 22-25).

გრ. ნათაძე ჩერდება მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებაზე რევოლუციამდელ საფრანგეთში. ხაზგასმულია, რომ განვითარებულია ვაჭრობა და მრეწველობა, მაგრამ წარმოება ძლიერ არის რეგლამენტირებული სახელმწიფოს მიერ, რაც მას უქმნის დიდ სიძნელეებს, თუნდაც ექსპორტის მხრივ. ეს კი წარმოშობს საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის უარყოფით სალტოს, აქედან იღებს სათავეს ვაჭართა და ხელოსანთა უკმაყოფილება სახელმწიფოთი (79, გვ. 25-32 და 32-40).

გრ. ნათაძის სახელმძღვანელოში ხომ არ შეიმჩნევა რევოლუციამდელი საფრანგეთის კაპიტალისტური განვითარების ტენდენციების შეუფასებლობა, რაც, შესაძლოა, „რუსული სკოლის" გავლენის შედეგი იყო. რევოლუციამდელი საფრანგეთის კაპიტალისტური განვითარების შეუფასებლობის შესახებ ჯერ კიდევ ვ. დალინი გვაფრთხილებდა (220). რუსი მოგზაური დ. ფონვიზინი, რომელიც რევოლუციის წინ ეწვია საფრანგეთს აღნიშნავდა: „თუ მე საფრანგეთში რამე ვნახე აყვავებულ მდგომარეობაში ეს, ცხადია, იყო მათი ფაბრიკები და მანუფაქტურები". ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ინგლისელი მოგზაური არტურ იუნგი, რომელიც ესტუმრა საფრანგეთს შედარებით მოგვიანებით 1787-1790 წლებში.

საეჭვოა, რომ თითქოს „საფრანგეთის ვაჭრობა რევოლუციამდე უკეთესად იყოს გამოკვლეული, ვიდრე მრეწველობა" (79, გვ. 32). ორივე ეს თემა საკმაოდაა დამუშავებული ანრი ოზეს, ანრი სეს, ალბერ მატიეზის, ჟან ჟორესის შრომებში.

საფრანგეთის ვაჭრობისა და წარმოების შემაფერხებელი მიზეზების განხილვისას გრ. ნათაძე გვერდს უვლის ერთ სერიოზულ ფაქტორს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ 1685 წელს ნანტის ედიქტის გაუქმებას თან მოყვა საფრანგეთიდან კაპიტალის გადინება უცხოეთში, რამაც, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ვაჭრობასა და მრეწველობაზე. ქვეყანა დატოვა მაღალკვალიფიცირებული, პროფესიონალი ვაჭრებისა და ხელოსნების ფართო კონტინგენტმა.

პრაქტიკულად ეს არის მარქსისტული სქემა და ამ ფონზე, გრ. ნათაძე სტუდენტებს ძალიან კარგად აცნობს ძველი რეჟიმის საფრანგეთის ყოფა-ცხოვრებას. ჩვენი აზრით უფრო ადეკვატური სურათის მისაღებად მიზანშეწონილი იქნებოდა XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობისა და რევოლუციამდელი საფრანგეთის პოლიტიკური ისტორიის განხილვა. ამ ორი თემის გარჩევის გარეშე გრ. ნათაძის გეგმა არასრულყოფილად მიგვაჩნია. განმანათლებლებს უდიდესი წვლილი მოუძღვით რევოლუციის იდეურ მომზადებაში. საფრანგეთის პოლიტიკურ ისტორიაში კარგად ჩანს ფრანგული აბსოლუტიზმის კრიზისი. გაიხსენეთ ლუი XV სიტყვები „ჩემს მერე თუნდაც წარღვნა ყოფილაო". ასეთი უპასუხისმგებლობა ფრანგ ერს ძალიან ძვირად დაუჯდა. საკითხისადმი ასეთი ცალმხრივ მიდგომა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და მასში, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური მატერიალიზმის გავლენის ლოგიკურ შედეგს ვხედავთ.

თუ ახლა განვაზოგადებთ ამ სქემას, აქ საკმაოდ მკაფიოდ არის ნაჩვენები ძველი რეჟიმის პირობებში რადიკალური გარდაქმნების აუცილებლობა ცხოვრების ყველა სფეროში. ეს რადიკალური გარდაქმნები შეიძლება გატარებულიყო ორი გზით: რეფორმებით ან რევოლუციით. ტიურგოს და ნეკერის რეფორმებზე უარის თქმის ალტერნატივა რევოლუცია იყო.

„ძველი რეჟიმის" განხილვის შემდეგ გრ. ნათაძე, ბუნებრივია, გადადის საფრანგეთის რევოლუციაზე. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თვალი გადაეყოლოს იმ გეგმას, რომლის, მიხედვითაც უნდა გაშალოს გრ. ნათაძემ მსჯელობა საფრანგეთის რევოლუციაზე. პირველ რიგში იგი გამოყოფს ერთ მთავარ თემას მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობას, სადაც ეხება შემდეგ საკითხებს: საპარლამენტო ბრძოლა, ბასტილიის აღება, კლუბები და

პარტიები, დამფუძნებელი კრების სოციალური კანონმდებლობა, მუშათა საკითხი დამფუძნებელ კრებაში, ბურჟუაზიის პოლიტიკური კანონმდებლობა, კონტრრევოლუციის ცდები, საკანონმდებლო კრება, რევოლუციური ომების დასაწყისი, აგრარული კანონმდებლობა საკანონმდებლო კრებაში, 10 აგვისტოს რევოლუცია. მეორე მთავარ თემად ის გამოყოფს წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურას, სადაც ეხება შემდეგ საკითხებს: ნაციონალური კონვენტი, ჟირონდელების და მონტანიარების ბრძოლა, 31 მაისის და 2 ივნისის რევოლუციები, 1793 წლის კონსტიტუცია, გარეშე საშიშროება, დიქტატურის ორგანიზაცია, პირველი გამარჯვებები ევროპის კოალიციაზე, იაკობელების სოციალური და ეკონომიკური კანონმდებლობა, გააფთრებულთა ანუ „ცოფიანთა პარტია", დანტონი და დანტონელები, რობესპიერი, მარატი, ბრძოლა იაკობელთა პარტიის შიგნით, მე-9 თერმიდორი, კონვენტი მე-9 თერმიდორის შემდეგ, დირექტორიის ხანა, ბაბუვიზმი, წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურის მნიშვნელობა, 9 თერმიდორის შეფასება.

საფრანგეთის რევოლუციის განხილვისათვის ზუსტად იმდენი ადგილის დათმობა, რამდენიც აქვს მიძღვნილი ძველ რეჟიმს, ვფიქრობთ, ცოტა უხერხული უნდა იყოს. სახელმძღვანელოში „ძველი რეჟიმი" ფაქტობრივად გვეელინება, როგორც საფრანგეთის რევოლუციის წინაისტორია, შესავალი და ქმნის ისტორიულ ფონს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მას და მთავარ თემას არ შეიძლება ნაშრომში თანაბარი გვერდები დაეთმოს. ეს სახელმძღვანელოს ერთერთი ნაკლია.

ძველი რეჟიმის ბოლო წლებში სულ უფრო ძალუმად იგრძნობა მოახლოვებული რევოლუციის მაჯისცემა. საფრანგეთის საზოგადოებაში სულ უფრო მკაფიოდ გაისმის პროტესტის ხმები. ამიტომ მთავრობამ მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით რეფორმების გატარება გადაწყვიტა. წიგნში მოკლედ არის საუბარი ტიურგოსა და ნეკერის რეფორმებზე, ახსნილია მათი წარუმატებლობის მიზეზები (79, გვ. 70-72). არისტოკრატიას არ სურს დათმოს თავისი პრივილეგიები. ამიტომ მათი რისხვა, პირველ ყოვლისა, რეფორმატორ მინისტრებს დაატყდათ თავს (240, გვ. 43-76, 408). რეფორმების წარუმატებლობის ალტერნატივა რევოლუცია იყო. ამ რთულ ვითარებაში მთავრობას კვლავ გაახსენდა გენერალური შტატები, რომელიც აგერ უკვე 175 წელია აღარ მოუწვევია. გადაწყდა მისი მოწვევა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძე რატომღაც კონკრეტულად არ ასახელებდა გენერალური შტატების გახსნის თარიღის 1789 წლის 5 მაისს. შემთხვევითი არ იყო, რომ მესამე წოდება დიდ ყურადღებას აქცევდა მანდატების შემოწმების დროს კენჭის ყრის ჩატარების პროცედურას. გრ. ნათაძემ დამაჯერებლად ახსნა თუ რით იყო გამოწვეული ამ საკითხის სიმწვავე. „ბურჟუაზიული დეპუტატები კარგად ხედავდნენ, რომ მათი უპირატესობა მაღალი წოდების წინაშე გენერალურ შტატებში მათ რიცხობრივ უპირატესობაში მდგომარეობს და თუ ხმის ჩამოტარება, ისევ წოდებრივი იქნებოდა, ბურჟუაზია ყოველთვის უმცირესობაში დარჩებოდა, რადგან პირველი ორი წოდება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ყოველთვის შეთანხმებულად გამოვა. ამიტომ ბურჟუაზიის დეპუტატებმა გადაწყვიტეს, საქმიანი მუშაობისათვის ხელი არ მოეკიდათ მანამ, სანამ არ გადაწყდებოდა პიროვნული ხმის ჩამოტარება" (79, გვ. 73-74). სახელმძღვანელოში საინტერესოდ არის მოთხრობილი რევოლუციის მსვლელობა გენერალური შტატების მოწვევიდან ბასტილიის აღებამდე (79, გვ. 75-78). გრ. ნათაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე მესამე წოდების წარმატებები განპირობებული იყო, არა ბურჟუაზიის მარჯვე ტაქტიკით, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებდა, (მინიე, ტიერი, ოლარი, კარეევი), არამედ მესამე წოდების კონსოლიდაციით, ერთიანი ანტიაბსოლუტისტური ფრონტის არსებობით.

როდის დაიწყო რევოლუცია? ეს არის საკმაოდ რთული და ძნელი საკითხი, რომელიც თანამედროვეებსა და ისტორიკოსებს შორის სერიოზულ კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ეტყობა გრ. ნათაძე უფრო იმ აზრისაა, რომ საფრანგეთის რევოლუციის დაწყების თარიღად უნდა მივიჩნიოთ გენერალური შტატების მოწვევა. ამ აზრს აქვს მოქალაქეობის უფლება და ჰყავს თავისი მომხრეები. (ოლარი, ტარლე). სხვები რევოლუციის დაწყების თარიღად ასახელებენ 1789 წლის 14 ივლისს, ბასტილიის აღებას. ეს თარიღი რევოლუციის პოპულარული ისტორიის გადმოცემისას სავსებით მისაღებია. ნ. ეფიმოვის მოსაზრებით რევოლუციის მეცნიერული ისტორია შეიძლება დავიწყოთ ორმაგი თარიღით ეროვნული კრების გამოცხადებიდან 1789 წლის 17 ივნისი, ბასტილიის აღებამდე 14 ივლის. (626, გვ. 285-286). ალბათ, მაინც ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა რევოლუცია დავიწყოთ გენერალური შტატების მოწვევით.

ნაშრომში საუბარია ბასტილიის აღებაზე, გაკვრით არის ნახსენები გამოძახილი პროვინციებში ანუ მუნიციპალურ რევოლუცია, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმ ფართო რეზონანსზე, რომელიც წილად ხვდა მას საფრანგეთის საზღვრების გარეთ. ფრიდრიხ შილერის მეგობარი თვითონაც პოეტი ქალი კაროლინა ფონ ვოლცოგენი (ქალიშვილობაში ბეილივიცი) აღნიშნავდა: „ჩვენ ხშირად ვიგონებდით შემდგომში იმას თუ ამ ფაქტმა (ე.ი. ბასტილიის დაცემამ - მ.კ.) როგორ შეძრა ევროპა და შეაღწია თვითოეული ჩვენთაგანის სულში" (448, გვ. 175). ცნობილია, რომ მხატვარმა ადამ ხოდოვეცკიმ ამომავალი მზის სხივზე გამოხატა ბასტილიის ნანგრევები (484, გვ. 263).

რევოლუციამ გამოიწვია პოლიტიკური კლუბებისა და პარტიების წარმოქმნა. წიგნში მოკლედ არის საუბარი ამ თემაზე. მირაბოსა და ბარნავის პოლიტიკურ შეხედულებებს შორის განსხვავებაზე საუბარი უხერხული უნდა იყოს (311 გვ. 425). მათ პოლიტიკურ მრწამსს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს, ამიტომ მათი დაპირისპირება უადგილოა. ორივე არის კონსტიტუციონა-

ლისტთა პარტიის ბრწყინვალე წარმომადგენელი. შემთხვევითი არ იყო, რომ მირაბოს გარდაცვალების შემდეგ (1791 წლის 2 აპრილი.) სწორედ ბარნავი მოგვევლინა კონსტიტუციონალისტების პარტიის ახალი ლიდერის როლში, რაც ნათლად წარმოჩინდა ვარენის კრიზისის დღეებში. ძნელი სათქმელია, თითქოს „მირაბო იყო ზომიერი კონსტიტუციონალისტი, ხოლო ბარნავი უკიდურესი კონსტიტუციონალისტი" (79, გვ. 82-83). ის გულგრილი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს გრ. ნათაძე მირაბოს, ლაფაიეტის და ბარნავის მოღვაწეობისადმი სავსებით გასაგებია და შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ მასში, პირველ ყოვლისა, მისი პოლიტიკური წარსულის გამოძახილი შეიძლება დავინახოთ, რომელიც ამ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება გაბატონებული ბოლშევიკურ – ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიას.

დამფუძნებელი კრების სოციალური კანონმდებლობიდან, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს 4-11 აგვისტოს დეკრეტები, რომელიც ცნობილია „სასწაულების ღამის" სახელით. ეს იყო პირველი სერიოზული ნაბიჯი აგრარული საკითხის გადაწყვეტის გზაზე. ნ. კარეევის თქმით „4 აგვისტოს სხდომები იყო გლეხთა აჯანყებების ბუნებრივი შედეგი" (262, გვ. 406). ამ საკითხში ის არსებითად იმავე თვალსაზრისს ავითარებს, რომელიც გატარებული აქვს ჯერ კიდევ 1922 წლის გამოქვეყნებულ თავის გამოკვლევაში „რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი აგრარული კანონმდებლობისა". კანონმდებლობის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა პირადი ვალდებულებები, რომელიც აქა-იქ შემორჩა, ხოლო რეალური ვალდებულებები, რომელიც მთავარი იყო, გამოსასყიდად გამოცხადდა (79, გვ. 26-88).

სახელმძღვანელოში მხოლოდ გაკვრით, ძალიან მკრთალადაა გაშუქებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია", ისე რომ მისი მიღების თარიღიც კი არაა აღნიშნული 1789 წლის 26 აგვისტო. შესაძლოა, ასეთი გულგრილი დამოკიდებულება განპირობებული იყო კონიუნქტურული მოტივებით. საბჭოთა კავშირი თავად მიიჩნევდა თავის თავს დემოკრატიის ციტადელად და მანამდის მომხდარ ყველა დემოკრატიულ ღონისძიებას ალმაცერად უყურებდა, ცდილობდა მისი ისტორიული მნიშვნელობის დაკნინებას. კერძო საკუთრების პრინციპის დაცვის გამო დეკლარაციის აუგად მოხსენიება უმართებულო იქნებოდა და სულაც არ ამცირებს მის ისტორიულ მნიშვნელობას. ის იცავდა გლეხობისა და ბურჟუაზიის საკუთრებას ძველი რეჟიმის ხელყოფისაგან, რაც უდავოდ, პროგრესული იყო (79, გვ. 86; 471).

გაუმართლებლად ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი 1791 წლის კონსტიტუციას, თუმცა, მისასალმებელია, რომ ამჯერად თარიღი მითითებულია (70, გვ. 91-93).

ამის შემდეგ ავტორი ეხება დამფუძნებელი კრების მიერ მუშათა საკითხის გადაწყვეტას და ბუნებრივია, რომ გრ. ნათაძე ფართოდ მიმოიხილავს ლე შაპელიეს კანონს, მაგრამ მისი მიღების თარიღს, 1791 წლის 14 ივნისი, არ მიუთითებს (79, გვ. 88-80).

1789 წლის 5-6 ოქტომბერის ამბების ვარენის კრიზისთან და მარსის მოედანზე დახვრეტასთან ერთად განხილვა უხერხული ჩანს. 5-6 ოქტომბრის მოვლენების კონტრრევოლუციის ცდებთან ერთად გაშუქება უმართებულო იქნებოდა. მას კონტრრევოლუციურ გადატრიალებათა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ. პარიზელებმა ამ დღეს ჩაშალეს ვერსალში მეფის ირგვლივ თავმოყრილი კონტრრევოლუციონერების გეგმები და მონარქი დედაქალაქში დააბრუნეს (79, გვ. 93-95).

ის გულგრილი დამოკიდებულება დამფუძნებელი კრების მოღვაწეობისა, რომელიც გვხდება გრ. ნათაძის წიგნში შემთხვევითი არ უნდა იყოს და, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით უნდა ავხსნათ: როგორც ჩანს, უფრო რადიკალურად განწყობილ გრ. ნათაძეს ისინი ლიბერალურად მიაჩნდა და ცხადია, ნაკლებად თანაუგრძნობდა. ან, შეიძლება, ის ხარკს უხდის გაბატონებულ ბოლშევიკურ-მარქსისტულ იდეოლოგიას და დამფუძნებელი კრების მოღვაწეობას ნეგატიურად აფასებს, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. რევოლუციის პირველ წლებში დამფუძნებელი კრების მიერ გატარებული სოციალური და პოლიტიკური რეფორმების ისტორიული მნიშვნელობის დაკნინება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და მნიშვნელოვანწილად საბჭოთა ისტორიოგრაფიის „იაკობინოცენტრისტული" მისწრაფებით იყო განპირობებული. სავსებით ვეთანხმებით ა. ადოს, რომ „1789-1791 წლებში დამფუძნებელმა კრებამ შეძლო განეხორციელებინა იმ პერიოდისათვის უნიკალური გარდაქმნები. სწორედ ამ პერიოდში ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის აბსოლუტიზმის ნაცვლად ყალიბდება ახალი სახელმწიფო" (536, გვ. 23).

1791 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა საკანონმდებლო კრება, რომლის მოღვაწეობასაც შეეხება გრ. ნათაძის წიგნის შემდეგი მონაკვეთი. ამ საკითხზე საუბრისას ზოგიერთ ფაქტობრივ უზუსტობას ვაწყდებით. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ პურზე მტკიცე ფასების მოთხოვნას, რომელსაც მხარს უჭერდნენ „ცოფიანები" ადგილი ჰქონდა, არა საკანონმდებლო კრების დროს, არამედ კონვენტის მოწვევის შემდეგ 1792-93 წლების ზამთარში, როდესაც ხელისუფლების სათავეში ჟირონდისტები მოვიდნენ. ვანდეაში აჯანყება დაიწყო არა საკანონმდებლო კრების დროს, არამედ გაცილებით უფრო გვიან 1793 წლის მარტში(559) ფეიანების შესახებ იმის თქმა, რომ როიალისტები იყვნენ, გამართლებული არ იქნებოდა (79, გვ. 98; 410; 309).

მთავარი საკითხი რომელიც 1791-92 წლის ზამთარში იდგა საკანონმდებლო კრების წინაშე იყო, არა პურზე მტკიცე ფასების დაწესება, არამედ ომის საკითხი. ამ თემაზე გრ. ნათაძე მოკლედ ჩერდება. საუბარია ომისადმი ცალკეული პარტიების დამოკიდებულებაზე და ახსნილია მათ მიერ დაკავებული პოზიციის მიზეზები. (79, გვ. 99-101; 482, გვ. 117-125). 1792 წლის 20 აპრილს

რევოლუციურმა საფრანგეთმა ომი გამოუცხადა ევროპას. მართალია, ომი გამოაცხადა საფრანგეთმა, მაგრამ ფრანგი ხალხი არ იყო აგრესორი და იგი იცავდა თავის სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვარს (482). ალბათ, საფრანგეთის რევოლუცია არ გასცდებოდა კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებს რომ არა საგარეო პოლიტიკური გართულებები, ომის დაწყება. რევოლუციის შემდგომი გაღრმავების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ.

საკანონმდებლო კრება, ცხადია, დიდ ყურადღებას უთმობდა აგრარულ საკითხს. ამ სფეროში მისი მოღვაწეობის მკაცრი შეფასება, რომელიც გვხვდება გრ. ნათაძის სახელმძღვანელოში, მთლად მართებული არ უნდა იყოს და ფრიად ნიშანდობლივია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. საფიქრებელია, რომ აღნიშნული საკითხის თანდათანობით, ნელ-ნელა გადაწყვეტაში საკანონმდებლო კრებას სწორი კურსი ჰქონდა აღებული. 1792 წლის აგვისტოს აგრარული დეკრეტები ამის ნათელი ილუსტრაციაა, მაგრამ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შემდეგ, მას უბრალოდ არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე (4ა. 483, გვ.). საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობისადმი გრ. ნათაძის გულგრილი დამოკიდებულება შესაძლოა იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი რატომღაც გვერდს უვლის 1792 წლის აგვისტოს დეკრეტებს. მართალია, იგი 10 აგვისტოს გადატრიალების შემდეგ მიიღეს, მაგრამ საკანონმდებლო კრების აქტივში უნდა შევიტანოთ.

გრ. ნათაძე მოკლედ მიმოიხილავს 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებას და მის გამომწვევ მიზეზებს. ალბათ, უფრო უპრიანი იქნება მას ვუწოდოთ არა 1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუცია, რაც, სხვათა შორის, მეტად გავრცელებული იყო ომამდელ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, არამედ 10 აგვისტოს გადატრიალება. ის იყო საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და არა ცალკე რევოლუცია (79, გვ. 101-106). ამის შემდეგ გრ. ნათაძე ჩერდება სექტემბრის მკვლელობებზე ციხეში. მის ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ გრ. ნათაძე, ეტყობა, დანტონს თვლის. დანტონის თაყვანისმცემელი ისტორიკოსების (ჟ. მიშლე ა. ოლარი) მისწრაფება გაამართლონ თავიანთი გმირის მოქმედება საფუძველს მოკლებულია, მაგრამ გრ. ნათაძე არაფერს ამბობს ჟ. პ. მარატის პასუხისმგებლობაზე სექტემბრის ამბებში, რომელიც, როგორც წყაროებიდან ჩანს, მისი ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი იყო. გრ. ნათაძის მიერ სექტემბრის მკვლელობის გამართლება შეიძლება იყოს განპირობებული მისი ესერული წარსულით და ტოტალიტარულ – ბოლშევიკური იდეოლოგიის ზეწოლით(79. გვ. 105).

დაბოლოს, გრ. ნათაძე მოკლედ ეხება რევოლუციური არმიის პირველ წარმატებებს ვალმისთან 1792 წლის 20 სექტემბრის და ჟემაპთან 1792 წლის 6 ოქტომბერს, თუმცა არცერთ შემთხვევაში კონკრეტულ თარიღს არ მიუთითებს. აქ გრ. ნათაძეს ერთი უზუსტობა მოსდის. მართალია, ჟემაპთან ბრძოლაში ფრანგების სარდალი დემურიე იყო, მაგრამ ვალმისთან არა (79, გვ. 105). ამით ფაქტობრივად სრულდება სახელმძღვანელოს ერთი დიდი მონაკვეთი რომელსაც ეწოდება „მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობა" და იწყება მეორე „წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურა".

უპირველეს ყოვლისა, გრ. ნათაძე სახელმძღვანელოში ეხება ეროვნული კონვენტის მოწვევას და უთითებს მის კონკრეტულ თარიღს 1792 წლის 21 სექტემბერი. კარგად წარმოაჩენს კონვენტში არსებულ ძალთა განლაგებას და ხაზს უსვამს, რომ 1792-93 წლის შემოდგომა-ზამთარში ჟირონდისტებსა და მონტანიარებს შორის კამათი უმთავრესად მიმდინარეობდა ორი პრინციპული საკითხის გამო: მეფის ბედი და პროდუქტებზე მტკიცე ფასების დაწესება (79, გვ. 106-111).

მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოში ჟირონდისტების პარტიას ნაკლები ყურადღება ექცევა და მათი მოღვაწეობა მეტად ფრაგმენტულადაა გაშუქებული, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ გრ. ნათაძე მათზე არცთუ მაღალი აზრის ჩანდა. ჟირონდისტებისადმი ასეთი ცივი დამოკიდებულება მეტად დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის და საკამათოა (79 გვ. 106-111).

ალბათ, უმჯობესია ვთქვათ 1793 წლის 31 მაისი-2 ივნისის გადატრიალება და არა რევოლუცია (79, გვ. 106-111).

გრ. ნათაძე, ცხადია, ვრცლად ჩერდება იაკობინთა დიქტატურის პერიოდზე. იგი იაკობინელთა დიქტატურაში, როგორც ეს მაშინ მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ხედავს წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურას. 60-იანი წლების მიწურულიდან დისკუსიამ იაკობინთა დიქტატურის გარშემო ახალი ძალით იჩინა თავი. მის მსვლელობაში გამოკვეთა ორი თვალსაზრისი. ა. მანფრედს მიაჩნია, რომ იაკობინთა დიქტატურა იყო კავშირი, ბლოკი თვლიდა, რომ საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის, ქალაქის პლებსის და გლეხობის კავშირი იყო (576; 534). ლენინგრადელი ისტორიკოსის ვ. რევუნენკოვის აზრით, ეს იყო ბურჟუაზიის დიქტატურა (356; 606; 626). მსგავს შეხედულებას ავითარებს ა. სობული და ჟ. რიუდ[illegible] (375; [illegible]). მიგვაჩნია, რომ 80-იანი წლების მიწურულს საფ[illegible] რევოლუციის 200 წლისთავთან დაკავშირებით დისკუსია თვისებრივად ახალ ფაზაში შევიდა. უკვე აღარ იგრძნობა ის „იაკობინოცენტრისტული" განწყობილება, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა სკოლისათვის. გამოითქვა იაკობინთა დიქტატურის შესახებ საინტერესო მოსაზრებები. (631; 633).

გრ. ნათაძე სვამს უაღრესად მწვავე და აქტუალურ საკითხს, როგორიც იყო იაკობინელთა დიქტატურის სოციალური ბაზა, დასაყრდენი. ამ რთულ საკითხზე გრ. ნათაძის პასუხი სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდში საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების მაგისტრალურ ხაზს. იგი იაკობინთა მთავარ საყრდენად წვრილ ბურჟუაზიას მიიჩნევდა და ხაზს უსვამს, რომ „იაკობინელთა დიქტატურას ჰქონდა წმინდა წვრილი-ბურჟუაზიული კლასობრივი ხასიათი" (79; გვ. 116). საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი ასე კატეგორიულად

გადაწყვეტა საკამათოა. ისტორიკოსთა შორის ეს თემა აზრთა სხვაობას იწვევს (79, გვ. 117-120).

გრ. ნათაძე საგანგებოდ ეხება იაკობინთა სოციალურ და ეკონომიკურ კანონმდებლობას. ამ საკითხების განხილვა, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით. რევოლუციამ ჯერ აგრარული საკითხი გამოარკვია 1793 წლის ზაფხულში და შემდეგ 1793 წლის შემოდგომაზე კი მუშების. გრ. ნათაძე 1793 წლის 29 სექტემბერის მეორე მაქსიმუმის კანონს დადებით შეფასებას აძლევს, ხოლო მუშათა ხელფასის მინიმუმის დაწესებას უმთავრესად უარყოფითად აღიქვამს, და მასში მუშათა ინტერესების შებღალვას ხედავს. აღსანიშნავია, რომ მუშებისადმი ასეთ პოლიტიკას გრ. ნათაძე იაკობინთა ერთ-ერთ შეცდომად მიიჩნევს.

იაკობინთა აგრარული კანონმდებლობისადმი გრ. ნათაძე კრიტიკულადაა განწყობილი და ხაზს უსვამს, რომ ამ კანონებით ყველაზე მოგებული დარჩა ბურჟუაზია და მდიდარი გლეხობა, ხოლო უღარიბესი გლეხობა მშრალზე დასვეს. ვფიქრობთ დამაჯერებლად არაა ახსნილი იაკობინთა დიქტატურისადმი გლეხების უკმაყოფილების მოტივები. ეს არ იყო მხოლოდ აგრარული საკითხის გადაწყვეტით გამოწვეული გულგატეხილობა და მას სხვა უფრო სერიოზული მოტივაცია გააჩნია (79, გვ. 120). გლეხობას, რა თქმა უნდა, სურდა სრულად ესარგებლა რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მონაპოვარით, მაგრამ იაკობინთა დიქტატურის დროს არსებული მკაცრი პოლიტიკა ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. (292). მათი უკმაყოფილების ძირითადი მიზეზიც, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ.

1793 წლის ზაფხულში იაკობინთა მეორე სერიოზული წარმატება კონსტიტუციის მიღებაა. გრ. ნათაძე საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს 1793 წლის კონსტიტუციას და დასძენს: „ეს კონსტიტუცია ძალაში არასოდეს არ შესულა. კონვენტმა შეაჩერა მისი მოქმედება დროებით, ვინაიდან შინაური კონტრრევოლუციის გაძლიერების და საგარეო საფრთხის მოახლოვების გამო, ძალთა კონცენტრაცია და დიქტატორული მართვა-გამგეობა იყო საჭირო და ეს კონსტიტუცია კი ამას ხელს არ შეუწყობდა"(79 გვ. 112).

1793 წლის შემოდგომაზე რევოლუციური საფრანგეთი ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, ემუქრებოდა შინაგანი კონტრრევოლუციის, ხოლო მეორე მხრივ, ინტერვენციის საფრთხე. საფრანგეთის წინაშე ყოფნა არყოფნის საკითხი იდგა. გ. ნათაძე იაკობინთა დიქტატურის დამყარების მთავარ მიზეზს, სწორედ, ამ რთულ ვითარებაში ხედავს. სახელმძღვანელოში სათანადოდ არაა გაშუქებული რევოლუციური არმიის ტრიუმფალური წარმატებები ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ საინტერესო თემას მეტად მცირე, სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი, რაც საკმარისად არ მიგვაჩნია და ეს ძუნწი ინფორმაცია სათანადო წარმოდგენას არ უქმნის სტუდენტებს ფრანგი ხალხის თავდადებისა და გმირულ ბრძოლაზე (79; გვ. 116; 51; 313; 222; 294).

როდესაც გრ. ნათაძე განიხილავს იაკობინთა დიქტატურის ორგანიზაციას იგი რატომღაც დუმილით უვლის გვერდს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა 1793 წლის 19 ვანდემიერის (10 ოქტომბრის) კანონს, როდესაც ფაქტობრივად მოხდა იაკობინთა დიქტატურის იურიდიული გაფორმება (79, გვ. 114, 625).

ის მცირე ინფორმაცია, რომელიც წიგნში გვხვდება მემარცხენე პარტიების შესახებ მისასალმებელია და შემეცნებით დატვირთვას იძენს. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძე სათანადოდ არ უსვამს ხაზს იმ პრინციპულ განსხვავებას, რომელიც „ცოფიანებს" ებერიტისტებს და მემარცხენე იაკობინებს შორის არსებობდა (79, გვ. 122-123; 239). ამ მემარცხენე პოლიტიკური პარტიებისადმი გრ. ნათაძის კეთილგანწყობილება შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და ვვარაუდობთ, რომ ეს პარტიები ყველაზე უფრო კარგად პასუხობენ მის პოლიტიკურ იდეალებს. ევროპული ისტორიოგრაფია ამ პარტიების მოღვაწეობას გაცილებით უფრო თავშეკავებულად და, შესაძლოა, ობიექტურადაც ეკიდება. ამ მონაკვეთის გაცნობის დროს გიჩნდება ერთი სურვილი, ალბათ, კარგი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო საფრანგეთის რევოლუციის დროინდელ პარიზის კომუნაზე (239; 357).

მისასალმებელი უნდა იყოს, რომ გრ. ნათაძე საგანგებოდ ჩერდება იაკობინთა პარტიის ლიდერებზე: დანტონზე, რობესპიერზე, მარატზე, რაც ფაქტობრივად, ქართულ სინამდვილეში, მათი მოღვაწეობის მეცნიერული შეფასების პირველი სერიოზული მცდელობაა. აქცენტების დასმა იაკობინელთა ტრიუმვირატს შიგნით მარატი რობესპიერისა და დანტონის პიროვნებაზე, მეტად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა სკოლისათვის. ადგილების ასეთი გადანაწილება ღრმად სუბიექტური და ტენდენციური იყო და საკუთრივ კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ უახლესმა რუსულმა ისტორიოგრაფიამ ეს შეხედულება გადასინჯა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ნ. მოლჩანოვის წიგნი, „მონტანიარები" სადაც ეს საკითხი სულ სხვაგვარად და, მე ვიტყოდი უფრო ობიექტურადაა გადაწყვეტილი. აქ აღარ იგრძნობა რობესპიერისა და განსაკუთრებით მარატის დამსახურების მნიშვნელობის უსაშველოდ გაზვიადება და წინ არის წამოწეული დანტონის ფიგურა. იგრძნობა მისდამი უფრო თბილი და რეალისტური მიდგომა (321).

დანტონის შეფასების საკითხში გამოჩენილ ფრანგ ისტორიკოსთან ალბერ მატიეზთან პოლემიკა გრ. ნათაძის მსჯელობის ღირებულ მხარედ მიგვაჩნია. მატიეზმა თავის წიგნში „ახალ დანტონზე" (314) სასტიკად გაილაშქრა დანტონის კულტის წინააღმდეგ, რომელიც ლიბერალური ისტორიოგრაფიის კლასიკოსმა ალფონს ოლარმა შექმნა (337; გვ. 516-517 და 521). მატიეზმა ოდნავ შორს შესტოპა. პოლიტიკურმა ტენდენციამ დაჩრდილა პირუთვნელი ისტორიკოსი და პიროვნება, რომელმაც რევოლუციის ისტორიაში ობიექტურად დადებითი როლი შეასრულა, არარაობად წარმოაჩინა. რა თქმა უნდა, სავსებით ვეთანხმებით გრ.ნათაძეს, როდესაც იგი არ იზიარებს მატიეზის შეხედულებას თითქოს დანტონი იყო მეფის მიერ

მოსყიდული, ხოლო შემდეგ კი პიტის აგენტი (79, გვ.124; 487).

აღსანიშნავია, რომ დანტონის მოღვაწეობისადმი გრ. ნათაძის დამოკიდებულება უფრო პროგრესულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკასთან შედარებით, რომელიც დანტონის საქმიანობას ცოტათი შელამაზებული სახით უხატავდა ქართულ საზოგადოებას (464; 34, გვ. 44) გრ. ნათაძე მიუთითებდა, რომ დანტონის პოლიტიკა იყო კომპრომისული და შემრიგებელური, და ამის გამო განვსაჯოთ დანტონი, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ჩადიოდა, გამართლებული არ იქნებოდა. დანტონს უყვარდა თქმა „განა ჩვენს შორის კინკლაობას შეუძლია თუნდაც ერთი პრუსიელი მოკლას" მისი აზრით, „ის რაც აფრთხობთ მრავალთ ეს არის ჩვენი პრინციპების სიმკაცრე" დანტონის პოლიტიკაში დასაგმობი არაფერია. მას სურდა ზავის დადება და ტერორის შემსუბუქება, როგორც ე. ჩერნიაკი ფიქრობს, დანტონის პოლიტიკა რევოლუციის დასკვნით ეტაპზე გაცილებით უფრო რეალისტური იყო, ვიდრე აქამდე ეგონათ (631). სუბიექტურია გრ. ნათაძე მაშინ, როდესაც დანტონს მარატსა და რობესპიერზე დაბლა აყენებს, საკითხის ასეთი გადაწყვეტის მიზეზები ერთი მხრივ, გრ. ნათაძის მსოფლმხედველობაში შეიძლება ვეძიოთ, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირში შექმნილ პოლიტიკურ ატმოსფეროში.

გრ. ნათაძის მიერ რობესპიერისა და განსაკუთრებით მარატის მოღვაწეობის მაღალი შეფასება ტრადიციული იყო იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის და გადაჭარბებულია (296; 411; 486).

გრ. ნათაძე ძალიან მოკლედ ჩერდება 1793-1794 წლების ზამთარში იაკობინთა ბლოკს შიგნით მომხდარ განხეთქილებაზე. აღნიშნულია, რომ რობესპიერის მთავრობის ოპოზიციას მარცხნიდან წარმოადგენდნენ „გააფთრებულნი" ან უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ ებერტისტები. სწორედ, მათ უნდა გულისხმობდეს გრ. ნათაძე, ვინაიდან ამ დროისათვის „ცოფიანები" ანუ როგორც ის უწოდებს „გააფთრებულები" რეპრესირებულნი იყვნენ, ხოლო მარჯვნიდან ოპოზიციას სათავეში დანტინისტები ედგნენ (79; გვ. 127-128).

იაკობინელთა დიქტატურას წერტილი დაუსვა 9 თერმიდორის გადატრიალებამ. გრ. ნათაძე ცდილობს ახსნას რობესპიერისტების დაცემის მიზეზები. „ცხადია, რომ დამარცხების მიზეზი ის იყო, რომ ხალხის მასებმა რობესპიერს საკმაოდ არ დაუჭირეს მხარი, რადგან უკვე რობესპიერის სოციალ-ეკონომიკური გეგმები და პოლიტიკა მას არ აკმაყოფილებდა" (79 გვ. 132; 486). ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის სახელმძღვანელოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციის განსაზღვრის მცდელობა. ეს არის რთული და საკმაოდ თავსატეხი საკითხი, რომელიც ისტორიკოსთა შორის ყოველთვის ცხარე კამათს იწვევდა. საბჭოთა ისტორიოგრაფია, საფრანგეთის რევოლუციას 1794 წლის 9 თერმიდორის გადატრიალებით ასრულებდა. 9 თერმიდორის გადატრიალებით რევოლუციის გასრულება ნაადრევი უნდა იყოს. სავსებით ვეთანხმებით გრ. ნათაძეს, რომ „9 თერმიდორიდან (27 ივლისიდან) რევოლუცია უკან დაექანა" (79 გვ. 132; 486). უნდა ვიფიქროთ, რომ გრ. ნათაძე თერმიდორიანულ კონვენტს და დირექტორიას განიხილავს, როგორც რევოლუციის დასკვნით ფაზას. ზოგიერთი ისტორიკოსი (მინიე, სორელი) ნაპოლეონის ეპოქასაც რევოლუციის ხანად მიიჩნევს და საფრანგეთის რევოლუციას ათარიღებს 1789-1814 წლებით. შესაძლოა, ასეთი პერიოდიზაცია ცოტათი გაჭიმული იყოს, მაგრამ მას მოქალაქეობის უფლებას ვერ წავართმევთ და გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი ჩანს, ვიდრე ეს დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეგონა. ზოგიერთი ისტორიკოსი (ოლარი, სანიაკი) იმპერაის რევოლუციის ხანად არ მიიჩნევს და საფრანგეთის რევოლუციას ათარიღებს 1789-1804 წლებით. არც ასეთი პერიოდიზაციაა მთლად უგულვებელსაყოფი, თუმცა არსებობს კიდევ სხვა თვალსაზრისიც, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დასრულებას შესაძლებლად მიიჩნევს 1799 წლის 18 ბრიუმერის გადატრიალებით. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ გრ. ნათაძეც, რომელიც, როგორც ჩანს, 18 ბრიუმერის გადატრიალებას აღიქვამს, როგორც რევოლუციის დასასრულს. 1799 წლის 13 დეკემბრის დეკლარაციაში ჩაწერილი ფრაზები „რევოლუცია დასრულებულია" ლიტონი სიტყვები არ იყო. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს საფრანგეთის რევოლუციასა და ნაპოლეონის ეპოქას შორის გენეტიკურ კავშირს. ნაპოლეონის მოღვაწეობა საფრანგეთის რევოლუციის გაგრძელებაა, მაგრამ თუ საფრანგეთის რევოლუცია იყო „პროგრესის ბარბაროსული ფორმა", ნაპოლეონის პერიოდზე ამას ვერ ვიტყვით. თუ შეიძლება ასე ითქვას, აქ პროგრესმა უკვე ცივილიზებული სახე მიიღო. ნაპოლეონის ეპოქა საფრანგეთის რევოლუციის გაგრძელებაა, როდესაც ძველის ნგრევის პროცესს ცვლის ახლის შენება, ნაპოლეონმა რევოლუციის იდეები მთელს ევროპაში გაავრცელა. „ნაპოლეონი წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ევგეოსის თავლებს". ამ თვალსაზრისით 18 ბრიუმერის გადატრიალება, პირობით ყველაზე უფრო მისაღებ მიჯნად გვესახება. ამრიგად, შეიძლება დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც საფრანგეთის რევოლუციის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს განსაზღვრავს ათი წლით 1789-1799 წლებით.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გრ. ნათაძის შეხედულება საფრანგეთის რევოლუციის შიდა პერიოდიზაციის შესახებ. ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ მიგვაჩნია ის პრინციპი, გეგმა, რომლის მიხედვითაც მას აგებული აქვს სახელმძღვანელოში საფრანგეთის რევოლუცია. იგი თავის წიგნში მკაფიოდ, მკვეთრად გამოყოფს ორ მონაკვეთს: 1. მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობა 1789-1792 წლები. 2. წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურა, თუმცა დირექტორიის მიკუთვნება წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურისადმი ძალზედ საკამათო უნდა იყოს, ისე როგორც ერთ ჭერქვეშ ვერ მოთავსდებიან იაკობინები და თერ-

მიდორიანელები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ორ მონაკვეთს შორის მიჯნად გრ. ნათაძეს მიაჩნია არა 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ ეროვნული კონვენტის მოწვევა 1792 წლის 21 სექტემბერს (79, გვ. 106).

რევოლუციის დასკვნით ეტაპს გრ. ნათაძე ორ მონაკვეთად ყოფს: თერმიდორიანული კონვენტი (1794 წლის 9 თერმიდარიდან 1795 წლის 26 ოქტომბრამდე) და დირექტორია 1795 წლის 26 ოქტომბერი -1799 წლის 18 ბრიუმერი.

სახელმძღვანელოში მეტად მოკლედ არის მსჯელობა თერმიდორული კონვენტის პირველ ღონისძიებებზე, მუშათა უკმაყოფილებაზე. აქ, ცხადია, გრ. ნათაძე გულისხმობს მუშათა გამოსვლებს 1795 წლის ჟერმინალსა (აპრილი) და პრერიალში (მაისი), (387) როიალისტების გამოსვლას 1795 წლის 13 ვანდემეიერს, (258) რომელიც ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტმა სასტიკად ჩააზრო, თუმცა კონკრეტულ თარიღებს არცერთ შემთხვევაში არ უთითებს, რაც სასურველი იყო (79, გვ. 132-133). მოკლედ ჩერდება 1795 წლის კონსტიტუციაზე (79, გვ. 132-133) აქვე, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო საფრანგეთის საგარეო პოლიტიკურ წარმატებებზე. 1795 წლის 5 აპრილს პრუსიასთან ბაზელში დადებული ზავი საფრანგეთის დიპლომატიის დიდი მიღწევა იყო და ფაქტობრივად პირველი კოალიციის დაშლას მოასწავებდა (626).

დირექტორიაზე საუბარს გრ. ნათაძე იწყებს ბაბეფის მოძღვრების განხილვით, რაც იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის სავსებით ბუნებრივი იყო. ბაბეფის მოძღვრების მაღალი შეფასება საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი იყო და გადაჭარბებულია. (217; 426; 521). ამიტომ სავსებით მართლზომიერია, რომ ბოლო ხანებში თავი იჩინა ბაბეფის შეხედულებებისადმი კრიტიკულმა, რეალისტურმა მიდგომამ. ბაბეფის მსოფლმხედველობის განდიდება ერთ-ერთი სტერეოტიპია, რომელსაც მტკიცედ ნერგავდა ბოლშევიკური იდეოლოგია. აღსანიშნავია, რომ გათანაბრება უკიდურესი სიღატაკის დონეზე, რასაც ითვალისწინებდა ბაბუვიზმი, განაპირობებს, არა პროგრესს, არამედ რეგრესს, სტაგნაციას და იყო ყაზარმული კომუნიზმის წინამორბედი (583, გვ. 15).

დირექტორიის საგარეო პოლიტიკის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა, ვფიქრობთ, შინაარსობრივად კიდევ გაამდიდრებდა ნაშრომს და ამიტომ ამ საკითხის გვერდის ავლა გაუმართლებლად მიგვაჩნია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ინფორმაცია, რომელსაც სახელმძღვანელოში სტუდენტებს აწვდის გრ. ნათაძე დირექტორის შესახებ მწირია და ეს მონაკვეთი მეტად ფერმკრთალად გამოიყურება.

თერმიდორიანული კონვენტისა და დირექტორიის საქმიანობას საბჭოთა ისტორიოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში ამუქებდა, რასაც, როგორც ჩანს, ვერც გრ. ნათაძემ აუარა გვერდი, თუმცა უახლეს გამოკვლევებში განსხვავებული თვალსაზრისია გატარებული და უფრო ოპტიმისტური შეფასება იგრძნობა (79, გვ. 134-13.).

ის ადგილი, რომელსაც სახელმძღვანელოში მიუჩენს გრ. ნათაძე წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურის და 9 თერმიდორის გადატრიალებას, საკამათოდ მიგვაჩნია (79 გვ. 137-140). ეს არის უკვე დასმული საკითხის გამეორება და ის განხილული უნდა ყოფილიყო იქ სადაც საუბარია 9 თერმიდორის გადატრიალებაზე (79, გვ. 129-132). დირექტორიის განხილვის შემდეგ საფრანგეთის რევოლუციაზე საუბრის ამ თემაზე გასრულება მეტად უხერხული ჩანს. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა საფრანგეთის რევოლუციაზე მსჯელობა გრ. ნათაძეს დაესრულებინა იმით, რომ მკვეთრად, მკაფიოდ გამოეკვეთა, თუ რატომ იყო 18 ბრიუმერის გადატრიალება რევოლუციის დასასრული.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მოგვცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაბმული, უწყვეტი, თხრობა, რომელიც ემყარება პირველწყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და მათ ანალიზს. არსებითად ეს იყო ქართულ სინამდვილეში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული შესწავლის პირველი სერიოზული მცდელობა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ იგი იძულებულია მოგვცეს ამ პრობლემების მარქსისტული ინტერპრეტაცია. ეს გასაგებიცაა. იმ დროს სხვაგვარად ვერც მოვთხოვდით ავტორს.

* * *

შემდეგი სერიოზული თემა, რომელიც გვხვდება გრ. ნათაძის სახელმძღვანელოში ნაპოლეონის ცხოვრება და მოღვაწეობაა. ამ საკითხის შესახებ ქართულ ენაზე იმ დროისათვის თითქმის არაფერი იყო დაწერილი და გრ. ნათაძის მისწრაფება მიაწოდოს ამ რთული და საინტერესო პიროვნების შესახებ ქართველ მკითხველს მცირე ინფორმაცია, უდავოდ, მისასალმებელია. წიგნის ამ მონაკვეთის მეცნიერულ ღირებულებას, უპირველეს ყოვლისა მისი შემეცნებითი მნიშვნელობა განსაზღვრავს.

საინტერესოა თვალი გადავავლოთ ამ მონაკვეთის გეგმას: იგი პირველ რიგში გამოყოფს მთავარ პრობლემას „კონსულობა და იმპერია", სადაც განიხილავს შემდეგ თემებს: შესავალი, ნაპოლეონ ბონაპარტის ვინაობა, 18 ბრიუმერი, VIII წლის კონსტიტუცია და კონსულობის პერიოდი, საგარეო პოლიტიკა და პირველი ომები კონსულობის ხანაში, საგარეო პოლიტიკა და ომები იმპერატორების დროს, კონტინენტური ბლოკადა, ნაპოლეონ I-ის შინაური პოლიტიკა, სამღვდელოებასთან შეთანხმება და კოდექსი, ხალხის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი, ნაპოლეონის პოლიტიკის გავლენა უცხო სახელმწიფოებზე, ნაპოლეონის დაბრუნება.

ნაპოლეონი დაიბადა 1769 წლის 15 აგვისტოს კორ-

სიკაზე, აიაჩოში, ცოტათი უცნაურ ვითარებაში. ლეტიციას უეცრად დაეწყო მშობიარობა და ახალშობილი დედის საშოდან პირდაპირ იატაკზე აღმოჩნდა. ვფიქრობთ, ნაპოლეონის მშობლებზე მცირე ინფორმაცია იმ პერიოდის ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა ყოფილიყო. მამა იყო კარლო ბონაპარტი, დედა ლეტიცია რამოლინო. როგორც შვეიცარიელი ისტორიკოსი ვ.კირჰაიზენი აღნიშნავს რამოლინოები გენუის მომხრეები იყვნენ და ამიტომ არ უნდოდათ თავიანთი შვილი მიეთხოვებინათ პაოლისტ კარლო ბონაპარტისათვის, მაგრამ ქორწინებას ამან მაინც ვერ შეუშალა ხელი. 1764 წლის 2 ივლისს მათ ჯვარი დაიწერეს. ნაპოლეონის მამა კარლო ბონაპარტი ადვოკატი იყო. ნაპოლეონი სრულიად ჰაბუკი იყო, როდესაც მამა დაკარგა. კარლო ბონაპარტი გარდაიცვალა 1685 წლის 24 თებერვალს კუჰის კიბოთი, ხოლო ლეტიციამ კიდევ დიდხანს იცოცხლა და მოესწრო თავისი ვაჟის როგორც აღზევებას, ისე დაბლა დაშვებას. სხვათა შორის, ნაპოლეონი ძალიან მაღალი აზრის იყო დედაზე და ასე აფასებდა მას: „მამაკაცის თავი დედაკაცის ტანზე".

ნაპოლეონი ამბობდა: „მე დავიბადე მაშინ როდესაც სამშობლო იღუპებოდა". ალბათ, წიგნში ამ თემის წინ წამოწევა ურიგო არ იქნებოდა და კარგი იყო მასზე ორიოდე სიტყვა თქმულიყო. 1755 წელს კორსიკელები პაოლის მეთაურობით აჯანყდნენ გენუის წინააღმდეგ და განდევნეს ისინი, მაგრამ მათი თავისუფლება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და 14 წელი გასტანა. 1768 წელს გენუამ თავისი ფიქტიური „უფლებები" კორსიკაზე საფრანგეთს მიჰყიდა. პატარა კორსიკა კვლავ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ალში გაეხვია. კორსიკელთა გმირული ბრძოლა აცვიფრებდა თანამედროვეებს. ჟან ჟაკ რუსო შენიშავდა „ეს პატარა კუნძული გააოცებს მსოფლიოს". საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1769 წლის მაისში პონტე-ნოვისთან დამარცხების შემდეგ ფეხმძიმე ლეტიცია კინაღამ დაიღუპა. მდინარეზე გადასვლის დროს მის ცხენს ფეხი დაუსხლტა და ქალი წყალმა წაიღო, მაგრამ იგი არ დაიბნა და გადარჩა. ამ პარაგრაფის სათაურად უმჯობესი ხომ არ იქნებოდა არა ნაპოლეონის ვინაობა, არამედ ნაპოლეონ ბონაპარტის ჰაბუკობა და პირველი წარმატებები? ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატურად ასახავს მის შინაარსს.

ალბათ, აქ აუცილებელი იყო ორიოდე სიტყვა თქმულიყო ბრიენის სასწავლებელში და პარიზის სამხედრო სკოლაში ნაპოლეონის სწავლის პერიოდზე. მით უმეტეს, რომ იგი, როგორც ბიოგრაფების უმრავლესობა აღნიშნავს, ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფე იყო.

გრ. ნათაძე ხაზს უსვამს ნაპოლეონის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე ჟ.ჟ. რუსოს გავლენას და აღნიშნავს, რომ ნაპოლეონმა თავისი შესაძლებლობები სცადა ლიტერატურაში. „მაგრამ მწერლობაში ვერავითარი ნიჭი ვერ გამოიჩინა მისი ნაწერებისათვის არავის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია" (79 გვ. 173). ასეთი ნეგატიური შეფასება შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ეს თემა იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ დამუშავებული. უახლესი გამოკვლევები ცხადყოფენ რომ ის არა მარტო კარგად იყო ჩახედული პოლიტიკურ და სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, არამედ თვითონაც არ გახლდათ ურიგო მწერალი.

სახელმძღვანელოში მოკლედ არის საუბარი ნაპოლეონის მოღვაწეობაზე კორსიკაში. ვ. სიროტკინის და მ. სტროინოვას თქმით: „ ნაპოლეონისათვის კორსიკა იყო პოლიტიკური ბრძოლის პოლიგონი".

1789 წელს დაწყებულმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა ახალგაზრდა ლეიტენანტის ცხოვრება. როგორ შეხვდა ნაპოლეონი რევოლუციის დაწყებას? გრ. ნათაძე დუმილით უვლის გვერდს ამ საინტერესო საკითხს, რაც გამართლებულად არ მიგვაჩნია. ძალზედ მოკლედ უნდა თქმულიყო, რომ ნაპოლეონი მიემხრო რევოლუციას. ჟაკ ბენვილის ცდა უგულებელყოს საფრანგეთის რევოლუციის დაწყებით გამოწვეული ნაპოლეონის ენთუზიაზმი წყაროებში სათანადო ასახვას ვერ პოულობს. ნაპოლეონი მიესალმა რევოლუციას. მას ძველი რეჟიმის დროს როგორც არაკეთილშობილი წარმოშობის ოფიცერს დაწინაურების არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა. რევოლუციამ გაუქმა ის კანონი, რომელიც აბრკოლებდა ნიჭიერი ოფიცრების დაწინაურებას, ამიტომ გაუმართლებელია ლეი მადლენის ცდა ერთმანეთს დაუპირისპიროს ნაპოლეონი და რევოლუცია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონის მხურვალე სანკულოტად წარმოჩენა, რაც იგრძნობა ა. მანფრედის საინტერესო წიგნში ნაპოლეონზე, გადაჭარბებული უნდა იყოს.

ამჯერად, სახელმძღვანელოში გრ. ნათაძე ჩერდება ტულონის აღებაზე 1793 წლის 17-19 დეკემბერს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ კონკრეტული თარიღი მითითებული არა აქვს. „როგორც მხედართმთავარმა, მან პირველად თავი გამოიჩინა ტულონის აღების დროს. ტულონი ინგლისელებმა დაიჭირეს და ნაპოლეონმა მარტივი და გენიალური სამხედრო მანევრის საშუალებით განდევნა იქიდან ინგლისელები" (79, გვ. 144). ტულონის არსი ზუსტად განსაზღვრა ლ. ტოლსტოიმ: „ეს იყო პირველი ნაბიჯი დიდებისაკენ". 1794 წლის 24 იანვარს ახალგაზრდა კაპიტანს ნაპოლეონ ბონაპარტს გენერლის ჩინი მიენიჭა. დიდება ხანმოკლე აღმოჩნდა. 9 თერმიდორის გადატრიალების შემდეგ ბედის ჩარხი კვლავ უკუღმა დატრიალდა და ასე განსაჯეთ ცოტა ხნით ციხეშიც კი აღმოჩნდა, რასაც თანამედროვეები და ისტორიკოსები, მათ შორის გრ. ნათაძეც, რობესპიერთან დაახლოებას უკავშირებენ. „9 თერმიდორის შემდეგ ნაპოლეონი დააპატიმრეს როგორც რობესპიერის მომხრე" (79, გვ. 144) — დასძენდა გრ. ნათაძე.

გრ. ნათაძე ეხება ნაპოლეონის მიერ 1795 წლის 13 ვანდემიერის აჯანყების ჩახშობას, მაგრამ კვლავ არ მიუთითებს ზუსტ თარიღს. არავითარ ყოყმანს მოვალეობასა და გრძნობას შორის, როგორც ეს მიაჩნია ფრანგ ისტორიკოსს ანრი დესტრის, ამ დღეს ნაპოლეონი არ განი-

ცდიდა. ემილ ტერსანის მსგავსად ძნელია ვამტკიცოთ თითქოს „ნაპოლეონი 13 ვანდემეიერის დღეებში იყო რევოლუციონერი და იაკობინი“ ამ დროისათვის ეს უკვე განვლილი ეტაპი იყო (310, გვ. 124).

თუ ტულონის აღებამ და 13 ვანდემეიერის როიალისტური აჯანყების ჩახშობამ ნაპოლეონს მთელს საფრანგეთში გაუთქვა სახელი, იტალიაში, ლაშქრობის შემდეგ იგი მთელს ევროპაში გახდა ცნობილი. ამიტომ ამ თემისადმი სულ რამდენიმე სტრიქონის მიძღვნა საკმარისად არ მიგვაჩნია (79, გვ. 145). ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ცალკე ყოფილიყო გამოყოფილი „ნაპოლეონის ლაშქრობა იტალიასა და ეგვიპტეში“. ეს სახელმძღვანელოს კიდევ უფრო საინტერესოს გახდიდა.

ლაურა დაბრანტესის თქმით „ნაპოლეონმა შეასრულა დირექტორიის ციხის გუშაგის როლი“. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერ სორელი შენიშნავდა, რომ „დირექტორია ისევე უჩუმრად ჩამოვიდა სცენიდან, როგორც ავიდა“. სახელმძღვანელოში ფართოდ არის განხილული 18 ბრიუმერის გადატრიალება და კარგად ჩანს, რომ ის ამ საკითხს საკმაოდ საფუძვლიანად იცნობს და ღრმადაა ჩახედული, რაც ალბერ ვანდალის წიგნის „ბონაპარტის აღზევების“ დამსახურებაა. შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოს ეს ნაწილი ემყარება გრ. ნათაძის გამოკვლევას „ნაპოლეონ I დაწინაურების მიზეზი“ ბოლო ნაწილს (70 გვ. 145-153). ამით არსებითად სრულდება ნაპოლეონის მოღვაწეობის ერთი პერიოდი, რომელსაც ალბერ ვანდალმა „ბონაპარტის აღზევება“ უწოდა.

ვფიქრობთ, სახელმძღვანელოში ძალიან კარგად არის განხილული რესპუბლიკის VIII წლის კონსტიტუცია და ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ იგი მოასწავებდა საფრანგეთის რევოლუციის დასასრულს. საფრანგეთში დამყარდა ახალი წესწყობილება (79 გვ. 153-155). ამ მონაკვეთის დასასრულს გრ. ნათაძე ეხება ნაპოლეონის არჩევას „სამარადჟამოთ კონსულად“. 1802 წლის 4 აგვისტოს (79, გვ. 155). ალბერ სორელის თქმით „პირველი კონსული ძალიან მალე იქცა ერთადერთად“ თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ალბერ სობული ფიქრობს, რომ აქ იყო მნიშვნელოვანი ტეხილი პირველი რესპუბლიკის ისტორიაში და იგი შეიძლება მის აღსასრულად მივიჩნიოთ (376).

ამის მერე გრ. ნათაძე ეხება ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკას კონსულობის პერიოდში 1799-1804 წლები. თავდაპირველად ივი განიხილავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც ინგლის-საფრანგეთს შორის არსებობდა. ჩერდება მის გამომწვევ მიზეზებზე. პირველ რიგში ის ხაზს უსვამს, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის მეტოქეობას საფუძვლად ედო ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე არსებობდა (79, გვ. 83-75). მეორე მხრივ, ინგლისს დიდ საფრთხეს უქმნის საფრანგეთის მიერ კონტინენტური ევროპის დამორჩილება, ვინაიდან ის კარგავდა თავისი პროდუქციის გასაღების ბაზარს. ინგლისის მმართველ წრეებს ეშინოდათ რევოლუციის ბრიტანეთის კუნძულებზე და ამიტომ საფრანგეთის რევოლუციის მიმართ მკვეთრად გამოკვეთილი მტრული პოზიცია დაიკავეს (79, გვ. 156-157; 481).

ნაპოლეონმა თავის ძმასთან ჟოზეფთან საუბარში პირდაპირ განაცხადა: „გამარჯვება მომცემს საშუალებას როგორც ბატონმა განვახორციელო ყველაფერი ის რაც მე მსურს“. მან უპირველეს ყოვლისა, მიზნად დაისახა მეორე კოალიციის რიგებიდან ავსტრიის გამოყვანა, რომელიც კონტინენტზე ინგლისის მარჯვენა ხელი იყო და სწორედ მისი საშუალებით ახორციელებდა ინგლისი თავის ტრადიციულ „სხვისი ხელით ნარის გლეჯის“ პოლიტიკას. მან გადაწყვიტა კვლავ გაედევნა ავსტრიელები იტალიიდან, რომელიც 1799 წელს სუვოროვის ლაშქრობის შემდეგ ფრანგებმა დაკარგეს. ძალიან ცოტაა ნათქვამი მარენგოს ბრძოლის შესახებ და ასე განსაჯეთ მისი თარიღიც კი არაა მითითებული. ალბათ, კარგი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ამ ბრძოლაში დეზეს გმირობაზე (79, გვ. 157). დამარცხების შემდეგ ავსტრიამ 1801 წლის 9 თებერვალს ლუნევილში ზავი დადო საფრანგეთთან და გამოვიდა მეორე კოალიციის რიგებიდან. ინგლისი მარტო დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ „ცბიერმა ალბიონმა“ გადაწყვიტა დაზავებოდა. ასე დაიდო ზავი 1802 წლის 27 მარტს ამიენში თუ ლივენველის ზავის თარიღს გრ. ნათაძე არ ასახელებს, ამიენის ზავის თარიღი ზუსტადაა მითითებული. ამ მონაკვეთის დასასრულს გრ. ნათაძე ეხება კიდევ ერთ სერიოზულ საკითხს. ეს არის კანონი რეცისების შესახებ 1803 წელს, რომელიც წარმოადგენდა მორიგ სერიოზულ ნაბიჯს გერმანიის გაერთიანების გზაზე. ვფიქრობთ, სასურველი იყო უფრო მკაფიოდ ყოფილიყო ხაზგასმული ამ აქტის პროგრესული მნიშვნელობა (79, გვ. 158).

გრ. ნათაძის მიერ შედგენილი გეგმა, ვფიქრობთ, მცირე კორექტივების შეტანას, დახვეწას შეიძლება საჭიროებდეს. ხომ არ აჯობებდა ავტორს ჯერ კონსულობის ეპოქის შესახებ საუბარი გაესრულებინა და აქვე განეხილ. ნაპოლეონის საშინაო პოლიტიკა ამ პერიოდში. მასალის ასეთი კომპაქტური მეთოდით დალაგება უფრო კარგი იყო. ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში დაცული იქნებოდა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა და მეორეც, მკითხველი ამ მეთოდით დალაგებულ მასალას გაცილებით ადვილად აითვისებდა და ყურადღება არ გაეფანტებოდა. ნაშრომში ნაპოლეონის კორონაცია 1804 წლის 2 დეკემბერს როგორღაც მიფუჩეჩებული, მიჩქმალულია და მიგვაჩნია, რომ სათანადოდ არაა ხაზგასმული მისი ისტორიული მნიშვნელობა. ეს იყო ნაპოლეონის ბიოგრაფიაში, უდავოდ, უმნიშვნელოვანესი მიჯნა, რომლისადმიც უგულისყურო დამოკიდებულება გაუმართლებელია. ვალტერ სკოტის თქმით „ნაპოლეონმა კრომველის გზა ამჯობინა ვაშინგტონისას“

იმპერიის საგარეო პოლიტიკის განხილვის დროს გრ. ნათაძე ეხება მის ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებებს 1805-1807 წლებში, მაგრამ გულის ტკივილით უნდა ვთქვათ, რომ იგი არსად არ უთითებს თარიღებს. ამის აღნიშვნა სახელმძღვანელოში აუცილებელია. ასე მივუახ-

ლოვდით ერთ საინტერესო საკითხს, რომლის გარშემო ისტორიკოსთა შორის კამათი და დავა არსებობს. როდის მიაღწია ნაპოლეონმა თავისი დიდების ზენიტს, მწვერვალს, აპოგეას. ზოგიერთი ისტორიკოსი (ლ. მადლენი, ა. სორელი, ე. ტარლე, ა. ტრაჩევსკი, ნ. კარეევი, მ. პეტროვი) ფიქრობს, რომ ნაპოლეონმა თავისი დიდების მწვერვალს მიაღწია 1807-1810 წლებში. პროფ. დ. ცისკარიშვილი გამოთქვამს მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ნაპოლეონის დიდების ხანა შეიძლება იყო კონსულობის პერიოდი – 1799-1804 წლები (129, გვ. 158-160). საინტერესოა რას ფიქრობდა ამ საკითხზე გრ. ნათაძე. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, გრ. ნათაძე შეიძლება უფრო იმ აზრისაკენ იხრებოდეს, რომ ნაპოლეონმა თავისი ძლიერების უმაღლეს წერტილს სწორედ 1805-1807 წლებში მიაღწია. გენერალ გურგოს შეკითხვაზე, თუ როდის იმყოფებოდა თავისი ძლიერების მწვერვალზე ნაპოლეონი ცოტა ხანს დაფიქრდა და უპასუხა: „ტილზიტში". მსგავს აზრს გამოთქვამდნენ თანამედროვეები. ჰორტენზია ბოჰარნე ფიქრობდა, რომ „ტილზიტმა დაამყარა სიმშვიდე და ბედნიერება. ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ ყველა მიზნები მიღწეულია." ლაურა დაბრანტესის თქმით „არასოდეს ნაპოლეონის ავტორიტეტი და პრესტიჟი არ ყოფილა ისეთი როგორც ტილზიტის შემდეგ".

სახელმძღვანელოში კარგადაა განხილული კონტინენტური ბლოკადა და ნაპოლეონის ეკონომიკური პოლიტიკა. უნდა დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც ნაპოლეონს ეკონომიკურ პოლიტიკაში პროტექციონიზმის მომხრედ წარმოაჩენს (79, გვ. 160-164; 388; 241).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოში მეტად ზოგადად, საერთო ხაზებშია განხილული ნაპოლეონის პოლიტიკა 1807-1812 წლებში, რაც ამ თემაზე სტუდენტებს ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეუქმნიდა. მასში მოთავსებული კონკრეტული მასალა, ვფიქრობთ, არ შეესატყვისება ქვეთავის დასათაურებას და, ჩვენი აზრით, წიგნის ყველაზე უფრო სუსტი მონაკვეთია. ამ თემისადმი გვერდის ავლა სრულიად გაუმართლებელია და სწორედ ამ პერიოდში იჩინა თავი ნაპოლეონის იმპერიის კრიზისის პირველმა სიმპტომებმა. დაიწყო მის წინააღმდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, პირველ ყოვლისა, ესპანეთში. მათმა გმირულმა ბრძოლამ გაამხნევა სხვა ქვეყნები. 1809 წლის გაზაფხულზე გამოცოცხლდა ავსტრია. არაფერია ნათქვამი ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებაზე ვაგრამთან 1809 წლის 5-6 ივლისს (70, გვ. 164-167).

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად შეიძლება სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მის მსჯელობაში კარგად არ ჩანს ის მიჯნა, როდესაც ნაპოლეონისეული ომები უმთავრესად დაპყრობით ბრძოლებად გადაიქცევა. წინა პლანზე წამოიწია არა პროგრესულმა, არამედ აგრესიულმა, მტაცებლურმა ხასიათმა. შავმა დაჯაბნა წითელი.

უნდა დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც ნაპოლეონის საშინაო პოლიტიკის წარმატებად მიიჩნევს პაპთან კონკორდატის დადებას და კოდექსების მიღებას, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ტრადიციულად არც ერთ შემთხვევაში კონკრეტულად არ მიუთითებს თარიღს. კონკორდატი დაიდო 1801 წლის 16 ივლისს, ხოლო კოდექსები 1804 წლის 21 მარტს, ზუსტად იმ დღეს როდესაც დახვრიტეს ენგიენის ჰერცოგი. „რადგანაც სამღვდელოება ჯერ კიდევ განაგრძობდა აგიტაციას ხელისუფლების წინააღმდეგ, ნაპოლეონმა საჭიროდ დაინახა მისი გამართლება რომის პაპთან შეთანხმებით. ერთხანად პაპსა და იმპერატორს შორის კონფლიქტი იყო, მაგრამ პაპმა საფრანგეთის სამღვდელოების მაგიერი დასთმო ეკლესიებისა და მონასტრების ქონება, რომელიც რევოლუციამ ჩამოართვა მას და გადასცა სახელმწიფოს. მან აღუთქვა ნაპოლეონს, რომ სამღვდელოება აღარ წაეტანებოდა იმ მამულებს რომელიც გლეხობამ შეისყიდა. სამაგიეროდ ნაპოლეონმა აღუთქვა რომის პაპს კულტის მსახურთა ღირსეული დაჯილდოვება ხაზინიდან" (79, გვ. 167-168). ასევე მაღალი აზრისაა იგი კოდექსებზე. „ნაპოლეონის მოღვაწეობაში სამოქალაქო კოდექსები ითვლება მის უდიდეს დამსახურებად ბურჟუაზიული საზოგადოების წინაშე. ამ კოდექსით მან აღმოფხვრა ფეოდალური ზნე-ჩვეულებანი და ხელი შეუწყო ბურჟუაზიულ ზნე-ჩვეულებათა განმტკიცებას. კოდექსი ადასტურებს და უფრო მკაფიოდ სვამს საკითხს ფეოდალური ვალდებულებების მოსპობისას და ამით სრულიად ათავისუფლებს კერძო საკუთრებას" (79, გვ. 168). განა მარტო ბურჟუაზიული საზოგადოების და არა საერთოდ ცივილიზირებული ევროპის წინაშე? ასეთი ვიწრო კლასობრივი მიდგომა იმ დროისათვის სავსებით ბუნებრივი იყო და საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია და ამით სურდათ გარკვეული ჩრდილი მიეყენებინათ ნაპოლეონის კოდექსებისათვის საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვითონ ნაპოლეონი თავის სამოქალაქო კოდექსებზე მეტად მაღალი აზრის იყო და მას მის მიერ მოგებულ ბრძოლებზე მაღლა თუ არა გვერდით მაინც აყენებდა. „ჩემი დიდება ის კი არაა, რომ მე მოვიგე ორმოცი დიდი ბრძოლა, ვატერლომ ყველაფერი ეს გადაშალა, არამედ, ის რაც მარადიულად იარსებებს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსები" ნაპოლეონის სახელმწიფოებრივი საქმიანობა ამ პერიოდში გაცილებით უფრო ინტენსიური იყო და ამით არ ამოიწურებოდა. რად ღირს თუნდაც საფრანგეთის ბანკის დაარსება 1800 წლის 13 თებერვალს ან სასამართლო რეფორმები 1800 წლის 18 მარტს. 1801 წლის 17 თებერვალს მიიღეს კანონი ადმინისტრაციული გარდაქმნის და პრეფექტურის დაწესების შესახებ. ა. ტრაჩევსკის თქმით „პრეფექტები და მერები გადაიქცნენ პატარა პირველ კონსულებად". 1801 წლის 17 მარტს მიიღეს კანონი პრესის შესახებ. სავსებით ვეთანხმებით პროფ. დ. ცისკარიშვილს, რომ ეს იყო ნაპოლეონის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყველაზე უფრო ნაყოფიერი ხანა და ამ თვალსაზრისით ის მართლაც იყო მისი მოღვაწეობის ზენიტი (129, გვ. 405-442), რაც მნიშვნელოვანწილად იმითაა გამოწვეული, რომ ეს მონაკვეთი ნაპოლონის მოღვაწეობაში შედარებით ყველაზე მშვიდობიანი აღმოჩნდა. გრ. ნათაძის წიგნში გაპარულია ერთი შეცდომა, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ლაფსუს-კალამი უნდა იყოს. „ამას მოყვა ნაპოლეონის მკვლელობის განზრახვები. ცნო-

ბილია კადუდალის მიერ და შემდეგ ჰერცოგ ანგიენლის მიერ მოწყობილი მკვლელობის ცდა" (70; გვ. 169).

ვფიქრობთ, გრ. ნათაძეს კარგად აქვს გაცნობიერებული ნაპოლეონისეული ომების ორმაგი მისია, რომელიც სტენდალმა ფერებში გამოხატა წითელი და შავი. „მიუხედავად ნაპოლეონის დაპყრობითი პოლიტიკისა და მისი კონტრიბუციის სიმძიმისა, დაპყრობილ და დამარცხებულ სახელმწიფოებში ნაპოლეონის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა სისტემამ დიდი მიმბაძველობა გამოიწვია" (79, გვ. 170). მიუხედავად ნაპოლეონისეული ომების დაპყრობითი ხასიათისა მასში პროგრესული ელემენტი მაინც ჰარბობდა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მან სასაკვდილო ლახვარი ჩასცა ძველ, აბსოლუტისტურ სისტემას კონტინენტზე. პროგრესი, მრავალწახნაგოვანი, რთული და მტკივნეული პროცესია. ვფიქრობთ შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გრ. ნათაძემ ღირსეულად გააგრძელა ის კარგი ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველმა მოაზროვნეებმა. ნიკო ნიკოლაძე თავის წერილებში გერმანიის მდგომარეობა ხაზს უსვამს, რომ „ მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა მთელი გერმანია გაანადგურა (1806-07) მან აქ, ამასთან ერთად, ძველი უწესობისა და უსამართლობის ნაცვლად საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია" (519; გვ. 113-114; 34, გვ. 4). ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს გიორგი წერეთლის მოსაზრება. იგი წერდა: „ნუ დაივიწყებთ, რომ ნაპოლეონი საფრანგეთის სახელით შეესია ევროპას, იმის დროშაზე დაწერილი იყო მტარვალისაგან განთავისუფლება. ის თავდაპირველად ხალხებს ათავისუფლებდა მთავრობის (ე.ი. დესპოტიზმის – მ.კ.) შევიწროვებისაგან. ნუ დაივიწყებთ, რომ ეგ (ე.ი. ცვლილებები ომის ხასიათში – ე.კ.) შემდეგ მოხდა, როდესაც იმპერატორი გახდა ჯერ საფრანგეთში მოახრჩო თავისუფლება და მერე მთელს ევროპაში. აი მაშინ კი ადვილად მოახრჩვეს როგორც ნაპოლეონი, ისე მისი მხედრობა... ნუ დაივიწყებთ, რომ ეგ ჯარები მაშინ შეიქმნენ საშიში როცა თავის დროშაზე დაწერეს „სამშობლო და თავისუფლება" როცა ისინი თავიანთ თავს ამხნევებდნენ ან უნდა მოვკვდეთ ან მტერი გავაგდოთ სამშობლოდან" (133, გვ. 85).

უნდა დავეთანხმოთ გამოჩენილ ფრანგ ისტორიკოსს ალბერ სორელს როდესაც თავის ფუნდამენტურ რვა ტომიან გამოკვლევაში „ევროპა და საფრანგეთის რევოლუცია" შემდეგი აზრი ჩადო: რევოლუციის მოღვაწეთა საშინაო პოლიტიკა მჭიდროდ გადაეხლართა საგარეო პოლიტიკას, რაც იმით გამოიხატა, რომ თანასწორობის, თავისუფლების, ძმობის პრინციპების ქადაგება არა მარტო საფრანგეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც რევოლუციის მოღვაწეებს ხელფეხი გაუხსნა და მოქმედების ფართო ასპარეზი შეუქმნა, ნაყოფიც მალე ვიხილეთ და ფრანგებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მეორე მხრივ, მათ თავიანთი ახალი იდეებით საკუთარ დაცემასაც შეუმზადეს ნიადაგი. სხვა ხალხებმაც შეითვისეს ფრანგების მიერ შემოტანილი ახალი იდეები და ახლა მათ თვითონ დაიწყეს ბრძოლა მისი განხორციელებისათვის. აღსანიშნავია, რომ ახლა მათ ფრანგებს და საერთოდ ყველა დამპყრობლებს ზუსტად იგივე არგუმენტებით დაუპირისპირდნენ რითაც ადრე ფრანგები აღწევდნენ წარმატებას: თანასწორობა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა. ასე დაუპირისპირდა საფრანგეთის დაპყრობით გეგმებს განმათავისუფლებელი ბრძოლა. ევროპაში განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი აგიზგიზდა. ხალხი ებრძოდა არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ რეაქციულ ძალებს, არამედ ყველა მას ვინც მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ემუქრებოდა. წარმატებებით ფრთაშესხმულ ნაპოლეონს, ეტყობა, არ სურდა დაენახა, რომ ევროპაში იწყებოდა ხალხთა გამოღვიძება და მის პოლიტიკას უკვე ტრიუმფალური გამარჯვებებისაკენ კი არ მიყავდა, არამედ კატასტროფისაკენ. პირველი საგანგაშო სიგნალი ესპანეთში გაისმა. ესპანელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ გამოაცოცხლა სხვა ერები. ნაპოლეონის დაცემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ნაპოლეონის სუბიექტურ მისწრაფებებში უნდა ვეძიოთ. მისი იდეა ფიქსი ხომ მსოფლიოს დაპყრობა იყო. ამის ლოგიკური შედეგია ჯერ ესპანეთთან ომი, ხოლო შემდეგ რუსეთში ლაშქრობა.

სახელმძღვანელოში მოკლედ არის საუბარი რუსეთთან ომის მიზეზებზე და ნაპოლეონის შეკრაზე რუსეთში. გრ. ნათაძე საკითხში ჩახედული ჩანს და დასძენს: „ნაპოლეონმა რუსეთში გაილაშქრა იმ იმედით, რომ ამ ქვეყნის დამორჩილებით ის მტკიცედ გაატარებდა კონტინენტურ ბლოკადას, რომელსაც იმპერატორ ალექსანდრე I სისტემატიურად არღვევდა. ალექსანდრე I გარდა კონტინენტური ბლოკადისა, უკმაყოფილო იყო ვარშავის საჰერცოგოს დაარსებით, რომელიც უქადდა რუსეთს პოლონეთის შემოერთებული ნაწილის დაკარგვას. რუსეთის დაპყრობის შემდეგ ნაპოლეონი აზიაშიც ფიქრობდა გალაშქრებას, რათა ინგლისისათვის ყველა კოლონიები ჩამოერთმი[illegible] სხვათა შორის მან რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ საქართველოსთანაც კი გაბა კავშირი და საქართველოს აჯანყებული ბატონიშვილები მოელოდნენ ნაპოლეონის დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ" (79, გვ. 172-173; 390; 230). ეს ინფორმაცია საინტერესოა და ჩვენი აზრით საჭირო იყო კონკრეტული ფაქტების მოხმობა, რაც მის ნათქვამს მეტ დამაჯერებლობას შეძენდა. მით უმეტეს ასეთი ნაბიჯი მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ ეს თემა იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში სუსტად იყო გაშუქებული. (468; 466; 467; 532; 485; 463; 550; 621; 525; 524; 523; 456).

გრ. ნათაძე დუმილით უვლის გვერდს ნაპოლეონის რუსეთითუკმაყოფილების კიდევ ერთ, მართალია სუბიექტურ, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვან მომენტს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ალექსანდრე I თავისი და არ მიათხოვა ნაპოლეონს (602).

გასაგებია გრ. ნათაძე ფრთხილობს და პირდაპირ ერიდება თქვას, რომ ბოროდინის ბრძოლა ფრანგებმა მოიგეს, თუმცა, ვფიქრობთ, რომ სახელმძღვანელოში მას სწორედ

ეს აზრი აქვს ჩადებული (79 გვ: 172-173). ბოროდინოს ბრძოლაში რუსების გამარჯვებაზე საუბარი საბჭოთა, რუსული ისტორიოგრაფიის მორიგი ბლეფი იყო. ალბათ, მსოფლიო ისტორიაში ძნელია მოვძებნოთ მსგავსი პრეცენდენტი, როდესაც არმია, რომელმაც უკან დაიხია და დედაქალაქი დატოვა გამარჯვებულად იქნა გამოცხადებული. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძე სახელმძღვანელოში კვლავ არ უთითებს რუსეთში ნაპოლეონის ლაშქრობის და ბოროდინოს ბრძოლის კონკრეტულ თარიღებს.

მიგვაჩნია, რომ წიგნში შედარებით მკრთალად, მშრალადაა წარმოჩენილი ნაპოლეონის იმპერიის აგონია (70, გვ. 174). ალბათ, ღირდა ორიოდე სიტყვის თქმა იმ ბრწყინვალე გამარჯვებებზე, რომელიც ამ მძიმე სიტუაციაში მოიპოვა ნაპოლეონმა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მხედართმთავრულ ნიჭს. ამ გამარჯვებებით გამხნევებული ნაპოლეონი ამბობდა: „მე ვიპოვე ჩემი იტალიური კამპანიის ჩექმები". სამართლიანადაა აღნიშნული ის უარყოფითი როლი, რომელიც ნაპოლეონის პირველი გადადგომის საქმეში ტალეირანმა შეასრულა, ხოლო ფუშეს როლი აქ ცოტათი გადაჭარბებული გვესახება. მან პირიქით მზაკვრული როლი ითამაშა ნაპოლეონის მეორე დაცემის დროს.

* * *

თავისი წიგნის ბოლო მონაკვეთში გრ. ნათაძე განიხილავს ორ სერიოზულ თემას: ბურბონების რესტავრაცია საფრანგეთში და 1830 წლის ივლისის რევოლუცია. დასაწყისში გრ. ნათაძე ეხება სამ საკითხს: ვენის კონგრესი, ნაპოლეონის დაბრუნება, ასი დღე ანუ როგორც ფრანგ ისტორიკოსებს უყვართ თქმა „არწივის აფრენა" და „საღვთო კავშირის დაარსება".

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ზავის შემუშავების მიზნით ავსტრიის დედაქალაქ ვენაში შეიკრიბა საერთაშორისო კონგრესი. აღნიშნულია ტალეირანის დიდი როლი ვენის კონგრესზე. „საფრანგეთის წარმომადგენლად კონგრესზე იყო ტალეირანი. მან მოხერხებულად ისარგებლა სახელმწიფოებს შორის ატეხილი უთანხმოებით და მიაღწია იმას, რომ საფრანგეთმა იმდენი არა დაკარგა რა როგორც მოსალოდნელი იყო დამარცხებული სახელმწიფოსთვის. მან გაატარა ევროპის სახელმწიფოთა შორის თანასწორობის პრინციპი, რომელიც ყველას სამართლიანად მიაჩნდა, და ამ პრინციპის ნიადაგზე დაიცვა საფრანგეთის ინტერესები. წონასწორობის პრინციპი ვენის კონგრესის შემდეგ დიდხანს დარჩა ევროპაში, როგორც საფუძველი საერთაშორისო ურთიერთობისა" (79, გვ. 174) – დასძენს გრ. ნათაძე. ეს იყო, ალბათ, ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში, როდესაც დამარცხებულმა სახელმწიფომ უკარნახა გამარჯვებულებს ზავის პირობები. ეს მოახერხა ტალეირანმა. ამიტომ არის იგი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო დიპლომატი. ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ თითქოს ტალერანს არ შესწევდა უნარი ყოფილიყო დამოუკიდებელი და მხოლოდ ბარასის და ნაპოლეონის ჩანაფიქრის უბრალო შემსრულებელი იყო. ამ მოსაზრების გასაბათილებლად ვენის კონგრესზე და 30-იან წლებში ლონდონის კონფერენციაზე ტალეირანის საქმიანობა იკმარებდა. ვენის კონგრესი ტალეირანის დიპლომატიური მოღვაწეობის პიკია. „საფრანგეთი, აღნიშნავს ფრანგი ისტორიკოსი პოლ ლეონი - ვენაში წარსდგა ცარიელი ხელებით. მას მეტი აღარ შეეძლო რაიმე შეეთავაზებინა და ამიტომ არაფერს არ ითხოვდა. ტალეირანმა ეს სისუსტე გადააქცია ძალად" ისტორიკოსი ი. ბოროსოვი დასძენს, რომ „ტალეირანის ძალა ვენის კონგრესზე ის იყო, რომ იგი გამოდიოდა სამართლიანობის, პატიოსნების, წესიერების, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის დამცველად. ფანტასტიკური სიტუაციაა! მას გამოცდილი რომანისტიც კი ვერ მოიგონებს" (168, გვ. 372; 113).

ფუშეს თქმით „ნაპოლეონი ელბაზე იგივე იყო რაც ვეზუვი ნეაპოლისათვის". მართლაც, სულ მალე მოხდა ვულკანის ამოფრქვევა ელბადან ნაპოლეონის გაქცევის და საფრანგეთში მისი დაბრუნებით. 1815 წლის მარტში ნაპოლეონის ღ:ᵃ რუნებამ ხელისუფლების სათავეში კვლავ თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ვენის კონგრესმა სასწრაფოდ შეწყვიტა მუშაობა. შეიქმნა VII კოალიცია. დაიწყო ომი, რომელიც 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოოსთან ნაპოლეონის დამარცხებით დასრულდა. ეს იყო ნაპოლეონის ეპოპეის ლოგიკური დასასრული. „ევროპა მხოლოდ იწყებდა მთელი თავისი ძალების გაშლას, ნაპოლეონმა კი საბოლოოდ ამოწურა თავისი ძალღონეც და სამხედრო რეზერვებიც" (112; გვ. 515) დასძენს აკად. ე. ტარლე.

ამ მონაკვეთის დასასრულს გრ. ნათაძე მცირე ინფორმაციას აწვდის მკითხველს საღვთო კავშირზე და მკაფიოდ უჩვენებს მის რეაქციულ პოლიტიკურ კურსს. ამ ნაწილის გაცნობის დროს გაგვიჩნდა ზოგიერთი მოსაზრება: პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ნათაძე ტრადიციულად გვერდს უვლის თარიღებს: 1. ვენის კონგრესი 1814 წლის 1 ნოემბრიდან 1815 წლის 9 ივნისამდე, 2. ნაპოლეონი საფრანგეთში დაბრუნდა მარტში, 3. ვატერლოოსთან ბრძოლა მოხდა 1815 წლის 18 ივნისს, 4. „საღვთო კავშირი" შეიქმნა 1815 წლის 26 სექტემბერს, 5. „საღვთო კავშირის" დასასრულად 1822 წელი ნაადრევად მიგვაჩნია (79, გვ. 176). საღვთო კავშირს პირველი სერიოზული ბზარი მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა, როდესაც 1824 წლის 31 დეკემბერს ინგლისელმა სცნო ლათინური ამერიკის ქვეყნების დამოუკიდებლობა. 20-იან წლების მეორე ნახევარში რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად „საღვთო კავშირის" ავტორიტეტი მკვეთრად შეირყა. ამიტომ სავსებით მართლზომიერი იყო, რომ 1839 წელს მისი განახლების ცდა უშედეგოდ დასრულდა.

სახელმძღვანელოს დასკვნითი ნაწილი, რესტავრაციის ეპოქის საფრანგეთში და 1830 წლის ივლისის რევოლუცია. წინა საკითხებთან შედარებით შეიძლება უფრო ფერმკრთალად გამოიყურება, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, არავითარ ჩრდილს არ აყენებს გრ. ნათაძის ნაშრომს და ამ თემის ირგვლივ წიგნში არსებული ინფორმაცია საკმარისად მიგვაჩნია.

გრ. ნათაძე მოკლედ ჩერდება რესტავრაციის ეპოქის (1814-1830) საფრანგეთის ეკონომიკურ ყოფაზე და მცირე ინფორმაციას აწვდის ამ თემაზე სტუდენტებს, ხოლო ამ ეპოქის პოლიტიკური ისტორია, რომელიც, ვფიქრობთ, არა ნაკლებ საინტერესო იყო, ჩრდილშია მოქცეული, რაც სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის ნაკლია (79, გვ. 179-182).

გრ. ნათაძე ეხება რესტავრაციის ეპოქის პოლიტიკურ ბრძოლას. ამ საკითხის განხილვის დაწყება ეკონომიკური პასაჟი უადგილოდ მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, სრულიად არ იყო საჭირო (79, გვ. 183-184). გრ. ნათაძე ხაზს უსვამს, რომ ამ პერიოდში მთავარი იდეური ბრძოლა მიმდინარეობდა რეაქციულ და ლიბერალურ მიმდინარეობას შორის (79, გვ. 183-187). მისასალმებელი უნდა იყოს, რომ ამჯერად გრ. ნათაძის მსჯელობაში არ შეიმჩნევა სოციალისტური იდეების მნიშვნელობის გაზვიადება, რაც, სხვათა შორის, მეტად ნიშანდობლივი იყო მომდევნო პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის.

გრ. ნათაძის წიგნში ხაზგასმულია, რომ 1830 წლის რევოლუცია ბურბონთა რეაქციული პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო. იგი მცირე ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს რევოლუციის გამომწვევი მიზეზების და მისი მსვლელობის შესახებ, თუმცა კონკრეტულად არ მიუთითებს ივლისის იმ სამ დღეზე (27-29 ივლისი), როდესაც მოხდა რევოლუცია (79, გვ. 187-191).

შეიძლება ითქვას, რომ გრ. ნათაძემ თავის ძირითად ამოცანას იმ კონკრეტულ სიტუაციაში წარმატებით გაართვა თავი და ქართულ მკითხველს მიაწოდა საინტერესო მეცნიერული ინფორმაცია საფრანგეთის ახალი ისტორიის ერთი რთული მონაკვეთის ირგვლივ – 1789-1830 წლები. „წიგნმა თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია საშუალო და უმაღლესი სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობას და ამჟამადაც სახელმძღვანელოს წარმოადგენს" - დასძენს პროფ. ალ. ნამორაძე. (517). მიგვაჩნია, რომ იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევდა საშუალო სკოლის პედაგოგებს, რომლებიც ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე მშობლიურ ენაზე ლიტერატურა თითქმის არ მოეპოვებოდათ. ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი თარიღების მიუთითებლობა გრ. ნათაძის სახელმძღვანელოების სერიოზულ მინუსად შეიძლება მივიჩნიოთ.

დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლის საკითხში გრ. ნათაძის დამსახურებად მიგვაჩნია: 1. ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა; 2. გამოკვლევების შექმნა ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე; 3. პირველწყაროების პუბლიკაცია და მათი მეცნიერული კვლევა. ამით მან ფაქტობრივად სათავე მისცა ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობას; 4. კადრების აღზრდა. ალ. ნამორაძის დაწინაურება; 5. პირველი ნაბიჯები გადადგა ახალი ისტორიის ტერმინოლოგიის შექმნაში.

თავი V

გრ. ნათაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები

გრ. ნათაძე ქეშმარიტად ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. მისი მეცნიერული ინტერესების თვალსაწიერი უაღრესად ვრცელია და მხოლოდ მსოფლიო ისტორიის კარდინალური საკითხების დამუშავებით არ შემოიფარგლებოდა. იგი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მშობლიური ისტორიის შესწავლას. ერთ-ერთმა პირველმა ეს შენიშნა პროფ. კოტე გრიგოლიამ, 1956 წლის 24 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრ. ნათაძის გარდაცვალებიდან ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „პროფესორ გრ. ნათაძის დამსახურება თვალსაჩინოა საქართველოს ისტორიის ფარგლებშიც. მსოფლიოს ისტორიის სპეციალისტი ჩინებულად იცნობდა მშობლიურ ისტორიასაც. ქართული საისტორიო მეცნიერების წარმატებანი, მისი განვითარების გზები და პრობლემატიკა ყოველთვის იყო განსვენებული მეცნიერის ცხოველი ინტერესის საგანი. თავისი დიდი ცოდნით, ფართო ერუდიციით და ნათელი გონებით პროფესორი გრ. ნათაძე ცდილობდა მიეღო მონაწილეობა საქართველოს ისტორიის შესწავლის წინსვლაში; იგი იკვლევდა საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებს და გარკვეული წვლილი შეჰქონდა მშობლიური ქვეყნის მდიდარი წარსულის მეცნიერული შესწავლის საქმეში" (639, 517, გვ. 381).

გრ. ნათაძემ საქართველოს ისტორიას მიუძღვნა ათი ნაშრომი, ოთხი წიგნი და შვიდი სტატია. მიზანშეწონილი იქნებოდა მათი დალაგება შემდეგი თანამიმდევრობით: 1. „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა" ორ წიგნად, 2. „ძველი ტფილისი", 3. „სულხან ბარათოვი როგორც საქართველოს ისტორიის ისტორიკოსი", 4. „ნ. ბარათაშვილი როგორც ისტორიული ტიპი", 5. „დადიანების არქივი და სამეგრელოს ავტონომიის პრობლემა მე-19 საუკუნის დასაწყისში", 6. შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიკური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობები 9-10 საუკუნეებში გიორგი მერჩულეს და სუმბატის ქრონიკის მიხედვით", 7. „К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия", 8."крестьянство "Сахасо"в восточной Грузии в конце XVIII века", 9. „ასმათის ფეოდალური სისტემის ასპექტში და სამამულო ომის გმირები", 10. „მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში".

როდესაც ალ. ნამორაძე ჩამოთვლის გრ. ნათაძის შრომებს საქართველოს ისტორიაზე რატომღაც იგი არაფერს ამბობს მის ორ სტატიაზე „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. თუმცა, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი მშვენივრად იცნობდა გრ. ნათაძის ამ შრომებს და გაკვრით ეხებოდა თავისი ნაშრომის დასასრულს (517; გვ.382 და 389). ჩამოთვლისას გამოტოვებულია აგრეთვე გრ.

ნათაძის პირველი ნაშრომი „ნ. ბარათაშვილი, როგორც ისტორიული ტიპი".

საქართველოს ისტორიაზე გრ. ნათაძის შრომების ჩამონათვალში ალ. ნამორაძეს შეაქვს სამი შემდგომი ნაშრომი: „სახელდახელო ცნობები რფსფრ-ის არქივების მდგომარეობის შესახებ", „საქართველოს ცენტრარქივის მე-18 საუკუნის მასალების კლასიფიკაციისათვის შინაარსის მიხედვით" და „საარქივო მასალები მხარეთმცოდნეობითი შესწავლისათვის". ეს შრომები საქართველოს ისტორიას უმთავრესად მხარეთმცოდნეობის და არქივმცოდნეობის კონტექსტში შეეხება და ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ამ სფეროს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე მშობლიური მხარის ისტორიას (517, გვ.382), ამიტომ ალ. ნამორაძის ასეთი გადაწყვეტილება საკამათო უნდა იყოს.

საქართველოს ისტორიის გაშუქების საქმეში გრ. ნათაძის წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ არის შესწავლილი. ამიტომ ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი ბროშურა ან სტატია, სადაც სპეციალურად იქნებოდა განხილული აღნიშნული პრობლემა, თუმცა ამ საკითხს გაკვრით ეხებოდნენ ის ისტორიკოსები, რომლებიც იკვლევდნენ საქართველოს ისტორიის იმ რთულ ეპოქებს, რომელსაც განიხილავდა გრ. ნათაძე თავის შრომებში. ამიტომ კ. გრიგოლიას გამოსვლა 1956 წლის 24 მაისს გრ. ნათაძის გარდაცვალების ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე, ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია. ამით, მან ფაქტობრივად დღის წესრიგში დააყენა ამ საკითხის შესწავლის აუცილებლობა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი სერიოზული სტატია გრ. ნათაძემ დაწერა არა მსოფლიო ისტორიაში, არამედ საქართველოს ისტორიაში. ეს იყო მისი წერილი „ნ. ბარათაშვილი, როგორც ისტორიული ტიპი", რომელიც განარიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაზეთ „ცნობის ფურცელში" (461). თვითონ გრ. ნათაძე ამ ამბავს ასე იხსენებს: „მე უკვე 1902 წელს დავიწყე სამეცნიერო გამოკვლევების წერა და ვცდილობდი საგაზეთო პუბლიცისტური ხასიათის სტატიებისათვის, ჩემი შესაძლებლობისდაგვარად, მეცნიერული დასაბუთება მიმეცა" (650, გვ.6; 514. გვ.368).

„სტატიისათვის აღებული თემა გრ. ნათაძის მიერ შემთხვევითი არ არის. აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ წუხდა სამშობლოსათვის გრ. ნათაძე თავის სტუდენტობის წლებში. სტატიის ავტორს აინტერესებს სამშობლოს წარსული და მომავალი. მისთვის ბარათაშვილი ისტორიული ტიპია ე.ი. ნამდვილი წარმომადგენელია თავისი დროისა. იგი, გრ. ნათაძის მიხედვით, ბოლომდე იმედის მაძიებელი რჩება" (517, გვ. 368) - აღნიშნავს ალ. ნამორაძე. პირველ რიგში გრ. ნათაძე ცდილობს ხაზი გაუსვას იმას, რომ ეს არ იყო წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომი და მას ისტორიულ-ლიტერატურულ თემატიკას უკავშირებს (461, გვ.1), მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სტატია მაინც ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს არ უნდა ცილდებოდეს. აღსანიშნავია, რომ გრ. ნათაძეს მშვენივრად ესმის ამ საკითხის აქტუალობა, და მას კარგად უკავშირებს თანადროულობას. „ისეთი პირისაგან როგორიც ბარათაშვილია ბევრ ახალ რამეს ვისწავლით დღესაც კი" (461, გვ.1).

გრ. ნათაძის საგაზეთო სტატიის „ნ. ბარათაშვილი როგორც ისტორიული პირი" მთავარი ღირსებაა მისი ოპტიმისტური ტონი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებულ „მსოფლიო სევდის" თეორიასთან შედარებით სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია (276). აღსანიშნავია, რომ „მსოფლიო სევდის" თეორიამ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც გაიკვლია გზა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ონიაშვილის ნაშრომი „ბაირონიზმი და მსოფლიო სევდა" (91). „ბარათაშვილს ბოლომდე სწამს ის რისთვისაც იბრძვის, უკანასკნელ წუთამდე წამს განთიადის მოახლოვება და თუმცა მის წინამორბედ ვარსკლავს ვერა ხედავს, იგი მაინც მისკენ მიიბრძვის" (461, გვ.3) — დასძენს გრ. ნათაძე; ამ არსებითად სწორ მსჯელობაში ერთი მცირე კორექტივი შეიძლება შევიტანოთ. ალბათ, მაინც ძნელი იქნება ვამტკიცოთ თითქოს „ნ. ბარათაშვილი ვერ ხედავდა განთიადის წინამორბედ ვარსკვლავს" (461; 19).

გრ. ნათაძე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ნ. ბარათაშვილის პოეზია ქართულ ლიტერატურაში ახალ ევროპულ გავლენას დაუკავშირა. მეტად თავისებურად განიხილავს იგი ბაირონისა და ბარათაშვილის ურთიერთდამოკიდებულებას და დასძენს: „გავს ბაირონს, მაგრამ მის სკოლას არ მიეკუთვნება" (461, გვ.3). ნაშრომის გაცნობისას, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი ხომ არ აკნინებდა გრ. ნათაძე ჭაბუკი პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში სოლომონ დოდაშვილის როლს? (461 , გვ.3, 29).

ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა სტატიაში ვრცლად ყოფილიყო გარჩეული ნ. ბარათაშვილის უკვდავი ქმნილება „ბედი ქართლისა" (19,121).

საქართველოს ისტორიაში გრ. ნათაძის პირველი დიდი ნაშრომია „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა" საფიქრებელი იყო, რომ ეს იქნებოდა მშობლიურ ისტორიაში მისი ყველაზე უფრო სერიოზული, სოლიდური გამოკვლევა. ჩანაფიქრის მიხედვით ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ასე არაა; პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რამდენად იყო მომზადებული გრ. ნათაძე როგორც საქართველოს ისტორიის სპეციალისტი ამ რთული და გრანდიოზული ამოცანის გადასაწყვეტად? ნაჩქარევი და პრეტენზიული ხომ არ იყო ასეთი ჩანაფიქრი? იქნებ სწორედ ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ გრ. ნათაძის ნაშრომი კვლევით ხასიათს არ ატარებს? რაც ჩრდილს აყენებს, აკნინებს მის მეცნიერულ ღირსებებს. მართალია გრ. ნათაძე ირწმუნება, რომ საქართველოს ისტორიის დაწერას საკმაოდ მომზადებული შეუდგა, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, მისი წიგნის გაცნობამ ამაში ვერ დაგვარწმუნა (83, გვ.6).

საქართველოს სოციოლოგიური ისტორიით გრ. ნათაძის დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მას თავისი აზრი გააჩნდა საქართველოს ისტორიის ზოგადი, სისტემატიური კურსის აგების თაობაზე. რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ გრ. ნათაძეს აქვს საქართველოს ისტორიის საკუთარი ხედვა, თავისი კონცეფცია, მეთოდოლოგია. უსათუოდ, ძალიან კარგია და მოსაწონია მისი მისწრაფება, გაამდიდროს ქართული ისტორიოგრაფია ახალი იდეებით და თეორიებით, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მის მიერ არჩეული გზა ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის საქართველოს წარსულზე და გრ. ნათაძის კონცეფცია საქართველოს ისტორიაზე მიუღებლად მიგვაჩნია. იმ რანგის ისტორიკოსს, როგორიც გრ. ნათაძე იყო, რა თქმა უნდა შეუმჩნეველი არ შეიძლება დარჩენოდა ეს გარემოება და სულ რამდენიმე ხნის შემდეგ 1931 წელს გამოცემული სულ სხვა წიგნში აღნიშნავდა „თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ეს წიგნი („საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა") ძლიერ ნაჩქარევად არის დაწერილი და ბევრ რამეზე გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა. ბევრგან ვერც ფაქტების ანალიზია სათანადოდ ჩატარებული და ამიტომ მას სათანადო გადამუშავება ესაჭიროება" (82, გვ.88). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გრ. ნათაძის ასეთი თვითკრიტიკული პათოსი განპირობებული იყო არა მარტო წმინდა აკადემიური მოსაზრებებით, არამედ პოლიტიკური ფაქტორით ბოლშევიკურ-მარქსისტული იდეოლოგიის ზეწოლის გაძლიერებით.

საინტერესოა, გრ. ნათაძის აზრით, რა ედო საფუძვლად საქართველოს ისტორიის განვითარებას, ქართული საზოგადოების ევოლუციას ანუ როგორი იყო გრ. ნათაძის კონცეფცია საქართველოს ისტორიაში. აღნიშნული საკითხის შესახებ გრ. ნათაძეს გააჩნია საკუთარი მოსაზრება. გრ. ნათაძის მიხედვით, საქართველოს ისტორიული განვითარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა, პრიმატობა ეკონომიკურ ფაქტორს ენიჭებოდა, რომლის ორ უმთავრეს პირობად მიაჩნდა გეოგრაფიული გარემო და საგარეო ფაქტორი. „უპირველეს ყოვლისა ეს ისტორიაც ისევ მტკვარ-რიონის ხეობის ცენტრალურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. საქართველოს ეკონომიკური განვითარება ამ ორი ხეობის მნიშვნელობის ზრდასა და აღორძინებაზე იყო დამყარებული" (84, გვ.125). რა თქმა უნდა, სწორედ ამ კუთხით არის დანახული გრ. ნათაძის ნაშრომში საქართველოს საზოგადოების მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის საკითხი.

გრ. ნათაძის წიგნში „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური ისტორია" საქართველოს პოლიტიკური ისტორია და კულტურა მეტად მკრთალად, სუსტადაა განხილული. ამაში, პირველ ყოვლისა რუსული სკოლის კერძოდ კი, ივ. ლეჩიცკის და.რ. ვიპერის გავლენას ვხედავთ.

გრ. ნათაძის მსჯელობის სერიოზული ნაკლია ის, რომ მის წიგნში ქართული საზოგადოების ევოლუცია მის შინაგან განვითარებას მოწყვეტილია. ამიტომ საქართველოს ისტორიის ამგვარი კონცეფცია ცალმხრივია და მიუღებელი.

საქართველოს ისტორიისადმი გრ. ნათაძის მიმართება ცოტათი უცნაურ ხასიათს ატარებდა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მან საქართველოს ისტორიის შესწავლა წარმართა რთულიდან მარტივისაკენ და არა პირიქით — მარტივიდან რთულისაკენ. ზოგადიდან კონკრეტულისაკენ და არა პირიქით — კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. ამაკე დროს აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს გრ. ნათაძემ დაარღვია ის პრინციპები, რომელსაც შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით იყენებდა მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მუშაობის დროს. თუ მსოფლიო ისტორიის შესწავლისას გრ. ნათაძის ყურადღება კონცენტრირებულ იქნა ერთ კონკრეტულ ეპოქაზე (ძველი საბერძნეთი ქრისტეშობამდე მე-7 საუკუნეში, კილონის აჯანყება, ძველი გერმანელები. საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონი) საქართველოს ისტორიაზე ამას ვერ ვიტყვით. აქ გრ. ნათაძის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა თითქმის მთელი საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე. რა თქმა უნდა, ასეთმა მიდგომამ თავისი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ისტორიაში გრ. ნათაძის შრომების მეცნიერულ სიღრმეზე. მიგვაჩნია, რომ გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნებოდა მისი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიის შესწავლის სფეროში თუ ის ხელს მოკიდებდა ერთი კონკრეტული პრობლემის დამუშავებას.

როგორც თავად გრ. ნათაძე აღნიშნავს, მისი ნაშრომი ემყარება საქართველოს ისტორიის იმ დროისათვის გამორკვეულ და დადგენილ ფაქტებს და უშუალოდ კვლევით ხასიათს არ ატარებს. იგი ცდილობს საქართველოს ისტორიის განზოგადებას და სურს უჩვენოს საქართველოს ისტორიის ადგილი მსოფლიო ისტორიის განვითარების პროცესში (84, გვ.5-7). ამ მიმართულებით პირველი სერიოზული ნაბიჯები ს. ბარათოვმა (152) და ალ. ხახანაშვილმა (135) გადადგეს. მაგრამ გრ. ნათაძე შეეცადა ამ საქმისათვის კიდევ უფრო მეტი მეცნიერული სიღრმე მიეცა. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს კარგი ჩანაფიქრი გრ. ნათაძის წიგნში ჯეროვნად არაა რეალიზებული და საკითხი ძალზე თავისებურად ჩვენ ვიტყოდით მეტად ვიწრო კუთხითაა დანახული.

გრ. ნათაძის ნაშრომში, „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა", საინტერესოა ავტორის მსჯელობა საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაზე მე-12-13 საუკუნეებში. როდესაც საქართველომ თავისი პოლიტიკური ძლიერების მწვერვალს მიაღწია. უნდა ითქვას, რომ ამ რთული პრობლემის გაანალიზებისას იგი ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების გამგრძელებლად მოგვევლინა. მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ქვეყნის ძლიერება არ ემყარებოდა შინაგან საწარმოო ძალთა განვითარებას და გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ეკონომიკური ძლიერების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა სამხედრო

ნადავლი და საქართველოს გაერთიანება ეფემერულ ხასიათს ატარებდა (138, გვ.81-82; 97, გვ.14. 84. გვ.66-64). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მსგავსი თვალსაზრისი ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა, არა ივ. ჯავახიშვილმა, არამედ სულხან ბარათოვმა, რომლის სახელიც რატომღაც მივიწყებულ იქნა როგორც ივ. ჯავახიშვილის, ისე მისი მომდევნო ხანის ისტორიკოსების მიერ (462, გვ.154-183). გრ. ნათაძემ ხაზგასმით მიუთითა, რომ ამგვარ შეხედულებას უკვე სულხან ბარათოვი გამოთქვამდა (587). საქართველოს ეკონომიკური ყოფის თაობაზე აღნიშნულ პერიოდში ზუსტად ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა 1942 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში" (500, გვ.133).

შემდგომში ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის ირგვლივ გამოითქვა დიამეტრალურად განსხვავებული თვალსაზრისი, რომელიც ფაქტობრივად ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას დაუპირისპირდა და რომლის თანახმადაც გაერთიანებული საქართველოს სიძლიერე შესაფერის სოციალ-ეკონომიკურ საფუძველს ემყარებოდა და საქართველოს პოლიტიკური ძლიერება სულაც არ ატარებდა ისეთ ეფემერულ ხასიათს, როგორც ეს ადრე ეგონათ (459, გვ.122. 457, გვ.167-168, 140, გვ.150-154. 103-197; 215-217; 68, გვ.148). ერთი რომელიმე მოსაზრების გაზიარება და მეორის დაგმობა მარტივი გზა უნდა ჩანდეს, რაც. სხვათა შორის, დამახასიათებელი იყო მარქსისტული საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. საკითხი არის უაღრესად რთული და მრავალწახნაგოვანი და კატეგორიულად რამის მტკიცება მეტად ძნელი იქნებოდა. ორივე ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. შესაძლოა, პირველი მოსაზრების მომხრეები სათანადოდ არ უსვამენ ხაზს მე-11-13 საუკუნეებში საქართველოს გაძლიერების გამომწვევ შინაგან ფაქტორებს, რის თაობაზე მიუთითა შემდგომი პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ პირველი მოსაზრების მარქსისტული პოზიციებიდან კრიტიკა ქემმარიტების უკანასკნელ ინსტანციად არ მიგვაჩნია.

ჩვენი აზრით, მეტად მკაცრად ეღერს ვ. გუჩუას კატეგორიული მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოსდა გრ. ნათაძემ არსებითად სწორად ვერ ახსნა მე-11-12 საუკუნეებში საქართველოს გაძლიერება და მასში, უპირველეს ყოვლისა, ეფემერული გაერთიანება დაინახა, რომლის ეკონომიკურ ძლიერებას საფუძვლად ედო სამხედრო ნადავლი და ხარკი. ეს იყო საკითხისადმი წმინდა მარქსისტული მიდგომა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ისტორიაში ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობის აბსოლუტიზირება (462, გვ. 164-165). შეუწყნარებლობა განსხვავებული თვალსაზრისისადმი გაუმართლებელია. ძნელია დავეთანხმოთ ვ. გუჩუას თითქოს გრ. ნათაძემ ვერ შეძლო საქართველოს ეკონომიკური დაცემის მიზეზების ახსნა (462, გვ.162). ასეთი კატეგორიული ტონი ცოტა მკაცრად ეღერს. გრ. ნათაძე ამ საკითხში დიდ მნიშვნელობას გეოგრაფიულ ფაქტორს ანიჭებდა. შესაძლოა, გრ. ნათაძე ცოტათი აჭარბებს გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობას, მაგრამ ასეთი ახსნა საინტერესოა და მას, უსათუოდ აქვს თავისი საფუძველი. გრ. ნათაძე საქართველოს გადარჩენის მთავარ ფაქტორად აღიარებს არა კლასთან ბრძოლას, არამედ საგარეო საფრთხეს, რომელიც ადუღაბებდა აერთიანებდა ერს. ამ შემთხვევაში იგი ივ. ჯავახიშვილის ხაზის გამგრძელებელია.

საინტერესოა, რომ გრ. ნათაძე უკვე 1925 წელს შეეხო ისეთ რთულ საკითხს, როგორიც იყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის ჩამოყალიბება საქართველოში. ეს საკითხი ახლაც დიდ დავას იწვევს. ამ საკითხს არ შევეხებით სხვა ისტორიკოსთა შეხედულებებთან მიმართებაში, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანს; აქ გვინდა მხოლოდ ერთი რამე აღვნიშნოთ — გრ. ნათაძის მსჯელობაში არის წინააღმდეგობა. მისი აზრით საქართველოში მე-12 საუკუნეში შეიქმნა წოდებრივ-წარმომადგენლობლითი მონარქია, მაგრამ ამის წანამძღვრები არ იყო (84, გვ.84).

მიუხედავად გრ. ნათაძის ნაშრომის მინუსებისა, ჩვენი აზრით, მას გააჩნია გარკვეული ღირსებები, რომელზეც თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. გრ. ნათაძის მიერ საკითხის დასმა უჩვენოს საქართველოს ისტორიის ადგილი მსოფლიო ისტორიული განვითარების პროცესში, სავსებით მეცნიერულია და ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დღესაც აქტუალურად დგას. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს და საკითხისადმი გრ. ნათაძის მიდგომა სულხან ბარათოვის კეთილისმყოფელი გავლენის შედეგად მიგვაჩნია. საინტერესო ჩანს ზოგიერთი კონკრეტული საკითხის გააზრება.

1929 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა და მომდევნო 1930 წელს ქართულად ითარგმნა პროფ. მ. პოლიევქტოვის და პროფ. გრ. ნათაძის წიგნი „ძველი თბილისი" (94). წიგნის ღირსებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მასში თავმოყრილი პირველწყაროების მეცნიერული ღირებულება. „ავტორები მ. პოლიევქტოვი და გრ. ნათაძე 1929 წელს გამოშვებულ წიგნში - „ძველი თბილისი თანამედროვეთა გადმოცემების მიხედვით" -კვლავაც მხოლოდ მასალას გვაწვდიან, მაგრამ გარკვეული თანამიმდევრობით. „უწყვეტ ჯაჭვად" და უცხოური ენოვანი წყაროებიდან ვრცელი ამონაწერის სახით მოწოდებული ცნობებით წარმოაჩენდნენ ქალაქის ეკონომიკასა და სოციალურ შემადგენლობას (41, გვ.6-7). ყურადღებას იპყრობს გრ. ნათაძის შესავალი წერილი „ტფილისის მხარეთმცოდნეობისთვის" (510, გვ.1-5), რომლის ფასეულობა, ვფიქრობთ, კარგად განსაზღვრა ჯერ კიდევ პროფ. ალ. ნამორაძემ „ეს ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ავტორი აქ ქ.თბილისის ისტორიის შესწავლის შესახებ აზრს ავითარებს მხარეთმცოდნეობითი მიდგომის მიხედვით" (517, გვ.387). მართალია, ამის შემდეგ თბილისის ისტორიაზე მეტად მდიდარი ლიტერატურა გამოვიდა (24, 25; 30ბ), მაგრამ ამ ნაშრომში თავმოყრილ დოკუმენტურ მასალას მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

გრ. ნათაძის მომდევნო ნაშრომი ეხება მე-19 საუკუნის გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს სულხან ბარათოვს, რომელიც გასული საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, უთუოდ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო; ეს არ არის ნაშრომი ამ სიტყვის წმინდა მეცნიერული გაგებით. ალბათ, გაცილებით უფრო სწორი ვიქნებოდით გვეთქვა, რომ ფაქტობრივად იგი წარმოადგენს სულხან ბარათოვის წინააღმდეგ დაწერილ პოლიტიკურ პამფლეტს. საქართველოს ისტორიის შესწავლის სფეროში ს. ბარათოვის წვლილის მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური შეფასება ღრმად ტენდენციური და სუბიექტურია, არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს; ამდენად, ჩვენ მისი განხილვისაგან თავს ვიკავებთ. სულხან ბარათოვისადმი, როგორც ისტორიკოსისადმი გრ. ნათაძის მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზები მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ და ეს მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ სოციოლოგიურ თვალსაზრისზე მდგომი ეკონომიკური მატერიალიზმის მომხრე გრ. ნათაძისათვის სრულიად მიუღებელია ს. ბარათოვის ისტორიული კონცეფცია. ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან ს. ბარათოვის როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევრის მიწასთან გასწორებას, განქიქებას, დამაჯერებლობა აკლია. გრ. ნათაძე მხოლოდ ამით რომ შემოფარგლულიყო, ეს იქნებოდა ჩვეულებრივი კამათი ორ ისტორიკოსს შორის. მაგრამ მან ისეთი უშვერი ტონი აირჩია, რომელიც წესიერი საზოგადოებისათვის არ არის მიღებული. ს. ბარათოვის ლანძღვა-გინება გრ. ნათაძის მიუტევებელ შეცდომად მიგვაჩნია. აი, ის იარლიყები რომლითაც ის ამკობს ს. ბარათოვს — „ფეოდალური ანუ ბურჟუაზიული მოაზროვნე" „დიდმპყრობელი შოვინისტი" გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ შესაძლოა ეს წიგნი დაწერილი იყო ბოლშევიკურ-ტოტალიტარული სახელმწიფოს მძლავრი ზეწოლის შედეგად, მაგრამ ეს მხოლოდ ცოტათი შეარბილებს გრ. ნათაძის პოზიციას და არ ამართლებს მას. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიერ ს. ბარათოვის სახელის განქიქების და სრულიად უმართებულოდ მივიწყების საქმეში გრ. ნათაძის წიგნ-პასკვილს ლომის წილი მიუძღვის. მან თავისი შეხედულებით თუ ტოტალიტარული სახელმწიფოს ზეწოლით ს. ბარათოვს, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარს სრულიად დაუმსახურებლად შეუქმნა უარყოფითი სახელი (587; გვ.104). ს. ბარათოვის მოღვაწეობის რეაბილიტაცია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ კეთილშობილურ საქმეს აკეთებს პროფ. გ. ნადირაძე თავის საინტერესო სტატიებში (493, 445).

1926 წელს ჟურნალმა „ჩვენი მეცნიერება" დასტამბა პროფ. გრ. ნათაძის საინტერესო სტატია „ დადიანების არქივი და სამეგრელოს ავტონომიის პრობლემა მე-19 საუკუნის დასაწყისში". გრ. ნათაძე წერდა: „ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლა მოითხოვს, რომ გარდა საერთო საქართველოს ისტორიისა, იქნეს განსაკუთრებულად შესწავლილი თვითოეული კუთხე. ასეთი მეთოდი უკვე გამოყენებულია საფრანგეთის ისტორიის შესასწავლად, სადაც ცალკე ქალაქებისა და ოლქების შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა. თუ საფრანგეთში ეს აღმოჩნდა საჭიროდ, მით უმეტეს ეს საჭიროდ უნდა მივიჩნიოთ ჩვენთვისაც" (496, გვ.80). ამ მსჯელობას პირველმა ყურადღება მიაქცია კ. გრიგოლიამ. მისი შეხედულებით გრ. ნათაძემ ამ ნაშრომში წამოაყენა ორიგინალური და უაღრესად საგულისხმო მოსაზრება არა მარტო საერთოდ საქართველოს ისტორიის, არამედ მის ცალკეულ კუთხეთა წარსულის შესწავლის საჭიროების შესახებ. ამ შემთხვევაში მკვლევარს საქართველოს ცალკეულ კუთხეთა ეკონომიური, პოლიტიკურ-კულტურული თავისებურებანი და საქართველოს საერთო ისტორიაზე მათი გავლენის გარკვევა ჰქონდა მხედველობაში (639, გვ. 9-13). ამით გრ. ნათაძემ ფაქტობრივად სტიმული მისცა საქართველოს ცალკეული რეგიონების სიღრმისეულ მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

შეიძლება ითქვას, რომ გრ. ნათაძემ არსებითად სწორედ წარმოაჩინა მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი რთული პრობლემა და ზაზი გაუსვა თუ როგორ გადაიქცა სამეგრელოს მთავარი, თანამედროვე ქართველი ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსეთის ერთგული, მორჩილი და დასავლეთ საქართველოში თვითმპყრობელობის პოლიტიკის თავწამკვდარ მსახურად" (103, გვ.264). ამიტომ აბსოლუტურად გაუმართლებლად მიგვაჩნია ის გულგრილი დამოკიდებულება, რომელსაც გრ. ნათაძის ამ ნაშრომის მიმართ იჩენდა მომდევნო პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, რაც, პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ იგი ფაქტობრივად უგულვებელყოფილი, იგნორირებული იქნა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ თუ ალ. ფირცხალაიშვილი თავის ნაშრომში საერთოდ არ იხსენიებს გრ. ნათაძის სტატიას, მ. დუმბაძეზე ამას ვერ ვიტყვით. მართალია, იგი გამოყენებულ ლიტერატურაში გრ. ნათაძის ნაშრომს ასახელებს, მაგრამ წიგნის შესავალში, სადაც ის მიმოიხილავს საკითხის ისტორიოგრაფიას მ. დუმბაძე არაფერს ამბობს გრ. ნათაძის შრომაზე. სწორედ მათ უნდა მიეცათ სათანადო შეფასება გრ. ნათაძის სტატიისათვის, მაგრამ ისინი ასე არ მოიქცნენ (114, გვ.122-124, 36, გვ. 420 და გვ.5-12).

ფაქტობრივად გრ. ნათაძემ ერთ-ერთმა პირველმა დასვა ეს საკითხი და სცადა შეძლებისდაგვარად გაეშუქებინა და ამის მიჩქმალვა, წაყრუება, ვფიქრობთ გამართლებული არ უნდა იყოს. გრ. ნათაძე არ ეხება დადიანების არქივში თავმოყრილი მასალის წყაროთმცოდნეობით ღირებულებას, რაც, შესაძლოა, მისი სტატიის პატარა მინუსია.

1929 წელს ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა გრ. ნათაძის სტატია „შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიკური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9-10-ე საუკუნეში გიორგი მერჩულეს და სუმბატის ქრონიკის მიხედვით". იგი მიზნად ისახავს გაარკვიოს საქართველოს ერთი რეგიონის შავშეთ-კლარჯეთის სოციალ-ეკონომიკური ყოფა მე- 9-10 საუკუნეებში, ამიტომ, ალბათ შეიძლება

ითქვას, რომ გრ. ნათაძის ეს სტატია თემატურად ეხმიანება მის წინა ნაშრომს. გრ. ნათაძემ კარგად მოიმარჯვა ევროპული ტრადიცია და ფაქტობრივად ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი საქართველოს ცალკეული რეგიონების მეცნიერული შესწავლის შესახებ, რაც საქართველოს ისტორიის კვლევის საკითხში გრ. ნათაძის დამსახურებად მიგვაჩნია.

გრ. ნათაძის ნაშრომის შეფასების პირველი ცდაა აბ. კიკვიძის ვრცელი წერილი „საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან", რომელიც ფაქტობრივად გრ. ნათაძის სტატიაზე რეცენზიად შეიძლება მივიჩნიოთ. აბ. კიკვიძემ გრ. ნათაძის ნაშრომი, ვფიქრობთ, განიხილა ცალმხრივად და სუბიექტურად. წინა პლანზე წამოწია მისი სუსტი მხარეები. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ აბ. კიკვიძე სიტყვას არ ძრავს გრ. ნათაძის სტატიის ღირსებაზე. ნუთუ მასში პოზიტიური არაფერი იყო?

ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ აბ. კიკვიძის თვალსაწიერის მიღმა რჩება, ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის ნაშრომის მთავარი ღირსება. გრ. ნათაძე იყო ერთ-ერთი პირველი ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელმაც დასვა საკითხი ფეოდალიზმის გენეზისისა დასავლეთ ევროპაში და საქართველოში, ყურადღება მიაქცია მათ შორის არსებულ მსგავსებას. ეტყობა, სწორედ ამ ასპექტში ესახებოდა ფასეულად თავისი ნაშრომი გრ. ნათაძესაც. მისი შეხედულებით, მე-9-10 საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში მსხვილი მემამულეობა ჩამოყალიბებული და გაფართოებული არ იყო. იგი წვრილ-წვრილ ნაჭრებადაა გაფანტული. ფეოდალური მეურნეობა მთლიანობასა და ორგანიზებულებას მოკლებულია. მასში მომუშავე მშრომელი გლეხობა არ იყო მუდმივად ერთ რომელიმე აპარატთან დაკავშირებული. როგორც გრ. ნათაძე ფიქრობს, ზუსტად ანალოგიური პროცესები ვითარდებოდა ევროპაში ოდნავ ადრე: ზუსტად იგივე მსხვილი, მაგრამ ნაჭრობრივად გაფანტული მიწათმფლობელობა. აქაც იგივე ფეოდალური სამეურნეო და სახელმწიფო აპარატის გარეშე მყოფი მშრომელთა მასა. გრ. ნათაძე განსხვავებას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ „დასავლეთ ევროპის ისტორიის მასალები უფრო ზუსტად და მკაფიოდ შტრიხებში იძლევიან იმას, რაც გიორგი მერჩულეს ნაწარმოებში ნაკლებადაა გამორკვეული". გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და „უდავოდ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიის გარკვეული კანონზომიერების გამოვლინებასთან" (500, გვ.107-108). მართალია, აბ. კიკვიძე აქ არსად იხსენიება, მაგრამ გრ. ნათაძის ნაშრომის ეს პასაჟი მის სტატიაზე პასუხად შეიძლება აღვიქვათ.

გრ. ნათაძეს მშვენივრად ჰქონდა გაცხადებული ის სირთულეები, რომელიც ახლდა თან აღნიშნული საკითხის შესწავლას. იგი წერდა — „ამ პრობლემის კვლევა-ძიება გაძნელებულია იმ გარემოებით, რომ ამ დროის შესახებ არ მოიპოვება ჯერ-ჯერობით ისეთი მასალა, რომელსაც მეცნიერი დაეყრდნობოდა, როგორც პირდაპირ ეკონომიური მდგომარეობის დამახასიათებელ საბუთს... ამიტომ ბევრი რამ ბუნდოვანია, რადგანაც წყაროები მეტის გარკვევის საშუალებას არ გვაძლევს" (512, გვ. 141). პირველ ყოვლისა, მისასალმებელი უნდა იყოს გრ. ნათაძის მცდელობა, შუქი მოფინოს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ აქტუალურ თემას შავშეთ-კლარჯეთის სოციალ-ეკონომიკურ ყოფას მე- 9-10 საუკუნეებში. პრობლემა არის ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი. აღნიშნული საკითხის გამორკვევა გრ. ნათაძემ გადაწყვიტა გიორგი მერჩულეს ცნობის და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით. „გრ. ნათაძემ საინტერესოდ შეხედა „გრ. ხანძთელის ცხოვრებას", რომელიც მარტო ლიტერატურულ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და გრ. ნათაძის თანახმად „ძვირფას ცნობებს იძლევა ტაო-კლარჯეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ, მაგრამ აღნიშნული წყარო ამ მხრითაც არ არის გამოყენებული პროფ. ნ. მარის მიერ, რომელსაც სრულიადაც არ მოსდის აზრად, რომ ეს წყარო შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძველი ტაო-კლარჯეთისა და ამის საშუალებით საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად" (517, გვ.386. 512, გვ. 204-205).

გრ. ნათაძის კონცეფცია, როგორც აბ. კიკვიძე აღნიშნავს, ეყრდნობოდა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მე-9-10 საუკუნეები გარდამავალი ხანა იყო, ხდებოდა პატრონყმობის შემზადება. საკითხის ასეთი დაყენება აბ. კიკვიძეს საკამათოდ მიაჩნია. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ იგი ეწინააღმდეგება არა მხოლოდ გრ. ნათაძეს, არამედ თვით დიდ ქართველ მეცნიერს ივ. ჯავახიშვილსაც. მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე მდგომი ახალგაზრდა მკვლევარი ფორმაციულ პრინციპს იმარჯვებს და ხაზს უსვამს, რომ მე-9-10 საუკუნეებში „შავშეთ-კლარჯეთში „ფეოდალური სახელმწიფო წყობილებასთან გვაქვს საქმე" (480, გვ.109).

ამ ეპოქის ტაო-კლარჯეთის სოციალური ყოფა მრავალფეროვანი, რთული და მრავალწყობიანია, რომელიც ამკარად სცილდება ვიწრო ფორმაციული მიდგომის ჩარჩოებს. ამიტომ „ფეოდალურ სახელმწიფო წყობილებაზე" ლაპარაკი ნაადრევი უნდა ჩანდეს და მიგვაჩნია, რომ ივ. ჯავახიშვილი და გრ. ნათაძე უფრო ახლოს იყვნენ სინამდვილესთან, ვიდრე მათი ახალგაზრდა ოპონენტი. გრ. ნათაძე იმ აზრისაა, რომ მე-9-10 საუკუნეებში შავშეთ-კლარჯეთის განვითარება, უფრო ფეოდალიზმის წინა დროს შეეფერება, რომელიც, მისი აზრით, ძალიან ახლოს იყო მეროვინგების ეპოქის ფრანკთა სახელმწიფოსთან და მე-9 საუკუნის შვაბიას, ტიურინგიას, ბავარიას და საქსონიასთან. იგი წერდა: „ყველა ეს პირობა სრულიადაც არ ახასიათებს არაფრით ფეოდალურ წეს-წყობილებას. მაინცადამაინც თუ ევროპის ისტორიის შესატყვისი პერიოდის ძებნას დავიწყებთ, ეს უფრო ფეოდალიზმის წინა დროს შეეფერება, როდესაც ახლად დაიწყო მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარება თემური წეს-წყობილების დარღვევების შემდეგ და როდესაც ხალხი ჯერ კიდევ გადასახლების

პროცესში იყო, რის გამოც ალაგ-ალაგ მოსახლეობა თხლად იყო დასახლებული (ფრანკთა მონარქიის დაარსების დასაწყისი ანდა მე-9 საუკუნის შვაბია, ტურინგია, საქსონია, ბავარია). აქაც, როგორც კლარჯეთში, დამახასიათებელია მიწის დაჭერა და არა შეწყალება, როგორც საფუძველი მიწათმფლობელობისა გამოურკვეველი ანუ არეული პირვანდელი ფორმები მეურნეობისა და ხალხის სითხელე" (512, გვ.232). შესაძლოა, ამ მსჯელობის ცალკეული დეტალები საკამათო იყოს, მაგრამ მთლიანობაში საქართველოს ამ კუთხის მიმართ იგი გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი ჩანს, ვიდრე ეს პატიეცემულ ოპონენტს ჰგონია.

გრ. ნათაძე ხაზს უსვამს, რომ ამ კუთხის ისტორიულ განვითარებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საგარეო საფრთხე (სპარსელები, არაბები, ბიზანტია). გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ შავშეთ-კლარჯეთის ფეოდალიზაციის პროცესი გასრულდა მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში: იგი წერდა:— „შეიძლება ამ ხანას ვუწოდოთ ფეოდალიზმის შემზადების ხანა. ისიც თავიდან კი არა, მეორე პერიოდში, როდესაც გააჩნდა ერისთაობა და ერისთავთერისთავობა, ისევე როგორც მეროვინგების ხანის დასავლეთ ევროპაში" (512, გვ.156).

ამ რეგიონის სწრაფ აღორძინებას გრ. ნათაძე ასე გვიხსნის — „ეს პროცესი, რომელიც შავშეთ-კლარჯეთმა შედარებით ასე მალე განვლო, პროცესი ფეოდალიზმის შემზადებისა, ევროპაში რამოდენიმე საუკუნე გრძელდებოდა. რად გაიარა მან ასე ჩქარა შავშეთ-კლარჯეთში? მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ ქვეყნის ასეთი ჩამოქვეითება ბუნებრივი და ორიგინალური ხასიათისა კი არა ყოფილა, აკლებას გამოუწვევია. ამიტომ ხალხს ძველი კულტურა და უნარი იქამდის შერჩენია, რომ ახალ პირობებში სწრაფად აღუდგენია თავისი ძველი ტრადიცია" (512, გვ.156).

გრ. ნათაძის მსჯელობის ამოსავალი წერტილია საქართველოს ბუნებისა და მისი ერის შემოქმედებითი ძალების ურთიერთობა, მისი დიალექტიკური ცვალებადობა. სწორედ ამ კუთხით ცდილობს ის განიხილოს ისტორიული პროცესები და კონკრეტულად კი ტაო-კლარჯეთის დაწინაურების მიზეზები. მისი შეხედულებით კი ტაო-კლარჯეთის აღზევება, უწინარეს ყოვლისა განპირობებული იყო იმით, რომ მტკვრისა და რიონის ხეობა ჩაკეტილი იყო არაბი დამპყრობლების მიერ (512, 206-207).

ტაო-კლარჯეთის აღორძინების მიზეზების ამგვარი ახსნა არადამაჯერებლად მიგვაჩნია. პირველ ყოვლისა წამოიჭრება კითხვა, რამდენად მართლზომიერი უნდა იყოს საუბარი რიონის ხეობის კარჩაკეტილობის შესახებ? დასავლეთ საქართველოში არაბებმა ფეხი ვერ მოიკიდეს. ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის თვალსაწიერის მიღმა დარჩა მთავარი და არსებითი, რომ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს, ეგრის-აფხაზეთს და ტაო-კლარჯეთს ყოველთვის ზურგს უმაგრებდა ბიზანტია, რომელიც ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას საქართველოს ამ რეგიონში (139, გვ.109-23; 62, გვ.402-416. 416-445. 103, გვ. 87).შეიძლება გრ. ნათაძე ცოტათი ამტკნებდა ტაო-კლარჯეთის ყოფას ამ ეპოქაში, რაც მნიშვნელოვანწილად წყაროებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულებით უნდა იყოს განპირობებული (512, გვ.206-207). „ქართული წყაროების მოწმობა ამ კუთხის დაქვეითების. გავერანების თაობაზე საფუძველს მოკლებული არ ჩანს, თუმცა მისთვის უცხო არ უნდა იყოს მიკერძოება. საქმე ისაა, რომ გიორგი მერჩულეც და სუმბატ დავითის ძეც იმ თვალსაზრისით, რომ უფრო უკეთესად წარმოაჩინონ გრ. ხანძთელისა და დავით კუროპალატის ღვაწლი, ხაზს უსვამენ იმ კუთხის გავერანებას, გაუდაბურებას, სადაც შემდგომში იშლება მათი მოღვაწეობა" (62, გვ.446-447). როგორც ჩანს, ამ საკითხში გრ. ნათაძე უფრო ნიკო მარის ხაზს მიჰყვება, ვიდრე ივ. ჯავახიშვილისას, რაც საკამათო უნდა იყოს.

ცხადია, მისასალმებელია, რომ გრ. ნათაძე არ გაურბის რთული საკითხების განხილვას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი მსჯელობა მიწათმფლობელობის ფორმებზე ტაო-კლარჯეთში მე-9-10 საუკუნეში. გრ. ნათაძემ პირველმა თუ არა, ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი აღნიშნულ ეპოქაში მიწათმფლობელობის ფორმების შესახებ საქართველოში, კერძოდ კი შავშეთ-კლარჯეთში, რასაც აბ. კიკვიძე არც ეხება. სულ სხვა საკითხია ის, თუ რამდენად შეძლო მან ამ ძნელი პრობლემის გადაწყვეტა. როგორც წყაროებიდან ჩანს, საქართველოში მე-9-10 საუკუნეებში მიწათმფლობელობის ორ ძირითად სახესთან გვაქვს საქმე. პირობითი მიწისმფლობელობა ანუ სამსახურის სანაცვლოდ მიღებული წყალობა და ფეოდალის საკუთრება „მამული". მიწისმფლობელობის ამ სისტემის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა მიწის პირობითი მფლობელობა (489, 62, გვ.333). ლოგიკური იქნება ვიკარაუდოთ, რომ მიწათმფლობელობის ეს ორი ფორმა იქნებოდა შავშეთ-კლარჯეთშიც; უნდა ითქვას რომ ამ რთულ საკითხზე გრ. ნათაძის მსჯელობა ბუნდოვანი და გაურკვეველია. დამ. - ჯერებლად არაა ნაჩვენები, თუ რა განსხვავებაა ფაქტობრივ და კანონიერ მიწისმფლობელობას შორის. ვფიქრობთ, ამ საკითხში გრ. ნათაძის მსჯელობა საჭიროებდა მეტ სიცხადეს და ალბათ, საკამათოც ცოტა იქნებოდა.

შავშეთ-კლარჯეთში მე- 9-10 საუკუნეებში მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გამორკვევა, წყაროებში არსებული მწირი ინფორმაციის გამო, ძალიან ჭირს (139, გვ.115. 512, გვ.141).

საკუთარი ვიზიარებთ პროფ. აბ. კიკვიძის შენიშვნას, რომ სრულიად შეუწყნარებელია ქურდების, ავაზაკების, ყაჩაღების, გლახაკებად გამოყვანა (480, გვ.115). აკად. რ. მეტრეველის აზრით, „სხვადასხვა დეკლასირებული ელემენტების (მეკობრეები, მპარავნი, გლახაკნი და სხვა) ერთ სიბრტყეზე განხილვა და მათი წარმომავლობის კონკრეტული მიზეზების გაიგივება არ გვეჩვენება მთლად სწორად" (74, გვ.260. 72). რა თქმა უნდა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ამ შემთხვევაში გრ. ნათაძემ დაუშვა სერიოზული შეცდომა, რომელიც ასეთ კვალიფიცირებულ სპეციალისტს არ უნდა დაემართოს.

თავისი ნაშრომის დასკვნით ნაწილში გრ. ნათაძე აზრს გამოთქვამს ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ ყოფაზე მე-9-10 საუკუნეებში. იგი ფიქრობს, რომ თავდაპირველად დასაწყისში აშოტ კუროპალატის მმართველობის სისტემა „ზნეობრივ მორჩილებაზე" იყო დამყარებული. როგორც გრ. ნათაძე აღნიშნავს, ქართლისგან განსხვავებით ტაო-კლარჯეთში ცოტა სხვა ვითარებაა და აქ პატრონყმობა თითქმის არ უნდა ჩანდეს. საქმე ისაა, რომ ტაო-კლარჯეთში არჩევანი არ იყო; აშოტ კუროპალატი ერთადერთი მფარველია მთელს ამ კუთხეში და ქვეშევრდომებს სხვა არჩევანი არ გააჩნდათ; ამიტომ გრ. ნათაძის მიხედვით „ტაო-კლარჯეთში შექმნილ ვითარებას უნდა მფარველობითი ვუწოდოთ. მხოლოდ ეს სიტყვა გამოჰხატავს იმ დროგამოშვებით, შემთხვევით ეკონომიური კავშირის და ნებაყოფლობითს, მოვალეობის, ზნეობრივი შეგნების ელფერის მატარებელ ურთიერთობას, რომელიც დამყარდა შავშეთ-კლარჯეთში" (512, გვ.154-155). გრ. ნათაძის ამ მოსაზრებას არ იზიარებს პროფ. აბ. კიკვიძე. იგი ფიქრობს, რომ „აშოტ კურაპალატის მმართველობის სისტემა, არ იყო „ზნეობრივ მორჩილებაზე" დამყარებული, მფარველობითი სისტემა, როგორც ამას პროფ. გრ. ნათაძე კატეგორიულად ადგენს. აშოტ კუროპალატის მფარველობა შავშეთ-კლარჯეთზე, როგორც უკვე გამორკვეულია, მისსა და შავშეთ-კლარჯეთის მოსახლეობის პატრონყმურ დამოკიდებულებას გულისხმობს, ხოლო ამ ნიადაგზე კი პატრონყმური (ფეოდალური) სახელმწიფო წყობილებას" (480, გვ.117). აბ. კიკვიძის ამ კრიტიკულ შენიშვნას ვერ გავიზიარებთ. აშოტ კუროპალატის ძალაუფლება შეზღუდული რომ იყო, ეს საეჭვო არ ჩანს. აშოტ კუროპალატი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ბიზანტია და მისი თანმხლები ამალა, რა თქმა უნდა, იძულებულია ანგარიში გაუწიოს როგორც ერთს, ისე მეორეს. ასეთ პირობებში, ცხადია, ძნელი მისახვედრი არაა თუ რა ურთიერთობაში იქმნებოდნენ მთავარი და დიდებულები. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს აშოტ კუროპალატის მკვლელობის ფაქტი. როგორც აკად. მ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, იგი აშკარად მეტყველებს იმ დიდ შინაგან წინააღმდეგობაზე, რომლის გადალახვაც უხდებოდათ აშოტ ბაგრატიონს ხელისუფლების განმტკიცებისათვის" (62, გვ.462-463). ამიტომ სადავოა აბ. კიკვიძის შეხედულება, რომ „აშოტ კუროპალატის მკვლელობის ფაქტი, რაც ახნაურთა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ყველაზე დიდ საბუთად მიაჩნია პროფ. გრ. ნათაძეს, ვერ დაამტკიცებს საახნაურო დამოუკიდებელი უჯრედის არსებობას" (480, გვ. 117).

ამრიგად, აბ. კიკვიძის მისწრაფება, გააცამტვეროს გრ. ნათაძის ეს ნაშრომი, საფუძველს მოკლებულია. ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის ამ ნაშრომს გააჩნია გარკვეული ღირსებები, რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა.

საქართველოს ისტორიაში გრ. ნათაძის შემდეგი ნაშრომი მე-18 საუკუნეს შეეხება. ეს არის მისი სტატია „საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის საკითხი მე-18 საუკუნის მიწურულს". გრ. ნათაძის ამ ნაშრომის შეფასების პირველი სერიოზული ცდაა ნიკო ბერძენიშვილის მიერ 1937 წელს დაწერილი გამოკვლევა სამღვბროების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ არსებითად ეს არის გრ. ნათაძის ნაშრომზე გამოხმაურება-რეცენზია. ნიკო ბერძენიშვილმა მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, უხვი ფაქტობრივი მასალის მოშველიებით, დამაჯერებლად ცხადყო გრ. ნათაძის სტატიის მთავარი ნაკლი და ხაზგასმით მიუთითა, რომ სამღვბროების გაიგივება საბაჟოსთან, როგორც ამას გრ. ნათაძე აკეთებდა, სწორი არ უნდა იყოს და არავითარი საფუძველი არ გააჩნია (458, გვ.309-351). სასურველი იქნებოდა გრ. ნათაძეს თავის სტატიაში სულ მოკლედ მიმოეხილა საკითხის ისტორიოგრაფია. ეს, ვფიქრობთ, შინაარსობრივად გაამდიდრებდა მის ნაშრომს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ ისტორიოგრაფიაში დომინირებდა შეხედულება, რომ საქართველო მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე გვევლინება ჩამორჩენილ, სუსტ სახელმწიფოდ და ცხოვრობდა ნატურალური მეურნეობის ტიპური ფორმების ფარგლებში (გ. გოგიჩაიშვილი, ს. ავალიანი). ერთ-ერთი პირველი, ვინც ხმა ამოიღო საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ამგვარი შეფასების წინააღმდეგ, სარგის კაკაბაძე იყო, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი პოზიცია ამ საკითხზე იყო მეტად წინააღმდეგობრივი და არათანამიმდევრული (470; 563; 564; 7; გვ.8-10). ვფიქრობთ, სწორედ ესაა ძირითადი განსხვავება მისსა და გრ. ნათაძის შეხედულებებს შორის. პრაქტიკულად გრ. ნათაძე იყო პირველი ისტორიკოსი, რომელიც მტკიცედ დაადგა განსხვავებულ თვალსაზრისს, რაც, სამწუხაროდ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვნად არ ყოფილა ხაზგასმული (462, გვ. 160; 7, გვ. 11).

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი ქართული ეკონომიკის განვითარებაში მეტად საინტერესო ხანაა. გრ. ნათაძის შეხედულებით „საქართველოს ისტორიაში ეს ისეთი მომენტია - როგორიც დასავლეთ ევროპის ისტორიაში საფრანგეთის რევოლუცია ანდაც სამრეწველო გადატრიალება ინგლისში" (584, გვ.123). უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძე წინ აღუდგა გაბატონებულ თვალსაზრისს, რომელიც საქართველოს მე-18 საუკუნის მიწურულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში ტიპიური ნატურალური მეურნეობის ქვეყნად აცხადებდა და ამით აკნინებდა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. ამ დისკუსიაში გრ. ნათაძემ წამოაყენა ორი სერიოზული დებულება, რომელმაც შემდგომი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დიდი ყურადღება მიიქცია: 1. მე-18 საუკუნის შუა ხანების საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში შესამჩნევი გამოცოცხლება შეიმჩნევა „ყველა მონაცემი არსებობს ვიფიქროთ რომ სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებამ მე-18 საუკუნის მიწურულს უკვე მოასწრო ფეოდალური წყობის საფუძვლების შერყევა", 2. გრ. ნათაძე ხაზს უსვამს, რომ არავითარი პრინციპული განსხვავება მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ პროცესებს შორის არ არსებობს. სა-

ქართველოს რუსეთთან შეერთებას არ შეუცვლია ქვეყნის განვითარების ხასიათი და მიმართულება, მხოლოდ უფრო მეტი სიღრმე და სისწრაფე მისცა მას.

გრ. ნათაძის მიერ წამოყენებულმა მოსაზრებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და მის ირგვლივ სერიოზული დისკუსია გაიმართა. მისი მონაწილეები, ჩვენი აზრით, პირობით სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: მოწინააღმდეგეები, მომხრეები და კომპრომისულ პოზიციაზე მდგომნი. პირველ ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ პროფ. დოროთი უჩანეიშვილი. იგი აშკარად აკნინებს მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების საერთო დონეს და იმ ეპოქის საქართველოს წარმოაჩენს როგორც ნატურალური მეურნეობის ქვეყანას, სადაც საბაზრო კავშირურთიერთობები ჯერ კიდევ არ იყო ჯეროვნად განვითარებული (624, გვ.386-389). პრაქტიკულად დ. უჩანეიშვილი ძველი თვალსაზრისის დამცველად გამოდის და უნდა აღინიშნოს, რომ მისი თვალსაზრისი ისტორიოგრაფიაში გაზიარებული არ ყოფილა (462, გვ.171; 7; გვ. 13). ამიტომ მის მიერ გრ. ნათაძის შეხედულებების კრიტიკას, ცხადია, ვერ მივიღებთ.

დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციაზე დგას პროფ. აპოლონ როგავა. მას მიაჩნია, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება საკმაოდ მაღალ დონეზეა და აქ ამ ეპოქაში საბოლოოდ მოიკიდა ფეხი კაპიტალისტურმა წყობამ. ასეთი შეფასება გადაჭარბებული უნდა იყოს. ამიტომ ის მცირე კორექტივები, რომელიც აპ. როგავას შეაქვს გრ. ნათაძის მსჯელობაში, საკამათოა. „ჩვენ გვსურს შევასწოროთ მისი ბოლო ფრაზები „და იწყებოდა განვითარება რაღაც აგრარული კაპიტალიზმის მსგავსის" სიტყვებით „და ჩამოყალიბდა აგრარული კაპიტალიზმის საწყისები" ამ განსხვავებას აპ. როგავა იმით ხსნის, რომ გრ. ნათაძეს თავის დროზე არ გააჩნდა ის დოკუმენტები, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა (361, გვ.111-112).

არათანმიმდევრულად ჩანს გრ. ნათაძის შეხედულებებისადმი პროფ. დერმიშა გოგოლაძის დამოკიდებულება, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ წინააღმდეგობრივი პოზიციით, რომელიც პატივცემულ მკვლევარს მე-18 საუკუნის მიწურულის და მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეკონომიკის შეფასების დროს უკავია, რის თაობაზეც სავსებით სამართლიანად მიუთითა პროფ. ირ. ანთელავამ თავის მონოგრაფიაში „მე-18 საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხი" (7, გვ. 21). თავდაპირველად პროფ. დ. გოგოლაძე მხარს უჭერს გრ. ნათაძის მოსაზრებას და დასძენს, რომ „როგორც ვხედავთ, პროფ. ს. კაკაბაძეს და პროფ. გრ. ნათაძეს უეჭველად სწორად ესმით გარდატეხის ხანა. რომ ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობას უნდა გამოეწვია სოციალ-ეკონომიკური ძვრები - უნდა დარღვეულიყო ფეოდალური განვითარება და ახალი ხანა შემოსულიყო" (27, გვ.168). სრულიად სხვა შეხედულებას ავითარებს ავტორი 1970 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება გვიან ფეოდალურ ხანაში (1800-1864)", სადაც იგი ძველ ტრადიციას უბრუნდება და უარყოფს თავის ადრინდელ შეხედულებას. ბუნებრივია, რომ ყველაფერი ეს თავის ასახვას პოვებს გრ. ნათაძის პოზიციისადმი დამოკიდებულებაში. იგი, გრ. ნათაძეს სამართლიანად მიუთითებს, რომ „კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის ნათელსაყოფად უფრო მეტი ფაქტობრივი მასალის მოტანა იყო საჭირო" (27, გვ.168).

საინტერესოა ვიქტორ გუჩუას დაკვირვება, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის გრ. ნათაძის შეხედულებების ევოლუციაზე. აი, რას წერდა გრ. ნათაძე 1925 წელს თავის წიგნში „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა". „ერეკლე მეორის დროს, ქართლ-კახეთში სავაჭრო კაპიტალი გაჩნდა და ქვეყანამ ეკონომიკური აღორძინება იწყო, მაგრამ სავაჭრო კაპიტალმა და ხელოსნობამ ისეთ ძლიერებას ვერ მიაღწია, რომ მას მსხვილი ფეოდალური მემამულეობის დარღვევა შეძლებოდა" (83, გვ. 118). აქ იგი ჩანს, ისევ ძველი ისტორიოგრაფიული ტრადიციის გავლენას განიცდიდა. ეს ადვილი გასაგებიცაა, ვინაიდან ამ დროისათვის მას ეს პრობლემა საგანგებოდ შესწავლილი არ ჰქონია და, ეტყობა, უბრალოდ გაიზიარა სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრება. 1930 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი უკვე იმ შეხედულებას ავითარებს, რომ „მე-18 საუკუნის ბოლოს კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში, უკვე მოასწრო საქართველოში ფეოდალური წყობილების საფუძვლების შერყევა" (584, გვ.148-149, 151, 160). ვ. გუჩუამ კარგად დაინახა ეს განსხვავება, მაგრამ მისი დამაჯერებლად ახსნა ჩვენი აზრით, ვერ შეძლო. ყოველივე ამას ვ. გუჩუა იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ „გრ. ნათაძე ფაქტიური მასალის შესწავლის შედეგად მივიდა იმის საწინააღმდეგო დასკვნამდე, რასაც თვითონ ამტკიცებდა 1925 წელს" (462, გვ.169). უნებლიედ წამოიჭრება კითხვა. ეს პრობლემის საწინააღმდეგო გადაწყვეტა იყო, როგორც ამას ხაზს უსვამს ვ. გუჩუა, თუ მისი შემდგომი ჩაღრმავება, სრულყოფა, დახვეწა. იქნებ ეს უკანასკნელი უფრო იყო, ვიდრე პირველი?

უნდა ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ არსებითად გაიზიარა გრ. ნათაძის დებულება, რომ „მე-18 საუკუნის მიწურულის და მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს შორის არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობდა. რუსეთთან შეერთებას კი არ შეუცვლია ქვეყნის განვითარების ძირითადი ტენდენციები, არამედ მან უფრო მეტი სისწრაფე და სიღრმე მისცა მას და კატალიზატორის როლი შეასრულა" (462, გვ. 169-170; 7; გვ.11).

გრ. ნათაძის პოზიციისადმი პროფ. ირაკლი ანთელავას დამოკიდებულება კომპრომისულად მიგვაჩნია, რაც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მკვლევარი იძულებულია არ გასცდეს ძალად თავსმოხვეული ფორმაციული პრინციპის ჩარჩოებს. „ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოში ფეო-

დალური ურთიერთობების საფუძვლები უკვე მორყეული იყო, მაგრამ არც იმას ვფიქრობთ, რომ ამ საფუძვლების შერყევას საფრთხე არ ემუქრებოდა" (7, გვ.11) – დასძენს პროფ. ირ. ანთელავა. იგი არ უარყოფს ახალ მოვლენებს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეკონომიკაში, მაგრამ მასში არ ხედავს გაბატონებული წყობილების სერიოზულ საფრთხეს (7, გვ. 28). რამდენად ადეკვატურად ასახავდა ასეთი მიდგომა საქმის ვითარებას ძნელი სათქმელია. უნდა დავეთანხმოთ ირ. ანთელავას, რომ „სამწუხაროდ ავტორის მართებული დებულება, რომ რუსეთთან შეერთებას არ შეუცვლია ქვეყნის განვითარების ხასიათი და მიმართულება და მხოლოდ მეტი სიღრმე და სისწრაფე მისცა მას, სათანადო დამაჯერებლობით ვერაა დასაბუთებული" (7, გვ.11).

პირადად ჩვენ გვგონია, რომ იმ სიახლეების მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება, ცხადია, არ ღირს, მაგრამ მე-18 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, პროგრესული ტენდენციები ქართულ ეკონომიკაში შეუქცევად ხასიათს იღებს, რაც იმით გამოიხატება, რომ გაბატონებული წყობილების წიაღში ისახება ახალი პროგრესული ურთიერთობები. მე-18-19 საუკუნის მიჯნა ქართული ეკონომიკის განვითარების გარდამავალი საფეხურია. სიახლეები ქართულ ეკონომიკაში მეტად ნელა მიიკვლევს გზას, რაც უმთავრესად საგარეო საფრთხითაა განპირობებული. ამიტომ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სახეს ეს პროცესები იღებენ მე-19 საუკუნის დამდეგს, როდესაც ეს საფრთხე საბოლოოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან. შესაძლოა, გრ. ნათაძე მართლაც ცოტათი აჭარბებდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიკაში ახალი ტენდენციების განვითარების მნიშვნელობას, მაგრამ ერთ რამეში იგი უდავოდ მართალია, მე-18 საუკუნის მიწურულიდან პროგრესული საწყისი ქართული ეკონომიკის განვითარებაში შეუქცევადია. ამრიგად, მიუხედავად დაშვებული უხეში შეცდომისა (სამღებროების გაიგივება საბაჟოსთან), გრ. ნათაძის ამ ნაშრომის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ აქტუალური თემის შესწავლის საკითხში მან არსებითად სწორი გზა აირჩია, რომელიც მომდევნო პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ კიდევ უფრო გააღრმავა, განავითარა, დახვეწა, ახალი წყაროებით გაამდიდრა, რამაც პრინციპულად ახალ ეტაპზე აიყვანა ამ პრობლემის შესწავლა.

ამ პერიოდის საქართველოს ისტორიას შეეხება გრ. ნათაძის ნაშრომი „სახასო გლეხობა აღმოსავლეთ საქართველოში მე-18 საუკუნის დასასრულს"

სამეცნიერო ლიტერატურაში გრ. ნათაძის ეს ნაშრომი საკმაოდ ვრცლადაა განხილული და, ვფიქრობთ, ჯეროვნადაა დაფასებული. ნათქვამი, პირველ ყოვლისა ეხება დავით გვრიტიშვილისა და გულჩინა აკოფაშვილის შრომებს. გრ. ნათაძის ამ ნაშრომის ღირებულებაზე თავისი მოსაზრება ჯერ კიდევ დ. გვრიტიშვილმა გამოთქვა. ის მოკლედ შეეხო ამ საკითხს თავის წიგნში „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან", ხოლო შემდეგ უფრო ვრცლად გაარჩია ეს თემა მეორე წიგნში „მასალები საქართველოს გლეხობის ისტორიიდან (მე-18 საუკუნე)"

უნდა აღინიშნოს, რომ მან თავიდანვე დადებითად შეაფასა ამ მიმართულებით გრ. ნათაძის მიერ ჩატარებული კვლევა. აი, რას წერდა დ. გვრიტიშვილი – „ქართული ფეოდალიზმის ისტორიის შესწავლის საქმეში ყურადღებას იქცევს პროფ. გრ. ნათაძის ნაშრომი - „სახასო გლეხები", რომელიც ენის ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მასალებში (1937 წ. ნაკვეთი 5) გამოქვეყნდა. მან (ე.ი. გრ. ნათაძემ - მ.კ.) პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო გლეხები საქართველოში მრავლდებიან. იგი შეეცადა აგრეთვე ეს მოვლენა სათანადოდ შეეფასებინა" (23, გვ, 31). დ. გვრიტიშვილი ხაზს უსვამს, რომ გრ. ნათაძემ ამ კატეგორიის გლეხი ფეოდალური ურთიერთობის პირმშოდ გამოაცხადა. დ. გვრიტიშვილის მიხედვით, გრ. ნათაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა, რომ „საშინაო არეულობათა მძიმე პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ფეოდალთა ბრძოლის დროს „სახასო" გლეხი უნდა ყოფილიყო მეფის ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ცოცხალი სამხედრო ძალა" (22, გვ.57). განაგრძობდა რა დაწყებულ მსჯელობას, პროფ. დ. გვრიტიშვილი დასძენს, „პროფ. გრ. ნათაძემ სამართლიანად შენიშნა, რომ მე-18 საუკუნეში ამ კატეგორიის გლეხთა შემოსავალი მკვეთრად იზრდება და ამასთან დაკავშირებით იზრდება მათი პოლიტიკური მნიშვნელობა" (22 გვ.57). დ. გვრიტიშვილის თანახმად „გრ. ნათაძე ამ ფაქტს უკავშირებს საერთაშორისო ასპარეზზე კაპიტალისტური ურთიერთობის წინსვლას, რაც მისი ღრმა რწმენით, ცხადია, საქართველოზეც ახდენდა გავლენას" (22, გვ.57). დ. გვრიტიშვილი მიუთითებს კიდევ ერთ საინტერესო მომენტზე, რომელსაც ყურადღებას აქცევს გრ. ნათაძე „არაგვისა და ქსნის საერისთავოების გაუქმების საქმეში მეფის მთავარ დასაყრდენად გვევლინებიან სახასო გლეხები და ამ საერისთაოების ლიკვიდაციის შედეგად მეფის სახასო ყმების რიცხვი მკვეთრად მატულობს" (22, გვ.57). ავტორის აზრით, გრ. ნათაძემ კარგად შენიშნა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისითაც მეფის სახასო ყმები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ თავადის გლეხებთან შედარებით (22, გვ.57). დ. გვრიტიშვილი მიგვითითებს გრ. ნათაძის ნაშრომის კიდევ ერთ დადებით მომენტზე „მკვლევარის აზრით, ცენტრალური ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ „სახასო" გლეხების რიცხვი გაამრავლოს და ამას იმიტომ ჩადის, რომ ხელთ იგდოს ქვეყნის მართვის ყველა საშუალება" (22, გვ.57). დაბოლოს, დ. გვრიტიშვილი დასძენს, რომ „არ შეიძლება არ გავიზიაროთ განსვენებული მეცნიერის ის დებულებაც, რომ ცენტრალური (სამეფო) ხელისუფლების გაძლიერების ცდები და მაშასადამე, ცდები „სახასო" გლეხთა ფენის გამრავლებისა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მეფე დაინტერესებული

იყო ფეოდალთა სისტემის მოსპობით" (22, გვ. 57).

გრ. ნათაძის სტატიაზე თავისი მოსაზრებები გამოთქვა პროფ. გ. აკოფაშვილმა. მას მიაჩნია, რომ „მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში საბატონო მეურნეობის განვითარების შესახებ საყურადღებო შენიშვნები გამოთქვა გრ. ნათაძემ" (2, გვ.539). გ. აკოფაშვილის თანახმად „გრ. ნათაძემ ყურადღება მიაქცია მიწის ნაკვეთების გაყიდვის ფაქტებს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერთის მხარე ზედმეტი მიწისგან თავისუფლდებოდა, ხოლო მეორე კი მამულს აფართოვებდა, ამრგვალებდა" (2 გვ. 539). გ.აკოფაშვილის აზრით „გრ. ნათაძე კარგად ხედავს იმ წინსვლას, პროგრესს, რომელსაც ადგილი აქვს ამ პერიოდის სოფლის მეურნეობაში. გრ. ნათაძე ერთმანეთს ადარებს მე-18 საუკუნის მიწურულს და წინა ეპოქას მე-17 საუკუნის დასასრულს და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა შესამჩნევ ცვლილებებს" (2, გვ. 539). გ. აკოფაშვილს მნიშვნელოვნად მიაჩნია გრ. ნათაძის მოსაზრება მემამულეთა ანგარიშიანობის განვითარების შესახებ. მემამულეებმა დაიწყეს გლეხთა საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა. შემოიღეს დავთრები, ადგენდნენ ყმათა სიებს (451ა, გვ.539). ამის ნათელსაყოფად გრ. ნათაძე ყურადღებას მიაპყრობს სოფელ ხოდაშენს. სოფლის შემოსავლის ზრდა, გრ. ნათაძის თვალსაზრისით, მეურნეობის რაციონალიზაციის, მიწის ექსპლუატაციის გაუმჯობესების წესით შემოღების შედეგად მოხდა" (2, გვ. 539). დარეჯან დედოფლის, მარიამ დედოფლის და სხვათა მეურნეობის შესახებ დოკუმენტები, გრ. ნათაძის აზრით, მიუთითებენ იმას, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში „არაჩვეულებრივად გაიზარდა კულტურული მიწების რაოდენობა. აითვისეს დამუშავებული სახნავ-სათესი მიწები, გაამენეს ბაღები და ვენახები; წარმატებით მიმდინარეობდა ბამბის, თუთის ხის გაშენება, რაზედაც იმ დროისათვის დიდძალი თანხა იხარჯებოდა" (2, გვ.539).

გრ. ნათაძემ წამოაყენა სწორი დებულება, რომ „სახასო" გლეხებს შორის ქონებრივი დიფერენციაცია თავდახსნის გაცილებით უფრო უკეთეს საშუალებას ქმნიდა, ვიდრე საბატონო გლეხებში. შემდგომი პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ საკვანძოთ გაიზიარა გრ. ნათაძის ეს დაკვირვება, თუმცა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძე, როგორც თავისი წინამორბედი რატომღაც სრულიად მიივიწყა (465, გვ. 385-399).

გრ. ნათაძემ ერთ-ერთმა პირველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტყვეობიდან საკუთარი შესაძლებლობებით თავდახსნილი და სამშობლოში დაბრუნებული გლეხი თავისუფალი ხდებოდა. ძველი ბატონი მასზე ყოველნაირ უფლებას კარგავდა. ამ კატეგორიის გლეხი ვისაც მოისურვებდა იმას ეყმობოდა. როგორც წყაროებიდან ვგებულობთ, უმეტეს შემთხვევაში, ეს „დაკარგული" გლეხების დიდი ნაწილი „სახასო" ყმებად ეწერება, მათი რიცხვის ზრდა, ცხადია, საბატონო გლეხების ხარჯზე ხდებოდა. ამას კი თავისი მნიშვნელობა ჰქონდა — ფეოდალთა შეზღუდვა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, გაძლიერება (585, გვ. 323-366).

მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიაზე დაწერილი გრ. ნათაძის ეს ორი ნაშრომი, მიუხედავად მასში დაშვებული შეცდომისა (სამღვბროების გაიგივება საბაჟოსთან) საგულისხმო უნდა იყოს და მასში გამოთქმული ძირითადი დებულებები სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მან კარგად დაინახა ახალი მოვლენები მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეკონომიკაში და ხაზი გაუსვა, რომ მე-18 საუკუნის მიწურულის და მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს შორის არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობდა. რუსეთთან შეერთებას არ შეუცვლია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულება. მან კატალიზატორის როლი შეასრულა და მხოლოდ მეტი სიღრმე და სისწრაფე მისცა უკვე დაწყებულ ეკონომიკურ ძვრებს. გრ. ნათაძემ დამაჯერებლად უჩვენა მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოში „სახასო" გლეხების რიცხვის გაზრდა და შეეცადა აეხსნა ამის მიზეზი.

გრ. ნათაძის კალამი შეეხო ქართველი ხალხის ხელიხელ საგოგმანებელ ქმნილებას შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს". ამ საკითხს მან ორი ნაშრომი უძღვნა „ასმათი ფეოდალური სისტემის ასპექტში და სამამულო ომის გმირები" და „მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში"

გრ. ნათაძის პირველი ნაშრომი „ასმათი ფეოდალური სისტემის ასპექტში და სამამულო ომის გმირები" (494, გვ. 71-73), ნაცრისტურ გერმანიასთან ომის გამოძახილია და დღეს უკვე მოძველებულია. ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. შედარებით უფრო სერიოზულ ხასიათს ატარებს მისი მეორე ნაშრომი „მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში".

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაშრომი გრ. ნათაძის ბრწყინვალე ერუდიციის კიდევ ერთ შესანიშნავ ნიმუშად გვევლინება და თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი თავის სტატიაში ახალ ამპლუაში მოგვევლინა, როგორც რუსთველოლოგიაში ჩახედული მეცნიერი.

გრ. ნათაძე თავის ნაშრომს „მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში" ხუთ ნაკვეთად ყოფს, რომელთა მეცნიერული ღირებულება, ჩვენი აზრით, ერთნაირი არ უნდა იყოს.

საკითხისადმი გრ. ნათაძის მიდგომა მეცნიერულია. იგი ძალიან კარგად იცნობს პირველწყაროს და მის რუსულ თარგმანებს. რუსთაველის თხზულების ირგვლივ არსებულ საკვლევ ლიტერატურას და თავის მსჯელობას ამ მრავალფეროვან მასალაზე აგებს. აქედან გამომდინარე, გამოაქვს საკუთარი დასკვნები.

გრ. ნათაძე ცდილობს აზრი გამოთქვას, თუ რას ნიშნავს რუსთაველის პოემაში სიტყვები „ სივაჟით მოგებული" და ვინ შეიძლება იყოს ეს „ახსნილი", რომელსაც

იხსენიებს რუსთაველი. საკითხი საინტერესოა. გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ რუსთაველის პოემაში სიტყვები „სივაქით მოგებული" უნდა გულისხმობდეს ნადავლის დარიგებას და ასკვნის, რომ რუსთაველი უნდა საუბრობდეს ნადავლისა და ალაფის გაყოფის გავლენის შესახებ ხელისუფლების ბუნებაზე. „რასაკვირველია, ასეთი სისტემური ხასიათი დოვლათის დარიგებისა იმ მიზანს დაისახავდა, რომ ეს დოვლათი დახმარებოდა ხალხს მეურნეობის მოწესრიგებაში. მიწის მუშას მიწაზე. ხელოსანს და ვაჭარს თავთავის დარგში. გაუმჯობესებული მეურნეობიდან კი შემოსავალი სახელმწიფოსაც გაუმრავალკეცდებოდა" (500, გვ. 119). სწორედ ამ კუთხით უდგება იგი რუსთაველის ცნობილ სიტყვებს „რასაცა გასცემ შენია". (500, გვ. 119). გრ. ნათაძეს აინტერესებს თუ რა ფენები შეიძლება ყოფილიყო ამ სიუხვის ობიექტი. მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს წრეები რუსთაველს ორ კატეგორიად აქვს გაყოფილი. ერთი ნაწილი წარმოადგენს მდაბიო მშრომელ მასას, ხოლო მეორე შეძლებულებს", სიუხვე, თანახმად რუსთაველისა, ორივეს იმორჩილებს (500, გვ.119). გრ. ნათაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ პირველთ რუსთაველი უწოდებს „ახსნილთ", ხოლო მეორეთ „ორგულს" (500, გვ.119). ახლა ვნახოთ ვინ უნდა იყოს ეს „ახსნილი" გრ. ნათაძის თვალსაზრისით. იგი ფიქრობს, რომ „ახსნილი" უნდა ნიშნავდეს თავისუფალ ადამიანს, რომელიც ჯერჯერობით ყმურ დამოკიდებულებაში არ იმყოფება (500, გვ.119). საკითხის ასეთმა ინტერპრეტაციამ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მკვლევარი გ. სოსელია იზიარებს გრ. ნათაძის მოსაზრებას (107, გვ.8-9). დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციაზე დგას ამ საკითხში ივ. სურგულაძე. იგი არ იზიარებს „ახსნილის" ამგვარ გაგებას. მას მიაჩნია, რომ თვით სიტყვა „ახსნილი" არ მიუთითებს, რომ ის თავისუფალი იყო. „ახსნილი" იმას უნდა ნიშნავდეს. რომ ის „დაბმული" იყო. ტექსტშიც სწორედ ის წერია, რომ „ახსნილი" ისევ დასაბმელია. ივ. სურგულაძე ასეთ აზრს ავითარებს „ახსნილი ბატონყმურ ურთიერთობაში შებმულს კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ამ ურთიერთობისაგან, უფრო ზუსტად ვასალობისგან გათავისუფლებას, პატრონის უარყოფის მსურველს, მოწადინეს, რომელიც გაურბის მეფეს ან საერთო სიუზერენს და განკერძოებისაკენ მიისწრაფვის. ამ შემთხვევაში არ უნდა ვიგულისხმოთ საერთო მწარმოებელი კლასის წარმომადგენელი გლეხი. ამ შემთხვევაში კი არც გლეხის გადაბირებაზეა საუბარი და არც თავისუფალი მიწის მუშის დაყმევებაზე, არამედ ფეოდალურ დამოკიდებულებაში მყოფ სენიორსა და ვასალზე" (111, გვ. 50-51).

განათლებული აბსოლუტიზმის იდეასთან რუსთაველის მიახლოებაზე გრ. ნათაძის მსჯელობა გადაჭარბებული უნდა იყოს (500,გვ.125). ცოტა მოგვიანებით მკვლევარი პ. შარია კიდევ უფრო შორს მიდის და კატეგორიულად ამტკიცებს, რომ თითქოს „რუსთაველი განათლებული მონარქიის იდეის მომხრეაო" (124, გვ. 143-149). თუმცა უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძის ნაშრომს ის რატომღაც გვერდს უვლის და შესაძლოა არც კი იცნობს. თავისთავად ის ფაქტი, რომ რუსთაველს სურს სამეფო ტახტზე იხილოს ჭკვიანი, გონიერი, ქველი, ნიჭიერი მონარქი, ჩვეულებრივი ნორმალური მოვლენაა და, ჩვენი ღრმა რწმენით არავითარ შემთხვევაში არ უნდა მეტყველებდეს იმას, რომ რუსთაველი თითქოს განათლებული მონარქის იდეას მიუახლოვდა. ალბათ, გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა სახელმწიფოს შესახებ რუსთაველის მოძღვრების ანალოგია რენესანსის ეპოქაში მოგვეძებნა თუნდაც დანტეს „მონარქიის" სახით. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემის ირგვლივ გრ. ნათაძის მსჯელობა წინააღმდეგობას მოკლებული როდია. გრ. ნათაძე არ უარყოფს, რომ რუსთაველის მიხედვით „მეფეს უნდა ქონდეს განუსაზღვრელი უფლებები" (500, გვ.125). მაშინ, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა აბა რა აახლოვებდა რუსთაველს განათლებული მონარქის იდეასთან? მხოლოდ ის, რომ ხელისუფლების სათავეში იხილოს გონიერი, ჭკვიანი, განათლებული მონარქი? ეს ხომ ჩვეულებრივი, ნორმალური სურვილი?

თავისი ნაშრომის დასასრულს გრ. ნათაძე განიხილავს რუსთაველის დამოკიდებულებას მეფის უფლებებისადმი, ხელისუფლებისადმი, სახელმწიფოსადმი. საინტერესო საკითხებია. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებზე გრ. ნათაძის მსჯელობა ჩვენი აზრით, სერიოზულად მოიკოჭლებს. ძნელი საფიქრებელია, რომ რუსთაველი არ იზიარებდა შეხედულებას მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ, როგორც ამას გრ. ნათაძე ამტკიცებდა. არგუმენტები, რომელიც თავისი მოსაზრების გასამტკიცებლად მოჰყავს გრ. ნათაძეს, სამწუხაროდ ამაში ვერ გვარწმუნებენ. იგი ეჰვს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ შოთას სიტყვები „როსტევან ღვთისაგან სვიანი" არ უნდა ნიშნავდეს მეფის უფლების ღვთაებრივ წარმოშობას (500, გვ. 125), ნამდვილად კი პირიქითაა. გრ. ნათაძის მტკიცება, თითქოს რუსთაველმა მიგვანიშნა ხელისუფლების კლასობრივ ბუნებაზე, უხერხული უნდა ჩანდეს და მასში, პირველ ყოვლისა, მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიის ზეწოლის ლოგიკურ შედეგს ვხედავთ (500 გვ.125). ამ თვალსაზრისით რუსთაველს, რა თქმა უნდა, არანაირი უპირატესობა არ გააჩნდა თ. მორთან, ნ. მაკიაველთან და ჟ. ბოდენთან შედარებით, როგორც ამას ხაზს უსვამს გრ. ნათაძე (500, გვ. 125).

პრაქტიკულად ეს ნაშრომი ბოლო გამოდგა საქართველოს ისტორიის შესწავლაში. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ თავისი მეცნიერული საქმიანობა ამ სფეროში გრ. ნათაძემ დაასრულა შედარებით უფრო დაბალ ეტაპზე და მისი ნაშრომი რუსთაველზე, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე ეს ეკადრებოდა გრ. ნათაძის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს.

უნდა ითქვას, რომ ვერავინ უარყოფს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში გრ. ნათაძის მიერ დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს, რომელიც იმ რანგის ისტორიკოსს, როგორიც გრ. ნათაძეა, ცხადია, არ უნდა დაეშვა. პირველ რიგში ეს არის სამღვბროების გაიგივება საბაჟო-

სთან. სხვადასხვა დეკლასირებული ელემენტების (გლახაკები, ყაჩაღები, მპარავნი) ერთ სიბრტყეზე განხილვა და მათი წარმომავლობის კონკრეტული მიზეზების გაიგივება. კერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მისი ნაშრომი სულხან ბარათოვზე. სუსტია მისი ნაშრომი „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა" და „მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში", მაგრამ მიუხედავად ამისა, გრ. ნათაძეს, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარს, აქვს თავისი მცირე დამსახურება, რომელზეც ვერც ერთი ობიექტური მკვლევარი თვალს ვერ დახუჭავს. გრ. ნათაძემ ერთ-ერთმა პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში დასვა საკითხი საქართველოს ისტორია შესწავლილი ყოფილიყო მსოფლიო ისტორიასთან კავშირში, კონკრეტულად კი გამოერკვია ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში და საქართველოში, მაგრამ ამ საინტერესო და რთული პრობლემის ბოლომდე გადაწყვეტა გაუჭირდა. საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს გრ. ნათაძემ გამოიყენა ევროპული მეთოდი და დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს ცალკეული რეგიონების ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი ნაშრომი შავშეთ-კლარჯეთის შესახებ და სამეგრელოს ავტონომიაზე მე-19 საუკუნეში. აღსანიშნავია, რომ გრ. ნათაძემ არსებითად სწორად გააშუქა საქართველოს ისტორიის მთელი რიგი კონკრეტული საკითხები და მის მიერ გამოთქმული ძირითადი დებულებები მომდევნო ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ არსებითად გაიზიარა. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძემ დამაჯერებლად ცხადყო სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის პოლიტიკა, რომელიც „დასავლეთ საქართველოში რუსეთის პოლიტიკის თავწამკვდარი მსახური გახდა და ამით ფაქტობრივად რუსეთის ყველაზე სანუკვარი ოცნებები განახორციელა". შავშეთ-კლარჯეთის შესახებ გრ. ნათაძის სტატიის მარქსისტული პოზიციებიდან კრიტიკა დღეს, რა თქმა უნდა, აშკარად მოძველებულია და უკვე ყავლი გაუვიდა. ამ ნაშრომში წამოჭრილი აქტუალური საკითხები სერიოზულ მეცნიერულ შესწავლას და სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. მან ერთ-ერთმა პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში ხაზგასმით მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკაში სერიოზულმა ცვლილებებმა უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში იჩინა თავი. არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობს მე-18 საუკუნის მიწურულის და მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს შორის. მან წამოაყენა სწორი დებულება, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას არ გამოუწვევია კარდინალური ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხასიათსა და მიმართულებაში. რუსეთთან შეერთებამ კატალიზატორის როლი შეასრულა და უფრო მეტი სიღრმე და სისწრაფე მისცა უკვე წინა საუკუნის შუა ხანებში დაწყებულ პროცესებს. გრ. ნათაძის ნაშრომს „სახასო" გლეხებზე, ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. მან კარგად წარმოაჩინა „სახასო" გლეხების ადგილი და მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში.

* * *

გრ. ნათაძის მრავალფეროვანი მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ საუბარი უნდა დავასრულოთ ისტორიის მეთოდოლოგიის, მეთოდიკის, მხარეთმცოდნეობის და არქივთმცოდნეობის საკითხებზე არსებული შრომების განხილვით. ამ თემატიკას ეხება მისი შრომები: „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები", „მარქსიზმი შრომის სკოლაში", „საზოგადოებრივი მეცნიერება პირველ ოთხწლედში, პირველი დაკვირვებები", „საზოგადოებრივი მეცნიერება შრომის სკოლის პირველ ოთხწლედში", „საზოგადოებათმეცნიერება შვიდწლედში" (პირველყოფილი კულტურა და თემური წესწყობილება)", „მხარეთმცოდნეობითი მეთოდის გამოყენება სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებში", „სახელდახელო ცნობები რსფსრ-ის არქივების მდგომარეობის შესახებ", „საქართველოს ცენტრარქივის მე-18 საუკუნის მასალების კლასიფიკაციისათვის შინაარსის მიხედვით", „საარქივო მასალები მხარეთმცოდნეობის შესწავლისათვის". აქედან მხოლოდ ერთია წიგნი, დანარჩენი სტატიებია. ამიტომ დავიწყოთ წიგნით „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხისათვის".

არ გვგონია შევცდეთ თუ ვიტყვით, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის მეთოდოლოგიის და თეორიის საკითხები პერიფერიულ თემად რჩებოდა და ამ თვალსაზრისით ის ძალიან ჩამოუვარდებოდა არა მარტო ევროპულ, არამედ რუსულ ეტორიოგრაფიასაც (285, 263; 161).

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ამ მიმართულებით პირველი სერიოზული ნაბიჯი უკვე ივ. ჯავახიშვილმა გადადგა თავის ნაშრომში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა" (137). ამით ივ. ჯავახიშვილმა პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა ძალზედ კარგ ტრადიციას, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ საქმის ღირსეულად გაგრძელება საქართველოში ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების და ერთი ბოლშევიკურ-მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიის განმტკიცების შემდეგ შეუძლებელი შეიქნა. ასე გაწყდა ეს კარგი ტრადიცია და ქართულმა ისტორიოგრაფიამ მხოლოდ კონკრეტული ისტორიული მასალის მოძიებაში შეძლო წინ წასვლა. მეორე მხრივ, სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ თვით კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში ქართულ ისტორიოგრაფიას ისტორიის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის სფეროში ღირებული ბევრი არაფერი შეუქმნია (121, 55; 54; 53; 48; 105; 116). ამ თვალსაზრისით საბჭოთა პერიოდის რუსულ ისტორიოგრაფიაში გაკეთებული გაცილებით ბევრია (229; 228; 232).

გრ. ნათაძის დაინტერესება ისტორიის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის პრობლემებით მისასალმებელია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი თემას სოციოლოგიური

თვალსაზრისით აშუქებს და ეკონომიური მატერიალიზმის პოზიციებზე დგას. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. გრ. ნათაძე ეკონომიკური მატერიალიზმის მომხრე იყო და აქედან ცდილობს მარქსიზმისკენ ევოლუციას. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აკნინებს გრ. ნათაძის წიგნის მეცნიერულ ღირებულებას და დღეს ის უკვე ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია.

გრ. ნათაძის ნაშრომში საინტერესოდ მიგვაჩნია ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის, მეთოდოლოგიის (83, გვ. 81-82) განხილვა. ფაქტობრივად ეს იყო ამ სერიოზული იერმის გაშუქების ერთ-ერთი პირველი მცდელობა, რომელიც მიუხედავად თავისი ნაკლისა, იმდროინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯია. ამიტომ შემთხვევითი სულაც არ უნდა იყოს, რომ 1936 წლის დისკუსიის დროს ყველაზე მეტი კრიტიკული ისრები სწორედ ამ მონაკვეთს მოხვდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ გრ. ნათაძე ყურადღებას მიაპყრობს, წინ წამოსწევს ივ. ჯავახიშვილის დამსახურებას, ღვაწლს, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი მსჯელობის ღირებულებას „ისტორიის სისტემატიზაცია და სინთეტიური მუშაობა და თვით ფაქტიური მასალების გამორკვევა და ლეგენდებიდან მათი გადარჩევა მეცხრამეტე საუკუნემ მეოცე საუკუნეს უანდერძა... ამგვარად, მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის დარგში წილად ხვდა იმ ამოცანის შესრულება, რომელიც მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იყო დასმული, მაგრამ ვერ შესრულდა... ისტორიული კვლევა-ძიების ამ მხრივ მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება წილად ხვდა პროფ. ჯავახიშვილს, რომელმაც მთელი საუკუნის განმავლობაში დასმული და გადაუწყვეტელი საკითხები სულ მოკლე ხანში გადაწყვიტა... პროფესორი ჯავახიშვილი საუკეთესოდ აღჭურვილია იმისათვის, რომ უშუალოდ პირველწყაროებიდან ამოკრიბოს ცნობები. ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ, სომხურ, არაბულ, ევროპულ ენებზე არსებული წყაროები ყველა ხელმისაწვდომია იმისათვის და ამის მეოხებით მან შეასრულა ის, რაც არ გაუკეთებია მანამდე არც თითოეულ ქართველ მეცნიერს ცალ-ცალკე, არც ყველას ერთად. ზუსტი კვლევა-ძიება, ნამდვილი ფაქტების გადარჩევა და დამტკიცება მრავალნაირი წყაროს ცნობების შედარების ნიადაგზე დათარიღება, გენეალოგიური საკითხების გამორკვევა და სხვა ამგვარი ამოცანები ისე შეასრულა პროფ. ჯავახიშვილმა, რომ მისი მეოხებით, შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, საქართველოს ისტორიული მეცნიერება ამ მხრივ ერთბაშად დასავლეთ ევროპის ისტორიული მეცნიერების სიმაღლეზე დადგა" (82, გვ. 80-81). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ქება საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში ივ. ჯავახიშვილის დამსახურებაზე, ამომწურავ, სრულყოფილ წარმოდგენას მაინც ვერ გვიქმნის. ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს ისტორიის კვლევის საკითხში მხოლოდ ფაქტობრივი მასალის დადგენით როდი ამოიწურება. ამგვარი თავშეკავების მიზეზი გრ. ნათაძის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. „რაც შეეხება მეცნიერული მუშაობის მეორე მხარეს - ისტორიის მთლიანი კურსის სისტემატიზაციას და მის სოციოლოგიურ გაშუქებას - ამ მხარისათვის პატივცემულ პროფესორს თავდაპირველად ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მე ამას ერთი მხრივ იმით ვხსნი, რომ მის წინაშე მწვავედ იდგა ის საკითხები, რომელიც დასმული იყო წარსულ საუკუნეში და რომლის გადაუწყვეტლად არავითარი მუშაობა არ იყო შესაძლებელი; ამიტომ მთელი ძალ-ღონე ამ საკითხის გადასაწყვეტად დაადგროვა და თავისი მეცნიერული საჭურველი ამ საკითხების გადასაწყვეტად მოიმარჯვა. მეორე მიზეზი ის იყო, რომ დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით ინემა-შტერნეგის და სხვათა სოციოლოგიურ სინთეტიურ მუშაობას იქამდე არ ჰქონია მოპოვებული ავტორიტეტი, რომ საქართველოს ისტორიკოსს ამისათვის მიექცია მთავარი ყურადღება. მეორე მხრივ, გერმანიის ძველი ისტორიული სკოლა სისრულით ჰფლობდა იმ მეთოდებს, რომელსაც იმ დროს ეძებდა პროფ. ჯავახიშვილი, და რომელიც აუცილებელი საჭირო იყო საქართველოს ისტორიისათვის, ურომლისოდაც ემპირული სტადია მუშაობისა არ შეიძლებოდა. უამისოდ კი თავის მხრივ არც სინთეტიური მუშაობა შეიძლებოდა" (82, გვ.81).

როგორც ხედავთ, გრ. ნათაძე ივ. ჯავახიშვილს სერიოზულ მეცნიერულ ბრალდებას უყენებს, რომ ვითომ ივ. ჯავახიშვილს „საქართველოს ისტორიის სინთეზი, განმაზოგადოებელი მუშაობა არ ჩაუტარებია". ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ამგვარი ხედვა შემთხვევითი არ ყოფილა და ცალმხრივი უნდა ჩანდეს. მისი ფესვები, პირველ რიგში, გრ. ნათაძის მსოფლმხედველობაშია საძიებელი. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გრ. ნათაძე ივ. ჯავახიშვილს ეკამათებოდა სოციოლოგიური, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეკონომიკური მატერიალიზმის" პოზიციებიდან.

საქართველოს ისტორიის პანორამა, რომელსაც გვიხატავს ივ. ჯავახიშვილი, გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე ის სურათი, რომელიც გვხვდება გრ. ნათაძის წიგნში „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა". ამიტომ „ეკონომიკური მატერიალიზმის" პოზიციებიდან ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასებას, დამაჯერებლობა აკლია და მიუღებლად მიგვაჩნია.

უსათუოდ, მისასალმებელი უნდა იყოს გრ. ნათაძის ცდა მიუჩინოს ადგილი ივ. ჯავახიშვილს ევროპული ისტორიული აზროვნების განვითარებაში. იგი ფიქრობს, რომ ივ. ჯავახიშვილი დაკავშირებული იყო ძველ გერმანულ სკოლასთან, ხოლო კონკრეტულად თუ რომელ ისტორიოგრაფიულ მიმდინარეობას მიეკუთვნება იგი, ამის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ივ. ჯავახიშვილი ფართო დიაპაზონის ისტორიკოსია და მისი შეხედულებები აშკარად სცილდება ერთი რომელიმე ისტორიული სკოლის ვიწრო ჩარჩოებს.

მიუხედავად მეცნიერული კამათისა, გრ. ნათაძის დამოკიდებულება დიდი ქართველი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილისადმი, ბოლომდე დარჩა კორექტული და მოწიწებული. სხვათა შორის, ეს კარგად გამოვლინდა მის გამოსვლაში 1936 წლის დისკუსიის დროს, როდესაც ბოლშევიკებმა შესანიშნავი მეცნიერის სახელი ლაფში გასვარეს. ალბათ, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლის და მისი მკვლელობის შემდეგ, ეს იყო მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე უფრო სამარცხვინო ფაქტი. თუ პირველი ტრაგიკულად დასრულდა, მეორეს კომიკური ფინალი ჰქონდა. „ძალიან დიდი პატივცემული ვიყავი პროფ. ჯავახიშვილისა, დღესაც ვარ მისი დიდი პატივისმცემელი. ამას არ დავმალავ, ეს სამართლიანად მიმაჩნია" - ამბობდა გრ. ნათაძე 1936 წელს. (719, ფ.102).

საფიქრებელია, რომ გრ. ნათაძეს მშვენივრად ჰქონდა გაცხადებული ის რთული ვითარება, რომელიც შეიქმნა ევროპულ ისტორიოგრაფიაში მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე. პოზიტივისტურმა ისტორიოგრაფიამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ ბურჟენის თქმით „ჩვენ ისტორიკოსები იმ ღვთისმსახურის როლში აღმოვჩნდით, რომელმაც რწმენა დაკარგა". ისტორიკოსთა მოწინავე ნაწილს კარგად ესმოდა, რომ ისტორიის წერა ისე როგორც იწერებოდა, აღარ შეიძლებოდა; ბუნებრივია, წამოიჭრა საკითხი, რა გზით დავაღწიოთ თავი შექმნილ ვითარებას? შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხში გრ. ნათაძე ორიგინალური არ ყოფილა და ეს მას არც მოეთხოვებოდა. მის მთავარ დამსახურებად ის მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში იგი ევროპულ ისტორიოგრაფიაზეა ორიენტირებული და მას მიჰყვება კვალში. როგორც ეტყობა, გრ. ნათაძემ კარგად აუღო ალღო ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე ნოვაციებს, სიახლეებს და სცადა მათი დანერგვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. დღის წესრიგში დააყენა განზოგადების, სინთეზის საკითხი. ახალმა სიომ ყველაზე უფრო ძალუმად ფრანგულ ისტორიოგრაფიაში დაბერა. ჯერ იყო და, საუკუნის დასაწყისში ანრი ბერიმ წამოიწყო თავისი „კულტურულ-ისტორიული სინთეზი", ხოლო შემდეგ მისი დაწყებული საქმე გააგრძელეს „ანალების" სკოლის ისტორიკოსებმა ლუსიენ ფევრის და მარკ ბლოკის ხელმძღვანელობით.

ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებით გრ. ნათაძის დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა და აქ პირველ რიგში, გრ. ნათაძის ფართო ერუდიციის კიდევ ერთ გამოვლინებას ვხედავთ. ქართული სოციოლოგიის განვითარებაში გრ. ნათაძე ნეოკანტიანელთა სკოლის მიმდევრად მოგვევლინა; ეს წიგნი წარმოადგენს ნეოკანტიანელობის, ეკონომიკური მატერიალიზმის და მარქსიზმის თავისებურ სინთეზს, სიმბიოზს. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს გრ. ნათაძის შეხედულებებისათვის დამახასიათებელი ეკლექტურობა. ნეოკანტიანელთა კრიტიკას გრ. ნათაძე უმთავრესად ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან აწარმოებს და ამ შემთხვევაში თავისი მასწავლებლის, ცნობილი რუსი ისტორიკოსის რ. ვიპერის თანამიმდევრად გამოდის. მისი შეხედულებით, შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება სოციოლოგიაა. „აქედან ცხადი ხდება, რომ სოციოლოგიური თვალსაზრისი ისტორიის კვლევა-ძიებაში ერთადერთი ხსნა არის იმ ქაოტური მდგომარეობისაგან, რომელშიც იმყოფება მეცნიერება რიკერტის მიმართულების მეოხებით" (82, გვ. 12). რა თქმა უნდა, ამგვარი გამოსავალი პანაცეა არაა. აქ ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ სოციოლოგიური თვალსაზრისი, რომელსაც ეყრდნობა გრ. ნათაძე, სქემატიზირებულია და მთლიანობაში ისტორიული პროცესის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიქმნის. იდეებისა და პოლიტიკური ისტორიისადმი გულგრილი დამოკიდებულება მის სერიოზულ მინუსად მიგვაჩნია. შეიძლება არ გავიზიაროთ მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის ისტორიულ მეცნიერებაში შექმნილი რთული ვითარების მიზეზების გრ. ნათაძისეული ახსნა. ძნელი სათქმელია, რომ „ისტორიული მეცნიერება ამ ქაოტურ მდგომარეობაში იმყოფება რიკერტის მიმართულების მეოხებით". საქმე ისაა, რომ ნეოკანტიანელობა წარმოადგენდა ამ რთული სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ გზას და არა მის გამომწვევ მიზეზს. ამიტომ ასეთი მსჯელობა ნეოკანტიანელთა მიმართ მკაცრად გვეჩვენება. ჯოხის გადატეხა რიკერტზე და მის მომხრეებზე არ ღირს.

ამრიგად, გრ. ნათაძემ სწორად დასვა საკითხი, მიუთითა ისტორიის მეთოდოლოგიის პრობლემების დამუშავების აუცილებლობაზე, მაგრამ მის მიერ ამ საკითხების გადაწყვეტა მიუღებელია, ვინაიდან სოციოლოგიური თვალსაზრისით, რომელიც არის მისი მთავარი ამოსავალი წერტილი, ნაკლულია, სქემატურია და საზოგადოების განვითარების სრულყოფილ სურათს ვერ გვიქმნის.

1936 წლის „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ" მე-20 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან ფაქტორად მოგვევლინა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დისკუსიის მასალების გამოქვეყნება, რაც ფართო საზოგადოებას გაცილებით უფრო ადეკვატურ წარმოდგენას შეუქმნის გაჩაღებული კამათის ირგვლივ. დღეს ეს კამათი ღიმილს იწვევს და სერიოზული მსჯელობის საგნად აღარ შეიძლება იქცეს და მაინც, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვცადეთ შეგვენარჩუნებინა აკადემიური ტონი. სწორედ ამაზეა ნათქვამი „სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა". „საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პირველი პერიოდის დასასრულს საქართველოში გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიება. "ეს ღონისძიება... უნდა ჩაითვალოს ჩვენთან მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პირველი პერიოდის დასასრულად, რადგან შემდეგ უკვე საქართველოს ისტორიის, სოციალური ისტორიის, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევა არსებითად, ძირეულად განსხვავდებოდა წინა წლებში (1936 წლამდე)

ჩატარებული მუშაობისგან" (107, გვ.78). ბუნებრივია წამოიჭრება საკითხი — რა შედეგები მოუტანა ამ დისკუსიამ ქართულ ისტორიოგრაფიას? მან ხელი შეუწყო ქართული ისტორიული აზროვნების სწრაფ პროგრესს თუ განაპირობა სტაგნაცია? პირდაპირ ვიტყვით, რომ ამ დისკუსიის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარების ვარდისფერებში წარმოჩენა ძლიერ გაზვიადებული და პოლიტიზირებული იყო და დღეს უკვე მოძველებულია. „დისკუსიის შედეგად მოხდა ისტორიკოსთა დიდი ნაწილის საბოლოო „მოთვინიერება", მეცნიერების ამ დარგის უნიფიცირება, საბოლოო გაუფერულება (მეთოდოლოგიური თვალსაზრისით) (183, გვ.118). ცხადია, არავინ უარყოფს კონკრეტულ საკითხებზე ქართველი ისტორიკოსების გამოკვლევების მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, რომ ამ დისკუსიის დროს გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები უმთავრესად პოლიტიკურ ბრალდებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, ვიდრე წმინდა მეცნიერულ პოლემიკას. ეს იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის ძალად თავსმოხვეული დისკუსია, რომელიც მნიშვნელოვანწილად ოფიციალური ხელისუფლების თავგამოდებული დამცველების მხრივ ბინძურ, პასკვილურ ხასიათს ატარებდა. ადგილი ჰქონდა იმდროინდელი ქართული ისტორიული მეცნიერების საუკეთესო ნაწილისათვის პოლიტიკურ ანგარიშსწორებას.

გრ. ნათაძის ცხოვრების და მოღვაწეობის განხილვა ამომწურავი, სრულყოფილი ვერ იქნებოდა, თუ მოკლედ არ შევჩერდებით 1936 წლის დისკუსიაზე, რომლის დროსაც, უნდა ითქვას, რომ მისი გვარი ძალზედ ხშირად ფიგურირებს, რა თქმა უნდა, უმთავრესად კრიტიკულ კონტექსტში. ეს დისკუსია გრ. ნათაძის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასების პირველ ცდად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ იქ გამართული მსჯელობა იყო უაღრესად პოლიტიზირებული, ცალმხრივი და ტენდენციური.

ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ დისკუსიის დროს გრ. ნათაძის კრიტიკის მთავარ ტონისმიმცემად უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის კარლო ორაგველიძის მოხსენება მოგვევლინა. ფაქტობრივად მისმა გამოსვლამ მძლავრი სტიმული მისცა ოფიციალური ხელისუფლების პოზიციებიდან როგორც ივ. ჯავახიშვილის, ისე სხვა მკვლევრების, მათ შორის, ცხადია, გრ. ნათაძის განქიქებას, ლანძღვა-გინებას. საინტერესოა თვალი გავადევნოთ ღვაწლმოსილი ისტორიკოსის გრ.ნათაძის წინააღმდეგ მიმართული ბ-ნ კარლო ორაგველიძის „მეცნიერულ არგუმენტაციას": პირველ რიგში იგი ხაზს უსვამს, რომ გრ. ნათაძე იყო ივ. ჯავახიშვილის სკოლის წარმომადგენელი და მისი მიმდევარი. თუ გრ. ნათაძე ივ. ჯავახიშვილის სკოლის წარმომადგენელი იყო, ეს მის ღირსებაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ნაკლზე, მაგრამ რას იზამ, „დრო იყო კოჭლი და ღირსება ნაკლად იყო გადაქცეული". რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ გრ. ნათაძე ივ. ჯავახიშვილის სკოლის თანამიმდევრული წარმომადგენელი ყოფილიყო. მაშინ მას არ ექნებოდა ისეთი სერიოზული ჩავარდნები, როგორიც ჰქონდა საქართველოს ისტორიის კვლევის საკითხში და რომელიც იმ რანგის ისტორიკოსს, როგორიც გრ. ნათაძე იყო, არ ეპატიება. საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში გრ. ნათაძეს სულ სხვა კონცეფცია ჰქონდა, ვიდრე ივ. ჯავახიშვილს. ამიტომ მისი მიკუთვნება ივ. ჯავახიშვილის სკოლისადმი სწორი არ იქნებოდა. ივ. ჯავახიშვილისადმი გრ. ნათაძის „შემრიგებლურ დამოკიდებულებაზე" ლაპარაკი გადაჭარბებული უნდა იყოს. წმინდა აკადემიური, მეცნიერული თვალსაზრისით, გრ. ნათაძეს ივ. ჯავახიშვილთან სერიოზული პოლემიკა ჰქონდა და ამტკიცებდა თითქოსდა ივ. ჯავახიშვილს „საქართველოს ისტორიაში სინთეტური სამუშაო არ ჩაუტარებია". მაგრამ ივ. ჯავახიშვილთან გრ. ნათაძის პოლემიკის წმინდა აკადემიური სტილი, ბუნებრივია, ბოლშევიკებს არ აკმაყოფილებდათ და ისინი გრ. ნათაძისაგან მოითხოვდნენ ივ. ჯავახიშვილის ლანძღვა-გინებას, მიწასთან გასწორებას. ივ. ჯავახიშვილის კვალდაკვალ გრ. ნათაძის გამოცხადება, არამარქსისტად, რაც რეფრენად გასდევს, არა მარტო კარლო ორაგველიძის მოხსენებას არამედ მთელ დისკუსიას, ღია კარის მტვრევას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი იარლიყების მიკერება იმ დროს ძალზე მოდაში იყო და უპირატესად პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. იგი სავსებით კონკრეტულ მიზანს ისახავდა — დაემძიმებინა საზოგადოების თვალში მათი „ბრალდება" (719, ფ.7ს).

ამრიგად, კ. ორაგველიძის მიერ გრ. ნათაძისადმი წაყენებული ბრალდებები, უმთავრესად, დოგმატური, ორთოდოქსული მარქსიზმ-ლენინიზმის ჩარჩოებს არ სცილდება და წმინდა მეცნიერული, აკადემიური თვალსაზრისით არავითარი ღირებულება არ გააჩნია.

კ. ორაგველიძის მიერ დაწყებული კრიტიკა „წარმატებით" გააგრძელეს სხვა ორატორებმა. ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც რიხიანად შეუტია გრ. ნათაძეს, ვინმე ჯინჭველაშვილი იყო. მოვუსმინოთ მას: „როგორც იცით, პროფ. ნათაძეს დაწერილი აქვს საქართველოს ისტორიაში რამდენიმე შრომა. ცნობილია, რომ ის საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ არის, მთელ რიგ საკითხებში ნათაძე არა თუ არ ებრძვის ჯავახიშვილს, მის რეაქციულ შეხედულებებს (თუმცა, ის თითქოს ცდილობს აწარმოოს ბრძოლა), არამედ ის ხშირად ადასტურებს ჯავახიშვილის მიერ წამოყენებულ დებულებებს სახელმწიფოს, პატრონყმობის და სხვა საკითხებზე. ერთ-ერთ შრომაში „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა", რომელიც 1925 წელს გამოიცა, ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც საკვლევად მიუღებელია. მაგალითად, საკითხში პატრონყმობის შესახებ არამცთუ აწარმოებს ბრძოლას ჯავახიშვილის შეხედულებების წინააღმდეგ, არამედ ის პირდაპირ იმეორებს უკანასკნელის მიერ წამოყენებულ დებულებას. შემდეგ ყმების წარმოშობის შესახებ მასაც იგივე აზრი აქვს გატარებული, რაც პროფ. ივ. ჯავახიშვილს „ნებიერნი", „შეწირულნი" და სხვ. „იყო შემთხვევა, რომ მიწის მუშა თავისი ნებით გახდებოდა ყმა".

გარდა ამისა, არის ერთი მომენტი, სადაც ლაპარა-

კობს კლასობრივი ბრძოლის უარყოფაზე, მოწინააღმდეგე კლასების ინტერესების ერთიანობაზე, როდესაც გარეშე მტერი თავს დაესხმოდა საქართველოს. „აქაც როგორც ძველად, ამგვარი კლასობრივი განსხვავების და ბრძოლის სიმწვავე ჩლუნგდებოდა გარეშე მტრის მძვინვარების წინაშე...“ შემდეგ პროფ. ნათაძე წერს, რომ „ბატონყმობა საქართველოში საქონლის მეურნეობაზე იყო დამოკიდებული... ეს აშკარად არამარქსისტული დებულება არის, რომლის კრიტიკას აქ არ გამოუდგებით“ (719, ფ. 97-99).

გრ. ნათაძის წიგნს „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა“, მართლაც მრავალი ნაკლი აქვს და ამაში ორატორს უნდა დავეთანხმოთ, მაგრამ ის ხარვეზები, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს მომხსენებელი, ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის წიგნის მინუსებად ძალზე ძნელია მივიჩნიოთ. ეს შენიშვნები გრ. ნათაძის წიგნის ღირსებებზე უფრო უნდა მეტყველებდეს, ვიდრე ნაკლზე. შეიძლება ითქვას, რომ მომხსენებლის გამოსვლაში ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. გრ. ნათაძის წიგნის პლუსები, დანახულია როგორც მისი ჩრდილოეთი მხარე, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებთ და მოძველებულია. „პროფ. გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ მე-9 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე ფეოდალიზმის შემზადების პერიოდია და მხოლოდ მე-11-12 საუკუნეში გაბატონებულ ფორმად გადაიქცევა... მე პირადად ვფიქრობ, რომ იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს მოცემული, უფრო უნდა მივიღოთ მე-6-7 საუკუნე, ვიდრე მე-9 ან მე-5 საუკუნე“ (719, ფ.99). რა თქმა უნდა, აქ მომხსენებელი ეხება მეტად რთულ საკითხს და მისი ეს მოსაზრება, შენიშვნა, გაცილებით უფრო სერიოზულად შეიძლება მივიჩნიოთ. სულ სხვა საკითხია ის, თუ რომელი მოსაზრება არის სწორი და რომელი შეხედულება გვაახლოვებს ჭეშმარიტებას.

ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ გრ. ნათაძის წინააღმდეგ ყველაზე უფრო სასტიკად გაილაშქრა გ. ჯანელიძემ. შემთხვევითი არ იყო, რომ მან ყველაზე უფრო დიდი ადგილი დაუთმო გრ. ნათაძის შეხედულებების კრიტიკულად განხილვას. აი, რას წერდა იგი. „ეხლა მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო პროფ. გ. ნათაძის ერთ ნაშრომზე. ეს ნაშრომი მეთოდოლოგიური ხასიათისაა, სადაც პროფ. ნათაძემ შემრიგებლური დამოკიდებულება გამოიჩინა ივ. ჯავახიშვილის მიმართ. ამ ნაშრომზე შეჩერება მით უფრო აუცილებელია, რომ თავის გამოსვლაში აქ გრ. ნათაძემ არაფერი თქვა თავის შეცდომის შესახებ, რაც მე ვფიქრობ, საჭირო იყო. პროფ. ნათაძე დასავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალისტია, მაგრამ აქვს შრომები საქართველოს ისტორიის საკითხებზეც, მათ შორის, ჩვენი დასახული მიზნისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომი „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები“, რომელიც უნივერსიტეტმა გამოსცა 1931 წელს. ამ ნაშრომში პროფ. ნათაძე არკვევს ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებს საერთოდ და იხილავს კერძოდ პროფ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიას. როგორ არკვევს ამ საკითხს გრ. ნათაძე? შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ის ვერ აკრიტიკებს პროფ. ჯავახიშვილს. მან ვერ შეძლო მისი ნამდვილი ბუნების გამომეღავნება. პროფ. ნათაძეს ვერ აქვს მომარჯვებული მარქსისტული მეთოდი. თვითონ მისი მეთოდოლოგია არამარქსისტულია. პროფ. ნათაძე ამახინჯებს მარქსიზმს და გამოდის ჯავახიშვილთან შემრიგებლობის როლში. აქედან ცხადია, რომ მისი შრომების შეღეგი არ არის დადებითი, პირიქით უარყოფითია“ (719, ფ.166-167). გ. ჯანელიძე სრულიად უმართებულოდ არ ეთანხმება გრ. ნათაძის აზრს, რომ „ივ. ჯავახიშვილის მეოხებით შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ საქართველოს ისტორიული მეცნიერება ამ მხრივ ერთბაშად დასავლეთ ევროპის ისტორიული მეცნიერების სიმაღლეზე დადგა“ (719, გვ. 166-167). „როგორც ვიცით ისტორიკოსთა შორის გავრცელებულია ის აზრი, რომ ჯავახიშვილის ფაქტებს, უსათუოდ, უნდა დავემყაროთ, ხოლო დასკვნებს შეიძლება არა. შეიძლება თუ არა პროფ. ნათაძე მივაკუთვნოთ ისეთ ისტორიკოსთა რიცხვს, რომელთაც ჯავახიშვილის ფაქტებით უნდათ ისარგებლონ, ხოლო მის დასკვნებს არ იზიარებენ. სამწუხაროდ, ეს არ შეიძლება ითქვას. პროფ. ნათაძეზე. აქ საქმე გვაქვს როგორც ფაქტების და იმ დასკვნების მიღებასთან, რომელსაც იზიარებდა პროფ. ჯავახიშვილი. „იმას (ე.. ჯავახიშვილს -მ.კ.) უმჯობესად მიაჩნია მეცნიერება არცერთი ნაბიჯით არ-გამოსცილდეს იმას, რაც წყაროებში პირდაპირ არის ნათქვამი“. მაშასადამე, გრ. ნათაძე იზიარებს ივ. ჯავახიშვილის არამარტო ფაქტებს, არამედ დასკვნებსაც, რომელიც როგორც ის ამბობს წყაროებში პირდაპირ არის ნათქვამი და ერთი ნაბიჯით არ სცილდება სინამდვილეს“. ახლა ვნახოთ როგორ შეფასებას აძლევს გრ. ნათაძე ივ. ჯავახიშვილის მეთოდს. „ცხადია, ამბობს გრ. ნათაძე, პროფესორს სწამს სრული ობიექტივიზმის შესაძლებლობისა კვლევა-ძიებაში და არ სცნობს კლასობრივ სუბიექტივიზმს. ზოგ ადგილზე პროფესორი (ე.ი. ჯავახიშვილი - მ.კ.) იჩენს ერთგვარ სუბიექტივიზმს და ატარებს თავის გრძნობებს და აზრებს შეთვისებულს იმ წრეებში, რომელშიც სრულიად ბუნებრივად ტრიალებდა ბოღმა პატარა ერების მჩაგვრელი პოლიტიკის გამო რუსეთის თვითმპყრობელობის დროს. აქ პროფესორს ჩვეულებრივ ძლიერ თავდაქერილს და ინტელიგენტის ჩარჩში ყოველი გრძნობის გამტარებელს, ყოველი ჰიპოთეზის უარისმყოფელს და სრული ობიექტივიზმის მომხრეს ერთგვარი პათოსიც კი ემჩნევა“: როგორც ვხედავთ, პროფ. ნათაძის აზრით, სუბიექტივიზმი, რომელსაც პროფ. ჯავახიშვილი „ზოგიერთ ადგილას“ იჩენს გამართლებულია და ამით მისი კვლევის ობიექტურობაში რაიმე ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ასე ესმის პროფ. ნათაძეს ივ. ჯავახიშვილის როლი საქართველოს ისტორიის შექმნაში. ასე ესმის ის მეთოდი რომელიც ივ. ჯავახიშვილმა ისტორიული მოვლენების კვლევის დროს გამოიყენა“ (719, ფ.168). „ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პროფ. ნათაძე ამახინჯებს მარქსის მეთოდს. აი, ამის მაგალითიც. ის ამბობს: „მარქსი უაღრესად მომხრეა სინთეტური მუშაობის ისტორიაში, ამგ-

ვარი ემპირიულ კვლევა-ძიებაზე აფუძნებს მეცნიერულ აზროვნებას. გამოდის, რომ მარქსის მეთოდი სინთეტიურია. ეს ასე არ არის. მარქსის მეთოდი არ არის მარტო სინთეტიური. ანალიზს და სინთეზს მარქსი ერთმანეთს არ აცილებს, მარქსი მეთოდოლოგიის თანახმად ერთიუმეორეოდ აღარ არის მეცნიერული მეთოდი. ორივე ესენი დიალექტიკური მეთოდის მომენტებია. პროფ. ნათაძე ამახინჯებს მარქსიზმს, როცა მარქსის მეთოდის არსი ამ მეთოდის ერთ-ერთ მომენტამდე დაჰყავს. კიდევ მეტიც გრ. ნათაძის აზრით, „მარქსიზმი არ არის მთლად ობიექტური, რამდენადაც იგი განსაზღვრული კლასობრივი იდეოლოგიის გამომხატველია. მაგრამ შედარებით პიროვნულ სუბიექტივიზმთან ის უფრო ბევრად ობიექტური მიდგომაა კვლევა-ძიებაში". როგორც ვხედავთ, გრ. ნათაძის შეხედულებით რადგან მარქსიზმი გარკვეული კლასის (პროლეტარიატის) იდეოლოგიაა და იმ კლასის ინტერესების გამომხატველია, ამიტომ მის ობიექტურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. გამოდის, რომ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება არ არის ობიექტური" (719, ფ.169). „როგორც ვხედავთ, გრ. ნათაძე ივ. ჯავახიშვილის კრიტიკოსად ვერ გამოდგა. პირიქით, ის მოექცა მისი გავლენის ქვეშ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ უდავო დებულებას, რომ ივ. ჯავახიშვილის კონცეფციის მეცნიერული კრიტიკა არ შეიძლება მარქსისტული იდეოლოგიის ხშირად მომარჯვების გარეშე. ამიტომ ვინც ამ გზას არ დაადგება ან აცდება, იქნება ეს პროფესორი ნათაძე თუ სხვა ვინმე, აუცილებლად დაამახინჯებს მარქსიზმს და მაშასადამე, სინამდვილეს. პროფ. ნათაძე რომ დიდ სისუსტეს იჩენს მარქსიზმის მომარჯვების საქმეში ამის სხვა მაგალითებიც არის გარდა ივ. ჯავახიშვილის კრიტიკისა. ავიღოთ საკითხი სახელმწიფოს შესახებ; ამ საკითხში პროფ. ნათაძეს არც უკეთესად აქვს საქმე, ვიდრე ივ. ჯავახიშვილს; რაც მთავარია, პროფ.ნათაძეს სახელმწიფო წარმოდგენილი აქვს, არა როგორც ერთი კლასის მეორეზე ბატონობის იარაღი, არამედ როგორც ზეკლასობრივი ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს საზოგადოების კეთილდღეობაზე... ცხადია, ასეთ შეხედულებას მარქსიზმთან საერთო არაფერი აქვს." (719, ფ.170). უკანასკნელად რამდენიმე სიტყვა ფორმაციების შესახებ. ცნობილია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფორმაციების საკითხს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა გარკვევისათვის. ისიც ცნობილია, რომ ეს საკითხი მეცნიერულ სიმაღლეზე მარქსმა აიყვანა. ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის ფორმაციების პრობლემა არ დგას. მათი თანამიმდევრობითი გამოკვლევის თვალსაზრისით მათთვის ფორმაციების პრობლემა იმ მიზნით დგას, რომ დაამტკიცონ პირველყოფილი უკლასო საზოგადოების არარსებობა. უარყოფენ ისეთ პერიოდს ადამიანთა საზოგადოებაში, როდესაც კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე და კლასები არ არსებობდა და ამით უნდა დაამტკიცონ მარადისობა კერძო საკუთრებისა და კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი წესის. ისინი ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ არსებითად ერთადერთი ფორმაცია გვაქვს, რომელიც კერძო საკუთრებაზე არის დამყარებული (კაპიტალისტური წესწყობილება, რომელიც მუდამ უნდა იქნეს. ისინი კაპიტალისტური წესწყობილების დამახასიათებელ ნიშანს ეძებენ ფეოდალიზმის და მონათმფლობელობის დროსაც. იმ მიზნით, რომ დაასაბუთონ კაპიტალიზმის მარადიულობა). პროფ. ნათაძე ამ ფორმაციების გაგების საკითხში დგას ამ ბურჟუაზიული მეცნიერების თვალსაზრისზე... საერთოდ გრ. ნათაძის მეთოდოლოგია არ არის თანამიმდევნო, მაგრამ ის თანამიმდევნობით არამარქსისტულია, ის უფრო იდეალისტურია, მაგრამ დიდად შეპრელებული მექანისტური საკერველით. სავსებით ვეთანხმებით ორატორს, რომ „გრ. ნათაძე ვერ გამოდგა ივ. ჯავახიშვილის კრიტიკოსი" მაგრამ არა იმიტომ, რომ გრ. ნათაძე სათანადოდ არ იმარჯვებდა მარქსისტულ მეთოდოლოგიას, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ გრ. ნათაძის სოციოლოგიური სქემა ცალმხრივი იყო. რა თქმა უნდა, გრ. ნათაძის მიერ საქართველოს ისტორიის ფორმაციებად დაყოფა მიუღებლად მიგვაჩნია და არა იმის გამო, რომ ვითომდა წინააღმდეგია ფორმაციების, როგორც ამას ამტკიცებდნენ მისი ბოლშევიკი ოპონენტები. არამედ ძირითადად იმიტომ, რომ სოციოლოგიური მოდელი, რომელსაც ის ემყარება ადეკვატურ სურათს ვერ გვიქმნის საქართველოს ისტორიაზე. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. გრ. ნათაძე ცდილობს თავისი სოციოლოგიური მიდგომა მარქსისტულ იდეოლოგიას შეუხამოს (82, გვ. 85-88).

გრ. ნათაძის შეხედულებების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს სხვა ორატორებმაც. მოვუსმინოთ ბ-ნ ბდღვილავას: „მაგრამ ეს არ ანთავისუფლებდა პროფ. ნათაძეს მთელი რიგი საპასუხისმგებლო მომენტებისაგან ისტორიის ფრონტზე ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის საკითხში მან ვერ დასძლია შეცდომები და ვერც დაძლევს, რადგან ეს არ არის ისეთი იოლი საკითხი, ვიპერის შრომებზე აღზრდილი 60 წლის კაცისთვის, ის თვითონ აღიარებს, რომ ვიპერის მოწაფე იყო და დარჩა ვიპერის მოწაფე როგორც ისტორიკოსი. აიღეთ თუ გინდა საქართველოს ისტორიის სოციოლოგიური მიმოხილვა. „საქართველო მთიანი ქვეყანა იყო და ამან შეუწყო ხელი ფეოდალური ურთიერთობების ხანგრძლივობას" როგორ შეიძლება საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობით აიხსნას ფეოდალიზმი? რასაკვირველია, გეოგრაფიულ ფაქტორს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ არის ძირითადი მიზეზი ფეოდალური ურთიერთობის ხანგრძლივობისა" (719, ფ.209). „შესაძლოა, გრ. ნათაძის აზსნა ცოტა ცალმხრივი იყოს, მაგრამ ორატორის მისწრაფება დაეკნინოს გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობა საკამათოა. აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ გეოგრაფიულ გარემოს ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების საქმეში გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ეს მომხსენებელს ესახებოდა" (122, გვ. 9-47).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დისკუსიის დროს გრ. ნათაძის შეხედულებების კრიტიკული განხილვა საქართვე-

ლოს ისტორიაზე მისი შრომების განქიქებით არ დამთავრებულა და ზოგიერთი ორატორი შეეხო მის წვლილს დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის საქმეში. კონკრეტულად კი განხილული იქნა 1933 წელს გრ. ნათაძის მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელო „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია", რომელიც ავტორმა სცადა მაქსიმალურად მოეყვანა მარქსისტულ იდეოლოგიასთან შესატყვისობაში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ვინმე მახარაძის მოხსენება, რომელიც, სხვათა შორის, დასავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალისტი არ ყოფილა; ამიტომ ალბათ, ადვილი წარმოსადგენი იქნება თუ რაოდენ „ფასეული", „ღირებული" შეიძლება ყოფილიყო მისი გამოსვლა.

უნდა ითქვას, რომ მოხსენება გაკეთებულ იქნა ტრადიციულ სტილში და ორატორმა მოგვცა შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხებზე გრ. ნათაძის შეხედულებების კრიტიკული შეფასება სტალინური ტიპის, დოგმატური, ორთოდოქსული მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან. მახარაძის მთავარი ამოსავალი წერტილია წარმოადგინოს მოსაზრება, რომ მარქსიზმი გვევლინება ჰეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად და ამ სამრეკლოდან ცდილობს მიწასთან გაასწოროს გრ. ნათაძე როგორც მედიევისტი. ამგვარი მიდგომა დღეს იმდენად კომიკურად გამოიყურება, რომ მასზე დაწვრილებით შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია (719, ფ. 109-110).

უბუოდ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ დღეს ეს ორაგველიძეები, ტალახაძეები, ჯანელიძეები, ჯინჭველაშვილები, ბდღვილავები, მახარაძეები და ძმანნი მათნი, უკვე აღარავის ახსოვს, ხოლო გრ. ნათაძის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას დამსახურება და წვლილი, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ღრმაა მათი კვალი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

აქ შეგნებულად არ ვამბობთ არაფერს ისეთ ტიტანზე როგორიც დიდი ივანე ჯავახიშვილი იყო. დღეს მისი შრომები ქართული ისტორიოგრაფიის საგანძური, ოქროს ფონდია, ხოლო მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დასასრულ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გავეცნოთ გრ. ნათაძის გამოსვლას 1936 წლის დისკუსიის დროს. როგორც ირკვევა, 1936 წლის დისკუსიაზე თავდაპირველად გრ. ნათაძეს სულ სხვა საკითხებზე ჰქონია განზრახული საუბარი, მაგრამ უმთავრესად გამოსული ორატორების მიერ მისი მისამართით გამოთქმული შენიშვნების გამო, იძულებული გამხდარა კორექტივები შეეტანა თავის გამოსვლაში და შეეცვალა თემა (719, ფ.100-101). შეიძლება ითქვას, რომ დისკუსიის დროს გრ. ნათაძე ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ არ გამოსულა და მისთვის ათასგვარ ცოდვებში არ დაუდია ბრალი; გრ. ნათაძის გამოსვლა ძირითადად დაშვებული შეცდომების გამო თავის მართლებაა. ამავე დროს მას არ დაუმალავს, რომ არ იზიარებდა ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობას, კონცეფციას. ამიტომ მისი გამოსვლა არ შეიძლება აღვიქვათ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებებისადმი „შემარიგებლურ დამოკიდებულებად" როგორც ამას ხაზს უსვამდნენ დისკუსიაში გამოსული ორატორები, მათთვის გაუგებარია აკადემიური ტონი და მისაღები იყო, ტოტალიტარულ რეჟიმს ამოფარებული, უშვერი ლანძღვა-გინება. „საიდან არის გამოყვანილი, რომ მე ჯავახიშვილის სკოლას როდისმე ვეკუთვნოდი, მერე ჩამოვშორდი, მაგრამ მთლად ვერ ჩამოვშორდი; ეს სრულიად მართალი არ არის. ჩემი ბიოგრაფია საინტერესო არ არის არავისთვის, მაგრამ იძულებული ვარ მოგახსენოთ შემდეგი. პროფ. ჯავახიშვილი ორი-სამი წლით არის ჩემზე უფროსი. მე გახლდით მოწაფე ლეჩიცკის, ვიპერის და ნაწილობრივ პეტრუშევსკის. ვიპერთან მე სადიპლომო შრომას ვწერდი, ისინი იყვნენ ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევრები. ვიპერის იმ დროის შრომებში მოცემული არის რიკერტის სასტიკი კრიტიკა. მაშასადამე მე თავიდანვე ჯავახიშვილის სკოლის წინააღმდეგი ვიყავი. ძალიან დიდი პატივისმცემელი ვიყავი პროფ. ჯავახიშვილის, დღესაც ვარ მისი დიდი პატივისმცემელი, ამას არ დავმალავ, ეს სამართლიანად მიმაჩნია, მაგრამ მის მსოფლმხედველობას არასოდეს არ ვეთანხმებოდი... შემცდარი ვიყავი თუ არა ეს სხვა საქმეა, მაგრამ მე სხვა მიმართულება მქონდა... როცა ჯავახიშვილზე გადავდივარ ჯერ ვამბობ, რომ მას დიდი დამსახურება მიუძღვის ფაქტების დადგენაში, გენეალოგიის გამოკვლევაში, რაც დღეს აქ ყველამ გაიმეორა და რაც სრული სიმართლეა... რა თქმა უნდა, არა ჩემი გავლენის ქვეშ, მაგრამ ასეა თუ ისე ჩემი სიტყვაც გამართლდა; შემდეგ იმისა როცა ვამბობ ჯავახიშვილის დამსახურებაზე, შემდეგ გვერდზე ვამბობ, რომ ჯავახიშვილი სინთეტურ მუშაობას არ აწარმოებსო... ნუთუ ეს ნიშნავს, რომ მე მას (ე.ი. ჯავახიშვილს - მ.კ.) არ ვაკრიტიკებ? რა თქმა უნდა, კილო მკაცრი არ არის, მე არ ვიცი, ეხლა ეს საჭიროდ მიგაჩნიათ, მაგრამ იმ დროს საჭირო არ იყო მკაცრი კილო. შეიძლება მე ვცდებოდ, მაგრამ კილოსათვის ხომ არ გაასამართლებ კაცს? ნ ვფიქრობ, რომ მაშინ მოხდა ერთგვარი შეცდომა, რომ პროფ. ჯავახიშვილი დაითხოვეს უნივერსიტეტიდან, მე ამას არ ვემხრობოდი. სწორედ იმ დროს ეს წიგნი იბეჭდებოდა (ე.ი. „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები" - მ.კ.) და განგებ შევიტანე ასეთი კილო, რომ არავინ იფიქროს მეთქი, რომ მონაწილეობა მაქვს რამე ამ საქმეში და ბოლოს დავუმატე, რომ ხელისუფლება დააფასებს მეთქი ჯავახიშვილს როგორც მეცნიერს და მართლაც ორი წლის შემდეგ ის დააბრუნეს და ეხლა მუშაობს ჩვენს ხელისუფლებასთან... რაც შეეხება „სოციოლოგიურ განხილვას" უნდამოგახსენოთ, რომ ეს წიგნი ძალიან დაძველებულია, არა ხნით, რა თქმა უნდა, არამედ იმით, რომ წიგნის გამოსვლის შემდეგ ძალიან წინ წავიდა მეცნიერება, მაგრამ ის კი უდავოა, რომ წიგნის კონცეფცია სულ სხვა არის, სულ სხვა ნიადაგზე ვდგავარ, ვიდრე ჯავახიშვილი.

რაც შეეხება ა. კიკვიძეს, რომელიც შეეხო ჩემს გამოკვლევას (ე.ი. ნაშრომს შავშეთ-კლარჯეთზე - მ.კ.) გავბედავ

და ვიტყვი, რომ ეს გამოკვლევა თავისი მიზანდასახულებით ერთგვარ მნიშვნელობას არ არის მოკლებული, რამდენადაც გრ. ხანძთელის ნაწერს სრულიად ახალი თვალსაზრისით უდგები; რაც შეეხება მიწათმფლობელობას 9-10 საუკუნეებში ეს დიდი ისტორია არის და კიკვიძეს სრულიად ვერ გაუგია ჩემი თვალსაზრისი და ამაზე კამათი ძნელია" (719, ფ.103-105). (დისკუსიაზე თავის გამოსვლაში 1936 წელს ა. კიკვიძემ პრაქტიკულად გაიმეორა ის შენიშვნები, რომელიც ჰქონდა გრ. ნათაძის მიმართ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნებულ გამოკვლევაში და ამიტომ მისი გამოსვლის მოხმობა მიზანშეწონილად აღარ ვცანით).

აქვე უნდა შევეხოთ, ერთ, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. გრ. ნათაძის გამოსვლა კორექტული იყო და იგი ივ. ჯავახიშვილთან კამათის დროს არ არღვევს აკადემიურ, მეცნიერულ ჩარჩოებს. მის სიტყვას არ მიუღია პოლიტიკური პამფლეტის ფორმა, რაც, სხვათა შორის, ნიშანდობლივი იყო ზოგიერთი ორატორისათვის (ორაგველიძე, ტალახაძე, ჯანელიძე, ჯინჭველაშვილი, ბდღვილავა, მახარაძე). ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი პოლემიკა ივ. ჯავახიშვილთან არ იყო ხელისუფლების მიერ ათვალისწუნებული, წაქცეული კაცის ჩაწიხვლის ტოლფასი; სწორედ ამიტომ აურჩევია მას კამათისათვის „რბილი კილო". შესაძლოა, გრ. ნათაძემ ივ. ჯავახიშვილთან მეცნიერული პაექრობისათვის მთლად ხელსაყრელი მომენტი ვერ შეარჩია, როდესაც ბოლშევიკები დევნიდნენ ქართველ ისტორიკოსს (73, 21, 533, 142, 63), მაგრამ ამ რთულ ვითარებაში მას, ვფიქრობთ, ზნეობრიობის პრინციპი არ დაურღვევია, რაც ძირითადად იმით გამოიხატა, რომ აქტიური მონაწილეობა არ მიუღია თავის სახელმოხვეჭილი კოლეგის განქიქებაში, პარტიულ-იდეოლოგიურ დამუშავებაში, ლანძღვა-გინებაში, ლაფში გასვრაში. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ 20-იანი წლების შუა ხანებიდან საბჭოთა სკოლაში ისტორიის მაგივრად საზოგადოებათმცოდნეობის შემოღება ძალიან კარგად შეესატყვისებოდა გრ. ნათაძის მრწამსს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ თავად დაგმო ეს გაუმართლებელი და სავალალო ექსპერიმენტი (490, 491) და 30-იანი წლების შუა ხანებში კვლავ დაუბრუნდა სამოქალაქო ისტორიის სწავლებას (506, გვ.39-47; 507; გვ.26-31; 505. გვ.18-25).

გაცილებით უფრო ღირებულია გრ. ნათაძის შრომები მხარეთმცოდნეობაში და არქივთმცოდნეობაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ სტატიებით გრ. ნათაძემ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ ორი დარგის განვითარების საქმეში. გრ. ნათაძემ წინ წამოწია მხარეთმცოდნეობის მნიშვნელობა. სწორედ ეს იდეა უდევს საფუძვლად გრ. ნათაძის მოხსენებას ისტორიკოს მარქსისტთა კონფერენციაზე მოსკოვში 1928 წლის 28 დეკემბერი, 1929 წლის 4 იანვარი „მხარეთმცოდნეობითი მიდგომის გამოყენების გამოცდილება სპეციალურ ისტორიულ გამოკვლევებში (486, გვ. 47-62) სწორედ ამ კუთხითაა დანახული საკითხი მის ნაშრომში „ტფილისის მხარეთმცოდნეობისათვის" და ბოლოს ამგვარი მეთოდის ღირებულებას უსვამს ხაზს თავის წიგნში „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხი" (586, გვ. 341-359).

გრ. ნათაძე დიდ ყურადღებას იჩენდა საარქივო საქმისადმი. ამ თემას მან უძღვნა შემდეგი შრომები: „სახელდახელო ცნობები რსფსრ-ის არქივების მდგომარეობის შესახებ", „საქართველოს ცენტრარქივის მე-18 საუკუნის მასალების კლასიფიკაციისათვის შინაარსის მიხედვით", „საარქივო მასალების მხარეთმცოდნეობითი შესწავლისათვის" ამ სტატიების მეცნიერული ღირებულება ისაა, რომ გრ. ნათაძე იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მკვლევარი რომელიც არქივთმცოდნეობის სათავეებთან იდგა. საარქივო საქმის განვითარებაში გრ. ნათაძის წვლილი, ვფიქრობთ, ალ. ნამორაძემ გააშუქა საკმაოდ დაწვრილებით და მას ახალს ვერაფერს დავუმატებთ (517, გვ. 387-389).

გრ. ნათაძის შრომები დღეს უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა; ამიტომ მიზანშეწონილად გვესახება გრ. ნათაძის საუკეთესო შრომების ორ ტომად გამოცემა. ეს პუბლიკაცია, ჩვენი აზრით, ასეთ პრინციპებზე შეიძლება ავაგოთ.

პირველ ტომში სასურველი იქნებოდა შესულიყო სახელმძღვანელოები: ინგლისის მოკლე ისტორია, პირველყოფილი კულტურა, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, ნაწ.1, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, ნაწ.2 და კაპიტალიზმის ისტორია, თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

მეორე ტომში მიზანშეწონილი იქნებოდა გრ. ნათაძის საუკეთესო გამოკვლევების შეტანა; პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს არის გრ. ნათაძის ნაშრომი ძველი საბერძნეთის ისტორიაზე, „უძველეს საბერძნეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა როგორც კილონის აჯანყების საფუძველი", შემდგომ მოდის გრ. ნათაძის გამოკვლევები მედიევისტიკაში: „ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიაში" „ ბენეფიციების წარმომობა და იმუნიტეტის საკითხი, ერთი ნიმუში ფორმალურ-ლოგიკური მიდგომისა ისტორიის კვლევაში", „სალიკური სამართალი" როგორც წყარო ევროპის ეკონომიური ისტორიის შესასწავლად. „სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში, უმთავრესად ცეზარისა და ტაციტუსის ცნობების მიხედვით", „მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მმართვა მეროვინგების დროს" დაბოლოს, მსოფლიო ისტორიაზე მის შრომებს გაასრულებს სტატიები ახალ ისტორიაში: „რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციისდროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა", „ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი", „ნაპოლეონ პირველის დაწინაურების მიზეზები" და ეს ტომი შეიძლება გავასრულოთ გრ. ნათაძის ორი საინტერესო ნაშრომით საქართველოს ისტორიაზე.



კარი მესამე

პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე
(1890-1958 წწ.)

თავი I

ალექსანდრე ნამორაძის ბიოგრაფია

პროფ. ალექსანდრე ნამორაძე თავის უფროს კოლეგასთან გრიგოლ ნათაძესთან ერთად, საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის მესაძირკვლედ უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ ნაშრომის შემდგომი თავი, სწორედ მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ეძღვნება.

ალ. ნამორაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანა იყო მე-19 საუკუნის მიწურული და მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი - 1890-1958 წლები. ალბათ, ეს იყო არც თუ ისე საუკეთესო საუკუნის არც თუ ისე საუკეთესო წლები, მაგრამ ცხოვრების ეს ყველაზე რთული და ძნელი მონაკვეთი მან განვლო ღირსეულად და პატიოსნად, ძიებასა და შემოქმედებაში, რაც წარმოადგენდა მისი პიროვნების ორგანულ, შემადგენელ ნაწილს. ის არ იყო ტრადიციული მკვლევარი, რომელიც სწავლობდა ერთ ქვეყანას გარკვეულ ეპოქაში. იგი იყო ფართო ჰორიზონტის მეცნიერი, რომლისთვისაც, თუ ხმამაღლა ნათქვამი არ გამოგვივა, ძალზე ახლოს იყო „ანალების სკოლის" სტილი, მასშტაბურობა, პრობლემური აზროვნება. „ანალების სკოლის" ერთ-ერთი დამაარსებელი და აღიარებული ლიდერი ლუსიენ ფევრი ამბობდა: „ისტორიკოსი ის კი არ არის ვინც იცის, არამედ ის ვინც ეძებს" (406. გვ. 507). ალ. ნამორაძე, ვფიქრობთ, სწორედ იმ ისტორიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დღენიადაგ ძიებაში იყო. განსაკუთრებით ძნელი იყო ეს ძიება ტოტალიტარული რეჟიმის დროს. ლუსიენ ფევრის თანამემამულე გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი ამბობდა: „ნეტარნი ფიქრობენ, რომ მათ ყველაფერი იციან, მათთვის უხილავია მაძიებლის ტანჯვანი..." (172, გვ.104). თავად ფიუსტელ დე კულანჟი თავის თავს არ მიაკუთვნებდა ასეთ ნეტართა კატეგორიას, მას ვერ მივაკუთვნებთ ვერც ალ. ნამორაძეს, რომელმაც კარგად იცოდა „მაძიებლის ტანჯვანი" გასათვალისწინებელია, რომ ალ. ნამორაძის ცხოვრების ყველაზე უფრო ნაყოფიერი წლები ტოტალიტარული რეჟიმის ზეობის ხანაზე მოდის და მიუხედავად ამისა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ალბათ, კარგად მიესადაგება ფრიდრიხ შილერის სიტყვები: „მონობაშიც შეიძლება იყო თავისუფალი, სიბინძურეშიც შეიძლება იყო სუფთა".

ალ. ნამორაძე დაიბადა 1890 წლის 18 აგვისტოს დაბა თიანეთში. მამა გიორგი ზაქარიას ძე ნამორაძე (1867-1933) იყო სამხედრო მაგიდის უფროსი თიანეთის მაზრაში. საკმაოდ განათლებული პიროვნება და საზოგადო მოღვაწე. დედა პელაგია ზაქარიას ასული კობაიძე (1872-1958) სოციალურად სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. მას ეპარქიული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. მომავალი მეცნიერი, როგორც ჩანს, საკმაოდ ინტელექტუალურ გარემოში იზრდებოდა. გიორგი ნამორაძის ოჯახში ხშირი სტუმრები იყვნენ იმდროინდელი ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები, მათ შორის ვაჟა-ფშაველა (452, გვ.14).

1899 წელს ალ. ნამორაძე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ჩაირიცხა, რომელიც მან 1910 წელს დაასრულა (709, 711). გიმნაზიაში სწავლისას ალ. ნამორაძე ნიჭით, მახვილგონიერებითა და მუყაითობით გამოირჩეოდა. როგორც ჩანს ევროპის ისტორიისადმი ინტერესი მას უკვე გიმნაზიაში სწავლის დროს გაუღვივდა. მე-7 კლასში იყო როდესაც მან საინტერესო თემა დაამუშავა საფრანგეთის ისტორიაზე, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა (709).

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალ. ნამორაძე სერიოზული არჩევანის წინაშე დადგა. რა სპეციალობა აერჩია? ისტორიის გარდა მას ძლიერ იტაცებდა მედიცინა და სხვათა შორის ეს ინტერესი მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია. გადამწყვეტი სიტყვა მამამ თქვა. მან ექიმობა სახიფათო პროფესიად ჩათვალა (შეაშინა ინფექციურმა დაავადებებმა) და ამიტომ არჩევანი ისტორიაზე შეაჩერა.

1910 წელს ალ. ნამორაძე ტოვებს საქართველოს და სწავლის გასაგრძელებლად უკრაინაში მიემგზავრება. მაშინ მისაღები გამოცდები არ იყო და აგზავნიდნენ სიმწიფის ატესტატს. გააგზავნა ხარკოვში, მაგრამ მისი საქმე გადააგზავნეს კიევში. ასე აღმოჩნდა ალ. ნამორაძე კიევის უნივერსიტეტში. აქ ევროპის ისტორიის შესწავლის შესანიშნავი ტრადიციები არსებობდა, რომლის სათავეებთან იდგა ცნობილი მეცნიერი საფრანგეთის ისტორიის საუკეთესო მცოდნე პროფ. ივან ლუჩიცკი. მისი ხელმძღვანელობით აიდგა ფეხი კიევის უნივერსიტეტში შემდგომში სახელმოხვეჭილმა მეცნიერებმა ე.ტარლემ და დ. პეტრუშევსკიმ. (შემდგომში ეს უკანასკნელი მოსკოვის უნივერსიტეტში პ. ვინოგრადოვის მოწაფე გახდა). კიევის უნივერსიტეტში იღვწოდა ესპანეთის ისტორიის შესანიშნავი მცოდნე ვ. პისკორსკი, ხოლო 1903 წელს კიევის უნივერსიტეტში პროფესორად ინიშნება საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი პავლე ნიკოლოზის ძე არდაშევი, რომელიც კიევის უნივერსიტეტში ივ. ლუჩიცკისთან ერთად, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა იყო მსოფლიოს ისტორიის მასწავლებლებს შორის.

კიევის უნივერსიტეტში ალ. ნამორაძე ჩაირიცხა ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იგი გამოირჩეოდა დიდი სიბეჯითით, მუყაითობით, გულმოდგინებით და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით. ამიტომ, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ იყო, რომ ნიჭიერ ყმაწვილს მაშინვე დაადგა თვალი ისეთმა სერიოზულმა და კომპეტენტურმა მკვლე-

ვარმა როგორიც პ. არდაშევია. პირველი ნაბიჯები ალ. ნამორაძემ ისტორიულ მეცნიერებაში სწორედ ამ სახელმოხვეჭილი მეცნიერის ხელმძღვანელობით გადადგა. ამ მეცნიერულმა კონტაქტმა სტუდენტსა და პროფესორს შორის შეიძლება ითქვას, რომ უდიდესი კვალი დაამჩნია მის შემდგომ მუშაობას და, თუ ალ. ნამორაძემ თავისი სიტყვა თქვა ისტორიულ მეცნიერებაში ამაში, ვფიქრობთ „ლომის წილი" სწორედ პ. არდაშევს მიუძღვნის.

კიევის უნივერსიტეტში სწავლის დროს 1912 წელს ალ. ნამორაძე უნდა ვივარაუდოთ, რომ არდაშევის ინიციატივით, ერთი წლით სამეცნიერო მივლინებით იგზავნება საფრანგეთში. გასათვალისწინებელია, რომ შემდგომში ტოტალიტარული რეჟიმის დროს ალ. ნამორაძეს საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში წასვლის საშუალება არ მისცემია და ამიტომ 1912 წლის მეცნიერული მივლინება მის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ეტაპია. ამ მივლინებამ დიდად შეუწყო ხელი ალ. ნამორაძეს შეექმნა ორიგინალური ნაშრომი მე-17-18 საუკუნეების საფრანგეთის ისტორიაზე. პარიზის ბიბლიოთეკებში ის გულმოდგინედ სწავლობდა აღნიშნული ეპოქის შესახებ არსებულ პირველწყაროებს, დოკუმენტურ მასალას, სამეცნიერო ლიტერატურას (714, 715, 716, 717). ვვარაუდობთ, რომ ეს იყო პ. არდაშევის ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მისი გეგმის მეორე ნაწილი საფრანგეთის არქივებში მუშაობა. პირველი მსოფლიო ომის და რევოლუციის გამო, განხორციელებელი დარჩა. ამიტომ ალ.ნამორაძემ, ა. სავინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერ შეიგრძნო საფრანგეთის „არქივის მტვრიანი რომანტიკა". ეჭვს გარეშეა, რომ საარქივო მასალის შესწავლის შემთხვევაში ალ. ნამორაძის ნაშრომი კიდევ უფრო სოლიდურ სახეს მიიღებდა.

სამშობლოსაგან შორს მყოფი ჭაბუკი, როგორც თვითონ იგონებს, ზოგჯერ განიცდიდა მატერიალურ ხელმოკლეობას. „ერთხელ, დაუგვიანდა ფულის მიღება, ამიტომ იძულებული შეიქნა მიემართა შრომის ბირჟისათვის, რათა დროებით მოწყობილიყო სამსახურში; შესთავაზეს კამფეტის ქარხანაში მუშაობა, მაგრამ როდესაც მივიდა ადგილი დაკავებული დახვდა. მაშინ გააგზავნეს გოგირდის-ქიმიური ქარხნის ცეხში. აქ უზრუნველყოფილი არ იყო შრომის უსაფრთხოება და ამან ღრმა კვალი დაამჩნია მის ჯანმრთელობას. ფილტვები დაუზიანა. მუშაობისას მან ერთი საინტერესო ამბავი გადახდა თავს. იგი დადიოდა ერთ ღარიბულ სასადილოში. ერთხელ მას მიუახლოვდა რამდენიმე ტანადი ფრანგი მუშა და უთხრეს „შენ იაფფასიან ღვინოს სვამ, იაფად მუშაობაზე თანხმდებით და შენისთანები ხელფასს გვიმცირებენო". ბ-ნ ალექსანდრემ მიუგო გარეთ გამოსვლით ნუ მაშინებთ მე ქართველი ვარ. რაც შეეხება ღვინოს თქვენზე ნაკლებად არ ვიცი რომელი ღვინის დალევა ჯობია, ამჯერად უბრალოდ ჩამოსული ვარ და ამიტომ ვსვამ ამ ღვინოს. ლექციების დაწყებამდე კიდევ მაქვს დარჩენილი დრო და გავიდეთ გარეთო. ფრანგი მუშები მიხვდნენ, რომ სისულელე ჩაიდინეს და ბოდიში მოიხადეს. მათ მოინდომეს მისთვის ფულის მიცემა, მაგრამ ბ-ნ ალექსანდრემ არ აიღო. ბ-ნ ალექსანდრე სიცილით ამბობდა: ესენი იყვნენ ყველაზე ზორბა ტანის ფრანგები, რომელიც მე შემხვედრია პარიზში. როდესაც მატარებლით მოვდიოდით ცოტა ხნით ბერლინში შეეჩერდით და ყურადღება მივაქციე თუ როგორი ტანმოსული ვაჟკაცები იყვნენ გერმანელები. ფრანგები მათთან შედარებით ჩიად გამოიყურებოდნენ"

1914 წლის ზაფხულში დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა კარდინალურად შეცვალა ალ. ნამორაძის ცხოვრება. მან ვერ მოასწრო კიევის უნივერსიტეტის დამთავრება და ისტორიკოსის დიპლომის მიღება. სადიპლომო ნაშრომი, „საფრანგეთის ქალაქები ლუი XIV-ის დროს" (701), რომლის ხელმძღვანელიც იყო პროფ. პ. არდაშევი და რომელიც მოწონებული იყო თავად მის მიერ, დაუცველი დარჩა. ალ. ნამორაძის წინაშე სულ სხვა ამოცანები დადგა და პირველ ყოვლისა, ეს იყო სამსახურის მოძებნა, რომელიც ცოტათი მაინც უზრუნველყოფდა მის მატერიალურ მდგომარეობას. 1914-18 წლებში ალ. ნამორაძე მუშაობდა კიევში განათლების დარგში, სრულიად რუსეთის საერობო კავშირის კომიტეტის სასკოლო განყოფილების ინსტრუქტორად (709, 452, გვ. 150).

ალ. ნამორაძე ჩვეულებრივი ადამიანი იყო და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ ყოფილა. აქ, პირველ ყოვლისა, ცხადია, ვგულისხმობთ მის რომანს უკრაინელ ქალბატონთან, რომელიც იყო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ძალიან კულტურული და განათლებული ქალი. (შესაძლოა, ამ სიყვარულს მძლავრი ბიძგი მისცა ალ. ნამორაძის გატაცებას მედიცინით). თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი, მაგრამ უიღბლო სიყვარული. საქმე ის არის, რომ მათ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დაოჯახება ვერ მოახერხეს. ბ-ნ ალექსანდრე საქართველოში დაბრუნდა, ხოლო ქალბატონი კიევში დარჩა. 1921-41 წლებში ალ. ბატონი ალექსანდრე მიდიოდა კიევში ან ქალბატონი ჩამოდიოდა თბილისში. ბოლოს და ბოლოს დაიყოლია თბილისში გადმოსვლაზე. სამსახურიც კი უშოვა "არამიანცის" საავადმყოფოში (ქალბატონი იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი). წავიდა საბუთების ჩამოსატანად, მაგრამ კიევში ჩასვლის შემდეგ წერილი მოწერა, დედაჩემია წინააღმდეგი და ვერ ჩამოვალო. 1944 წლის დასაწყისში მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა გაანთავისუფლეს კიევი ბ-ნ ალექსანდრეს მოუვიდა წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ოკუპაციის დღეებში გარდაეცვალა დედა და ის მზადაა ჩამოვიდეს თბილისში. მაგრამ ეს ნაბიჯი დაგვიანებული იყო ბ-ნ ალექსანდრე დაოჯახებულია. მან უარით უპასუხა და განუმარტა, რომ შეირთო მეუღლე, ჰყავს შვილი და ბედნიერია. გაუგზავნა ფული და შესთავაზა თუ თქვენ გსურთ ჩამობრძანით და მე და ჩემი მეუღლე მოგხედავთო. მეტი წერილი მას აღარ მოუღია. ამის შემდეგ ქალის ბედი უცნობია.

* * *

1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ალ. ნამორაძე სამშობლოში დაბრუნდა, დამოუკიდებელ საქართველოს ძალიან ესაჭიროებოდა მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. საქართველოს სამსახურს მან როგორც მეცნიერმა და პედაგოგმა 40 წელი მოახმარა. რადგან ალ. ნამორაძემ ვერ მოახერხა კიევის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრება, ცოდნის გაღრმავების მიზნით 1919 წელს იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ისტორიის განხრით. 1924 წლის იანვარში ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და მიიღო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიაში ის გამოსცადა თვით დიდმა ივანე ჯავახიშვილმა. ეს მკაცრი, მაგრამ ობიექტური გამომცდელი პასუხით კმაყოფილი დარჩა და მის ცოდნას უყოყმანოდ მისცა უმაღლესი შეფასება (709, 452; გვ. 150-151).

როდესაც ალ. ნამორაძე სამშობლოში დაბრუნდა, აქ, როგორც იტყვიან, პოლიტიკური ცხოვრება ჩქეფდა. საინტერესოა როგორი პოზიცია დაიკავა მან ამ რთულ ვითარებაში. ვერ ვიტყვით, რომ პოლიტიკურ სარბიელზე დიდი აქტივობით გამოირჩეოდა. იგი ცოდნის გაღრმავებას დაეწაფა, თუმცა ალ. ნამორაძე გახდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი (529).

1921 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ალ. ნამორაძის რეაქცია ამ ფაქტზე, ბუნებრივია, უარყოფითი იყო. საერთოდ კომუნისტური მმართველობის სისტემისადმი დამოკიდებულება, როგორც მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები იგონებენ, დადებითი არ ყოფილა. ბოლშევიკური სახელმწიფოს სიკეთე და სიმტკიცე მას არ სჯეროდა და თავის მოწაფეების ვიწრო წრეში ერთხელ უთქვამს: „მე ვეღარ მოვესწრები და თქვენ ახალგაზრდები ხართ და მოესწრებით საფლავში ჩამძახეთ, რომ ესენი წაეთრენ და საქართველომ დამოუკიდებლობა და თავისუფლება აღიდგინა. მე გავიგებ ამას" სამწუხაროდ მისი მოსწავლეთა ერთი ნაწილი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ამას ვერ მოესწრო; დღეს კი შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნ ალექსანდრეს წინასწარმეტყველება გამართლდება და მას თხოვნა უნდა შევუსრულოთ.

„1921 წლის თებერვალია. რუსის ჯარმა დაიკავა თბილისი. ალ. ნამორაძე სამინელ გუნებაზეა და გამოვიდა თავისუფლების მოედანზე, სადაც ლენინის დიდი სურათი ჩამოეკიდათ. პატარა სოფლელმა ბიჭუნამ დედას ჰკითხა ეს ვისი სურათია? პასუხად მიიღო: „თავი კი გაუხმება მაგას, მაგ ლენინმა წაგვართვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა". ამ დროს საწყალ ქალს დასტაცა ხელი ვიღაც არაქართული წარმოშობის უცნობმა და უბრძანა წამმყევიო. ქალი დაიბნა ვერ მიხვდა თუ რაში იყო საქმე და ყვირილი ატეხა. „უი ქა, რა უნდათ ჩემგან სად მიმათრევს, მე პატიოსანი ქალი ვარო" ბ-ნ ალექსანდრე უმალ მიხვდა რაშიც იყო საქმე. არ დაანება იმ კაცს და ქალი გააპარეს"

1924 წელს პროფ. გრიგოლ ნათაძის წარდგინებით და უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით ალ. ნამორაძე დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად დასავლეთ ევროპის ისტორიის განხრით. ამ პერიოდში ალ. ნამორაძემ გამოავლინა მეცნიერული კვლევისათვის საჭირო თვისებები, ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა მეცნიერის წარმატებებს, უცხო ენების ბრწყინვალე ცოდნაში უნდა ვეძიოთ. ფრანგი ისტორიკოსები შარლ ლანგლუა და შარლ სენიობოსი წიგნში „ისტორიული მეცნიერების შესავალი" (283) მკვლევარი ისტორიკოსისათვის აუცილებლად საჭიროდ მიიჩნევდნენ ორი უცხო ენის ცოდნას. ალ. ნამორაძე ამ მოთხოვნებს, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა. მან, ქართულის და, რა თქმა უნდა, რუსულის გარდა ჩინებულად იცოდა ფრანგული და გ[illegible] ენები. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ ალ. ნამორაძის მიერ ჩატარებული კვლევითი მუშაობა სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ მიგვაჩნია მისი მეცნიერი-ხელმძღვანელის პროფ. გრიგოლ ნათაძის დახასიათება. „უკანასკნელ სესიაში სახელმწიფო გამოცდები დაიჭირა ალექსანდრე ნამორაძემ, რომელსაც უნივერსიტეტი კიევში აქვს დასრულებული. სადიპლომო შრომად მან წარმოადგინა ძველი საფრანგეთის პროვინციების შესახებ გამოკვლევა. ამ ნაშრომში ის სარგებლობდა გამოცემული პირველწყაროებით და მას დამოუკიდებელი კვლევის ხასიათი აქვს. ამიტომ ეს შრომა დაფასებული იქნა პროფ. პ. არდაშევის მიერ როგორც ფრიად დამაკმაყოფილებელი, რომელ დახასიათებასაც მე ვუერთდები. ამის გარდა ბ-ნ ალექსანდრე ნაციონალურ ბიბლიოთეკაში სწავლობდა „საწადელთა რვეულებს" და ძველი რეჟიმის კარგი მცოდნეა" (680). ისეთი ცნ[illegible] მეცნიერების დადებითი შეფასება, როგორიც არიან პ. არდაშევი და გრ. ნათაძე, რა თქმა უნდა, მრავლისმეტყველია და ახალგაზრდა მეცნიერის მიერ ჩატარებული ნაყოფიერი კვლევის საუკეთესო ატესტაციაა.

მეცნიერული წარმატებები, რა თქმა უნდა, მატერიალური კეთილდღეობის გარანტია ვერ იყო, ამიტომ ალ. ნამორაძე ერთხანს მუშაობდა მასწავლებლად სხვადასხვა სასწავლებლებში. 1918-23 წლებში თბილისის ვაჟთა მე-6 გიმნაზიაში, რომელიც 1922 წელს გადაკეთდა ტექნიკუმად. 1923-24 წლებში მუშაობდა თბილისის მე-11 ტექნიკუმში, ხოლო 1924-28 წლებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში რომელიც 1928 წლიდან სამიწათმოქმედო ტექნიკუმად გადაკეთდა (645, 709).

ალ. ნამორაძისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო 1932 წელი. მას საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულმა საკვალიფიკაციო კომისიამ უნივერსიტეტში მუშაობის პირველ წლებში გამოჩენილი უდიდესი ცოდნის, პედაგოგიური ნიჭის და კვლევის უნარის

გამო 1932 წლის 26 ოქტომბერის დოცენტის სამეცნიერო წოდება მიანიჭა, ხოლო შემდგომ 1935 წლის 31 დეკემბერს კი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (709). ამ დროისათვის ალ. ნამორაძეს უკვე გამოქვეყნებული აქვს ორი საინტერესო ნაშრომი „ადმინისტრაციული მეურვეობა და სამუნიციპალო მმართველობა საფრანგეთში ძველი რეჟიმის დროს", რომელიც დაიბეჭდა უნივერსიტეტის შრომებში და საინტერესო დამხმარე სახელმძღვანელო „დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება". ამ წიგნებს, გარდა წმინდა მეცნიერული ღირებულებისა, გააჩნდათ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა და ქართველ სტუდენტებს და მასწავლებლებს საფუძვლიანად აცნობდა აღნიშნულ პრობლემებს.

1938 წლის 3 ნოემბერს ალ. ნამორაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მართველობა საფრანგეთში მე-17-18 საუკუნეებში". ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: აკად. ე ტარლე, პროფ. გრ. ნათაძე, პროფ. ნ. დუბროვსკი. 1939 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტის საატესტაციო კომისიის სხდომაზე ალ. ნამორაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ხოლო იმავე კომისიის 1941 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით პროფესორის სამეცნიერო წოდება (709).

ოცდაათიანი წლების შუა ხანებში ალ. ნამორაძე აირჩიეს ახალი ისტორიის კათედრის გამგედ და მეოთხედ საუკუნეზე მეტი განაგებდა მას. 1940 წლის 25 თებერვლიდან 1942 წლის 10 მაისამდე ალ. ნამორაძე იყო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი (709, 452, გვ.152).

მიუხედავად მეცნიერული წარმატებებისა ვერ ვიტყვით, რომ ალ. ნამორაძის პირადი ცხოვრება ია-ვარდებით იყო მოფენილი. ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ალ. ნამორაძემ მთლიანად გაიზიარა 20-30-იანი წლების ქართული ინტელიგენციის მძიმე ხვედრი. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ალ. ნამორაძე უთუოდ, ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც შემთხვევით გადარჩენილად უნდა მივიჩნიოთ. მას, ისევე როგორც ქართული ინტელიგენციის სხვა ბრწყინვალე წარმომადგენლებს, მუდამ დასტრიალებდა დაპატიმრების ან ფიზიკური განადგურების აჩრდილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების ერთი დოკუმენტი. ეს არის „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების და მეცნიერი მუშაკების დახასიათება", რომელიც პირველად 1990 წელს გამოაქვეყნა პროფ. გიორგი ციციშვილმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თავზარდამცემი დოკუმენტი, სადაც სიკვდილის მსახვრალი ხელი დასტრიალებს ქართული ინტელიგენციის ნაღებს. აი რას ვკითხულობთ ამ დოკუმენტში ალ. ნამორაძეზე. „ყოფილი სოციალ-ფედერალისტი... წარმოადგინა დისერტაცია დოცენტის ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც არ იქნა დაშვებული დასაცავად მისი ანტიმარქსისტული მდგომარეობის გამო... ლექციებზე დაშვებული პოლიტიკური შეცდომებისათვის რამდენჯერმე დაისაჯა. საზოგადოებრივ საქმიანობაში მცირე აქტიურია. შემცველის უყოლობის გამო საჭიროა დროებით დატოვებულ იქნას სამუშაოზე" (529; 648). კომუნისტური რეჟიმი, რომ ალ. ნამორაძეს არასაიმედოდ მიიჩნევდა ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს მეორე დოკუმენტიდან, საიდანაც ვგებულობთ, რომ იგი არც მეტი არც ნაკლები ფაშისტური ორგანიზაციის წევრი ყოფილა, რომელსაც საქართველოში თურმე ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილი (530, 718). როგორც იტყვიან აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. კომუნისტური ხელისუფლება ვერ იტანდა ქართულ ინტელიგენციას, რომელსაც არცთუ მაინცდამაინც სჯეროდა სოციალიზმის იდეალების დღეგრძელობა.

ალ. ნამორაძის ტრაგედია, ისე როგორც ბევრი ქართველი პატრიოტისა ის იყო, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ფაქტობრივად ცხოვრობდნენ უკვე არარსებული სახელმწიფოს მოქალაქეებად. ტოტალიტარული რეჟიმი მისთვის მიუღებელი იყო, თუმცა ის იძულებულია ემოღვაწა ამ ჯოჯოხეთურ სისტემაში. მიუხედავად იმისა რომ გარეგნულად ქმნიდა იმ შთაბეჭდილებას თითქოს შეეგუა ამ წყობილებას, შინაგანად ის რჩებოდა არარსებული დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქედ. მის თავზე დამოკლეს მახვილივით ეკიდა ფიზიკური განადგურების საფრთხე. ის კარგად გრძნობდა, რომ კომუნისტები ბოლომდე არ ენდობოდნენ მას, მაგრამ პატრიოტიზმი, მეცნიერების სიყვარული, პროფესიონალიზმი, ერის ბედნიერი მომავლისადმი ურყევი რწმენა, აძლევდა მძლავრ სტიმულს ეკეთებინა თავისი საქმე, რაც ნამდვილ ზნეობრივ გმირობად მიგვაჩნია.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ სახლში სადაც მან გაატარა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი, მისი მეზობელი იყო კგბეს თანამშრომელი ჩეკას კომენდანტი შაშურკინი. ასე რომ ალ. ნამორაძე საკმაოდ ახლოს იცნობდა ჩეკას ფიზიონომიას, მათ სულიერ აელადიდებას. როგორც ჯალათების უმრავლესობა შაშურკინი მორალურად გახრწნილი და გალოთებული იყო. მისი ძირითადი მოვალეობა იყო დაპატიმრებულთა დახვრეტა და გართობის მიზნით მათი წამება. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა როდესაც ბ-ნ ალექსანდრე გვიან ღამით ბრუნდებოდა სახლში. მას წამოსწევია შაშურკინი მოღერებული რევოლვერით. შაშურკინს წესად ჰქონდა, რომ არავის არ მისცემდა ნებას, მათ შორის ბ-ნ ალექსანდრესაც, ეელოთ მის ზურგს უკან. ისე, რა სასიამოვნოა როცა ბრუნდები სახლში დაღლილი და უკან ფეხდაფეხ მოგყვება მთვრალი ჩეკისტი მოღერებული რევოლვერით.

სხვათა შორის, შაშურკინი კეთილგანწყობილი იყო ბ-ნ ალექსანდრეს მიმართ, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ხშირად უყვებოდა მას თავის „საგმირო საქმეებს". შემო-

ვიდოდა შაშურკინი ბოთლი არაყით და ორი ჭიქით და მოხსნიდა გუდას პირს. ბ-ნ ალექსანდრე უსმენდა მდუმარედ. შაშურკინი თავის თხრობას არაყს აყოლებდა, როცა ბოთლს დაცლიდა ბ-ნ ალექსანდრეს ჭიქასაც დალევდა და ამით „სასიამოვნო" საუბარი მთავრდებოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შაშურკინი ბ-ნ ალექსანდრეს აიმედებდა „თუ ვინიცობაა რამე მოხდეს ნუ გეშინია ისე დაგხვრეტ ვერაფერს გაიგებო" იმხანად, ეტყობა, ესეც შეღავათი იყო.

ბ-ნ ალექსანდრეს თავისი მოწაფეებისათვის ხშირად უთქვამს: მრავალშვილიან ოჯახში მამა რომ გარდაიცვლება იცით რას ნიშნავს იყო უფროსი ვაჟი? და მართალაც, ძალიან დიდი შრომა და ამაგი აქვს გაწეული და-ძმის გაზრდაზე. ძმებიდან განსაკუთრებით უყვარდა შაქრო. ეს იყო ახალგაზრდა დიდად ნიჭიერი ქიმიკოსი. როდესაც შაქრო დაოჯახდა ლილი გოკიელზე ბ-ნმა ალექსანდრემ თავისი ბინა დაუთმო მას ფასანაურის ქუჩაზე. შაქროს შეეძინა გოგონა ნათელა. ამ დროს შაქრო უკვე დოცენტი იყო; მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე და ცდებს ატარებდა უნივერსიტეტში (ლაბორატორია „კირიჩნზე" იყო). ერთხელ დაურეკეს მოსეშვილის ლექცია ცდებაო. იგი სასწრაფოდ წავიდა. ავტობუსში ბევრი ხალხი იყო და კარებზე ჩამოეკიდა; მარჯანიშვილის თეატრთან ავტობუსმა ხესთან ახლოს გაიარა და გასრისა. როდესაც ქ-ნ ლილის ეს ამბავი შეატყობინეს ხელიდან ბავშვი გაუვარდა. მოზარდ ხერხემალი დაუზიანდა და წლების მანძილზე ლოგინში უნდა ყოფილიყო გაუნძრეველად. ბ-ნ ალექსანდრეს უნდა ეზრუნა სახლზე და ბავშვზე. მას ეხმარებოდნენ ძმები არჩილი და ლევანი. როგორც ჩანს, დედმამისშვილებსაც ძალიან უყვარდათ და პატივს სცემდნენ ბ-ნ ალექსანდრეს. ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს მისი დის ნატაშა ნამორაძის მოგონებები, რომელიც ჩაუწერია მას თიანეთში 1966 წლის 18 ივნისს: „მე მინდა მოგონებით გამოვიდე ჩემი ძმა ალ. ნამორაძეზე. მოგონებებს კიწყებ პროლოგით, რომელშიც ვეხები ჯერ მამაჩემს გიორგი ნამორაძეს. მამაჩემს გიორგი ნამორაძეს სწავლა-განათლება მიღებული ჰქონდა ქ. გორში. ფრიად ნაკითხი და განათლებული იყო. იწერდა ჟურნალ-გაზეთებს, მისდევდა მეფუტკრეობას. იყო შრომისმოყვარე, პატიოსანი და მორიდებული. მსახურობდა და თან სოფლის მეურნეობას ეწეოდა. შვილებსაც პატარაობიდანვე ჩაგვინერგა შრომისადმი სიყვარული. ოჯახი უყვარდა, მაგრამ საერთო საქმეზეც გული შესტკიოდა. ყოველთვის ხალხის ინტერესების დამცველი იყო და ცდილობდა დახმარებოდა, მიეცა შესაფერისი რჩევა-დარიგება, კეთილ გზაზე დაეყენებინა თითოეული მათგანი, მამა ყოველთვის კარგი მაგალითის მიმცემი იყო. მამას ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ: ვაჟა ფშაველა, მისი ძმა ნიკო რაზიკაშვილი. იგივე ბაჩანა, ცნობილი მწერალი და მთარგმნელი გიორგი (გუცა) ნამორიძე, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შემკრები თიანეთის მაზრაში დავით ხიზანიშვილი. იმ დროის ცნობილი ახალგაზრდა პოეტი კიკნა ფშაველა (სიმონ ბადურაშვილი) და სხვა. მამის ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ჩემი ძმა ალექსანდრე (საშა) ყველაზე უფროსი იყო და-ძმებს შორის და ამიტომ იყო, რომ მშობლებს გვერდში ედგა და მათთან ერთად ღირსეულად სწევდა ოჯახის მძიმე ტვირთს. ალექსანდრემ საშუალო განათლება თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიიღო. მის დროს ქართულ გიმნაზიაში სწავლობდნენ აწ გარდაცვლილნი: პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი, ცნობილი ჟურნალისტი ალექსანდრე ბურთიკაშვილი და სხვ. იმდროინდელ ქართული გიმნაზიის ცნობილი პედაგოგები იყვნენ: პეტრე მირიანაშვილი, დავით კარიჭაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ალექსანდრე მდივანი, შიო ჩიტაძე, დავით პარკიძე, სეით იაშვილი და სხვები, ზოგიერთი იმათთაგანი ასწავლიდა ალექსანდრეს რომელთაც პატივისცემით იგონებდა. თბილისის გიმნაზიაში ყოფნისას ჯერ ისევ თითქმის თვითონაც ბავშვი ოჯახს ხელმძღვანელობდა. მახსოვს პირველ კლასში ვიყავი, გაკვეთილი არ დავამზადე და ისე დავწექი დასაძინებლად. გაიგო რა ეს ჩემმა ძმამ წამომახტუნა ლოგინიდან და მაიძულა გაკვეთილი დამემზადებინა. იმ დღიდან მივეჩვიე გაკვეთილების დამზადებას. ალექსანდრე ძალიან შრომისმოყვარე იყო და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა. წესრიგი უყვარდა ყველაფერში, იყო უაღრესად პატიოსანი, მორიდებული, თავაზიანი და გულისხმიერი და ოჯახის და საერთო საქმის ერთგული. მახსოვს გამომეღვიძებოდა ღამე ალექსანდრე უჯდა მაგიდას წიგნებში ჩაფლული და გულმოდგინედ კითხულობდა, წერდა, რაღაცას ინიშნავდა, შუაღამე კი დიდი ხნის გადასული იყო. უფროსი დის სოფიოს განცხადებით - მე ის (ალექსანდრე - მ.კ.) დამეხმარა, დამაყენა ნათელ გზაზე, მისი რჩევითა და დახმარებით შევძელი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება. ზაფხული იყო, თიანეთში ვიყავი, ალექსანდრე სტუდენტი იყო მაშინ. გზაზე მიმავალი ნაცნობი მოხუცი ქალი დაინახა, რომელსაც მძიმე ტვირთი ძლივს მიჰქონდა სახლში. ალექსანდრეს შეეცოდა, გაიქცა, ჩამოართვა ტვირთი და სახლამდის მიუტანა, მოხუცმა თურმე ძალიან დიდხანს ლოცა. მოწაფეობისას მამამ უყიდა სანადირო თოფი და ფოტოაპარატი. სანადირო თოფით ხოცავდა გარეულ ფრინველებს განსაკუთრებით ფუტკრისჭამიებს, რომლებიც ანადგურებდნენ ფუტკარს. ფოტოაპარატით კი სურათებს უღებდა შინაურებსა და ნაცნობ-მეგობრებს.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე კიევში გაემგზავრა უმაღლესი ცოდნის მისაღებად. ეს იყო 1910 წელი. სტუდენტობის დროს დედა მას უგზავნიდა ამანათებს, რომელშიც სხვა რამეებთან ერთად ჩურჩხელებს აწყობდა. ალექსანდრე რუს და უკრაინელ მეგობრებს გამასპინძლებია ჩურჩხელებით მათ ძალიან მოსწონებიათ ჩურჩხელები და ალექსანდრესთვის უკითხავთ - რომელი ხე ისხამს ასეთ გემრიელ ნაყოფსო.

1912 წელს ალექსანდრე კიევიდან სტუდენტ ამხანაგებთან ერთად გაემგზავრა პარიზში, სადაც სორბონის უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა. ეს ამბავი მამას წინასწარ ვერ აცნობა და ერთ მშვენიერ დღეს მამა თიანეთში მოულოდნელად იღებს წერილს, რომლის კონვერტსაც

პარიზის ფოსტის ბეჭედი ჰქონდა. მამა გაოცებული დარჩა და თანაც ნაწყენი, რატომ წინასწარ არ შემატყობინა. თუ საფრანგეთში წასვლას აპირებდა ახლა ნახოს თუ მე მას სახარჯო ფული გაუგზავნო. მაგრამ მამა იყო და რას არ გაუგზავნიდა. ალექსანდრემ ქართული და რუსული ენის გარდა ზედმიწევნით იცოდა ფრანგული და გერმანული. ზაფხულობით ყოველთვის ჩამოდიოდა კიევიდან თიანეთში; აქ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენები იმართებოდა ალექსანდრე აქტიურ მონაწილეობას იღებდა მასში. მახსოვს პიესა „ციმბირელები" შეასრულა ციმბირელის როლი.

კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ჩამოდის სამშობლოში და პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს თბილისის ქართულ გიმნაზიაში. ეს იყო 1918 წელი. რამდენიმე წლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადადის, სადაც დარჩა გარდაცვალებამდე, შემდეგ ოჯახსაც ხელი მოჰკიდა და შეეძინა შვილები: თამარი და ნინო. 1955 წლის ზაფხული იყო. თიანეთში ვიყავი, ალექსანდრეც იყო თავისი ოჯახით, უფროსი შვილი თამრიკო მაშინ მეხუთე კლასში იყო გადასული, უხაროდა, რომ წამოეზარდნენ გოგონები. მახსოვს გვითხრა მე და ჩემ დას ელენას - ხუთი წლის შემდეგ თამრიკო სტუდენტი მეყოლებაო და ველარც კი მოესწრო ამ დღეს. ოცნებობდა რომ ერთ-ერთი შვილი ისტორიკოსი გამოსულიყო. ამ ოცნებას ნუნუ უსრულებს მამას.

ალექსანდრე (საშა) აღარა გვყავს, მაგრამ მისი ოჯახი კვლავ ჰყვავის. მისი მეუღლე პატივცემული მერი სწევს ოჯახის ჭაპანს და ალექსანდრეს სასახელოდ ზრდის ორ გოგონას, რომლებიც ამჟამად სტუდენტები არიან. 1958 წლის 11 ივლისს მძიმე დანაკლისი განიცადა ჩვენმა ოჯახმა. დავკარგეთ დიდი მოამაგე და მშობელი მამასავით მზრუნველი ძმა. სიკვდილის წინ ნატრობდა თიანეთის ნახვას და ამბობდა თიანეთის ჰაერი და წყალი, აუცილებლად განმკურნავდაო, მაგრამ აღარ დასცალდა მშობლიური თიანეთის და ნაცნობ-მეგობრების ნახვა. თბილისში, ვაკის სასაფლაოზე, მისი სამარე დაფარა თიანეთის მიწამ და ყვავილებმა რომლებიც ჩამოუტანეს, თიანეთელებმა დაკრძალვის დღეს"(638).

1942 წელს ბ-ნ ალექსანდრეს ერთ-ერთ ლექციაზე თავის მეგობრებს შემოყვა გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტი ქ-ნი მერი ფილიაშვილი, რომელმაც უმალ მიიპყრო ბ-ნ ალექსანდრეს ყურადღება და ისინი 1943 წლის 8 ივნისს დაქორწინდნენ. მათ შეეძინათ ორი ქალიშვილი. უფროსი თამარი და უმცროსი ნინო (ნუნუ). თამარმა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავა, ხოლო უმცროსი ნუნუ მამის არჩეულ გზას გაყვა და ისტორიკოსის პროფესიას მოჰკიდა ხელი. იგი ამჟამად მუშაობს აღ. ნამორაძის სახელობის ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე.

აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად აღ. ნამორაძე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომელიც მარტოოდენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტით არ შემოიფარგლებოდა. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო განიცდიდა მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტთა დეფიციტს და შეიძლება ითქვას, რომ ვიწრო სპეციალობით სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა მეტისმეტი ფუფუნება იყო. აღ. ნამორაძე, როგორც ლექტორი ჭეშმარიტად უნივერსალია. არქივში მუშაობისას წავაწყდით მის მიერ წაკითხულ საინტერესო ლექციებს უძველეს ისტორიაში, ანტიკურ ისტორიაში, აზიის ქვეყნების ისტორიაში და რა თქმა უნდა, საზღვარგარეთის ქვეყნების შუა საუკუნეებისა და ახალ ისტორიაში, რომლის უშუალო სპეციალისტადაც ის გვევლინებოდა (672; 684; 692; 699; 694; 695; 687; 686; 671; 697; 698; 693; 685; 651; 673).

გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, აღ. ნამორაძე სხვადასხვა პერიოდში შეთავსებით მოღვაწეობდა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად ს.ს. ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი), რესპუბლიკის პარტიულ სკოლაში, პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრში და მაინც ყველაზე მეტი ამაგი, უდავოდ ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს დასდო, სადაც 18 წლის მანძილზე კითხულობდა ლექციებს და ერთხანს განაგებდა მსოფლიო ისტორიის კათედრას. აღ. ნამორაძის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა, რომ მან ნ. დუბროვსკისთან ერთად ქუთაისში საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოს ისტორიის სწავლებისა და მეცნიერული კვლევის ტრადიციას. აღსანიშნავია, რომ აღ. ნამორაძის აღზრდილია ინგლისის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი საქართველოში პროფ. ლევან სვანაძე.

ქუთაისში აღ. ნამორაძის მიერ გაწეული შრომის ღირსეული დაფასებად მიგვაჩნია ის თბილი წერილი, რომელიც ქუთათურებს დაუწერიათ ღვაწლმოსილი მეცნიერის და პედაგოგის გარდაცვალების გამო. „ძვირფასო, ალექსანდრე... იშვიათი და ჩუმი მოღვაწე იყავ: როდესაც ქუთაისში გაიხსნა უმაღლესი განათლების კერა პედაგოგიური ინსტიტუტი შენ ერთ-ერთი პირველთაგანი იყავ, რომ იკისრე იქ მუშაობა, რომ დასავლეთ საქართველოში ახლად დაარსებული ინსტიტუტი გაძლიერებულიყო. 18 წლის განმავლობაში, მიუხედავად მგზავრობის მძიმე პირობებისა, განსაკუთრებით კი ომის წლებში, შენ იშვიათი კეთილსინდისიერებით განაგრძობდი ნაკისრ საქმეს. შენი ღრმა შინაარსიანი, ერუდიციით მდიდარი, მკვეთრი საისტორიო ანალიზით გაჯერებული ცოცხალი და საინტერესო ლექციები შუა საუკუნეებისა და ახალ ისტორიაში სტუდენტთა ფართო აუდიტორიას იზიდავდა. ძვირფასო ალექსანდრე! წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდი მსოფლიო ისტორიის კათედრის მუშაობას და ჩვენი ინსტიტუტის კედლებში შენს მიერ აღზრდილია არა ერთი მეცნიერი მუშაკი დასავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალობით და დანერგილია მეცნიერული კვლევის მაღალი კულტურა... მართალია ბოლო წლებში მოუცელობის გამო ველარ განაგრძობდა ქუთაისში სიარულს, მაგრამ სულიერი კავშირი მის

კოლექტივთან არ გაგვიწყვეტია. შენ ჩვეული გულისხმიერებით განაგრძობდი ზრუნვას და ხელმძღვანელობას თითოეულის სამეცნიერო მუშაობის მიმართ" ჭუთაისელთა სახელით ალ. ნამორაძის დაკრძალვის დროს მეტად თბილი სიტყვა წარმოთქვა დოც.შალვა აბრამიძემ (713).

ამგვარი ფართო პროფილის პედაგოგიური საქმიანობა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ მას გააჩნია თავისი ნაკლოვანი მხარეებიც. კერძოდ კი, მსოფლიო ისტორიაში ლექციების დამზადებას, ცხადია, საკმაოდ დიდი დრო მიჰქონდა რაც კარგი ცხოვრებით არ იყო განპირობებული. საქართველოს ძალიან უჭირდა მსოფლიო ისტორიაში მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები და ალ. ნამორაძე უეჭველად ანგარიშს უწევდა ამ გარემოებას.

1946 წლის 5 მარტს, ალ. ნამორაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1953 წლის 27 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ღვაწლმოსილი მეცნიერი დააჯილდოვა ლენინის ორდენით (645; 709; 452; გვ. 154-155).

ალ. ნამორაძე, რა თქმა უნდა, კარგად ხედავდა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების და მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეში ერთ-ერთი სერიოზული საკითხია კვალიფიცირებული კადრების აღზრდა. ამ მხრივ ალ. ნამორაძის ღვაწლი განსაკუთრებით დასაფასებელია. მიუხედავად იმ ძნელი პირობებისა ალ. ნამორაძემ მაინც მოახერხა და აღზარდა ნიჭიერ მკვლევართა მთელი პლეადა და ამით ფაქტობრივად საძირკველი ჩაუყარა საქართველოში ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის სწავლებასა და მეცნიერულ კვლევას რაც ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად მიგვაჩნია. ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ალ. ნამორაძის მოწაფეების სიას: 1. კონსტანტინე ანთაძე, 2. შოთა ბასილაია, 3. სერგო ბოკუჩავა, 4. ოთარ გიგინეიშვილი, 5. მირიან ეფრემიძე, 6. აკაკი ვაშაკიძე, 7. გერმან ზაქარიაძე, 8. ვლადიმერ ივანოვი, 9. გივი კილურაძე, 10. ნოდარ კიკვაძე, 11. ნინო კუბლაშვილი, 12. რეზო ლასკარი, 13. კუკური ლილუაშვილი, 14. გურამ მანჯგალაძე, 15. ილია მახარაძე, 16. კარლო მეშველიანი, 17. ზურაბ მისაბლიშვილი, 18. ლევან სვანაძე, 19. გერმან სიმონიძე, 20. რემი სიკინჭილაშვილი, 21. ილია ტაბაღუა, 22. ზოია ჩიმაკაძე (შეფტელი), 23. არჩილ ჩხეიძე, 24. ნასყიდა ხამასურიძე, 25. ირინა ნოდია.

ალ. ნამორაძის სკოლა დღეს სერიოზულ ძალად გვევლინება და მას წამყვანი პოზიციები უკავია საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლებისა და კვლევის საქმეში. ეს ცალკე საინტერესო პრობლემებია და მას, ვფიქრობთ, საგანგებო ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას.

საინტერესოა ალ. ნამორაძის მიერ თავისი მოწაფეების ლექციების განხილვა. უნდა ითქვას, რომ არქივში ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი მასალაა და ყველა მათგანის განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა და, ალბათ არც არის საჭირო. მხოლოდ ყურადღებას შევაჩერებთ გივი კილურაძის ლექციის განხილვაზე, რომელიც ალ. ნამორაძის ერთ-ერთი უსაყვარლესი მოწაფე და ამ სტრიქონების ავტორის მასწავლებელი იყო. ლექციის თემა იყო რიული ფრონდა საფრანგეთში. დასწრება კარგია, 21 სტუდენტიდან ესწრებოდა 18. მსმენელები (ნაწილი იწერდა ლექციას რვეულში), უსმენდნენ შეუნელებელი ინტერესით და ყურადღებით საკითხის ისტორიოგრაფიის წინ წამოწევა გივი კილურაძის ლექციების დამახასიათებელი შტრიხია. როგორც ჩანს, ეს მომენტი ალ. ნამორაძის გამოცდილ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია, აი რას ამბობს იგი: „განსაკუთრებით მოსაწონია იყო ის ისტორიოგრაფიული ელემენტი, რაც დოც. გ. კილურაძემ ორგანულად დაუკავშირა თავის სალექციო მასალას. გივი კილურაძე ახალგაზრდა ლექტორია, მაგრამ უკვე ისეთ მონაცემებს ამჟღავნებს, რაც მას, უდავოდ, თვალსაჩინო მომავალს უმზადებს"; უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძის ეს შეფასება წინასწარმეტყველურად გაისმა. მას ალღომ არ უმტყუნა და გივი კილურაძემ სავსებით გაამართლა მასწავლებლის პროგნოზი.

როგორც ერთსულოვნად აღნიშნავენ თვითმხილველები ალ. ნამორაძე ძალიან მაღალკვალიფიცირებული ლექტორი იყო და საინტერესო ლექციებს ატარებდა. პირველ ყოვლისა, ალ. ნამორაძე უაღრესად მომთხოვნი იყო საკუთარი თავის მიმართ და ძალზე სერიოზულად ეკიდებოდა უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლის პროფესიას. ვფიქრობთ, ეს კარგად ჩანს ერთი დოკუმენტიდან, რომელიც მის პირად არქივში აღმოჩნდა: ალ. ნამორაძის აზრით,მაღალხარისხოვანი ლექციის წასაკითხად საჭიროა შემდეგი: „1. თვით ლექტორის ღრმა და სერიოზული განსწავლულობა, საგნის საფუძვლიანი ცოდნა, რის საფუძველზე შეიძლება აგებულ იქნას მეცნიერულად გამართული ლექცია, 2. ლექტორმა უნდა გაითვალისწინოს სალექციო მეთოდიკის წესები, ვინაიდან მეთოდიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეთოდოლოგიასთან, 3. თუ ლექტორს ორატორობის თანდაყოლილი ნიჭი არ აქვს, იგი ყოველთვის იმის ცდაში უნდა იყოს, რათა გამოიმუშავოს ლექციისათვის სათანადო, საჭირო ენა, 4. ლექტორი ყოველთვის სერიოზულად უნდა ემზადებოდეს ლექციისათვის, რაც თანაბრად შეეხება როგორც ახალგაზრდა ლექტორს, ისე დიდი პრაქტიკის, დიდი სტაჟის მქონე ლექტორს, 5. ლექცია არ უნდა იყოს გადატვირთული ფაქტობრივი მასალით. დამახასიათებელი ფაქტობრივი მასალა სათანადოდ უნდა იქნეს შერჩეული და მისი რაოდენობა ზომიერად აღებული, რათა არ დაიჩრდილოს, ბუნდოვანი არ გახადოს ის მთავარი დებულებები, რისი გადაცემაც ლექციის ძირითად მიზანს წარმოადგენს, 6. საერთოდ მეტი უპირატესობა უნდა მიეცეს მოსაუბრე ენით წაკითხულ ლექციას, ვიდრე თავიდან ბოლომდე დაწერილ ლექციის წაკითხვას. მოსაუბრე ენით ჩატარებული ლექციის დროს უფრო მჭიდრო კონტაქტი მყარდება ლექტორსა და აუდიტორიას შორის და სტუდენ-

ტებისათვის უფრო ადვილია ამგვარი ლექციის მოსმენა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ლექტორს აუცილებლად ხელთ, უნდა ჰქონდეს (წინასწარ გამზადებული) ლექციის გეგმა-კონსპექტი. უამისოდ დაუშვებლად მიმაჩნია ლექტორის შესვლა აუდიტორიაში ლექციის წაკითხვის მიზნით. ზოგიერთი ამ გეგმა-კონსპექტს უარყოფს. თუ ლექტორის თავისი თავის იმედი არა აქვს, რომ მოსაუბრე ენით გადასცეს ლექცია, ჯობია სიტყვა-სიტყვით დაწერილი ლექცია წაიკითხოს, მაგრამ სიტყვა-სიტყვით გამზადებული ლექცია დაწერილი უნდა იქნას მოსაუბრე ენით, 7. საჭიროა სათანადო დიქცია და ინტონაცია ლექციისათვის, რათა ლექტორის სიტყვები გასაგები იყოს შორს მჯდომი მსმენელებისათვის, 8. სერიოზული, ყურადღება უნდა მიექცეს ლექციის ენას. დაუშვებელია წამდაუწუმ ხმარება ისეთი სიტყვებისა როგორიცაა, რასაკვირველია, მაშასადამე, ასე ვთქვათ, როგორც ასეთი და სხვა ანალოგიური სიტყვებით, 9. ლექცია არ უნდა იკითხებოდეს არც ძალიან სწრაფი ტემპით, რომ მსმენელმა ვერ შეძლოს მისდიოს ლექტორის აზრით მსვლელობას, ვერ მოასწროს აზრების მოკლედ ჩაწერა, 10. დაუშვებელია ლექციის დროს ჯერ მეთოდოლოგიური მონაცემების გადაცემა და შემდეგ ფაქტიური მასალის, ისინი განაწილებული უნდა იქნას თანაშეზომილად და ორგანულად დაკავშირებული ერთმანეთთან, 11. ლექციის მოსმენა ერთგვარ შრომას წარმოადგენს და ისიც არაა ადვილი საქმე. ვინაიდან მსმენელი გონებრივად უაღრესად აქტიური უნდა იყოს, რათა შეძლოს სათანადო თვალყური ადევნოს ლექტორის მსჯელობას და მათ ლოგიკურ კავშირს. იგი დაძაბული უნდა იყოს, ვინაიდან ჰირდება მოსმენილი აზრების და დებულებების მოკლედ ფორმირება და ჩაწერა. ლექტორი ვალდებულია დაეხმაროს ამ მხრივ თავის მსმენელებს და ლექციის დროს ფაქტიური მასალის გადაცემასთან ერთად სათანადო მომენტებში მიაწოდოს ანალიზის და დასკვნის დებულებების გარკვეული განმარტება ფორმულების სახით. საერთო დახმარება გამოიხატება იმით თუ ლექცია აგებულია სისტემატიურად, 12. კონტაქტის დამყარებისათვის ლექტორსა და აუდიტორიას შორის აუცილებლად საჭიროა გამართული ლექცია. იგი უნდა იყოს გამართული, შინაარსიანი და საინტერესო. ამ კონტაქტს ერთგვარად ხელს შეუწყობს აგრეთვე ის გარემოება თუ მსმენელი წინასწარვე გაეცნობა წიგნიდან იმ მასალას რომელსაც იგი შემდგომში მოისმენს ლექტორისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტს უმუშავდება გარკვეული აპერცეფცია, იგი უაღრესად დაინტერესებული ხდება იმით თუ რას იტყვის და როგორც შეეხება იმ საკითხებს ლექტორი... კონტაქტი უშუალო და აუცილებელი შედეგია მაღალხარისხოვანი ლექციისა".

საგულისხმოა ალ. ნამორაძის მოსაზრებები სალექციო სწავლების გაუმჯობესების შესახებ. ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა შემდეგი: 1. ურთიერთდასწრება ლექციებზე და მოსმენილი ლექციის განხილვა კათედრის სხდომაზე, 2. საჩვენებელი ლექციის წაკითხვა კათედრის წევრების მიერ თვით კათედრის სხდომაზე და მათი განხილვა მთელი კოლექტივის მიერ, 3. კათედრის წევრების მიერ ამა თუ იმ ლექციის გეგმის წარმოდგენა და განხილვა კათედრის სხდომაზე, 4. იმის შესწავლა თუ როგორ ითვისებენ სტუდენტები ლექციურად გადაცემულ მასალას. რა სახით გადაცემულ მასალას ითვისებენ უფრო ადვილად და რა აინტერესებთ მათ. აქედან გამოტანილი დასკვნები ხელს შეგვიწყობდნენ უფრო ცოცხალი და საინტერესო გაგვეხადა მასალის გადაცემა ლექციის სახით, 5. სტუდენტთა ჩანაწერების, კონსპექტების შესწავლა-შემოწმება, რაც ჩვენ თვით ბევრს შეგვასწავლიდა სალექციო მეთოდის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ლექციების ხარისხის ამაღლების მხრივ, 6. ლექტორის აქტიური მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, რაც მას საშუალებას მისცემს თავისი ლექციები სათანადო სამეცნიერო კონდიციებამდე მიიყვანოს, 7. უპირველეს ყოვლისა ლექტორს უნდა უყვარდეს თავისი საგანი და სწავლების საქმე. თუ ამას ადგილი ექნება იგი თავისთავად ინსტიქტურად ვამონახავს წესების უმეტეს ნაწილს თავისი ლექციის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის, 8. კოლექტიური დახმარება ახალგაზრდა ლექტორებს. 9. კათედრა უნდა აწყობდეს სემინარებს ლექტორებისათვის... სემინარებზე უნდა იხილებოდეს ლექციების გეგმები, მეთოდიკური საკითხები, რითიც გაუმჯობესდება ლექციის ხარისხი, 10. ლექციასთან უნდა სდევდეს საისტორიო რუკის დემონსტრირება. დაკავშირება მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებთან, როდესაც ამას მოითხოვს თვით ლექციის თემა.

აქედან, ერთი რამ შეიძლება დავასკვნათ. ალ. ნამორაძე როგორც მასწავლებელი და მეცნიერი არასოდეს არ ყოფილა იოლი გზით სიარულის მოტრფიალე. მისი დამოკიდებულება ლექციებისადმი იყო ის, რასაც ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი ეწოდება. იგი დღენიადაგ იმის ზრუნვაში იყო თუ რა საშუალებით შეიძლებოდა აემაღლებინა ლექციების ხარისხი მას და მისი კათედრის წევრებს.

ბუნებრივია, ანალოგიური იყო ალ. ნამორაძის დამოკიდებულება სასემინარო მუშაობისადმი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი ნაშრომი „ისტორიული დოკუმენტის გამოყენება სპეცსემინარზე" (700), რომელიც რატომღაც რუსულ ენაზეა დაწერილი. ალ. ნამორაძე სვამს ძალზე აქტუალურ საკითხს — სტუდენტებთან პირველწყაროებზე მუშაობა და გაგვაცნობს თავის მოსაზრებებს ამ რთული პრობლემის შესახებ. ახალგაზრდა სპეციალისტ ისტორიკოსის აღზრდის საკითხში წყაროებზე მუშაობას ცენტრალური ადგილი უჭირავს. თუ უკუვაგდებთ რევერანსებს მარქსისტული იდეოლოგიისადმი, რაც ადვილი გასაგებია და იმ დროისათვის საკმაოდ ბუნებრივი იყო ნაშრომი პოზიტიურ ნაწილში, უდავოდ, ღირებულია და მასში დასმულ საკითხებს თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ეს არის ერთ-ერთი საინტერესო მეთოდური მითითება თუ როგორ უნდა ჩავატაროთ სპეცსემინარი მაღალ დონეზე. ეს იყო ევროპული სკოლა. სტუდენტი პირველ რიგში, უნდა გასცნობოდა საკითხის შესახებ არსებულ პირველწყაროებს, ხოლო შემდეგ ლიტერატურას. რო-

გორც რუსულ, ისე უცხო ენებზე. საფიქრელია, რომ ალ. ნამორაძე თავის სპეცსემინარებზე ფართოდ იყენებდა იმ გამოცდილებას რომელიც მან მიიღო ჯერ კიდევ კიევის უნივერსიტეტში პროფ. პ. არდაშევის სპეცსემინარებზე. ალ. ნამორაძე ფიქრობდა, რომ ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობა საჭიროა სტუდენტისათვის არა მარტო მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი ჩვევების გამოსამუშავებლად, არამედ იგი ძალიან უწყობს ხელს სტუდენტის ცოდნის გაფართოებას (700). ამიტომ მას ორგვარი დატვირთვა ენიჭება მეცნიერული და შემეცნებითი. საშუალო სკოლაში, ალ. ნამორაძის აზრით, ამგვარი სამუშაოს ჩატარება მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რადგან ბავშვი მზად არაა ამგვარი მასალის ასათვისებლად ხოლო მაღალ კურსებზე ამის გაკეთება ალ. ნამორაძეს აუცილებლად ესახება (700). ალ. ნამორაძის მოსაზრებით, სპეცსემინარზე მუშაობა სამი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: 1. სპეციალური ლიტერატურის გაცნობა, 2. დოკუმენტური მასალის გაცნობა, 3. რეფერატების დაწერა (700). ამის შემდეგ დეტალურად არის განხილული თითოეული ეტაპი (700). ამგვარად აგებულია სემინარი, ეჭვის გარეშეა, საინტერესო იქნებოდა და აქ ყოველთვის შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა. სამწუხაროდ შეიძლება ითქვას, რომ ეს კარგი ტრადიცია თანდათანობით დავიწყებას ეძლევა და მისი აღორძინება მიზანშეწონილი იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების აღზრდაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ალ. ნამორაძე როგორც ოპონენტი. აი, კიდევ ერთი საინტერესო თემა, რომელზე ყურადღების შეჩერება მიზანშეწონილი იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძე ოპონენტს მეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად ჩანს ერთი დოკუმენტიდან, რომელსაც ახლა გაგაცნობთ. აი, რა მოთხოვნებს უყენებდა ალ. ნამორაძე ოპონენტს: 1. შეეფერება თუ არა შრომის თემა მის დანიშნულებას? 2. შეეფერება თუ არა შრომის გეგმა თემის შინაარსს? 3. ამჟღავნებს თუ არა შრომის ავტორი ჯეროვან ყურადღებას, მომზადებას სათანადო დისციპლინებში? 4. აქვს თუ არა შრომას კვლევითი ხასიათი და ფლობს თუ არა ავტორი სათანადო კვლევის მეთოდებს? 5. დაუძლევია თუ არა ავტორს თემა? 6. როგორი არის შრომის მეცნიერული შედეგები? 7. დამაკმაყოფილებელი არის თუ არა ენა და სტილი? 8. შეიძლება თუ არა შრომა დაშვებული იქნას დასაცავად? (452, გვ. 153).

ალბათ, საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ თუ ვისი ოპონენტი იყო ალ. ნამორაძე. რა თქმა უნდა, ამ საკითხის სრულყოფილად წარმოჩენის პრეტენზია არ გვაქვს. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიაში მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების ნაკლებობის გამო ერთ დროს გამონაკლისის სახით დაშვებული იყო, რომ ხელმძღვანელი შეიძლებოდა ყოფილიყო ოპონენტი. როგორც ჩანს, ალ. ნამორაძის როგორც ოპონენტისათვის 40-იანი წლების შუა ხანები ერთერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო, 1. შოთა ბასილაია, „მეფის რუსეთის დამოკიდებულება პარიზის კომუნისადმი", საკანდიდატო დისერტაცია, 1947 წლის 20 აპრილი. 2. გვარის ამოკითხვა ჭირს, „რუსეთ-ირანის ურთიერთობის საკითხისათვის მე-15-16 საუკუნეებში", საკანდიდატო დისერტაცია, 1947 წლის 2 აპრილი. 3. შალვა აბრამიძე, "ანაბაპტისტთა მმართველობა მიუნსტერში 1534-35 წლებში"; საკანდიდატო დისერტაცია, 1944 წ. 4; იონა კუბლაშვილი, „აბსოლუტიზმი და 1908 წლის რევოლუცია თურქეთში", საკანდიდატო დისერტაცია, 1946 წ. 7 ივნისი. 5. ვ. ღვინიაშვილი, „Описание путешествие Шардена, как источник информации о Грузии", საკანდიდატო დისერტაცა, 1946 წ. 23 აპრილი 6. გრიგოლ ჩხარტიშვილი, „უფლებათა დიდი ქარტია", საკანდიდატო დისერტაცია, 1946 წ. 9 მაისი, 7. ირაკლი ბერაძე „კელნის ხელოსანთა მოძრაობა მე-14 საუკუნეში". საკანდიდატო დისერტაცია, 1945 წ, აპრილი. 8. П. И. Фридман, Воспоминание Чомии; სადოქტორო დისერტაცია, 1942 წ. ნოემბერი. 9. ზოია შეფტელი (ჩიმაკაძე) „მაკიაველის ისტორიული შრომების საკითხი", საკანდიდატო დისერტაცია, 1948 წ. 5 ნოემბერი. 10. ანასტასია კასრაძე, „რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში", საკანდიდატო დისერტაცია, 1948 წლის ნოემბერი (703). ალ. ნამორაძის ხელით შედგენილ ამ სიას (მოყვანილია ზუსტად იმ თანამიმდევრობით როგორც ეს აქვს თვითონ ბ-ნ ალექსანდრეს) შეიძლება დავუმატოთ კიდევ ორი რეცენზია. ის იყო ოპონენტი გიორგი ფუთურიძის საკანდიდატო დისერტაციის „კოჩი-ბეი გორვალის „რისალე", როგორც წყარო თურქ-ოსმალეთის სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ" (1953 წლის 8 აპრილი) (707) და გიორგი ბელთაძის საკანდიდატო დისერტაციაზე „ფრანკების წარმოშობის საკითხისათვის" (708).

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, როგორც წესია ის იყო მკაცრი, მაგრამ ობიექტური ოპონენტი, თუმცა სამწუხაროდ იყო გამონაკლისებიც, რაც ერთი მხრივ, განპირობებული ტოტალიტარული სისტემის ზემოქმედებით და მეორე მხრივ, საქართველოს იმ დროს მსოფლიო ისტორიაში უჭირდა კადრები და ის მიდიოდა არასასურველ კომპრომისებზე.

პროფ. ალ. ნამორაძეს დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო ახალგაზრდა მეცნიერების დაკვალიანების საქმეში, არამედ იგი ყოველთვის გვერდში ედგა თავის უმცროს კოლეგებსაც. აქ, ვგულისხმობთ, პროფ. ალ. ნამორაძის მეტად თბილ რეცენზიას ვარლამ დონაძის ნაშრომზე, რომელიც წარმოადგენდა მისი მომავალი სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს (706). ასეთი რეცენზია, ცხადია, უმცროსი კოლეგებისათვის დიდი სტიმული იქნებოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ალ. ნამორაძე როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელი. ამ მხრივ ფრიად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პროფ. ალ. ნამო-

რაძის მიმოწერა მის ერთ-ერთ მოწაფესთან კოტე ანთაძესთან, რომლის გაცნობის საშუალებაც მოგვეცა ამ უკანასკნელის პირად არქივში. ამ მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ ალ. ნამორაძე იყო შესანიშნავი ხელმძღვანელი, თუ შეიძლება ასე ითქვას აზრების ნამდვილი დეტონატორი, რომელიც როგორც მშობელი ისე ზრუნავდა თავის ასპირანტებზე. იმ მრავალი წერილიდან, რომელიც ბ-ნ კოტეს პირად არქივში ინახება მოვიყვანთ მხოლოდ ორს: პირველი დათარიღებულია 1955 წლის 27 მარტით, ხოლო მეორე იმავე წლით დეკემბრით. „კოტე! კვლავ გულდასმით გადავათვალიერე თქვენი საკანდიდატო ნაშრომი და დავრწმუნდი, რომ თქვენ შეგისწორებიათ ისე როგორც მე ამას მოვითხოვდი. მე კმაყოფილი ვარ და თანახმა მივცე თქვენს სადისერტაციო ნაშრომს მსვლელობა. 1. ნაშრომის გეგმა მოწესრიგებულია და ჩემთვის სავსებით მისაღებია. წყაროები და ლიტერატურა შეტანილია როგორც პირველი თავი, ნაშრომის დაყოფა ორ ნაწილად თავიდან აუცილებელია, ზოგიერთი თავი ქვეთავებად არის გადაქცეული. პირველი თავი გაყოფილია ორ ქვეთავად და სხვა. ე.ი. შესრულებულია ყველა ის რასაც მოვითხოვდი 2. შესავალი მისაღებია, ხოლო იხილე ჩემი შენიშვნები თვით ტექსტში. 3. დასკვნა არ მომეწონა: ა) იგი ძალიან შემცირებულია. ბ) არ არის შეტანილი ზოგიერთი საინტერესო დებულება, რაც თვით ნაშრომში მოგვეპოვებოდა. გ) დასკვნებს მოთხრობითი და აღწერილობითი ხასიათი აქვს, რაც მიუღებლად მიმაჩნია. 4. თავიდანაა აცილებული განმეორებათა დიდი ნაწილი. 5. თვით ნაშრომში მასალა გადაჯგუფებულია ისე როგორც მე ამას გირჩევდით. ერთი სიტყვით, შესრულებულია რასაც მოვითხოვდი, ხოლო საჭიროა: 6. კრიტიკული სამეცნიერო აპარატის მოწესრიგება. 7. დასკვნების გადახალისება, დასკვნები ხელახლა უნდა დამიწერო ჩემი მითითების მიხედვით, რომ იყოს იგი შნოიანი, ლაზათიანი, შინაარსიანი და თქვენი ნაშრომისათვის შესაფერისი. გიბრუნებთ ჩემს მიერ შემოწმებულ ნაშრომს სასწრაფოდ, თუმცა ამის პირობა მე თქვენთვის არ მომიცია ჩემი უაღრესი დატვირთულობის გამო; თქვენ ღირსი ხართ ამგვარი ყურადღებისა"(638). მეორე წერილი უკვე სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატს ეხება და მსჯელობა მის ირგვლივ მიმდინარეობს რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ პერიოდის მანძილზე მუშაობა წინ წაწეულა. აი, რას ვკითხულობთ ამ წერილში. „ჩემო ძვირფასო კოტე! არ არის სასიამოვნო, რომ ავტორეფერატს გადამუშავება დასჭირდება, მაგრამ უნდა გადავახალისოთ. 1. ისტორიოგრაფიული ნაწილი შეიძლება შემცირდეს, მას უჭირავს ავტორეფერატის მეოთხედი. 2. მეორე თავს „რევოლუციური კრიზისის" შესახებ დაკავებული აქვს ავტორეფერატის ნახევარი (გვ. 10-30) 20 გვერდი. ეს ზოგადი ხასიათის თავია და იგი უფრო ფართოდ გაშლილია, ვიდრე მესამე თავი, რომელიც კვლევითი ხასიათისაა და რომელსაც თქვენთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს. უნდა შემცირდეს მეორე თავი და გაფართოვდეს მესამე თავი. 3. ავტორეფერატს არ მოეპოვება დასკვნები საჭიროა სულ ცოტა ერთი ან ორი აბზაცი - 15 სტრიქონი. 4. ყურადღება მიაქციე ჩემს შენიშვნებს: გვ.18, 23, 29 და 40. 5. სჯობია გარკვეულად ჩანდეს თუ საიდან იწყება ყოველი თავის განხილვა და სად მთავრდება. 6. ენა საერთოდ წესიერია, ხოლო შიგადაშიგ მოგვეპოვება შეცდომები, რაც თვით ტექსტში აღვნიშნეთ. 7. რა დანიშნულება აქვს აბზაცების წინ დასმულ ციფრებს. 8. საჭირო არ არის ხელმძღვანელის ვინაობა ამოიშალოს. 9. გადამუშავების შემდეგ უნდა დამიბრუნოთ ავტორეფერატი ხელმეორედ შესამოწმებლად" (638).

ვფიქრობთ, მოყვანილი წერილიდან კარგად ჩანს თუ რაოდენ მომთხოვნი ხელმძღვანელი და სერიოზული მეცნიერი იყო პროფ. ალ. ნამორაძე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის მიერ მომზადებული საკანდიდატო დისერტაცია არ ყოფილიყო წარმატებით დაცული. უნდა ვიფიქროთ, რომ ალ. ნამორაძემ როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელმა შეიძინა, ძალიან ბევრი რამ თავისი შესანიშნავი მასწავლებლის პროფ. პ. არდაშევისაგან. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ კოტე ანთაძის მიერ (და არა მარტო მის მიერ) საკანდიდატო დისერტაციის წარმატებით დაცვაში „ლომის წილი" სწორედ მის ხელმძღვანელს პროფ. ალ. ნამორაძეს მიუძღვის.

ის მდიდარი გამოცდილება რომელიც ალ. ნამორაძეს გააჩნდა ასპირანტებთან მუშაობაში განზოგადოებული იქნა მის მოხსენებაში „უნივერსიტეტში ასპირანტების მდგომარეობის შესახებ" (666). ამ აქტუალური თემის განხილვისას კარგად გამოჩნდა ალ. ნამორაძის მოქალაქეობრივი პოზიცია, უნივერსიტეტის ხვალინდელ დღეზე ზრუნვა. ალ. ნამორაძე მიუთითებდა: „ასპირანტურის საკითხი ფრიად სერიოზული პრობლემაა არსებულ პირობებში. თვით ის გამოხმაურება და ხანგრძლივი მსჯელობა, რომელიც მან ჰპოვა სამეცნიერო საბჭოში მაჩვენებელია იმისა თუ რამდენად მტკივნეულ საკითხად გადაქცეულა იგი ჩვენთვის. ეს ჩვენი უნივერსიტეტის მომავლის საკითხია. როგორი სახე ექნება მას 20-30 წლის შემდეგ. პესიმისტი არ გახლავართ, მაგრამ ვფიქრობთ რომ კატასტროფისკენ მივემართებით. ვის ვაბარებთ ამ ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეს? ვის ვაბარებთ ამ ჩვენი უნივერსიტეტის მომავალს მის სვე-ბედს, მისი სახელოვანი არსებობის საქმეს? ჩვენი უნივერსიტეტის მომავლის საკითხი იგივეა, რაც ასპირანტურის მომზადების საკითხი. ძლიერად მომზადებული ასპირანტურის კადრები გარანტიაა უნივერსიტეტის სახელოვანი მომავლისა. სუსტი ასპირანტურა და მისი სუსტი მომზადება სამარცხვინო მომავლის მომასწავებელია" (666). ალ. ნამორაძის გამოსვლის მთავარ ღირსებად მისი რეალისტური პოზიცია მიგვაჩნია, რომლისთვისაც სრულიად მოუღებელია საკითხის შელამაზება. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ალ. ნამორაძის პესიმისტური განწყობილება, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული სულაც არ ყოფილა და შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანწილად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. სავსებით ვიზიარებთ ალ. ნამორაძის მოსაზრებას, რომ ასპირანტე-

ბთან მუშაობისას პირველ რიგში საჭიროა ადგილობრივი პირობების გათვალისწინება და ამ საკითხის გადაწყვეტა ზემოდან მითითებებით, ადმინისტრაციული წესით, მოსკოვის მიბაძვით, მიზანშეწონილი არ იქნებოდა (666). არსებითად ალ. ნამორაძე ხმას იმაღლებს სამეცნიერო კადრების ცენტრალიზებული წესით მომზადების წინააღმდეგ, რაც, სხვათა შორის, მეტად დამახასიათებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის. აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში ამგვარი პოზიციის დაკავება ცოტა სახიფათო საქმეც კი იყო, რადგან მავანს და მავანს იგი ადვილად შეიძლებოდა გამოეყენებინა ადამიანის დასაღუპავად. უბრალოდ, საკმარისი იყო ეთქვა, რომ ალ. ნამორაძეს არ მოსწონს მოსკოვის შედგენილი გეგმა და სასტიკი წინააღმდეგია ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საბჭოური სისტემის. თუ გავიხსენებთ, რომ კომუნისტური ხელისუფლება ისედაც უნდობლად უყურებდა ალ. ნამორაძეს, ვფიქრობთ, სიტუაცია კიდევ უფრო ნაოელი შეიქმნება, ამიტომ ალ. ნამორაძის პოზიცია ფრიად ზნეობრივი და მოქალაქეობრივი იყო. საყურადღებოა ის ნაკლოვანებები, რომელსაც ალ. ნამორაძე ასპირანტურის მუშაობაში ხედავდა. მისი მოსაზრებები ფრიად საინტერესოა და, ჩვენი აზრით, თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. მას განსაკუთრებით არ მოსწონს სამწლიანი ვადის დაწესება, რადგან მეცნიერებაში რაიმე ვადების დადგენა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. დიდ მინუსად ესახება უცხო ენების უცოდინარობა. მოუწესრიგებელია ასპირანტთა პირადი საქმე. ამაში იგი ადანაშაულებს, როგორც დეკანატში მომუშავეებს, ისე კათედრის ხელმძღვანელებს და თვით ასპირანტებს (666).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის თბილი, მეგობრული ურთიერთობა რომელიც ორ შესანიშნავ მეცნიერს პროფ. ალ. ნამორაძეს და აკად. ევგენი ტარლეს შორის არსებობდა. მათი წერილები ნათქვამის დასტური უნდა იყოს (710). ალბათ, ალ. ნამორაძე იყო ერთ-ერთი ქართველი ისტორიკოსი რომელთანაც აკად. ე. ტარლეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი რომელმაც ღირსეულად დააფასა აკად. ე. ტარლეს ღვაწლი ისტორიულ მეცნიერებაში. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძე იყო მთავარი ინიციატორი საქართველოში ე. ტარლეს იუბილის მოწყობისა (690). ეს მით უმეტეს მისასალმებელი იყო იმიტომ, რომ სამწუხაროდ, ე. ტარლე თავის სიცოცხლეში განებივრებული არ ყოფილა ამგვარი დაფასებით (422; 630). თავის მხრივ აკად. ე. ტარლე ძალიან აფასებდა ალ. ნამორაძის დამსახურებას ისტორიული მეცნიერების წინაშე. აქ ვგულისხმობთ არა მხოლოდ იმას, რომ მან 1938 წელს როგორც ოფიციალურმა ოპონენტმა დადებითი შეფასება მისცა ალ. ნამორაძის სადოქტორო ნაშრომს, არამედ სხვა მასალებსაც, რომლებსაც წავაწყდით არქივში მუშაობის დროს. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესოა ღვაწლმოსილი მეცნიერის წერილი თბილისის უნივერსიტეტისადმი ალ. ნამორაძის შრომების მნიშვნელობის შესახებ. სადაც ის კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ალ. ნამორაძის ორიგინალურ წვლილს ქართულ ისტორიოგრაფიაში, მის ღრმა განსწავლულობას, ფართო ერუდიციას მეცნიერულ კეთილსინდისიერებას. მისი ღრმა რწმენით, ალ. ნამორაძის შრომები მსოფლიო ისტორიაში ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და მის ოქროს ფონდს მიეკუთვნება (652).

ბუნებრივია, ალ. ნამორაძის ბიბლიოთეკის ძვირფას რელიკვიას წარმოადგენდა ვ. ტარლეს მიერ ნაჩუქარი წიგნი „ნაპოლეონი", თვით ავტორის წარწერით (710 ბ). აკად. ე. ტარლეს სახელმძღვანელო ახალი ისტორიის მეორე პერიოდში (1870-1918) საბჭოთა კავშირში საუკეთესო იყო (334). ალ. ნამორაძემ გადაწყვიტა ქართულ ენაზე ეთარგმნა ეს ორიგინალური სახელმძღვანელო. ალ. ნამორაძის ნაბიჯი მისასალმებელია, რადგან ქართველ სტუდენტებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ მსოფლიო ისტორიაში მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოები. მას ამ მშვენიერი წიგნის თარგმანით სურდა თავისი წვლილი შეეტანა ამ ხარვეზის შევსების საქმეში. მან დაიწყო ე. ტარლეს სახელმძღვანელოს თარგმნა, მაგრამ რატომღაც არ დაუსრულებია (702 ბ). საქმე ის არის, რომ ე. ტარლემ მოწერა წერილი, რომ გამოდიოდა ამ სახელმძღვანელოს მეორე შევსებული გამოცემა და მისი თარგმნა უმჯობესი იყო. სახელმძღვანელო გამოვიდა, მაგრამ ამასობაში დაიწყო ომი და ალ. ნამორაძის ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. ამ სახელმძღვანელოს თარგმნა, უთუოდ დიდად დაეხმარებოდა ქართველ სტუდენტებს ახალი ისტორიის ამ მონაკვეთის შესწავლაში.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ინტერესსმოკლებული არ იქნებოდა ის მოსაზრებები, რომელიც ალ. ნამორაძეს გამოუთქვამს აკად. ე. ტარლეს სახელმძღვანელოზე ახალი ისტორიის პირველ პერიოდში. 1. ლე შაპელიეს კანონი 1791 წელს. ამ პარაგრაფში არის საუბარი სამოქალაქო და საეკლესიო მოწყობის შესახებ. შეიძლება ჯობდა გამოყოფა „საეკლესიო წყობის რეორგანიზაცია, ანდაც სხვა რამ შესატყვისი სათაური (გვ. 76-78). 2. კანონი სათვალ- მიწების შესახებ გამოვიდა 1793 წლის 10 ივნისს და არა 11 ივნისს. ფრანგულ წყაროებში ის მოიხსენიება 10 ივნისის დეკრეტის სახელით და არა 11 ივნისის (გვ. 112-113). 3. ნუთუ იაკობინელების დაახლოება „ცოფიანებთან" მხოლოდ იმ ნიადაგზე მოხდა, რომ იაკობინელებმა ანგარიში გაუწიეს მასებს, მათ გაჭირვებას, საერთო კრიზისს და ფრონტზე დამარცხებებს? თუ მათ ამოძრავებდათ აგრეთვე პოლიტიკური მოსაზრებები მასების გადმობირება თავის მხარეზე, რათა მათი დახმარებით უფრო ადვილად დაემარცხებინათ ჟირონდა (გვ.107). 4. საჭირო იყო სახელმძღვანელოს ჰქონოდა ლიტერატურა თავების მიხედვით - ბიბლიოგრაფია. 5. კონტინენტური ბლოკადა უფრო უკეთესად შეიძლებოდა დაწერილიყო. თვით ტარლეს ნაშრომი კონტინენტური ბლოკადა მრავალციფრობრივ მასალას იძლევა. 6. გერმანიაში ნაპოლეონის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება. 1809 წლის აჯანყება; თვით ამ ფაქტზე ძალიან ცოტაა ნათქვამი.

სათაური და შინაარსი არ შეესატყვისება ერთმანეთს (გვ. 199). 7. სათაური არ შეესაბამება შინაარსს ინგლისის და გერმანიის მუშათა მოძრაობის განხილვის დროს (გვ. 336-338). 8. დგას საკითხი მონროს დოქტრინის პროგრესულობაზე (გვ. 411). 9. იქნებ ზედმეტია ქვესათაური „გერმანიის გაერთიანების შედეგები" ამაზე საუბარი ნაადრევია, ვინაიდან წიგნში თხრობა მოყვანილია პრუსია-ავსტრიის ომამდე 1866 წელს. ჩრდილოეთ გერმანიის კავშირი იქმნება ამის შემდეგ. ეს არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გერმანიის საბოლოო გაერთიანება. ეს მოხდა საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ 1870 წელს. ამიტომ უხერხულია გერმანიის გაერთიანების შედეგებზე საუბარი. ეს დააბნევს მკითხველს. ამ საკითხზე საუბარი აჯობებდა საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ. ეს საკითხი კი განხილული არაა ამ წიგნში და იგი არის განხილული მეორე ტომში. 10. 1830 წლის რევოლუცია. 1789 წლის რევოლუციისაგან განსხვავებით იყო ბურჟუაზიული და არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული (გვ.242) სხვა გვერდზე იგი უარყოფს ამას. 11. რიკარდოს იდეები უფრო ვრცლად იქნას ჩამოყალიბებული (გვ. 269-270) (681).

ბუნებრივია, რომ ეს შენიშვნები მარქსისტული იდეოლოგიის ფარგლებს არ სცილდება, რასაც იმ პერიოდში ვერავინ ვერ გაბედავდა. ეს დისკუსია მრავლისმეტყველი უნდა იყოს და აქ გამოთქმული შეხედულებები ყურადსაღებად მიგვაჩნია. აქედან კარგად ჩანს თუ რაოდენ სერიოზული და ღრმა მეცნიერი იყო ალ. ნამორაძე. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოტათი ბუნდოვანი შეიძლება იყოს მერვე შენიშვნა მონროს დოქტრინის პროგრესულობაზე.

პროფ. ალ. ნამორაძეს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდა კოლეგებთან, მეოცე საუკუნის ქართული ინტელიგენციის მრავალ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, მაგრამ სამწუხაროდ შეიძლება ითქვას, რომ მის შესახებ მოგონებები თითქმის არ გაგვაჩნია (109, გვ. 85-89); ნაწილობრივ ამ ხარვეზის შევსების საშუალება მოგვცა პროფ. იასე ცინცაძის და პროფ. გიორგი გოზალიშვილის მოგონებებმა (აღსანიშნავია, რომ ორივე ეს მოგონება დაწერილია ერთ დღეს 1972 წლის 28 აპრილს). პროფესორი იასე ცინცაძე იგონებს „პატივცემული ალექსანდრე სხვებთან შედარებით გვიან მოვიდა თბილისის უნივერსიტეტში. მას ჩვენთან არ უსწავლია არც საშუალო სკოლაში და არც უნივერსიტეტში, იგი განსვენებულმა გრიგოლ ნათაძემ მოიწვია კათედრაზე და ჩვენ პირველად გაგვიკვირდა კიდეც რით მიიქცია პროფესორის ყურადღება. გაგვიკვირდა იმიტომ, რომ ჩვენ ბატონ ალექსანდრეს არ ვიცნობდით. პირველი, რაც ჩვენ თვალში მოგვხვდა, ეს მისი მეტისმეტი თავაზიანობა და ზრდილობა იყო. ყველას მიმართ და განსაკუთრებით ჩემს მიმართ. ჩვენ ერთად მიწვეული ვიყავით გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ქუთაისის პედინსტიტუტში. ერთად ვმოგზაურობდით ქუთაისში და იქიდან თბილისში. შემდეგ გამომკითხა თუ რაში ვაპირებდი დისერტაციის დაცვას. დაწვრილებით გამოკითხვა თემა და მასალები. ყველაფერი მომიწონა და დამაიმედა ნამდვილი გამარჯვება მიწინასწარმეტყველა, თანაც ამ გამარჯვების აღსანიშნავად სტუმართმოყვარე ქუთაისში ვივახშმეთ კიდეც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალზე თავდაპერილი იყო სუფრაზედაც. მე მინდა გულახდილად განვაცხადო, რომ ყველაფერში ევროპული წესის დამცველი იყო და თავის ზრდილობას არასოდეს არ გადაუხვევდა. ბოლოს საქმე ისე წავიდა რომ თავი შემაყვარა. მე უიმისოდ ვეღარ ვძლებდი და ხშირად ვაწუხებდით ქალბატონსაც. მახსოვს როგორ წვრთნიდა უმცროს ძმას, უკარნახებდა საგანგებოდ როგორ იყო საჭირო ტელეფონით საუბარი. ვერ ითმენდა აქ ჩვენში გავრცელებულ ფამილიარობას. აღზრდა რომელიც მას შეესისხლხორცებინა დასავლეთ ევროპაში ცხოვრების და რუსეთში სწავლის პერიოდში მას სავსებით განასხვავებდა ჩვენგან და არაჩვეულებრივ დამოუკიდებელს და განსხვავებულს ქმნიდა მას ყოველთვის, როცა საქმიანობდა და ამხანაგურ ურთიერთობაში იყო ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლებთან. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო არ შემიძლია დაწვრილებით გადმოგცეთ ყოველი დეტალი მასთან ახლო ურთიერთობისა. ჩვენი ახლო ურთიერთობა ვერ გადმომიცია ამ მისი მოსაგონარი დღეებისა და საათების დროს. ყველაფერი ჩვენი ურთიერთობის სიახლოვისა მისმა ოჯახმა იცის. ბევრი რამ მე მისგან შემისწავლია არა მარტო ევროპული ენებისა და ცხოვრების პირობებისა... ძალიან ბევრი მაცინა დახმარების კომისიის შეკითხვებზე: где живиоте? სტუდენტების უმრავლესობის პასუხმა у товорища ; ერთი კომისიის წევრი განცვიფრებით შეეკითხა ბ-ნ ალექსანდრეს Интересно видеть того студента у которого все живут" ასეთივე სიძნელეებს აღწერდა საზღვარგარეთ ცხოვრების დროს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი საყვარელი ალექსანდრეს მოღვაწეობა დასავლეთ ევროპის ისტორიაში. დასადგენი იყო ქართულ ენაზე შესაფერი ტერმინოლოგია და საფრანგეთის ცხოვრების თავისებურებანი. ამ მხრივ მან ბევრი გააკეთა და ახალი თაობა ვალშია, შემდგომი დიდი მუშაობით თუ გადაიხდის იმას რაც მან ვერ მოასწრო ულმობელი და უდროო სიკვდილის გამო". აი, რას იგონებს პროფ. გიორგი გოზალიშვილი: „პროფ. ალ. ნამორაძე გავიცანი 1918 წელს, როდესაც ის ჩვენს სკოლაში მასწავლებლად მოვიდა. იგი გვასწავლიდა ლოგიკას და ფსიქოლოგიას. მოწაფეებს იზიდავდა მისი შესანიშნავი ქართული მეტყველება და ეს მაშინ როდესაც ქართულ ენაზე სწავლება ის-ის იყო ფეხს იდგამდა. ბატონ ალექსანდრეს უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთსა და ევროპაში და ამის დიდი გავლენაც ეტყობოდა ყველაფერში, მაგრამ მას მშობლიური იერიც შენარჩუნებული ჰქონდა. იგი შესანიშნავი პედაგოგი იყო და მისი გაკვეთილები მუდამ სასიამოვნო და მიმზიდველი იყო როგორც შინაარსით, ისე ფორმით, ის მაშინ ჯერ ახალგაზრდა იყო და მის გაკვეთილებს ახლდა ერთგვარი არტისტიზმის ელემენტები, რაც შემდგომშიც ახასიათებდა მას და ეს აძლევდა მის ლექციას მეტ ეფექტურობას. ქართულ სკოლას არ ჰქონდა

სახელმძღვანელოები. არ არსებობდა მეცნიერული ტერმინოლოგია. ამის შექმნა დიდ შრომას მოითხოვდა და ბატონ ალექსანდრეს ამ მხრივ სხვა ქართველ მოღვაწეთა გვერდით, თავისი წვლილი აქვს სკოლის გაქართულების საქმეში. ბატონი ალექსანდრე მუდამ ელეგანტურად იყო გამოწყობილი და ამით ხელს უწყობდა მოწაფეებში ესთეტიკური გრძნობების გამომუშავებას. ადამიანებთან ურთიერთობაში უაღრეს თავაზიანობას და კულტურულობას იჩენდა. საერთოდ ამ ადამიანის როგორც შინაგანი ბუნება, ისე გარეგნობა - ყველაფერი მის მაღალ კულტურაზე, გულწრფელობაზე, ჰუმანურობასა და თავმდაბლობაზე მეტყველებდა. შემდგომში მე და ბატონი ალექსანდრე შევხვდით უნივერსიტეტში როგორც ამ დაწესებულების ის უფროსი, მე კი უმცროსი მუშაკი. აქ განახლდა ჩვენი ძველი ნაცნობობა და თანდათან გადაიზარდა იგი იმ ურთიერთობაში, რომელსაც ჭეშმარიტი მეგობრობა ეწოდება და რაც ნამდვილად იშვიათი მოვლენაა. მე და ბატონი ალექსანდრე ერთად ვიყავით როგორც პირად, ისე საზოგადო საქმეებში და რაც ორივე მხრივ ჩვენი პედაგოგიური მოღვაწეობისა თუ მეცნიერული შრომისა, წარმატებულად კეთდება ამაში ორივეს ხელი ერია. აქ უკვე ილაპარაკეს ბატონ ალექსანდრეს მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე... მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ იგი მუდამ შინაარსიან, მეცნიერულად და პედაგოგიურად გამართულ ლექციებს კითხულობდა და იყო ამასთანავე მეტად მომთხოვნი და პრესტიჟული. ამ ნიადაგზე მას რამდენიმე უსიამოვნება შეხვდა. ზოგი მათგანის მომსწრე მეც ვიყავი, რადგან ეს მოხდა იმ დროს როდესაც მე დეკანატში ვმუშაობდი... მაგრამ მას თავისი სამართლიანი გზა და პოზიცია არასოდეს არ დაუთმია. მინდა ერთი მომენტიც აღვნიშნო. ბატონი ალექსანდრე კითხულობდა ლექციებს გერმანულ ენაზე (ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის განყოფილებაზე) მან მეგობრულად მთხოვა დავსწრებოდი მის რამდენიმე ლექციას და შთაბეჭდილება გამეზიარებინა. მე ეს შევასრულე სიამოვნებით და უნდა ითქვას, რომ მისი ლექციები შინაარსითაც ძალზე მომეწონა და თვით გერმანული მეტყველებაც საუცხოო ჰქონდა. ბატონ ალექსანდრეს ერუდიციაზე მქონდა შემთხვევა მომესმინა ფრიად ავტორიტეტული მეცნიერისაგან. აკადემიკოსი ევგენი ტარლე, რომელიც 1938 წელს ვერ დაესწრო ბატონ ალექსანდრეს სადოქტორო დისერტაციის დაცვას, რამდენიმე წლის შემდეგ თბილისს წვევია. ბატონმა ალექსანდრემ იგი მიიწვია ოჯახში, სადაც მეც გახლდით. აქ ე. ტარლემ ბევრი ხოტბა თქვა ბატონ ალექსანდრეს მიმართ. ბატონი ალექსანდრე გამოირჩეოდა უჩვეულო გულისხმიერებით როგორც თავისი კოლეგების, ისე სტუდენტების მიმართ. განსაკუთრებით ყურადღებას იჩენდა ახალგაზრდებისადმი. მან აღზარდა მუშაკთა მთელი წყება. ბატონ ალექსანდრეს მაღალი გემოვნება ჰქონდა და ხელოვნებაც უყვარდა. ვიდრე ის ოჯახს მოეკიდებოდა, მე და ის ხშირად დავდიოდით ოპერის თეატრში პრემიერასა და საინტერესო გასტროლებს ხომ არ გავაცდენდით. განსაკუთრებით გვიყვარდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი", რომლის მუსიკაც და რომანტიკული შინაარსიც თანაბრად გვხიბლავდა და გვაღელვებდა... ერთხელ 1934-35 წლებში თბილისში მკაცრი ზამთარი იყო და ქუჩებში დიდი თოვლი იდო. მოვისმინეთ ოპერა „დაისი"... ისეთი აღგზნებულები გამოვედით, რომ ქუჩაში გაცხოველებული ბაასით მივდიოდით. ბატონი ალექსანდრე პაპანინის ქუჩაზე ცხოვრობდა, ხოლო მე კი მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში. პაპანინის ქუჩას გავცდით, გავცდით მელიქიშვილის ქუჩას, უნივერსიტეტს და მხოლოდ მაშინღა გამოვერკვიეთ როდესაც ყოფილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მივუახლოვდით. აქედან მე მაინც სახლამდე მივაცილე. ჩვენი მეგობრობა ძალიან მჭიდრო იყო; მე და ბატონ ალექსანდრეს სული და გული გაერთიანებული გვქონდა. მაგრამ ჩვენს შორის უმცროს-უფროსობის ზღურბლი არასოდეს გადალახულა; მე მისთვის მხოლოდ გიორგი ვიყავი, ის კი ჩემთვის ბატონი ალექსანდრე და ასეთი დამოკიდებულება გამთბარი იყო [illegible] წრფელი პატივისცემით და სიყვარულით ურთიერთისადმი. სამწუხაროდ, ცხოვრების ულმობლობამ ეს ჭეშმარიტად გულმართალი, სათნო, კეთილმოქმედი ადამიანი ნაადრევად მოაშორა ამ ქვეყანას და მე მისი სახით მხოლოდ იდეალური ადამიანის შესახებ წარმოდგენა დამიტოვა".

თუ თვალს გადავავლებთ ალ. ნამორაძის მიერ განვლილ ცხოვრების გზას შეიძლება შემდეგი საკვანძო ეტაპების გამოყოფა. მე-20 საუკუნის დასაწყისში, კონკრეტულად 10-20-იანი წლები არის სწავლა-განათლების მიღების ხანა, ალ. ნამორაძის როგორც სპეციალისტის ფეხზე დადგომის, ჩამოყალიბების პროცესი. შესაძლოა, ის ცოტათი ხანგრძლივი გამოდგა, რაც მნიშვნელოვანწილად პოლიტიკური მოტივებით იყო გამოწვეული (პირველი მსოფლიო ომი, რევოლუციები, სამოქალაქო ომი). ამ რთულ ვითარებაში მთავარი ის იყო, რომ ალ. ნამორაძემ შეძლო სწორი გზის არჩევა. 20-იან წლების შუა ხანებიდან იწყება ალ. ნამორაძის მეცნიერული [illegible] გოგიური მოღვაწეობა. 30-იან წლებში ალ. ნამორაძის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უკავია დასავლეთ ევროპის ქალაქების და საქალაქო წყობის პრობლემების კვლევას მე-11-18 საუკუნეებში, რომლის ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენდა სადოქტორო დისერტაციის დაცვა „ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მართველობა საფრანგეთში 17-18 საუკუნეებში". 40-იანი წლები ალ. ნამორაძის შემოქმედებაში ვინმეს ნაკლებ ნაყოფიერი შეიძლება ეჩვენოს მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. მართალია, 40-იან წლებში იმას პუბლიკაციები თითქმის არა აქვს, მაგრამ მიუხედავად ომის მძიმე წლებისა, თამამად შეიძლება ითქვას რომ მას შემოქმედებითი ძიებები წამითაც არ შეუწყვეტია. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ამ პერიოდში მან მოამზადა ორი სოლიდური ნაშრომი „საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია", რომელიც ეხმიანებოდა მსოფლიო ისტორიის ამ ღირ-

სშესანიშნავი მოვლენის 100 წლისთავს და „სათემო მიწების განაწილება საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს".

50-იანი წლები ალ. ნამორაძის შემოქმედებაში ყველაზე უფრო ნაყოფიერ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. თავად განსაჯეთ მან დაწერა ხუთი სერიოზული ნაშრომი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების საკითხზე. მეტად თბილი სტატია მიუძღვნა ქართული მედიევისტიკის პატრიარქს პროფ. გრიგოლ ნათაძეს. დაწერა ორი სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ფრანგ განმანათლებელ მონტესკიეზე და ამერიკელ განმანათლებელ ბენჯამენ ფრანკლინზე, ხოლო გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა მისი საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა". სიკვდილის მსახვრალმა ხელმა მას შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში მოუსწრო და ღვაწლმოსილ მეცნიერს მრავალი კარგი ჩანაფიქრი თუ საინტერესო იდეა განუხორციელებელი დარჩა.

ალ. ნამორაძის მეცნიერული მოღვაწეობა უმთავრესად სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართა, რომელიც სხვათა შორის, საფუძვლად დაედო აღნიშნული კარის არქიტექტონიკას: 1. ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში მე-17-18 საუკუნეებში; 2. საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა, სათემო მიწების განაწილების საკითხი; 3. სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შრომები.

ის სადავო საკითხები, რომლებიც ამ შრომებში გვხვდება სამგვარი სახისა: 1. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეს არის ის რევერანსები, რომლებიც იძულებულია გაუკეთოს გაბატონებული ბოლშევიკური იდეოლოგიის მონოპოლიას. ეს იდეები, უეჭველად, თავს მოხვეული იყო და ამის გამო მკაცრად განვსაჯოთ ღვაწლმოსილი მეცნიერი, ჩვენი აზრით, მართებული არ იქნებოდა, 2. ეს არის ის ნაკლოვანებები რომლებიც განპირობებული იყო ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონით მე-20 საუკუნის შუა ხანებში, 3. ეს არის ის საკამათო საკითხები, რომლებიც აბსოლუტურად ყველა მეცნიერის შემოქმედებაში გვხვდება და რომლის გარეშეც ნაშრომს აპოლოგიის, პანეგერიკის სახე ექნებოდა, რაც, ცხადია, მიუღებელია.

ალ. ნამორაძის პოტენციური შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, ბოლომდე ამოწურული არ ყოფილა, რასაც ჰქონდა თავისი სუბიექტური და ობიექტური პირობები, რომელთა შორისაც გადამწყვეტი იყო არსებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის მიუღებლობა. პ. არდაშვილის მოწაფე არ შეიძლება ყოფილიყო სტალინელი. იგი სულ სხვა სულისკვეთებით იყო აღზრდილი და მიჩვეული იყო თავისუფალ აზროვნებას, პლურალიზმს. ამიტომ მას არ შეეძლო შეგუებოდა ტოტალიტარულ რეჟიმს და ერთი იდეოლოგიის მონოპოლიას, პროფ. ალ. ნამორაძე იყო რაფინირებული ინტელიგენტი, რომელსაც თან მოყვა მე-19 საუკუნის ინტელიგენტის გარეგნული სახე და სულისკვეთება.

1958 წლის 11 ივლისს პროფ. ალ. ნამორაძე გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს 15 ივლისს ვაკის სასაფლაოზე. ეტყობა, ივლისის თვე უიღბლო გამოდგა ალ. ნამორაძის ოჯახისათვის. 1987 წლის 19 ივლისს გარდაიცვალა ბ-ნ ალექსანდრეს მეუღლე ქალბატონი მერი, დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე მეუღლის გვერდით.

ალ. ნამორაძის მიერ განვლილი გზის პირველი თავისებური შეჯამება იყო ის დიდი ნეკროლოგი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში" 1958 წლის 13 ივლისს, რომელიც შემდეგ ოდნავ შემოკლებული სახით 15 ივლისს დაიბეჭდა რუსულ ენაზე გაზეთ „ზარია ვოსტოკაში". 1963 წელს აღინიშნა ალ. ნამორაძის გარდაცვალების ხუთი წლისთავი. ამ თარიღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე განსვენებული მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მისი მოწაფე კოტე ანთაძე. შემდგომში ეს მოხსენება პროფ. გრიგოლ მარგიანის დაქინებული თხოვნით დაიბეჭდა კრებულში „ქართული ისტორიოგრაფია". აქ ავტორმა ძალიან მოკლედ, ლაკონურად და პოპულარულად მოუთხრო ქართველ მკითხველს ალ. ნამორაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე (4ა). მოკლე ინფორმაცია ალ. ნამორაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არის მოთავსებული ქართულ ენციკლოპედიაში.

ალ. ნამორაძის მოღვაწეობაზე მოკლედ ჩერდება პროფ. გივი კილურაძე თავის წიგნში „ახალი ისტორია" (48). ამ საკითხს გაკვრით ეხებიან პროფ. ილია ტაბაღუა და დოც. ვაჟა ჩოჩია თავის სტატიაში „მსოფლიო ისტორიის სწავლება და კვლევა საქართველოში" (526 ა).

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. ალ. ნამორაძის დაბადებიდან ას წლისთავს ეხმაურება ჩვენი პატარა სტატია „ფუძემდებელი" ამ თარიღთან დაკავშირებით დაიბეჭდა ჩვენი პატარა წერილი „ღვაწლმოსილი მეცნიერი" (478).

ალბათ, ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძის მოღვაწეობას გარკვეულად საერთაშორისო აღიარება ხვდა წილად. აქ, ცხადია, მხედველობაშია მისაღები ის დადებითი გამოხმაურებები რომელიც ალ. ნამორაძის გამოკვლევებს მოჰყვა. ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდა ალ. ნამორაძის მეცნიერული მუშაობით კმაყოფილი იყო ცნობილი კიეველი ისტორიკოსი პროფ. პ. არდაშევი, ხოლო ალ. ნამორაძის სადოქტორო დისერტაციას მაღალ შეფასებას აძლევდა სახელგანთქმული აკად. ე. ტარლე.

ამრიგად, როგორც ხედავთ, ალ. ნამორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ღღეამდე არ გაჩენილა ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზული, სიღრმისეული შესწავლის საგანი, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საგანგებოდ შეგვესწავლა ეს საკითხი და სათანადოდ წარმოგვეჩინა ალ. ნამორაძის დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე.

თავი II

ალ. ნამორაძე, როგორც დასავლეთ ევროპის ქალაქების და საქალაქო წყობის მკვლევარი

საფრანგეთის ქალაქები ლუი XIV დროს

პროფ. ალ. ნამორაძე დიდ ყურადღებას იჩენდა დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისის, მათი განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის მიმართ ხანგრძლივი ისტორიული მონაკვეთის მანძილზე XI-დან XVIII საუკუნემდე. მან ამ რთული პრობლემის კვლევას თითქმის მთელი მეოთხედი საუკუნე მოანდომა და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ნაყოფიერად იღვაწა. ამ თემას მიუძღვნა ორი წიგნი, სამი სამეცნიერო ნაშრომი და მოამზადა დოკუმენტების კრებული, რომელიც გამოქვეყნებული არ ყოფილა..

ფრიად აქტუალური და მრავლისმეტყველია ალ. ნამორაძის დაინტერესება XVII საუკუნის დასავლეთ ევროპის ისტორიის საკითხებით. აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ XVII საუკუნეს ცოტათი უცნაური ბედი ხვდა წილად. იგი მოექცა ორი ბრწყინვალე ეპოქის, XVI საუკუნის რეფორმაციასა და ევროპულ რენესანსსა და XVIII საუკუნის განმანათლებლობას შორის. ამიტომ, მოხდა ისე, რომ XVII საუკუნე ისტორიკოსთა ყურადღებით ნაკლებ განებივრებული აღმოჩნდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსი ისტორიკოსი ა. სავინი XVII საუკუნეს უწოდებდა „თეთრ ლაქას" ისტორიოგრაფიაში. უფრო მეტიც 1970 წელს XVII საუკუნეს უწოდებდნენ „ჩამორჩენილ პერიფერიას" წინა XVI საუკუნესთან და მომდევნო XVIII საუკუნესთან შედარებით. წარმოიშვა ასეთი აზრიც თითქოს XVII საუკუნე იყო სტაგნაციის, კრიზისების ხანა (632; 538; 154; 302; 347; 49).

როგორც ჩანს ალ. ნამორაძე XVII- XVIII საუკუნის ფრანგული ქალაქების ისტორიის შესწავლას შეუდგა XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია ალ. ნამორაძის ნაშრომი „საფრანგეთის ქალაქები ლუი XIV დროს" (325; 701). ქართველი სტუდენტის მიერ თემის არჩევანი, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს და მნიშვნელოვანწილად იმითაა განპირობებული, რომ მისი მეცნიერხელმძღვანელი ცნობილი რუსი ისტორიკოსი პროფ. პავლე არდაშევი ე.წ. „ძველი რეჟიმის" ერთ-ერთი ყველაზე უფრო კომპეტენტური მკვლევარია. ეს ნაშრომი ალ. ნამორაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა სადიპლომო ნაშრომად, რომელიც მოწონებული იქნა პ. არდაშევის მიერ, მაგრამ, პირველი მსოფლიო ომის წინ, გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, მისი კიევში დაცვა ვეღარ მოხერხდა. პირველი შესაძლებლობისთანავე, როდესაც პოლიტიკური ვნებათაღელვა დაცხრა, ალ. ნამორაძემ განაახლა მუშაობა ამ თემაზე. 1924 წელს ალ. ნამორაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისას, თავისი ეს ნაშრომი წარმოადგინა სადიპლომოდ. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო სადიპლომო ნაშრომთაგანი, რომელიც ფაკულტეტზე დაცულა.

ამ პრობლემაზე წარმატებით მუშაობა მან განაგრძო შემდგომში, როდესაც ის დატოვეს უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. ინტენსიური შრომის ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენდა მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი „ადმინისტრაციული მეურვეობა და სამუნიციპალო მართველობა საფრანგეთში ძველი რეჟიმის დროს" (514). აღსანიშნავია, რომ ფართო საზოგადოებამ ალ. ნამორაძე, როგორც დასავლეთ ევროპის ისტორიის მკვლევარი ფაქტობრივად ამ ნაშრომით გაიცნო.

რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძე კარგად გრძნობდა, რომ დასავლეთ ევროპის ქალაქების ისტორიაზე ქართულ ენაზე ლიტერატურა თითქმის არ არსებობდა, რასაც განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა მრავალრიცხოვანი სტუდენტობა და სკოლის მასწავლებლები. ამიტომ მან მიზანშეწონილად მიიჩნია გაეფართოებინა თავისი კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ხელი მოჰკიდა შუა საუკუნეების ქალაქების საფუძვლიან შესწავლას. ეს ჩანაფიქრი განხორციელდა წიგნში „დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება" (86). ამ საკითხში ჩაღრმავების ლოგიკური შედეგი იყო ალ. ნამორაძის ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ" (515).

1935 წელს გამოვიდა ალ. ნამორაძის ფუნდამენტური გამოკვლევა „ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მართველობა საფრანგეთში XVII-XVIII სს. ეპოქის ადმინისტრაციული კორესპონდენციებისა და საკანონმდებლო აქტების მიხედვით" (83), რომელიც 1938 წლის 3 ნოემბერს დაცულ იქნა სადოქტორო დისერტაციად.

რა თქმა უნდა, ღირებულია აგრეთვე ალ. ნამორაძის მიერ შეგროვებული მასალები „საფრანგეთის მე-17 საუკუნის მანუფაქტურა" (663). აქ თავმოყრილი დოკუმენტები საინტერესოა და მას თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს, ვინაიდან აღნიშნული საკითხის შესახებ ქართულ ენაზე არსებული წყაროებით მდიდარი არ ვართ. ამიტომ გამორიცხულად არ მიგვაჩნია ამ მასალის გამოყენება ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემის დროს.

პროფ. ალ. ნამორაძის ეს გამოკვლევები მიზანშეწონილია დავალაგოთ ქრონოლოგიური პრინციპით. იმ თანმიმდევრობით, როგორც წერდა თვითონ ბ-ნ. ალექსანდრე.

* * *

ალ. ნამორაძის ნაშრომი „საფრანგეთის ქალაქები ლუი XIV დროს" პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს, როგორც კეთილსინდისიერად შესრულებული, კვალიფიციურად დაწერილი სადიპლომო ნაშრომი. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, თუ როგორ უნდა შეასრულოს

სტუდენტმა ამ სახის სამუშაო. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ იგი სცილდება მხოლოდ კარგად შესრულებული სადიპლომო ნაშრომის ფარგლებს და გარკვეული მენციერული ღირებულება გააჩნია, აშკარად გამოკვეთილი კვლევითი ხასიათით გამოირჩევა. იგი, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებს XX საუკუნის დასაწყისის რუსული ისტორიოგრაფიის მაღალ მოთხოვნებს. თვით ამ სადიპლომო ნაშრომიდანაც კი საკმაოდ კარგად ჩანს თუ რაოდენ მაღალ დონეს მიაღწია რუსულმა ისტორიულმა აზროვნებამ აღნიშნულ ეპოქაში. ალ. ნამორაძის შრომა იყო ევროპულ დონეზე შესრულებული ნაშრომი.

ალ. ნამორაძის სადიპლომო ნაშრომი „საფრანგეთის ქალაქები ლუი XIV დროს" იმ თვალსაზრისითაა ყურადსაღები, რომ ფაქტობრივად აქ გამოიკვეთა ის მაგისტრალური ხაზი, რომელსაც დაადგა იგი შემდგომში აღნიშნული პრობლემის მეცნიერული კვლევა-ძიების საკითხში. ამიტომ ალ. ნამორაძის სადიპლომო ნაშრომი „საფრანგეთის ქალაქები ლუი XIV დროს" მისი პირველი სერიოზული მეცნიერული წარმატებაა.

ნაშრომი შედგება შესავალის, და სამი თავისაგან. შესავალში განხილული, პრობლემის შესახებ არსებული წყაროები და ლიტერატურა. პირველ თავში საუბარია სამოქალაქო თვითმმართველობის ორგანოებზე, მეორეში ქალაქების ფინანსურ მდგომარეობაზე, ხოლო მესამეში ადმინისტრაციულ მეურვეობაზე. შესაძლოა, ნაშრომის ნაკლად მივიჩნიოთ ის ფაქტი რომ მას არ აქვს დასკვნა, ეს ნაწილობრივ შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ნაშრომის ცალკეულ თავებს აქვს თავისი დასკვნა და ამიტომ ავტორმა, ეტყობა, საჭიროდ აღარ ჩათვალა შემაჯამებელი დასკვნის გაკეთება.

სადიპლომო თემა „საფრანგეთის ქალაქები ლუი XIV დროს" ფრიად აქტუალურ საკითხს ეხება. XVII საუკუნის მიწურულის, ლუი XIV-ის მმართველობის ხანაში, საფრანგეთის ქალაქების ისტორიაში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება, რომლის არსში გარკვევაც, რა თქმა უნდა, საჭიროა და ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. სადიპლომო ნაშრომის მთავარი მიზანიც სწორედ ესაა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტი ალ. ნამორაძე იოლი გზით სიარულს არ აპირებდა და მეცნიერებაში დამკვიდრება სურდა ყოველდღიური, დაუღალავი მეცნიერული კვლევით. მეცნიერების მწვერვალებისაკენ მიმავალ გზაზე იგი სირთულეებს არ გაურბოდა.

აღსანიშნავია, რომ ალ. ნამორაძე რუსულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემის შესწავლის საკითხში ერთ-ერთ გზამკვლევად მოგვევლინა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ის იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც საგანგებო კვლევის საგნად აირჩია ეს საკითხი, რაც მისი ხელმძღვანელის პროფ. პ. არდაშევის უდიდესი დამსახურებაა. ცოტა უფრო მოგვიანებით იქვე კიევში გამოვიდა რუსი ისტორიკოსის ვ. პალიენკოს წიგნი „საქალაქო მმართველობა საფრანგეთში ლუი XIV დროს" (339). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავტორი მნიშვნელოვანწილად სხვა კუთხით უდგება საკითხს, რაც იმით გამოიხატება, რომ იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს საფრანგეთის ქალაქების უფლებრივ მდგომარეობას, რაც ალ. ნამორაძის კვლევის მთავარი თემაა. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ე. პალიენკოს წიგნი ალ. ნამორაძის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. ე. პალიენკოს ნაშრომი იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კიევის უნივერსიტეტში საფრანგეთის ისტორიის აღნიშნული პრობლემის დამუშავება საკმაოდ ნაყოფიერ ხასიათს ატარებდა და ეს პროფ. პ. არდაშევის დიდი დამსახურება იყო.

ალ. ნამორაძე თვლის, რომ მის მიერ არჩეული საკითხის მეცნიერული ღირებულება უკავშირდება ორ მომენტს. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებ შესწავლილი და მას გაკვრით, ზოგადად, ეხებოდნენ ის მკვლევარები რომლებიც ძველი რეჟიმს სწავლობდნენ, რადგან რევოლუციამდელი საფრანგეთის დაწესებულებები იყო რთული და მრავალწახნაგოვანი (325; 701).

ნაშრომის ერთ-ერთ ღირებულ ნაწილად შესავალი გვევლინება, სადაც განხილულია წყაროები და ლიტერატურა. მისასალმებელია საკითხის ისტორიოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნა და სიღრმისეული განხილვისაკენ მისწრაფება. ეს ისტორიოგრაფიული მიმოხილვა არა თუ სადიპლომო ნაშრომს, არამედ უფრო მაღალი რანგის ნაშრომს წაადგებოდა. ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს არის სრულიად დამოუკიდებელი, თვითმყოფადი, ისტორიოგრაფიული ანალიზი, რომელიც ემყარება საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და ღრმა გააზრებას. მართალია ეს ისტორიოგრაფიული მიმოხილვა ფაქტობრივად სამი ისტორიკოსის ტოკვილის, ბაბოს და არდაშევის ნააზრევის განხილვაა, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, ჩრდილს არ აყენებს მის სიღრმისეულობას და რაც მთავარია საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, ალ. ნამორაძეს ორიგინალური გზა აქვს არჩეული.

ალბათ, სასურველი იქნებოდა ავტორს ჯერ წყაროები მიმოეხილა და შემდეგ საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურა (325; 701). ჩვენი აზრით, ასე უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ, საყურადღებოა, რომ ის ანგარიშს უწევს მის ხელმძღვანელს პ. არდაშევს, რომელიც ამ მეთოდს მისდევდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასე აქვს დალაგებული მასალა პ. არდაშევს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „პროვინციული ადმინისტრაცია საფრანგეთში ძველი რეჟიმის ბოლო წლებში 1774-1789" (148). მიუხედავად არდაშევისადმი დიდი პატივისცემისა ასეთი მეთოდი საკამათოდ მიგვაჩნია.

როგორც უკვე ითქვა, 1912 წლის სამეცნიერო მივლინებამ საფრანგეთში ღრმა კვალი დაამჩნია ალ. ნამორაძის მოღვაწეობას. ეს უკვე მის სადიპლომო ნაშრომშიც გამოჩნდა. აქ თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია ამ მივლინების ლოგიკური შედეგი იყო. (საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებების გარეშე მსოფლიო ისტორიის ნაყოფიერი კვლევა საქართველოში წარმოუდგენლად მიგვაჩნია. დიდი ხნის განმავლობაში ამ ელემენტარულ პირობებს

მოკლებული ვიყავით და, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა თუ ეს კარგი ტრადიცია, რომელიც არსებობდა რუსეთში, განახლდება საქართველოში).

ალ. ნამორაძის სადიპლომო ნაშრომში საინტერესოდ არის განხილული წყაროები. იგი, პ. არდაშევის მსგავსად, ფიქრობს, რომ მხოლოდ საკანონმდებლო აქტები საკმარისი არაა ჰეშმარიტების დასადგენად, „ძველი რეჟიმის" დროს საკანონმდებლო აქტებს და რეალურად არსებულ კონკრეტულ სინამდვილეს შორის არის უფსკრული. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: „ჩვენს წინაშეა 1695 წლის ხელმწიფის ორდონანსი, რომელიც აღწერს სკოლებში შექმნილ ვითარებას. აქედან თუ დავასკვნით, რომ „ძველი რეჟიმის" დროს საფრანგეთში უხვად იყო მთელი ქსელი დაწყებითი სკოლებისა ჩვენ დავუშვებთ შეცდომას. სინამდვილეში მსგავსი არაფერი იყო" (325; 701). ისტორიული სინამდვილის გასარკვევად ალ. ნამორაძე თავისი წინამორბედი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით (გარდა პ. არდაშევის) გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ადმინისტრაციულ მიმოწერას. „ადმინისტრაციული მიმოწერა წარმოადგენს ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებას, რომელსაც შევყავართ ჩვენ უშუალოდ „ძველი რეჟიმის" ცოცხალ ისტორიულ სინამდვილეში.. ადმინისტრაციული მიმოწერა ერთ-ერთი ძვირფასია ყველა ისტორიული ძეგლებიდან რევოლუციამდელ საფრანგეთში. ეს არის არა მარტო წყარო, არამედ პირველწყარო, რომელშიც ისტორიული სინამდვილე იშლება ჩვენს წინ. ადმინისტრაციული მიმოწერა ეს თითქმის ხმაა ისტორიული სინამდვილისა... ადმინისტრაციული მიმოწერა არის კონკრეტული წყარო და ამ კონკრეტულში არის მისი ჰეშმარიტება. ეს ისტორიული წყარო სუფთაა იმიტომ, რომ მოედინება პირდაპირ ისტორიული სინამდვილის წყაროდან რაიმე უშუალო არხების გარეშე, რომელშიც შეიძლებოდა დასვრილიყო, ამღვრეულიყო, მისი სისუფთავე მის უშუალობაშია. ამ მასალის წყარო არ საჭიროებს წინასწარ კრიტიკულ გარჩევას. საკმარისია იყო თავისუფალი რაიმე წინასწარგანზრახული იდეებისაგან და თან არ დაიკიწყო ბრძნული რჩევა პროფ. პ. არდაშევისა, რომ ისტორიული მოცემულობები უნდა შეკრიბო გამოარჩიო და არა შეარჩიო" (325, გვ. 9-10; 701). ეს დაკვირვებები დაედო საფუძვლად აღნიშნულ პრობლემაზე ალ. ნამორაძის შემდგომ მუშაობას და ბევრად განსაზღვრა მის მიერ მიღებული დასკვნების თვითმყოფადობა და ორიგინალობა. ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ წყაროთმცოდნეობის საკითხში ალ. ნამორაძეს სწორი ორიენტაცია ჰქონდა აღებული. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა დიპლომანტის სერიოზული წარმატება იყო.

სადიპლომო ნაშრომის პირველ თავში განხილულია პრინციპული საკითხი საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები საფრანგეთში XVII საუკუნის მიწურულს (325; გვ. 11-27, 701). აღსანიშნავია, რომ ეს მასალა გადამუშავებული სახით შემდეგ შევიდა მის მთავარ ნაშრომში „ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მართველობა საფრანგეთში XVII- XVIII საუკუნეებში" (85, თავი II).

ფრიად აქტუალურ საკითხს ქალაქების ფინანსურ მდგომარეობას ეხება ალ. ნამორაძის სადიპლომო ნაშრომის მეორე თავი. მან მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დამაჯერებლად უჩვენა ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩდნენ საფრანგეთის ქალაქები უკვე ლუი XIV მმართველობის მიწურულს. მისწრაფება, რომ შეულამაზებლად წარმოაჩინოს საფრანგეთის ქალაქების ყოფა XVII საუკუნის მიწურულს და XVIII საუკუნის დასაწყისში სადიპლომო ნაშრომის ერთ-ერთი ღირსებაა. უნდა აღინიშნოს, რომ აქ გამოთქმულ მოსაზრებებს და დაკვირვებებს ალ. ნამორაძემ კიდევ უფრო მეტი სიღრმე მისცა თავის მთავარ ნაშრომში (325, გვ. 27-43; 85, თავი IV).

სადიპლომო ნაშრომის მესამე თავი ეხება ადმინისტრაციულ მეურვეობას საფრანგეთში XVII-XVIII საუკუნეებში. აქ ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს ორ მთავარ კითხვაზე: რამ განაპირობა ადმინისტრაციული მეურვეობის წარმოშობა და როდის ჩაისახა იგი?

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პ. არდაშევთან მომავალი პოლემიკის პირველმა სიმპტომებმა უკვე ალ. ნამორაძის სადიპლომო ნაშრომში იჩინა თავი (სხვათა შორის, ეს კარგად ჩანს შეგროვილ მასალებში), მაგრამ ალ. ნამორაძე დელიკატურად თავს არიდებს მეცნიერ-ხელმძღვანელთან ღია პოლემიკას რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. (ჩანს, მან ეს დისკუსია სხვა დროისათვის გადადო). სანიმუშოდ მიგვაჩნია პროფ. პ. არდაშევის როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელის პოზიცია. ცხადია, მას შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ის აზრთა სხვაობა, რომელიც მათ შორის არსებობდა, მაგრამ მან სტუდენტს სრული დამოუკიდებლობა, აზროვნების თავისუფლება მისცა, რითიც საბოლოოდ გამარჯვებული დარჩა მეცნიერება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ალ. ნამორაძის სადიპლომო ნაშრომი თავისუფალია რაიმე იდეოლოგიური ზეწოლისაგან და ალ. ნამორაძის აზროვნების სრული თავისუფლება ჰქონდა. ეს იყო ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი სადიპლომო ნაშრომის წარმატება. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა როდესაც ალ. ნამორაძეს თავისუფალი აზროვნების საშუალება ჰქონდა, რასაც ის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სავსებით მოკლებული იყო.

ალ. ნამორაძის სადიპლომო ნაშრომს ჰქონდა სერიოზული ღირსებები: წყაროების და ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა, ნაშრომში თავმოყრილი მდიდარი და მრავალფეროვანი მეცნიერული ინფორმაცია და მისი საინტერესო ინტერპრეტაცია, რომელიც ზოგჯერ წარმოადგენდა ახალ სიტყვას ისტორიულ ლიტერატურაში. უკვე სადიპლომო ნაშრომში ნათლად გამოიკვეთა, რომ ალ. ნამორაძის სახით საქართველოს ეზრდებოდა ორიგინალურად მოაზროვნე, ერუდირებული მეცნიერი ისტორიკოსი, დასავლეთ ევროპის ისტორიის სერიოზული მკვლევარი.

დასავლეთ ევროპის ისტორია განაკვეთი 1. ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება

ალ. ნამორაძის დაინტერესება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქის გენეზისის პრობლემით შემთხვევითი არ უნდა იყოს და იგი განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური ფაქტორებით პირველ ყოვლისა, ალ. ნამორაძე კარგად ხედავდა, რომ მსოფლიო ისტორიის საკითხებზე ქართულ ენაზე ლიტერატურა ფაქტობრივად არ მოგვეპოვებოდა და მას სურდა, ამ წიგნით ხარვეზის ნაწილობრივი შევსება. ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ გარდა წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობისა ალ. ნამორაძის არჩევანს განაპირობებდა მეცნიერული ინტერესებიც. აღსანიშნავია, რომ მან ხელი მოკიდა ფრიად აქტუალურ საკითხს. ქალაქების გენეზისი მნიშვნელოვანი ტეხილია ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებს შორის. ქალაქების განვითარებამ ახალი ფურცელი გადაშალა შუა საუკუნეების ისტორიაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ალ. ნამორაძე საგულდაგულოდ იკვლევდა XVII-XVIII საუკუნეების საფრანგეთის ქალაქების ისტორიას და წინა ეპოქის (XI-XV საუკუნის) დასავლეთ ევროპის ქალაქების განვითარებით დაინტერესება, სავსებით ლოგიკური უნდა ჩანდეს. ეს წიგნი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური სოლიდური შესავალი მისი ფუნდამენტური გამოკვლევისა.

ალ. ნამორაძის წიგნმა უმალ მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. გრ. ნათაძის გამოხმაურება. იგი ფიქრობს, რომ „ეს იყო სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი, სადაც „ცალკეული თავები კვლევით ხასიათს ატარებენ და ამიტომ წიგნი იმსახურებს ყურადღებას და წარმოადგენს ძვირფას შენაძენს დასავლეთ ევროპის ისტორიის შესახებ არსებულ ლიტერატურაში" (679). ბუნებრივია, რომ პატივცემული მკვლევარი აქ, უთუოდ, ქართულ ლიტერატურას გულისხმობდა.

ალ. ნამორაძის ნაშრომის სამეცნიერო-პოპულარული ჟანრისადმი მიკუთვნება, შესაძლოა, ცოტა გადაჭარბებული იყოს და ვფიქრობთ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს იყო დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტთათვის. ამაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ წიგნი ეძღვნება ორ პრობლემას: დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისს და ჯვაროსნულ ლაშქრობებს. ფაქტობრივად ეს იყო პირველი ნაკვეთი დასავლეთ ევროპის ისტორიისა რომლის გაგრძელება მას ჩაფიქრებული ჰქონდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო.

წიგნი დაწერილი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის. უნდა იყოს განსხვავება დაუსწრებელ და დასწრებულ სწავლებას შორის, გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი სპეციფიკა. ერთნი ისმენენ ლექციებს, მეორენი ვერა. იგრძნობა დაუსწრებელი სწავლებისადმი სერიოზული მიდგომა, რომელიც შემდგომში თანდათანობით რატომღაც დავიწყებას მიეცა. დიდი ყურადღება ეთმობოდა დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტების მომარაგებას მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით და რაც მთავარია, აქედან კარგად ჩანს ის მაღალი მოთხოვნები, რომელსაც უყენებდნენ სტუდენტებს, განსაკუთრებით დღის დასწრებულზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ. ნამორაძის წიგნი იყო პირველი სერიოზული ნარკვევი მაშინდელ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, რომელიც შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისს ეძღვნებოდა (383). გარდა წმინდა მეცნიერული მნიშვნელობისა მას გააჩნდა დიდი შემეცნებითი ღირებულება. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ეს იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის პირველი მცდელობა (385). განსაკუთრებით ძვირფასი შენაძენი იყო ის ქართველი სტუდენტებისათვის, რომელიც მეტად მტკივნეულად განიცდიდა დასავლეთ ევროპის ისტორიაში მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურის და სახელმძღვანელოების დეფიციტს, და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძის ნაშრომს ეს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, ვინაიდან ქართულ ენაზე, აღნიშნული საკითხის შესახებ სხვა არაფერი მოგვეპოვება, რასაც თანამედროვე ქართულმა მედიევისტიკამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. წიგნის ღირსებად გვევლინება ის, რომ იგი ნაკლებად დოგმატიზირებულია და გადატვირთული არაა ციტატებით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებებიდან. ეს ნაწილობრივ მაინც იმით შეიძლება აიხსნას, რომ 1934 წლამდე მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია ისე მკაცრად არ იგრძნობოდა, თუმცა იგი, ბუნებრივია, იძულებულია კომპრომისებზე წავიდეს და გარკვეულ ანგარიშს უწევს გაბატონებულ იდეოლოგიას. ნაშრომის შესავალი, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაციაა.

წიგნის შესავალი საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილ და მიტმასნებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს არცაა გასაკვირი და მას თავისი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. საქმე ისაა, რომ ალ. ნამორაძე იძულებულია ანგარიში გაუწიოს მ. პოკროვსკის კონცეფციას „სავაჭრო კაპიტალის ეპოქის" შესახებ, რომელიც 20-30-იან წლებში მიღებული და აღიარებული იყო. სხვათა შორის, შემდგომში საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ეს თვალსაზრისი თვითონვე დაგმო. ამიტომ, ალ. ნამორაძის წიგნის ხელმეორედ გამოცემის შემთხვევაში ამ მონაკვეთის შეტანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია (86, გვ. 3-7 და 7-12).

ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს წიგნში ჯვაროსნული ლაშქრობების სპეციალური განხილვა. ეს არის ცალკე საინტერესო ნარკვევი მიძღვნილი ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით სასურველი იქნებოდა სატიტულო ფურცელზე სათაურს — დასავლეთ ევროპის ისტორია. განაკვეთი 1. ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, დამატებოდა კიდევ ერთი ქვესათაური — ჯვაროსნული ლაშქრობები. ვფიქრობთ, ეს

უფრო ადეკვატურად გადმოგვცემდა წიგნის შინაარსს და, რა თქმა უნდა, სადავოც არაფერი იქნებოდა (86, გვ. 111-153). ფაქტობრივად ალ. ნამორაძის სახელმძღვანელო ეხება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ისტორიის ორ საკვანძო საკითხს: ქალაქის გენეზისს და ჯვაროსნულ ლაშქრობებს, რომლებიც წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან მიჯნას ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებს შორის. ეს წიგნი იმ თვალსაზრისითაც იპყრობს ყურადღებას, რომ ყველაზე უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს ალ. ნამორაძეს, როგორც მედიევისტს.

კონკრეტულად შუა საუკუნეების ქალაქების შესახებ საუბარია პირველ თავში. წიგნის საუკეთესო მონაკვეთია ის ადგილი, სადაც განხილულია თეორიები ქალაქის წარმოშობის შესახებ ანუ საკითხის ისტორიოგრაფია (86, გვ. 18-45). ცხადია სახელმძღვანელოში შეიძლებოდა ამ საკითხის გვერდის ავლა ან ძალიან მოკლედ მიმოხილვა და ალ. ნამორაძეს ამისათვის არავინ გაამტყუნებდა, მაგრამ ის ასე არ იქცევა. საკითხის ისტორიოგრაფიაზე ყურადღების გამახვილება მრავალისმეტყველი უნდა იყოს და მისი წიგნის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა. აქ კარგად ჩანს არამარტო ალ. ნამორაძის მაღალი პროფესიული თვისებები, არამედ ის მკაცრი მოთხოვნები რომელსაც იგი უყენებდა სტუდენტებს. ისტორიოგრაფიული საკითხების განხილვით მას სურს შეაჩვიოს სტუდენტები დამოუკიდებლად აზროვნებას, პლურალიზმს, გაუღვიძოს თავისუფალი აზროვნებისკენ ლტოლვა, მაგრამ შემდგომ საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა თანდათან უკან პლანზე გადადის და ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა დოგმატურმა აზროვნებამ, რომელიც მეცნიერების განვითარების გზაზე მთავარ დაბრკოლებად იქცა.

აღსანიშნავია, რომ ალ. ნამორაძის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა საინტერესოა, მაღალკვალიფიცირებულია და მკვეთრად გამოირჩევა მაშინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე. შეიძლება ითქვას, რომ იგი გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ვ. სტოკლოცკაია-ტერეშკოვიჩის ანალოგიური მიმოხილვა (383) და გაცილებით უფრო ახლოს დგას დ. პეტრუშევსკის მიმოხილვასთან (341, გვ. IX-XVIII).

რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი იქნებოდა ალ. ნამორაძეს საუბარი დაეწყო არა ისტორიოგრაფიული მიმოხილვით, არამედ წყაროების განხილვით. მით უმეტეს, რომ ალ. ნამორაძე, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მშვენივრად იცნობდა ამ პრობლემის შესახებ არსებულ პირველწყაროებს. ამ საკითხს თავისი შემეცნებითი ღირებულება გააჩნია, და სტუდენტებისათვის საჭიროა იცოდნენ არამარტო პრობლემის ისტორიოგრაფია, არამედ წყაროები. ეს ამ თემის შესწავლის საიმედო გარანტიაა. ამიტომ მისი გვერდის ავლა ალ. ნამორაძის სახელმძღვანელოს აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია და მისი განხილვით იგი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტს მოიგებდა.

საკითხის ისტორიოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნა ბევრად განსაზღვრავს ალ. ნამორაძის სახელმძღვანელოს პროფესიულ ღირსებას. ამ პრობლემას წიგნში სავსებით სამართლიანად ეთმობა საკმაოდ დიდი ადგილი და ეს გვერდები ცალკე, დამოუკიდებელ, საინტერესო ისტორიოგრაფიულ ნარკვევად გვევლინება.

პირველ ყოვლისა, ალ. ნამორაძის სახელმძღვანელოს ისტორიოგრაფიული მონაკვეთი ყურადღებას იპყრობს თავისი ინფორმაციულობით. ავტორს მხედველობიდან არ გამორჩენია ქალაქების წარმოშობის შესახებ არსებული რომელიმე ძირითადი თეორია. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობს არამარტო ევროპელ ისტორიკოსთა თხზულებებს, არამედ იმ საკვლევ ლიტერატურასაც, რომლებიც ამ ისტორიკოსების ირგვლივ არსებობს. ყველაფერი ეს ალ. ნამორაძის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას სოლიდურ ხასიათს აძლევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ პერიოდში თვით რუსეთშიც კი ამგვარი ისტორიოგრაფიული მიმოხილვებით ისტორიული ლიტერატურა განებივრებული არ ყოფილა და პეტრუშევსკის გამოკვლევას თუ არ ჩავთვლით, ალ. ნამორაძეს ფაქტობრივად არ ჰყავდა წინამორბედი. ამიტომ წიგნის ეს მონაკვეთი ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული შენაძენია, რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

მისასალმებელია, რომ ქართველი ისტორიკოსის წიგნში არ იგრძნობა ევროპული, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რამაც, სხვათა შორის, ფართოდ იჩინა თავი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძისათვის სავსებით უცხოა ევროპელ ისტორიკოსთა შეხედულებების მამხილებელი კრიტიკული ტონით გადმოცემა. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ამცირებს ალ. ნამორაძის ისტორიოგრაფიული ნარკვევის პოლემისტურ ტონს, რომელიც უპირატესად გაწონასწორებული და აკადემიურია. წმინდა ქრონოლოგიურად ალ. ნამორაძის მიმოხილვა პეტრუშევსკის და ვ. სტოკლოცკაია-ტერეშკოვიჩს შეხედულებათა შუაში დგას, მაგრამ თავისი შინაარსით, იდეურად პირველისაკენ უფრო იხრება, რაც მისი წარმატების ერთ-ერთი საიმედო გარანტიად მოგვევლინა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ალ. ნამორაძე ბრმად მიყვება კვალში დ. პეტრუშევსკის. პირიქით მან სცადა წინ გადაედგა ნაბიჯი თავის წინამორბედთან შედარებით, რაც შემდგომში გამოიხატა: 1. ვერ ვიტყვით, რომ ალ. ნამორაძე, დ. პეტრუშევსკის მსგავსად, ქალაქის გენეზისის საკითხში გერმანული ისტორიკოსის გეორგ ფონ ბელოვის იდეური მოკავშირე იყო, 2. ალ. ნამორაძეს და პეტრუშევსკის სულ სხვანაირად აქვთ დანახული ავსტრიელი ისტორიკოსის ალფონს დოფშის შეხედულებები, 3. ალ. ნამორაძე ვრცლად ჩერდება იმ ახალ თეორიებზე რომლებიც გავრცელდა ისტორიულ ლიტერატურაში დ. პეტრუშევსკის ნარკვევის გამოსვლის შემდეგ და რომელსაც ის, ბუნებრივია, ვერ შეეხებოდა. პირველ ყოვლისა, ეს არის ბელგიელი ისტორიკოსის ანრი პირენის „სავაჭრო თეორია", 4. დ. პეტრუშევსკი გვერდს უვლის ქალაქის გენეზისის საკითხზე გერმანელი ისტორიკოსის მაქს ვებერის შეხედულებებს,

რაც შესაძლოა იმითაც აიხსნება, რომ ვებერის კონცეფ-ცია არცერთი თეორიის ჩარჩოებში არ თავსდება, ხოლო ალ. ნამორაძე მოკლედ, ორიოდე სიტყვით, ჩერდება მ. ვებერის შეხედულებებზე ცდილობს ჩაწვდეს მის არსს, 5. უთუოდ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ორი საინ-ტერესო ისტორიოგრაფიული მიმოხილვა სულ სხვადასხვა პოლიტიკურ ვითარებაში იწერებოდა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ პეტრუშევსკის ჰქონდა აზროვნების სრული თავისუფლება, რასაც ალ. ნამორაძე ბოლშევიკური რე-ჟიმის პირობებში მოკლებული იყო.

პლურალიზმი, თავისუფალი აზროვნების ლოგიკური შედეგია და ევროპული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ღირსებაა. სახელმძღვანელოში ვრცლად არის განხილული ქალაქის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები. შე-დარებით უფრო ადრე უკვე XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა „რომანისტული" და „გერმანისტული" თე-ორიები. „რომანისტული თეორიის მომხრეები ძირითადად ფრანგი ისტორიკოსები არიან (ო. ტიერი, ფ. გიზო, მოგ-ვიანებით ფიუსტელ დე კულანჟი). ეს თეორია უმთავ-რესად რომანიზირებულ ტერიტორიებს ემყარება და ამ-ტკიცებს, რომ დასავლეთ ევროპის ქალაქი აღმოცენდა რომის იმპერიის ქალაქიდან. ისინი შედარებით ნაკლებად ითვალისწინებენ ჩრდილო-დასავლეთის და ცენტრალური ევროპის განსაკუთრებით კი გერმანიის და ინგლისის ქა-ლაქებს, რომლებიც ნაკლებ რომანიზირებული იყო და „გერმანისტული" თეორიის მომხრეთა ამოსავალ წერ-ტილად იქცა. ჰეშმარიტება კი სადღაც შუაში უნდა ვე-ძიოთ. ამიტომ ანგარიშგასაწევი ჩანს „გერმანულ-რო-მანული" თეორიის სინთეზი, რომელიც XIX საუკუნის მიწურულიდან ისტორიკოსთა შორის სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეებს იძენს. გალიის, იტალიის და ეს-პანეთის ქალაქები უპირატესად გერმანულ-რომაული სინ-თეზის შედეგად აღმოცენდა. გერმანიის, ინგლისის და სკანდინავიის ქვეყნების ქალაქების აღმოცენების საქმეში რომის სოციალურ-პოლიტიკური ტრადიციის გავლენა თითქმის არ შეინიშნება. აქ მათი განვითარება წმინდა გერმანულ ნიადაგზე ხდება.

თვით გერმანისტული თეორიების შიგნით ქალაქის აღმოცენების თაობაზე არსებობს რამდენიმე საინტერესო მიმართულება, ერთნი ფიქრობენ, რომ დასავლეთ ევროპის ქალაქები წარმოიშვა ფეოდალური მამულიდან და ამიტომ მას „სამამულო თეორიას" უწოდებენ (ნიჩი), მეორენი მიიჩნევენ, რომ ქალაქი აღმოცენდა თემიდან, მარკიდან და ამიტომ მას, „სათემო თეორიას" უწოდებენ. (გ. მა-ურერი, გ. ფონ ბელოვი). XIX საუკუნის მიწურულს ის-ტორიულ ლიტერატურაში ფართოდ მოიკიდა ფეხი „ბაზ-რის თეორიამ", რომლის მიმდევრები ირწმუნებიან, რომ ქალაქი აღმოცენდა „ბაზრის სამართლისაგან". (ზომი, შულტე, შრიოდერი). თავისი მომხრეები ჰყავს ქალაქის წარმოშობის „საბურგო თეორიას" (მეიტლანდი, კეიტ-გენი, რიტშელი). დაბოლოს, XX საუკუნის დასაწყისში, არსებითად ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერი-ოდში, წარმოიშვა ქალაქის გენეზისის კიდევ ერთი ახალი კონცეფცია. „სავაჭრო თეორია" (ანრი პირენი).

ბუნებრივია, ალ. ნამორაძე ევროპული ისტორიოგ-რაფიის მიღწევების შეფასებისას ძალიან ფრთხილი იყო და სერიოზულ წინდახედულებას იჩენდა. ეს არცაა გასაკ-ვირი. აღნიშნული საკითხის ადეკვატური წარმოჩენა ტო-ტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც ყალიბდებოდა ერთი იდეოლოგიის დიქტატი, ცხადია, ადვილი საქმე არ იყო. რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძეს ძალიან კარგად აქვს გაც-ნობიერებული ის დიდი დამსახურება, რომელიც ქალაქის გენეზისის საკითხში მიუძღვის ევროპელ ისტორიკოსებს, მაგრამ ეს იდეა წიგნში გატარებულია მეტად ფრთხილად სტრიქონსა და სტრიქონს შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ ალ. ნამორაძე ევროპელ ისტორიკოსთა შრომების ღირსებას ხედავს მასში თავმოყრილ, უზარმაზარ ფაქტობრივ მასალაში, მდიდარ მეცნიერულ ინფორმაციაში და მის ორიგინალურ ინტერპრეტაციაში, თუმცა ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს სადავო საკითხების არსებობას.

რუსი ისტორიკოსი დიმიტრი პეტრუშევსკი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქალაქების გენეზისის შესწავლის საქმეში პირველობის დაფნის გვირგვინი გერმანელ ისტორიკოსებს უნდა მიეკუთვნოს (341, გვ. XIII). ალ. ნამორაძე საკუთ-ბით იზიარებს ამ მოსაზრებას. აქ კარგად გამომჟღავნდა ალ. ნამორაძის როგორც ისტორიკოსის კიდევ ერთი პლი-უსი. გერმანული ენის ჩინებული ცოდნა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მას გაეკეთებინა სოლიდური ისტორიოგ-რაფიული მიმოხილვა. (ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნის ისტორიკოსების წვლილი ამ პრობლემის შესწავლის საქმეში უარეყოთ).

სახელმძღვანელოში განხილულია ქალაქების გენეზი-სის შესახებ ევროპული ისტორიოგრაფიის კორიფეების გეორგ მაურერის, გეორგ ფონ ბელოვის, ალფონს დოფშის, მაქს ვებერის, ვერნერ ზომბარტის, ანრი პირენის შეხედ-ულებები. ეს არაა გამოჩენილი ევროპელი ისტორიკოსების მოსაზრებების უბრალო გადმოცემა. ალ. ნამორაძე ცდი-ლობს ღრმად ჩაწვდეს მათ ნაზრევს, გაიცნობიეროს მისი ავკარგიანობა და ეს მისწრაფება ანალიზისაკენ, ცხადია, მისასალმებელია.

როგორც ჩანს, ალ. ნამორაძე იმდენად დაინტერესა და გაიტაცა საკითხის ისტორიოგრაფიამ, რომ სერიოზუ-ლად ჩაუღრმავდა მას და ცალკე საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა „ბაზრის თეორიის" ერთ-ერთ ფუძემდებელს გერმანელ ისტორიკოსს რუდოლფ ზომს (515). ალ. ნამო-რაძის ინტერესები ზომის თეორიით შემთხვევითი არაა და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ იგი მას, სხვა თეორიებთან შედარებით, უფრო დადებითად ეკიდება. იგი ფიქრობს, რომ „ზომის თეორიას, შედარებით დანარჩენ ბურჟუაზიულ მეცნიერთა თეორიებთან, მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები მოეპოვება. უკვე ის გარემოება, რომ ამ თეორიებმა ქალაქის წარმოშობა ბაზარს დაუკავშირა, ბაზრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სამეურნეო განვითარებას, დიდ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს

აღნიშნული მიმართულების უკვე არსებულ თეორიებთან შედარებით" (515 გვ. 150). მიუხედავად ამისა სწორი არ იქნებოდა ალ. ნამორაძე მივაკუთვნოთ ზომის თეორიის აპოლოგეტთა რიცხვს. ზომის თეორიისადმი გარკვეული სიმპათიებისა მას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი სუსტი მხარეები. მოვუსმინოთ ალ. ნამორაძეს: „მართალია ქალაქის წარმოშობას იგი ბაზრის წარმოშობას უკავშირებს, მაგრამ ბაზარი მას აღებული აქვს როგორც უკვე მზამზარეულად ჩამოყალიბებული და მოცემული... ზომი ქალაქის ფუძემდებელ ელემენტად ვაჭრობას გულისხმობს. ამით იგი პრიმატობას ვაჭრობას აძლევს და არა მრეწველობას ხელოსნურ წარმოებას, რაც ეწინააღმდეგება კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს" (515, გვ. 116-117). ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ გერმანელი ისტორიკოსი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს ქალაქის სამეურნეო განვითარების მიმართ და მის კონცეფციაში შეიმჩნევა საკითხისადმი იურიდიულ-სამართლებრივი მიდგომა (515, გვ. 146 და 150).

შეიძლება დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, როდესაც ის ეკამათება ფრანგ ისტორიკოსს აჰილ ლუშარს და არ იზიარებს მის პესიმისტურ განწყობილებას თითქოს „შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის საკითხი სამუდამოდ გადაუჭრელი დარჩებაო" (86, გვ. 41). ალ. ნამორაძე უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი და დასავლეთ ევროპის ქალაქის წარმოშობის საკითხში უპირატესობას ეკონომიკურ ფაქტორს ანიჭებს. ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფას (86, გვ. 41). საკითხისადმი მსგავსი მიდგომა, რა თქმა უნდა, სავსებით შეესატყვისებოდა ისტორიული მეცნიერების საერთო დონეს საბჭოთა კავშირში 20-30 წლებში, მაშინ როდესაც ალ. ნამორაძის სახელმძღვანელო იწერებოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ალ. ნამორაძისათვის გაცილებით უფრო მახლობელი და მისაღები იყო მაქს ვებერის მიერ ქალაქების გენეზისის სინთეზური, სოციოლოგიური ახსნა (179). ეს აზრი შეიძლება ამოვიკითხოთ სტრიქონსა და სტრიქონს შორის (86, გვ. 39-40). მაგრამ ტოტალიტარული ცენზურის პირობებში ალ. ნამორაძე, რა თქმა უნდა ამის თაობაზე კრინტს ვერ დაძრავდა.

ალ. ნამორაძის მიერ ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება საკამათო შეიძლება იყოს: 1. საკამათოდ მიგვაჩნია ზოგიერთი ისტორიკოსის ადგილის განსაზღვრა საკითხის ისტორიოგრაფიაში. ასე მაგალითად ბელგიელი ისტორიკოსი ანრი პირენი ძალიან ძნელია მივაკუთვნოთ „ბაზრის თეორიის" მომხრეთა რიცხვს (86, გვ. 36). ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, დამაჯერებლად არაა ნაჩვენები ის ორიგინალური წვლილი რომელიც ამ სახელმოხვეჭილ ისტორიკოსს მიუძღვის აღნიშნული პრობლემების შესწავლის საქმეში. რა თქმა უნდა, პირენის თეორიას გარკვეული შეხების წერტილები აქვს ბაზრის თეორიასთან ვინაიდან ორივე მათგანის ყურადღების ცენტრში დგას ვაჭარი და ვაჭრობა. მაგრამ აქედან გამომდინარე ანრი პირენი ამუშავებს ზომისგან სრულიად განსხვავებულ თეორიას, რაც იმით გამოიხატება, რომ ბელგიელი ისტორიკოსი ქალაქის გენეზისს უკავშირებს, არა ბაზრის წარმოშობას, არამედ „სავაჭრო ფაქტორს", კონტინენტებსა და რეგიონებს შორის ტრანზიტით ვაჭრობას. ანრი პირენი ფაქტობრივად საფუძველს უყრის ქალაქის გენეზისის სულ სხვა „სავაჭრო თეორიას" ეს კი უკვე ახალი სიტყვა იყო საკითხის ისტორიოგრაფიაში (343; 343ბ; 343, გვ. 5-22; 540, 451; 472). ამავე დროს პირენის კონცეფცია არაა ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია და მას ევროპულ ისტორიოგრაფიაში ბევრი ოპონენტი ჰყავს.

კონკრეტულად დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისის საკითხში გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი დიმიტრი პეტრუშევსკი გეორგ ფონ ბელოვის გავლენას უფრო მეტად განიცდიდა, ვიდრე ალფონს დოფშისა (216, გვ. 301; 341). ამიტომ მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძე ცოტათი ხომ არ აჭარბებს აღნიშნულ საკითხში პეტრუშევსკიზე დოფშის გავლენას? (86; გვ. 22). საკამათოა დ. პეტრუშევსკის და ა. დოფშის მიკუთვნება რომანისტული თეორიის მომხრეებისადმი (86; გვ. 22). უნდა ვაღიაროთ, რომ ავსტრიელმა ისტორიკოსმა ა. დოფშმა „რომანისტულ" და „გერმანისტულ" თეორიებს დაუკარგა უწინდელი სიმწვავე და ამ დისკუსიაში სრულიად ახალი ელემენტი შემოიტანა. ეს არის უწყვეტი განვითარების იდეა. აღნიშნული პრობლემისადმი დ. პეტრუშევსკის დამოკიდებულება იყო უაღრესად რთული და მრავალწახნაგოვანი. საფიქრებელია, რომ იგი „გერმანულ-რომანისტული სინთეზის" თეორიისკენ უფრო იხრება (342).

ძალზე წინააღმდეგობრივად მიგვაჩნია ალ. ნამორაძის დამოკიდებულება გერმანელი ისტორიკოსის ნიჩის თეორიისადმი. საქმე ისაა, რომ ერთ ადგილას ის ნიჩს აკუთვნებს და ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანადაც, „სამამულო თეორიის" მომხრეებს, ხოლო მეორე ადგილას მოიხსენიება „გილდიის თეორიის" მომხრეებთან (86; გვ. 45).

საკმარისად არ მიგვაჩნია „სამამულო თეორიის" განხილვისას მხოლოდ მისი დამაარსებლების შეხედულებების გარჩევა (76; გვ. 23-24). ამ საკითხის უფრო სრულყოფილად წარმოჩენისათვის, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა ალ. ნამორაძეს ორიოდე სიტყვა ეთქვა XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ამ მიმართულების წარმომადგენლებზეც. ესენი არიან კარლ თეოდორ ინამა-შტარნეგი, კარლ ლამპრეხტი, კარლ ბიუხერი, როდესაც ფაქტობრივად ჩამოყალიბდა და თავის პოპულარობის მწვერვალს მიაღწია „სამამულო თეორიამ" (179; 282; 441; 216; გვ. 132). ჩვენი აზრით, ალ. ნამორაძის ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანწილად შეიძლება განპირობებული იყო მისი თვალსაჩინო წინამორბედის დ. პეტრუშევსკის გავლენით, რომელიც თავის საინტერესო ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში რატომღაც გვერდს უვლის ამ ისტორიკოსების შეხედულებებს.

2. სახელმძღვანელოში ალ. ნამორაძე ევროპული ისტორიოგრაფიის უახლეს მიღწევებთან ერთად ითვალისწინებდა საკითხის შესახებ არსებულ რუსულ ლიტერატურას (ა. ჭიველეგოვი, დ. პეტრუშევსკი), ამიტომ

სასურველი იყო ალ. ნამორაძეს ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, ერთ აბზაცში, მიმოეხილა რუსული ისტორიოგრაფია. მით უმეტეს, რომ იგი აღნიშნულ საკითხს მშვენივრად იცნობს (თუ საკითხის ისტორიოგრაფია ალ. ნამორაძეს ხელის გულზე აქვს გადაშლილი ეს პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ იგი მყარად დგას თავისი წინამორბედის დ. პეტრუშევსკის მხარეზე).

ალ. ნამორაძის სახელმძღვანელოს ისტორიოგრაფიულ ნაწილზე საუბარი ამით შეიძლება დავასრულოთ. ისტორიოგრაფიული საკითხებით ალ. ნამორაძის დაინტერესება და მისი საფუძვლიანი ცოდნა მრავლისმეტყველი უნდა იყოს. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ალ. ნამორაძე გრ. ნათაძესთან ერთად, ქართულ სინამდვილეში შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის მესაძირკვლეა (478; გვ. 3-4). ეს იყო ალ. ნამორაძის ერთ-ერთი სერიოზული დამსახურება ქართული მედიევისტიკის წინაშე.

მეორე მსოფლიო ომის წინ როდესაც ალ. ნამორაძის სახელმძღვანელო იწერებოდა აღნიშნული პრობლემა საკმაოდ საფუძვლიანად იყო დამუშავებული და ევროპული ისტორიოგრაფიის კორიფეებმა, განსაკუთრებით კი გერმანელმა ისტორიკოსებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესძლეს მისთვის ნაღების მოხდა. რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძეს მშვენივრად ესმოდა, რომ იგი აღნიშნულ პრობლემაზე ახალს ვერაფერს იტყოდა და როგორც სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორს, ბუნებრივია, ამის პრეტენზია არც ჰქონია. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ალ. ნამორაძეს რომელიმე აქტუალური საკითხის ირგვლივ საკუთარი პოზიცია არ გააჩნდეს, რაც იმით გამოიხატება, რომ წყაროების და ლიტერატურის ანალიზის შემდეგ იგი გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას საკითხისადმი და ისტორიკოსთა რომელიმე მიმართულებას მიემხრობა. ამ თვალსაზრისით ალ. ნამორაძის წიგნი, უდავოდ, შეიცავს კვლევის ელემენტებს. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძე მყარად დგას თავისი წინამორბედების მხრებზე და მისი სახელმძღვანელოს წარმატების გასაღებიც სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. ცნობილი ფრანგი პოეტი აკადემიკოსი პოლ ვალერი ამბობდა: „არაფერია უფრო ორიგინალური და უფრო ჩვეული, ვიდრე ის რომ სხვებისაგან და სხვებით ვსაზრდოობდეთ, მაგრამ საჭიროა მათი მონელება". ალ. ნამორაძემ ამ ამოცანას, ვფიქრობთ, წარმატებით გაართვა თავი და დაწერა ორიგინალური დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ისტორიკოსთა შორის ფრიად აქტუალური იყო საკითხი რომის იმპერიის დაცემის შემდეგ დასავლეთ ევროპის ქალაქის სვე-ბედის შესახებ. ისტორიკოსთა შორის ამ პრინციპული საკითხის შესახებ თანხმობა არ იყო. ერთნი ამტკიცებენ, რომ გერმანელთა შემოსევების შედეგად საქალაქო ცხოვრება ჩაკვდა და ადგილი ჰქონდა წყვეტილობას, ხოლო მეორენი კი მიიჩნევენ, რომ არავითარი კატასტროფა გერმანელების შემოსევის შედეგად არ მომხდარა და მხარს უჭერენ უწყვეტობის იდეას. ალ. ნამორაძე ამ საინტერესო თემაზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს და იგი წყვეტილობის თეორიის მომხრეთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. ის ცდილობს თვალი გადაავლოს ქალაქების ბედს რომის იმპერიაში და აღნიშნავს, რომ მათ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა გერმანელთა შემოსევებმა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე რომელიც მოჰყვა მათ შემოსევას იყო ეკონომიური სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება ქალაქიდან სოფელში, რაც იმით აიხსნება, რომ რომის ეკონომიკა ჩაკვდა და მისი ადგილი ნატურალურმა მეურნეობამ დაიკავა (86, გვ. 13). დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ხდება კარდინალური მნიშვნელობის ძვრები, რაშიც დაეჭვება, ცხადია, არ ღირს. თანამედროვე ბელგიელი ისტორიკოსი ფ. ჰანსჰოფი ფიქრობს, რომ V საუკუნის შემდეგ არავითარი საქალაქო ცხოვრება აღარ არსებობდა. ფრანგი ისტორიკოსი ფერდინანდ ლოტი წერდა: „შვიდი საუკუნის განმავლობაში ქალაქი ცხოვრობდა მოსაწყენი ყოფით, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით" ამავე აზრს ავითარებს თანამედროვე ბელგიელი მედიევისტი ფ. ვერკაუტენი. მას მიაჩნია, რომ „ეს იყო მოჩვენებითი საქალაქო ცხოვრება". იმავე ფ. ლოტის თქმით „იმ დროისათვის (ე.ი. ადრეული შუა საუკუნეები _ მ.კ.) ქალაქი აუცილებელი არ იყო სოფლისათვის". ნატურალური მეურნეობის ბატონობის ხანაში „არ იყო არავითარი მიზეზი ქალაქის მოსახლეობის ზრდისათვის" (381; გვ. 46-48) – დასძენს ფრანგი ისტორიკოსი. ეს მკვლევარები ეჭვის თვალით უყურებენ და არც თუ უსაფუძვლოდ უწყვეტობის თეორიას („კონტინუიტეტი"). ეს მოსაზრება ერთ-ერთი პირველი, გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ფიუსტელ დე კულანჟმა გამოთქვა. მან, პირველ რიგში, ეჭვის ქვეშ დააყენა გერმანელთა შემოსევების ისტორიული მნიშვნელობა. მისი თვალსაზრისით ამ ფაქტს არ გამოუწვევია რაიმე კარდინალური ცვლილებები ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც ფრანგი ისტორიკოსის აზრით იმით აიხსნება, რომ ძველი გერმანელების წყობა არაფრით არ განსხვავდებოდა გვიან რომაული ურთიერთობისაგან და ემყარებოდა მიწაზე კერძო საკუთრებას და პატრონატს (415; 205; 146; 549; 611). ეს კონცეფცია კიდევ უფრო სრულყო და გააძლიერა გამოჩენილმა ავსტრიელმა ისტორიკოსმა ალფონს დოფშმა. უპირველეს ყოვლისა იგი კატეგორიულად გმობს ყოველგვარ ნახტომს („ცეზურიას") რომის იმპერიის დაცემის შემდეგ და ქადაგებს უწყვეტობის იდეას („კონტინუიტეტი"), რომელიც, მისი აზრით, სრულიად უმტკივნეულო ხასიათს ატარებდა, რასაც იგი ორ ფაქტორს უკავშირებს: ა) ხაზს უსვამს რომაელთა და ევროპელთა საზოგადოებრივი ურთიერთობების სიახლოვეს, ბ). ბარბაროსთა შემოსევების მშვიდობიან ხასიათს. შესაძლოა, საკითხის ასეთი ხედვა ცალმხრივი და საკამათო იყოს და ყველამ არ გაიზიაროს, მაგრამ ეს არავითარ ჩრდილს არ აყენებს მის ნოვატორობას, ორიგინალობას და ამ რთული პრობლემის ასეთ ინტერპრეტაციას მოქალაქეობის უფ-

ლებას ვერავინ წაართმევს.

აღნიშნული საკითხის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა გამოჩენილმა ბელგიელმა ისტორიკოსმა ანრი პირენმა. მას მიაჩნია, რომ ბარბაროსთა შემოსევებს არ მოჰყოლია რაიმე სერიოზული ცვლილებები და მას არ დაურღვევია სავაჭრო კავშირები ხმელთაშუა ზღვაზე და საერთოდ კონტინენტზე. გერმანელთა შემოსევის ისტორიული მნიშვნელობისადმი ა. პირენის დამოკიდებულება სუბიექტურია და ის გაუმართლებელი გულგრილობა, რომლითაც იგი ეკიდება ამ ფაქტს მისი ანტიგერმანული განწყობილების გამოვლინებაა. და მაინც უნდა ითქვას, რომ ა. პირენი აღიარებს წყვეტილობას და ამას უკავშირებს არაბთა შემოსევას VIII-IX საუკუნეებში (216. გვ. 357-364; 44.,447- 472). ა. პირენის თეზისი უმალ მოექცა სპეციალისტების ყურადღების ცენტრში და სერიოზული მეცნიერული კამათი გამოიწვია. ოპონენტები ა. პირენს არცთუ უმართებულოდ საყვედურობდნენ არაბთა შემოსევების მნიშვნელობის გადაჭარბებას. ბელგიელი მედიევისტი მას ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომელიც მას არც ჰქონია და არ შეიძლებოდა, რომ ჰქონოდა. აღნიშნული პრობლემის გაგების საკითხში ორიგინალური პოზიცია უკავია გამოჩენილ ფრანგ ისტორიკოსს მარკ ბლოკს. იგი უფრო მეტად უწყვეტობისაკენ უფრო იხრება, რომელიც ერთ შემთხვევაში ატარებდა რომაულ-გერმანული სინთეზის, ხოლო მეორე შემთხვევაში წმინდა გერმანულ ხასიათს. აქ ბლოკმა ახალი ელემენტები შეიტანა უწყვეტობის თეორიაში (166). ორივე ეს თეორია, უთუოდ, შეიცავს რაციონალურ მარცვალს, თუმცა მიგვაჩნია, რომ წყვეტილობის თეორია უფრო ადეკვატურად ასახავს სინამდვილეს. ვიდრე უწყვეტობის. როგორც კონკრეტული სინამდვილე გვიჩვენებს დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისი არსებითად ორი გზით წარიმართა. ერთგან ეს მოხდა წმინდა გერმანულ ნიადაგზე, ხოლო მეორეგან გერმანელ-რომაელი სინთეზის საშუალებით. ორივე შემთხვევაში წყვეტილობა, ეტყობა, მაინც იყო. რომის იმპერიის დაცემას და ბარბაროსთა შემოსევებს .თან მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები, სერიოზული ძვრები, რომლის შედეგადაც ძველი ტრადიცია გაწყდა, რასაც თან მოჰყვა აყვავებული ქალაქების მკვეთრი დაქვეითება, და მათი ხელახალი გაფურჩქვნა-აყვავება. იწყება XI საუკუნიდან. ასეთი დაქვეითება, წყვეტილი, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა და მას საფუძვლად ედო ქალაქის მთავარი ეკონომიკური, სავაჭრო და სამეურნეო ფუნქციის სრული ატროფია.

ამის შემდეგ ალ. ნამორაძე სტუდენტებს გააცნობს ქალაქის ცნებას. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მას მშვენივრად აქვს გაცნობიერებული წამოჭრილი პრობლემის აქტუალობა და სირთულე (86, გვ. 14-15). ამ მონაკვეთისადმი ინტერესს ბევრად განსაზღვრავს მისი პოლემისტური ხასიათი, რაც იმით გამოიხატა, რომ ალ. ნამორაძე კვლავ ჩაუღრმავდა საკითხის ისტორიოგრაფიას. იგი გერმანელ ისტორიკოსებთან (გ. მაურერთან, ვ. ზომბარტთან გ. ბელოვთან, მ. ვებერთან) მეცნიერულ კამათში ცდილობს გამოარკვიოს ისტორიული სინამდვილე. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჭეშმარიტება სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ, თუმცა ამ საშუალედო ხაზის გამოძებნა ადვილი საქმე როდია. ამ თვალსაზრისით მას შესაძლებლად ესახება „ზომბარტის და ვებერის განმარტებათა შეთავსება. მაშინ ჩვენ შეგვიძლია ქალაქის განმარტების შემდეგ ფორმულა მივიღოთ. ქალაქი წარმოადგენს ადამიანთა დიდ მოსახლეობას რომელიც სხვისი სასოფლო სამეურნეო პროდუქციით იკვებება და სამაგიეროდ თავის სამრეწველო პროდუქციით ისტუმრებს" (86, გვ. 18). ალ. ნამორაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს განმარტება საბოლოო და უკანასკნელი არაა და უბრალოდ იგი ფიქრობს, რომ ასეთი განმარტება ახლოა ჭეშმარიტებასთან და უფრო მისაღებია (86, გვ. 18).

სახელმძღვანელოში ალ. ნამორაძე ცდილობს გამოკვეთოს თავისი პოზიცია ქალაქების გენეზისის დათარიღების ირგვლივ. იგი იმ ისტორიკოსებს ეხმრობა, რომლებიც ქალაქების გენეზისს XI საუკუნით ათარიღებენ, როდესაც ამ პროცესმა შეცვლადი ხასიათი მიიღო (86, გვ. 18).

სახელმძღვანელოში ალ. ნამორაძე ვრცლად საუბრობს ხელოსნების გამოყოფასა და საქალაქო მეურნეობის ჩასახვაზე. იგი სტუდენტების ყურადღებას ამახვილებს საკითხზე რას წარმოადგენდა ხელოსნობა ქალაქის აღმოცენებამდე ე.ი. ადრეულ შუა საუკნეებში და საიდან გაჩნდა ის. ამ აქტუალურ თემაზე მსჯელობის დროს ალ. ნამორაძე ეკამათება ავსტრიელ ისტორიკოსს ალფონს დოფშს, რომელიც ცოტათი აჭარბებდა ხელოსნობის განვითარების შეფასებაში ადრეულ შუა საუკუნეებში. დოფშის შეხედულების გასაბათილებლად ალ. ნამორაძე იმოწმებს გერმანელ ისტორიკოსს ვერნერ ზომბარტს: „ვინც ყოველ საფეოდალო მამულში, ყველა იმ ხელოსანს ჰპოვებს, რომელიც აღნიშნულია კაპიტულარებში, იგი, უეჭველია, მაშინდელი დროის დამახინჯებულ სურათს მიიღებს" (86, გვ. 46). აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ა. დოფშის შეხედულებების არგუმენტირებული კრიტიკა მოცემული აქვს რუს ისტორიკოსს ნ. გრაციანსკის, რომლის თხზულებასაც ალ. ნამორაძე რატომღაც გვერდს უვლის. შესაძლოა, იგი არ იცნობდა ამ ნაშრომს (210). ნატურალური მეურნეობა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ხელოსნობას როგორც მიწათმოქმედების დამხმარე დარგს. ამიტომ ადრეულ შუა საუკუნეებში ნატურალური მეურნეობების არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და ხელოსნობის როლის უსაშველო გაზვიადება, როგორც ამას ა. დოფში აკეთებს, ცალმხრივობა იქნებოდა. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი როდის მოხდა ხელოსნობის ჩასახვა. ეს საკითხი ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია პრობლემის ისტორიოგრაფიის მიმოხილვას. მათი შეხედულებების განხილვის შედეგად ალ. ნამორაძე ასკვნის, რომ ხელოსნობის წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქალაქის აღორძინებასთან. ერთ ადგილზე მათი დამკვიდრება ქალაქის გენეზისის ლოგიკური შედეგია. როგორც

ფიქრობენ ეს მოხდა XI საუკუნეში. სწორედ ხელოსნებმა შექმნეს ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ბირთვი, რომლის საშუალებითაც ქალაქი სამრეწველო ცენტრად მოგვეევლინა (86, გვ. 54).

ქალაქის ისტორიის ვერცერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს ქალაქის სოციალურ შემადგენლობას და საშუნიციპალო წყობას. ეს იყო უაღრესად საინტერესო და პრინციპული საკითხი. ამიტომ, ბუნებრივია, ალ. ნამორაძე ვრცლად ჩერდება აღნიშნულ პრობლემაზე. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქის სოციალური შემადგენლობა ჭრელია. მის ზედაფენას პატრიციები შეადგენენ. როგორც ალ. ნამორაძე აღნიშნავს მათი წარმოშობის საკითხი რთულია და ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (86, გვ. 56). საკითხის ისტორიოგრაფიის განხილვის შემდეგ იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ: „პატრიციები, მდიდარი და შეძლებული მოქალაქეები იმ ძველ ოჯახებს ეკუთვნოდნენ, რომელნიც იმთავითვე ფლობდნენ მიწებს ქალაქის ტერიტორიაზე და რომელთაც უკვე დიდი ხნით ადრე ხელში ჩაიგდეს დიდძალი ქონება სულ სხვადასხვა გზით — იქნებოდა ეს რენტის წყალობით თუ ვაჭრობისა და მევახშეობის საშუალებით" (86, გვ. 57).

თუ პატრიციები ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას წარმოადგენდა, ხელოსანთა ამქარი სოციალურად დიამეტრალურად განსხვავებული პოლუსია. მათი სოციალური შემადგენლობა გაცილებით ჭრელია და როგორც წყაროებიდან ჩანს, მათ შორის იყო შეტაკებები, რაც ქალაქად სოციალური დიფერენციაციის გამოვლინების შედეგი იყო (86 გვ. 57). ამიტომ საქალაქო ცხოვრების იდეალიზაცია, ცხადია, არ ღირს.

ქალაქისათვის ნიშანდობლივი იყო არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული სიჭრელე. ქალაქის მცხოვრებთა შორის წყაროები მოიხსენიებენ, ებრაელებს, რომლებიც უმრავლეს ქალაქებში ხასტიკად სძულდათ. ეს სიძულვილი გამოწვეული იყო იმით, რომ ებრაელები უმთავრესად ვაჭრობასა და მევახშეობას მისდევდნენ და კონკურენციას უწევდნენ ადგილობრივ ვაჭრებს. თავისი მევახშეობით ისინი სასტიკად ავიწროებდნენ მოსახლეობას (86, გვ. 55). სხვათა შორის, ეს ტენდენცია კარგად ჩანს შექსპირის თხზულებაში „ვენეციელი ვაჭარი". ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ალ. ნამორაძე ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, შეხებოდა საქართველოს ქალაქებში ებრაელთა მდგომარეობას (65).

როგორც წყაროებიდან ვიგებთ XI-XIII საუკუნეებში ქალაქის მოსახლეობა მეტად მცირერიცხოვანია. შედარებით მკვეთრად მატულობს მათი რიცხვი XIV საუკუნეში. პარიზში XIII საუკუნეში 50000 მცხოვრები ყოფილა, ჰამბურგში 7000 აღწევდა. XIV საუკუნეში კი 22000 გახდა. XIV საუკუნეში ლონდონში იყო 14000 მცხოვრები, ბრისტოლში 11000 მცხოვრები, ბაზელში 15000, ციურიხში 12000 (86, გვ. 57).

გერმანელი ისტორიკოსი კარლ ბიუხერი ფიქრობს, რომ მოსახლეობის სიმცირე ორი ფაქტორით იყო გამოწვეული: გაუთავებელი ომები და ანტისანიტარია, მედიცინის დაბალი დონე. ეს არგუმენტაცია, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს, თუმცა ქართველ ისტორიკოსს რატომღაც მეორეხარისხოვნად ეჩვენება. „ქალაქს იმ დროს არ შეეძლო დაეტია იმაზე მეტი მცხოვრები, რის გამოკვებასაც ვერ შესძლებდა მის გარშემო მდებარე მცირე სასოფლო - სამეურნეო რაიონი" (86, გვ. 58). შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძე აქ კი არ უარყოფს ბიუხერის მსჯელობას, პირიქით ავსებს მას.

ალ. ნამორაძე თავის წიგნში ქართველ მკითხველს აწვდის საინტერესო ინფორმაციას დასავლეთ ევროპის საქალაქო მმართველობის შესახებ. იგი თავიდანვე ხაზს უსვამს, რომ „ქალაქის მმართველობა და წყობილება არამცთუ სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ ერთსადაიმავე ქვეყანაში სულ სხვადასხვა იყო, (86, გვ. 58). სავსებით ბუნებრივია, რომ დამოუკიდებელი საქალაქო მმართველობისათვის ბრძოლის აკვანი იტალიაში დაირწა, სადაც ქალაქები შედარებით უფრო ადრე IX-X საუკუნეებში აღორძინდა. აღსანიშნავია, რომ ქალაქებმა იტალიის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს: ფრანგი ისტორიკოსის იპოლიტ ტენის თქმით „ქალაქი იტალიისათვის არის უნიკალური ინსტიტუტი, რომელმაც გაიყვანა იტალია დიდი ცივილიზაციის გზაზე" (362; 144; 297; 252; 223; 343, გვ. 280-33-). სახელმძღვანელოში საუბარია იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის საქალაქო მმართველობისა და წყობის შესახებ. უფრო ადეკვატური სურათის მიღებისათვის, ალბათ, სასურველი იყო ორიოდე სიტყვა თქმულიყო ფლანდრიის ქალაქებზე.

ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს იმ პრინციპულ განსხვავებას, რომელიც ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებს შორის იყო, თუმცა რატომღაც გვერდს უვლის ამის გამომწვევ მიზეზებს. აქ მისი მსჯელობა უფრო თხრობით აღწერით ხასიათს ატარებს ვიდრე ანალიტიკურს (86, გვ. 60-61). ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი რომელმაც გამოიწვია სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების სწრაფი დაწინაურება ლევენტით ვაჭრობა იყო, რომელსაც კიდევ უფრო მძლავრი სტიმული მისცა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ ჩრდილოეთ საფრანგეთში ფეოდალიზმმა კლასიკური სახე მიიღო, სამხრეთ საფრანგეთზე ამას ვერ ვიტყვი. აქ ქალაქები დამოუკიდებელი და თავისუფალი იყვნენ. სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებმა არ იციან ისეთი ძლიერი დაბრკოლება როგორიცაა ფეოდალური უღელი. ამიტომ მათ განვითარების უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნათ (254; 381; 607; 343, გვ. 127-132; 223).

გერმანიის საქალაქო ყოფის უფრო ზუსტი სურათის წარმოჩენისათვის კარგი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ქალაქებისა და რაინდობის ურთიერთობაზე, რომლებიც გერმანიის ქალაქების დაუძინებელ მტრად გვევლინებიან. ეს იყო გერმანიის ქალაქებისათვის დამახასიათებელი შტრიხი და მისი დუმილით გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა (86; გვ. 62; 343; 223, გვ. 132-

139) (რაინდებისათვის ქალაქების ძარცვა იყო სარფიანი საქმე და გამდიდრების იოლი საშუალება).

ალ. ნამორაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისში კომუნალურ მოძრაობას ფართო გაქანება არ მიუღია, რაც მნიშვნელოვანწილად იმითაა განპირობებული, რომ ინგლისის ქალაქები ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მაგრამ ავტორი რატომღაც არაფერს ამბობს ინგლისის დიდი ქალაქების ტენდენციაზე ოლიგარქიისაკენ (86, გვ. 63; 287; 264; 273; 153). ამიტომ არ ღირს ინგლისის ქალაქების მმართველობის შელამაზებულად წარმოჩენა, გაიდიალება, რაც იგრძნობა ალისა გრინის კონცეფციაში.

კომუნალური მოძრაობის განხილვა სახელმძღვანელოს ერთ-ერთი საუკეთესო მონაკვეთია. კომუნალურმა მოძრაობამ დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი გადაშალა და მას ქალაქების ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს.

მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემაზე საუბარს ალ. ნამორაძე ისტორიოგრაფიული მიმოხილვით იწყებს. მან კარგად გამოკვეთა ის ორი ძირითადი მიმართულება, რომელსაც კომუნალური მოძრაობის შეფასების საკითხში ჩაეყარა საფუძველი უკვე XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში. კომუნალური მოძრაობისადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატეს „რესტავრაციის ეპოქის" გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსებმა ოგუსტენ ტიერიმ, ფრანსუა გიზომ, ფრანსუა მინიემ. მათ დამაჯერებლად უჩვენეს კომუნალური მოძრაობის ანტიფეოდალური ხასიათი, თუმცა მისი ისტორია ცოტათი შელამაზებული სახით წარმოაჩინეს, რაც იმით გამოიხატა, რომ ისინი კომუნალური მოძრაობის იდეალიზაციისაკენ უფრო იხრებიან. მათი შრომების წყალობით კომუნალურმა მოძრაობამ რომანტიკული ელფერი შეიძინა და ამ ბრძოლის ფონზე ფაქტობრივად ჩრდილში მოექცა ქალაქების განთავისუფლების მშვიდობიანი გზა. ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა ალ. ნამორაძეს აქვე დაესახელებინა რუსი ისტორიკოსის ა. სმირნოვის შრომა, რომელზეც ო. ტიერის კონცეფციამ ძლიერი გავლენა იქონია (373.) მით უმეტეს, რომ ალ. ნამორაძე ამ წიგნს, როგორც ჩანს, იცნობდა (85 გვ. 211).

მეორე მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი ისტორიკოსი აპილ ლუშერი. მისი ერთ-ერთი სერიოზული დამსახურებაა ო. ტიერის კონცეფციის არგუმენტირებული კრიტიკა. იგი ფიქრობს, რომ ქალაქების განთავისუფლება მოხდა უმტკივნეულოდ მშვიდობიანი გზით. ლუშერი მეორე უკიდურესობაში ვარდება და გვერდს უვლის ქალაქების ბრძოლას იარაღით ხელში. ამ მიმართულებას შეიძლება მივაკუთვნოთ ფრანგი ისტორიკოსი არტურ ჟირი, რომლის შრომებს ალ. ნამორაძე მშვენივრად იცნობს, მაგრამ ამჯერად მისი შეხედულებების განხილვას თავის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში რატომღაც თავს არიდებს. ეს მცირე კორექტივები, ცხადია, არავითარ ჩრდილს არ აყენებს ალ. ნამორაძის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას და ეს სურვილები უმთავრესად იმ მიზანს ისახავს, რომ საკითხი კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოჩენილიყო.

უამრავი ფაქტების გაცნობით ალ. ნამორაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სენიორალური უღლისაგან თავდახსნის მიზნით ქალაქები ეფექტიანად იყენებდნენ ორივე საშუალებას, როგორც იარაღით ხელში ბრძოლას, ისე მშვიდობიან გზას. „ფული ჯადოსნური კვერთხის როლს ეწეოდა ქალაქების განთავისუფლების საქმეში" ((86, გვ. 67). ალ. ნამორაძემ კარგად დაინახა კომუნალური მოძრაობის ერთი თავისებურება „ქალაქები უფრო ადვილად აღწევდნენ თავიანთ მიზანს და უფრო ფართო თავისუფლებას იძენდნენ იქ სადაც ცენტრალური ხელისუფლება სუსტი იყო, მაგრამ სადაც ცენტრალური ხელისუფლება ძლიერი იყო როგორც მაგალითად ინგლისში, პოლიტიკური დამოუკიდებლობა უცხო ხილს წარმოადგენდა ქალაქებისათვის" (86, გვ. 68).

საინტერესოდ არის მოთხრობილი იმ დრამატულ ბრძოლაზე რომელსაც ჰქონდა ადგილი კომუნალური მოძრაობის დროს იტალიაში და საფრანგეთში. შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი პირდაპირ ერთი ამოსუნთქვით იკითხება (85, გვ. 73-88). იგი, პირველ ყოვლისა, წყაროებსა და ლიტერატურის ჩინებულ ცოდნას ემყარება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ლანის ქარტიის ქართულად თარგმნა, ვინაიდან შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ ქართულ ენაზე არსებული წყაროებით ნამდვილად არ ვართ განებივრებულნი. არის ზოგიერთი მცირე ფაქტობრივი უზუსტობა, რომელიც ადვილი შესაძლებელია. კორექტიული შეცდომაც იყოს. ასე მაგალითად, კამბრეს კომუნა შეიქმნა არა 1076 წელს, არამედ 1077 წელს (86. გვ. 66). ფრაგნულმა ქალაქებმა სენ-კატენმა დამოუკიდებლობა მიიღო არა 1102 წელს, არამედ 1108 წელს.

სახელმძღვანელოში მოკლე ინფორმაციაა გერმანიის და ინგლისის ქალაქების ბრძოლაზე დამოუკიდებლობისათვის. გერმანიაში ამ ბრძოლამ თავისებური ხასიათი მიიღო. საიმპერიო ხელისუფლება ცდილობს მფარველობის კალთა გადააფაროს ქალაქებს და თავის სასარგებლოდ წარმართოს მათი ბრძოლა. გადააქციოს ისინი თავის მოკავშირედ ძლიერი ტერიტორიული მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მათ გაცილებით უფრო ნაკლებ წარმატებას მიაღწიეს ვიდრე საფრანგეთის მეფეებმა. საიმპერიო ქალაქები შედარებით უფრო ადვილად აღწევდნენ თავისუფლებას, ვიდრე ის ქალაქები რომლებიც ცალკეულ მთავართა ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. ასეთი ძლიერი სენიორის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი საქმე არ იყო. ამიტომ გერმანიის ქალაქები ერთიანდებოდნენ. ასე იქმნება ქალაქთა კავშირები (ჰანზის კავშირი, შვაბის კავშირი) 86, გვ. 86). მათი ძლიერების ხანა XIV-XV საუკუნეებზე

მოდის. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ დაიწყო მათი დაქვეითება (86, გვ. 66).

ალბათ, სასურველი იქნებოდა ცოტა რამ თქმულიყო ისეთი საინტერესო საკითხის ირგვლივ, როგორიც არის ფლანდრიის ქალაქების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ეტყობა, შეგროვებული ინფორმაცია ალ. ნამორაძემ საკმარისად ჩათვალა და ამ პრობლემას აღარ ჩაუღრმავდა (343).

სახელმძღვანელოში ალ. ნამორაძე მკითხველს აწვდის ინფორმაციას მრეწველობაზე, ვაჭრობაზე, მევახშეობაზე და იარმარკეტებზე, რომლებიც სულ უფრო დიდ ადგილს იკავებენ შუა საუკუნეების ეკონომიკურ ყოფაში. განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა შამპანის იარმარკეტა. წიგნის ამ მონაკვეთის ღირებულებას ბევრად განსაზღვრავს მისი შემეცნებითი მნიშვნელობა, რაც, სხვათა შორის, მას დღესაც არ დაუკარგავს. ქართველი სტუდენტობა აქ მოიძიებს აღნიშნულ საკითხზე მისთვის საჭირო ინფორმაციას (86, გვ. 111).

წიგნში, როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ ვრცელი საუბარია ჯვაროსნულ ლაშქრობებზე. ეს არის ცალკე, დამოუკიდებელი ისტორიული ნარკვევი. დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისის შესახებ სახელმძღვანელოში ჯვაროსანთა ლაშქრობების დაწვრილებით გადმოცემა, ალბათ, არ იყო აუცილებელი. ეს არის ორი სხვადასხვა პრობლემა, თუმცა მათ შორის ურთიერთკავშირი, უეჭველად არსებობს წმინდა შემეცნებითი თვალსაზრისით ალ. ნამორაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი სავსებით გასაგებია. აქ ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ იმ დროისათვის ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იყო დაწერილი და მან ქართველ მკითხველს, პირველ ყოვლისა კი სტუდენტობას, მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე (86, გვ. 111-153). ადვილი შესაძლებელია, რომ ალ. ნამორაძეს დაწერილი ჰქონდა საინტერესო ნარკვევი ჯვაროსნულ ლაშქრობებზე, მაგრამ მისი გამოქვეყნება, ეტყობა, გაუჭირდა და ამიტომ ჩართო იგი თავის წიგნში დასავლეთ ევროპის ქალაქებზე. ასეთ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმჯობესი იქნებოდა ეს სატიტულო ფურცელზე სათაურში წვრილი შრიფტით აღნიშნულიყო. ისტორიის სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით ეს ნაბიჯი სადავოდ მიგვაჩნია.

საკამათოდ გვესახება, არა მარტო სახელმძღვანელოში ჯვაროსნული ლაშქრობების შეტანა, არამედ ის ადგილი რომელსაც ალ. ნამორაძე მიუჩენს მას წიგნში. საინტერესოა როგორ ხსნის თვითონ იგი ამ გადაწყვეტილებას? თავისი გადაწყვეტილება ალ. ნამორაძეს იმით აქვს არგუმენტირებული, რომ ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა მძლავრი სტიმული მისცა დასავლეთ ევროპის ქალაქების განვითარებას (86, გვ. 111), მაგრამ ასეთი მსჯელობა ცალმხრივი შეიძლება იყოს. იგი არაფერს ამბობს იმ ეკონომიკურ გამოცოცხლებაზე, რომელიც გამოიწვია ქალაქების განვითარებამ და რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ჯვაროსნულ ლაშქრობებს. ქალაქის გენეზისის შესახებ თხრობის გაწყვეტა და საუბრის დაწყება ჯვაროსნულ ლაშქრობებზე გამართლებულად არ მიგვაჩნია.

დაზუსტებას მოითხოვს ჯვაროსნული ლაშქრობების ქრონოლოგიური ჩარჩოები – 1095-1291. აქ ალ. ნამორაძე უნდა გულისხმობდეს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობებისათვის მზადების დაწყებას, როცა კლერმონ-ფერანში 1095 წლის ნოემბერში გამოითქვა იდეა ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობაზე და როდესაც ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული (86, გვ. 111). 1286 წელს ეგვიპტის სულთანმა დაიკავა ანტიოქია, 1289 წელს დაეცა ქალაქი აკრა, რომელიც იყო ჯვაროსანთა უკანასკნელი დასაყრდენი აღმოსავლეთში. ჯვაროსნებმა ფეხი მოიკიდეს მხოლოდ კუნძულ როდოსზე და კვიპროსზე. ამ გაერთიანებამ იარსება XV საუკუნის ბოლომდე. როდესაც ის შეუერთდა ვენეციას. ცხადია, ყველა პერიოდიზაცია პირობითია და ასეთი ქრონოლოგიური ჩარჩოები, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუმცა ასეთი გაქიმვა, ალბათ, მაინც არ ღირს. ისტორიკოსთა უმრავლესობა, და მათ შორის ჩვენც, უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდი 1096-1270 წლებით განისაზღვროს.

ჯვაროსნული ლაშქრობების ფაქტობრივი მხარე იმ დროისათვის კარგადაა დამუშავებული, როგორც ევროპულ ისტორიოგრაფიაში, ისე რუსულ ლიტერატურაში (405). იგი კარგად იცნობს მას და ახერხებს მდიდარი ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტებს.

რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძე მეტად სკეპტიკურად უყურებდა შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ და მიღებულ თვალსაზრისს, თითქოს ჯვაროსნული ლაშქრობები უმთავრესად სარწმუნოებრივ ხასიათს და შინაარსს ატარებდა. ამ შემთხვევაში ალ. ნამორაძე ევროპული ისტორიოგრაფიის იმ საუკეთესო ტრადიციების გამარგძელებლად გვევლინება, რომლის სათავეებთან იდგნენ ევროპელი განმანათლებლები (ვოლტერი, ჰერდერი, შილერი, იუმი, რობერტსონი).

სახელმძღვანელოში საუბარია ჯვაროსნული ლაშქრობების წინაისტორიაზე და მის გამომწვევ პოლიტიკურ ფაქტორებზე. არაბების დასუსტება, სელჩუკთა გამოჩენა, ბიზანტიის შევიწროება, მაჰმადიანთა დაქსაქსულობა და სელჩუკთა დაცემა (90; 404; 290). მაგრამ იგი არაფერს ამბობს იმ ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობეს ჯვაროსნული ლაშქრობები. პირველ რიგში ქალაქების აღორძინება, რომლებმაც გამოიწვია დასავლეთ ევროპის ეკონომიკური გამოცოცხლება და საფუძვლად დაედო აღმოსავლეთით დაინტერესებას. სულ უფრო აქტიური ხდება ლევანტით ვაჭრობა (86. გვ. 111-116).

ალ. ნამორაძე ჩერდება პაპობის როლზე ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიაში და მიუთითებს, რომ პაპობას ამოძრავებდა მსოფლიო ჰეგემონიისაკენ მისწრაფება, თეოკრატიკული პრინციპი, რომელიც ითვალისწინებდა საერო ხელისუფლების უპირატესობის უზრუნველყოფას საეროზე. ამიტომ მას მიზანშეწონილად არ ესახება პაპობის პოლიტიკის გაიდეალება (86, გვ. 116, 233; 234; 319; 236).

ალ. ნამორაძე ჯვაროსნულ ლაშქრობებში არც ცალკეული პიროვნებებათა შეფასების (ურბან II, პეტრე მეუდაბნოვე) გადაჭარბების მომხრეა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ურბან II-ის (1085-1099) დაბალი შეფასება საკამათოა, ადვილი შესაძლებელია, რომ იმხანად გაბატონებული ათეისტური მსოფლმხედველობის გავლენის ლოგიკური შედეგი იყო. (86, გვ. 116). აღსანიშნავია, რომ ურბან II-ე ერთ-ერთი ძლიერი პიროვნებაა, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა მისი წინამორბედის პაპის გრიგოლ VII (1073-1085) კურსი.

სახელმძღვანელოში ვრცლად არის გაშუქებული პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა (1096-1099), ედესის აღება (1098), ანტიოქიის აღება (1098), იერუსალიმის აღება (1099). აღმოსავლეთში ჯვაროსანთა სახელმწიფოების შექმნა და მათი სტრუქტურა. სარაინდო ორდენების დაარსება. ვფიქრობთ, ალ. ნამორაძის მონათხრობს კიდევ უფრო მეტ რომანტიკულ მომხიბვლელობას შესძენდა თუ სტუდენტების ყურადღებას მიაქცევდა ანტიოქიის ღალატით აღების ფაქტს. ანტიოქია, ალბათ, არ დაეცემოდა, რომ არა სომეხი ფირუზის გამცემლობა (235, გვ. 88).

XII საუკუნის შუა ხანებში მაჰმადიანური სახელმწიფოები გაერთიანდნენ, მომძლავრდნენ და დაიწყეს ჯვაროსნების შევიწროება. 1144 წელს მოსულის მფლობელმა ედესა დაიკავა, რაც მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის (1148-1154) საბაბად იქცა. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის მეფე ლუი VII (1137-1180) და გერმანიის იმპერატორმა კონრად III (1138-1152). ჯერ კიდევ გერმანელი ისტორიკოსი ფრ. შილერი აღნიშნავდა, რომ მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა „სრულიად უსახელოდ დასრულდა" (636).

მაჰმადიანთა ახალი გააქტიურება დაკავშირებულია სულთან სალადინის სახელთან, რომელსაც განმანათლებელი ისტორიოგრაფიის კორიფეები ვოლტერი და გიბონი ხოტბას ასხამენ (199; 203, გვ. 354-355; 604; 234; გვ. 141). მაჰმადიანებმა შეტევა XII საუკუნის მიწურულს განაახლეს და ახალ წარმატებებს მიაღწიეს. 1187 წელს იერუსალიმი აიღეს. პასუხად ევროპელებმა მორიგი მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყვეს (1189-1192), რომელშიც მონაწილეობდა გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა (1152-1190), საფრანგეთის მეფე-ფილიპ-ავგუსტუსი (1180-1223) და ინგლისის მეფე რიჩარდ I (1189-1199). ჯვაროსანთა შორის არ იყო ერთიანობა. ფრიდრიხ ბარბაროსა მთის მდინარე სელეფის გადალახვის დროს მოულოდნელად დაიღუპა. ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის მეფეები გამუდმებულ კინკლაობაში იყვნენ და ჯვაროსნებმა ვერ შესძლეს იერუსალიმის დაბრუნება (86, გვ. 138-141).

ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიაში მეოთხე ლაშქრობა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია. სახელმძღვანელოში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ამ ლაშქრობის დროს ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ქრისტეს საფლავის გამომხსნელთა ჭეშმარიტი მიზნები. ისინი ერთმორწმუნე ბიზანტიის წინააღმდეგ სალაშქროდ დაიძრნენ, თუმცა თავდაპირველად ამ ლაშქრობის მთავარი ინიციატორის რომის პაპის ინოკენტი III (1198-1216) ჩანაფიქრი სხვაგვარი იყო. იგი ეგვიპტის წინააღმდეგ გალაშქრებას ისახავდა მიზნად. ამისათვის საჭირო იყო ფლოტი, რომელიც ჯვაროსნებს არ ჰყავდათ და დახმარებისათვის მიმართეს ვენეციას, რომელიც შეეცადა ეს შანსი ხელიდან აღარ გაეშვა და შექმნილი სიტუაცია მაქსიმალურად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ჯერ იყო და მან ჯვაროსნებს 85000 ვერცხლის მარკა მოთხოვა. მაგრამ მას შემდეგ რაც მათ ვერ შესძლეს ამ თანხის გადახდა ვენეციამ თავისი პირობები წაუყენა ჯვაროსნებს. ვენეციის დოჟმა ენრიკო დანდოლომ გადაწყვიტა ჯვაროსნები გამოეყენებინა თავისი მთავარი კონკურენტის ბიზანტიის წინააღმდეგ. ალ. ნამორაძე მთელს ამ ისტორიაში ცოტათი აჭარბებს შვაბიის მეფის ფილიპე შვაბელის როლის მნიშვნელობას, რაც მისდაუნებურად განაპირობებს ვენეციის წვლილის დაკნინებას. ძნელი სათქმელია თითქოს მთელი ამ საქმის სულისჩამდგმელი სწორედ ფილიპე შვაბელი იყო (86. გვ. 142). ჯვაროსნები ვენეციის ინტერესების შესატყვისად ამოქმედდნენ. ჯერ იყო და 1202 წელს მათ ქალაქი ზარა აიღეს, რომელიც ადრიატიკის ზღვაზე გარკვეულ კონკურენციას უწევდა ვენეციელ ვაჭრებს. ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლისაკენ დაიძრნენ 1204 წლის 13 აპრილს ერთმორწმუნეთა იერიშის შედეგად ბიზანტიის სატახტო ქალაქი დაეცა. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ლოგიკური შედეგი იყო ლათინთა იმპერიის დაარსება, რომელმაც 1261 წლამდე იარსება. ბიზანტიის ძლიერება წელში იქნა გატეხილი (86, გვ. 138-141). სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძე დუმილით უვლის გვერდს ისეთ საინტერესო თემას, როგორიცაა ჯვაროსნები და საქართველო, რაც ჯვაროსნულ ლაშქრობებზე მის საინტერესო ნარკვევს აღარიბებს. ასეთი ნაბიჯი მომგებიანი კიდევ იმიტომ იყო, რომ აღნიშნული საკითხი იმ პერიოდში სამეცნიერო-ლიტერატურაში თითქმის შეუსწავლელი იყო. შესაძლოა, ალ. ნამორაძე ფიქრობდა, რომ მათ შორის კავშირი არ არსებობდა? (1; 9; 69; 488; 139; 126; 492; 70; 17; 420; 71; 75).

ნარკვევის ბოლოში საუბარია დანარჩენ ჯვაროსნულ ლაშქრობებზე. სახელმძღვანელოში სტუდენტები იპოვიან მათთვის სასურველ ინფორმაციას შემდეგი ოთხი ლაშქრობის შესახებ (86, გვ. 148-151). ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ორ დეტალზე: 1. მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის თარიღი სწორად არაა მითითებული 1237 წელი (86, გვ. 149), რაც ადვილი შესაძლებელია კორექტურული შეცდომაც იყოს. სინამდვილეში ეს იყო 1228-29 წლებში, 2. ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა ავტორს ორიოდე სიტყვა ეთქვა იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი ინტერესის დაქვეითება. ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი იყო ევროპაში ცხოვრების დონის მკვეთრი გაუმჯობესება, ეკონომიკური აღმავლობა, რაც თან მოჰყვა ქალაქების გენეზისს.

ალ. ნამორაძე განიხილავს ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგებს: იგი ეკამათება იმ ისტორიკოსებს, რომლებიც კატეგორიულად უარყოფენ ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიულ მნიშვნელობას და იმ ისტორიკოსებს, რომლებიც მეორე უკიდურესობაში ვარდებიან და ყველაფერ სიკეთეს ჯვაროსნულ ლაშქრობებს მიაწერენ. ამ მეორე ტენდენციას, ეტყობა, ბოლომდე თავი ვერც ალ. ნამორაძემ დააღწია. იგი, ჩვენი აზრით, ცოტათი აჭარბებდა ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგების შეფასებას ევროპის ეკონომიკური აღმავლობის საქმეში, ხოლო ქალაქის აღორძინების როლი ამ პროცესში შედარებით დაკნინებულია. აღსანიშნავია, რომ გამოცოცხლება დასავლეთ ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში განპირობებული იყო სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი შინაგანი ფაქტორებით, პირველ ყოვლისა კი, ცხადია, ქალაქების გენეზისით (86, გვ. 150-151; IV თავი, 161-168). შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძის კონცეფცია ცალმხრივია.

სახელმძღვანელოს მეოთხე თავის მეთექვსმეტე პარაგრაფი, სადაც საუბარია ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე გარკვეული ტავტოლოგიაა და მისი განხილვა, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა იქ სადაც ლაპარაკია ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგებზე. ამ შემთხვევაში იგი ორგანულად ერწყმის ნარკვევს ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ (85, გვ. 161-168).

ალ. ნამორაძის სახელმძღვანელოს ახლად გამოცემის შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ ნარკვევის ბოლოში მოთავსება და მისი დამთავრება ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგებით, ვაჭრობა და მრეწველობა ჯვაროსნული ომების შემდეგ.

ალ. ნამორაძე ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ კვლავ უბრუნდება ძირითად თემას საქალაქო ცხოვრებას და ქალაქის გენეზისს, რომელიც მან დროებით შეწყვიტა ჯვაროსნული ლაშქრობის განხილვის გამო. ასეთი გადახტომა ერთი საკითხიდან მეორეზე არღვევს სახელმძღვანელოს საერთო სიუჟეტს და, უთუოდ, უმჯობესი იქნებოდა ერთი პრობლემის შესახებ თხრობის ბოლომდე მიყვანა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დასავლეთ ევროპის ქალაქების წინაშე სულ სხვა პრობლემა წამოიჭრა. თავი იჩინა მათ შორის კონკურენციამ, რომელიც წყაროების მიხედვით, მეტად უშეღავათო ხასიათს ატარებდა. შემთხვევითი არაა, რომ ყველაზე რელიეფურად ეს იტალიის ქალაქებში მჟღავნდება. ვენეცია ებრძვის გენუას, ფლორენცია — პიზას, მილანი — კრემონას. ეს იყო მეტად ულმობელი ბრძოლა, რომელიც ხშირად რომელიმე მხარის განადგურებით მთავრდებოდა. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალაქები ერთიანდებიან საერთო ინტერესების დასაცავად. ჰანზის კავშირი ამის ნათელი ილუსტრაციაა (86, გვ. 153).

ამის შემდეგ ალ.ნამორაძე საუბრობს ქალაქის სამეურნეო ყოფაზე და ვრცელ ინფორმაციას აწვდის ქართველ სტუდენტებს აღნიშნული საკითხის შესახებ (85, გვ. 154-158). იგი ფიქრობს რომ კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევის პროცესი დაიწყო XIII საუკუნეში, როდესაც განვითარდა აღებ-მიცემობა (86, გვ. 155). ეს დებულება დაზუსტებას მოითხოვს, რადგან ამგვარი დათარიღება დაგვიანებული უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ კარჩაკეტილი მეურნეობის დაშლა და აღებ-მიცემობის განვითარება დაიწყო გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ XI საუკუნის შუა ხანებში და XIII საუკუნისათვის ეს პროცესი უკვე საკმაოდ შორსაა წასული. როგორც წყაროებიდან ჩანს ნატურალური მეურნეობის დაშლის პროცესები უკვე XI საუკუნის მეორე ნახევარში იწყება, რაც იმით გამოიხატა, რომ ფეოდალური ბეგარა პროდუქტიულმა რენტამ შეცვალა. სოფლის მეურნეობის ნელი, თანდათანობითი პროგრესი ამის ლოგიკური შედეგია. განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა იგი სამხრეთ საფრანგეთში. სოფლის მეურნეობას გამოეყო ხელოსნობა, რამაც დასაბამი მისცა დასავლეთ ევროპის ქალაქს. ამას მოჰყვა ვაჭრობისა და მრეწველობის აღმავლობა. ფაქტობრივად XIII საუკუნეში ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი დასრულებულია და ევროპის ეკონომიკაც განვითარების ახალ ფაზაში შედის, რაც დაკავშირებულია პროდუქტიული რენტადან ფულად რენტაზე გადასვლასთან, რასაც მოყვა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება ფეოდალური საზოგადოების წიაღში ხდება ახალი კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა, თუმცა კაპიტალიზმზე ლაპარაკი, როგორც ამას აკეთებენ დოფში და პირენი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ნაადრევია. „კაპიტალიზმი გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ფიქრობენო" — დასძენს ანრი პირენი. ბ. პორშნეევის აზრით, „ქალაქების განვითარება და ფულადი რენტის უპირატესობა დამახასიათებელი იყო მწიფე ფეოდალიზმისათვისაც" (346, გვ. 81). სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ლოგიკური შედეგია გლეხთა პირადი განთავისუფლება, მათი სოციალური პოზიციების განმტკიცება, ეკონომიკური დამოუკიდებლობა (166; 270; 372; 363; 273; 162).

საქალაქო-სარაიონო მეურნეობის მთავარი მხარეების და საერთოდ ეკონომიკური განვითარების პროცესში მისი ადგილის შესახებ ალ. ნამორაძის მსჯელობა კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის პოლემიკას გერმანელ ისტორიკოსთან კარლ ბიუხერთან. იგი მას ეკამათება ორ პრინციპულ საკითხზე: 1. მას არ მიაჩნია, რომ საქალაქო სარაიონო მეურნეობა ჰერმეტულად კარჩაკეტილ ხასიათს ატარებდა, როგორც ამას ბიუხერი ამტკიცებდა. ამ დებულების გასაბათილებლად ალ. ნამორაძე იშველიებს იტალიის ქალაქებს, სადაც აღნიშნულ ეპოქაში ცხოვრება, ვერ ვიტყვით, რომ კარჩაკეტილი, პასიურია. 2. ბიუხერი საქალაქო- სარაიონო მეურნეობას განიხილავს როგორც განსაკუთრებულ საფეხურს კაცობრიობის ისტორიაში. საკითხისადმი ამგვარ მიდგომას ყველა ისტორიკოსი როდი იზიარებს, მათ შორისაა ალ. ნამორაძეც. „საქალაქო სარაიონო მეურნეობა არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც

განსაკუთრებული საფეხური კაცობრიობის სამეურნეო ევოლუციაში. იგი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ყოფის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს" (86, გვ. 159-160).

ალ. ნამორაძე თავის სახელმძღვანელოში მცირე ინ-ფორმაციას გვაწვდის ჰანზის კავშირების შესახებ, რომელმაც ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა დასავლეთ ევროპის ქალაქების ისტორიაში. წიგნში ლაპარაკია ჰანზის კავშირის აღზევების და დაცემის მიზეზებზე, მაგრამ ამ საკითხის განხილვა იმ პარაგრაფში სადაც საუბარია ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებაზე ცოტა უხერხულია. ვინაიდან ჰანზის კავშირის აღზევებას ჯვაროსნულ ლაშქრობებთან ნაკლები კავშირი ჰქონდა (სხვათა შორის, ასე არც ალ. ნამორაძე ფიქრობს). ამიტომ, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი ხომ არ აჯობებდა ჩრდილოეთ ევროპის ქალაქები ცალკე გაგვეხილა და ერთი პარაგრაფი დაგვეთმო ჩრდილოეთ გერმანიის და ფლანდრიის ქალაქების ეკონომიკური გაფურჩქვნისათვის. მეოთხე თავის ამგვარად დასრულება უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია (86, გვ. 161-168).

სახელმძღვანელოში განხილულია საამქრო ორგანიზაციები. განსაკუთრებით საყურადღებოა ის მონაკვეთი სადაც განხილულია საამქრო ორგანიზაციების წარმოშობის საკითხი. აქ ალ. ნამორაძე სტუდენტებს გააცნობს საკითხის ისტორიოგრაფიას (86, გვ. 168-174). საგულისხმოა ალ. ნამორაძის მსჯელობა ამქართა ორგანიზაციის წარმოშობის დათარიღების ირგვლივ. მას მიაჩნია, რომ ამქრის წარმოშობას ადგილი ჰქონდა ძირითადად XI-XII საუკუნეებში, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ეს გაცილებით უფრო ადრე მოხდა. აღსანიშნავია, რომ პირველი ამქარი გერმანიაში დაარსებულია არა 1106 წელს, არამედ ცოტა უფრო ადრე 1099 წელს. ეს არის მიანცის მქსოველთა საამქრო (86, გვ. 174). ამის შემდეგ განხილულია საამქრო ორგანიზაციის ხასიათი, მათი სამრეწველო პოლიტიკა, სტრუქტურა, ოსტატი, ქარგალი, შეგირდი. ავტორი არც აქ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების მშრალი გადმოცემით, თუმცა დამხმარე სახელმძღვანელოსათვის ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა და ავლენს საკითხის ისტორიოგრაფიის საფუძვლიან ცოდნას. აქ იგი ქართველ სტუდენტებს აწვდის იმ საჭირო ინფორმაციაზე ოდნავ მეტს, რომელიც მათთვის აუცილებელი იყო (86, გვ. 174-183 და 183-190). საქალაქო ცხოვრების ეს სურათი ამომწურავად არ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, სასურველი იყო ორიოდე სიტყვა თქმულიყო ქალაქის სამხედრო ორგანიზაციაზე, ფინანსებზე, სახალხო განათლებაზე, სამღვდელოებასთან ურთიერთობაზე, ქალაქის გავრცელებულ ტიპებზე (223, გვ. 186-204).

კონსტიტუციისადმი ხარკის მოხდა შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო მკაფიოდ მეექვსე თავში მეღავნდება და ალ. ნამორაძე იძულებულია აქცენტი გადაიტანოს კლასთა ბრძოლაზე და რევოლუციებზე. ხელოსანთა რევოლუციაზე საუბარი გადაჭარბებულად მიგვაჩნია და იმხანად არსებული ბოლშევიკური იდეოლოგიის ბატონობის შედეგია.

საკმაოდ საინტერესოდ იკითხება სახელმძღვანელოს ის მონაკვეთი, სადაც მოთხრობილია ჩომპის აჯანყება ფლორენციაში 1378 წელს. ალ. ნამორაძე ამ საკითხის შესახებ ქართველ სტუდენტებს ვრცელ ინფორმაციას აწვდის, რაც ამ მონაკვეთის ერთ-ერთი სერიოზული ღირსებაა და მას თავისი შემეცნებითი მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, დღემდე არ დაუკარგავს. რადგან ჩომპის აჯანყების შესახებ ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა. (86).

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სახელმძღვანელოში, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა დასკვნის სახით განხილული ყოფილიყო შუა საუკუნეების ქალაქის განვითარების შედეგები.

დასავლეთ ევროპის ქალაქის გენეზისის შესწავლის საკითხში ალ. ნამორაძის წვლილი, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება. აქ მხედველობაშია მისაღები ის დიდი ინტერესი რომელიც მან გაუღვიძა ამ თემისადმი მის მეგობრებს და მოწაფეებს. ამ მხრივ ძალიან ინტენსიურად იღვწოდა ქუთაისელი ისტორიკოსი შალვა აბრამიძე. განსაკუთრებით მისასალმებლად მიგვაჩნია მისი დაინტერესება საკითხის ისტორიოგრაფიით. მან ამ პრობლემას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა (449. გვ. 84-90. 450. გვ. 193-213.951. გვ. 183-189). აღსანიშნავია, რომ მისი საკანდიდატო დისერტაცია სწორედ ქალაქების ისტორიას ეძღვნება „ანაბაბტისტთა მმართველობა მიუნსტერში 1534-1535 წლებში", რომლის ოპონენტი, სხვათა შორის, თვითონ ბ-ნ. ალექსანდრე ნამორაძე იყო. კიოლნის ხელოსანთა გამოსვლით დაინტერესდა ისტორიკოსი ირაკლი ბერიძე, მან ამ თემაზე საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, რომლის ოპონენტიც ასევე ალ. ნამორაძე იყო.

დასკვნის სახით: სახელმძღვანელო ეყრდნობა საკითხის შესახებ არსებული პირველწყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას. მისი აგება სპეციფიკურია. იგი ფაქტობრივ მასალასთან ერთად განიხილავს თეორიებს. აქ ორი მომენტია საყურადღებო: ის უნდა იცნობდეს არამარტო ფაქტობრივ მასალას, არამედ თეორიებსაც. და რაც მთავარია უნდა შეეძლოს ეს რთული საკითხი პოპულარულად, გასაგები ენით გადასცეს სტუდენტებს და თხრობის ლოგიკური ძაფი მტკიცედ ეპყრას ხელთ. ამ რთულ ამოცანას ალ. ნამორაძემ, ჩვენი აზრით, წარმატებით გაართვა თავი და დაწერა ორიგინალური დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. ეს ქართული მედიევისტიკის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო.

ალ. ნამორაძემ სერიოზულად დაამუშავა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქების ისტორია, მათი გენეზისი, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ამით თითქოს პრობლემა ამოწურულია, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ალ. ნამორაძე არ შეხებია ქართული ქალაქების ისტორიას აღნიშნულ ეპოქაში. რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპის ქალაქების შესწავლის პროცესში შეუძლებელია ალ. ნამორაძეს არ დაბადებოდა იდეა შეედარებინა ერთმანეთისათვის დასავლეთ ევროპის და საქართველოს ქალა-

ქები. სხვათა შორის, მას ეს აზრი არაერთგზის გამოუთქვამს თავის მოწაფეებთან საუბარში. საფიქრებელია, რომ ალ. ნამორაძეს სერიოზულად სურდა მოეკიდა ხელი საქართველოს ქალაქების ისტორიისათვის. გაცნობოდა საკითხის შესახებ არსებულ პირველწყაროებს და ძალზე მწირ ლიტერატურას. შედარებითი მეთოდის მომარჯვებით წარმოეჩინა საქართველოს და დასავლეთ ევროპის ქალაქების ძირითადი მხარეები. იმ დროისათვის ეს პრობლემა დამუშავებული არ იყო და ფრიად აქტუალურ თემას წარმოადგენდა. იმ რანგის ისტორიკოსი როგორიც ალ. ნამორაძე იყო, ვფიქრობთ, წარმატებით დაძლევდა ამ რთულ პრობლემას. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მას, ძნელი სათქმელია რა მიზეზების გამო, მაგრამ ამ საინტერესო ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა არც კი უცდია.

ალ. ნამორაძე გვერდში ამოუდგა პროფ. გრ. ნათაძეს და მასთან ერთად საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის და ისტორიოგრაფიის შესწავლის მესაძირკვლედ მოგვეელინა. აღსანიშნავია, რომ ალ. ნამორაძის აღზრდილია სამი თვალსაჩინო ქართველი მედიევისტი: პროფ. კუკური ლილუაშვილი, პროფ. კარლო მეშველიანი, პროფ. ზოია ჩიმაკიძე (შეფტელი). ამ თვალსაზრისითაც, ალ. ნამორაძის წვლილი ქართული მედიევისტიკის წინაშე, უთუოდ, დასაფასებელია.

* * *

სადოქტორო დისერტაციის დაცვა. ალ. ნამორაძის გამოკვლევა „ადმინისტრაციული მეურნეობა და მუნიციპალური მართველობა საფრანგეთში XVII-XVIII საუკუნეში" პირველი სადოქტორო დისერტაციაა, რომელიც დაიცვეს საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის განხრით. ამიტომ ეს იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა და მიზანშეწონილი იქნებოდა მოკლედ შევჩერდეთ დაცვის პროცესზე. მით უმეტეს, რომ საარქივო მასალები ამის საშუალებას იძლევა (683; ფ. 203; 682; ფ. 88).

„ყოველი დისერტაციის დაცვა, როდესაც დისერტანტს თავისი მეცნიერული მომზადება ამ უნივერსიტეტში მიუღია, ზეიმია უნივერსიტეტისათვის, მაგრამ განსაკუთრებით დიდია ეს ზეიმი მაშინ, როდესაც დისერტაციის დაცვა ხდება ისეთ დარგში, როგორიც არის დასავლეთ ევროპის ისტორია. ყველა სხვა დარგებში ასეა თუ ისე ჩვენსავე ქვეყანაში ნაწილობრივ მაინც მოიპოვება საკვლევი მასალა. ზოგ დარგში კი საკვლევ მასალას განგებაც, რომ გინდოდეს კაცს გზას ვერ აუქცევ. დასავლეთ ევროპის ისტორიის დარგში კი საკვლევი მასალა ჩვენგან შორს არის. ამიტომ დიდი ცოდნა, დიდი დახელოვნება და კიდევ უფრო დიდი შრომისუნარიანობაა საჭირო, რომ ამ დარგში წარმატებას მიაღწიო" (682. ფ. 27) – აღნიშნავს პროფ. გრ. ნათაძე.

დისერტაციის დაცვა დანიშნული იქნა 1938 წლის 3 ნოემბერს. ოფიციალურ ოპონენტებად გამოჰყვეს: აკად. ე. ტარლე, პროფ. გრ. ნათაძე, პროფ. ნ. დუბროვსკი. დაცვა დაიწყო საღამოს 8 საათზე და რამდენიმე საათი გასტანა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა დ. ყიფშიძემ. ინფორმაცია გააკეთა უნივერსიტეტის სწავლულმა მდივანმა დოც. ა. თავაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დისერტანტის ბიოგრაფია და ნაშრომთა სია. ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას:

1. უნივერსიტეტის რექტორი დოც. დ. ყიფშიძე.
2. პარტბიუროს მდივანი ნ. დევიძე.
3. პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გ. ხაჭაპურიძე.
4. სწავლული მდივანი დოცენტი ა. თავაძე.
5. პროფესორი – დოქტორი დ. უზნაძე.
6. პროფესორი – დოქტორი ა. ჯანელიძე.
7. პროფესორი – დოქტორი ნ. მუსხელიშვილი.
8. პროფესორი – დოქტორი ნ. კეცხოველი.
9. პროფესორი – დოქტორი ვ. კუპრაძე.
10. პროფესორი – დოქტორი ს. დანელია.
11. პროფესორი – დოქტორი ლ. მელქისედეკ-ბეგი.
12. პროფესორი – დოქტორი გ. ნიორაძე.
13. პროფესორი – დოქტორი ს. ჯანაშია.
14. პროფესორი – დოქტორი გრ. ნათაძე.
15. პროფესორი – დოქტორი ივ. სურგულაძე.
16. პროფესორი – ე. ხარაძე.
17. პროფესორი – გ. გესტმანი.
18. პროფესორი – ნ. დუბროვსკი.
19. პროფესორი– ვ. ჯავრიშვილი.
20. დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი, შ. შარაშენიძე.
21. დოცენტი – პ. ხელაძე.
22. კომკავშირული ორგანიზაციიდან ი. სხირტლაძე (683, ფ. 117-113;).

თავის შესავალ სიტყვაში ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს არჩეული თემის აქტუალობას, მის მეცნიერულ მნიშვნელობას. განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება საკითხის შესახებ არსებულ პირველწყაროებზე და გამოთქვამს მოსაზრებებს დასმული პრობლემის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ალ. ნამორაძე გაწეული შრომისადმი საკმაოდ თვითკრიტიკულადაა განწყობილი. მას განსაკუთრებით აწუხებს ის გარემოება, რომ ვერ მოხერხდა საფრანგეთის არქივებში მუშაობა. ამ შემთხვევაში „ბუნებრივია უფრო მეტი ფაქტიური მასალა მექნებოდა ხელთ და და ნაშრომსაც უფრო მეტად დავტვირთავდი პირველწყაროებით" (682, 95). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სავარაუდოა, რომ მის მეცნიერხელმძღვანელს პროფ. პ. არდაშევის ჩანაფიქრში ეს შედიოდა. ამ თემაზე მუშაობის გაგრძელება, ცხადია, არქივებში კვლევასაც ითვალისწინებდა, მაგრამ სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ შემდგომში პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო ამ ჩანაფიქრის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ალ. ნამორაძე საუბრობს იმ პოლიგრაფიულ სიძნელეებზე, რომელიც თან ახლდა მისი მონოგრაფიის გამოცემას 1935 წელს და აღნიშნავს, რომ ის „უზუსტობანი, რომელიც ფრანგულ ტექსტში გვხვდება მნიშვნელოვანწილად, სწორედ, დაბალი პოლიგრაფიული დონით იყო განპირობებული (682, 8-9) და კიდევ ერთი გარემოების გამო წყდებოდა გული დისერტანტს „წიგნს თანდართული უნდა ჰქონოდა წინასიტყვაობა, სადაც მადლობას ვუცხადებდი ყოველგვარი დახმარების და რჩევისათვის მთელ რიგ პროფესორებს: პატ. პროფ. ივანე ჯავახიშვილს, პატ. პროფ. გრიგოლ ნათაძეს და პატ. პროფ. აკაკი შანიძეს და სხვებს, მაგრამ ჩემს დაუკითხავად წინასიტყვაობა გამოუტოვებიათ" (682, ფ.9).

დასასრულ, ალ. ნამორაძე ბოდიშს იხდის, რომ ტერმინს „ძველი რეჟიმი" თავის წიგნში გვხვდება ციტირების დროს (682, ფ. 10). რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძეს შესანიშნავად ესმოდა, რომ ეს ტერმინი დამკვიდრებულია და თავის თავს, საკუთარ ამართლებს, მაგრამ იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს კონიუნქტურას, ბოლშევიკური იდეოლოგიის მონოპოლიას, როდესაც ი. სტალინის, ა. ჟდანოვის და ს. კიროვის შენიშვნებში ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტზე ტერმინმა „ძველმა რეჟიმმა" პირდაპირ ოსტრაკიზმი განიცადა.

ნაშრომის ძირითადი დებულებების გარშემო გაიმართა საინტერესო დისპუტი. თავისი მოსაზრებები გამოთქვეს ოფიციალურმა ოპონენტებმა პროფ. ნ. დუბროვსკიმ, პროფ. გრ. ნათაძემ, აკად. ე. ტარლემ. მათი გამოსვლები საგულისხმოა და არსებითად ალ. ნამორაძის ნაშრომის მეცნიერული შეფასების პირველი სერიოზული მცდელობაა, რომელსაც დღეს დიდი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა გააჩნია. ერთი სიტყვით, ალ. ნამორაძის ნაშრომის მეცნიერული შეფასება მისმა ოპონენტებმა სცადეს და ამით ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარეს საკითხის ისტორიოგრაფიას.

ერთ-ერთი საუკეთესო იყო დისპუტში პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის გამოსვლა. იგი ემყარება პირველწყაროების და უახლესი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას. პირველ ყოვლისა ნ. დუბროვსკი აღნიშნავს, რომ ალ. ნამორაძის გამოკვლევა საინტერესოა, ხოლო დასმული პრობლემა აქტუალურია — ცენტრალური ხელისუფლებისა და ქალაქების ურთიერთობა. ეს საკითხი ლიტერატურაში პირველად არ დასმულა და მას ეხებოდნენ ისეთი შესანიშნავი ისტორიკოსები როგორიც არიან ტოკვილი, რენუარი, არდაშევი, კოვალევსკი. ისინი ამ საკითხს სხვადასხვანაირად წყვეტენ. მისასალმებელია, რომ ალ. ნამორაძემ სცადა საკუთარი აზრი გამოეთქვა ამ პრობლემის შესახებ. ნ. დუბროვსკი ფიქრობს, რომ ფრანგი ისტორიკოსის მონიეს სახით ალ. ნამორაძეს თვალსაჩინო წინამორბედი ჰყავდა, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს ქართველი ისტორიკოსის ღვაწლს. საქმე ისაა, რომ „ის სულ სხვა კუთხით უდგება საკითხს, ვიდრე იგივე მონიე. ეს უკანასკნელი მხოლოდ ფრთხილად ვარაუდობს და სვამს საკითხს საკმარისია თუ არა ქეშმარიტების დასადგენად მხოლოდ საკანონმდებლო აქტები, ის რასაც მონიე მხოლოდ ვარაუდობს, ალ. ნამორაძე ამ საკითხს წყვეტს, რაც მის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს" (683, ფ. 122). ვფიქრობთ, ნ. დუბროვსკიმ კარგად გააცნობიერა ალ. ნამორაძის ადგილი ამ საკითხის ისტორიოგრაფიაში. ალ. ნამორაძემ ქეშმარიტების დადგენის საკითხში ამოსავალ წერტილად გაიხადა არა საკანონმდებლო აქტები, როგორც ამას აკეთებდა მისი წინამორბედი ისტორიკოსების უმრავლესობა, არამედ ადმინისტრაციული მიმოწერა.

ნ. დუბროვსკი აღნიშნავს, რომ სამეფო ხელისუფლების და ქალაქების ურთიერთობას საფრანგეთის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ იგი საკითხს საკმაოდ ფართო ასპექტში სვამს XI-XV საუკუნეებში და მასზე მსჯელობის დროს აელენს საფუძვლიან ჩახედულობას და ღრმა ერუდიციას შუა საუკუნეების საფრანგეთის ისტორიის საკითხებში. იგი სავსებით ეთანხმება ალ. ნამორაძეს როდესაც ამ პრობლემის გასაღებს ეძებს არა 1692-93 წლების საკანონმდებლო აქტებში, არამედ კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეში, თუმცა ამ საკითხის უფრო სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით საჭიროდ მიაჩნდა ეირის გამოცემით სარგებლობა. იგი აღნიშნავდა „მე ვამტკიცებ, რომ ეირის მიერ გამოცემულ კორესპონდენციებში შეიძლება ვიპოვოთ უფრო საინტერესო მასალა თქვენი სავსებით მართებულად დასმული საკითხის დასამტკიცებლად" (683, ფ. 123).

ნ. დუბროვსკისთვის მიუღებელია საკითხისადმი სწორხაზოვანი მიდგომა. იმის თქმა, რომ ადმინისტრაციული მეურნეობა ერთ პერიოდში ატარებდა პოლიტიკურ, ხოლო შემდეგ ეკონომიკურ, ფისკალურ ხასიათს დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ნ. დუბროვსკი ხაზს უსვამს, რომ სამეფო ხელისუფლება კომუნებთან დამოკიდებულების საკითხში ერთდროულად წყვეტდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფისკალურ ამოცანებს. აქედან გამომდინარე ნ. დუბროვსკი ფიქრობს, რომ დისერტანტის მსჯელობა ცოტა სქემატურია და ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა თუ გამოიყენებდა უახლეს ლიტერატურას (683, ფ. 123).

ნ. დუბროვსკი თავის რეცენზიაში სვამს პრინციპულ საკითხს რატომ დათმეს ქალაქებმა თავისი პოზიციები. ქალაქებში ფიმდინარეობდა მწვავე კლასობრივი ბრძოლა. თვით ქალაქის შიგნით ადგილი აქვს რთულ პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ პროცესებს, რომელსაც ისტორიკოსები შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. თვით ქალაქებში იყო ისეთი ძალა, რომელიც მხარს უჭერდა სამეფო ხელისუფლებას „თუ ამ საკითხს დავუკვირდებით, გავხსნით ამ მოძრაობის გამომწვევ მიზეზებს. შეიძლება ნათელვყოთ სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის ბრძოლის კანონზომიერება" (683, ფ. 125-126).

რა თქმა უნდა, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის ბრძოლა არ შეიძლება განვიხილოთ საერთოდ ფრანგული საზოგადოების განვითარებისაგან იზოლირებულად. ბუნებრივია, ის წარმოადგენს ფრანგული

საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. როგორც ნ. დუბროვსკის მიაჩნდა ამ კუთხით ეს საკითხი ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი და მას გვერდს უვლის ჩვენი დისერტანტიც (683, ფ. 126-127). უნდა დავეთანხმოთ ნ. დუბროვსკის, რომ „აქ გამოთქმული შენიშვნების თავიდან აცილება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში თუ ალ. ნამორაძეს საშუალება მიეცემოდა ემუშავა საფრანგეთის არქივებში (683, ფ. 127). მიუხედავად საკამათო საკითხებისა, უნდა ითქვას, რომ პროფ. ნ. დუბროვსკის ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი ალ. ნამორაძის გამოკვლევის მაღალ მეცნიერულ ღირსებებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი დასკვნა: „ალ. ნამორაძის სადოქტორო დისერტაცია ძალიან მაღალ დონეზე დგას. ის წარმოადგენს არა მარტო საბჭოთა ისტორიოგრაფიის დიდ მიღწევას, არამედ საერთო ევროპული მოვლენაა, რომლის თარგმნა ევროპის ნებისმიერ ენაზე შეიძლება და ავტორიტეტული იქნებოდა" (683, ფ. 129).

ნ. დუბროვსკის რეცენზია ფრიად საინტერესო და საყურადღებოა. მან კარგად დაგვანახა მისი ერუდიცია, ღრმა განსწავლულობა და ინტელექტი. ნ. დუბროვსკის სახით საქმე გვაქვს ევროპული რანგის მედიევისტთან. (ასე იმიტომ ვამბობთ, რომ მისი მოსაზრებები უპირატესად შუა საუკუნეების ისტორიას ეხება. ესაა ფრანგული ქალაქები XI-XV საუკუნეებში).

თუ დავუკვირდებით, კარგად დავინახავთ, რომ ნ. დუბროვსკის მიერ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები დისერტაციის მთავარ დებულებებს ვერ არყევს და უმთავრესად მიმართულია ცალკეული საკვანძო საკითხების უფრო სიღრმისეული შესწავლისაკენ, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იყო. (კვლავ ვაკიმეორებთ, რომ ნ. დუბროვსკის შენიშვნები უმთავრესად მაინც ადმინისტრაციული მეურნეობის წინა პერიოდს შეეხება XIII-XV საუკუნეები). სხვათა შორის, ეს ტენდენცია ალ. ნამორაძესაც არ გამორჩენია მხედველობიდან და თავისი პასუხის დასაწყისში ხაზი გაუსვამს, რომ „ოპონენტის შენიშვნები დისერტაციის ძირითად დებულებებს არ შეეხებოდა და უმთავრესად სურვილის ხასიათს ატარებდა" (683, ფ. 4).

ალ. ნამორაძემ ნ. დუბროვსკის მოსაზრებებს, ვფიქრობთ, კარგად არგუმენტირებული პასუხი დაუპირისპირა. პირველ ყოვლისა, ალ. ნამორაძე ცდილობს დაუზუსტოს ნ. დუბროვსკის მოსაზრება და აღნიშნავს, რომ მონიეზე ადრე კიეველმა ისტორიკოსმა პ. არდაშევმა აღნიშნა, რომ მარტო საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით ამ საკითხის კვლევა არასაკმარისი იყო და ამის ნათელსაყოფად იმოწმებს საკმაოდ ვრცელ ადგილს პ. არდაშევის თხზულებებიდან. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ ამ ფაქტის ფიქსირებით და კიდევ უფრო სიღრმეში მიდის „პ. არდაშევი მართალია თეორიულად უარყოფს საკანონმდებლო აქტებს, მაგრამ პრაქტიკულად იგი იმავე საკანონმდებლო აქტებს მიმართავს როგორც ისტორიულ წყაროს და ამიტომ ისეთ სურათს იღებს თითქოს ქალაქების თვითმმართველობას საფრანგეთის რევოლუციამდე ეარსებოს (683, ფ. 506). რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკანონმდებლო აქტები როგორც ისტორიული წყარო სავსებით იგნორირებულ იქნეს. ალ. ნამორაძეს მიაჩნია, რომ XVIII საუკუნეში როდესაც ადმინისტრაციულმა მეურვეობამ ფისკალური ხასიათი მიიღო, საკანონმდებლო აქტებით სარგებლობა სავსებით მიზანშეწონილია (683, ფ. 7-8).

ალ. ნამორაძემ დამაჯერებლად ახსნა თუ რატომ არ ისარგებლა ფრანგი ისტორიკოსის არტურ ჟირის პუბლიკაციით, რომელზეც მიუთითა ნ. დუბროვსკიმ. დისერტანტის აზრით, ჟირის გამოცემა არ იძლეოდა რაიმე ახალს იმ დოკუმენტებსა და პირველწყაროებთან შედარებით, რომელიც მას აქვს გამოყენებული (683, ფ. 8).

ნ. დუბროვსკის მსჯელობა ადმინისტრაციული მეურვეობის ხასიათის შესახებ ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია. აქ უბრალოდ იგი სიფრთხილის გამოჩენისაკენ მოგვიწოდებს, რაც გასათვალისწინებელია. ალ. ნამორაძემ, ვფიქრობთ, წარმატებით დააღწია თავი იმ სქემატიზმს და სწორხაზოვნებას, რომლის თაობაზეც გვაფრთხილებდა ნ. დუბროვსკი. ეს ძალიან კარგად ჩანს მის პასუხში. „ჩემს ნაშრომში მე გავარჩევ ორ მომენტს: პირველ მომენტს რომელსაც უმთავრესად პოლიტიკური შინაარსის ხასიათი აქვს და მეორე მომენტს, რომელსაც აქვს უმთავრესად ფისკალური ხასიათი... მე სრულებითაც არ უარვყოფ, რომ როგორც ფისკალურ ელემენტებს, ისე პოლიტიკური ხასიათის ელემენტებს ჩვენ ვპოვებთ ორივე პერიოდში. ხოლო პოლიტიკური შინაარსის ელემენტები უმთავრესად დამახასიათებელია პირველი პერიოდისათვის, ფისკალური ელემენტები კი უმთავრესად დამახასიათებელია მეორე პერიოდისათვის. საერთოდ მიღებულია, რომ ყოველგვარი დაყოფა, ყოველგვარი პერიოდიზაცია უნდა წარმოებდეს დამახასიათებელი ნიშნების უმრავლესობის მიხედვით" (683, ფ. 8-10). იქნებ უმჯობესი იყო საკითხის ასე დასმა — როდის ატარებდა ადმინისტრაციული მეურვეობა პროგრესულ ხასიათს და როდის დაკარგა მან ეს მნიშვნელობა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ეს ხსნის დღის წესრიგიდან ნ. დუბროვსკის მიერ დასმულ საკითხს.

ნ. დუბროვსკის მიაჩნია, რომ დისერტაციაში მკაფიოდ არაა ხაზგასმული თუ რა მოტივებით იყო განპირობებული ცენტრალურ მთავრობასა და ქალაქებს შორის ურთიერთობა და ის სოციალური ძალები და პირობები რომელიც საფუძვლად ედო ამ ევოლუციას. ალ. ნამორაძეს ეს საკითხი, როგორც ჩანს, პრინციპულად გაუგია და მასზე საკმაოდ ვრცელ პასუხს იძლევა. შეიძლება ითქვას რომ იგი თავის პასუხში აღნიშნული საკითხის საკმაოდ ნათელ სურათს წარმოაჩენს (683, ფ. 10-15). შესაძლებელია, უფრო სიღრმეში წასვლა იყო საჭირო, რასაც, სხვათა შორის, კიდეც ცდილობს პროფ. ნ. დუბროვსკი, მაგრამ ეს, ცხადია, ჩრდილს არ აყენებს ალ. ნამორაძის მიერ ჩატარებულ კვლევას.

დაბოლოს, ალ. ნამორაძე პასუხობს ნ. დუბროვსკის კიდევ ერთ მოსაზრებას უახლესი ლიტერატურით სა-

რგებლობის შესახებ. დისერტანტს მიაჩნია, რომ „ეს წიგნები არსებითს ვერაფერს დაუმატებდა ჩემს ნაშრომს და ვერც შევიდოდა საგნის ძირითად ლიტერატურაში. მე უფრო მადლობელი ვიქნებოდი პროფ. ნ. დუბროვსკისა, თუ იგი დამისახელებდა, ამ რამოდენიმე წიგნის მაგივრად, წყაროებს, რომელიც გამოსაკვლევ საკითხს ახალ დასაბუთებას დაუმატებდა, რაც ყველა მკვლევარისათვის უფრო მნიშვნელოვანია. რაც შეეხება პროფ. ნ. დუბროვსკის მიერ დასახელებულ რამოდენიმე წიგნს, ესენი ცნობილია არა მარტო პროფ. ნ. დუბროვსკისათვის, არამედ ისტორიკოსებს შორის საერთოდ ცნობილია და ცნობილია ჩემთვისაც" (683, ფ. 15).

არსებითად ამით მთავრდება სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს ალ. ნამორაძის და ნ. დუბროვსკის დისპუტი, რომელსაც ფრანგი ისტორიკოსის ანრი სეს სიტყვები რომ მოვიშველიოთ, საფუძვლად ედო „ჭეშმარიტების ძიების დაუოკებელი სურვილი" (218 გვ. 60). ალ. ნამორაძის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვა არა მარტო დისერტანტის სერიოზული წარმატება იყო, ამავე დროს იგი პროფ. გრ. ნათაძის დიდ გამარჯვებად მიგვაჩნია, რომელიც ალ. ნამორაძის უნივერსიტეტში მოსვლის პირველი დღიდანვე გვერდში ედგა და მზრუნველობდა. იგი ფაქტობრივად ალ. ნამორაძის მეცნიერულ ხელმძღვანელად მოგვევლინა. თუ შეიძლება ასე ითქვას პოლიტიკური სიტუაციის შედეგად პ. არდაშევის ხელიდან გავარდნილი ესტაფეტა პროფ. გრ. ნათაძემ აიტაცა და პ. არდაშევის დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა. „ძვირფასო და პატივცემულო ამხანაგო ალექსანდრე მე ვერ კიტყვი, რომ თქვენთვის რაიმე ხელმძღვანელობა გამეწიოს, მაგრამ თქვენმა მოღვაწეობამ ჩემ თვალწინ განვლო და ამიტომ შემიძლიან დავადასტურო, რომ თქვენი მიღწევები შედეგია თქვენი შრომისმოყვარეობისა, ხასიათის სიმტკიცისა, ცოდნისა და ნიჭისა. ასე ვფიქრობდი როდესაც თქვენ ასპირანტად გტოვებდით და ჩემი იმედი თქვენ ჭარბად გაამართლეთ" (682, ფ. 27).

მეორე ოპონენტი პროფ. გრ. ნათაძე სამწუხაროდ ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა დისერტაციის დაცვას და ამიტომ მისი რეცენზია წაიკითხა დოც. თავხელიძემ. თუ ნ. დუბროვსკის რეცენზიაში აკადემიური ტონი ჭარბობს პროფ. გრ. ნათაძის რეცენზიაში პოლიტიკური მოტივები უფრო მეტად იგრძნობა. აქ ვგულისხმობთ გაბატონებული მარქსისტული იდეოლოგიისადმი რევერანსებს, რაც იმ დროისათვის აუცილებელი იყო. ამ თვალსაზრისით ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ნ. დუბროვსკის და გრ. ნათაძის რეცენზიები ურთიერთს ავსებენ.

გრ. ნათაძე თავის რეცენზიაში ყურადღებას ამახვილებს ალ. ნამორაძის შემდეგ დამსახურებაზე. საკითხის კვლევის მარქსისტულ პოზიციაზე დაყენება და საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოვება. ალ. ნამორაძემ პირველად აქტიურ სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ადმინისტრაციული მიმოწერა და გამოიყენა ის როგორც ისტორიული წყარო (682, ფ. 31). რა თქმა უნდა, ძალიან კარგად გვესმის, რომ პირველი დამსახურების ხაზგასმა იმ დროისათვის საჭირო და აუცილებელიც იყო. ამით გრ. ნათაძემ, ვფიქრობთ, ღირსეული პასუხი გასცა იმ პიროვნებებს, რომლებიც უნდობლად ეკიდებოდნენ ალ. ნამორაძის ნაშრომს და მზად იყვნენ მასში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინება დაენახათ. ალ. ნამორაძე, ბუნებრივია, იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებული მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიას, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ვერ ვიტყვით, რომ მისი ნაშრომი მარქსისტული პოზიციებიდან იყოს დაწერილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მთელს ნაშრომში მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული ფრ. ენგელსის წიგნი „ანტიდიურინგი" (85, გვ. 116). ეს კი იმხანად არცთუისე ადვილი საქმე იყო და მავანს და მავანს ბევრ სალაპარაკოს მისცემდა, მაშინ კი უბრალო ეჭვიც კი საკმარისი იყო ადამიანის ფიზიკური მოსპობისათვის. ასე, რომ გრ. ნათაძის მისწრაფება განმუხტოს სიტუაცია, ადვილი გასაგებია.

პროფ. გრ. ნათაძე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ საკითხისადმი ინტერესი როგორც ევროპულ ისე რუსულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაციებულია და ვრცლად განსაზღვრავს ამის მიზეზს. ამ თემისადმი ინტერესის გაცოცხლება დისერტანტის დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელმაც, მისი აზრით, შესძლო ეპოვნა საგნის დიალექტიკა და ამით საკითხს მეტი დინამიურობა მისცა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა გრ. ნათაძე ფიქრობს, რომ სადისერტაციო ნაშრომში საკითხის ეკონომიკური მხარე შედარებით მაინც მოიკოჭლებს და, მისი აზრით, ეს თემა ბოლომდე მიყვანილი არ არის, როდესაც ეკონომიკური განვითარების პროცესი საწარმოო ძალთა განვითარებაზე იქნება დაყვანილი. ამ შემთხვევაში — დასძენს გრ. ნათაძე დისერტანტს შესაძლებლობა ექნებოდა ხაზი გაესვა, რომ სანამ ბურჟუაზია სუსტი იყო და პოლიტიკური ძალაუფლება არ გააჩნდა, იგი, ასე თუ ისე ურიგდებოდა მთავრობის ზედამხედველობას, მაგრამ სურათი მკვეთრად იცვლება მას შემდეგ როდესაც ბურჟუაზია ეკონომიკურად მოღონიერდა, მომძლავრდა, ამიერიდან მთავრობის მეურვეობა მისთვის ზედმეტი ტვირთი ხდება. ამ ურთიერთობის გზაზე მნიშვნელოვანი ტეხილი იყო 1683 და 1692 წლის ედიქტები. პირველს, დისერტანტი სამართლიანად მიიჩნევს ქალაქების თვითმმართველობის დასასრულად, ხოლო მეორეს, ფისკალური მეურვეობის დასაწყისად. მაგრამ გრ. ნათაძის ღრმა რწმენით ეს ნაწილია ჭეშმარიტებისა და სიმართლის საბოლოოდ გამოსარკვევად საჭირო იყო კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა. მეურვეობა იცვლის თავის სახეს და იგი დაუფარავად გადადის ბურჟუაზიის ძარცვაზე, რასაც ის ადრე უფრო შელამაზებული, შეფერადებული საშუალებებით აკეთებდა (682, ფ. 3).

პროფ. გრ. ნათაძის მეორე შენიშვნა წყაროთმცოდნეობის სფეროს შეეხება. იგი აღნიშნავდა, „მკვლევარი მიწერ-მოწერიდან იღებს არა ფაქტებს, რომელსაც იგი უნდა ემყარებოდეს, არამედ ამათუიმ ადმინისტრაციის ან მკველვარის მოსაზრებას. ცხადია, რომ მოსაზრება

სრულიად სავალდებულო არ არის და ფაქტების მაგივრობას ვერ გასწევს... ზოგან ავტორს თავის საკუთარი დასკვნები მოყავს და შემდეგ მიგვითითებს მიწერ-მოწერის ამა თუ იმ ნომერს, ხოლო ამ წერილის არც ციტატაა მოყვანილი და არც შინაარსი, ისე რომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ფაქტებს ემყარება ავტორი, ან რა მოსაზრებებს" (682, ფ. 3).

პროფ. გრ. ნათაძის მესამე შენიშვნა ნაშრომის ისტორიოგრაფიულ ნაწილს და საერთოდ წიგნის კომპოზიციას, სტრუქტურას, შეეხება. აი ეს მოსაზრებაც: „ჩვეულებრივ გამოკვლევებში ძველიდან მიღებულია ვიდრე მკვლევარი შეუდგება თვით თემის კვლევას მათ განსაკუთრებულ მიმოხილვაში დაახასიათოს არსებული ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ. ჩვენ შეიძლება ეს სავალდებულოდ არ ჩავთვალოთ, მაგრამ ის კი საჭიროა, რომ საკითხის მდგომარეობა იქნას დახასიათებული, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში რა შეაქვს ახალი საკითხის გადაწყვეტაში წინამდებარე ნაშრომს არ იქნებოდა ნათელი. პატ. ნამორაძეს არ აქვს ლიტერატურის მიმოხილვა, მხოლოდ საკითხის მდგომარეობას კი გვამცნობს თანდათანობით პირველივე თავიდან და განსაკუთრებით დაწვრილებით ეხება ლიტერატურის დახასიათებას უკანასკნელი ნაწილის პირველ ნახევარში. ერთის მხრივ უნდა ითქვას, რომ ეს კარგია ვინაიდან საკითხის მდგომარეობას გვამცნობს, მაგრამ მეორეს მხრივ არ ვარგა რადგან ყურადღებას აორებს. თუ გამოსარკვევად აღებულია მეურვეობის საკითხი, მთელი ყურადღება ამ საკითხზე უნდა იქნას მიქცეული. თუ მიზნად დასახულია გამორკვევა ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის მიმართულებისა, ეს თავის მხრივ დამოუკიდებელი საკვლევი საკითხია და ამაზე ცალკე გამოკვლევაც შეიძლება დაიწეროს და მეტად საინტერესოც" (682, ფ. 32-33).

გარდა ამ სამი სერიოზული შენიშვნისა პროფ. გრ. ნათაძეს აქვს კიდევ რამდენიმე შედარებით უმნიშვნელო შენიშვნები. ასე მაგალითად, საფრანგეთის ეკონომიკური ყოფის დახასიათებისათვის მას მიზანშეწონილად მიაჩნია ანრი სეს შრომების გამოყენება (682, ფ. 29). გრ. ნათაძის მოსაზრებების მეორე წყება ტერმინოლოგიას და მის ზუსტ მართლწერას შეეხება (682, ფ. 34).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნ. დუბროვსკის მსგავსად, გრ. ნათაძე ღრმადაა დარწმუნებული, რომ ალ. ნამორაძის ნაშრომი ღირებული იყო არა მარტო საბჭოთა, არამედ თვით ევროპული ისტორიოგრაფიისათვის და აქედან გამომდინარე დაასკვნის, რომ „ამ მოსაზრების საფუძველზე წინამდებარე შრომა საკმარისად მიმაჩნია იმისათვის, რომ მის ავტორს მიეცეს ხარისხი ისტორიის დოქტორისა" (682, 35-36).

დასასრულ, გვინდა დავძინოთ, რომ ნ. დუბროვსკის მსგავსად გრ. ნათაძის მიერ გამოთქმული შეხედულებები არ არღვევს დისერტაციის ძირითად დებულებებს და უპირატესად კეთილი სურვილების ხასიათს ატარებენ, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ ნაშრომი კიდევ უფრო სრულყოფილი იყოს.

ალ. ნამორაძის პასუხი ოპონენტისადმი, ვფიქრობთ, საინტერესოა და ყურადღებას იპყრობს თავისი სოლიდურობით და არგუმენტირებულობით. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძეს საკამათოდ მიაჩნია, და ჩვენც სავსებით ვიზიარებთ მის შეხედულებას, გრ. ნათაძის მოსაზრება, რომ ამ პრობლემისადმი ინტერესი თითქოს გაციებულიყოს. ალ. ნამორაძე ფაქტებზე დაყრდნობით ცდილობს ნათელი მოჰფინოს საკითხს. სპეციალურ ისტორიულ ჟურნალებში „რევიუ.ისტორიენ" ან „ისტორიშენ ცეტშრიფტეიში" საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ქალაქების ისტორიას, მაგრამ ცალკეული სტატიების გარდა ყურადღებას იპყრობს სერიოზული გამოკვლევებიც. აქ იგი მიუთითებს უცხოურ ლიტერატურას და რუსულ ენაზე თარგმნილ საზღვარგარეთელ ისტორიკოსთა შრომებს. ასე მაგალითად, ბელგიელმა ისტორიკოსმა ანრი პირენმა გამოსცა ფრიად საგულისხმო ნაშრომი შუა საუკუნეების ბელგიის ქალაქებზე. ალ. ნამორაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით სათანადო მუშაობა წარმოებს საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც. სულ ცოტა ხნის წინათ გამოცემულ იქნა ვ. სტოკლიცკაია-ტერეშკოვიჩის წიგნი გერმანიის ქალაქები XIV-XV საუკუნეში". როგორც დისერტანტი აღნიშნავს მის მიერვე დაცული იქნა სადოქტორო დისერტაცია. აქ, ჩვენი აზრით, ალ. ნამორაძეს ერთი პატარა ლაფსუსი გაეპარა. წიგნი, რომელიც გამოსცა ვ. სტოკლიცკაია-ტერეშკოვიჩმა იყო კიდეც მისი სადოქტორო დისერტაცია (384) ორივე ერთ თემას ეხება. ამიტომ ასეთი ხაზგასმა მიზანშეწონილი არ ჩანს. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა ამის მაგივრად თქმულიყო, რომ გამოიცა დოკუმენტების კრებული XIV-XV საუკუნეების გერმანიის ქალაქებზე (328).

ალ. ნამორაძე გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ანრი სეს ნაშრომს სათანადოდ იმიტომ არ იყენებს, რომ იგი ქრონოლოგიურად ეხება საფრანგეთის ისტორიის მოგვიანებით პერიოდს 1789 წლის რევოლუციის შემდგომ ხანას, ხოლო ალ. ნამორაძის კვლევის უშუალო ობიექტია საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინა პერიოდი. დისერტანტის პასუხი სავსებით დამაკმაყოფილებელია (683, ფ. 17).

ალ. ნამორაძე აღნიშნავს, რომ მან თავის სადისერტაციო ნაშრომში სათანადო ყურადღება გამოიჩინა ეკონომიკური საკითხისადმი და ქალაქის ნივთიერ მდგომარეობას მთელი ერთი თავი მიუძღვნა (683, ფ. 17). ჩვენი აზრით ეს არაა პირდაპირი პასუხები გრ. ნათაძის შენიშვნაზე. შესაძლებელია, მართლაც საჭირო იყო უფრო ხაზგასმით თქმულიყო, რომ „სანამ ბურჟუაზია სუსტი იყო და პოლიტიკური ძალაუფლება არ გააჩნდა, იგი ურიგდებოდა მთავრობის ზედამხედველობას, მაგრამ სურათი მკვეთრად შეიცვალა, როდესაც ბურჟუაზია ეკონომიკურად მომძლავრდა" თუმცა ძნელი სათქმელია თითქოს ალ. ნამორაძის გამოკვლევაში ეკონომიკური ასპექტები სუსტად ან მკრთალად იყოს გაშუქებული. ვფიქრობთ, გრ.

ნათაძის ამგვარი შენიშვნა ეკონომიკური მატერიალიზმის გავლენის შედეგია.

გრ. ნათაძის მოსაზრებები საკითხის ისტორიოგრაფიული ნაწილის შესახებ, ჩვენი აზრით, საყურადღებოა. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არაა თუ რა პასუხი გასცა მას ალ. ნამორაძემ. მოვუსმინოთ დისერტანტს: „საგნის ლიტერატურა გარჩეული უნდა იქნეს ან ნაშრომის თავში, ან ნაშრომის ბოლოში. ერთი სიტყვით, მას სადმე ერთი ადგილი უნდა ჰქონდეს მიცემული. ეს მართალია. მაგრამ ეს საკვედური მე არ მეკუთვნის, ვინაიდან ჩემს ნაშრომში საგნის ლიტერატურის განხილვას დათმობილი აქვს განსაკუთრებული ადგილი. ჩვენ რომ ავიღოთ ამ წიგნის პირველი თავი აქ სწერია სათაურის სახით - ადმინისტრაციული მეურვეობის საკითხი საისტორიო ლიტერატურაში. მაშასადამე, ლიტერატურა გარჩეული მაქვს სპეციალურად პირველ თავში, ხოლო ზოგიერთი ისტორიკოსის აზრი მოყვანილი მაქვს წიგნის ბოლოში. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ საჭირო იყო აზრების შეჯერება. ამ მხრივ მე იძულებული ვიყავი ის აზრები, რაც გამოთქმულია საისტორიო ლიტერატურაში, წიგნის ბოლოში მომეტანა, სადაც ჩემს საბოლოო დასკვნას ვიძლევი ჩემი და სხვისი აზრების დაპირისპირების მიზნით" (683, ფ. 18-19). ალ. ნამორაძის ეს მსჯელობა მაინც არადამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია. წიგნში ისტორიოგრაფიული საკითხების სხვადასხვა ადგილას გაფანტვა, უთუოდ, აბნევს მკითხველს და ურთულებს მთავარი სათქმელის აღქმას. ეს არღვევს წიგნის კომპოზიციას, მთავარ სქემას. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა საკითხის ისტორიოგრაფია განხილული ყოფილიყო კომპაქტურად, ერთ ადგილას, რასაც, სხვათა შორის, ალ. ნამორაძეც აღიარებს.

დასასრულ, ალ. ნამორაძე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს იმ შენიშვნების მიმართ, რომელიც ცალკეულ ტერმინებს შეეხება (683, ფ. 23).

რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ღირებული ქართული ისტორიოგრაფიისათვის აკად. ე. ტარლეს შეფასება იყო. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავი რუსი ისტორიკოსი აკადმყოფობის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა და დაცვას არ დასწრებია. ეტყობა, ამ მიზეზის გამო მან ვერ შესძლო ალ. ნამორაძის ნაშრომზე უფრო ვრცელი საფუძვლიანი რეცენზიის დაწერა და თბილისში გამოგზავნა თავისი პატარა სამგვერდიანი რეცენზია, რომელიც, უთუოდ, საყურადღებოა. აკად. ე. ტარლეს დასკვნა დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროფ. გ. ხაჭაპურიძემ. ე.ტარლეს ეს რეცენზია დათარიღებულია 1938 წლის 24 სექტემბრით. არის აგრეთვე ე. ტარლეს კიდევ ერთი გამოხმაურება ალ. ნამორაძის მონოგრაფიის გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც ძირითადად დაწერილია რუსული და ფრანგული რეზიუმეების მიხედვით. იგი დათარიღებულია 1936 წლის 19 აგვისტოთი (682; ფ. 63-65; 683, ფ. 108).

ამ. ორ თავის გამოხმაურებებში აკად. ე. ტარლე ყურადღებას ამახვილებს ალ. ნამორაძის ნაშრომის შემდგომ ღირსებებზე: 1. ავტორმა საფუძვლიანად შეისწავლა საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურა და გამოავლინა მისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უნარი. გაეცნო და გააანალიზა ყველა ხელმისაწვდომი პირველწყარო, ძალზე კეთილსინდისიერად არის შედგენილი ნაშრომის ბიბლიოგრაფია. 2. ე. ტარლეს განსაკუთრებით მოსწონებია და ალ. ნამორაძის დიდ დამსახურებად მიაჩნია ადმინისტრაციული მეურვეობის პერიოდიზაცია. ეს იყო ახალი სიტყვა საკითხის ისტორიოგრაფიაში. 3. ის საყურადღებოდ თვლის ალ. ნამორაძის ნაშრომში აბსოლუტიზმის ფისკალური პოლიტიკის შედეგების ანალიზს. 4. ე. ტარლეს მოსწონს ალ. ნამორაძის ნაშრომის პოლემისტური ტონი. 5. მას მისასალმებლად მიაჩნია ალ. ნამორაძის პოზიცია ლუი XIV შეფასების დროს. 6. მას მოსწონს ალ. ნამორაძის დისერტაციის რუსული თარგმანი და სასურველად მიაჩნია, რაც შეიძლება სწრაფად გამოვიდეს რუსულ ენაზე.

ნ. დუბროვსკის მსგავსად, ე. ტარლე გულისტკივილით დასძენს, რომ ალ. ნამორაძეს არ მიეცა საშუალება საფრანგეთის პროვინციის არქივებში ემუშავა. „მაშინ მას ხელთ ექნებოდა გაცილებით უფრო მდიდარი ფაქტობრივი მასალა თავისი ძირითადი თეზისების ილუსტრაციისათვის" (682, ფ. 65-66). ვერ ვიტყვით, რომ ეს ალ. ნამორაძის წელილის ამომწურავ შეფასებას იძლეოდეს, მაგრამ ძირითად მიმართულებებს კარგად გვისახავს. დისერტაციის დაცვის დროს დისპუტი ე. ტარლეს და ალ. ნამორაძეს შორის, პირველის ავადმყოფობის გამო, ფაქტობრივად ვერ შედგა.

ალ. ნამორაძე აღნიშნავს, რომ დიდი სიამოვნებით მოისმინა აკად. ე. ტარლეს რეცენზია და გამოთქვამს გულისტკივილს, რომ ავადმყოფობის გამო ეს შესანიშნავი მეცნიერი ვერ ჩამოვიდა თბილისში, რათა პირადად მიეღო მონაწილეობა დისპუტში (682, ფ. 87).

მეცნიერული პაექრობის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე აცხადებს შესვენებას ათი წუთით. რის შემდეგ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი დოც. ა. თავაძე გააცნობს დამსწრე საზოგადოებას საბჭოს დადგენილებას ალ. ნამორაძისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე. სხდომა დასრულდა ღამის 12 საათზე (682, ფ. 88).

აღსანიშნავია, რომ ინტერესი ამ ნაშრომისადმი არ შენელებულა შემდგომ პერიოდშიც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის დადებითი შეფასება, რომელიც ალ. ნამორაძის გამოკვლევას მისცა ისტორიოგრაფიის საკითხების ჩინებულმა მცოდნემ რუსმა ისტორიკოსმა ა. დუნაევსკიმ (556, გვ. 57).

ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII-XVIII სს. ეპოქის ადმინისტრაციული კორესპონდენციებისა და საკანონმდებლო აქტების მიხედვით

ალ. ნამორაძის მონოგრაფიის გამოსვლა და სადოქტორო დისერტაციის დაცვა, საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლის საკითხში მნიშვნელოვან ტეხილს წარმოადგენს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში საფუძველი ეყრება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ამ თვალსაზრისით, ალ. ნამორაძე იყო პირველი მერცხალი, გზამკვლევი, მესაძირკვლე. საქართველოში დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის პროცესში თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება.

ალ. ნამორაძის მთავარი ნაშრომი ჯერ არ გამხდარა საგანგებო, სიღრმისეული შესწავლის საგანი, თუმცა ცალკეული მკვლევარები ზოგადად მიმოიხილავდნენ ამ საკითხს (4ა; 478).

უკვე 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბის X ტომში დაიბეჭდა ალ. ნამორაძის ამ გამოკვლევის შემოკლებული ვარიანტი (541; გვ. 149-224), ხოლო 1935 წელს ნამორაძის ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ იგი უმალ აღმოჩნდა სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში და მათი მაღალი შეფასება დაიმსახურა (ე. ტარლე, ნ. დუბროვსკი.)

შესავალში ალ. ნამორაძე, პირველ ყოვლისა, ცდილობს განსაზღვროს ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები. იგი ეკამათება ფრანგ ისტორიკოსს გრაფ ალექსის დე ტოკვილს, რომელიც ირწმუნება, რომ „ის რასაც დღეს ადმინისტრაციული მეურვეობა ეწოდება წარმოადგენს „ძველი რეჟიმის" კრეატურას" ალ. ნამორაძე არ იზიარებს ამ მოსაზრებას და წყაროებზე დაყრდნობით ახლებურად სვამს საკითხს. „ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამი შეიძლება მივაკუთვნოთ ,იმ ხანას, როდესაც საფრანგეთის მონარქია იმდენად მომაგრდა და მომძლავრდა, რომ უკვე შეეცადა დაექვემდებარებინა თავისი ინტერესებისათვის კომუნალური თვითმმართველობა. ასეთ პრეცენდენტს ჩვენ ვხვდებით სამუალო საუკუნეების დამდეგს. მაშასადამე ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამიც სამუალო საუკუნეების ფარგლებში უნდა ვეძიოთ" (85. გვ. 3). რადგან ადმინისტრაციულ მეურვეობას საფრანგეთში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, ამიტომ ავტორმა მიზანშეწონილად სცნო თავისი კვლევის უშუალო ობიექტად აერჩია ერთი უბანი – XVII-XVIII საუკუნე. ეს იყო საკმაოდ საინტერესო მონაკვეთი, რომელიც მოიცავდა ადმინისტრაციული მეურვეობის დასკვნით აკორდს.

ნაშრომის დანიშნულებაა გამოარკვიოს „თუ რა სამსახური გაუწია საფრანგეთის კომუნალურ მმართველობას მონარქიის მფარველობამ" (85, გვ. 4). ეს არის საკმაოდ რთული საკითხი და მისი გადაწყვეტა ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. „თუ ინგლისში ადგილობრივ თვითმმართველობაში თავიდანვე განმტკიცდა სასამართლო ფორმა კონტროლისა, სამაგიეროდ საფრანგეთში მთავარი ადგილი იმთავითვე ადმინისტრაციულ კონტროლს უკავია" (85, გვ. 4) – შენიშნავს ალ. ნამორაძე. უშუალოდ ამის ერთ-ერთი შედეგი იყო ის გარემოება, რომ ინგლისის ისტორიული განვითარება უფრო დემოკრატიული გზით წარიმართა, ვიდრე საფრანგეთის.

ამ პრობლემით დაინტერესების კიდევ ერთ მიზეზად ალ. ნამორაძე ასახელებს იმ ფაქტს, რომ „კომუნალური მართველობის ისტორია შეუსწავლელია და ძალიან ღარიბია სპეციალური ლიტერატურით" (85, გვ. 9). ამ საკითხით დაინტერესებას, ცხადია, დიდად შეუწყო ხელი კიეველმა ისტორიკოსმა პ. არდაშევმა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით მან გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯები წამოჭრილი თემის დამუშავების საქმეში, მაგრამ პ. არდაშევის წელილის ხაზგასმას ბოლშევიკურ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როგორც ჩანს მოერიდა. ეს არცაა გასაკვირი. მონარქისტი პ. არდაშევის ხსენება მაშინ იოლი საქმე არ იყო და მავანს და მავანს ეს ფაქტი ადვილად შეეძლო ხელზე დაეხვია.

როგორც ჩანს, დაზუსტებას საჭიროებს „ძველი რეჟიმის" ქრონოლოგიური ჩარჩოები. ფრანგი ისტორიკოსი ე. პაჟესი „ძველ რეჟიმს" ანრი IV-ის მეფობით იწყებს და ლუი XVI მეფობით ამთავრებს (441). ასეთი პერიოდიზაცია ძალზე გაჟიმული უნდა იყოს და „ძველი რეჟიმის" დაწყება XVI საუკუნის მიწურულს ანრი IV-ის მეფობით ნაადრევად მიგვაჩნია. ლიტერატურაში უფრო გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად „ძველი რეჟიმი" მოიცავს ბოლო სამი ლუის მეფობას. ალ. ნამორაძე. ეტყობა, იზიარებდა იმ პერიოდში ლიტერატურაში მიღებულ თვალსაზრისს, რომელსაც გამოთქვამდნენ მისი წინამორბედი ისტორიკოსები ა. ტოკვილი და პ. არდაშევი.

ლუი XIV მეფობა, განსაკუთრებით კი მისი პირველი პერიოდი ძნელია „ძველ რეჟიმს" მივაკუთვნოთ. „ძველ რეჟიმში" პირობით შეიძლება ვიგულისხმოთ ასი წელი საფრანგეთის რევოლუციის წინ 1689-1789 წლები. ლუი XIV მეფობის მეორე ეტაპი „ძველი რეჟიმის" უვერტურაა, ხოლო კონკრეტულად „ძველი რეჟიმის" ათვლის წერტილად 1715 წელს ლუი XV გამეფება შეიძლება მივიჩნიოთ. ამრიგად, არსებობს საფუძველი „ძველი რეჟიმის" ქრონოლოგიური ჩარჩოები 1689-1789 წლებით განვსაზღვროთ. „ძველი რეჟიმი" არ წარმოადგენს მთელ რიგ ეპოქებს, როგორც ამას ხაზს უსვამს ალ. ნამორაძე. ეს არის ერთი მთლიანი ეპოქა, ფრანგული აბსოლუტიზმის დასკვნითი ფაზა (85, გვ. 5).

ყურადღებას იპყრობს ალ. ნამორაძის პოლემიკა ფრანგ ისტორიკოს რენუართან წყაროთმცოდნეობის საკითხის გამო. ფრანგი მკვლევარი საკითხს უპირატესად იურიდიულ საბუთებზე დაყრდნობით იკვლევს და მხედველო-

ბიდან ეპარება ეპოქის ადმინისტრაციული მიმოწერა, რომელსაც ქართველი ისტორიკოსის აზრით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რეალური სურათის წარმოსადგენად. ეს იყო საკითხის წყაროთმცოდნეობისადმი ახლებური მიდგომა, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ალ. ნამორაძის გამოკვლევის ორიგინალობა (85, გვ. 7).

ვფიქრობთ, ნაშრომი კიდევ უფრო მეტს მოიგებდა, რომ ავტორს შესავალში კონკრეტულად მიმოეხილა საკითხის ირგვლივ არსებული წყაროები. წიგნის ბოლოს მოთავსებული პატარა ერთ-ორ ფრაზიანი შეფასება სრულყოფილ ინფორმაციას ვერ იძლევა. ამ კუთხით საკითხის წარმოჩენა, სხვათა შორის, მან ჯერ კიდევ სადიპლომო ნაშრომში სცადა, მაგრამ ამ ხაზმა მის მონოგრაფიაში რატომღაც ვერ ჰპოვა სათანადო ხორცშესხმა, გაგრძელება. ზოგადი მიმოხილვა ძალიან კარგია, მაგრამ კონკრეტულობა აკლია.

* * *

მონოგრაფიის პირველ თავში განხილულია საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურა. ფაქტობრივად ეს არის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, თუმცა წმინდა კომპოზიციური თვალსაზრისით შესაძლებელი იყო მისი შესავალთან გაერთიანება, რომელიც მოიცავდა წყაროების და ლიტერატურის ანალიზს.

რა თქმა უნდა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ალ. ნამორაძე ბრწყინვალედ იცნობს საკითხის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და ისწრაფვის მისი სიღრმისეული ანალიზისაკენ. ეს ცხადია მისასალმებელია, მაგრამ ალ. ნამორაძის მიერ არჩეული ისტორიოგრაფიული მიმოხილვის მეთოდი, ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს. აქ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ალ. ნამორაძე დეტალურად განიხილავს ცალკეულ საკითხებზე ისტორიკოსთა მოსაზრებებს და რატომღაც დუმილით უვლის გვერდს მათ ძირითად კონცეფციას. უმჯობესი ხომ არ იქნებოდა შესავალში ზოგადი კონცეფცია მიეცა, ხოლო დეტალებზე ელაპარაკა ცალკეულ თავებში?

ალ. ნამორაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ პრობლემის შესწავლის საქმეში ყველაზე დიდი წვლილი ფრანგ ისტორიკოს ა. ტოკვილს და რუს ისტორიკოს პ. არდაშევს მიუძღვით. მან სათანადო პატივი მიაგო წინამორბედის დამსახურებას. აი რას წერდა იგი: „პირველი საუკეთესო სურათი ადმინისტრაციული მეურვეობის მოცემული აქვს ტოკვილს თავის წიგნში „ძველი რეჟიმი და რევოლუცია". მართალია, ყველაფერში ვერ დავეთანხმებით მას, მაგრამ ხსენებული ინსტიტუტების ნამდვილი შინაარსი, ზოგადი სახით მაინც გამორკვეული აქვს საუკეთესოდ" (85, გვ. 15). რუსი ისტორიკოსი პ. არდაშევი „ფრიად დიდი ერუდიციითაა აღჭურვილი", ხოლო მისი შრომა „ფრიად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირსებისაა" (85, გვ. 17). ვვარაუდობთ, რომ იგი კიდევ უფრო მეტს ილაპარაკებდა ა. ტოკვილისა და პ. არდაშევის შრომების დადებით მხარეზე, რომ არა ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხები. ამავე დროს შემთხვევითი სულაც არაა, რომ იგი ყველაზე მეტს სწორედ ა. ტოკვილს და პ. არდაშევს ეკამათება. ეს ადვილი გასაგებიცაა. ამ ორმა ისტორიკოსმა ყველაზე უფრო მეტად გააშუქა აღნიშნული თემა.

შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძე ადმინისტრაციული მეურვეობისადმი უფრო ელასტიკურ მიდგომას არჩევს, ვიდრე მისი წინამორბედი ისტორიკოსები ტოკვილი და არდაშევი. პირველი ადმინისტრაციულ მეურვეობას პოლიტიკურ ხასიათს მიაწერს, მეორე კი ეკონომიკურს. ალ. ნამორაძე ისწრაფვის დასძლიოს ეს ცალმხრივობა, სწორხაზოვნება. იგი ახლებურად უდგება საკითხს. ის აღნიშნული ეპოქის ადმინისტრაციულ მეურვეობას ორ ეტაპად ყოფს: XVII საუკუნე როდესაც ადმინისტრაციული მეურვეობა, ხაზს ვუსვამთ, უმთავრესად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და XVIII საუკუნე როდესაც, აღვნიშნავთ, უპირატესად ეკონომიკური ხასიათი მიიღო. იგი ასე განმარტავს საქმის ვითარებას: „პირველ შემთხვევაში მონარქია ცდილობს პოლიტიკურად დაიმორჩილოს კომუნალური მართველობა და დაიქვემდებაროს მისი ადმინისტრაცია. მეორე შემთხვევაში იგი ეპატრონება თვით კომუნალურ ქონებას. მის ნივთიერ ავლა-დიდებას და ამ უკანასკნელს ერთ ფრიად შემოსავლიან წყაროდ აქცევს თავისი დაცარიელებული ხაზინის შესავსებად" (85, გვ. 24).

ჰქონდა თუ არა საფრანგეთის ქალაქებს რევოლუციამდე დამოუკიდებლობა და ფართო დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ საარჩევნო თვითმმართველობა? ამ ეპოქის კომპეტენტური მკვლევარის პ. არდაშევის აზრით „მცხოვრებთა საერთო ყრილობები ძველი ფართო დემოკრატიული ხასიათით კიდევ არსებობდნენ XVIII საუკუნის დამლევამდის არა მარტო პატარა ქალაქებში, არამედ ისეთ დიდ ქალაქებში როგორც ნანტია" (148, გვ. 504). „ჩივილის რვეულებიდან" ალ. ნამორაძემ სულ სხვა დასკვნა გამოიტანა. მისი შეხედულებით „XVII-XVIII საუკუნეებში ჩვენ უკვე ვეღარ შევხვდებით ქალაქების ძველ ფართო დემოკრატიულ წყობილებას, მათ ძველ კონსტიტუციებს, მათ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. საფრანგეთის უკიდურესად განვითარებულმა აბსოლუტიზმმა შთანთქა ყველაფერში ეს, დამოუკიდებლობის აჩრდილიღა დაუტოვა კომუნებს" (85, გვ. 11).

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა შინაარსი უნდა ჩავდოთ ტერმინში ადმინისტრაციული მეურვეობა? რას ნიშნავს ადმინისტრაციული მეურვეობა? პროფ. პ. არდაშევის თანახმად „ადმინისტრაციული მეურვეობა წარმოადგენს ცენტრალური მთავრობის ერთგვარ ზედამხედველობას და კონტროლს კომუნალური მართველობის სფეროში" (148, გვ. 513). აღსანიშნავია, რომ ალ. ნამორაძე კიდევ უფრო განავრცობს, აღრმავებს პ. არდაშევის დებულებას და დასძენს: „საბოლოოდ ეს მეურნეობა გასცდა ამ ფარგლებს და მთავრობის ნამდვილ ეკონომიკურ

ბატონობად გადაიქცა იმავე კომუნალური მმართველობის სფეროში" (85, გვ. 14).

საყურადღებოა ალ. ნამორაძის მსჯელობა ადმინისტრაციული მეურნეობის ხასიათის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ალ. ნამორაძეს პ. არდაშევის თვალსაზრისი, რომ ადმინისტრაციული მეურვეობა ატარებდა პირდაპირ და არაპირდაპირ ხასიათს საკამათოდ მიაჩნია, რთულად და ხელოვნურად ესახება. ალ. ნამორაძე გვთავაზობს, ჩვენი აზრით, უფრო მისაღებ და სადა ფორმულირებას. იგი ხაზს უსვამს ადმინისტრაციული მეურვეობის ორგვარ ხასიათს პოლიტიკურს და ეკონომიკურს (85 გვ. 21-27).

აკად. ე. ტარლეს, ეტყობა, ძალიან მოეწონა ის ფაქტი, რომ ალ. ნამორაძე აქტიურად ერევა ორი შესანიშნავი ისტორიკოსის ა. ტოკვილის და პ. არდაშევის დავაში და დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არდაშევი ტოკვილს ისეთ აზრებს მიაწერს, რაც მას არ აქვს (683, ფ. 114; 652; 85, გვ. 22-23).

პ. არდაშევმა დამაჯერებლად ცხადყო, თუ როგორ ცდილობდა ცენტრალური მთავრობა დაეცვა ქალაქების რესურსები, მათი ქონება და ავლადიდება მუნიციპალიტეტის იმ მოხელეებისაგან, რომლებიც მეტად უთავბოლოდ აწარმოებდნენ ქალაქის საქმეებს და უსაზღვროდ და სრულიად უპასუხისმგებლოდ ფლანგავდნენ ქალაქის ქონებას (148, გვ. 518-519).რა თქმა უნდა, ეს ადმინისტრაციული მეურვეობის პოზიტიური მომენტია, მაგრამ ამის გამო ადმინისტრაციული მეურვეობის გაიდეალება არ ღირს და აქ წერტილის დასმა ნაჩქარევი იქნებოდა. როგორც ალ. ნამორაძე აღნიშნავს: „საქმე ისაა, რომ პ. არდაშევი რატომღაც დუმილით უვლის გვერდს მთავრობის ფისკალურ პოლიტიკას, რომელმაც პირდაპირ გაღატაკებამდე მიიყვანა ქალაქები: აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. პ. არდაშევი ადმინისტრაციული მეურნეობის იდეალიზაციისაკენ უფრო იხრება. ასეთი შეფასება ალ. ნამორაძეს საკამათოდ მიაჩნია. ვერ ვიტყვით, რომ „ხელისუფლება საფრანგეთის ქალაქებისადმი რაიმე ფილანტროპიული აზრით ყოფილიყოს გამსჭვალული და მათ კეთილდღეობაზე ზრუნავდა." (85, გვ. 27). ეს პოლემიკა პ. არდაშევთან გრძელდება ადმინისტრაციული მეურვეობის შედეგების შეფასების დროს. ალ. ნამორაძე ადმინისტრაციული მეურვეობის შედეგებს ხედავს „არა კომუნალური რესურსების დაცვაში და კომუნალური მეურნეობის რეგულირებაში, როგორც ამას არდაშევი ამტკიცებდა, არამედ ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტის უზრუნველყოფაში და კომუნალური რესურსების ძარცვაში" (85, გვ. 27). ამ განუკითხობას წერტილი დაუსვა რევოლუციამ. აქ ალ. ნამორაძე კარგად ჩაწვდა პ. არდაშევის კონცეფციის არსს, მიაგნო მის ძირითად ძარღვს და გამართა მეცნიერული პოლემიკა არდაშევთან მისი კონცეფციის გამო, მაგრამ რატომღაც ეს ხაზი, ჩვენი აზრით, ბოლომდე მიყვანილი არ აქვს. იგი თავს არიდებს პ. არდაშევთან კონცეფტუალურ დისკუსიას და აქცენტი გადააქვს ცალკეული საკითხებისადმი პ. არდაშევის დამოკიდებულებაზე, რაც ალ. ნამორაძის საინტერესო ისტორიოგრაფიული მიმოხილვის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია.

ალ. ნამორაძე რატომღაც არაფერს ამბობს იმის თაობაზე თუ რითი იყო განპირობებული პ. არდაშევის პოზიცია. შესაძლებელია, პ. არდაშევის ოპტიმიზმი „ჩივილის რეფულებისადმი" უგულისყურობით იყო გამოწვეული (172, გვ. 10). ეს ერთი სერიოზული მიზეზი, მაგრამ იყო სხვა მიზეზებიც, რომლის სათავეები საფრანგეთის რევოლუციისადმი ა. არდაშევის დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. მისი ღრმა რწმენით, ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის საფრანგეთის რევოლუცია აუცილებელი არ იყო და ყველაფერი ეს განხორციელდებოდა თანდათანობითი რეფორმების, „ძველი რეჟიმის" პოლიტიკური დაწესებულებების ევოლუციის გზით. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პ. არდაშევი ოპტიმისტურად უყურებდა საერთოდ „ძველ რეჟიმს" და კონკრეტულად ადმინისტრაციულ მეურვეობას და მის შედეგებს. აქ შემთხვევითი არაფერია. იგი რუსულ ისტორიოგრაფიაში თავისი მასწავლებლის ვ. გერიეს ხაზის გამგრძელებლად გვევლინება (202; 181; გვ. 231-259).

თუ ტოკვილი და არდაშევი „ძველი რეჟიმის" პოლიტიკური ინსტიტუტების დამცველებად გვევლინებიან, ალ. ნამორაძეზე ამას ვერ ვიტყვით. მისი კონცეფცია გაცილებით უფრო საღი და პროგრესულია. იგი ამ შემთხვევაში გვევლინება იმ ხაზის გამგრძელებლად რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XX საუკუნის დასაწყისის პროგრესულ რუსულ ისტორიოგრაფიაში (ნ. კარეევი, ა. ონუ.) (260; 594; 172, გვ. 10).

არსებითად ამით მთავრდება ალ. ნამორაძის წიგნის ისტორიოგრაფიული ნაწილი. ეს მონაკვეთი შედარებით მცირე მოცულობისაა, არადა შეიძლებოდა უფრო ვრცელი ყოფილიყო ალ. ნამორაძე კონცეფტუალური ანალიზის გზით რომ წასულიყო, „რაც მას ეკვგარეშეა ხელეწიფებოდა.

პირველი თავის განხილვა აქ შეიძლება დაგვესრულებინა, რომ არა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - ადმინისტრაციული მეურვეობის პერიოდიზაცია. როგორც უკვე ითქვა, იგი ეკამათება ა. ტოკვილს და პ. არდაშევს, თითქოს ადმინისტრაციული მეურვეობა „ძველი რეჟიმის" კრეატურაა. ფრანგი ისტორიკოსები რენუარი და ბაბო ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამს XIII საუკუნეში ლუი IX მმართველობაში ეძიებენ, მაგრამ, როგორც ავტორს მიაჩნია, ისინი ბოლომდე ნათელს ვერ ჰფენენ საკითხს, რადგან კარგად არ ჩანს თუ რამდენად ეხებოდა ეს საკანონმდებლო აქტები მერებს, მუნიციპალიტეტებს და საერთოდ ადმინისტრაციულ მეურვეებას. ალ. ნამორაძე ადმინისტრაციული მეურვეობის სათავეებს შუა საუკუნეებში ეძიებს და ათვლის წერტილად XIII საუკუნეს, იმავე ლუი IX მეფობას, იღებს, თუმცა აქ, ვფიქრობთ, მეტი არგუმენტაცია იყო საჭირო. მისი ღრმა რწმენით, ადმინისტრაციულ მეურვეობას ხუთი საუკუნის ისტორია აქვს. ალ. ნამორაძის თანახმად ადმინისტრაციული მეურვეობა ორ პერიოდად შეიძლება დავყოთ: 1. XIII საუკუნიდან _

XVII საუკუნის მიწურულამდე, როდესაც ის უპირატესად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და 2. XVII საუკუნის მიწურულიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე, როდესაც მან უპირატესად ეკონომიკური, ფისკალური ხასიათი მიიღო (85, გვ. 17-18). ალ. ნამორაძის მიერ შემოთავაზებულია ადმინისტრაციული მეურვეობის პერიოდიზაცია საყურადღებოა და საკითხის ახლებურად დასმაა, რადგან მისი წინამორბედი ისტორიკოსები ადმინისტრაციული მეურვეობის განვითარების ისტორიაში რაიმე მნიშვნელოვან მიჯნას ვერ ხედავდნენ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ალ. ნამორაძის მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაციის სქემამ ე. ტარლეს ყურადღება მიიპყრო და დიდი მოწონება დაიმსახურა. ალ. ნამორაძის მიერ შემოთავაზებული ადმინისტრაციული მეურვეობის პერიოდიზაციის დახასიათება, შემდგომი სრულყოფა, გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ადმინისტრაციული მეურვეობის ისტორიის დაწყება XIII საუკუნეში ნაადრევად მიგვაჩნია. ჩვენი ღრმა რწმენით, ადმინისტრაციული მეურვეობა არის ახალი დროის პირმშო და მისი დასაბამიც ახალ ეპოქაში უნდა ვეძიოთ. ისტორიული მონაკვეთი XIII საუკუნის მიწურულიდან XV საუკუნის მიწურულამდე შეიძლება განვიხილოთ როგორც მოსამზადებელი ეტაპი ადმინისტრაციული მეურვეობის ისტორიაში. ეს იყო ადმინისტრაციული მეურვეობის უვერტიურა. ალ. ნამორაძე არაფერს ამბობს ერთ, ჩვენი აზრით, პრინციპულ საკითხზე — რა აბრკოლებდა ადმინისტრაციული მეურვეობის განვითარებას XIII-XV საუკუნეში. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ასწლიანი ომით. საკუთრივ ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამად, ჩვენი აზრით, შეიძლება ავიღოთ XV საუკუნის მიწურული, სახელდობრ ლუიXI (1461-1483) მეფობა. ეს იყო მნიშვნელოვანი მიჯნა ქვეყნის ისტორიაში, რომელიც პირობით შეიძლება მივიჩნიოთ შუა საუკუნეების საფრანგეთის ისტორიის დასასრულად და ახალი ისტორიის დასაწყისად. ფაქტობრივად ლუი XI მეფობით დამთავრდა საფრანგეთის გაერთიანების პროცესი. ამიერიდან ფრანგული ქალაქების ისტორიაში დაიწყო თვისებრივად ახალი ეტაპი. ცენტრალიზაციის პირობებში ქალაქებს ახალი ფუნქცია დაეკისრათ. შესაძლოა, მათი თვითმართველობა შედარებით შეიზღუდა, მაგრამ მათი პროგრესული განვითარება ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ქვეყნის გაერთიანებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საფრანგეთის ქალაქების ეკონომიკური აყვავებისათვის. ადმინისტრაციული მეურვეობა, როგორც ამას ალ. ნამორაძე აღნიშნავს, აბსოლუტიზმის აღმოცენების ლოგიკური შედეგია. ხოლო აბსოლუტიზმის შესახებ საუბარი XV საუკუნის მიწურულამდე ნაადრევი იქნებოდა. მანამდე საფრანგეთში არსებობდა წოდებრივი წარმომადგენლობითი მონარქია, რომლის დაშლაც და აბსოლუტიზმის ჩასახვაც იწყება XV საუკუნის მიწურულს, სწორედ ლუი XI მმართველობის პერიოდში (147., გვ. 100-177).

საკვლევით ვიზიარებთ ალ. ნამორაძის მოსაზრებას, რომ ადმინისიტრაციული მეურვეობის ისტორიაში ერთი ეტაპი მთავრდება XVII საუკუნის მიწურულს, ლუი XIV მმართველობის პირველ პერიოდში, როდესაც აბსოლუტიზმმა ამოწურა თავისი პროგრესული ისტორიული მისია. აბსოლუტიზმის განვითარება ახალ ფაზაში შედის. იგი დიდების ზენიტიდან თანდათანობით დაბლა ეშვება, რასაც წერტილი დაუსვა საფრანგეთის რევოლუციამ. ბუნებრივია, იცვლება აბსოლუტიზმის დამოკიდებულება ქალაქებისადმი. იგი გამოკვეთილად პრაგმატულ სახეს იღებს. მთავრობა ქალაქებთან დამოკიდებულების საკითხში უმთავრესად ფისკალური მოსაზრებებით ხელმძღვანელობს და ამ საშუალებით სურს შეავსოს დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინა. ამიტომ ერთ-ერთი ოპონენტის პროფ. გრ. ნათაძის შენიშვნა თითქოს ალ. ნამორაძე კარგად ვერ ჩაწვდა იმ ფაქტს, რომ მეურვეობა იცვლის სახეს შეიძლება, არ გავიზიაროთ (682, ფ. 30).

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ქალაქების მმართველობის სტრუქტურა XVII-XVIII საუკუნეში. დასაწყისშივე ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს ამ პრობლემის აქტუალურობას და მეცნიერულ მნიშვნელობას. „XVII-XVIII საუკუნის ქალაქების მმართველობის საკითხი რთულია და ძალიან ნაკლებადაა გამოკვლეული" (85 გვ. 29-30). რასაც იგი იმით ხსნის, რომ ეს დაწესებულებები იყო უაღრესად მრავალფეროვანი. „თითქმის ყველა ქალაქის კონსტიტუციას საკუთარი გენეზისი მოეპოვებოდა, უკეთ რომ ვთქვათ, ყველა მათგანს საკუთარი ფიზიონომია და მაშასადამე, თავისი საკუთარი ისტორია ჰქონდა (85). ქალაქის სამუნიციპალო კონსტიტუციები ერთ შემთხვევაში ეყრდნობოდა ძველ ადგთ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს ე.წ. კუტუმებს. მეორე შემთხვევაში იგი სათავეს იღებდა შუა საუკუნეების კომუნალური მოძრაობიდან და კონსტიტუციებს საფუძვლად ედო მეფის ან სენიორის მიერ გაცემული სიგელი და მესამე შემთხვევაში კონსტიტუციები ემყარებოდა უფრო გვიანდელ დეკლარაციებს და სხვადასხვა კერძო ხასიათის დაკანონებებს (85, გვ. 29-30). ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ არა მარტო სხვადასხვა პროვინციების, არამედ ერთი ოლქის სამუნიციპალიტეტო რეჟიმები. ერთი თანამედროვე პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „ბრეტანში ორმოცდაორ ქალაქამდისაა და ყოველ მათგანს სხვადასხვა ორგანიზაცია აქვს" (85, გვ. 29-30). ჯერ კიდევ ტოკვილი შენიშნავდა: „არ მოიპოვებოდა მთელ საფრანგეთში ისეთი ორი ქალაქი, რომელნიც სამუნიციპალო მმართველობის მხრივ მთლიანად გავდეს ერთმანეთს" (აქ იგულისხმება ქალაქებთან ერთად, დაბები, დასახლებული პუნქტები. საფუძვლად აღებულია იურიდიული მხარე).

ამის შემდეგ ალ. ნამორაძე განიხილავს ქალაქის მმართველობის პრინციპებს. მისი შეხედულებით აღნიშნულ ეპოქაში ქალაქის მმართველობა ეყრდნობოდა ოთხ პრინციპს: 1. დანიშვნის პრინციპი, როდესაც თანამდებობის პირს ნიშნავდა მეფე ან სენიორი, 2. ნასყიდობა, რომელსაც საფუძვლად ედო სამემკვიდრო პრინციპი, 3. საარჩევნო

პრინციპი, 4. შერჩეული პრინციპი. მისი არსი ისაა, რომ ის წარმოადგენდა დანიშვნისა და არჩევითობის პრინციპის ერთგვარ სინთეზს (85, გვ. 29-30).

ქალაქების მმართველობა ორგვარი სახის კრებისაგან შედგებოდა: „ქალაქის კოლეგია" ანუ „ქალაქის კორპუსი", რომელიც წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისაგან და „მცხოვრებთა საერთო ყრილობა".

ავტორმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ XVII-XVIII საუკუნეში ამ უკანასკნელის განვითარებაში გარკვეული ძვრები ხდება, რომლის არსს იმაში ხედავს, რომ „მცხოვრებთა საერთო ყრილობა სულ უფრო და უფრო კარგავს ძველ დემოკრატიულ ელფერს": ბუნებრივია ისმის კითხვა რით იყო გამოწვეული აღნიშნული მეტამორფოზი? ამის მიზეზებს ალ. ნამორაძე საფრანგეთის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში ეძებს, თუმცა არაფერს ამბობს, რომ ყველაფერი ეს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების ლოგიკური შედეგი იყო. ბუნებრივია, ამას მოჰყვა საქალაქო ხელისუფლების კომპეტენციის შეზღუდვა, რასაც ალ. ნამორაძე მთავრობის პოლიტიკას უკავშირებს (85, გვ. 32-34).

უნდა დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს როდესაც ქალაქის მიმართ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სათავეებს ლუი XI მეფობის დასაწყისში ეძებს. ეს საკითხი ალ. ნამორაძეს შეეძლო კიდევ უფრო კარგად გაეშუქებინა, რაც მას, უეჭველად ხელეწიფებოდა, მით უმეტეს, რომ ის შესანიშნავად იცნობს ფრანგი ისტორიკოსის ანრი სეს წიგნს „ლუი XI და ქალაქები" (85, გვ. 211; 438 ბ) და იქ თავმოყრილი მდიდარი ინფორმაციის უფრო ფართოდ გამოყენება მიზანშეწონილი იქნებოდა. ჩვენი აზრით, ეს მეტ ღაზათს შემატებდა ალ. ნამორაძის გამოკვლევის ამ მონაკვეთს (438, გვ. 40).

ალ. ნამორაძე კარგად ხედავს, რომ XVII-XVIII საუკუნეებისათვის ქალაქის მმართველობის სადავეები პრივილეგირებულებმა ჩაიგდეს ხელთ, თუმცა გარეგნულად ცდილობდნენ პროცედურა თავისუფალი, ფართო არჩევნებისა დაცული ყოფილიყო, რამაც არაერთი მკვლევარი შეიყვანა შეცდომაში. ალ. ნამორაძის ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ მან თავი დააღწია ამ ცდუნებას და შეეცადა უფრო ღრმად ჩაეხედა საქმის არსში, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ალ. ნამორაძე ფართოდ სარგებლობდა ადმინისტრაციული მიმოწერით.

ქალაქების კორპუსი წარმოადგენდა ქალაქის აღმასრულებელ ორგანოს. მას, როგორც წყაროებიდან ჩანს, საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეში ოფიციალურად სრულიად სხვადასხვა სახელები ერქვათ. კარკასონში „მუნიციპალური კორპუსი", ვალანსიენში „მაგისტრატი", აგდში „ქალაქის საბჭო"; კამბრეში „მაგისტრატურის კორპუსი". მრავალფეროვნებით მას ტოლს არ უდებდა მაგისტრაციის შემადგენლობა (85. გვ. 40-42). რა დანიშნულება ჰქონდა „ქალაქის კორპუსს?" იგი ქალაქის ერთგვარი პრივილეგიების გამოხატულება იყო. თუ ქალაქსა და სოფელს შორის რაიმე არსებით განსხვავებაზე შეიძლება ლაპარაკი ამაზე ქალაქის კორპუსის არსებობა მიგვანიშნებს. ფრანგი ისტორიკოსი ალბერ ბაბო ქალაქის კორპუსის შემადგენლობაში სამ სისტემას განარჩევს: სინდიკატურს, საკონსულოს და მერიების. წიგნში განხილულია თითოეული მათგანი. განმარტებულია ქალაქის მერის არჩევის წესი (85. გვ. 44). 1692 წლის აგვისტოს ედიქტის თანახმად ლუი XIV პირდაპირ გააუქმა არჩევითი თანამდებობები ქალაქებში და გადააქცია ყველა ისინი გასაყიდ თანამდებობად. ამიერიდან ყველა მერს და ეშევენს უნდა შეესყიდა თავისი ადგილი. ეს იქცა დაცარიელებული სამეფო ხაზინის შევსების ერთ-ერთ რეალურ გზად.

მეორე თავის დასასრულს, ალ. ნამორაძე საუბრობს ეშევენების ანუ სკაბინების არჩევნებზე. ქალაქის პროკურორის, ქალაქის მმართველობის მდივნის და გადასახადების ამკრეფის უფლება მოვალეობაზე (85, გვ. 44-49).

ამრიგად, მეორე თავში ალ. ნამორაძემ უშუალოდ ფრანგულ პირველწყაროებზე დაყრდნობით სცადა წარმოეჩინა XVII-XVIII საუკუნის ფრანგული ქალაქების მმართველობის სტრუქტურა. შესაძლოა ზოგიერთი დეტალი დასახვეწი და დასაზუსტებელი იყოს, მაგრამ ალ. ნამორაძემ ამ ეპოქის ფრანგული ქალაქების მმართველობის სტრუქტურის მეტნაკლებად ადეკვატური სურათი დაგვიხატა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უფრო სიღრმისეული ანალიზის გზით წასვლა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო საფრანგეთის პროვინციულ არქივებში მუშაობა, რის საშუალებასაც ალ. ნამორაძე ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მოკლებული იყო.

* * *

ალ. ნამორაძის ნაშრომის მესამე თავში განხილულია პოლიტიკური შინაარსის მეურვეობა ქალაქების მმართველობის სფეროში. ამ თავის დასაწყისი ოდნავ მოულოდნელად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი კვლავინდებურად უბრუნდება ადმინისტრაციული მეურვეობის პერიოდიზაციას. განმეორებით ეკამათება ტოკვილს, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ადმინისტრაციული მეურვეობა ძველი რეჟიმის კრეატურაა". ხელახლა იმეორებს თავის ეროხელ უკვე აღნიშნულ დებულებას, რომ იგი ძველ რეჟიმზე უფრო ადრე არსებობდა და მისი საწყისები XIII საუკუნეში უნდა ვეძიოთ. აი რას წერს იგი: „იმ რანგის პრეცენდენტი, როდესაც მთავრობა ერევა ქალაქების თვითმმართველობაში იმ მიზნით, რომ დაამყაროს და განამტკიცოს შიგ თავისი ავტორიტეტი, ჩვენ ვხვდებით ლუი IX მეფობის დროს" (85, გვ. 49-50). სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მისი აზრით, პოლიტიკური შინაარსის მეურვეობა ქალაქების მმართველობის სფეროში. ამდენად, ადმინისტრაციული მეურვეობის პერიოდიზაცია და პოლიტიკური მეურვეობის დასაბამი ერთმანეთს ემთხვევა და ფაქტობრივად ერთ საკითხად გვევლინება, რასაც, სხვათა შორის, არც ალ. ნამორაძე არ უარყოფს. ამიტომ სათქმელის

თავიდან დაწყება საჭირო არ უნდა იყოს.

ვრცელი ისტორიული ექსკურსი პირველ კაპეტინგებიდან მისი ფართო ისტორიული ერუდიციის კიდევ ერთი მშვენიერი დასტურია, თუმცა ასე შორიდან მიმოხილვის დაწყება შეიძლება საკამათო იყოს. პირველ კაპეტინგების აბსოლუტურ მისწრაფებებზე საუბარი გადაჭარბებულად მიგვაჩნია (85, გვ. 51). ცნობილია, რომ ისინი თვით საკუთარ დომენშიც კი არ ითვლებოდნენ უძლიერეს ფეოდალებად და ხაზინის შევსების მიზნით, არაფერს არ თაკილობდნენ. თვით შარაგზის ყაჩაღობასაც კი. საფრანგეთის მეფე ფილიპე I (1060-1108) იმასაც არ მოერიდა, რომ იტალიელი სოდაგრები გაეძარცვა, რის გამოც რომის პაპის გრიგოლ VII (1073-1085) სასტიკი გულისწყრომა გამოიწვია. XII საუკუნეში ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა გაცილებით უფრო აქტიური ხდება. ამ მხრივ საგულისხმოა ლუი VI (1108-1137) და ლუი VII (1137-1180) მოღვაწეობა. პირველი კაპიტინგების ქვეშ ალ. ნამორაძე სწორედ მათ უნდა გულისხმობდეს, მაგრამ არც მათ აბსოლუტურ მისწრაფებებზე ღირს ლაპარაკი. ისინი ცდილობენ საკუთარ დომენში დაამყარონ წესრიგი, რაც თვისებრივად წინგადადგმული ნაბიჯი იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქაში (419; 401; 400; 280; გვ. 327-378; 207-350; 255; 185). ალ. ნამორაძემ ხაზი გაუსვა, რომ „პირველმა კაპეტინგებმა მშვენიერი მოკავშირე პოვეს ქალაქების სახით ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში" (85, გვ. 49-50). როგორც კი ცენტრალური ხელისუფლება მომძლავრდა მან მკვეთრად შეცვალა ქალაქებისადმი თავისი დამოკიდებულება. XIII საუკუნეში მეფე შეიქმნა საფრანგეთის ქალაქების აღიარებული სუვერენი. ამ თვალსაზრისით ალ. ნამორაძეს განსაკუთრებით საგულისხმოდ მიაჩნია ლუი IX მიერ 1256 წელს გამოცემული ორდონანსი და დაასკვნის რომ სწორედ აქედან იღებს დასაბამს ადმინისტრაციული მეურვეობა (85, გვ. 49-50). კონკრეტულად კი პოლიტიკური შინაარსის მეურვეობა ქალაქების მმართველობის სფეროში. ვფიქრობთ, ყველაფერი ეს უნდა თქმულიყო, და შესაძლოა გაშლილი სახითაც, ნაშრომის შესავალ ნაწილში, სადაც წამოჭრილია ზოგადი პერიოდიზაციის საკითხი ნებსით თუ უნებლიეთ ისე გამოდის, რომ ალ. ნამორაძე ერთ ადგილას სვამს საკითხს, ხოლო მეორე ადგილას წყვეტს მას, რაც საკამათოდ მიგვაჩნია (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იყო არა ადმინისტრაციული მეურვეობის, კონკრეტულად პოლიტიკური მეურვეობის დასაბამი, არამედ მისი წინა ისტორია. საკუთრივ პოლიტიკური მეურვეობის ათვლის წერტილად პირობით შეიძლება მივიჩნიოთ XV საუკუნის მიწურული, კერძოდ კი ლუი XI ხანა, როდესაც ქალაქებს მკვეთრად შეეზღუდათ პოლიტიკური უფლებები, ხოლო ეკონომიკური პრივილეგიები, რაც მთავარია, ხელუხლებლად დარჩა და ასე განსაჯეთ შესამჩნევადაც გაფართოვდა. რამაც, ცხადია, მძლავრი სტიმული მისცა საფრანგეთის ქალაქების აყვავებას).

ალ. ნამორაძემ წყაროებზე დაყრდობით ცხადყო, რომ ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის უსაშველოდ განდიდება, როგორც ამას სჩადის ზოგიერთი ისტორიკოსი (ტ. გრანოვსკი, ა. ლუშერი), უმართებულოა. ეს მისი მსჯელობის ღირებული მხარეა, მაგრამ იგი მეორე უკიდურესობაში ვარდება და, ვფიქრობთ, ცოტათი ამუქებს საქმის ვითარებას, რაც იმით აიხსნება, რომ იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებულ მარქსისტულ-ბოლშევიკურ იდეოლოგიის მონოპოლიას და აქცენტები დასვა ამ პროცესის სამართლიანობაზე და არა პროგრესულობაზე. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა სინამდვილეში ბოლშევიკების მიერ გაყალბებული იქნა მარქსიზმის კიდევ ერთი ჰიპმარიტება - საზოგადოების პროგრესის პრიმატი, სხვადასხვა კლასების და მათ შორის მშრომელი კლასის ინტერესებზე. უნდა ვაღიაროთ, რომ პროგრესი რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენაა და მხოლოდ სამართლიანი გზით არ ხორციელდება. პროგრესი და სამართლიანობა სინონიმები როდია. რა თქმა უნდა, ქალაქების თვითმმართველობის შეზღუდვას გარკვეული ანტიდემოკრატიული ელფერი დაკრავს, მაგრამ ეს იყო პროგრესის ჩრდილოვანი მხარე, რომლის უსაშველო გაზვიადება, ცხადია, საჭირო არაა, პირიქით შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ქალაქების განვითარებას ახალი მძლავრი იმპულსი მისცა. ისეთი ძლიერი მფარველი როგორიც სამეფო ხელისუფლებაა ქალაქების ეკონომიკური აღმავლობის და აყვავების საიმედო გარანტია იყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს ქალაქების ეკონომიკური ზრდის უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ. მთავარი მათი პოლიტიკური უფლებების შეკვეცა კი არ იყო, არამედ იმ ეკონომიკური პოზიციების განმტკიცება და გაფართოვება, რომლებიც ქალაქებმა მოიპოვეს. ერთი სიტყვით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქალაქების დაქვემდებარებას პროგრესული ელფერი დაჰკრავს და ქვეყნის ცენტრალიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

კომუნალური მოძრაობისადმი სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულებამ რთული ევოლუცია განიცადა. საინტერესოა, როგორ გადმოიცა ეს პროცესები ალ. ნამორაძის მონოგრაფიაში. წყაროებზე დაყრდნობით პირდაპირ შეიძლება თქმა, რომ პირველი კაპეტინგები კომუნალური მოძრაობის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას იჩენენ. ეს კარგად ცხადყვეს ა. ჟირის და ა. ლუშერის გამოკვლევებმა (216, გვ. 149-152 და 151-153). მკვეთრად იცვლება ვითარება XII საუკუნის მიწურულს და XIII საუკუნის დასაწყისში. ფილიპ-ავგუსტუსმა (1180-1223) და ლუი VIII (1223-1226) მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქალაქებთან კავშირზე აიღეს კურსი. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ კომუნალური მოძრაობის თაყვანისმცემელი ისტორიკოსები გუნდრუკს უკმევენ ფილიპ-ავგუსტუსის მოღვაწეობას. ნიშანდობლივია, რომ როგორც კი სამეფო ხელისუფლება მომძლავრდა მან კვლავ შეცვალა თავისი დამოკიდებულება ქალაქებისადმი.

ლუი IX (1226-1270) საბოლოოდ დაიმორჩილა ქალაქები. სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება კომუნალური მოძრაობისადმი სწორხაზოვნებით არასოდეს გამოირჩეოდა და ზიგზაგისებური იყო. ამიტომ ძალზე ძნელი იქნებოდა სამეფო ხელისუფლება წარმოვიდგინოთ კომუნალური მოძრაობის უანგარო მფარველის როლში, როგორც ამას აკეთებენ კომუნალური მოძრაობის მოტრფიალე ისტორიკოსები (ო. ტიერი, ფ. გიზო, ა. სმირნოვი).

აღნიშნული პრობლემის უფრო ადეკვატური წარმოჩენისათვის, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა ა. ლუშერის საინტერესო ნაშრომით „მონარქისტული ინსტიტუტების ისტორია" სარგებლობა. სათანადოდ არაა ხაზგასმული ის პოზიტიური როლი რომელიც ამ საქმეში ფილიპ-ავგუსტუსმა შეასრულა (303). დამაჯერებლად არაა ნაჩვენები ის მოტივები, რომლებმაც განაპირობეს მთავრობის პოლიტიკის სახეცვლილებები (85, გვ. 50-53).

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძე დიდ ყურადღებას უთმობს ლუი XI დამოკიდებულებას საფრანგეთის ქალაქებისადმი, და ხაზგასმით მიუთითებს, რომ აქედან მოყოლებული მთავრობის პოლიტიკური მეურვეობის მოტივები აშკარად ჩანს (438ა; 438ბ; 254, გვ. 144-146). მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი მას არ მიიჩნევს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქალაქების დამოკიდებულებაში რაიმე მნიშვნელოვან მიჯნად. (ჩვენი აზრით, აქ მთავრდება პოლიტიკური მეურვეობის წინა ისტორია და იწყება საკუთრივ პოლიტიკური მეურვეობა). ლუი XI ურთიერთობა ქალაქებთან არ იყო ჩვეულებრივი, ორდინალური გაგრძელება იმ პოლიტიკისა რასაც ტრადიციულად ატარებდა ცენტრალური ხელისუფლება. ლუი XI დროს დამთავრდა საფრანგეთის გაერთიანების პროცესი და, ბუნებრივია, იცვლება ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება ქალაქებისადმი. ლუი XI მკვეთრად შეზღუდა ქალაქების პოლიტიკური უფლებები, მაგრამ ეკონომიკური პრივილეგიები დაუტოვა, რაც მათი პროგრესული განვითარების მნიშვნელოვან საწინდარად მოგვევლინა. ამის ნაყოფია XV საუკუნის მიწურულს ლიონის, მარსელის, ბორდოს, ლაროშელის აყვავება. მძლავრ აღმავლობას განიცდიდა საზღვაო ვაჭრობა. ეს იყო ბაზრების სწრაფი აღმოცენების და გაფურჩქვნის ეპოქა. ყოველივე ამან, ცხადია, სერიოზული სტიმული მისცა საფრანგეთში სავაჭრო კაპიტალის შექმნას (438 ა). ალ. ნამორაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შემდგომმა მეფეებმა არსებითად გააგრძელეს ლუი XI პოლიტიკა (85, გვ. 54-61). ალ. ნამორაძე ლაკონიურად, ძირითად შტრიხებში, ახასიათებს ანრი III-ის (1574-1589), ანრი IV-ის (1589-1610), ლუი XIII-ის (1610-1643), რიშელიეს (1624-1642), ლუი XIV-ის (1643-1715) პოლიტიკას ქალაქების მიმართ (85, გვ. 54-61).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ. ნამორაძემ ძალიან კარგად დაინახა და დამაჯერებლად გაუსვა ხაზი ქალაქებისადმი მთავრობის პოლიტიკის ერთ ფრიად მნიშვნელოვან დეტალს. აქ ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის მეფეების სიტყვა და საქმე დაშორდა ერთმანეთს: ისინი ბევრს ლაპარაკობდნენ და აღუთქვამდნენ ქალაქებს თავისუფლებას მაგრამ სინამდვილეში ხშირად ივიწყებდნენ ამ დაპირებას და უცერემონიოდ ერეოდნენ ქალაქების საქმეებში. ეს იყო უაღრესად მტკივნეული საკითხი, რომელსაც თავისი აქტუალობა არც XX საუკუნის დასაწყისში არ დაუკარგავს, როდესაც წერდა თავის ნაშრომს ალ. ნამორაძე. აქ მხედველობაში გვაქვს სავსებით რეალური გარემოება. სიტყვის და საქმის დაშორება ბოლშევიკების დროს უმაღლეს რანგში იქნა აყვანილი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალ. ნამორაძემ შეფარვით, ძალიან ფრთხილად, ეზოპეს ენით, დაგმო მისი თანამედროვე კომუნისტების პოლიტიკა. როგორც ჩანს, ალ. ნამორაძის წიგნის ეს პოლიტიკური ქვეტექსტი საბედნიეროდ შეუმჩნეველი დარჩათ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიული ჩინოვნიკების გულმოდგინების წყალობით ეს საინტერესო გამოკვლევა დიდხანს ვერ იხილავდა დღის სინათლეს.

ალ. ნამორაძეს მიაჩნია, რომ თუ მთავრობის ოფიციალურ მასალას, საკანონმდებლო აქტებს, დაკვირდნობით მივიღებთ ცოტა შელამაზებულ ვითარებას. თითქოს მთავრობა დარაჯად ედგა ქალაქების თავისუფლებას და დემოკრატიზმს, როგორც ეს ესმით რენუარსა და არდაშევს. ჰეშმარიტებაში უკეთესად გარკვევის მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა ჩავიხედოთ ეპოქის ადმინისტრაციულ მიმოწერაში, რადგან ქართველი ისტორიკოსის შეხედულებით აქ უფრო რეალურ სურათს დავინახავთ. აქ მას კვლავ წარმოუდგებოდა თვალწინ მისი თანამედროვე კომუნისტური საზოგადოება, სადაც საკანონმდებლო აქტებს და რეალურ სინამდვილეს შორის უზარმაზარი უფსკრული არსებობდა. თავისი შინაარსით მეტად დემოკრატიულ 1936 წლის კონსტიტუციას მოჰყვა უსაშინლესი ტერორი.

ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს, რომ ადმინისტრაციულმა მეურვეობამ თავის აპოგეას მიაღწია რიშელიეს და ლუი XIV დროს, როდესაც ფრანგული აბსოლუტიზმი თავის დიდებისა და ძლიერების ზენიტშია (85, გვ. 61-68). ბუნებრივია ისმის კითხვა რატომ გაქიანურდა ეს პროცესი? რა იყო ამის მიზეზი? ამ კითხვაზე ალ. ნამორაძე თავის წიგნში დამაჯერებლად პასუხობს. პასუხს ის, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთის პოლიტიკურ ისტორიაში ეძებს, რომელიც XVI საუკუნეებში სულაც არ გამოირჩეოდა სტაბილურობით. ფრანგული მონარქია რიგი პოლიტიკური გართულებების გამო - იტალიური ომები (1494-1558), რელიგიური ომები (1559-1589), კარგა ხანს წელში ვერ გაიმართა და მყარად ფეხზე ვერ დადგა. თანდათანობითი სტაბილიზაცია გამოიკვეთა მხოლოდ XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის დასაწყისში, ანრი IV ტახტზე ასვლის შემდეგ. შეიძლება დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, რომ XVI საუკუნეში ფრანგული მონარქიის განმტკიცებისათვის, ცხადია, არავის ეცალა. პირველი სერიოზული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე ანრი IV გადადგა, ხოლო რიშელიემ და განსაკუთრებით კი ლუი XIV საძირკველი ჩაუყარეს ძლიერ ცენტრალიზებულ-

ბიუროკრატულ აპარატს (193; 224; 299; 302; 300; 424; 355). ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია ინტენდანტების ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლის სულისჩამდგმელად რიშელიეს თვლიან. ისინი ალ. ნამორაძის თქმით, „ცენტრალური ხელისუფლების თვალი და ყური იყვნენ: „XVII საუკუნის მიწურულს და XVIII საუკუნეში ისინი ფაქტობრივად ყოვლისშემძლენი შეიქმნენ. სხვათა შორის, თანამედროვეებმა ეს ძალიან კარგად შენიშნეს. ჯონ ლოუ აღნიშნავს, რომ „საფრანგეთს განაგებს სამ ათეულზე მეტი ინტენდანტი, რომლებიც ემორჩილებიან ფინანსთა გენერალ-კონტროლიორს". წყაროებში მათ ხშირად „სატრაპებს" „ფაშებს" უწოდებდნენ. მათი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იყო თითქმის ყველაფერი. ისინი პროვინციებში ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის მთავარი გამტარებლები იყვნენ. რუსი მოგზაური ფონვიზინი რომელიც რევოლუციის წინ იყო საფრანგეთში მკაცრად, მაგრამ საკმაოდ რეალისტურად მიუთითებდა, რომ: „ინტენდანტი არის ქურდი, რომელსაც განუკითხავად შეუძლია ძარცვოს პროვინცია". აქედან იღებს სათავეს ის სიძულვილი რომელსაც თანამედროვეები იჩენდნენ ინტენდანტის მიმართ. ამიტომ ინტენდანტებისადმი პ. არდაშევის სიმპათიები გადაჭარბებულია და მისი მონარქისტული მრწამსით შეიძლება იყოს განპირობებული.

ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის მეფეები ადმინისტრაციულ მეურნეობას ამყარებდნენ არა საკანონმდებლო აქტების, არამედ ადმინისტრაციული პრაქტიკის საშუალებით, რომელსაც ახორციელებენ ძლიერ ბიუროკრატიულ აპარატზე დაყრდნობით (85, გვ. 61-66).

როგორც წყაროებიდან ირკვევა, XVII საუკუნის მიწურულს მთავრობამ დაამთავრა ქალაქების პოლიტიკური, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული დაქვემდებარება. ეს არ იყო ჩვეულებრივი, წყნარი, მშვიდი პროცესი. მთავრობა ხშირად მიმართავდა ძალმომრეობას, მაგრამ ეს როდია მთავარი. ისტორიული პროცესი აღმავალი ხაზით ვიდოდა და გამოკვეთილად პროგრესულ ხასიათს ატარებდა. შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული მეურვეობა ამ პერიოდში, XV საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის მიწურულს უპირატესად პროგრესულ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ. იგი საესებით შეესატყვისებოდა ფრანგული აბსოლუტიზმის აღმავალი ხაზით განვითარებას, როდესაც მან ქვეყნის ისტორიაში დადებითი როლი შეასრულა. ეს ტენდენცია ალ. ნამორაძის წიგნში კარგად არის გ-ტარებული და ხაზგასმულია, რომ ადმინისტრაციული მეურვეობა ამ პერიოდში პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

როგორც წესი აღმავლობას მოჰყვება დაბლა დაშვება. ფრანგული აბსოლუტიზმი ამ მხრივ სულაც არ წარმოადგენდა გამონაკლისს. როგორც ისტორიკოსები ფიქრობენ დაღმა დაშვების პირველმა სიმპტომებმა უკვე XVII საუკუნის დასასრულს იჩინა თავი. ამ თვალსაზრისით ალ. ნამორაძეს სიმპტომატურად ესახება 1692 წლის ედიქტი, რომელმაც მისი ღრმა რწმენით, საბოლოოდ დაუსვა წერტილი ქალაქების თვითმმართველობას და დამოუკიდებლობას. ამიერიდან ადმინისტრაციული მეურვეობის ისტორიაში იწყებოდა თვისებრივად ახალი ეტაპი (85, გვ. 75-70).

* * *

ფრიად აქტუალურ თემას საფრანგეთის ქალაქების ნივთიერ მდგომარეობას XVII საუკუნეში, ეხება ალ. ნამორაძის მონოგრაფიის მეოთხე თავი „საფრანგეთის ქალაქების ნივთიერი მდგომარეობა მე-XVII საუკუნეში". მიგვაჩნია, რომ სათაური დაზუსტებას საჭიროებს და ნებსით თუ უნებლიეთ ისეთი შთაბეჭდილება რჩება რომ იგი არ შეესატყვისება შინაარსს. საქმე ისაა, რომ აქ ძირითადად არის ცდა წარმოჩნდეს საფრანგეთის ქალაქების ნივთიერი მდგომარეობა ლუი XIV (1638-1715) დროს. ამიტომ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ამ თავისთვის გვეწოდებინა საფრანგეთის ქალაქების ნივთიერი მდგომარეობა ლუი XIV დროს? ალ. ნამორაძის მიერ შერჩეული სათაურის თანახმად ქალაქების ნივთიერი მდგომარეობის განხილვა უნდა დაეწყო ანრი IV მეფობით და უნდა დაესრულებინა ლუი XIV მეფობით. ეს იყო ქრონოლოგიური მონაკვეთი 1589-1715 წლები. ე.ი. მთელი XVII საუკუნე. მაშინ, რა თქმა უნდა, მივიღებდით სათაურის ადეკვატურ სურათს.. თუმცა ალ. ნამორაძის ჩანაფიქრი ეს არ უნდა ყოფილიყო. ფრიად სასურველი იქნებოდა საფრანგეთის ქალაქების ნივთიერი მდგომარეობის წარმოჩენა XVIII საუკუნეში, შემდეგი მეფეების ლუი XV (1715-1774) და ლუი XVI (1774-1793) დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ მას ეს პრობლემა ჩაფიქრებული ჰქონდა როგორც საფრანგეთის ქალაქების ნივთიერი მდგომარეობა „ძველი რეჟიმის" დროს. მხოლოდ ლუი XIV ეპოქით შემოფარგვლა საკმარისი არ უნდა იყოს. ეს აღნიშნული პრობლემის მხოლოდ ერთი საინტერესო მონაკვეთია. ამრიგად, ჩვენი აზრით, მეოთხე თავის სათაური ზუსტად არაა შერჩეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემამ ალ. ნამორაძის ყურადღება ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიიპყრო. ამ კუთხით საგულისხმოა ალ. ნამორაძის სადიპლომო ნაშრომის II თავი „ქალაქების ფინანსური მდგომარეობა". იგი შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას ალ. ნამორაძის მონოგრაფიის მეოთხე თავთან. როგორც ჩანს, იგი წლების განმავლობაში განაგრძობდა ამ თემაზე მუშაობას, ხვეწდა და სრულყოფდა დაგროვილ მასალას. ამ ხანგრძლივ შრომას და მეცნიერულ კვლევა-ძიებას შეიძლება ითქვას, რომ უნაყოფოდ არ ჩაუვლია და დიდი რუდუნებით ნაგროვები ეს მასალა მისი გამოკვლევის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია.

ალ. ნამორაძე უკვე პირველსავე გვერდებზე ხაზს უსვამს, რომ XVII საუკუნის მიწურულის საფრანგეთის ქალაქები უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ფრანგულ პირველწყაროებსა და მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ცდილობს ნათელყოს

საქმის ნამდვილი ვითარება (85, გვ. 79-80). უკვე საკითხის ამგვარი დასმა იყო საინტერესო და შეიცავდა პოლემისტურ ელემენტს, რაც წითელ ზოლად გასდევს მთელ მეოთხე თავს.

პირველ ყოვლისა ბუნებრივია, წამოიჭრება, საკითხი შემოსავლის რა წყარო გააჩნდათ ფრანგულ ქალაქებს? ეს თემა წიგნში ვრცლადაა განხილული. პირველ რიგში ეს იყო პატრიმონიური შემოსავალი. ეს ეხებოდა იმას, რომ ზოგიერთი ქალაქი უძველეს დროიდან ფლობდა დაწესებული გადასახადების აკრეფის უფლებას. ეს ქალაქებს, რა თქმა უნდა, მცირეოდენ შეღავათს მაინც მისცემდა, მაგრამ პატრიმონიური ქონების ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებდა მთავრობას. წიგნში წყაროებზე დაყრდნობით კარგადაა ნაჩვენები თუ როგორ ახერხებდა მონარქია აშკარა ძალადობის გზით დაპატრონებოდა პატრიმონიურ ქონებას (85, გვ. 80).

ქალაქის შემოსავლის მეორე წყაროს წარმოადგენდა საბაზრო და საბაჟო გადასახადები. ქალაქები მნიშვნელოვანწილად ამ შემოსავლის ხარჯზე არსებობდნენ. საგულისხმოა, რომ ხელისუფლება მის ხელში ჩაგდებასაც შეეცადა. ამაზე მიგვანიშნებს 1647 წელს მაზარინის მიერ გამოცემული ედიქტი, რომელმაც საბაჟო გადასახადების მთელი შემოსავალი ჩამოართვა ქალაქებს და ხაზინას გადაულოცა. შედეგმაც არ დააყოვნა. ქალაქების მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამიტომ სავსებით მართლზომიერი იყო, რომ როგორც კი კოლბერი დანიშნეს გენერალურ-კონტროლიერის პოსტზე მან პირველ რიგში უარი თქვა ამ კანონის განხორციელებაზე (85, გვ. 80-83).

თავის მხრივ მოქალაქეები სახელმწიფოს უხდიან გადასახადს, რომელთა შორის ყველაზე მძიმე იყო სახელმწიფო გადასახადი ტალია. გასათვალისწინებელია, რომ აზნაურობა და შეძლებული მოქალაქეები თავს აღწევდნენ სახელმწიფო გადასახადს და მისი მთელი სიმძიმე რიგითი მოქალაქეების კისერზე გადადიოდა. ამას ემატებოდა მუნიციპალიტეტის მოხელეთა ბოროტმოქმედება. მათი უთავბოლობა ქალაქის მეურნეობის მართვის საქმეში (85, გვ. 86-87 და 90-94).

ქალაქებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების საკითხში შექმნილი ვითარების დაფიქსირება მოხდა 1692 წლის აგვისტოს ედიქტში, რომლის თანახმადაც ფაქტობრივად ნებადართული იქნა სამუნიციპალო თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა. ამან, ცხადია, კიდევ უფრო გააუარესა ქალაქების ისედაც შეჭირვებული მატერიალური მდგომარეობა. აქ საკმაოდ ნათლად გამოჩნდა, რომ მონარქია, უპირველეს ყოვლისა, ხაზინის შევსებაზე უფრო ზრუნავდა და არა ქალაქების კეთილდღეობაზე, როგორც ეს რენუარს და არდაშევს ჰგონიათ (85; გვ. 86-87 და 90-94) „ის მრავალგვარი გადასახადები, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, უზომოდ ტვირთავდა კომუნალურ ბიუჯეტს და აიძულებდა ქალაქებს მიემართათ სესხისათვის. ამიტომაა, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვენ ვხედებით საფრანგეთის ქალაქებს უზომოდ დავალიანებულებს" (85, გვ. 94).

ქალაქებისადმი კოლბერის დამოკიდებულება ფრიად საინტერესო და აქტუალური თემაა. ბუნებრივია, ალ. ნამორაძე გვერდს ვერ აუვლიდა მას და მოკლედ ჩერდება ამ საკითხზე. აღსანიშნავია, რომ კოლბერის პოლიტიკა ქალაქებისადმი გაცილებით უფრო პროგრესული იყო და ემყარებოდა რეფორმებს, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო უფლების ლიბერალიზაციას. ეს პოლიტიკა ქალაქებს, უეჭველად, გარკვეულ შვებას მოუტანდა, მაგრამ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატული სისტემის პირობებში მისი პრაქტიკული განხორციელება სულაც არ აღმოჩნდა ადვილი საქმე. „თვით კოლბერის მზრუნველობაც ქალაქებისადმი ნაკარნახევი იყო, არა იმდენად ქალაქების ინტერესებით, რამდენადაც მთავრობის, ანდაც უკეთ რომ ვთქვათ ხაზინის ინტერესებით" (85, გვ. 97) – შენიშნავდა ალ. ნამორაძე. ასეთი ფორმულირება ცოტა მკაცრად ხომ არ ეღერს? მაშინ ბუნებრივია ისმის კითხვა რა ნაბიჯი გადადგა კოლბერმა წინ სახელმწიფოს პოლიტიკასთან შედარებით? იქნებ აჯობებდა ხაზგასმა, რომ საკითხისადმი კოლბერის მიდგომა უფრო სახელმწიფოებრივი იყო. ლანგედოკის ინტენდანტი ატყობინებდა კოლბერს: „ფული ისეთი იშვიათია ტულუზაში, რომ საჭიროა შემოღებულ იქნას თანამდებობის გაყიდვა და მათი იძულებით შეძენა, რომ ამ საშუალებით მაინც შეეძლოთ წაეგლიჯათ ასიოდე ლივრი ხსენებული ქალაქისათვის" (85, გვ. 97-98). ფრიად ნიშანდობლივია, რომ კოლბერის გარდაცვალების შემდეგ (1683) მის ოპონენტებს ხელფეხი გაეხსნათ და მწვანე გზა მიეცა უკონტროლობას, განუკითხაობას. ის რასაც ხელისუფლება კოლბერის სიცოცხლეში ვერ ბედავდა სავსებით რეალური შეიქნა მისი გარდაცვალების შემდეგ (85, გვ. 97-98). სავსებით ვიზიარებთ, ალ. ნამორაძის დასკვნას, რომ „თვით კოლბერის სისტემა იმ საღი პოლიტიკის უკანასკნელი ეტაპი იყო, რომელსაც აბსოლუტიზმი თავის არსებობის პირველ პერიოდში დაადგა" (85, გვ. 146).

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მეოთხე თავს რეფრენად გასდევს დისკუსია გამოჩენილ რუს ისტორიკოსთან პავლე არდაშევთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პოლემიკის პირველი სიმპტომები უკვე მის სადიპლომო ნაშრომში იგრძნობოდა, სადაც ქართველი სტუდენტის მიერ თავმოყრილი საინტერესო ფაქტობრივი მასალა საშუალებას იძლეოდა პ. არდაშევთან კამათისა, მაგრამ სტუდენტმა ტაქტიანად აარიდა თავი მეცნიერხელმძღვანელთან დავას და ის, ეტყობა, სხვა დროისათვის გადადო. ის რაც არ გააკეთა, დიპლომანტმა ალ. ნამორაძემ წარმატებით გააკეთა დისერტანტმა ალ. ნამორაძემ თავის სადოქტორო ნაშრომში. „მიუხედავად ქალაქების ასეთი კრიტიკული ნივთიერი მდგომარეობისა, მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობდა ფეხზე წამოეყენებინა ქალაქების ფინანსები და მოეწესრიგებინა მათი სამეურნეო საქმეები, როგორც ამას ამტკიცებს არდაშევი" (85, გვ. 97). XVII-XVIII საუკუნის მიჯნაზე ფრანგული მონარქიის წინაშე ბევრი პრობლემები დაგროვდა. ერთ-ერთი მათგანი იყო

ქალაქებთან დამოკიდებულება. ამიტომ, ბუნებრივია, იბადება კითხვა შეეძლო თუ არა მონარქიას გამოეყვანა ამ მძიმე მდგომარეობიდან საფრანგეთი და მათ შორის ქალაქები. ეს საკითხი უცილობლად დგება ამ ეპოქის ყველა მკვლევარის წინაშე და მასზე პასუხის გაცემა ისტორიკოსებს შორის სერიოზულ კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთნი ფიქრობდნენ, რომ მონარქიას შეეძლო ამ რთული ვითარებიდან თავის დაღწევა და ამისათვის სულაც არ იყო საჭირო რევოლუცია. ამ მიმართულების მომხრე ისტორიკოსთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ალ. ნამორაძის ხელმძღვანელი, სახელგანთქმული კიეველი ისტორიკოსი პავლე არდაშევი. მეორენი კი მიიჩნევდნენ, რომ მონარქიამ ვერ გამოიჩინა სათანადო ელასტიკურობა და თავი ვერ გაართვა მის წინ მდგარ სირთულეებს, რასაც მოჰყვა რევოლუცია. ქართველი ისტორიკოსი ამ მეორე თვალსაზრისისკენ უფრო იხრება. ალ. ნამორაძის დისკუსია პ. არდაშევთან პრინციპულ ხასიათს ატარებდა. იგი არ ეთანხმება არდაშევს არა მარტო ცალკეულ დეტალებში, არამედ კონცეფტუალურად. იგი სულ სხვა გზით მიდის და არ შეიძლება დავინახოთ არდაშევის იდეების ტრადიციული გამგრძელებელი. თუ. პ. არდაშევი თავის კონცეფციაში გარკვეულ ხარკს უხდის მონარქისტულ ტრადიციას ალ. ნამორაძეზე ამას ვერ ვიტყვით. მისი კონცეფცია უფრო პროგრესული და რეალისტურია. ბუნებრივია, რომ პ. არდაშევის და ალ. ნამორაძის დამოკიდებულება ინტენდანტებისადმი სრულიად განსხვავებულია. ინტენდანტებზე არდაშევის მსჯელობის ტონი მკვეთრად ოპტიმისტურია. იგი ამ პოლიტიკური ინსტიტუტის რეაბილიტაციისაკენ ისწრაფვის და დარწმუნებულია, რომ მას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა. არდაშევი ამტკიცებს, რომ ინტენდანტები იყვნენ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი „საერთო კეთილდღეობისათვის მებრძოლი", „ხალხის ინტერესების დამცველი „პრივილეგირებული უმცირესობის წინააღმდეგ" (148, გვ. 554). ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ცნობილი მეცნიერები ა. მატიეზი, ნ. კარეევი, ა. ონუ მიუთითებდნენ არდაშევის განსაკუთრებულ სიმპათიებზე ინტენდანტებისადმი (172, გვ. 10). ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძის თვალსაზრისი ემთხვევა მათ შეხედულებას, მაგრამ, როგორც ჩანს, ალ. ნამორაძე ამ შრომებს გაცნობილი არ უნდა ყოფილიყო. დავიწყოთ იმით რომ ინტენდანტები შეიქმნა იმ მოტივით, რომ შეეზღუდათ ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ასე ესმოდა, მათი ფუნქცია სხვათა შორის, კარდინალ რიშელიეს. ინტენდანტები იყო ის ორგანო რომელიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე ფეოდალური სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, უდავოდ, პროგრესული როლი შეასრულა. ინტენდანტები ასრულებდნენ ცენტრალური ხელისუფლების ნება-სურვილს პროვინციებში. ისინი სულ მთლიანად აბსოლუტიზმზე იყვნენ დამოკიდებული. აბსოლუტიზმის დაკნინებასთან ერთად, ბუნებრივია, ინტენდანტების ინსტიტუტმაც გარკვეული ევოლუცია განიცადა. ინტენდანტებისადმი რეალისტური დამოკიდებულება ალ. ნამორაძის ნაშრომის ერთ-ერთი ღირსებაა.

ერთი სიტყვით, ალ. ნამორაძემ თავისი მონოგრაფიის მეოთხე თავში დამაჯერებლად დაგვიხატა საფრანგეთის ქალაქების მატერიალური ყოფა ლუი XIV მმართველობის ხანაში. ამით მან არსებითად დაგვანახა, რა ხდებოდა ლუი XIV მეფობის ბრწყინვალე ფასადს მიღმა. მან მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ნათელყო, რომ საფრანგეთის ქალაქების დაკნინების პროცესი უკვე ლუი XIV მეფობის დასასრულს დაიწყო, რაც ლუი XIV უსაშველო განდიდებას და იდეალიზაციას საფუძველს ურყევს.

* * *

...ნაშრომის მეხუთე თავში განხილულია ფისკალური შინაარსის მეურვეობა, რომელსაც ყველაზე დიდი ადგილი უკავია წიგნში. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა 1683 წლის რეგლამენტს და 1692 წლის 27 აგვისტოს ედიქტს. აქ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაფერია და ეს იმითაა გამოწვეული, რომ ამ ორმა აქტმა ბევრად განსაზღვრა საფრანგეთის ქალაქების სვე-ბედი დიდ რევოლუციამდე.

ალ. ნამორაძე იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ამ ორ ფაქტში დაინახა მნიშვნელოვანი ტეხილი ადმინისტრაციული მეურვეობის განვითარების გზაზე, რომელიც მოასწავებდა ადმინისტრაციული მეურვეობის ერთი ეტაპის დასასრულს, და შეესატყვისებოდა ფრანგული აბსოლუტიზმის აღმავალი ხაზით განვითარებას და ახალი ეტაპის დასაწყისს, რომელიც ფრანგული აბსოლუტიზმის დაკნინების, დაქვეითების ლოგიკური შედეგი იყო. როდესაც ხდება აბსოლუტიზმის დაშორება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისაგან და იგი მხოლოდ საკუთარი ინტერესების არეშია გამოკვეთილი.

წიგნის ამ მონაკვეთის მთავარი და არსებითი მინუსი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ იგი შეიცავს ძალიან ბევრ განმეორებებს, ტავტოლოგიას. როგორც ჩანს, ალ. ნამორაძე გაიტაცა დისკუსიამ, კამათმა, პოლემიკამ და ჩრდილში მოექცა ძირითადი საკუთრივ 1683 წლის რეგლამენტისა და 1692 წლის ედიქტის დეტალური განხილვა. მიგვაჩნია, რომ მეხუთე თავი ფაქტობრივად ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზანშეწონილი იქნებოდა ამ პრობლემის ლაკონიური გადმოცემა წიგნის ისტორიოგრაფიულ ნაწილში, მაშინ თავიდან ავიცილებდით ტავტოლოგიას, ხოლო მეხუთე თავში უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მიგვეცა ამ ორი კანონის საფუძვლიანი სიღრმისეული ანალიზი, რაც იმ რანგის ისტორიკოსს როგორიც პროფ. ალ. ნამორაძეა უეჭველად სავსებით ხელეწიფებოდა. სასურველი იქნებოდა ამ ორი დოკუმენტის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა (ეს შეიძლებოდა წიგნის ბოლოში). ამით კიდევ ერთი ძალიან კარგი საქმე გაკეთდებოდა. გვექნებოდა ორი ფრანგული წყაროს თარგმანი, რაც ნაწილობ-

რივ მაინც შეავსებდა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში არსებულ პრობლემებს.

ალ. ნამორაძე საფუძვლიანად მიმოიხილავს 1683 წლის რეგლამენტისადმი ისტორიკოსების დამოკიდებულებას და დეტალურად არჩევს მათ შეხედულებებს, რაც მისი წიგნის ღირსებად მიგვაჩნია. ბუნებრივია წამოიჭრება საკითხი რა სიახლე შეიტანა მან ამ რეგლამენტის ინტერპრეტაციის საქმეში? ალ. ნამორაძემ პირველმა ისტორიულ ლიტერატურაში ხაზგასმით მიუთითა, რომ 1683 წლის რეგლამენტი მოასწავებდა ქალაქების პოლიტიკური დამოკიდებულების აღსასრულს. ასეთ შინაარსს 1683 წლის რეგლამენტში არ დებდნენ მისი წინამორბედი ისტორიკოსები, პირველ რიგში კი ტოკვილი და არდაშევი.

1683 წლის რეგლამენტი, ალ. ნამორაძის ღრმა რწმენით, აშკარად სცილდება იმ ზედამხედველობას და კონტროლს, რომელზეც ასე ბევრს ლაპარაკობს არდაშევი. აქ არა მარტო და მხოლოდ კონტროლსა და ზედამხედველობასთან გვაქვს საქმე, არამედ ეს არის ნამდვილი დაქვემდებარების ფაქტი (85, გვ. 105).

ალ. ნამორაძემ ნათლად გვიჩვენა 1683 წლის რეგლამენტის მიზანი. ქალაქების მეურნეობის მოწესრიგება და ვალებისაგან განტვირთვა. მიზანი, ცხადია, კეთილშობილური იყო, მაგრამ მეორე საკითხია მოხერხდა თუ არა მისი პრაქტიკული განხორციელება. ამ მხრივ კი პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აბსოლუტიზმს სატრაბახო არაფერი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ნამორაძეს არადამაჯერებლად მიაჩნია არდაშევის მიერ ამ საკითხის ახსნა. არდაშევის აზრით ქალაქები ვალებისაგან განტვირთული ვერ იქნენ ხშირი ომების გამო. შესაძლოა, ეს მართალი იყო ლუი XIV-ის მმართველობის მიმართ, მაგრამ ალ. ნამორაძე სავსებით ლოგიკურად სვამს საკითხს – რა გაკეთდა შემდეგი მეფეების დროს როდესაც ომიანობა ნაკლებად იყო (85, გვ. 147-148). ეტყობა, საქმე მარტო ომიანობაში როდია. ალ. ნამორაძის აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ 1683 წელს კოლბერის სიკვდილის შემდეგ რეგლამენტმა აშკარად სახე იცვალა და ყველაფერი ცენტრალური მთავრობისა და ინტენდანტების ხელში მოექცა (85, გვ. 101). ალ. ნამორაძის ნაშრომს რეფრენად გასდევს აზრი, რომ ცენტრალურმა მთავრობამ კოლბერის გარდაცვალების შემდეგ სავსებით მიივიწყა 1683 წლის რეგლამენტის პოზიტიური ასპექტები და პრაქტიკულად განახორციელა ის რაც მას აწყობდა - იდეა ცენტრალიზაციისა, რომელსაც, ალ. ნამორაძის თქმით „ზვარაკად შეეწირა ქალაქების თვითმმართველობა და კონსტიტუციები" (85, გვ. 106).

1683 წლის ედიქტის შედეგებს პ. არდაშევი, ეტყობა, ცოტათი შელამაზებული სახით ჰვრეტდა და ამიტომ ალ. ნამორაძემ მიზანშეწონილად სცნო გარკვეული კორექტივების შეტანა მასში. „მეურვეობის მოწესრიგების მაგივრად ქალაქებს დაედგათ ცენტრალიზმის მძიმე უღელი და იმის მაგივრად, რომ ვალებისაგან განტვირთულიყვნენ მთავრობის ფისკალური საექსპლოატაციო პოლიტიკის ობიექტად გადაიქცნენ" (85, გვ. 107).

სადავოდ ესახება ალ. ნამორაძეს პ. არდაშევის დებულება, რომ 1683 წლის რეგლამენტი საფუძვლად დაედო მთავრობის პოლიტიკას ქალაქების მიმართ. ქართველი ისტორიკოსი კი ფიქრობს, რომ, მთავრობამ მკვეთრად გადაუხვია 1683 წლის რეგლამენტიდან და სამუდამოდ დაივიწყა კოლბერის ჩანაფიქრი. შესაძლებელს სასურველი ამჯობინა და კოლბერის დეკრეტიდან აიღო ის რაც მისთვის მისაღები იყო. დაქვეითების გზაზე მდგარი აბსოლუტიზმისათვის, მიუღებელი აღმოჩნდა კოლბერის რეგლამენტის პროგრესული არსი და ხელისუფლებამ იგი მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენა (85, გვ. 144-146).

შეიძლება თქვას, რომ ალ. ნამორაძის თხრობა ამ თავში ცოტათი არათანმიმდევრულია. საუბარი იწყება 1683 წლის რეგლამენტით, მერე გადადის 1692 წლის აგვისტოს ედიქტზე, მერე ისევ უბრუნდება 1683 წლის რეგლამენტს და შემდეგ ისევ გადადის 1692 წლის ედიქტზე (85, გვ. 99-107 და 110-137 და 137-138). შესაძლებელია, უფრო უპრიანი იქნებოდა ალ. ნამორაძეს ჯერ სულ რამდენიმე სტრიქონში შეეხსენებინა მკითხველისათვის 1683 წლის რეგლამენტის ისტორიოგრაფია (დაწვრილებით და დეტალურად მას ეს საკითხი წიგნის ისტორიოგრაფიულ ნაწილში უნდა გაერჩია), ხოლო შემდეგ მოეცა 1683 წლის ედიქტის საფუძვლიანი ანალიზი. ბუნებრივია, ამავე პრინციპზე შეიძლებოდა აგებულიყო 1692 წლის ედიქტის განხილვა.

მეხუთე თავში ალ. ნამორაძე კვლავ იწყებს პოლემიკას პ. არდაშევთან პირდაპირი და არაპირდაპირი მეურვეობის თაობაზე, რაც ტავტოლოგიაა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამჯერად მისი მსჯელობა გაცილებით უფრო არგუმენტირებულია, ვიდრე პირველ შემთხვევაში (85, გვ. 138-140 და 20-25). ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი კონცენტრირებული სახით უნდა განხილულიყო წიგნის დასაწყისში, იქ სადაც ეს პრობლემა დაისვა. მეხუთე თავში ამ საკითხთან დაბრუნება ზედმეტია.

1692 წლის 27 აგვისტოს ედიქტის შესახებ მსჯელობას ალ. ნამორაძე იწყებს ცალკეული სადავო საკითხებით, შემდეგ გადადის თვითონ ედიქტის შინაარსზე და ბოლოს განიხილავს საკითხის ისტორიოგრაფიას. ბუნებრივია, იბადება კითხვა უფრო ლოგიკური ხომ არ იქნებოდა ჯერ საკითხის ისტორიოგრაფია განეხილა, ხოლო შემდეგ ედიქტი (საერთოდ კი კვლავ იმ აზრზე ვრჩებით, რომ 1692 წლის ედიქტის ისტორიოგრაფია უნდა განხილულიყო წიგნის ისტორიოგრაფიულ ნაწილში) ვფიქრობთ, ეს უხერხულობა არც კი შეიქმნებოდა ალ. ნამორაძეს საფრანგეთის არქივებში მუშაობის საშუალება, რომ მისცემოდა, მაშინ მას ხელთ ექნებოდა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალა და ისტორიოგრაფიის საკითხის ასეთი გაფანტვაც არ მოუწევდა. რადგან ეს პრინციპი დარღვეულია ჯობია 1692 წლის ედიქტზე საუბარი დაგვეწყო წესისამებრ საკითხის ისტორიოგრაფიით. ალ. ნამორაძე ზედმიწევნით კარგად იცნობს საკითხის შესახებ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, იძლევა მათ

საფუძვლიან და ღრმა ანალიზს და როგორც წესი, ცდილობს გამოთქვას საკუთარი მოსაზრება წამოჭრილი თემის ირგვლივ. ყოველივე მნიშვნელოვანს ხდის მის მსჯელობას. ალ. ნამორაძემ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხის გარშემო გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება და მიუთითა ამის გამომწვევ მიზეზზე. „აზრთა განსხვავება ედიქტის შეფასებაში გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, თუ ვის როგორ წარმოუდგენია საფრანგეთის მუნიციპალური საარჩევნო უფლებების მდგომარეობა ედიქტამდე" (85, გვ. 151). რუსი ისტორიკოსი პ. არდაშევი საეჭვოდ თვლის 1692 წლის ედიქტის კავშირს ადმინისტრაციულ მეურვეობასთან. სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე დგას ფრანგი ისტორიკოსი ტოკვილი. იგი არდაშევისაგან განსხვავებით არათუ სცნობს ედიქტის კავშირს ადმინისტრაციულ მეურვეობასთან, არამედ ეს წელი მიაჩნია მის დასაწყისად. სავსებით ვიზიარებთ ალ. ნამორაძის მოსაზრებას, რომ მეურვეობის ისტორიის აქედან დაწყება დაგვიანებული უნდა იყოს. სულ სხვაგვარად აშუქებს საკითხს ფრანგი ისტორიკოსი რენუარი. იგი ცოტათი შელამაზებულ ვითარებას გვიხატავს და ირწმუნება, რომ თითქოს 1692 წლის ედიქტს სრულიადაც არ შეულახავს მუნიციპალური უფლებები და მისთვის არანაირი ზიანი არ მიუყენებია. ამას ფრანგი ისტორიკოსი სამეფო კარის პატრონობას უკავშირებს, რაც, შესაძლოა, ცოტა გულუბრყვილოდ ეღერს. საინტერესოა ფრანგი ისტორიკოსის დარსეტ დე ლა შავანის თვალსაზრისი. იგი მიიჩნევს, რომ 1692 წლის ედიქტს, ერთი მხრივ, პოლიტიკური, ხოლო მეორე მხრივ ფისკალური ხასიათი ჰქონდა (85, გვ. 149-150). ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ 1692 წლის ედიქტის შეფასებისას დარსეტ დე ლა შავანს კომპრომისული პოზიცია უჭირავს. როგორც ჩანს ალ. ნამორაძის საკითხისადმი ასეთი მიდგომა არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფრანგი ისტორიკოსის მსჯელობა, ჩვენი აზრით, შეიცავს გარკვეულ რაციონალურ მარცვალს, რომლის გვერდის ავლა, ალბათ მიზანშეწონილი არ იქნებოდა. შესაძლოა, დარსეტ დე ლა შავანი ცოტათი აჭარბებდა 1692 წლის ედიქტის პოლიტიკურ ხასიათს, მაგრამ ამავე დროს მისი პოლიტიკური დატვირთვის კატეგორიული ტონით დაგმობა, სრული უგულველყოფა, ცხადია, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. საფიქრალია, რომ ალ. ნამორაძე ამ შემთხვევაში მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა და თვალს ხუჭავს ამ ედიქტის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, ამიტომ კონკრეტულად ამ პუნქტში დარსეტ დე ლა შავანთან პოლემიკას, შესაძლოა, დამაჯერებლობა აკლდეს (85. გვ. 149-150).

წინააღმდეგ პ. არდაშევისა 1692 წლის ედიქტს პირდაპირი და უშუალო კავშირი ჰქონდა ადმინისტრაციულ მეურვეობასთან, მხოლოდ ამიერიდან ამ კავშირს ფისკალური სახე ეძლეოდა. ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს, რომ ცენტრალური ხელისუფლება სრულყოფილად ფლობდა დემაგოგიის ხელოვნებას და ქალაქებისადმი მზრუნველი მამის პოზას იჭერდა. თუ საკითხს კარგად ჩავუკვირდებით დავინახავთ, რომ ეს ასე არ იყო. მოვუსმინოთ ალ. ნამორაძეს: „ნამდვილად კი ეს ედიქტი, რასაკვირველია, არ იყო ნაკარნახევი, არც ადმინისტრაციული მეურვეობის გაუმჯობესების სურვილით და არც იმ განზრახვით, რომ ახალი ძალა მიემატებინა სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტისათვის" (85, გვ. 112-113).

ალ. ნამორაძე დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ 1692 წლის ედიქტი ფაქტობრივად საფუძვლად დაედო ქალაქებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას თითქმის მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში (85, გვ. 120-135). მისი აზრით, 1692 წლიდან იწყება ადმინისტრაციული მეურვეობის ისტორიაში ახალი ეტაპი, როდესაც ადმინისტრაციული მეურვეობა ფისკალურ ხასიათს იღებს, რაც ნიშანდობლივია აბსოლუტიზმის დეგრადაციის, დაქვეითების ხანისათვის. საინტერესოა, რომ მთავრობის ფისკალური პოლიტიკის შეფასებისას კვლავ დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციებზე აღმოჩნდნენ პ. არდაშევი და ალ. ნამორაძე. მონარქიის მოტრფიალე არდაშევი ცოტათი შელამაზებულად ჰვრეტს მთავრობის ფისკალურ პოლიტიკას და ცდილობს ის აზრი გაატაროს, რომ თითქოს მას საქალაქო მმართველობისადმი არავითარი ზიანი არ მოუტანია (148, გვ. 514). ალ. ნამორაძე უამრავ ფაქტებზე დაყრდნობით ნათელყოფს იმ ნეგატიურ შედეგებს რომელიც მოჰყვა მთავრობის ფისკალურ პოლიტიკას და რომლის მიფუჩეჩებასაც ასე ცდილობს მისი წინამორბედი ისტორიკოსი. ალ. ნამორაძე ამტკიცებს, რომ „ეს იყო საუკეთესო საშუალება ქალაქების ქონების საექსპლოატაციოდ" (85, გვ. 131-133).

პ. არდაშევისგან განსხვავებით, ალ. ნამორაძე თვლის, რომ 1692 წლის ედიქტი მოასწავებდა ახალ ეტაპს ადმინისტრაციული მეურვეობის ისტორიაში. ამით დამთავრდა მეურვეობის განვითარების პროგრესული ხანა ანუ ალ. ნამორაძის სიტყვებით თუ ვიტყვით როდესაც მეურვეობა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, რაც სავსებით შეესატყვისებოდა აბსოლუტიზმის აღმავალი ხაზით განვითარებას, როდესაც ის ქვეყნის ცენტრალიზაციის სამსახურში იდგა და იწყება მეორე პერიოდი როდესაც მფარველობა ეკონომიკურ ხასიათს იღებს, რაც აბსოლუტიზმის დაკნინების ლოგიკური შედეგია (85, გვ. 131-133).

მიუხედავად, უდავო ღირსებებისა 1692 წლის 27 აგვისტოს დეკრეტისადმი ალ. ნამორაძის დამოკიდებულებას გააჩნია მცირე ნაკლი. 1692 წლის ედიქტის პოლიტიკური მნიშვნელობის აბსოლუტური უგულვებელყოფა მართებული არ იქნებოდა (85, გვ. 154-156). ჩვენი აზრით, აქ თავი იჩინა იმ სწორხაზოვნებამ და სქემატიზმმა, რომლის თაობაზეც წინდახედულად გვაფრთხილებდა ნ. დუბროვსკი. საფიქრებელია, რომ მას ამგვარი შიში სწორედ ნაშრომის ამ მონაკვეთის გაცნობის შემდეგ შეექმნა.

მეხუთე თავში ალ. ნამორაძე სვამს კიდევ ერთ პრინციპულ საკითხს, რომლის გვერდის ავლა მართებული არ იქნებოდა. როდემდის იარსება ფართო დემოკრატიულ საწყისებზე აგებულმა მუნიციპალურმა თვითმმართვე-

ლობამ? ამ პრობლემის დასმა მეხუთე თავში, სადაც განხილული უნდა იყოს ფისკალური შინაარსის მეურვეობა, საკამათოდ მიგვაჩნია. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ამ საკითხზე საუბარი წიგნის ისტორიოგრაფიულ ნაწილში, ანდაც იქ, სადაც განხილულია ქალაქების ნივთიერი მდგომარეობა. როგორც ალ. ნამორაძე აღნიშნავს ამ პრობლემის ირგვლივ ისტორიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი და მათ შორის ალ. ნამორაძის ხელმძღვანელი კიეველი ისტორიკოსი პ. არდაშევი, ამტკიცებდნენ, რომ მუნიციპალური საარჩევნო უფლება საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე არსებობდაო. ამ ბანაკის წარმომადგენლებს პირობით ოპტიმისტები შეიძლება ვუწოდოთ. მეორენი ფიქრობდნენ, რომ ქალაქების თვითმმართველობას ბოლო მოეღო 1771 წელს (სიმართლე გითხრათ ამ ორ მოსაზრებას შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ვხედავთ), მესამენი საფრანგეთის ქალაქების თვითმმართველობის მოსპობას 1692 წლის ედიქტს უკავშირებენ. ამ ბანაკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრანგი ისტორიკოსი ალექსის დე ტოკვილია. ალ. ნამორაძე თითოეულ ამ მოსაზრებას კრიტიკულად უდგება და წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს აზრი გამოთქვას წამოჭრილ პრობლემებზე. თავისი წინამორბედი ისტორიკოსისაგან განსხვავებით იგი ასკვნის, რომ საფრანგეთში საქალაქო თვითმმართველობას წერტილი დაესვა XVII საუკუნის მიწურულს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ორი კანონი: 1683 წლის რეგლამენტაცია, როდესაც ფაქტობრივად (დე ფაქტო) მოხდა მუნიციპალური თვითმმართველობის ლიკვიდაცია და 1692 წლის აგვისტოს ედიქტი როდესაც მოხდა ამ ფაქტის იურიდიული (დე იურე) კონსტატაცია (85, გვ. 136-137) ეს იყო ახალი სიტყვა საგნის ლიტერატურაში.

ჩვენი აზრით, ნაშრომის მეხუთე თავი ფაქტობრივად ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და საკუთრივ 1683 წლის რეგლამენტის და 1692 წლის ედიქტის შინაარსი და მისი ღრმა ანალიზი ჩრდილშია მოქცეული.

მონოგრაფიას თან ერთვის დასკვნა და რეზიუმე რუსულ და ფრანგულ ენაზე (85, გვ. 159-170; გვ. 171-189 და. გვ. 189-205). დასკვნაში პატივცემული მკვლევარი აჯამებს ჩატარებული მუშაობის შედეგებს და გვამცნობს მიღებულ დასკვნებს. ალ. ნამორაძის მიერ გამოტანილი დასკვნები ფრიად საგულისხმოა და, უდავოდ, სერიოზული მიღწევაა მის წინამორბედ ისტორიკოსებთან შედარებით და ზოგიერთ შემთხვევაში ახალ სიტყვად გვეელინება საკითხის ისტორიოგრაფიაში. შეიძლება დავასკვნათ რა ნაკლი შეინიშნება და რა ღირსებები გააჩნია ალ. ნამორაძის ამ ნაშრომს. 1. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძე მოკლებული იყო საფრანგეთის არქივებში მუშაობის საშუალებას, მაგრამ რა მასალებიც კი მოიძია მაქსიმალურად იყენებს, რაც მისი წიგნის ერთ-ერთი ღირსებაა. 2. ალ. ნამორაძის გამოკვლევის ორიგინალობის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, წყაროთმცოდნეობის სფეროში უნდა ვეძიოთ. ალ. ნამორაძემ შესამჩნევად გააფართოვა საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. საკანონმდებლო აქტების გვერდით საგანგებო ყურადღება დაუთმო ეპოქის ადმინისტრაციულ კორესპონდენციებს, რომელიც, მისი აზრით, უფრო ღრმად ჩაგვახედებს არსებულ სინამდვილეში და რომელსაც მისი წინამორბედი ისტორიკოსები ან დუმილით უვლიდნენ გვერდს ან სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. აღსანიშნავია, რომ პირველწყაროებს ალ. ნამორაძე სწორედ ამ კუთხით მიუდგა უკვე თავის სადიპლომო ნაშრომში, რაც მისი ხელმძღვანელის პროფ. პ. არდაშევის ერთ-ერთ სერიოზულ დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ. გარდა წმინდა მეცნიერული ღირებულებისა ამგვარ მიდგომას, ვფიქრობთ, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც ენიჭებოდა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ პრაქტიკულად, არაპირდაპირი გზით, ეს არის კრიტიკა მისი თანამედროვე სოციალისტური სისტემისა, სადაც დაცილებამ ოფიციალურ რეალობას, საკანონმდებლო აქტებს და ფაქტობრივად არსებულ სინამდვილეს შორის გაცილებით უფრო გიგანტური სახე მიიღო, ვიდრე ეს იყო საფრანგეთში XVII-XVIII საუკუნის მიჯნაზე. 3. მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძის კონცეფცია ადმინისტრაციული მეურვეობის მნიშვნელობის შესახებ გაცილებით უფრო ადეკვატურად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, ვიდრე მისი დიდი წინამორბედების ტოკვილისა და არდაშევის პოზიცია, რომლებიც ცოტათი შელამაზებულად ჰვრეტდნენ ადმინისტრაციული მეურვეობის მნიშვნელობას და ამით ისეთი შთაბეჭდილება სურდათ შეექმნათ, რომ საფრანგეთის რევოლუციის თავიდან აცილება შეიძლებოდა და ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის რევოლუცია სულაც არ იყო აუცილებელი. 4. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძემ სრულიად განსხვავებულად, ახლებურად დასვა საკითხი ადმინისტრაციული მეურვეობის შინაარსის შესახებ. მეურვეობა მას ესმის, არა როგორც კომუნების მმართველობის მოწესრიგება და მათი ნამდვილი ინტერესების უზრუნველყოფა, როგორც ამას ამტკიცებენ არდაშევი და რენუარი, არამედ მეურვეობა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს თვით მთავრობის ინტერესებს და მისი ძალაუფლების განმტკიცებას ქალაქების მმართველობის საკითხში. ერთი სიტყვით, ადმინისტრაციული მეურვეობა არ ატარებდა ფილანტროპულ ხასიათს, რომელიც დღენიადაგ ქალაქების კეთილდღეობაზე ზრუნავდა და როგორც დამაჯერებლად უჩვენა ალ. ნამორაძემ ამ შემთხვევაში ძირითადად საკუთარი ფისკალური ინტერესები ამოძრავებდა. 5. ალ. ნამორაძემ სცადა გამოურკვია ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამი და თავისი სიტყვა თქვა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. მან დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ადმინისტრაციული მეურვეობა „ძველი რეჟიმის" კრეატურა არაა, როგორც ამას ტოკვილი და არდაშევი ამტკიცებდა. 6.ალ. ნამორაძის დამსახურებად გვევლინება ადმინისტრაციული მეურნეობის პერიოდიზაციის განსაზღვრა, რომელიც მის წინამორბედ ისტორიკოსებს, ფაქტობრივად არც კი უცდიათ. ალ. ნამორაძის

შეხედულებით ადმინისტრაციული მეურვეობის ისტორიაში პირობით ორი პერიოდი შეიძლება გამოვყოთ: I. XIII საუკუნის მიწურული - XVII საუკუნის მიწურული, როდესაც ადმინისტრაციული მეურვეობა უპირატესად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ისტორიული განვითარების ამ მონაკვეთზე იგი პროგრესულ როლს ასრულებდა, რაც, ცხადია, სავსებით შეესატყვისებოდა აბსოლუტიზმის აღმავალი ხაზით განვითარებას, როდესაც ფრანგული მონარქია ცდილობს უზრუნველყოს სახელმწიფოს ერთიანობა ცენტრალიზაციის პროცესი. II. XVII საუკუნის მიწურულიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, როდესაც მეურნეობა უმთავრესად ეკონომიკურ, ფისკალურ ხასიათს იღებს, რაც აბსოლუტური სახელმწიფოს დაბლა დაშვების ლოგიკური შედეგი იყო. ამ ორ პერიოდს შორის წყალგამყოფად ალ. ნამორაძეს მიაჩნდა 1692 წლის აგვისტოს ედიქტი. მისი ღრმა რწმენით, მეურვეობამ ამიერიდან მკვეთრად გამოკვეთილი ფისკალური შინაარსი მიიღო: სავსებით მართებულია, რომ ალ. ნამორაძე ადმინისტრაციული მეურვეობის ევოლუციის ფრანგული აბსოლუტიზმის განვითარებასთან მჭიდრო კონტაქტში განიხილავს. 7. ალ. ნამორაძემ თავისი საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ქალაქების თვითმმართველობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. იგი არ იზიარებს ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს თითქოს ქალაქების თვითმმართველობას საფრანგეთში რევოლუციამდე ეარსებოს. ფრანგული პირველწყაროების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე ალ. ნამორაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ საფრანგეთის ქალაქების თვითმმართველობისას საბოლოო წერტილი დაუსვა 1683 წლის რეგლამენტმა. 8. ალ. ნამორაძის წინამორბედი ისტორიკოსები 1683 წლის რეგლამენტს და 1692 წლის ედიქტს არ განიხილავენ როგორც მნიშვნელოვან ტეხილს, მიჯნას, ადმინისტრაციული მეურვეობის ევოლუციის საკითხში. ქართველი მკვლევარის დამსახურება ზუსტად ისაა, რომ მან ეს ორი კანონი სწორედ ამ რაკურსით წარმოაჩინა. 9. ალ. ნამორაძის წიგნის ერთ-ერთი სერიოზული ღირსებაა ის, რომ მან სცადა ჩაეხედა ლუი XIV მმართველობის ბრწყინვალე ფასადს, შიგნით და კარგად დაენახა ის რეალური სურათი რომელიც სინამდვილეში იყო. ცენტრალური მთავრობის სიტყვა და საქმე ხშირად არ შეესაბამებოდა ერთმანეთს. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად შეიძლება ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ალ. ნამორაძემ შესძლო ლუი XIV მმართველობის ობიექტურად წარმოჩენა, რაც ძალიან მოეწონა აკად. ე. ტარლეს.

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ნაშრომს გააჩნია ზოგიერთი მცირე ხარვეზი, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და გამოიწვევს ალ. ნამორაძის მონოგრაფიის აპოლოგიურ შეფასებას. 1. რადგან ალ. ნამორაძემ ვერ შესძლო საფრანგეთის პროვინციულ არქივებში მუშაობა, ამიტომ ისტორიოგრაფიული საკითხები წიგნში სხვადასხვა ადგილას არის გაფანტული, რაც არღვევს ნაშრომის მთლიან კომპოზიციას. 2. გამორიცხულად არ მიგვაჩნია ადმინისტრაციული მეურვეობის ქრონოლოგიური ჩარჩოების შემდგომი სრულყოფა, დაზუსტება. აქ გვინდა ავღნიშნოთ რომ ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამის ძიება XIII საუკუნეში ცოტათი ნაადრევი ხომ არ იქნება? ადმინისტრაციული მეურვეობა ახალი დროის კრეატურაა. იგი წარმოიშვა, ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა ფრანგულ აბსოლუტიზმთან ერთად და, ჩვენი ღრმა რწმენით, მისი საწყისები XV საუკუნის მიწურულს, ლუი XI მმართველობის ხანაში უნდა ვეძიოთ. 3. ჩვენი აზრით, ნაშრომი კიდევ უფრო მეტს მოიგებდა თუ შესავალი და პირველი თავი გაერთიანდებოდა. ვფიქრობთ, სასურველი იყო წყაროების კონკრეტულად და ვრცლად განხილვა. (მათი ზოგადი დახასიათება ძალიან კარგია). ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი შედარებით ზოგად ხასიათს ატარებს და ცოტა კონკრეტულობა აკლია. ეს საშუალებას მოგვცემდა თავიდან აგვეცილებინა გამეორებები, ტავტოლოგიები, რომელიც წიგნში ხშირად გვხვდება. 4. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა ზოგიერთი პრინციპული საკითხის (კომუნების და სამეფო ხელისუფლების ურთიერთობა, ლუი XI და ქალაქები) უფრო სიღრმისეულად, ადეკვატურად გაშუქება. პროფ. ალ. ნამორაძის ნაშრომი, რომელიც XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული შენაძენია, არა ნაკლები მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო საფრანგეთის ისტორიის ისტორიოგრაფიისათვის, ეს სოლიდური გამოკვლევა ფაქტობრივად აგვირგვინებს XI-XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპის ქალაქის ისტორიას და მის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კვლევის ხანგრძლივ პროცესს, რომელმაც ბევრად განსაზღვრა ალ. ნამორაძის ორიგინალური წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში. ვფიქრობთ, სასურველი იყო მას ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა წინ. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ მას ჩაფიქრებული ჰქონდა ქართული ქალაქების ისტორიის შესწავლა, მაგრამ რატომღაც ამ საინტერესო განზრახვის სისრულეში მოყვანა არც კი უცდია.

თავი III

ალ. ნამორაძის შრომები საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ საკითხზე

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ალ. ნამორაძის კიდევ ერთი დამსახურებაა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის (სათემო მიწების განაწილების) შესწავლა. ფაქტობრივად, ეს იყო მეორე დიდი პრობლემა ადმინისტრაციული მეურვეობის შემდეგ, რომელსაც სერიოზულად ჩაუღრმავდა ალ. ნამორაძე. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთში აგრარული საკითხი იყო ყველაზე უფრო მწვავე და აქტუალური. ეს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილს. მათი განწყობილება მშვენივრად გამოხატა რუსმა ისტორიკოსმა კ.კაველინმა „რუსეთის მომავალი, მისი შინაგანი სიმშვიდე, მისი სიმდიდრე, განათლება, თავისუფლება, პროგრესი, საშინაო და საგარეო პოლიტიკური ძლიერება — ყველაფერი ეს დამოკიდებულია აგრარული საკითხის სწორ და სამართლიან გადაწყვეტაზე, რომელიც ჩვენთან (რუსეთში - მ.კ.) პირველ ადგილზე დგას" (256, გვ. 439). ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ რუსი ისტორიკოსები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ აგრარული საკითხის მიმართ (ნ. კარეევი. ივ. ლუჩიცკი, მ. კოვალევსკი, პ. ვინოგრადოვი, ა.სავინი). თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ პრობლემით დაინტერესება მემკვიდრეობით გადაეცემა რუსულ, საბჭოთა ისტორიოგრაფიას (ნ. ლუკინი, ს. სკაჩკინი, ა.ადო, ა. ლიუბლინსკაია და სხვ.), რაც იმით იყო განპირობებული, რომ აგრარულ საკითხს თავის სიმწვავე არც საბჭოთა ეპოქაში დაუკარგავს.

ალ. ნამორაძის დაინტერესება საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხით საესებით კანონზომიერი იყო და მნიშვნელოვანწილად ორი ფაქტორითაა განპირობებული: 1. რუსული სკოლის გავლენა, 2. 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში, არსებული რეალური სინამდვილე, როდესაც აგრარული საკითხი გადაწყვეტილი იქნა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის მიერ ძალისმიერი მეთოდებით, კოლექტივიზაციის დროს. ალ. ნამორაძე საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხით იმიტომ დაინტერესდა, რომ ეძებდა მისი გადაჭრის რეალურ გზებს საქართველოში. ამიტომ ალ. ნამორაძის მიერ თემის არჩევანი არა მარტო წმინდა მეცნიერული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც ფრიად აქტუალურად მიგვაჩნია. საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხის ისტორიის შესწავლას საქართველოში თავისი ტრადიცია აქვს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინეს 1905-07 წლების რევოლუციის დროს, როდესაც აგრარული საკითხის გადაწყვეტა ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნა იყო. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ 1906 წელს ქარუმიძის მიერ თარგმნილ ნაშრომს „გლეხთა საკითხი საფრანგეთში" (26, გვ. 40). საესებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხის შესწავლას მეცნიერული კვლევის სახე მიეცა. ამ მხრივ საყურადღებოა პროფ. გრ. ნათაძის ნაშრომი „რამდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა" (504, გვ. 156-177). ისინი ალ. ნამორაძის წინამორბედად გვეელინებიან. ალ. ნამორაძის დამსახურება ისაა, რომ მან ამ თემას უფრო მეტი სიღრმე მისცა. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ალ. ნამორაძე გრ. ნათაძესთან ერთად, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემის მეცნიერული შესწავლის და კვლევის მესაძირკვლეა.

საინტერესოა აღინიშნოს რომ ალ. ნამორაძის შრომებმა ამ საკითხზე არა მარტო ქართველი ისტორიკოსების ყურადღება მიიპყრო, არამედ მას გამოეხმაურა რუსული, საბჭოთა ისტორიოგრაფია. აქ მხედველობაშია მისაღები ცნობილი ისტორიკოსის ო. ვაინშტაინის დადებითი შეფასება. იგი თავის ნაშრომში „საფრანგეთის რევოლუციის შესწავლა საბჭოთა კავშირში" ხაზს უსვამს რევოლუციის აგრარული პრობლემის გაშუქების საქმეში ქართველი ისტორიკოსების, პირველ რიგში კი პროფ. ალ. ნამორაძის და მისი მოწაფის მ. ეფრემიძის წვლილს (177, გვ. 491 და 499-501).

ამ თემის კვლევის დროს კიდევ ერთხელ იჩინა თავი იმ კეთილისმყოფელმა გავლენამ, რომელიც მოახდინა ალ. ნამორაძის მეცნიერულ მოღვაწეობაზე 1912 წლის სამეცნიერო მივლინებამ საფრანგეთში. აქ ის გაეცნო არა მარტო მუნიციპალური წყობილების პირველწყაროებს, არამედ „ჩივილთა (საწადელთა) რეეულებს". ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თუ არა 1912 წლის სამეცნიერო მივლინება საფრანგეთში, არ გვეყოლებოდა ისეთი თვითმყოფადი, საკუთარი ხელწერის მქონე ისტორიკოსი, როგორიც იყო ბ-ნი ალექსანდრე ნამორაძე.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა ისტორიკოსი ძალიან გაიტაცა საფრანგეთის ისტორიის ორმა პრობლემამ: ადმინისტრაციულმა მეურვეობამ და საფრანგეთის რევოლუციის აგრარულმა საკითხმა. პ. არდაშევის გავლენამ, ეტყობა მაინც თავისი ჰქნა და საბოლოოდ ალ. ნამორაძემ ყურადღება ადმინისტრაციულ მეურვეობაზე შეაჩერა, ხოლო რევოლუციის აგრარულმა პრობლემამ ცოტა ხნით მეორე პლანზე გადაინაცვლა.

ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხიდან ალ. ნამორაძემ გამოიყო მეტად მტკივნეული და ფრიად აქტუალური თემა სათემო მიწების განაწილება. ფრანგი ისტორიკოსის ანრი სეს აზრით „ძველი საფრანგეთის საზოგადოებრივ ეკონომიკაში სათემო მიწები უაღრესად დიდ როლს თამაშობდნენ". გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ივ. ლუჩიცკის თანახმად „სათემო მიწების საკითხი რევოლუციამდე (ძველ

წყობილების) საფრანგეთისათვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა" (298, გვ. 119). ამ მიმართულებით ალ. ნამორაძემ საკმაოდ სოლიდური შრომა გასწია და აღნიშნულ საკითხს ექვსი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა, რომელიც პოლემისტური ხასიათისაა და მიმართულია ს. კუნიისკის კონცეფციის წინააღმდეგ; შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მათი შემდეგი თანამიმდევრობით დალაგება: 1. ლეგისლატივი* და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს, 2. აველინის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების შესახებ, წარდგენილი ლეგისლატივაში 1792 წელს, 3. შარლ დანტონის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების გაყოფის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში, 4. ფაბრის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ საფრანგეთში, წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 წელს, 5. მარენის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში (წარდგენილი 1793 წელს ეროვნულ კონვენტში), 6. სუეს მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში (წარდგენილი 1793 წელს ეროვნულ კონვენტში) (4ა, გვ.164).

ეს შრომები მკითხველთა ფართო წრისათვის თითქმის უცნობია და მას მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობდა. საქმე ისაა, რომ ამ ექვსი შრომიდან გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ორი „ლეგისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს" და „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ. წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში" მართალია, ალ. ნამორაძეს ცალკეულმა შრომებმა მიიპყრეს სპეციალისტთა ყურადღება, მაგრამ მისი წვლილი აგრარული საკითხის (სათემო მიწების განაწილება) გაშუქების საქმეში სიღრმისეულად შესწავლილი არ ყოფილა (677, 676. ფ.1 674, ფ.1, 712, 177, 452; გვ. 163-164; 478; გვ.6; 476).

რა თქმა უნდა, ეს ექვსი ნაშრომი არსებითად წარმოადგენს იმ სოლიდური მონოგრაფიის ცალკეულ მონაკვეთებს, რომლის დაწერაც ჩაფიქრებული ჰქონდა ალ. ნამორაძეს სათემო მიწების განაწილების შესახებ საფრანგეთში XVIII საუკუნის მიწურულს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობის დასრულება მან ვეღარ მოასწრო და მისი ექვსი ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად რჩება. ამიტომ მათი სრული სახით გამოქვეყნება სასურველია. ვფიქრობთ, ალ. ნამორაძის დაინტერესება საფრანგეთის რევოლუციის აგრარული პრობლემით, კონკრეტულად კი სათემო მიწების განაწილებით ამ ექვსი ნაშრომით არ ამოიწურება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას კიდევ ჰქონდა რამდენიმე საინტერესო ჩანაფიქრი, რომლის ბოლომდე მიყვანაც, როგორც ჩანს, ვეღარ მოასწრო. უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძეს სათემო მიწების განაწილების საკითხის შესწავლა დაუსრულებელი დარჩა, ხოლო დაუმთავრებელ ნაშრომზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, ძნელია.

1936 წლის 15 მარტს ალ. ნამორაძემ კათედრის ღია სხდომაზე წაიკითხა მოხსენება აქტუალურ თემაზე. „ეროვნული კონვენტი და სათემო მიწები" ეს გამოსვლა თავისთავად საგულისხმოა და საშუალებას გვაძლევს ორი საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ: 1. სათემო მიწების განაწილების პრობლემის შესწავლა ალ. ნამორაძეს დაუწყია ჯერ კიდევ ომამდე, 30-იანი წლების შუა ხანებში, ადმინისტრაციულ მეურვეობაზე მუშაობის დამთავრებისთანავე და საქართველოში სრულ კოლექტივიზაციაზე გადასვლის პერიოდში. ამ საკითხის კვლევას მან თითქმის მთელი 40-იანი წლები მოანდომა და დაწერა ექვსი საინტერესო გამოკვლევა ამ თემაზე. 2. როგორც ჩანს, ალ. ნამორაძე საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხით, კონკრეტულად კი გლეხობის დიფერენციაციით, ცნობილი ისტორიკოსის ს. სკაჭკინის პარალელურად დაინტერესებულა (614, გვ. 316-341; 562, გვ. 22-43).

სათემო მიწების შესახებ ალ. ნამორაძის გამოკვლევების ერთ-ერთი სერიოზული ღირსება, რომელიც უკვე ამ მოხსენებაში გამოიკვეთა, ეს არის პირველწყაროების საფუძვლიანი ცოდნა და ღრმა გააზრება. იგი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ფრანგულ პირველწყაროებს ეყრდნობა. ეს არის ჟორჟ ბურჟენის მიერ შედგენილი სპეციალური დოკუმენტების კრებული 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესახებ. „ჩივილის (საწადელის) რვეულები", შარლ შმიტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები და სათანადო ადგილები მრავალტომეულიდან „საპარლამენტო არქივი". ვფიქრობთ, სასარგებლო იქნებოდა სანიაკის წიგნში მოთავსებული დოკუმენტების უფრო ფართოდ გამოყენება (368).

შეიძლება ითქვას რომ, ალ. ნამორაძის მოხსენებამ უმალ მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა პროფ. გრ. ნათაძის გამოხმაურება, სადაც ის ხაზს უსვამს თემის აქტუალობას და აღნიშნავს, რომ „ავტორი სვამს პრინციპულ საკითხებს გლეხობის რომელი ფენა იყო დაინტერესებული ყველაზე უფრო მეტად სათემო მიწების გაყოფით და გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ გადაწყვიტა კონვენტმა ეს საკითხი", ჩვენ მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძემ არა მარტო დასვა საკითხები, რაც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია, არამედ შეეცადა თუ არ გადაეჭრა, გადაწყვეტის გზები მაინც დაესახა (677).

ალ. ნამორაძემ თავის გამოსვლაში 1936 წლის 15 მარტს ჩამოაყალიბა ის ძირითადი დებულებები, რომელიც შემდგომში განავითარა თავის ექვს ნაშრომში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის გლეხობის დიფერენციაციის საკითხი და რომელი ფენის სასარგებლოდ გადაწყდა საფრანგეთის

* საკანონმდებლო კრება

რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილება, ეს ორი პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ურთიერთთან. თუ გვინდა ნათელი მოვფინოთ გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ გადაწყვიტა რევოლუციამ სათემო მიწების განაწილება, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ გლეხთა დიფერენციაცია, ფაქტობრივად თავის მოხსენებაში ალ. ნამორაძემ დასახა ის მაგისტრალური ხაზი, რომელსაც მისდევდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის (სათემო მიწების განაწილების) შესწავლის დროს. ეს მოსაზრებები მას თავის ექვს ნაშრომში კიდევ უფრო დაკონკრეტებული აქვს. ამ კუთხით მისი მოხსენება, უდავოდ საგულისხმოა. ალ. ნამორაძის გამოსვლა საინტერესოა და, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სათემო მიწების განაწილების საკითხისადმი მის მეცნიერულ მიდგომას.

გლეხთა დიფერენციაციის საკითხი საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის წინ თითქმის დღემდე რჩება ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთულ და სადისკუსიო საკითხად. ამიტომ ალ. ნამორაძის შეჭიდება ამ პრობლემისადმი მრავლისმეტყველი უნდა იყოს. მისასალმებელია, რომ იგი შეეცადა თავისი სიტყვა ეთქვა ამ რთული თემის ირგვლივ. დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთის რევოლუციის წინ გლეხობა წარმოადგენდა ერთგვაროვან მასას. ამ თეზისის ერთ-ერთი ფუძემდებელია ფრანგი ისტორიკოსი გრაფი ალექსის დე ტოკვილი. ეს აზრი აქვს მას გატარებული თავის წიგნში „ძველი რეჟიმი და რევოლუცია" (397). ამ ხაზის გამგრძელებლად მოგვევლინა რუსი ისტორიკოსი ივ. ლუჩიცკი, რომელიც ეჭვისთვალით უყურებს რევოლუციამდელ საფრანგეთში გლეხობის დიფერენციაციას (298, გვ. 13-15). ს. სკაჯკინის აზრით „ეს იყო რუსი ისტორიკოსის კონცეფციის აჭილევსის ქუსლი" (615, გვ.112). ივ. ლუჩიცკის კონცეფციის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი ალ. ნამორაძეც. უნდა ვიფიქროთ, რომ მას მოხსენებაში ეს საკითხი უფრო არგუმენტირებულად და გაშლილად ექნებოდა წარმოჩენილი, ხოლო კონსპექტის მიხედვით მასზე მსჯელობა ძნელია (656, გვ.2).

აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში ახალი სიტყვა თქვეს რუსმა ისტორიკოსებმა ნ. კარეევმა და მ. კოვალევსკიმ. მათ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარეს მეორე მიმდინარეობას ისტორიოგრაფიაში და დამაჯერებლად უჩვენეს თუ რაოდენ შორს იყო წასული რევოლუციის წინ გლეხთა დიფერენციაცია. ჯერ კიდევ ნ. კარეევმა ხაზგასმით მიუთითა, რომ „რევოლუციის წინ საფრანგეთის გლეხობა მკაფიოდ გაიყო ორ კლასად" ერთი აღმოჩნდა „სოფლის ბურჟუაზიის გვერდით, ხოლო მეორე შეუერთდა ღარიბებს" (262, გვ. 104, 186). უფრო მეტიც, როგორც ნ. კარეევის ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფი ე. ზოლოტარევი ფიქრობს. მან საფრანგეთის გლეხობა გაჰყო ოთხ ჯგუფად: მდიდარი გლეხობა, საშუალო გლეხობა, ღარიბი გლეხობა და უღარიბესი გლეხობა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ორი ბოლო ჯგუფის ყოფისა და ცხოვრების გაშუქებას (262; 561; 627). სოფლად არსებული სოციალური დიფერენციაცია დამაჯერებლად ცხადყო მეორე შესანიშნავმა რუსმა ისტორიკოსმა მ. კოვალევსკიმ. „მიწათმოქმედებაში ახალი წესრიგის დამყარებას (იგულისხმება აგრარული გადატრიალება – მ.კ.) თან ახლდა გლეხთა შორის კონტრასტების წარმოშობა. ერთი მხრივ, ყალიბდებოდა მდიდარი ფენა ფერმერები, ხოლო მეორე მხრივ ღარიბები – მოჯამაგირე-პროლეტარები. შესაძლოა, მ. კოვალევსკი ცოტათი აჭარბებდეს საფრანგეთის სოფელში კაპიტალისტური განვითარების ტენდენციებს, მაგრამ დამაჯერებლად ცხადყოფს გლეხობის დიფერენციაციას და ფერმერული მეურნეობის შექმნაში ხედავდა საფრანგეთის სოფლის პროგრესის მთავარ საწინდარს (266, 265; 181; გვ. 201-203; 246; გვ. 52-(614(656). ეს ხაზი რუსულ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განაგრძო ს. სკაჯკინმა. ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს ალ. ნამორაძის დასკვნა თითქოს „გლეხობის მდგომარეობა საფრანგეთის რევოლუციის წინ არ არის საკმაოდ გარკვეული საისტორიო ლიტერატურაში". ამ მიმართულებით რომ ბევრი იყო გამოსარკვევი, ამაში ალ.ნამორაძე, რა თქმა უნდა, ცამდის მართალია, მაგრამ ცხადია, ვერც იმას ვერ ვიტყვით, რომ მის წინამორბედ ისტორიკოსებს არაფერი გაუკეთებიათ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა რომელ ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ ალ. ნამორაძე-ლუჩიცკის თუ კარეევ-კოვალევსკის? მიგვაჩნია, რომ იგი ამ მეორე ბანაკისაკენ უფრო უნდა იხრებოდეს, რადგან ფიქრობს, რომ რევოლუციის წინ მიმდინარეობდა გლეხთა დიფერენციაციის პროცესი. „როგორც სოფლად გლეხებს შორის, ისე თვით კონვენტში და მის სამიწათმოქმედო კომიტეტში, რომელსაც უნდა შეესწავლა სათემო მიწების საკითხი და ამავე საკითხის შესახებ შეემუშავებინა დეკრეტის სათანადო პროექტი. თანდათანობით მწვავდება ბრძოლა სათემო. მიწების გამო. ეს ბრძოლა მაჩვენებელია იმის, რომ ის დროისათვის საკმაოდ დიფერენციული ყოფილა საფრანგეთის გლეხობა" (656, ფ.2). „ალ. ნამორაძეს არასაკმარისად მიაჩნდა გლეხობის დაყოფა სამ ფენად (მდიდარი, საშუალო, ღარიბი გლეხობა). იგი მიზნად ისახავდა წასულიყო შემდგომი დეტალიზაციის გზით, და ამ ფენებში დაედგინა ქვეფენები. გამოეძებნა ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა ამა თუ იმ დეპარტამენტის გლეხობის ცალკეული კატეგორიების სათანადო ქვეფენებისადმი მიკუთვნება. მას განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა გლეხთა ქვეფენების სამეურნეო მდგომარეობა, სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებანი საფრანგეთის პირველი რევოლუციის დროს და ამ მისწრაფებათა ობიექტური შედეგები, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება მან ვეღარ მოასწრო" (452, გვ.165).

ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად, შეიძლება მივიჩნიოთ, ალ. ნამორაძის მოხსენება, „ეროვნული კონვენტი და სათემო მიწები". უნდა ვიფიქროთ, რომ თავის გამოსელაში, ალ. ნამორაძე ამ საკითხზე

საკმაოდ დეტალურად და ვრცლად შეჩერდა. სხვათა შორის ეს ძალიან კარგად ჩანს კონსპექტიდან, სადაც გლეხთა ქვეფენების საკითხი საგანგებოდ აქვს მონიშნული. „აქვე მოტანილი უნდა იქნას ჩემი ანალიზი ქვეფენების შესახებ" (656, ფ.3). ის სერიოზულობა და სიღრმე, რომლითაც ალ. ნამორაძე გლეხობის დიფერენციაციის საკითხს არკვევდა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მას აღნიშნული პრობლემის შესახებ საგანგებო ნაშრომის დაწერა შეიძლება ჰქონოდა ჩაფიქრებული, რომელიც უნდა ყოფილიყო სათემო მიწების განაწილების შესახებ მისი დიდი მონოგრაფიის ერთ-ერთი სოლიდური მონაკვეთი, მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა, როგორც ეტყობა, ვერ მოასწრო.

უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძე მკვეთრად გაემიჯნა მარქსიზმის იმ თეორეტიკოსებს, რომლებიც გლეხობას ტრიციალური სქემის თანახმად სამ ფენად ყოფდნენ: (მდიდარი, საშუალო, ღარიბი). ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მნიშვნელოვანწილად შესაძლოა, სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ალ. ნამორაძე რაღაცნაირად არ ჩქარობდა გლეხობის დიფერენციაციის თაობაზე თავის საინტერესო ნაშრომის დასრულებას და პუბლიკაციას. იქნებ უფრო უკეთეს პერიოდს ელოდებოდა, როდესაც დაიწყებოდა ტოტალიტარული რეჟიმის ლიბერალიზაცია? რაც, სხვათა შორის მოხდა კიდეც ნ. ხრუშოვის დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, ალ. ნამორაძე უკვე ვეღარ მოესწრო ამას. იგი 1958 წელს გარდაიცვალა.

გლეხობის დიფერენციაციის საკითხში ალ. ნამორაძემ ის ხაზი გააგრძელა, რომელმაც თავი იჩინა მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე პროგრესულ, რუსულ ისტორიოგრაფიაში: იგი ნ. კარეევის მსგავსად, შესაძლებლად მიიჩნევს რევოლუციის წინ საფრანგეთის გლეხობის ოთხ კატეგორიად დაყოფას: 1. შეძლებული გლეხი, 2. საშუალო გლეხი, 3. ღარიბი გლეხი, 4. უღარიბესი გლეხი (656, ფ.3). აღსანიშნავია, რომ იგი ამას აკეთებს თავისი გამოსვლის კონსპექტში, მაგრამ გამოქვეყნებულ შრომებში ეს აზრი მკაფიოდ არაა გამოხატული. ეს ადვილი გასაგებიცაა; ბოლშევიკურ იდეოლოგიასთან არანაირი დაპირისპირება არ შეიძლებოდა. ცენზურა ამას არ დაუშვებდა. უთუოდ, საინტერესო იქნებოდა ალ. ნამორაძის მოხსენებაში ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, რომელსაც როგორც კონსპექტიდან ჩანს, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა (656, ფ. 1-4). ალბათ, ალ. ნამორაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა სათემო მიწების განაწილების საკითხზე არსებული ლიტერატურის საგანგებოდ შესწავლა და ეს იქნებოდა მისი სოლიდური მონოგრაფიის სერიოზული შესავალი, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო. მიუხედავად ამისა ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ალ. ნამორაძე საკმაოდ კარგად იცნობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის ისტორიოგრაფიას.

ალ. ნამორაძეს სურდა კიდევ უფრო გაეღრმავებინა „რუსული სკოლის" პირველ ყოვლისა კი ნ. კარეევის და მ. კოვალევსკის დაწყებული საქმე და საფუძვლიანად შეესწავლა საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაცია 1789 წლის რევოლუციის წინ. კონკრეტულად კი სურდა გამოერკვია გლეხთა ქვეფენები, მათი სამეურნეო მდგომარეობა და სოციალ-ეკონომიკური მისწრაფებები. რა გააკეთა ამ მხრივ ალ. ნამორაძემ, კონკრეტულად რა სიახლეებს გვთავაზობს ის ძნელი სათქმელია. როგორც კონსპექტიდან ჩანს, მას ჰქონდა გაკეთებული ამ საკითხის საკუთარი ანალიზი და გააჩნდა თავისი მოსაზრებები, რომლებიც სავარაუდოა, რომ გაშლილი სახით ექნებოდა წარმოდგენილი მოხსენებაში. როგორც კონსპექტიდან ჩანს, ალ. ნამორაძე თავის გამოსვლაში დიდ ყურადღებას იჩენდა საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხის ისტორიოგრაფიისადმი და ვრცლად ჩერდება „რუსული სკოლის" შეხედულებებზე (ივ. ლუჩიცკი, მ. კოვალევსკი, ნ, კარეევი), მაგრამ ამ ისტორიოგრაფიული ექსკურსის შემდგომი სრულყოფა-შევსება გამორიცხული არ უნდა იყოს (შესაძლოა, ამას ალ. ნამორაძეც გრძნობდა, მაგრამ კონსპექტიდან ეს არ ჩანს). პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ალბერ მატიეზის შეხედულებებზე შეჩერება, რომელიც ს. სკაზკინს უკანგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია „რუსული სკოლის" შემდეგ (614, გვ. 318). კონსპექტში მონიშნული არაა გერმანელი ისტორიკოსის ფრიც. ვოლტერის და ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ ლეფევრის საინტერესო გამოკვლევები საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხის შესახებ. საფიქრებელია, რომ ის თავის მოხსენებაშიც ამ ისტორიკოსების შეხედულებებს არ შეხებია. შესაძლოა, ამ გამოკვლევებს ის არ იცნობდა? (198; 289). ორივე ამ ნაშრომს მისთვის ძვირფასი ინფორმაციის მიცემა შეეძლო. ვფიქრობთ, საინტერესო იყო ალ. ნამორაძის დამოკიდებულება ს. სკაზკინის გამოკვლევებისადმი. შესაძლოა მოხსენებაში იყო ამის თაობაზე გაშლილი მსჯელობა, მაგრამ გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძემ უბრალოდ ვერც მოასწრო ს. სკაზკინის პოზიციის სათანადოდ სიღრმისეული გააზრება, ვინაიდან მისი გამოსვლა უნივერსიტეტში 1936 წლის 15 მარტს და ს. სკაზკინის გამოკვლევების გამოქვეყნება ფაქტობრივად ერთდროულად მოხდა. ცოტა უფრო მოგვიანებით, ფაბრის მოხსენებასა და პროექტზე დაწერილ ნაშრომში, იგი აღნიშნავდა: „მართალია ამ უკანასკნელ ხანებში გადადგმულია სათანადო ნაბიჯები ამ მიმართულებით (გლეხთა დიფერენციაციის შესწავლის საკითხში - მ.კ.) ს. სკაზკინის და ე. პეტროვის მიერ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ცდებია. არასრული და აქედან ვერავითარ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ". ე. პეტროვის და ს. სკაზკინის წვლილის ამგვარი შეფასება, ჩვენი აზრით, ძალიან მკაცრად ჟღერს და საკამათო შეიძლება იყოს (548).

ალ. ნამორაძის მსჯელობაში კონკრეტულად არ ჩანს თუ რა არ მოეწონა მას ამ ორი ისტორიკოსის შრომებში.

გლეხთა ქვეფენების გამორკვევა, მათი სამეურნეო მდგომარეობა და სოციალ-ეკონომიკური მისწრაფებები მეტად რთული გამოსარკვევია და თანამედროვეები საკმა-

ოდ ძუნწ და წინააღმდეგობრივ ცნობებს იძლევიან გლეხობის ქვეფენების შესახებ. ამას ალ. ნამორაძე მეტად პესიმისტურ დასკვნამდე მიჰყავს „ამგვარად, მე-18 საუკუნის საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაცია (ე.ი. მისი ქვეფენები - მ.კ.) ჩვენთვის გაურკვეველი რჩება" (660, ფ. 45). როგორც ჩანს, საჭირო იყო ამ მიმართულებით კიდევ დაუღალავი მუშაობა, კვლავ სამეცნიერო მივლინება საფრანგეთში, მაგრამ ამის საშუალებას ის მოკლებული იყო.

მეორე პრინციპული საკითხი, რომელიც ალ. ნამორაძემ დასვა თავის გამოსვლაში 1936 წლის 15 მარტს იყო, თუ გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ გადაწყვიტა საფრანგეთის პირველმა რევოლუციამ სათემო მიწების განაწილების საკითხი. ამ თემის გაშუქების დროს ისტორიკოსების განკარგულებაშია ისეთი ძვირფასი პირველწყარო როგორიცაა „ჩივილის (საწადელთა) რეკულები". აღნიშნულ საკითხს ნათელი რომ მოვფინოთ პირველ რიგში საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ როგორი იყო გლეხობის ცალკეული ფენების დამოკიდებულება სათემო მიწების გაყოფისადმი. ამ თემის ირგვლივ ალ. ნამორაძის მსჯელობა პოლემისტური ხასიათით გამოირჩევა და საინტერესოა. ალ. ნამორაძე არ იზიარებს ს. კუნიკის მოსაზრებას თითქოს მდიდარი გლეხობა საერთოდ წინააღმდეგი იყო სათემო მიწების განაწილების (279). გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ნ. კარეევის მოწაფე ე. პეტროვი გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას, რომ სათემო მიწების განაწილების საკითხში საშუალო და მდიდარი გლეხობა (კულაკობა) დიფერენცირებული იყო და იცვლებოდა ეკონომიკური მოტივების და თემის შიგნით არსებულ ძალთა თანაფარდობის მიხედვით (598). ამ თვალსაზრისისაკენ იხრება ცნობილი მკვლევარი ა. ადო (535. გვ. 192 და 197). უნდა ვივარაუდოთ, რომ ალ. ნამორაძეს სწორედ ამ მიმართულებით ჰქონდა ჩაფიქრებული მუშაობის წარმართვა. ალ. ნამორაძე ფიქრობს რომ შეძლებული გლეხობა დაინტერესებული იქნებოდა სათემო მიწების გაყოფით, ვინაიდან მას შედარებით მეტი წილი ერგებოდა, ვიდრე გლეხს, რომელსაც საკუთარი მიწა ცოტა ჰქონდა. ამ გზით ის კიდევ უფრო გააფართოვებდა თავის ადგილმამულს (516; გვ. 196-197; 656; ფ.3). მაგრამ კატეგორიულად არც იმის თქმა შეიძლება, რომ მდიდარი გლეხობა მთლიანად მხარს უჭერდა სათემო მიწების გაყოფას. მდიდარი გლეხობა ყველგან, გარდა მეჯოგეობის რაიონებისა, მომხრე იქნებოდა სათემო მიწების გაყოფისა თუ გაყოფა მოხდებოდა თანასწორად ე.ი. კომლობრივად ანდა სულობრივად და ესეც იმ პირობით თუ ხვედრი წილი სათემო მიწებიდან დაურიგდებოდათ-გლეხებს კერძო სამუდამო საკუთრებად. ასეთ შემთხვევაში გლეხს იმედი ექნებოდა შეესყიდა მიწის ნაკვეთი გაჭირვებული, ღარიბი გლეხისგან და ამ გზით გაეფართოვებინა თავისი საკუთრება. მდიდარი გლეხობა დაინტერესებული იქნებოდა სათემო მიწების გაყოფით იმ შემთხვევაშიც თუ გაყოფა იწარმოებდა პირდაპირი პროპორციით ქონებისადმი, თუმცა მეჯოგეობის რაიონის მსხვილი გლეხობა შეიძლებოდა ამ შემთხვევაში წინააღმდეგი ყოფილიყო სათემო მიწების გაყოფისა. მსხვილი გლეხობა არ იქნებოდა თანახმა სათემო მიწების გაყოფის იმ შემთხვევაში თუ იგი ჩატარდებოდა ქონებისადმი პროპორციით, როგორც ამას მარენი მოითხოვდა.

როგორი იყო სათემო მიწების გაყოფისადმი საშუალო გლეხობის დამოკიდებულება? ვფიქრობთ, ამ საკითხზე ალ. ნამორაძე იმ ხაზს აგრძელებს, რომლის სათავეებთან დგანან ცნობილი ისტორიკოსები პ. კროპოტკინი და ნ.ლუკინი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ საშუალო გლეხი სათემო მიწების გაყოფის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო (277; გვ. 320-326; 219; გვ. 96-123; 614; 293, გვ.181).

ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ საშუალო გლეხი დაინტერესებული არ იქნებოდა სათემო მიწების გაყოფით, ისე როგორც ღარიბი გლეხი. ავტორს ამის დასამტკიცებლად შემდეგი არგუმენტები მოჰყავს. საშუალო გლეხი იმდენს ვერ მიიღებდა სათემო მიწებიდან, დაე თუნდაც შებრუნებული პროპორციით მომხდარიყო გაყოფა და მას შესაძლებლობა მისცემოდა გამოეკვება თავისი შინაური პირუტყვი საკუთარი საძოვარი ადგილებით. გასათვალისწინებელია ისიც რომ სათემო მიწების გაყოფის შემთხვევაში საშუალო გლეხი ვეღარც საერთო საძოვრებით ისარგებლებდა. ისინი ცოცხალი ინვენტარის შენახვასაც ვერ შეძლებდნენ და მეურნეობისათვის ძალაუნებურად თავი უნდა მიენებებინათ. უარი ეთქვათ კერძო მეურნეობის წარმოებაზე. საშუალო გლეხი ყველგან და ყოველთვის სათემო მიწების გაყოფის წინააღმდეგი იქნებოდა - დაასკვნის ალ. ნამორაძე. შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო გლეხი, რომელიც თავისი ქონებით არ ჩამოუვარდებოდა მდიდარ გლეხს მომხრე ყოფილიყო გაყოფისა ზუსტად იმავე მოტივებით რა მიზეზითაც მომხრე იყო გაყოფისა მდიდარი გლეხი: ა. პირდაპირი პროპორციით, რის შედეგადაც ის მიიღებდა სათემო მიწებიდან საკმაოდ მნიშვნელოვანაკვეთს, ბ. ანდაც 10 წლის შემდეგ შესაძლებელი ექნებოდა შეესყიდა მიწის ნაკვეთი ღარიბი გლეხისაგან, როგორც ამას ფაბრის პროექტი მოითხოვდა (656, ფ.3-5; 516, გვ. 197).

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს,რომ ალ. ნამორაძეს საკამათოდ მიაჩნია პ. კროპოტკინის დებულება თითქოს ღარიბი გლეხობა სათემო მიწების გაყოფის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო. კატეგორიულად იმის თქმა, რომ კროპოტკინი ღარიბ გლეხობას სათემო მიწების გაყოფის მოწინააღმდეგედ მიიჩნევს, ძნელია და ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე საკამათოა. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ ღარიბი გლეხობა მომხრე იქნებოდა სათემო მიწების გაყოფის მხოლოდ ერთ შემთხვევაში; თუ გაყოფა მოხდებოდა ქონებისადმი შებრუნებული პროპორციით. სხვა საფუძვლით გაყოფა მისთვის სასურველი არ იყო. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ თუ მეჯოგეობის რაიონის ღარიბი გლეხობა წინააღმდეგი იქნებოდა სათემო მიწების გაყოფისა, სამიწათმოქმედო და სამრეწველო რაიონების ღარიბი გლეხობის ნაწილი პირიქით სათემო მიწების განაწილებას

მხარს დაუჭერდა.

ალ. ნამორაძეს, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩა ერთი საინტერესო საკითხი. საჭირო იყო ორიოდე სიტყვა თქმულიყო სათემო მიწების გაყოფისადმი მემამულეთა დამოკიდებულებაზე. როგორც წყაროებიდან ჩანს, ისინი მხარს უჭერდნენ სათემო მიწების გაყოფას, რაც იმით იყო არგუმენტირებული, რომ ეს ღონისძიება წესრიგში მოიყვანდა აქამდე უპატრონოდ მიტოვებულ მიწების მდგომარეობას, ოღონდ სენიორთა ინტერესები ბუნებრივია, არ უნდა შელახულიყო (293). სენიორებისაგან დატაცებული მიწების დაბრუნებით დაინტერესებული იყო მთელი გლეხობა, მაგრამ მისი გაყოფით უმთავრესად დაინტერესებული იყო მდიდარი გლეხობა და ისიც არა ყველა. მათ შორის მოიპოვებოდა ერთი ფენა, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ სათემო მიწების გაყოფისა. სათემო მიწების გაყოფის როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეები შეიძლება ვიპოვოთ, როგორც მდიდარ საშუალო და ღარიბ გლეხებს შორის. ნაწილი მდიდარი, საშუალო და ღარიბი გლეხობისა შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო სათემო მიწების გაყოფის მომხრე. მეორე ნაწილი კი მოწინააღმდეგე. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ რომელ რეგიონს ეკუთვნოდა გლეხი სამეურნეო მიწათმოქმედებას, მეჯოგეობას თუ სამრეწველოს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ალ. ნამორაძემ ამ პრობლემის ირგვლივ სრულიად განსხვავებული მოსაზრებები განავითარა და ახლებურად სცადა გაეშუქებინა ეს ფრიად საინტერესო და რთული თემა. ფაქტობრივად ეს იყო ახალი სიტყვა საკითხის ისტორიოგრაფიაში, რაც სათემო მიწების განაწილების კვლევის საქმეში მისი ერთ-ერთი სერიოზული დამსახურებაა.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ალ. ნამორაძეს საფრანგეთის რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ საგანგებო მონოგრაფიის დაწერა ჰქონდა განზრახული. მან ამ სერიოზული ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელება შეძლო და ექვსი ნაშრომის დაწერა მოასწრო, რომელთაგანაც მხოლოდ ორია გამოქვეყნებული. კონკრეტულად რა გეგმები ჰქონდა შემდგომში გამოჩენილ მეცნიერს ძნელი სათქმელია. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, საფრანგეთის რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ წიგნის ჩანაფიქრი, შესაძლოა, ასეთი ყოფილიყო. შესავალი, რომელიც, ბუნებრივია, მოიცავდა წყაროებს და ლიტერატურის განხილვას. თავი პირველი: სათემო მიწების მდგომარეობა საფრანგეთის რევოლუციის წინ, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, საფიქრებელია, შეადგენდა გლეხთა დიფერენციაცია რევოლუციის წინ და გლეხთა ქვეფენების მისეული ანალიზი. მეორე თავი: სათემო მიწების საკითხი საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში (1789-1792 წწ.), რომლის ძირითად ბირთვს, ბუნებრივია, შეადგენდა მისი სამი ნაშრომი: „ლეგისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს", „ავეროინის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ წარდგენილი ლეგისლატივში 1792 წელს" და „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში", მაგრამ ეს ციკლი გასრულებულად არ მიგვაჩნია და მისი დაგვირგვინება იქნებოდა 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობის განხილვა, რითაც ფაქტობრივად საკანონმდებლო კრებამ დაასრულა კიდეც თავისი არსებობა (სავარაუდოა, რომ ამ საკითხის შესახებ ალ. ნამორაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა ნაშრომის დაწერა მაგრამ ამის გაკეთება ვეღარ მოასწრო). მესამე თავი: სათემო მიწების განაწილების საკითხი კონვენტის დროს. მან მოასწრო ამ პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილის დამუშავება. ეს არის ფაბრის, მარენის და სუეს მოხსენებების განხილვა, მაგრამ მათი გამოქვეყნება, ეტყობა, ვეღარ შეძლო. არც ეს თემა ჩანს ბოლომდე მიყვანილი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ალ. ნამორაძეს მისი დასრულება ეწადა 1793 წლის 10 ივნისის დეკრეტის განხილვით. თავისთავად იგულისხმება, რომ ნაშრომს ექნებოდა თავისი დასკვნა, სადაც პატივცემული მკვლევარი შეაჯამებდა ჩატარებული მუშაობის შედეგებს. ეს მონოგრაფია, ალ. ნამორაძეს რომ მოესწრო მისი დამთავრება, უთუოდ ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა.

* * *

ალ. ნამორაძის არჩევანის მეცნიერული ღირებულება, მნიშვნელოვანწილად იმან განაპირობა, რომ მან ხელი მოჰკიდა საფრანგეთის რევოლუციის აგრარული პრობლემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთულ, მტკივნეულ და აქტუალურ თემას სათემო მიწების განაწილებას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად იყო შესწავლილი. როგორც ჯერ კიდევ ნ. ლუკინი აღნიშნავდა ეს პრობლემა თვით ფრანგულ ისტორიოგრაფიაშიც კი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი (293, გვ. 178). საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვით რუსული ისტორიოგრაფიის კორიფეებიც კი, რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხის შესწავლის საქმეში სათემო მიწების განაწილების საკითხს შედარებით სუსტად აშუქებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხარვეზის შევსება მოინდომეს ისტორიკოსებმა ს. კუნისკიმ და ვ. პოზნიაკოვმა თავის ნაშრომში „სათემო მიწები საფრანგეთის რევოლუციის დროს" (279). არსებითად ეს იყო რუსულენოვან ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემის წარმოჩენის პირველი სერიოზული მცდელობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ პირველმა ცდამ ალ. ნამორაძე ეტყობა, ვერ დააკმაყოფილა, და მას პირველწყაროებიდან გამომდინარე ს. კუნისკისა და ვ. პოზნიაკოვის წიგნში გამოთქმული ძირითადი დებულებები მიუღებლად მიაჩნია. და კიდევ ამიტომ იყო, რომ ალ. ნამორაძემ გადაწყვიტა ხელი მოეკიდა ამ პრობლემის საფუძვლიანი შესწავლისათვის.

ახლა, ალბათ, დროა კონკრეტულად განვიხილოთ ის ექვსი ნაშრომი, რომელიც ჩვენს ხელთაა. მათი ანალიზი

როგორც უკვე ითქვა, უნდა დავიწყოთ ალ. ნამორაძის ნაშრომით „ლეგისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს", რომელიც დაიბეჭდა ჟუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის შრომებში. იგი შედგება ოთხი ნაწილისაგან: პირველი ნაწილია პატარა შესავალი, სადაც ალ. ნამორაძე ასაბუთებს არჩეული თემის აქტუალობას, მეორე ნაწილი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და ნაშრომში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა, მესამე ნაწილში ძალზედ მოკლედ არის მოთხრობილი თუ როგორ წყვეტდა სათემო მიწების განაწილების საკითხს დამფუძნებელი კრება (1789-1791), ხოლო მეოთხე ნაწილში განხილულია ამ საკითხებისადმი საკანონმდებლო კრების (1791-1792) დამოკიდებულება.

ალ. ნამორაძე უკვე ნაშრომის პირველსავე გვერდზე ხაზს უსვამს არჩეული თემის აქტუალობას და ამის საილუსტრაციოდ იმოწმებს საფრანგეთის ისტორიის ორ კომპეტენტურ მკვლევარს, ფრანგ ანრი სეს და რუს ივან ლუჩიცკის (516, გვ. 177). ცნობილი რუსი ისტორიკოსი მ. კოვალევსკი მე-18 საუკუნის ფრანგული საზოგადოების მთავარ პრობლემად აგრარულ საკითხს ასახელებდა (266, გვ. 436).

ამის შემდეგ ალ. ნამორაძე ეხება ერთ ფრიად აქტუალურ თემას, გლეხთა გაბოგანოების საკითხს, რომლის თაობაზეც ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ფრანგ გლეხს ყოველთვის აწუხებდა მიწის პრობლემა. განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეს საკითხი რევოლუციის წინ. როგორი იყო ამ თემისადმი ალ. ნამორაძის დამოკიდებულება? პირველ ყოვლისა მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძე არ გაურბის ასეთი რთული საკითხების დასმას და თავის შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს პასუხი გასცეს მას გამოთქვას თავისი მოსაზრება, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. პირველ რიგში, საჭიროა გავარკვიოთ ამ საკითხის თაობაზე ამტყდარ დისკუსიაში რა პოზიცია უჭირავს ალ. ნამორაძეს? ისტორიკოსთა რომელ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ის? რუსი ისტორიკოსი ივ. ლუჩიცკი უამრავი ფაქტებით ხელში ცდილობს მოხსნას გლეხობის უმიწოდ დატოვების საკითხი და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ გაბოგანოებას, რაც გლეხობის უმიწოდ დატოვების ლოგიკური შედეგი იყო (298; გვ.13 და 27-89). ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ იგი ეპვის თვალით უყურებდა „საჩივრის (საწადელის) რეეესტრებს" როგორც ისტორიულ წყაროს. ივ. ლუჩიცკის ამ დებულებამ სპეციალისტთა შორის გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია და ყველამ როდი გაიზიარა იგი. რუსულ და შეიძლება ითქვას ევროპულ ისტორიოგრაფიაშიც მეორე მიმართულებას საფუძველი ჩაუყარეს ნ. კარეევმა და მ. კოვალევსკიმ. მათ ივ. ლუჩიცკის მიერ უგულვებელყოფილი „საჩივრის (საწადელის) რეეესტრებზე" დაყრდნობით დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ რევოლუციის წინ ადგილი ჰქონდა გლეხობის უმიწოდ დატოვებას და ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა საშივე წოდება. აქედან გამომდინარეობს პარალელი საფრანგეთსა და ინგლისს შორის (262, გვ. 150-151; 265). შესაძლოა, ეს ისტორიკოსები ცოტათი აჭარბებდნენ საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების ჩასახვა-განვითარებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მათი თვალსაზრისი გაცილებით უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ივ. ლუჩიცკის მტკიცება. როგორც ჩანს, ალ. ნამორაძეც იქეთ უნდა იხრებოდეს და მასში „ეფიქრობთ, კარეევ-კოვალევსკის ბანაკის წარმომადგენელი შეიძლება დავინახოთ. აი, რას წერს ალ. ნამორაძე: „სათემო მიწების საკითხი, რა თქმა უნდა, არ მიიღებდა ისეთ გამწვაკებულ ხასიათს იმ შემთხვევაში თუ ფრანგ გლეხს (მხედველობაშია უმთავრესად ღარიბი და საშუალო გლეხი) საკუთარი მიწა ექნებოდა იმ რაოდენობით, რაც მას საშუალებას მისცემდა ოჯახიც გამოეკვება და ცოცხალი ინვენტარიც შეენახა" (516, გვ. 181). აქედან დასკვნის გამოტანა ადვილია. ალ. ნამორაძეს მიაჩნდა, რომ საფრანგეთში რევოლუციის წინ ადგილი ჰქონდა გლეხთა გაბოგანოების პროცესს და იგი კარეევ-კოვალევსკის პოზიციისაკენ უფრო იხრება. ვფიქრობთ, აქ საჭირო იყო ყურადღების გამახვილება იმის თაობაზე რომ შემოღობვებს, შესაძლოა, იმ მასშტაბით არა, როგორც ინგლისში, ადგილი ჰქონდა საფრანგეთშიც (293, გვ. 180-181). რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰფენდა გლეხთა გაბოგანოების საკითხს.

ალ. ნამორაძის ნაშრომის მეორე ნაწილი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მისი ერთ-ერთი საუკეთესო მონაკვეთია. იგი ფრიად სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს და ემყარება საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას. ავტორი ივ. ლუჩიცკის კვალდაკვალ ეკამათება ფრანგ ისტორიკოსებს შამპიონსა და მარიონს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რევოლუციის წინ საფრანგეთში ადგილი ჰქონდა მიწების კონცენტრაციას (516, გვ. 181-183). საინტერესოდ არის განხილული ივ. ლუჩიცკის შეხედულებები, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საფრანგეთის აგრარული საკითხის შესწავლაში. ალ. ნამორაძე მიუთითებს რომ ივ. ლუჩიცკიმ ამ საკითხის შესწავლის საქმეში ტოკვილის ხაზი გააგრძელა და მის კვალდაკვალ ამტკიცებდა, რომ რევოლუციის წინ საფრანგეთში ადგილი ჰქონდა წვრილ გლეხურ საკუთრებას. შესაძლოა, სასურველი იქნებოდა აქ ე. ტარლეს მოხსენება, რომელიც ივ. ლუჩიცკის გავლენას განიცდიდა, თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ ბოლშევიკების რეჟიმის პირობებში იგი ამის ხაზგასმას მოერიდა.

ალ. ნამორაძეს არც ის დისკუსია დარჩენია მხედველობის გარეშე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსულ ისტორიოგრაფიაში ივ. ლუჩიცკის და მ.კოვალევსკის შორის. მართალია, იგი ყოველნაირად ცდილობს არ ჩაერიოს ამ კამათში, რაც მოტივირებულია იმით, რომ ეს საკითხი მისი კვლევის უშუალო ობიექტი არ იყო. „ამჟამად, ვეხებით რა სათემო მიწების საკითხს, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ საკითხს თუ რას წარმოადგენს ის მიწა, რომელიც ხელთ ჰქონდა რევოლუციამდელ ფრანგ გლეხს - სრულ საკუთრებას თუ იჯარით აღებულ მიწას" (516, გვ. 188 და 190).

ტოკვილი და მის კვალდაკვალ კი ლუჩიცკი ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო სრული საკუთრება, ხოლო კარეევი და განსაკუთრებით კი კოვალევსკი ფიქრობდნენ, რომ ეს იყო იჯარით აღებული მიწა. სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ალ. ნამორაძე კარგად გაერკვა იმ პოლემიკის არსში, რომელიც იყო რუსულ ისტორიოგრაფიაში მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე მიუხედავად იმისა, რომ ალ. ნამორაძე ცდილობს არ ჩაერიოს ამ კამათში. იგი ძალზე ფრთხილად ტოკვილ-ლუჩიცკის თეზისისაკენ უფრო მეტად იხრება და თავისი პოზიციის განმტკიცების მიზნით იმოწმებს ფრანგ ისტორიკოსს ანრი სეს, რომელიც ფიქრობდა, რომ „საფრანგეთში მრავლად მოიპოვებოდა გლეხი მესაკუთრე, რასაც ადგილი არ ჰქონდა სხვა ქვეყანაში" (516, გვ. 188 და 196). ნ. ლუკინის, ე. ლეფერის და ს. სკაჯკინის (289, 293, გვ. 307-322; 616) გამოკვლევებმა ფაქტობრივად დაადასტურეს ტოკვილის დაკვირვება და ამ შრომების დამოწმება, ცხადია, კიდევ უფრო გაამაგრებდა ალ. ნამორაძის პოზიციას.

ერთი წამითაც არ ვაყენებთ რა ეჭვს ქვეშ ამ ისტორიოგრაფიული მიმოხილვის პროფესიულ ღირსებებს, ჩვენი აზრით, მკითხველისათვის გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა ძალიან მოკლედ, ორიოდე სიტყვით გაცნობოდა კონკრეტულად საოემო მიწების ისტორიოგრაფიას, რომლის დაწერაც ალ. ნამორაძეს უნდა ვივარაუდოთ, რომ განზრახული ჰქონდა. ამ ჩანაფიქრის განხორციელება, სწორედ აქ ჩანდა ყველაზე უფრო რეალური. რა არის გაკეთებული სათემო მიწების შესახებ ფრანგულ ისტორიოგრაფიაში? რა გააკეთეს ამ მიმართულებით რუსული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა? რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში? რა სიახლეების შეტანას აპირებს ამ საკითხის კვლევის სფეროში ქართველი ისტორიკოსი? ალბათ, ეს კონკრეტული მიმოხილვა უფრო უპრიანია და სასარგებლო იქნებოდა მკითხველისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ნაკვეთი ისტორიოგრაფიული მიმოხილვისა, რომელიც წინ დაერთვოდა, შესავლის სახით, მის მონოგრაფიას.

ნაშრომის მესამე ნაწილის ყურადღების ცენტრში დგას აქტუალური პრობლემა სათემო მიწების განაწილების საკითხი დამფუძნებელი კრების დროს: ალ. ნამორაძე შედარებით ვრცლად განიხილავს ორ სერიოზულ საკითხს: 1790 წლის 15 მარტის კანონი ტრიაჟის გაუქმების შესახებ და 1791 წლის 13 აპრილის კანონი. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტისას დამფუძნებელი კრება ბოლომდე თანამიმდევრული ვერ იყო და იგი ძირითადად მემამულეების სასარგებლოდ გადაწყვიტა. 1790 წლის 15 მარტის დეკრეტით ტრიაჟის კანონი გაუქმებულ იქნა, მაგრამ ეს ვერ შველოდა გლეხების მთავარ სატკივარს. საქმე ისაა, რომ მათი მთავარი მოთხოვნა სენიორთა მიერ დატაცებული მიწების დაბრუნების თაობაზე განუხორციელებელი დარჩა. სენიორთა მიერ რევოლუციამდე მითვისებული მიწები დამფუძნებელმა კრებამ არ დაუბრუნა გლეხებს. პირიქით, 1791 წლის 13 აპრილის კანონის თანახმად სენიორებს დაუკანონა რევოლუციამდე მიტაცებული მიწები (516, გვ. 192). მიგვაჩნია, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს მხოლოდ ერთ ფრაგმენტს ისეთი დიდი პრობლემისა როგორიც არის სათემო მიწების განაწილება დამფუძნებელი კრების დროს. ვფიქრობთ, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ალ. ნამორაძის ნაშრომში ღიად რჩება მთელი რიგი საკითხები (1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტი, 2 ნოემბრის დეკრეტი, 1790-91 წლის აგრარული კანონმდებლობა).

ნაშრომის მეოთხე ნაწილში განხილულია, თუ როგორ წყვეტდა სათემო მიწების განაწილების საკითხს საკანონმდებლო კრება. ამ დროს ჩამოყალიბდა ორი კომიტეტი: სამიწათმოქმედო და ფეოდალური კომიტეტი. „როგორც სათანადო წყაროებიდან ირკვევა ფეოდალურ კომიტეტს ნაწილობრივ ხელი აუღია სათემო მიწების საკითხზე და ეს უკანასკნელი უმთავრესად სამიწათმოქმედო კომიტეტის განსახილველი ობიექტი გამხდარა" (516, გვ. 195). ავტორის აზრით, მისი სოციალური შემადგენლობა გაცილებით უფრო პროგრესული ყოფილა და მის ძირითად ბირთვს მესამე წოდება შეადგენდა.

ხაზგასმულია, რომ საკანონმდებლო კრების წინაშე გაცილებით უფრო რთული ამოცანა იდგა. საქმე ისაა, რომ „მას არამარტო უნდა გადაეწყვიტა სენიორთა მიერ დატაცებული მიწების საკითხი, არამედ მას უნდა გაერკვია თუ რა სახით უნდა გადაეცა დაბრუნებული სათემო მიწები თემისათვის -საერთო სარგებლობაში თუ ინდივიდუალურ მფლობელობაში" (516, გვ. 196) უნდა დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, რომ სათემო მიწების განაწილების საქმეში დამფუძნებელ კრებასთან შედარებით საკანონმდებლო კრებამ სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ. აქ დასმული საკითხის გადაწყვეტას ეხება ალ. ნამორაძის შემდეგი ორი ნაშრომი აველინისა და შარლ დანტონის მოხსენების პროექტის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაარსობრივად მოდის აველინის მოხსენება და პროექტი და ამიტომ საუბარს ამ ნაშრომის განხილვით გავაგრძელებთ. ალ. ნამორაძემ მოგვცა აველინის მოსაზრებების საინტერესო ანალიზი და აქედან საკუთარი დასკვნების გამოტანა სცადა, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ნაშრომის მეცნიერულ მნიშვნელობას (ნათქვამი ბუნებრივია, კრცელდება მის დანარჩენ ოთხ ნაშრომზე; დანტონის, ფაბრის, მარენის და სუეს მოხსენებასა და პროექტზე).

შემთხვევითი არ იყო, რომ მოხსენებისა და პროექტის საბოლოო ჩამოყალიბება სამიწათმოქმედო კომიტეტმა მიანდო აველინს, რომელიც ამავე კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი იყო (720, ფ.2). რა მოდუსით მიაჩნდა აველინს შესაძლებლად სათემო მიწების გაყოფა? გლეხობის რომელი ფენების ინტერესებს გამოხატავდა მისი მოხსენება და პროექტი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად ალ. ნამორაძე თავის ნაშრომში.

აველინის მიზანშეწონილად მიაჩნია სათემო მიწების განაწილება. მისი შეხედულებით, ეს არგუმენტირებული არის ორი ფაქტორით: 1. პირველ ყოვლისა ეს არის საფრან-

გეთის სოფლის მეურნეობის გარაკიონალება, რაც დიდ მოგებას მოუტანდა სახელმწიფოს, 2. მეზობელი ქვეყნების ინგლისის, ირლანდიის, შვედეთის, გერმანიის, შვეიცარიის გამოცდილება (720, ფ.3-4).

„თუ აველინი ღარიბი და საშუალო გლეხობის ინტერესებს იცავდა, ამ შემთხვევაში მას არ უნდა მოეთხოვა სათემო მიწების გაყოფა, მაგრამ იგი თავის მოთხოვნას კატეგორიულად იცავს" (720. ფ.5).

ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საძოვრების პრობლემასთან, რადგან ამ შემთხვევაში გლეხობა საძოვრების გარეშე დარჩებოდა. ეტყობა, ეს საკითხი აველინს ნაკლებად აღელვებს. ამიტომ ძნელი იქნება მასში დავინახოთ საშუალო ან ღარიბი გლეხობის ინტერესების დამცველი. აველინს ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ ღარიბი გლეხობა წინ არ აღუდგება სათემო მიწების გაყოფას, ვინაიდან სათემო მიწების გაყოფის შედეგად შეიქმნება საერთო კეთილდღეობა და ამიტომ გლეხობას აღარ დაჭირდება სათემო მიწები. უნდა დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს როდესაც აველინის მსჯელობას ილუზიებად მიიჩნევს (720, ფ.7,8).

მართალია, აველინი წინააღმდეგია სათემო მიწების გასხვისებისა, გაყიდვისა, მაგრამ ეს დასაშვებად მიაჩნია ოთხ შემთხვევაში: 1. თუ მიწის მელიორაცია შეუძლებელია , 2. თუ მიწა ისეთია, რომ ან სრულიად უნაყოფოა ან უაღრესად მცირემოსავლიანია, მომხმარებელთა უმრავლესობისათვის, 3. მიწა ძალიან დაშორებულია თემის საცხოვრებელი ადგილიდან და ამიტომ მიუვალი ადგილია, 4. როდესაც მიწის ნაკვეთი იმდენად მცირეა, რომ მისი გაყოფის შედეგად ყოველი მონაწილე მიიღებს არაუმეტეს ნახევარი ან მეოთხედი არპანისა, მიწის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები, აველინის მიხედვით, უნდა მოხმარდეს ოჯახს (720, ფ. 6-7).

აველინი ერთი შეხედვით თითქოსდა ძალიან ბევრს ზრუნავს ღარიბ გლეხობაზე. მაგრამ ალ. ნამორაძის ღრმა რწმენით ეს არის კარგად გაანგარიშებული პოლიტიკური რევერანსი, რადგან აველინს ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი ღარიბი გლეხი დაუყოვნებლივ გაყიდის მიწას. რომელიც უმალ მდიდარი გლეხის ხელში აღმოჩნდება. ამ გზით აველინს სურს მიაღწიოს საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აყვავებას და დარწმუნებულია, რომ თუკი მიწა თავს მოიყრის მდიდრების ხელში, შესაძლებელი გახდება სოფლის მეურნეობის გარაკიონალება, გაინტენსიურება (720, ფ.11).

აველინის წინაშე იდგა ორი გზა: თემური მიწების ლიკვიდაცია (სათემო მიწების განაწილების და მათი კერძო საკუთრებად გადაქცევის გზით) და საფრანგეთის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება. ალ. ნამორაძის აზრით, აველინი მეორე გზას ამჯობინებს და გულახდილად აღიარებს „. რა ვუყოთ თუ ზოგიერთი გლეხი დაზარალდა" (720, ფ.10). ალ. ნამორაძე აველინის პროექტის სერიოზულ ნაკლად მიიჩნევს, რომ „იგი ანგარიშს არ უწევს არც გლეხობის სურვილს და არც ამა თუ იმ რეგიონის სპეციფიკას. იგი იძლევა გაყოფის ერთ მთლიან საერთო წესს მთელი საფრანგეთისათვის" (720, ფ.15).

არანაკლებ პრინციპული მნიშვნელობა აქვს აველინის მოსაზრებებს გაყოფის მოდუსის შესახებ. საინტერესოა გაყოფის რა მოდუსს გვთავაზობს იგი. მას მშვენიერად ესმოდა, რომ ორივე ეს საკითხი როგორც სათემო მიწების გაყოფა ისე მათი განაწილება ძალზე მწვავე და აქტუალური იყო. როგორც მისი მოხსენებიდან ჩანს იგი ინდივიდუალური პრინციპის მომხრეა. ამის შემდეგ მის წინაშე წამოიჭრება საკითხი – თუ როგორ ჯობია განხორციელდეს ეს, კოლობრივი თუ სულობრივი გაყოფით. აველინი რჩევას აძლევს ლეგისლატივს, რომ უფრო უმჯობესია კოლობრივი დაყოფა და ცდილობს დაასაბუთოს ის უპირატესობა, რომელიც მისი შეხედულებით, გააჩნდა ამ პრინციპს (659, ფ.19, და 20-25). ალ. ნამორაძე აღნიშნავს, რომ „აველინი თავისი რთული მოდუსით უმთავრესად მესაკუთრეებზე ზრუნავს და მხედველობაში არ იღებს საკუთრების გარეშე დარჩენილ მოჯარეებისა და სოფლის მუშების ინტერესებს" (720, ფ.25).

ნაშრომის დასასრულს ყურადღებას იპყრობს პოლემიკა ისტორიკოს ს. კუნისკისთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ აველინის პროექტი გამოხატავდა ბობოლა გლეხების ინტერესებს (279, გვ. 94-95). ალ. ნამორაძეს ეს მოსაზრება საკამათოდ მიაჩნია და ხაზს უსვამს შემდეგ არგუმენტებს: 1. იგი ფიქრობს, რომ როდესაც ს. კუნისკი ამას ამტკიცებდა სათანადოდ არ ითვალისწინებდა საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაციას რევოლუციის წინ. საქმე ისაა, რომ მესაკუთრე რომელიც მხედველობაში ჰყავს აველინს მხოლოდ ბობოლა გლეხი არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. ეს არის აგრეთვე საშუალო და ღარიბი გლეხი, 2. სათემო მიწების განაწილების წინააღმდეგი იქნებოდა არა მარტო მეჯოგეობის რაიონის ბობოლა გლეხობა, არამედ სამიწათმოქმედო რაიონის ბობოლებიც, რომლებიც ფაქტობრივად ფლობდნენ სათემო მიწების მონოპოლიას და მის გაყოფას, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდნენ. მოწინააღმდეგეთა რიცხვს შეიძლება დაემატოს აფექტისტებიც, რომლებსაც ასევე აღელვებდათ სათემო მიწების გაყოფა, რადგან ხელიდან ეცლებოდათ გემრიელი ლუკმა. ამიტომ ძნელია ვამტკიცოთ, რომ „აველინი ბობოლა გლეხობის ინტერესების გამომხატველი იყო", 3. ეს იქედანაც კარგად ჩანს, რომ მოდუსი, რომელსაც გვთავაზობს აველინი ყველაზე ნაკლებად პასუხობდა ბობოლა გლეხობის ინტერესებს, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად აწყობდათ სათემო მიწების გაყოფა საკუთრებისადმი პირდაპირი პროპორციით (720. ფ. 26).

ამრიგად, ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ აველინი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ბობოლა გლეხობის ინტერესების დამცველი, რადგან მესაკუთრე რომელიც მხედველობაში ჰყავს აველინს და რომელთათვისაც ზრუნავს იგი, შეიძლებოდა გარდა ბობოლა გლეხისა ყოფილიყო საშუალო და ღარიბი გლეხიც. ამ საინტერესო ნაშრომის გაცნობისას, ბუნებრივია, გაგვიჩნდა ზოგიერთი მოსაზრება, სურვილი. ამ ნაშრომის სიუჟეტის დახვეწა

გამორიცხული არ უნდა იყოს; ხომ არ აჯობებდა გამოკვლევის დაწყება ს. კუნისკისთან დისკუსიით, რასაც საკითხის ისტორიოგრაფიის ელფერი მიეცემოდა. ზოგიერთი საკითხი, ჩვენი აზრით, საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს. აქ, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ვგულისხმობთ მის მსჯელობას ღარიბი და უღარიბესი ფენების შესახებ და სათემო მიწების განაწილებისადმი მათი დამოკიდებულების განხილვას (720, ფ.9-10). ალ. ნამორაძის მსჯელობის წმინდა პროფესიული ღირსებები, რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს არ იწვევს; მაგრამ რა კავშირში აქვს მას აველინის პროექტთან? ხომ არ გვაშორებს იგი ნაშრომის ძირითად თემას?

* * *

ამის შინაარსობრივად შემდეგ მოდის ალ. ნამორაძის ნაშრომი „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში"; შარლ დანტონი იაკობინთა პარტიის თვალსაჩინო ლიდერის ჟორჟ ჟაკ დანტონის (1759-1794) მოგვარეა. იგი დაიბადა ვენაში.

კონიუნქტურული რევერანსის შემდეგ, სადაც ის ხარკს უხდის არსებულ ბოლშევიკურ იდეოლოგიის მონოპოლიას (518, გვ. 162-163) ალ. ნამორაძე გადადის მთავარ თემაზე. როგორც ფრანგი ისტორიკოსი ჟორჟ ბურჟენი აღნიშნავდა: „შარლ დანტონის მოხსენება არაა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც აველინის, რომელიც გამოვიდა არა მარტო თავისი პირადი მოსაზრებებით, არამედ მთელი სამიწათმოქმედო კომიტეტის სახელით. დანტონის მოხსენება საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი გვთავაზობს სათემო მიწების განაწილების ახალ გზას. მათ გაყიდვას" (518, გვ. 166). აღსანიშნავია, რომ დანტონს სათემო მიწების შესახებ, თავისი სიტყვის წარმოთქმის საშუალება არ მისცემია და თავისი შეხედულებები წერილობით წარუდგენია სამიწათმოქმედო კომიტეტში.

განიხილავს რა საკითხის შესახებ არსებულ წყაროებს, ალ. ნამორაძეს განსაკუთრებული გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სამიწათმოქმედო კომიტეტის ოქმები მეტად მშრალია და სრულყოფილ წარმოდგენას ვერ იძლევიან იმ კამათის შესახებ, რომელიც კომიტეტში სუფევდა. მაგრამ სხვა სახის დოკუმენტური მასალა შესაძენელად ავსებს ამ ინფორმაციულ ვაკუუმს

სათემო მიწების შესახებ ალ. ნამორაძის შრომებს წითელ ხაზად გასდევს პოლემიკა საბჭოთა ისტორიკოს ს. კუნისკისთან. ეს უკანასკნელი თავის ნაშრომში ამტკიცებდა, რომ შარლ დანტონი ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი იყო. ს. კუნისკის ეს მტკიცება ალ. ნამორაძის შეხედულებით ორ არგუმენტს ემყარება. 1.შარლ დანტონის ნეგატიური დამოკიდებულება არაინდივიდუალური საკუთრებისადმი, რაშიც ის ხედავს სოფლის მეურნეობის ჩავარდნის მთავარ მიზეზს 2. სათემო მიწების გაყიდვით, ს. კუნისკის თანახმად, ყველაზე უფრო მეტად მოგებული დარჩებოდა ბურჟუაზია. ალ. ნამორაძეს ორივე ეს არგუმენტი არადამაჯერებლად მიაჩნია და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე ცდილობს მის გაბათილებას. ჯერ ერთი არაინდივიდუალურ საკუთრებისადმი სიძულვილი განა მარტო ქალაქის ბურჟუაზიისთვისაა ნიშანდობლივი და მეორეც, ერთი სათემო მიწების გაყიდვით დიდ მოგებას ნახავდა არა მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზია, არამედ სოფლის ბურჟუაზიაც (518, გვ. 164-165). ალ. ნამორაძემ კარგად მიაგნო იმ ლოგიკურ წინააღმდეგობას, რომელსაც ს. კუნისკის კონცეფცია შეიცავდა. „თუ დეპუტატი აველინი მოითხოვდა სათემო მიწების გაყოფას გლეხებს შორის, რასაც საბოლოოდ იგივე შედეგები მოყვებოდა ღარიბი გლეხობისათვის, რაც მიწების გაყიდვას, რასაც არ უარყოფს თვით კუნისკი და ამასთანავე თუ კუნისკის აზრით, აველინი წარმოადგენდა სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებს (ბობოლა გლეხობის ინტერესებს) გაუგებარი რჩება რატომ უნდა იყოს დანტონი, იმავე კუნისკის აზრით, ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესებს წარმომადგენელი" (518, გვ. 168).

აველინიც და დანტონიც სოციალურად ერთი და იგივე ფენის წარმომადგენლები არიან, თუმცა სათემო მიწების განაწილების საკითხს სხვადასხვა გზით წყვეტენ. ეს განსხვავება უფრო მეტად სტრატეგიული და არა ტაქტიკური ხასიათისაა. ალ. ნამორაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დანტონმა უფრო ფართოდ შეხედა საკითხს, ვიდრე აველინმა. „დანტონის აზრით, სათემო მიწები თემური საკუთრება როდია, იგი ნაციონალური ქონებაა, სახელმწიფო საკუთრებაა, განსხვავებით დეპუტატ აველინისგან, რომლისთვისაც სათემო მიწები თემის საკუთრებაა" (518, გვ. 173). დანტონი სხვა დეპუტატების მსგავსად მიუთითებს, რომ სათემო მიწები არის გავერანებული, მოუვლელი და გაპარტახებული, ამის მიზეზს ის ხედავს მათი სარგებლობის წესში; მისი ღრმა რწმენით „ამ უთავბოლობას ბოლო მოეღება მაშინ როდესაც რადიკალურად შეიცვლება მათი მოხმარების წესი ანუ მოსპობა თემური მფლობელობა". აქ დანტონი უნდა გულისხმობდეს კერძო და კოლექტიურ საკუთრებას და დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის გამოცნობა, რომ მისი სიმპათიები სულ მთლიანად პირველისაკენ იხრება. დანტონის თანახმად, მესაკუთრეს უფრო მეტი სტიმული გააჩნდა. იგი ყოველთვის ცდილობს უფრო მეტი ნაყოფი მიიღოს თავის საკუთარ მიწაზე, კარგად უვლის მას და მუდამ აუმჯობესებს მის მოსავლიანობას. გლეხი, რომელიც სათემო მიწით სარგებლობს უსულგულოდ ეპყრობა მას და ამიტომ იგი უფრო ცუდადაა მოვლილი (518, გვ.171). დანტონის ეს მსჯელობა ალ. ნამორაძეს უთუოდ ენიშნებოდა და უეჭველად გაახსენებდა კოლექტივიზაციის შემდგომდროინდელ, მის თანამედროვე ქართულ სოფელს. აღსანიშნავია, რომ დანტონის მსჯელობა აქტუალური იყო არა მარტო მე-18 საუკუნის მიწურულისათვის არამედ მე-20 საუკუნის შუა ხანებშიც, როდესაც ალ. ნამორაძის ეს ნაშრომი დაიწერა. ჩვენი ღრმა რწმენით, ალ. ნამორაძე აქ მეტად ფრთხილად სტრიქონსა და სტრიქონს შორის, ეზოპეს ენით, გამოხატავს თავის უარყოფით

[illegible] საბჭოთა კავშირში აგრარული საკითხის [illegible] კოლექტივიზაციის გზით. (მიგვაჩნია, რომ ამ საკითხს თავისი აქტუალობა არც დღეს არ დაუკარგავს, როდესაც საქართველო კვლავ დგას მიწის რეფორმის წინაშე).

შარლ დანტონი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სათემო მიწების გაყოფის და ფიქრობდა, რომ იგი ვერ მისცემდა ღარიბებს ხანგრძლივ და ეფექტურ ანაზღაურებას. მიწების გაყოფა დროებით შვებას მოუტანდა ღარიბების მხოლოდ ერთ თაობას, მაგრამ სულ ცოტა ხანში ისინი იძულებული იქნებიან გაყიდონ სათემო მიწებიდან ამოღებული წილი. ამიტომ მათ შთამომავლობას არსებითად აღარაფერი დარჩებათ. დანტონს არც კომლობრივი გაყოფა ესახებოდა გამართლებულად, რასაც იმით ხსნის, რომ 12 შვილის მამას ცხადია, უფრო მეტი მიწა სჭირდება, ვიდრე ერთი შვილის მამას. ამიტომ პირველს უფრო მეტის მიღების უფლება აქვს, ვიდრე მეორეს. დანტონი გამოსავალს ვერც სულობრივ გაყოფაში ხედავს. მისი შეხედულებით ეს იქნებოდა მოტყუება; ვინაიდან ღარიბები იძულებული შეიქმნებიან დაუთმონ თავიანთი მიწა თავიანთ კრედიტორს, ანდაც გაყიდონ გასესხისონ. სათემო მიწების გაყიდვის წინააღმდეგ, როგორც ალ. ნამორაძე აღნიშნავს, დანტონი კიდევ იმიტომ იყო, რომ მასში მონაწილეობას მიიღებდნენ ისეთი ადამიანებიც (მკერავები, ხარაზები, დურგლები, კალატოზები) რომლებიც შორს იყვნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, ხვნა-თესვისაგან (518, გვ. 174-175).

ბუნებრივია, იბადება კითხვა, მაშ რას მოითხოვდა დანტონი თუ სათემო მიწების არც გაყოფა შეიძლებოდა და არც სულუხლებელი დატოვება. დანტონის მისედვით, ყველაზე უკეთესი გამოსავალი სათემო მიწების გაყიდვა იყო. ცხადია, ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მოგებული მდიდარი გლეხობა დარჩებოდა, რომლის ხელშიც მოიქცეოდა მიწების დიდი ნაწილი, მაგრამ მიღებული თანხა, დანტონის შეხედულებით, შეიძლება მოხმარებოდა სხვადასხვა სასარგებლო დაწესებულებების მოწყობას, ქველმოქმედებას (518, გვ. 178-179).

შემოხვევითი არაა, რომ დანტონი ძალიან ბევრს ლაპარაკობდა და დიდ ყურადღებას უთმობდა ღარიბ გლეხობას, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ სათემო მიწების გაყიდვის დროს ყველაზე უფრო მეტად, სწორედ, ეს სოციალური ფენა დაზარალდებოდა. კომპენსაცია, რომელზეც დანტონი ლაპარაკობს, ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ პალიატური და ზედაპირულია.

ნაშრომში ვრცლად არის განხილული დანტონის მოსაზრებები სათემო მიწების გაყიდვის წესის შესახებ.

ახლა გადავიდეთ დანტონის პროექტზე. იგი შედგება 29 მუხლისაგან. მიწების დახარისხების შემდეგ დაიწყება მათი გაყიდვა აუქციონის საშუალებით. პროექტის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა მიწების გაზომვას და მის შეფასებას უმაღლესი ფასის მიხედვით. „ეს თავისთავად გამორიცხავდა რაიმე შეღავათს ღარიბი გლეხებისათვის, როგორც საუქციონო ვაჭრობის დროს, ისე შესყიდული მიწის ფასის გასტუმრების შემთხვევაში" (518, გვ. 180). ნიშანდობლივია, რომ დანტონი მოითხოვს სათემო მიწების დაყოფას მსხვილ ნაკვეთებად, რომელსაც პროექტის ავტორის შეხედულებით მაღალი ფასი უნდა დაედოს. ასეთ სიტუაციაში საშუალო და ღარიბი გლეხი ბუნებრივია, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ამ კუთხით ყურადღებას იპყრობს პროექტის მეექვსე მუხლი. დანტონი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სათემო მიწების გადასვლისა მცირე მიწიანი გლეხის ხელში (518, გვ.181). დანტონის პროექტის სუსტ მხარეს ალ. ნამორაძე ხედავს მსხვილი მეჯოგეებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, რომლებიც სათემო მიწების გაყოფის შემთხვევაში კარგავდნენ სათემო საძოვრებს (518, გვ. 182). „საინტერესოა აღინიშნოს, რომ შარლ დანტონის გზას არ გაყვა არც ლეგისლატივი და არც ეროვნული კონვენტი. ორივე მათგანმა მიიღო გადაწყვეტილება გლეხებს შორის სათემო მიწების გაყოფის და არა გაყიდვის შესახებ" (518, გვ. 179) - დასძენს ალ. ნამორაძე.

ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ალ. ნამორაძე ღრმად ჩაწვდა შარლ დანტონის პროექტის არსს და ნათლად წარმოაჩინა მისი ძირითადი მიზანი შეიცვალოს სათემო მიწების კოლექტიური მფლობელობა, კერძო საკუთრებით, ვინაიდან დანტონის ღრმა რწმენით, ეს უკანასკნელი უფრო ნაყოფიერი და ეფექტურია, ვიდრე პირველი. აქ აისახა საკუთრებით რეალური ვითარება. „შარლ დანტონი ფიზიოკრატების მიმდევარია. სოფლის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველია და ფიქრობს, რომ მსხვილი სამეურნეო ერთეული უფრო მომგებიანია, ვიდრე წვრილი" (518, გვ. 181-182). ალ. ნამორაძე საკითხის გულდასმით შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ შარლ დანტონის სახით საქმე გვაქვს სოფლის ბურჟუაზიის ტიპიურ წარმომადგენელთან (518, გვ. 183, 185). ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ალ. ნამორაძის მოსაზრებები აველინისა და დანტონის მოხსენების და პროექტის ირგვლივ წარმოადგენს სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ახალ სიტყვად გვევლინება. ნაშრომის ბოლო გვერდებზე შეიმჩნევა ერთგვარი ტავტოლოგია, გამეორება, რომლის თავიდან აცილება ცხადია, ადვილად შეიძლებოდა. დასკვნა ცოტათი დიდია და მისი ორ ნაწილად გაყოფა შეიძლება საკამათო იყოს.

როგორც უკვე ითქვა, სათემო მიწების განაწილების საკითხი საფრანგეთის რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792) დასრულებულად არ მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, ალ. ნამორაძეს კიდევ დარჩა გადასადგმელი ერთი სერიოზული ნაბიჯი. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ამ თემის დასრულებული სახით წარმოჩენისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონების განხილვა, რითაც საკანონმდებლო კრებამ ფაქტობრივად კიდეც დაასრულა თავისი მუშაობა. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძეს ამ პრობლემის შესახებ ცალკე ნაშრომის დაწერაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ვეღარ

მოასწრო. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ალ. ნამორაძის მომავალი მონოგრაფიის მეორე თავის გეგმა შეიძლება ასე გამოიყურებოდა. თემა: სათემო მიწების განაწილების საკითხი საფრანგეთის რევოლუციის პირველ ეტაპზე შედგებოდა ორი ქვეთავისაგან: ა. სათემო მიწების განაწილების საკითხი დამფუძნებელი კრების დროს (1789-1791) და ბ. სათემო მიწების განაწილების საკითხი საკანონმდებლო კრების (ლეჟისლატივის) დროს (1791-1792). ალ. ნამორაძის შემდგომი სამი ნაშრომი წარმოადგენს საფრანგეთის რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ გამოკვლევების ახალ ციკლს, რომლის ყურადღების ცენტრში დგას ეროვნული კონვენტის პოლიტიკა სათემო მიწების განაწილების საკითხში; ეს მორიგე ციკლი უნდა დავიწყოთ ალ. ნამორაძის ნაშრომით „ფაბრის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ საფრანგეთში წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 წელს".

* * *

ეროვნული კონვენტის მისწრაფებას სათემო მიწების განაწილებისაკენ ალ. ნამორაძე ორ ფაქტორს უკავშირებს.* საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით და რაც მთავარი იყო, გლეხობის გულისმოგების მიზნით, რათა მტკიცედ დაემაგრებინა ისინი რევოლუციის ბანაკში (661, ფ.2). ავტორი ხაზს უსვამს, რომ ეროვნულმა კონვენტმა აღნიშნული საკითხის გადაჭრის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა, რაც საფრანგეთის რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარების ლოგიკური შედეგი იყო, რომელსაც ზოგიერთი თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი (ფ. ფიურე, დ. რიშე) ცოტა ეჭვის თვალით უყურებს. ფაქტობრივად, იაკობინელებმა დაასრულეს ის საქმე, რომელიც დაიწყო დამფუძნებელმა კრებამ და განაგრძო ლეჟისლატივმა (661, ფ.2).

1792 წლის 1 ოქტომბერს აირჩიეს სამიწათმოქმედო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 23 კაცი. თავდაპირველად მას ხელმძღვანელობდა ცნობილი ჟირონდისტი რაბო სენ-ეტიენი. ცოტა ხნის შემდეგ ამ ადგილზე აურჩევიათ რაბო პომიერი, მაგრამ არც ამ უკანასკნელს დასცალდა თავმჯდომარის სავარძელში დიდხანს ყოფნა. როგორც 1793 წლის 23 იანვრის სხდომის ოქმიდან ვგებულობთ, იგი ძალიან დაკავებული ყოფილა თორმეტთა კომიტეტში მუშაობით და ამიტომ მოხსენების წარდგენა დაევალა ფაბრის (661, ფ. 3-4).

სხვადასხვა საქმიანობით დაკავებულ კომიტეტს ორი თვე დასჭირდა რათა საბოლოოდ შეემუშავებინა სათემო მიწების გაყოფის პროექტი. 24 მარტს ფაბრის წაუკითხავს თავისი მოხსენება ჯერ სამიწათმოქმედო კომიტეტში, ხოლო ორი კვირის შემდეგ 8 აპრილს ეროვნულ კონვენტში (661, ფ.5) როგორც ჩანს, გამოსვლას გულგრილი არავინ დაუტოვებია და უმალ გახდა მსჯელობის საგანი, აქ ვგულისხმობთ მარენისა და სუეს კონტრმოხსენებებს.

რას მოითხოვდა ფაბრი? ამ კითხვაზე პასუხი ბუნებრივია, ფაბრის მოხსენებაში უნდა ვეძიოთ და ამიტომ ალ. ნამორაძე დაწვრილებით ჩერდება მასზე. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრი სასტიკი წინააღმდეგია დატოვოს სათემო მიწები თემის საკუთრებაში და მხარს უჭერს მათ გაყოფას გლეხებს შორის, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს სათემო მიწის გაყიდვის უფლება არ უნდა მიეცეს ათი წლის მანძილზე (661, ფ.8). რა სურდა ამით ფაბრის? მისი ჩანაფიქრით ამით თავიდან აიცილებდნენ ღარიბი გლეხის მიერ გაჭირვების, ან სხვა შემთხვევის გამო, მიწის გაყიდვას. ფაბრის სავსებით რეალურად მიაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში მიწების დიდი ნაწილი მოექცეოდა მდიდრების ხელში. ცხადია, საკითხის ასეთი გადაწყვეტა პანაცეა არ იყო და საკამათოა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვეებმა უმალ შენიშნეს ეს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მარენისა და სუეს მოხსენება. ფაბრი ცდილობს წინდახედულება გამოიჩინოს და გაითვალისწინოს ბობოლა გლეხების ოინები. იმ მიზნით, რომ მოუსპოს მდიდარ გლეხს საშუალება თავის ნებაზე ეთამაშებინა თემის საბჭო, ფაბრი მოითხოვს, სათემო მიწების გაუყოფლობისათვის თემის საბჭოს ხმების ორ მესამედს (661, ფ.8).

ამის შემდეგ ნაშრომში განხილულია ფაბრის თვალსაზრისი სათემო მიწების გაყოფის შესახებ. საინტერესოა რა პოზიცია ეკავა მას ამ პრინციპულ საკითხში. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი მსჯელობის კრიტიკული პათოსი. იგი კატეგორიულად უარყოფს სათემო მიწების გაყოფის სამივე მოდუსს: სათემო მიწების კომლობრივ გაყოფას, გაყოფას პირდაპირი პროპორციით საკუთრებისადმი და უკუპროპორციულ გაყოფას იმავე კერძო საკუთრებისადმი. ალ. ნამორაძე ვრცლად ჩერდება ფაბრის არგუმენტაციაზე (661, ფ.9-10). მაშ როგორ გაყოფას მოითხოვს ფაბრი? იგი მხარს უჭერს სათემო მიწების სულობრივ გაყოფას, რადგან მას მიაჩნია, რომ ღარიბი გლეხის ინტერესები ამ შემთხვევაში უფრო მეტად იქნებოდა დაცული, ვინაიდან ღარიბი გლეხი უფრო მრავალშვილიანია, ვიდრე მდიდარი გლეხი. ღარიბ გლეხს არ ეშინია მრავალშვილიანობის. სულობრივ გაყოფას, ფაბრის აზრით, აქვს კიდევ ერთი პლუსი. იგი მოამრავლებს მესაკუთრეებს, რაც წარმოადგენს კანონის მიზანს (661, ფ.10-11).

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ფაბრისა და მარენის პროექტების შედარებას. ალ. ნამორაძე უნდა ითქვას, რომ მისთვის ჩვეული სიღრმისეულობით აანალიზებს ამ რთულ საკითხს და ცდილობს საკუთარი დასკვნების გამოტანას. ეს მისასალმებელია, მაგრამ აქ წამოიჭრება ერთი საკითხი, რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ თემაზე საუბარი ფაბრისადმი მიძღვნილ ნაშრომში? მკითხველი ჯერ ხომ არ იცნობს მარენის მოსაზრებებს სათემო მიწების გაყოფის შესახებ და ვთავაზობთ მის შედარებას ფაბრის შეხედულებებთან? აღსანიშნავია ისიც, რომ ფაბრის მოხსენება წინ უსწრებდა მარენისას. მათი პროექტების შედარება, უდავოდ, საინტერესოა, მაგრამ ამის გაკეთება ფაბრისადმი მიძღვნილი ნაშრომში საკამათოდ მიგვაჩნია და, ალბათ, უფრო უპრიანი და თანამიმდევრული იქნებოდა მარენზე გამოქვეყნებულ ნაშრომში (661, ფ. 13-14).

რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძე დეტალურად განიხილავს ფაბრის პროექტს და გვაძლევს მის შეფასებას (661, ფ. 10-11). ფაბრის პროექტი ითვალისწინებდა სათემო მიწების სულობრივად გაყოფას და იგი დიდად შეუწყობდა ხელს წვრილი გლეხური საკუთრების ჩასახვასა და მომრავლებას. ფაბრის პროექტს აქვს თავისი კონკრეტული მიზანი. გლეხობა ჩააყენოს რევოლუციის ბანაკში; ბუნებრივია, რომ ფაბრის პროექტი საბოლოო არაა და მას გააჩნია თავისი მინუსები. აქ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ის, რომ მიწების გაყიდვის აკრძალვა 10 წლის ვადით შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არაა. ათი წლის შემდეგ გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხს სრული უფლება ჰქონდა გაეყიდა მიწა. იგი, ცხადია, კვლავ მდიდარი გლეხის ხელში აღმოჩნდებოდა, ხოლო ღარიბი გლეხი ისევ მშრალზე დარჩებოდა. დასახული მიზანი კვლავ განუხორციელებელი დარჩებოდა (661, ფ.17). ალ. ნამორაძე დაწვრილებით განიხილავს თუ როგორ უნდა წარმართულიყო ფაბრის პროექტის მიხედვით, სათემო მიწების გაყოფა და ვის ჰქონდა და ვის არა, ფაბრის აზრით, მასში მონაწილეობის უფლება (661, ფ. 23-26).

ჩვენი აზრით, ნაშრომის ერთი მონაკვეთი საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს, თუმცა ფრიად აქტუალურ თემას ეხება და წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, უდავოდ, მაღალ დონეზეა შესრულებული. რევოლუციის წინ გლეხთა დიფერენციაციაზე შეჩერება საკმაოდ გვაშორებს ძირითად საკითხს ფაბრის მოხსენების და პროექტის შეფასებას და ამიტომ ამ ნაშრომში მისი განხილვა უმართებულოდ მიგვაჩნია (661, ფ. 35-52). აქ, რა თქმა უნდა, კვლავ გრძელდება პოლემიკა ისტორიკოს ს. კუნისკისთან, რომელიც ამტკიცებდა რომ „ფაბრის პროექტი გამოხატავდა უმთავრესად საშუალო გლეხობის ინტერესებს" (279, გვ. 153-54). ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს. იგი ეყრდნობა რა საფრანგეთის გლეხობის ქვეფენების საკუთარ ანალიზს ასკვნის, რომ სამიწათმოქმედო კომიტეტი ფაბრის პროექტით, სათემო მიწების განაწილების საკითხს წყვეტდა მდიდარი, საშუალო და უღარიბესი გლეხობის სასარგებლოდ (661, 3-56) და ვფიქრობთ, დამაჯერებლად გვიხსნის ამის მიზეზებს.

* * *

ალ. ნამორაძის მომდევნო ორი ნაშრომი ეძღვნება მარენისა და სუეს მოხსენებას.. ისინი უმთავრესად იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ წარმოადგენს სამიწათმოქმედო კომიტეტის, ფაბრის პროექტის, კონტრმოხსენებას. მარენის მოხსენებიდან კარგად ჩანს, რომ იგი პოლემისტურადაა განწყობილი და არ იზიარებს სამიწათმოქმედო კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ პროექტს სათემო მიწების განაწილეობის თაობაზე. ალ. ნამორაძის ნაშრომი იწყება დისკუსიით ს. კუნისკისთან, იაკობინთა აგრარული პოლიტიკის შეფასების საკითხში. იგი მას ორ სერიოზულ ბრალდებას უყენებს: 1. არათანამიმდევრულობა (ს. კუნისკი ამკარა წინააღმდეგობაში ვარდება როდესაც ერთ ადგილას ხაზს უსვამს, რომ იაკობინთა აგრარული პოლიტიკა მიზნად ისახავდა საშუალო გლეხობის ინტერესების დაცვას, ხოლო მეორე ადგილას დასძენს, რომ იაკობინელები საკითხს წყვეტდნენ საშუალო და ნაკლებად შეძლებული გლეხობის სასარგებლოდ) (279, გვ. 161-169) 2. სათანადოდ არაა ხაზგასმული საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაცია. მკაფიოდ არ ჩანს თუ რას გულისხმობს ს. კუნისკი ამა თუ იმ ფენაში. მარენისადმი მიძღვნილ ნაშრომის დაწყება ამ პასაჟით, საკამათო შეიძლება იყოს. ეს საკითხი როგორც ისტორიული ფონი, ჩვენი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა ფაბრიზე დაწერილი ნაშრომის დასაწყისში, ვინაიდან პირველი სწორედ აქ წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ წყდება სათემო მიწების განაწილება ეროვნული კონვენტის დროს; ის, რაც არადამაჯერებლად გამოიყურებოდა მარენზე ნაშრომში, ლოგიკური იქნებოდა ფაბრიზე ნაშრომში.

მარენის მოხსენებებსა და პროექტზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ წყვეტდა იგი სათემო მიწების განაწილების საკითხს? რამდენად შეესატყვისებოდა მარენის პროექტი იაკობინთა აგრარულ პოლიტიკას? რით განსხვავდებოდა იგი სამიწათმოქმედო კომიტეტის ანუ ფაბრის პროექტისაგან? დაბოლოს, რაც მთავარია, რატომ უარყო იგი ეროვნულმა კონვენტმა? აი საკითხების ის წყება, რომელიც ალ. ნამორაძის ყურადღების ცენტრში დგას და რომელზე პასუხის გაცემასაც ეძღვნება ქართველი ისტორიკოსის გამოკვლევა.

მარენი თავისი მოხსენების პირველივე სიტყვებში ხაზს უსვამს, რომ სადისკუსიოდაა განწყობილი და მისი კრიტიკული ისრები უმთავრესად მიმართულია სამიწათმოქმედო კომიტეტის, ფაბრის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მარენის ღრმა რწმენით, „არ შეესატყვისებოდა კონვენტის ქველმოქმედებას და მის შეხედულებებ', სამართლიანობაზე" (659, ფ.4).

უპირველეს ყოვლისა მარენი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მიწების გაყოფის შესახებ სამიწათმოქმედო კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ მოდუსს. მას, სათემო მიწების სულობრივი გაყოფა, რასაც გეთავაზობს ფაბრი, მიუღებლად მიაჩნია. მარენს ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ეს მოდუსი სულაც არ გააუმჯობესებდა ღარიბთა მდგომარეობას. სათემო მიწები უპირატესად თავს მოიყრიდა მდიდრების ხელში. მარენის მეორე არგუმენტი ისაა, რომ სულობრივი გაყოფის შედეგად მოგებული აღმოჩნდებოდა მრავალშვილიანი ოჯახები , ხოლო მცირეწევრიანი ოჯახები, სულობრივი გაყოფის შედეგად, სათემო მიწებიდან ძალიან მცირე ნაწილს მიიღებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მარენს ზედაპირულად ეჩვენება ფაბრის ჩანაფიქრი აკრძალოს მიწის გაყიდვა 10 წლის ვადით. იგი ფიქრობს, რომ ეს საქმეს ვერ უშველიდა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ღარიბი გლეხი ბოლოს და ბოლოს მაინც გაყიდდა თავის წილ მიწას და შემდეგ კვლავ სილა-

ტაკის კლანჭებში აღმოჩნდებოდა (659. ფ.18). აღსანიშნავია, რომ მარენი წინდახედულებას იჩენს და ცდილობს თავიდან აიცილოს მეორე უკიდურესობა და არ გააუარესოს მესაკუთრეთა ინტერესები ისე, რომ იგი აღმოჩნდეს უფრო უარეს პირობებში, ვიდრე ის ფენა, რომელსაც არაფერი მოეპოვებოდა (659. ფ.7). მარენის მოხსენების ეს ტენდენცია საინტერესოა და განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერდა მე-20 საუკუნის შუა ხანებში, როდესაც იწერებოდა ალ. ნამორაძის ეს ნაშრომი. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მსგავს შეცდომას თავი ვერ დააღწიეს კოლექტივიზაციის დროს, როდესაც მოსპეს ე.წ. კულაკობა, შეძლებული გლეხობა და მოხდა გათანაბრება უკიდურესი სიღატაკის დონეზე.

მარენი განსაკუთრებით აღშფოთებულია იმით, რომ ფაბრის პროექტი საშუალებას აძლევს კონტრრევოლუციონერებს სარგებელი ნახონ სათემო მიწების გაყოფით და ამიტომ თავის შანსს შრომისმოყვარე მეურნეს მიიღოს სათანადო ნაწილი სათემო მიწებიდან.

ბუნებრივია, იბადება კითხვა მაშ რა სურს მარენს? მის მიერ სათემო მიწების გაყოფის შემოთავაზებული მოდუსი იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ იგი ითვალისწინებს ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ინტერესებს. მისი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა არა სულობრივად გაყოფა, როგორც ამას ფაბრი გვთავაზობს, არამედ ფასობრივად გაყოფა (659, ფ.8). მარენი ფიქრობს, რომ საჭიროა სათემო მიწების გაყოფა საკუთრებისადმი უკუპროპორციით. ასეთ პირობებში მისი აზრით, მოგებული დარჩებოდა ღარიბი და უღარიბესი გლეხობა, რომლებიც მიიღებდნენ მიწას (659. ფ. 8-9).

საინტერესოა მარენის მსჯელობა იმის თაობაზე თუ ვინ არ შეიძლება დაშვებულ იქნეს სათემო მიწების გაყოფაში და ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მასში. მარენის თანახმად, არის ისეთი ოჯახები, რომლებიც თავს ირჩენენ ხელოსნობით და მათი მონაწილეობა სათემო მიწების გაყოფაში, მიაჩნია, რომ სამართლიანი არ იქნებოდა (659. ფ.9).

ფაბრისგან განსხვავებით მარენი ფიქრობს, რომ კერძო საკუთრების გასხვისება, გაყიდვა დაუშვებელია. ამავე დროს ის კარგად გრძნობს, რომ ეს ღონისძიება ხსნა არაა და მას განიხილავს როგორც დახმარებას, ეროვნულ ქველმოქმედებას. ასეთ საშუალებას მარენი ხედავს საკომუნალო ფონდებში, რომელმაც, მისი ჩანაფიქრით, უნდა შემოინახოს მიწის რესურსები ღარიბებისათვის (659, ფ. 10-12).

წმინდა კომპოზიციური ხასიათით ნაშრომი წინააღმდეგობრივ შთაბეჭდილებას ტოვებს. მარენის პროექტი განხილულია ვრცლად ალ. ნამორაძის წინა ნაშრომში ფაბრიზე, ხოლო თვით მარენისადმი მიძღვნილ ნაშრომში მისი პროექტი ძალზე მკრთალადაა წარმოჩენილი. ეს ერთგვარ უხერხულობას ქმნის და ალ. ნამორაძის შრომების ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია.

მარენის პროექტი გლეხებს სათემო მიწებს აძლევდა დროებით სარგებლობაში, ვიდრე რომელიმე ოჯახი გაჭირვებული იქნებოდა. იგი სასტიკი წინააღმდეგია როგორც სათემო მიწების გასხვისების, ისე მათი სამუდამოდ გაცემის. მარენს სურს გაღატაკებული გლეხების მაგვარად კერძო მესაკუთრე გლეხობის შექმნა. იგი იმედოვნებს, რომ უღარიბესი გლეხობა შეინარჩუნებს სათემო მიწებიდან დროებით მიღებულ მონაკვეთს, როგორც კერძო საკუთრებას. ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს, რომ „მარენი სათემო მიწების გაყოფას უყურებდა არა წვრილი საკუთრების შექმნის მიზნით, როგორც ამას ფაბრი ფიქრობდა, არამედ გაჭირვებულისათვის დახმარების მიზნით" (661, ფ. 17-18).

როგორც მარენის პროექტის მეექვსე მუხლიდან ჩანს მისი ყურადღების ცენტრშია და დიდ მზრუნველობას იჩენს უღარიბესი გლეხობის მიმართ. მისი შეხედულებით, მათ პირველ რიგში უნდა მივცეთ კუთვნილი წილი სათემო მიწებიდან. თანასწორი იმისა, რაც ყოველ გლეხს ერგებოდა მთელი მიწების თანასწორი გაყოფის შედეგად, აღსანიშნავია, რომ მარენი მარტო ამ დახმარებით არ კმაყოფილდება და მოითხოვს, რომ უღარიბეს გლეხებს დამატებით მიეცეს სათემო მიწების ის ნაწილი, რომელიც არ მიეცათ მიწის მესაკუთრეებს. ეს არაფრისმქონე გლეხს საკმაოდ უზრუნველყოფდა (661, ფ. 20-21).

საგულისხმოა, რომ ასევე ყურადღებიანი იყო და ზრუნავდა მარენი მცირე მიწიან გლეხებზე. მისი პროექტი აქაც ითვალისწინებდა გარკვეულ შეღავათიან პირობებს, თუმცა მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღოთ იმაზე მეტი სათემო მიწებიდან ვიდრე ერგებოდა უღარიბეს გლეხს (661, ფ.21). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარენი თავის პროექტში პრაქტიკულად ცდილობს თავიდან აიცილოს იმის საშიშროება, რომ შეძლებულმა გლეხმა არ მოინდომოს სათემო მიწების უზურპაცია ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ხარჯზე (661, ფ.22).

ალ. ნამორაძემ, ვფიქრობთ, დამაჯერებლად უჩვენა ის პრინციპული განსხვავება, რომელიც ფაბრისა და მარენის პროექტს შორის იყო და შეეცადა აეხსნა ამის მიზეზები. ამ მოტივებს, რა თქმა უნდა, კიდევ მეტ ნათელს მოჰფენდა ის ფაქტი, რომ ფაბრისა და მარენის პიროვნებისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ წყაროებში სარწმუნო ცნობები მოგვეპოვებოდეს.

მარენისადმი მიძღვნილი ნაშრომის დასასრულს ალ. ნამორაძე განიხილავს ორ საკითხს: 1. რატომ არ მიიღო მარენის პროექტი კონვენტმა, 2. მარენის პროექტის შეფასების საკითხში ეკამათება ს. კუნიკის. შეიძლება დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, როდესაც ფიქრობს, რომ მარენის პროექტის უგულვებელყოფის ერთ-ერთი მიზეზი იაკობინთა ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ნაშრომში იაკობინთა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია, თუმცა სავსებით შეესატყვისებოდა ისტორიული მეცნიერების განვითარების ძირითად ტენდენციებს საბჭოთა კავშირში მე-20 საუკუნის შუა ხანებში. ეს პირველ რიგში ეხება იაკობინების დახასიათებას როგორც წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურა (659; ფ.58-59); 576; 356; 606)

საინტერესოა ალ. ნამორაძის დისკუსია ს. კუნისკისთან, რომელსაც მიაჩნდა, რომ მარენს სურს ფაკულტატური გაყოფა ფაქტობრივად სავალდებულო გახადოს და სათემო მიწების გაყოფას იმპერატიული ხასიათი მისცეს. ალ. ნამორაძე მარენის პროექტიდან ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს ვერ ხედავს და ეს მოსაზრება საკამათოდ ესახება. „სათემო მიწების გაყოფა ვერ გადაიქცეოდა სავალდებულოდ და ვერ მიიღებდა იმპერატივის ხასიათს ჯერ ერთი იმიტომ, რომ საჭირო იყო სადისტრიქტო ადმინისტრაციის მხრივ დანიშნული ექსპერტების მიერ შემოწმება სათემო მიწების გაყოფის შესაძლებლობის შესახებ მუნიციპალური ორგანოს ერთი ან ორი მოხელის თანდასწრებით. მეორეც ერთი და რაც მთავარია საჭირო იყო აგრეთვე სადეპარტამენტო ადმინისტრაციის საბოლოო დასტური. ამ პირობებში სათემო მიწების გაყოფა, რა თქმა უნდა, ვერ გადაიქცეოდა სავალდებულოდ. იგი ვერ მიიღებდა იმპერატიულობის ხასიათს. დასასრულ, ალ. ნამორაძე გაგვაცნობს ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს. ისინი მეცნიერულად ღირებულია და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ალ. ნამორაძემ თავისი სიტყვა თქვა მარენის მოხსენების და პროექტის ირგვლივ, მაგრამ დასკვნა ცოტათი გაჟიანურებული ჩანს და დიდია, იგი ჩვენი აზრით, უფრო მეტად სამეცნიერო ნაშრომის თეზისებს უფრო გვაგონებს, ვიდრე დასკვნას. ზოგიერთი მუხლის გაერთიანება, ვფიქრობთ, გამორიცხული არ უნდა იყოს. ამით დასკვნა უფრო კომპაქტურ სახეს მიიღებდა.

* * *

სუეს მოხსენების და პროექტის განხილვით მთავრდება სათემო მიწების განაწილებისადმი მიძღვნილი ის შრომები, რომლის დაწერაც ალ. ნამორაძემ მოასწრო. ეს ბოლო ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისაგან: 1. შესავალი, რომელიც უპირატესად ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს, 2. სუეს მოხსენების განხილვა, 3. სუეს პროექტი, 4. მიღებული დასკვნები.

სუე რომელიც ამავე დროს სამიწათმოქმედო კომიტეტის წევრიც ყოფილა წარუდგენია კონვენტისათვის თავისი მოხსენება და პროექტი სათემო მიწების განაწილების შესახებ. იგი გამოვიდა კონვენტში თანამომხსენებლად 1793 წლის 23 აპრილს (664, ფ.1).

შესავალში, ალ. ნამორაძე ს. კუნისკისთან კამათში ცდილობს გამოკვეთოს თავისი პოზიცია სუეს მოხსენების და პროექტის ირგვლივ, რაც ნაშრომში ყველაზე უფრო საინტერესოდ მიგვაჩნია. ს. კუნისკი ფიქრობს, რომ „სუე სოფლის შეძლებული გლეხობის იდეოლოგი იყო და თავისი სოციალური ფიზიონომიით ჟირონდისტებს ენათესავება" (279, გვ. 157). როგორც ალ. ნამორაძე ვარაუდობს ასეთი მტკიცება ორ არგუმენტს ემყარება: 1. სუე მთიანი ვოგეზების დეპარტამენტიდანაა, სადაც მეჯოგეობაა განვითარებული და ამიტომ იგი მსხვილი მეჯოგეობის ინტერესების დამცველია. 2. სუეს პროექტის მიხედვით სათემო მიწები უნდა განაწილდეს კომლობრივად, რაც მრავალშვილიან, შეძლებულ და საშუალო გლეხს აძლევდა ხელს (664, ფ.1).

უნდა დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს როდესაც მიიჩნევს, რომ სუეს მიკუთვნება ჟირონდისტების პარტიისადმი საკამათო შეიძლება იყოს. მას მიაჩნია, რომ ამისათვის საკმარისი არაა ის ფაქტი, რომ სუემ ხმა მისცა, ჟირონდისტების მსგავსად, განეკადებინათ მეფის სიკვდილით დასჯა და მიემართათ აპელაციით ხალხისათვის. ამის დასამტკიცებლად უფრო მეტი არგუმენტაციის მოხმობა იყო საჭირო. ალ. ნამორაძის აზრით, მისი პოლიტიკური მრწამსის გამოსარკვევად ყველაზე უკეთესი მასალაა მისი მოხსენება. აქედან გამომდინარე კი სუეს ჟირონდისტთა პარტიისადმი მიკუთვნება გაძნელდებოდა (664, ფ.1).

ს. კუნისკისთან კამათის დროს ალ. ნამორაძეს მტკიცედ უპყრია ხელთ ლოგიკური ძაფი და მიყვება მას, რაც მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. უპირველეს ყოვლისა, ალ. ნამორაძე ლოგიკურად სვამს საკითხს – მთაგორიანი დეპარტამენტებიდან სამიწათმოქმედო კომიტეტის სხვა დეპუტატებიც იყვნენ, თუნდაც იგივე აველინი, მაგრამ არავინ არ ამტკიცებს, მათ შორის კუნისკიც, რომ ისინი მეჯოგეობის ინტერესებს იცავდნენო. თუ სუე ამგვარ პოზიციაზე იდგა, ალ. ნამორაძის მოსაზრებით, ლოგიკური იქნებოდა მოეთხოვა, რომ სათემო მიწები ხელუხლებლად დაეტოვებინა თემის საერთო საკუთრებაში, მაგრამ იგი ასე არ იქცევა და მოითხოვს, რომ სათემო მიწების გაყოფას ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონოდა და არა იძულებითი. ალ. ნამორაძეს მიაჩნია, რომ რადგან სუე მოითხოვს სათემო მიწების კომლობრივად გაყოფას ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი საშუალო და შეძლებული გლეხობის ინტერესების დამცველი იყოს. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ ს. კუნისკი ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მთელ რიგ გარემოებებს: ა. სუე არ სპობს თემურ მფლობელობას სათემო მიწებზე. მას მიაჩნია, რომ მათ გაყოფას უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი და არა საბოლოო, ბ. თვით დროებითი გაყოფა უნდა ყოფილიყო ფაკულტატიური და არა იმპერატიული, როგორც სამიწათმოქმედო, ისე მეჯოგეობის რაიონებისათვის. გ. გაყოფის პრინციპი იქნებოდა იგი კომლობრივი თუ სულობრივი გამომდინარეობდა ერთსა და იმავე თანასწორობის პრინციპიდან. ამიტომ, დაასკვნის ალ. ნამორაძე ვერ ვიტყვით რომ ყველაფერი ეს ბობოლა გლეხობის წისქვილზე ასხამდა წყალს (664, ფ.46).

ს. კუნისკისთან კამათის გაგრძელება ფაბრისა და სუეს შეხედულებების შედარების გზით, ჩვენი აზრით, ზედმეტი შეიძლება იყოს. მისი პოზიცია ს. კუნისკისთან დავაში სუეს მოხსენების და პროექტის ირგვლივ, ვფიქრობთ მკაფიოდაა გამოხატული. ამიტომ ტექსტის ზედმეტი გადატვირთვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ცოტათი აძნელებს მკითხველისათვის მთავარი სათქმელის აღქმას (664, ფ.7-10).

ალ. ნამორაძის ნაშრომის მეორე მონაკვეთი მიზნად

ისახავს სუეს მოხსენების განხილვას და ანალიზს. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას რომ სუეს მოხსენება და პროექტი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ის გაგვაცნობს იმ ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა კონვენტის კომიტეტში სათემო მიწების განაწილების გარშემო (664, ფ.14). სუეს მიხედვით, სათემო მიწები ნამდვილი საჩუქარია, რომლებიც დაუტოვებიათ წინაპრებს თემისათვის. ამიტომ იგი სასტიკად ეწინააღმდეგება სათემო მიწების ლიკვიდაციას. სუე მოითხოვს სათემო მიწების ვაყოფას, რომელთაც სარგებლობის უფლებას დესპოტიზმი დიდი ხნის განმავლობაში უსპობდა ღარიბ-ღატაკებს.

ალ. ნამორაძემ ვფიქრობთ, დამაჯერებლად ცხადყო ის პრინციპული განსხვავება, რომელიც სუესა და ფაბრის შეხედულებებს შორის იყო. ერთ-ერთი პრინციპული საკითხი, რომელსაც სუე აყენებს თავის მოხსენებაში არის სათემო მიწების განაწილება გლეხებს შორის. როგორ ხასიათს უნდა ატარებდეს იგი? დროებითი უნდა იყოს, თუ საბოლოო და სრული, ე.ი. მიეცეს თუ არა გლეხს მისი კუთვნილი წილი სრულ და სამუდამო საკუთრებად. ამ საკითხებზე სუეს მსჯელობა პოლემისტური ტონით გამოირჩევა და მისი ისრების უმთავრესად მიმართულია სამიწათმოქმედო კომიტეტის. ფაბრის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც როგორც უკვე ითქვა, ითვალისწინებდა სათემო მიწების გადაცემას გლეხებისათვის სრულ და საბოლოო საკუთრებად, სუე სულ სხვაგვარად ფიქრობს და შესაძლებლად მიაჩნია სათემო მიწების განაწილება იყოს დროებითი და პერიოდულად მოხდეს მისი ხელახალი გადანაწილება, წინასწარ დადგენილ ვადებში. სუეს ჩანაფიქრის მიხედვით, საერთო მფლობელობისა და საერთო სარგებლობის პრინციპი შეერწყმოდა კერძო მფლობელობისა და ინდივიდუალური სარგებლობის პრინციპს. ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ფრანგი გლეხი, რომელი სოციალური ფენიდანაც არ უნდა ყოფილიყო, იგი სხვა მესამე პრინციპს ვერ წამოაყენებდა. ასე რომ სუეს მოთხოვნა გლეხობის ყველა ფენისათვის მისაღები იყო და ამიტომ ვერ გამოვიტანთ დასკვნას, რომ სუე მხოლოდ შეძლებული გლეხობის ინტერესებს გამოხატავდაო. (664. ფ. 15-16).

ალ. ნამორაძემ, ვფიქრობთ, კარგად დაინახა ის მოტივები, რომლის გამოც სუე ასე თავგამოდებით იცავდა ღარიბთა ინტერესებს. ალ. ნამორაძის თანახმად, სუეს ზრუნვა ღარიბ გლეხებზე უმთავრესად პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახები და ამით სუეს სურდა თავიდან აეცილებინა რევოლუციის შემდგომი გაღრმავება. აღსანიშნავია, რომ სუე კარგად გრძნობს, რომ რევოლუციის შემდგომი გაღრმავების მთავარ ინიციატორად, სწორედ ღარიბი გლეხობა შეიძლება მოგვეველინოს. (უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მას პოლიტიკური ალღო ნამდვილად არ ღალატობდა). სუე კარგად ხედავდა, რომ თუ მათი ინტერესები დაკმაყოფილებული არ იქნა, ისინი იარაღს მოკიდებენ ხელს. სუეს მიხედვით, რევოლუციას ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ ამ მხრიდან ელოდა. ამიტომ საჭიროა გლეხობის რევოლუციის მხარეზე გადმოყვანა. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად მას სათემო მიწების გაყოფა ესახება. გლეხობის მატერიალურ მდგომარეობაზე დიდადაა დამოკიდებული რევოლუციის ბედი. სუეს მიაჩნია, რომ სათემო მიწების გაყოფით მიღწეული იქნება პოზიტიური შედეგები. ღარიბებს შესამჩნევად შეუმსუბუქდებათ მდგომარეობა. ეს კი ფიქრობს სუე უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია. გლეხი, რომელიც მიიღებს მიწას თავდადებული იქნება სამშობლოსათვის და რაც მთავარია, მთლიანად რევოლუციის მხარეზე დადგება. არის სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც. უკეთეს პირობებში ჩაყენებული გლეხი, ბუნებრივია, მეტ დოვლათს შექმნის და რიცხობრივადაც მომრავლდებიან. ყველაფერი ეს სასარგებლო იქნება ფრანგი ხალხისათვის. სუე კერძო საკუთრების მოტრფიალეა (664, გვ.20).

ეჭვს გარეშეა, რომ სუე რევოლუციის შემდგომი გაღრმავების მოწინააღმდეგეა და იმისათვის, რომ ეს თავიდან აიცილოს მიზანშეწონილად მიაჩნდა ღარიბ გლეხებზე ზრუნვა. ამიტომ მისი კავშირი იაკობინთა პარტიის მემარცხენე ფრთასთან გამორიცხული უნდა იყოს. ვერ ვიტყვით, რომ იგი უანგაროდ ზრუნავდა ღარიბებზე, მაგრამ ობიექტურად, განსხვავებით თავისი სუბიექტური ჩანაფიქრისა დემოკრატიის წისქვილზე ასხამდა წყალს (664; ვ. 18 და 22).

აქტუალურია სუეს მოსაზრებები მთიან რაიონებში სათემო მიწების განაწილების შესახებ. ის გამოთქვამს იმედს, რომ კონვენტის დეპუტატები არ მოისურვებდნენ საძოვრების საბოლოოდ გამოყოფას, რაც, მისი აზრით, აუნაზღაურებელ ზარალს მიაყენებდა მეჯოგეობას (664, ფ.26). სუე, მარენის მსგავსად სასტიკად ილაშქრებს ფაბრის პროექტის წინააღმდეგ, რომლის თანახმად ათი წლის განმავლობაში ღარიბ გლეხებს უფლება არ ჰქონდათ გაეყიდათ ან გაესხვისებინათ რაიმე სახით თავისი წილი მიწის ნაკვეთი. სუე მარენთან ერთად ფიქრობს, რომ ეს გამოსავალი არ იყო და გაღატაკებისაგან ვერ გადაარჩენდა ღარიბ გლეხს (664, ფ.29).

ალ. ნამორაძის ნაშრომის მესამე მონაკვეთი მიზნად ისახავს სუეს პროექტის ანალიზს. იგი ოთხი მუხლისაგან შედგება: პირველ მუხლში სუე აღნიშნავს, რომ სათემო მიწების გაყოფა უნდა მოხდეს კომლობრივად და ამას უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი. მის ვადებს განსაზღვრავს სათემო ყრილობები. შემდგომში შეიძლება კვლავ მოხდეს განაწილებები ადგილმდებარეობის და მცხოვრებთა მატერიალური პირობების მიხედვით. ეს სუეს პროექტის მესამე მუხლია. მეორე მუხლში საუბარია იმის თაობაზე, თუ ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სათემო მიწების გაყოფაში. მეოთხე მუხლი ეხება მეტად მტკივნეულ საკითხს. რა ვუყოთ საძოვრებს და ისეთ მიწებს, რომლებიც დროგამოშვებით დასვენებას საჭიროებს. სუეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს მიწები დარჩეს თემის სარგებლობაში (664, ფ. 33-34).

სუეს პროექტის თანახმად, თემებს თავისით უნდა

გადაეწყვიტათ გაეყოთ სათემო მიწები თუ კვლავ თემის საკუთრებაში დაეტოვებინათ. აღსანიშნავია, რომ სუეს ეს წინადადება, ბობოლა გლეხების გარდა, ყველასათვის მისაღები უნდა ყოფილიყო (664; ფ.38). კიდევ ამიტომ ვერ ჩაითვლება სუე ბობოლა გლეხობის ინტერესების ქომაგად „ნიშანდობლივია, რომ სუე თვითონაც კარგად გრძნობს თავისი მოთხოვნების რეტროგრადულობას, მაგრამ იგი ამას აკეთებს საერთო მომენტიდან გამომდინარე და უპირატესობას აწმყოს ანიჭებს და არა მომავალს" (664, ფ.39).

დასკვნის შესახებ უნდა გავიმეოროთ ყოველივე ის რაც უკვე ითქვა მარენის მოხსენების განხილვის დროს. არავითარ ეჭვს არ იწვევს რა მისი მეცნიერული ღირებულება, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა მათი უფრო შეკრული სახით, კომპაქტურად გადმოცემა. მკითხველს, ცხადია, უფრო გაუადვილებდა დასკვნის აღქმას და გააზრებას (664, ფ.40-43).

ალ. ნამორაძემ თავისი სიტყვა თქვა სუეს მოხსენებისა და პროექტის ირგვლივ, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი ნაშრომის მეცნიერული ღირებულება და ორიგინალობა. ს. კუნისკისაგან განსხვავებით იგი ასკვნის, რომ სუე არის წვრილი ბურჟუაზიის ტიპური წარმომადგენელი, რომელიც მომხრეა არსებული რეჟიმის სტაბილიზაციისა. იგი იცავს რევოლუციის მონაპოვარს, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ძალების ხელყოფისაგან და სურს თავიდან აიცილოს სამოქალაქო ომის შემდგომი ესკალაცია. ჩვენი აზრით, საინტერესო და ანგარიშგასაწევი შეიძლება იყოს ალ. ნამორაძის ძალიან ფრთხილი ვარაუდი, რომ შესაძლოა სუე იყოს მემარჯვენე იაკობინელი, დანტონისტი (664; ფ.43).

არსებითად ამით მთავრდება იმ ექვსი ნაშრომის მიმოხილვა, რომელიც ალ. ნამორაძემ დაწერა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ; ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევაჯამოთ მისი დისკუსია ისტორიკოს ს. კუნისკისთან. ეჭვს გარეშეა, რომ ალ. ნამორაძე გულდასმით გაეცნო ამ გამოკვლევას, მაგრამ ეტყობა, არ მოეწონა. მას ძირითადი დასკვნები საკამათოდ მიაჩნია და არ გაიზიარა. სავარაუდოა, რომ ალ. ნამორაძე სკეპტიკურად უყურებდა იმ მაღალ შეფასებას, რომელსაც ს. კუნსკის და ვ. პოზნიაკოვის წიგნს აძლევდა ახლად ფეხადგმული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ახალი ლიდერი აკად. ნ. ლუკინი. ს. კუნისკისთან ალ. ნამორაძის პოლემიკა ატარებს პრინციპულ ხასიათს და ამ დისკუსიაში უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი ისტორიკოსი უფრო ობიექტურია. ს. კუნისკის მიერ მიღებული დასკვნები ცოტათი სწორხაზოვნად და ზედაპირულად მიგვაჩნია, ხოლო ალ. ნამორაძე, ჩვენი აზრით, შეეცადა უფრო მეტი სიღრმე მიეცა ამ პრობლემის კვლევისათვის და ხაზი გაესვა, რომ ისტორიული სინამდვილე იყო გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანი. კონკრეტულად: 1. ს. კუნისკისთან ალ. ნამორაძის დისკუსია შეიძლება ითქვას, რომ იწყება პირველი პრინციპული საკითხიდან, რომელიც გლეხობის დიფერენციაციას შეეხება. ალ. ნამორაძეს საკმარისად არ მიაჩნია გლეხობის სამ კატეგორიად დაყოფა მდიდარი, საშუალო, ღარიბი, რომელსაც მხარს უჭერდა ს. კუნისკი და რომელიც საერთოდ მიღებული იყო მარქსისტულ ლიტერატურაში. ალ. ნამორაძეს მიზანშეწონილად მიაჩნია კვლევის კიდევ უფრო გაღრმავება და გლეხთა სხვადასხვა ქვეფენების გამოყოფა. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო, 2. ალ. ნამორაძე ეკამათება ს. კუნისკის სათემო მიწების გაყოფისადმი გლეხთა ცალკეული ფენების დამოკიდებულების საკითხში, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს იმ აზრთა სხვადასხვაობიდან, რომ მათ შორის სუფევს გლეხობის დიფერენციაციის საკითხში, 3. აღსანიშნავია, რომ ალ. ნამორაძე ს. კუნისკისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს და თითოეულ მომხსენებელს (ავეღინის, დანტონს, ფაბრის, მარენს და სუეს) სულ სხვადასხვა სოციალურ წრეს მიაკუთვნებს. ეს ფაქტობრივად ახალი სიტყვა იყო საკითხის ისტორიოგრაფიაში. 4. ალ. ნამორაძე ეკამათება ს. კუნისკის სათემო მიწების განაწილების საკითხში კონვენტის პოზიციის შეფასებისას და გამოთქვამს თავის არგუმენტირებულ მოსაზრებას აღნიშნულ თემაზე. 5. უნდა ვიკარაუდოთ, რომ ეს დისკუსია გაგრძელდებოდა 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობის და 1793 წლის 10 ივნისის დეკრეტის შეფასების გამოც, თუმცა კონკრეტულად თუ რა საკითხებზე იქნებოდა აქ დავა ამის თქმა ძნელია. რადგან ამ პრობლემების შესახებ სპეციალური ნაშრომის დაწერა ალ. ნამორაძემ სამწუხაროდ, ვერ მოასწრო. ასეთი ვარაუდი ემყარება იმ აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც ამ ორ ავტორს შორის არსებობს გლეხობის დიფერენციაციის საკითხში, 6. ჩვენი აზრით, ს. კუნისკის კონცეფცია გაცილებით უფრო მეტადაა პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული, ვიდრე ალ. ნამორაძის შრომები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ, რაც მის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. 7. ალ. ნამორაძე წიგნის ავტორებთან პოლემიკაში არ შედის საკანონმდებლო და დამფუძნებელ კრების აგრარული პოლიტიკის შეფასების საკითხში. ვერ ვიტყვით, რომ მას ეს მონაკვეთი ძალიან მოეწონა, მაგრამ ამ საკითხზე კამათი ცილდებოდა წმინდა აკადემიურ ინტერესებს და იდეოლოგიის სფეროში გადადიოდა. რასაც ღვაწლმოსილი მეცნიერი, საფიქრელია, მოერიდა (აქ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია „იაკობინოცენტრისტული" იყო და დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების მოღვაწეობას გულგრილად უყურებდნენ).

ალ. ნამორაძის შრომების ციკლი კონვენტის დამოკიდებულება სათემო მიწების განაწილებისადმი დასრულებულად არ მიგვაჩნია. მას გადასადგმელი დარჩა კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი. ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ამ ციკლის გასრულება ალ. ნამორაძეს განზრახული

ჰქონდა 1793 წლის 10 ივნისის დეკრეტის განხილვით, როდესაც კონვენტმა საბოლოოდ გადაწყვიტა სათემო მიწების საკითხი. ამ დეკრეტის თანახმად კონვენტმა დაუბრუნა გლეხებს ფეოდალების მიერ მიტაცებული სათემო მიწები და დაადგინა მათი სულობრივი გაყოფა (435; 368; 289; 535; 597)

დასასრულ, გვინდა შევეხოთ ერთ საინტერესო საკითხს. თუ კარგად ჩავუკვირდებით დავინახავთ, რომ ალ. ნამორაძე დაკმაყოფილდა იმ ზოგადი სქემით, რომლის მიხედვითაც დამფუძნებელმა და საკანონმდებლო კრებამ თანამიმდევრულად ვერ გადაწყვიტა სათემო მიწების განაწილების საკითხი და მისი საბოლოო გადაჭრა მხოლოდ ეროვნულმა კონვენტმა შეძლო; აღსანიშნავია, რომ ეს თვალსაზრისი მაშინ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული და აღიარებული იყო (410; 309; 255; 333). რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძეს მშვენივრად ესმოდა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არსებული „იაკობოცენტრიზმის" პირობებში ამ საკითხის შედარებით უფრო ობიექტურად წარმოჩენის უფლებას არავინ მისცემდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შეფასება გარკვეულ გადასინჯვას საჭიროებს. აქ, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ფეოდალიზმის რადიკალური რღვევის გაიდიალება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან მას გააჩნდა თავისი პლუსებიც და მინუსებიც. პირველ რიგში საჭიროა ხაზი გაუსვათ იმას, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტის საქმეში დამფუძნებელი ან საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის დაკნინება ან უგულებელყოფა მართებული არ იქნებოდა (277). ამ საკითხის გადაწყვეტის სწორ გზას უკვე დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრება ადგა. პრობლემისადმი მათი მიდგომა სახელმწიფოებრივი იყო, მაგრამ მათ უბრალოდ ვერ მოასწრეს ამ საკითხის იურიდიული გაფორმება. ეს არცაა გასაკვირი. ეს იყო საკმაოდ მწვავე, აქტუალური, რთული თემა, რომლის გადაწყვეტა სულაც არ იყო ადვილი საქმე. ამიტომ ძნელია ვუსაყვედროთ მათ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა. მორიგი სერიოზული ნაბიჯი ამ საკითხის გადაწყვეტის გზაზე იყო 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობა, რომლის მიმართ პ. კროპოტკინის თავშეკავებული დამოკიდებულება საკამათო უნდა იყოს (277; გვ. 324-325). ვფიქრობთ, რომ 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობა ყველაზე უფრო კარგი საბუთი იყო იმისა, რომ საკანონმდებლო კრება ამ პრობლემის გადაწყვეტის საკითხში სწორ გზას ადგა, მაგრამ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შემდეგ პოლიტიკურ ძალთა განლაგება საფრანგეთში მკვეთრად შეიცვალა. კონსტიტუციური მონარქია დაემხო და საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. ალბათ, საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია კიდევ დიდხანს იარსებებდა, რომ არა საგარეო პოლიტიკური გართულებები, 1792 წლის 20 აპრილს დაწყებული ომი ევროპასთან. ის რაც დამფუძნებელმა და საკანონმდებლო კრებამ ვერ გააკეთა სამ წელიწადში (1789-1792) კონვენტმა გადაწყვიტა ექვს კვირაში. იაკობინები აგრარულ საკითხს მიუდგნენ პრაგმატულად და გადაჭრეს კონიუნქტურულად. მათ აგრარული საკითხის რადიკალური გზით გადაწყვეტით სურდათ რევოლუციის სამსახურში ჩაეყენებინათ გლეხობა. იმ კონკრეტულ მიზანს მათ მიაღწიეს. რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მათი წარმატებები 1793 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე, მაგრამ ამ გზით აგრარული საკითხის გადაჭრის პერსპექტივა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. რა მისცა ფრანგ ხალხს აგრარული საკითხის რადიკალურმა გადაწყვეტამ? როგორც დამაჯერებლად ცხადყო ფრანგმა ისტორიკოსმა ჟორჟ ლეფევრმა თავის წიგნში „აგრარული საკითხი ტერორის დროს", მიწების განაწილების საერთო ბალანსი სულაც არ აღმოჩნდა ღარიბი გლეხის სასარგებლოდ. ყველაზე უფრო კარგი ნაყოფიერი მიწები ხელში ჩაიგდეს მემამულეებმა, შეძლებულმა გლეხობამ, სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზიამ. აგრარული საკითხის რადიკალური გზით გადაჭრის შედეგად ღარიბი გლეხის მიერ მიღებული მიწა იყო გაცლებით უფრო ცოტა. უმიწობის პრობლემა შემცირდა, თუმცა არ გამქრალა (301; გვ. 324-228). აგრარული საკითხის რადიკალური, დემოკრატიული გადაწყვეტა როდი განაპირობებდა მის უცილობელ პროგრესულობას. სწორედ ამ კუთხით შეხედა საკითხს გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟორჟ ლეფევრმა. იგი, ხაზს უსვამს რომ „მართალია გლეხებმა მოსპეს ფეოდალური რეჟიმი, მაგრამ ამას თან მოჰყვა საფრანგეთის აგრარული განვითარების კონსერვატული სტრუქტურის განმტკიცება, რომელმაც განაპირობა საფრანგეთის კაპიტალისტური ევოლუციის ნელი ტემპი." უნდა დავეთანხმოთ, ა. ლუბლინსკაიას, რომ „სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ფრანგული ვარიანტის შედარება ევროპულთან და ამერიკულ ვარიანტთან ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური პრობლემაა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ შესწავლას" (301; გვ. 247). აღსანიშნავია, რომ ამ საკითხით ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში ინტერესდებოდა ნ. ფრაიბერგი, მაგრამ იგი 1935 წელს, სრულიად ახალგაზრდა 40 წლის ასაკში, უეცრად გარდაიცვალა და ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა (543; გვ. 173-174).

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის შესწავლის საქმეში ალ. ნამორაძის წვლილი, ვფიქრობთ, ამით არ ამოიწურება, უთუოდ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მან ამ რთულ და საინტერესო თემისადმი ინტერესი გაუღვიძა თავის მოწაფეებს, რომლებმაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაწერეს რამდენიმე საინტერესო ნაშრომი საფრანგეთის პირველი რევოლუციის აგრარული საკითხის შესახებ (483; გვ. 11-13; 522; 469).

ამრიგად, ალ. ნამორაძემ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა და ახალი სიტყვა თქვა საკითხის ლიტერატურაში.

თავი IV

ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პოპულარული შრომები

ისტორიული ცოდნის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პოპულარულმა ნაშრომებმა. იგი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რთული მეცნიერული პრობლემების პოპულარულ ენაზე გადმოცემას. ალ. ნამორაძე თავის მოწაფეებთან ხშირად აღნიშნავდა, რომ სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის დაწერა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე მეცნიერული გამოკვლევისა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არაა ისეთი მეცნიერი, რომელიც არ წერდეს სამეცნიერო შრომებს, მაგრამ ძალიან ბევრი მეცნიერი ვერ წერს სამეცნიერო ხასიათის ნარკვევებს. იგი სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათის ნაშრომს უფრო მაღლა აყენებს კარგ სამეცნიერო გამოკვლევასთან შედარებით. მისი ღრმა რწმენით, ეს განსაკუთრებით აუცილებელი და საჭიროა ისეთი პატარა ერისათვის როგორიც საქართველოა. საქართველოში ყველა მეცნიერი ვალდებულია ცდილობდეს დაეუფლოს სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის წერის ხელოვნებას. უნდა ითქვას, რომ თვითონ ბატონი ალექსანდრე ამ ოსტატობას ჩინებულად ფლობდა.

ალ. ნამორაძე კარგად ხედავდა, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმე სერიოზულად ჩამორჩებოდა და, ჩვენი აზრით, დღესაც XX საუკუნის მიწურულს კვლავ მოიკოქლებს, რადგან მშობლიურ ენაზე მსოფლიოს ისტორიის პრობლემებზე არსებული ლიტერატურა ძალზედ მწირია. ამას განსაკუთრებით მწარედ განიცდიდა არა მარტო ფართო საზოგადოება, არამედ სტუდენტობა. ამ პრობლემის გამოსწორების საქმეში ალ. ნამორაძემ თავისი წვლილი შეიტანა და საქართველოში მსოფლიო ისტორიის მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის ერთ-ერთ ფუძემდებლად მოგვევლინა. ამ თვალსაზრისითაც მისი ღვაწლი, უდავოდ, დასაფასებელია. ალ. ნამორაძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი და თარგმანი, რომელსაც მან დაურთო ვრცელი შენიშვნები.

საყურადღებოა, ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები: „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა", „შარლ ლუი მონტესკიე", „ბერჯაევენ ფრანკლინი", „საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია".

„კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა". ალ. ნამორაძის ეს საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი გამოვიდა მისი გარდაცვალების შემდეგ 1961 წელს. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი მონოგრაფიული ნაშრომია ქართულ ენაზე, საგანგებოდ მიძღვნილი ქრისტეფორე კოლუმბისა და ამერიკის აღმოჩენისადმი (453, გვ. 185). საქართველოში კოლუმბის მოგზაურობისადმი ინტერესმა გაცილებით ადრე იჩინა თავი, მაგრამ ამ შრომებს რაიმე სერიოზული მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია და უპირატესად პოპულარულ ხასიათს ატარებს (39). უნდა ვიფიქროთ, რომ ალ. ნამორაძე თავის წინამორბედთა შრომებს არ იცნობდა. აქვე დავსძენთ, რომ ბრიჯესის წიგნს, რა თქმა უნდა, ქართული ისტორიოგრაფიის აქტივს ვერ მივაკუთვნებთ, იგი თარგმანია და ამით, ბუნებრივია, კარგი საქმე გაკეთდა (16). ეს სერიოზული, ერთდროულად ისტორიული და გეოგრაფიული გამოკვლევა პროფ. ალ. ნამორაძის ღრმა განსწავლულობის და ერუდიციის კიდევ ერთი კარგი ნიმუშია. ალ. ნამორაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი და შეძლო „თითქმის ერთნაირი ვირტუოზულობით გაეშუქებინა თავისი წიგნის უმთავრესი პრობლემის ეს ორივე (ე. ი. ისტორიული და გეოგრაფიული - მ. კ.) მხარე" (453, გვ. 185).

ალ. ნამორაძის წიგნი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა", დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევია. ალ. ნამორაძის ეს ნაშრომი, რა თქმა უნდა, საკმაოდ ამართლებს თავის მიზანდასახულობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოში მსოფლიოს ისტორიის პრობლემების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის და პოპულარიზაციის საქმეში. ეს წიგნი, პირველ ყოვლისა, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტობას, რომლებსაც მსოფლიო ისტორიის პრობლემებზე ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა თითქმის არ მოეპოვებოდა. ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევის „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა" მეცნიერული მნიშვნელობა მის შემეცნებით ღირებულებაში უნდა ვეძიოთ. „წიგნი დაწერილია გამართული ქართული ენით. ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. ყურადღებას იპყრობს შენიშვნების ძალიან მოხერხებული გამოყენება. შენიშვნათა ერთი წყება განმარტებითი ხასიათისაა და განკუთვნილია რიგითი მკითხველისათვის ნაშრომის გაგების გასაადვილებლად. მეორე წყება კი, ეხება იმ სადავო და სპეციფიკურ საკითხებს, რომელიც საინტერესოა ისტორიკოსთა და გეოგრაფთა ვიწრო წრისათვის. მათი შეტანა უშუალოდ ძირითად ტექსტში დაამძიმებდა ნაშრომს და არ იქნებოდა წიგნის მიზანდასახულობის შესატყვისი" (453, გვ. 125).

ნაშრომში გამოირჩევა და ყურადღებას იპყრობს, სამი ნაწილი. პირველ ნაწილში აღწერილია დასავლეთ ევროპის ვაჭრობა, მრეწველობა და საგაჭრო გზები, ამერიკის აღმოჩენამდე. წარმოჩენილია ახალი საზღვაო გზის ძიების მიზეზები, კოლუმბის მოგზაურობის გეგმის წარმოშობა და მისი უცილობელი განხორციელების წინაპირობები.

მეორე ნაწილში მოცემულია მცირე ცნობები კოლუმბის პიროვნებაზე. განხილულია მისი საქმიანობა პორტუგალიასა და ესპანეთში. დეტალურად არის გადმოცემული კოლუმბის და მის თანამედროვეთა მოგზაურობანი და გეოგრაფიული აღმოჩენები დასავლეთის ნახევარსფეროში. ვრცლად არის საუბარი კოლუმბის უკანასკნელ დღე-

ებსა და სახელწოდება ამერიკის წარმოშობის შესახებ.

მესამე ნაწილში განხილულია კონკისტადორთა გამოჩენა, ინდიელთა შეეიწროვება, ამერიკის აღმოჩენის მნიშვნელობა და შედეგები.

განსაკუთრებით გულსატკენია ის გარემოება, რომ ნაშრომის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ნაწილი, სადაც საუბარია ამერიკის მკვიდრ მოსახლეობაზე კოლუმბის ჩასვლამდე, ალ. ნამორაძის საავადმყოფოში ყოფნის დროს სადღაც გაიბნა და დაიკარგა (453, გვ. 175).

პირველ ყოვლისა, ალ. ნამორაძის ამ ნარკვევის შესახებ საუბარი გვინდა დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ მეტად შორეული ექსკურსი ხომ არ იქნებოდა კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შესახებ მსჯელობის XI საუკუნიდან დაწყება (87, გვ. 3-15). ცხადია, კარგად გვესმის, რომ ასეთი არჩევანი მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მისი წიგნის „დასავლეთ ევროპის ისტორია. განაკვეთი I. ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება", გავლენით. ბუნებრივია, რომ წამოიჭრება კითხვა, ეს მონაკვეთი შემოკლებული, დახვეწილი სახით უფრო უმჯობესი ხომ არ იქნებოდა შესულიყო იქ, სადაც განხილულია საზღვაო გზების ძიების მიზეზები? (87, გვ. 16-25). აქ უბრალოდ, იმის თქმა გვსურს, თუ რამდენად აუცილებელი იყო ამ საკითხზე ვრცლად საუბარი, მაშინ, როდესაც მის შესახებ ალ. ნამორაძეს მშვენიერი წიგნი ჰქონდა დაწერილი.

წიგნში საუბარია იმ მიზეზებზე, რომელიც საფუძვლად დაედო ახალი საზღვაო გზების ძიებას. ფრიად ნიშანდობლივია, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ არა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები - იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, არამედ შედარებით ჩამორჩენილი სახელმწიფოები - ესპანეთი და პორტუგალია. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ყველაფერი ეს იყო კანონზომიერი. საქმე ისაა, რომ იტალია ნაკლებადა იყო დაინტერესებული ახალი საზღვაო გზების ძიებით. მათთვის ხმელთაშუა ზღვის და ლევანტით ვაჭრობა სავსებით მომგებიანი იყო. ამიტომ ლოგიკური იყო, რომ ახალი საზღვაო გზების ძიების მთავარ ინიციატორად პორტუგალიელები და ესპანელები მოგვევლინენ, რომლებსაც ახალი ტერიტორიები დიდ მოგებას უქადდა და მოპოვებული სიმდიდრის წყალობით წელში გაიმართებოდნენ (87, გვ. 20-21). ნათქვამია, რომ პორტუგალიის საზღვაო ძლიერების მესაძირკვლედ ენრიკე მეზღვაური მოგვევლინა, ხოლო ესპანეთის სინამდვილეში ახალი საზღვაო გზების ძიებას მძლავრი სტიმული მისცეს ფერდინანდმა და იზაბელამ (87, გვ. 21-25). აქ გაპარულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძისათვის, როგორც ისტორიკოსისათვის ნიშანდობლივი არაა. ფერდინანდის და იზაბელას ქორწინება შედგა არა 1479 წელს, როგორც ამას ალ. ნამორაძე მიუთითებს, არამედ ათი წლით ადრე 1469 წელს, ხოლო 1479 წელს მოხდა არაგონის და კასტილიის გაერთიანება, როდესაც უფლისწული ფერდინანდი მეფე გახდა (87, გვ. 23; 453). ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა ხომ არაა გაპარული კორექტურული შეცდომა, მაგრამ კონტექსტიდან ეს არ ჩანს. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, ახალი საზღვაო გზების ძიების საქმეში, ისინი ნაკლებად აქტიურობდნენ. თუ ამ საკითხში ალ. ნამორაძემ იტალიის პოზიციის მიზეზები მკაფიოდ გამოკვეთა ინგლისსა და საფრანგეთზე ამას ვერ ვიტყვით, რაც ალ. ნამორაძის მსჯელობის მინუსია. ჩვენი აზრით, აქ უფრო მეტი არგუმენტაციაა საჭირო. საქმე ისაა, რომ საფრანგეთი შარლ VIII დროს ჩაბმული აღმოჩნდა იტალიურ ომებში (1494-1558) და ამიტომაც, შეიძლება მისი ყურადღება ჩამოშორდა ახალი საზღვაო გზების ძიებას. ხოლო, რაც შეეხება ინგლისს, აქ საქმე გაცილებით რთულადაა. დასრულდა ალისფერი და თეთრი ვარდების ომი (1455-1485). ტახტზე ავიდა ძლიერი და ჭკვიანი მეფე ჰენრი VII (1485-1509). ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინგლისის ასეთი პოზიცია იყო სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული შემთხვევითობა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთმა და განსაკუთრებით ინგლისმა გამდიდრების სხვა გზა აირჩიეს. მათ XVI საუკუნეში უზარმაზარ მოგებას აძლევდათ ზღვებზე მეკობრეობა (391; 434).

თითქმის დღემდე აქტუალურად რჩება საკითხი თუ როგორ მოუვიდა აზრად კოლუმბს დასავლეთ ინდოეთისაკენ უმოკლესი გზის ძიების იდეა. საეჭვო არაა, რომ კოლუმბი იცნობდა მარკო პოლოს თხზულებას. ძლიერი გავლენა მოუხდენია მასზე აგრეთვე ფრანგი ეპისკოპოსის პიერ დალის თხზულებას „სამყაროს სარკე", რომლის ავტორი იზიარებდა ჰიპოთეზას სამყაროს სფერულობის შესახებ. რატომღაც, კოლუმბის შეხედულებებზე დალის გავლენაზე ალ. ნამორაძე დუმს. ბევრი ფიქრობდა, რომ კოლუმბს ეს იდეა მიაწოდა მისმა თანამემამულემ ფლორენციელმა ტოსკანელიმ, თუმცა, ამერიკელი ისტორიკოსი ვინიო ყველაფერს ამას შეთხზულად მიიჩნევს (158, გვ. 91-92). ადვილი შესაძლებელია, რომ დასავლეთის გზის იდეა კოლუმბს დაბადებოდა თავისით, იმ დროს არსებული კოსმოგრაფიული და გეოგრაფიული გამოკვლევების გაცნობის შედეგად (87, გვ. 26-32).

დღემდე ბუნდოვანი რჩება და მეცნიერებს შორის ცხარე კამათს იწვევს რა იყო კოლუმბის აღმოჩენა. XVIII საუკუნის ფრანგი გეოგრაფის ჟან ანვილის სიტყვებით რომ ვთქვათ ეს იყო „უდიდესი შეცდომა, რომელმაც უდიდეს აღმოჩენამდე მიგვიყვანა" (304, გვ. 6). თუ კოლუმბმა ყველაფერი იცოდა. ამ საკითხს რაღაც რომანტიკული ხიბლი ახლავს და, ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული როდი იქნებოდა წიგნში ორიოდე სიტყვით აღნიშნულიყო თუ ვინ რა აზრისაა ამ თემაზე. მით უმეტეს მას ქართველი მკითხველისათვის გარკვეული შემეცნებითი დატვირთვა ექნებოდა, რადგან ამ საკითხზე ქართულ ენაზე არაფერი იყო დაწერილი.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ კოლუმბი არ იყო პირველი, რომელმაც ახალი კონტინენტი აღმოაჩინა. მაგრამ ყველა ეს ექსპედიციები წარ-

მოადგენდა ნაადრევ აღმოჩენებს და სათანადო რეზონანსი არ მოჰყოლია (374, გვ. 288; 212). ამ სახით საკითხის წარმოჩენა, ვფიქრობთ, ურიგო არ უნდა ყოფილიყო, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც გამოვიდა ალ. ნამორაძის ნარკვევი, მეცნიერებას ამ მხრივ გაცილებით ნაკლები ინფორმაცია გააჩნდა, კიდრე დღეს. ეს ორი თემა, ჩვენი აზრით, შინაარსობრივად უფრო გაამდიდრებდა ალ. ნამორაძის საინტერესო ნარკვევს.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ წიგნის მეორე მონაკვეთი ნაშრომის ყველაზე უფრო ძარღვიანი ნაწილია. აქ განხილულია ძირითადი საკითხები, რომლებიც ბევრად განსაზღვრავენ წიგნის დედააზრს.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთი საუკუნის მანძილზე მეცნიერებმა კოლოსალური შრომა გასწიეს კოლუმბის ცხოვრების ლაბირინთებში გასარკვევად და, უდავოდ, მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს, მაინც უნდა ითქვას, რომ ჩრდილი ჭარბობს სინათლეს. ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს, რომ კოლუმბის ბიოგრაფია განსაკუთრებით 1492 წლამდე ნისლითაა მოცული და მისი ბიოგრაფები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ. „ეს გარემოება ამა თუ იმ ბიოგრაფს საშუალებას აძლევდა შეემკო კოლუმბი მრავალგვარი ლეგენდარული თქმულებებით, ფანტასტიკურად წარმოედგინა იგი. დაკვირვებული მკითხველი კი, ამის შესახებ ნამდვილ ცნობებს მოითხოვს. მას კოლუმბის ნამდვილი სახე აინტერესებს, მაგრამ ამისათვის მცირე დოკუმენტური მასალა მოიპოვება" (87, გვ. 33-34) - დასძენს ალ. ნამორაძე. შეიძლება ითქვას, რომ კოლუმბის ბიოგრაფიის გაწმენდა ლეგენდებისაგან სულაც არ აღმოჩნდა იოლი საქმე და საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დრო დასჭირდა. და მიუხედავად ამისა XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ალ. ნამორაძის წიგნი გამოვიდა, ზოგიერთი ფაქტის დაზუსტება მაინც მოხერხდა. ამიტომ, ალ. ნამორაძის ყოყმანი კოლუმბის დაბადების თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით საკამათოდ მიგვაჩნია (87, გვ. 35; 304, გვ. 3). მეცნიერების უმეტესობა უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ქრისტეფორე კოლუმბი დაიბადა 1451 წლის 29 ოქტომბერს. სისტემატური განათლება მას არ მიუღია. წიგნში ლაკონიურად, ძალზე ზოგადად არის მიმოხილული ლიტერატურაში კოლუმბზე გამოთქმული შეხედულებები და ხაზგასმულია, რომ კოლუმბის განდიდება, იდეალიზაცია მიუღებელია. სხვათა შორის, ამგვარი გმირული შარავანდით მოსილი წარმოგვიდგა „კოლუმბი იტალიურ ტელესერიალში, რომელიც გადიოდა ჩვენს ეკრანებზე. ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ამერიკელი საზღვაო ისტორიკოსი ს. ე. მორისონი. კოლუმბის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო პორტუგალიასა და ესპანეთში ჩასვლა. როდის ჩავიდა კოლუმბი პორტუგალიაში? როგორც ჩანს, ალ. ნამორაძე ზუსტად ვერ ასახელებს კოლუმბის პორტუგალიაში ჩასვლის თარიღს და ეს საკითხი ბუნდოვანი რჩება. „საერთოდ კი, არ მოგვეპოვება სათანადო დოკუმენტები იმის შესახებ თუ, როდის, რომელ წელს და რა მიზეზებით გადასახლდა კოლუმბი პორტუგალიაში (87, გვ. 39) - დასძენს ალ. ნამორაძე. მისი ასეთი პესიმისტური განწყობილება საკამათო უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ის პორტუგალიაში ჩადის დაახლოებით 1476 წელს, როგორც გენუის სავაჭრო სახლის ერთ-ერთი აგენტი (304, გვ. 4). „შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი დაქორწინდა ლისაბონში დასახლების შემდეგ ე. ი. 1474 ან 1476 წელს (87, გვ. 39) - აღნიშნავს ალ. ნამორაძე. ეს თარიღი დაზუსტებას მოითხოვს. კოლუმბმა ცოლი შეირთო ცოტათი უფრო გვიან, შესაძლოა, 1479 წელს, როდესაც ის ცხოვრობდა მადეირაზე და კუნძულ პორტუ-სანტუზე. მისი მეუღლე იყო ცნობილი მეზღვაურის ბართლომეო პერესტრელოს ქალიშვილი დონა ფილიპა მონიცი (304, გვ. 4). გერმანელმა მწერალმა პაულ ვერნერ ლანგემ, რომელმაც დაწერა ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი კოლუმბზე, ყურადღება მიაქცია ერთ საინტერესო დეტალს. კოლუმბი დასავლეთის გზისადმი განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენს 1479 წლის შემდეგ (288, გვ. 17).

1484 წელს, წიგნში თარიღი მითითებული არაა, დაიწყო მოლაპარაკება კოლუმბსა და პორტუგალიის მეფე ჟუან II შორის საზღვაო ექსპედიციის მოწყობის თაობაზე – პორტუგალიის მთავრობამ უარი უთხრა კოლუმბს. წიგნში დამაჯერებლად არაა ახსნილი თუ რით იყო მოტივირებული პორტუგალიელთა უარი (87, გვ. 42-43). პორტუგალიელთა უარის მოტივები დამაჯერებლად ახსნა პაულ ვერნერ ლანგემ. ჯერ ერთი, კოლუმბის გეგმა ძალზედ სარისკო იყო და მეორეც, პორტუგალიელებს იმედი ჰქონდათ, რომ აფრიკის შემოვლით მიაღწევდნენ მიზანს (288). თუ არა ეს ფაქტი, უნდა ვივარაუდოთ, რომ პორტუგალია დათანხმდებოდა კოლუმბს, რაც არ უნდა დიდი ანაზღაურება მოეთხოვა მას, ასე, რომ საქმე მარტო ანაზღაურებაში არ იყო (304, გვ. 6; 305, გვ. 14-15; 20, გვ. 91).

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ და მათ შორის ჩვენი ავტორიც, კოლუმბი ესპანეთში ჩავიდა 1485 წელს. მას მთელი შვიდი წელი დასჭირდა, რათა დაერწმუნებინა ესპანეთის სამეფო კარი დასავლეთით საზღვაო გზის ექსპედიციის მოწყობის აუცილებლობაში (მოლაპარაკების ასეთი გაჭიანურება განპირობებული იყო იმით, რომ ესპანეთი იბრძოდა მავრების წინააღმდეგ.) ფრიად ნიშანდობლივია, რომ როგორც კი დამთავრდა რეკონკისტა, 1492 წლის 2 იანვარს აიღეს გრანადა, ესპანეთის სამეფო კარმა მაშინვე მიაპყრო ყურადღება კოლუმბის გეგმებს. სხვათა შორის, მისი ძმა ბართლომეო იმავე ხანებში ამაოდ ცდილობდა დაეყოლიებინა ლონდონი და პარიზი.

1492 წლის 17 აპრილი კოლუმბის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ტეხილად მოგვევლინა. საქმე ისაა, რომ შვიდი წლის წვალებისა და დავიდარაბის შემდეგ კოლუმბმა როგორც იქნა მიაღწია მიზანს და ამ დღეს სანტა-ფეში დაითანხმა დედოფალი იზაბელა დასავლეთით ექსპედიციის მოწყობაზე. კოლუმბს ახლა შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა. საინტერესოა, რით იყო განპირობებული

დედოფალ იზაბელას ასეთი მკვეთრი შემობრუნება. ზოგიერთი ავტორი (304, გვ. 9; 305, გვ. 16) და მათ შორის, ვფიქრობთ, ალ. ნამორაძეც, დამაჯერებლად ვერ ხსნის ამ მეტამორფოზის მიზეზებს (87, გვ. 54-55). სხვათა შორის, მოვლენათა ასეთი მსვლელობა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ წარმოიშვა რომანტიკული ვერსია, თითქოს კოლუმბმა შესძლო ესპანეთის დედოფლის გულის მოგება და მასთან სასიყვარულო რომანიც გაბა. იზაბელას საქციელი, პირველ რიგში, განპირობებული იყო ანგარიშით, წმინდა პრაგმატიზმით. ცხადია, მას ნაკლებ სჯეროდა კოლუმბის დაპირებების და პროექტის, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის გაცილებით უფრო წინდახედული და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, ვიდრე ინგლისის და საფრანგეთი მეფეები. იზაბელას დასაკარგავი თითქმის არაფერი ჰქონდა, წარმატების შემთხვევაში კი, მოიგებდა ძალიან ბევრს. ამიტომ, მან მიზანშეწონილად ცნო, რომ რისკის გაწევა ამ შემთხვევაში ღირდა (374, გვ. 351-352). აქვე გვინდა დავძინოთ, რომ იზაბელას ეს ნაბიჯი გარდა წმინდა პრაგმატიზმისა, ანგარიშიანობისა განპირობებული იყო ობიექტური ისტორიული ვითარებით. დასრულდა რეკონკისტა და თუ კოლუმბის ექსპედიცია წარმატებას მიაღწევდა ესპანეთის თავადაზნაურობას საქმე გაუჩნდებოდა. სხვათა შორის, ეს შემდგომში ასეც მოხდა (გაიხსენეთ კონკისტა).

ალ. ნამორაძის წიგნის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია დედოფალ იზაბელას მოღვაწეობისადმი გაწონასწორებული მიდგომა. აქ არ იგრძნობა არც მისი უსაზღვრო განდიდება, იდეალიზაცია და არც გულგრილი დამოკიდებულება, მისი მოღვაწეობის მიწასთან გასწორება (87. გვ. 47).

წიგნში დეტალურად არის განხილული კოლუმბის პირველი (1492-1493) და მეორე (1493-1496) მოგზაურობა (87). ნაშრომის ეს მონაკვეთი უპირატესად თხრობით ხასიათს ატარებს და სასიამოვნოდ იკითხება. 1492 წლის 3 აგვისტოს კოლუმბის ხომალდებმა დატოვეს ესპანეთის ნაპირი და გაუდგნენ ხანგრძლივ, შორეულ და სახიფათო მოგზაურობას. ორთვენახევარი ცურვის შემდეგ 12 ოქტომბერს შუაღამის 2 საათზე გემ „პინტას" მეზღვაურმა როდრიგო ტრიანამ ბოლოს და ბოლოს დაინახა მიწა. ეს იყო ბაგამის კუნძულების ჯგუფი, რომელსაც სანსალვადორი უწოდეს (353, გვ. 62-84). 1493 წელს კოლუმბი ესპანეთში დაბრუნდა და იმავე წლის შემოდგომაზე მეორედ გაემგზავრა (353, გვ. 94-113).

შემდგომი სიუჟეტი, კოლუმბის თანამედროვე მოგზაურთა აღმოჩენები მთავარი თემიდან გადახვევად გვეჩვენება და ინგლისელი მეცნიერის ჯეიმზ ბეიკერის წიგნის გავლენის შედეგი შეიძლება იყოს (158). ვერც იმას ვერ ვიტყვით, რომ ამ სიუჟეტს რაიმე შემეცნებითი დატვირთვა ენიჭებოდეს. აქ ვგულისხმობთ გ. გეხტმანის ნარკვევებს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებზე (20). ეს არ ამცირებს წიგნის ამ მონაკვეთის პროფესიულ ღირებულებას, ვინაიდან ნამორაძის ნაშრომებამდე ის ქართველი მკითხველისათვის უკვე ცნობილი იყო. აქ უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ რამდენად აუცილებელი იყო კოლუმბისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში შევხებოდით ამ თემას? და რადგან ალ. ნამორაძემ მაინც განიხილა ეს საკითხი, ალბათ, სასურველი იქნებოდა მეტი ადგილი დათმობოდა დედამიწის ირგვლივ მაგელანის მოგზაურობას (1519-1521). უნებლიედ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ მოგზაურობის ისტორიული მნიშვნელობა დაკნინებულ იქნა (87, გვ. 133-134; 345; 278; 371; 421).

ამის შემდეგ ალ. ნამორაძე განიხილავს კოლუმბის მესამე და მეოთხე მოგზაურობას. მესამე მოგზაურობა იმითაა აღსანიშნავი, რომ 1498 წელს კოლუმბი მიუახლოვდა სამხრეთ ამერიკის კონტინენტს (87, გვ. 139-155).

პორტუგალიელთა მიერ ინდოეთისაკენ უმოკლესი გზის აღმოჩენამ კვალი დაამჩნია კოლუმბის ცხოვრების ბოლო წლებს. ეს გასაგებიცაა, მისი ძვირი და ჯერჯერობით სარფიანი ექსპედიციები ნამდვილად ვერ გაუტოლდნენ პორტუგალიელთა ექსპედიციის. ამან კი კოლუმბის მოშურნეებს ფართო ასპარეზი შეუქმნა. მეოთხე ექსპედიციის დროს, რომელიც ჩატარდა 1502-1504 წლებში, კოლუმბი კვლავ ამაოდ დაშვრა. მან ვერ მიაგნო იმ სრუტეს, რომელიც მისი აზრით, აზიისაკენ გაიყვანდა. კოლუმბი დაავადდა და თავისი ცხოვრების ბოლო დღეები სიღარიბეში გალია და 1506 წლის 20 მაისს გარდაიცვალა (87, გვ. 156-167).

წიგნის მეორე მონაკვეთის დასკვნით ნაწილში საინტერესოდაა მოთხრობილი სახელწოდება „ამერიკის" წარმოშობაზე აქ გატარებულია იმ დროს მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისი, რომ სახელწოდება „ამერიკა" დაკავშირებულია იტალიელი მოგზაურის ამერიგო ვესპუჩის სახელთან (87, გვ. 172-174) თუმცა, უნდა ითქვას, რომ უახლოეს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სხვა საინტერესო ჰიპოთეზები. ბოლო ხანებში განსაკუთრებით ბევრი მომხრე შეიძინა ფრანგი მეცნიერის ჟ. მარკუს ვარაუდმა, რომ ტერმინი ამერიკა ადგილობრივი ინდური წარმოშობისაა. ესპანელთა კითხვაზე თუ საიდან აქვთ ამდენი ოქრო ისინი დასავლეთისაკენ იშვერდნენ ხელს და წარმოთქვამდნენ „ამერიკო", გულისხმობდნენ ამერიკის ტომებს, რომლებიც კოლუმბამდელი ამერიკის ტერიტორიაზე სახლობდნენ (374, გვ. 367-369).

ნაშრომის მესამე მონაკვეთს თან ახლავს რომანტიკული ხიბლი და მასში განხილულია ისეთი საინტერესო თემა როგორიცაა კონკისტა„ახალი მიწების ათვისება და წიგნის დასასრულს საუბარია ამერიკის აღმოჩენის შედეგებსა და მნიშვნელობაზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს იყო კონკისტას გაშუქების პირველი სერიოზული ცდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის ერთი ასპექტი არის განხილული გიორგი ხუროძის წიგნში, მაგრამ ეს იყო უპირატესად პოპულარული ნაშრომი, რომელსაც სერიოზული მეცნიერული ღირებულება არ გააჩნდა (136). ალ. ნამორაძის წიგნის ეს მონაკვეთი საინტერესოდ იკითხება. და ანგარიშგასაწევია, რადგან მისთვის უცნო-

ბია კონკასტის შელამაზებულად წარმოჩენა, გაიდეალება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი ესპანურ ისტორიოგრაფიაში. წიგნში ერთი ამოსუნთქვით, ლაღად არის მოთხრობილი კორტესის მიერ მექსიკის, ხოლო პისარის მიერ პერუს დაპყრობა (87, გვ. 175-197). კორტესმა და პისარომ ფაქტობრივად სამხრეთ ამერიკის კოლონიზაციის პირველი ფურცელი გადაშალეს (197; 211; 178). ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ლათინური ამერიკის ისტორიკოსები წინააღმდეგი იყვნენ ეზვიმათ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავი. მათი შეხედულებით, კოლუმბის აღმოჩენამ ადგილობრივ მცხოვრებლებს მხოლოდ უბედურება მოუტანა (628, გვ. 69-72; 602, გვ. 72-78; 566, გვ. 78-86; 623; 546).

დასასრულ, საუბარია ამერიკის აღმოჩენის შედეგებსა და მნიშვნელობაზე და ეს მონაკვეთი ნაშრომის დასკვნად შეიძლება მივიჩნიოთ. აქ ლაკონიურად არის განხილული შედეგები, რომელიც ამერიკის აღმოჩენას მოჰყვა: „საზღვაო გზების გადანაცვლება, ფასების რევოლუცია და სხვა (87, გვ. 137-201).

ალ. ნამორაძე, ბუნებრივია, მიჰყვება ტრადიციულ ვერსიას, რომლის თანახმადაც კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა იყო „უდიდესი შეცდომა, რომელმაც უდიდეს აღმოჩენამდე მიგვიყვანა", თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ არის მეორე ვერსიაც, რომელიც ბოლო ხანებში სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენს. კოლუმბმა კარგად იცოდა, თუ სად მიდიოდა. ვისი არგუმენტებია უფრო დამაჯერებელი? ოსკარ პეშელის თქმით, "კოლუმბის აღმოჩენა იყო ნაპერწკალი საიდანაც წარმოიშვა ალი." უნდა დავეთანხმოთ გერმანელ მწერალ პაულ ვერნერ ლანგეს, რომ „მისი დამსახურება ის კი არაა რომ თამამად გადაცურა ატლანტის ოკეანე და აღწერა ახალი ქვეყნები, არამედ არის მისი აღმოჩენების ისტორიული შედეგები" (288, გვ. 3).

ალ. ნამორაძის წიგნი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა" ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

მონტესკიე. ფრანგული განმანათლებლობის პირველი თაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის - შარლ ლუი მონტესკიეს ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაინტერესება სავსებით ბუნებრივია.

ალ. ნამორაძემ ხელი მოჰკიდა უდავოდ, საინტერესო და აქტუალურ თემას. ფრანგი ისტორიკოსის ალბერ სორელის თქმით „XVIII საუკუნის დამლევს ყოველ განათლებულ ფრანგს მოეპოვებოდა თავის ბიბლიოთეკაში მონტესკიეს, ვოლტერისა და რუსოს ნაწარმოებები" (380). ბრიშურის შესავალში ხაზგასმულია მონტესკიეს წვლილი ცივილიზაციის ისტორიაში. ამის შემდეგ განხილულია ისტორიული ფონი. უშუალოდ ის ეპოქა რომელშიც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა ფრანგული განმანათლებლობის ამ შესანიშნავ წარმომადგენელს (88, გვ. 3-5).

თავის ნაშრომში ალ. ნამორაძე ვრცლად შეჩერდა მონტესკიეს ბიოგრაფიაზე. ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის სოციალური წრე საიდანაც იყო მონტესკიე. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მონტესკიე არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო (156, გვ. 20). ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს. ალ. ნამორაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონტესკიე მანტიის აზნაური იყო. იგი არის ახლად გააზნაურებული ბურჟუა (88, გვ. 10-11; 479ა, გვ. 31). მისი აზრით, მონტესკიეს ოპოზიციურობის მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ.

რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძის ნარკვევში დიდი ყურადღება ეთმობა მონტესკიეს ძირითად შრომებს: „სპარსული წერილები" (1721), „მსჯელობები რომაელთა აღზევების და დაცემის მიზეზებზე" (1734) და „კანონთა არსი" (1748). პირველს ალ. ნამორაძე უფრო მეტად მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნებს, ხოლო შემდგომი ორი საისტორიო-ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნაწარმოებებია (88, გვ. 17).

ალ. ნამორაძე, პირველ ყოვლისა, ხაზს უსვამს მონტესკიეს თხზულების „სპარსული წერილების" ორ მთავარ ღირსებას ანტიაბსოლუტურ და ანტირელიგიურ სულისკვეთებას. წერის ბრწყინვალე, ლიტერატურული მანერა მონტესკიეს ნაწარმოების კიდევ ერთ ღირსებად გვევლინება. აი, რას წერდა ალ. ნამორაძე „მონტესკიეს ნაწარმოების ენა ფრანგული სტილის შედევრია და ამ მხრივ გასაგებია თუ რატომ მოეწონა იგი ფრანგ საზოგადოებას" (88, გვ. 19). აღსანიშნავია, რომ მონტესკიეს წერის მანერამ მოხიბლა თვით ისეთი შესანიშნავი სტილისტი, როგორიც ალბერ სორელია. „მონტესკიეს სტილი არაჩვეულებრივად ნერვიულია, განსაკუთრებით ზუსტი, ზომიერი, უაღრესად მდიდარი თავისი ნიუანსებით და გამოთქმებით, ცოცხალი, მსუბუქი და მძლავრი თავისი გადასვლებით. ეს ნამდვილი ჩანჩქერია ფრანგული ჭკუა-გონებისა. იგი მოსჩქეფს ოდნავ კლდოვან კალაპოტში, მაგრამ ნახეთ რამდენად გამჭვირვალეა მისი დინება! რამდენი მხიარულება. სინათლე და მშვენიერებაა ჩაქსოვილი მის ნაკადულებსა და მცირე კასკადებში! ეს ის ჩანჩქერია, რომელიც მიემართება ვოლტერის და ბომარშესაკენ; სტენდალმა და მერიმემ ჩვენს საუკუნეში მიიღეს იგი და მისცეს მას მიმართულება ჩვენსკენ, მაგრამ ნაკლებად თავისუფალი და უფრო დაკლაკნილი და ამომშრალი კალაპოტით" (380, გვ. 26-27).

„შეიძლება ითქვას, რომ „სპარსულ წერილებში" მთელი იმდროინდელი საფრანგეთი საბრალდებო სკამზეა წამომჯდარი (88, გვ. 21) - აღნიშნავს ალ. ნამორაძე. სამი სპარსელი უზბეკი, რიკი და რედი მოგზაურობენ ევროპაში და წერილობით უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ შთაბეჭდილებებს. მათი მსჯელობა შეეხება ლუი XIV ზეობის ბოლო წლებს და ფილიპ ორლეანელის რეგენტობის დასაწყისს.

ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე ფიქრობს, რომ უზბეკი თვითონ მონტესკიეს განასახიერებსო. ეტყობა, ალ. ნამორაძეს ეს მსჯელობა საკამათოდ მოეჩვენა და იმოწმებს ფრანგ ისტორიკოს ა. სორელს. „ეს ორი სპარსელი (უზბეკი და რიკი) ტყუპებია. უზბეკს ხელთ აქვს კალამი როდესაც მონტესკიე ზნეობრიობას უქადაგებს თავის თანამედროვეებს, რიკა იღებს კალამს როდესაც მონტესკიე დასცინის

იმავე თანამედროვეებს" (88, გვ. 20; 380, გვ. 28). შეიძლება დავასკვნათ, რომ ალ. ნამორაძე იზიარებს სორელის თვალსაზრისს, რომ ეს ერთიდაიმავე პიროვნების ორი მხარეა.

აბსოლუტიზმისადმი მონტესკიეს ოპოზიციური განწყობილება ყველაზე უფრო კარგად მეღავნდება „მეფე მზის" ლუი XIV შეფასების დროს. ალ. ნამორაძეს ლუი XIV-ისადმი მონტესკიეს კრიტიკული დამოკიდებულება „სპარსული წერილების" ერთ-ერთ დადებით მხარედ მიაჩნია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მონტესკიეს თხზულების XXXVII წერილი „საფრანგეთის მეფე ყველაზე ძლიერი მეფეა ევროპაში, მას არ მოუპოვებია ოქროს საბადოები, რაც გააჩნია მის მეზობელ ესპანეთის მეფეს, მაგრამ იგი (ე. ი. საფრანგეთის მეფე - მ. კ.) უფრო მდიდარია, ვინაიდან სიმდიდრეს ქაჩავს თავისი ქვეშევრდომებიდან, რაც უფრო დაუშრეტელი წყაროა, ვიდრე საბადოები, არა ერთხელ ეწეოდა იგი დიდ ომებს იმ დროს, როდესაც მას არ მოეპოვებოდა სხვა რამ ნივთიერი საცხარი, გარდა იმისა, რასაც იძენდა საპატიო ტიტულების გაყიდვით, მაგრამ მისი ჯარის ხარჯი სასწაულებრივ ყოველთვის გასტუმრებული იყო, ციხე-სიმაგრეები შეიარაღებული, ფლოტი ეკიპირებული" (380, გვ. 22-23). მონტესკიე ლუი XIV ერთ-ერთ სერიოზულ შეცდომად მიიჩნევდა 1785 წლის 17 ოქტომბრის ნანტის ედიქტის გაუქმებას. რელიგიური შეუწყნარებლობა მონტესკიესათვის სრულიად მიუღებელია. აქედან იღებს სათავეს ანრი IV-ისადმი მონტესკიეს სიმპათიები, რომელმაც შესძლო რელიგიური საკითხის კომპრომისული გადაწყვეტა და 1598 წლის 13 აპრილს მიიღო ნანტის ედიქტი და ამით რელიგიურ საკითხს დაუკარგა თავისი სიმწვავე. მებრძოლი მხარეები კათოლიკები და ჰუგენოტები შეარიგა. უნდა დავეთანხმოთ მონტესკიეს, რომ ლუი XIV -ის რელიგიური პოლიტიკა, მის წინამორბედებთან შედარებით მოისუსტებს. აქ, ბუნებრივია, ისმის კითხვა როგორ გაუშვა ცენზურამ ლუი XIV კრიტიკა? ალ. ნამორაძის შეხედულებით ეს იყო განპირობებული ლუი XIV- სადმი რეგენტის ფილიპე ორლეანელის სიძულვილით (88, გვ. 19-20).

მონტესკიეს თხზულებაში ყურადღებას იპყრობს კათოლიკური ეკლესიის მძაფრი კრიტიკა, რაც სხვათა შორის, ბევრს არ მოსწონდა მაშინ და ზოგიერთებს არ მოსწონთ დღესაც. ამ პოზიციაზე დგანან ჟან მარიტენი და გაბრიელ მარსელი (156, გვ. 8). საფრანგეთის დედაქალაქიდან უბზეკი წერდა ვენეციაში მყოფ რედის. „აქ მე ვხვდები ადამიანებს, რომლებიც გაუთავებლად კამათობენ რელიგიაზე და ამავე დროს კი, როგორც ჩანს, ცდილობენ ერთმანეთს აჯობონ იმავე რელიგიის წესების დარღვევაში. ისინი არ ეკუთვნიან არც უკიდურეს ქრისტიანებს და არც უკეთეს მოქალაქეებს, რაც მე უაღრესად მაკვირვებს, ვინაიდან რა რელიგიასაც არ უნდა აღიარებდეს ადამიანი, კანონის დაცვა, ადამიანის სიყვარული და მშობლებისადმი პატივისცემა ყოველთვის უპირველესი გამოვლინებაა რელიგიისა". წიგნში ხაზგასმულია, რომ მონტესკიე იყო დეიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. მონტესკიე კათოლიკურ ეკლესიაში ხედავდა აბსოლუტიზმის დამქაშს და ამიტომ კრიტიკულად იყო განწყობილი როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. აბსოლუტიზმს ის მიიჩნევდა კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად (88, გვ. 26-27).

წიგნში განხილულია მონტესკიეს დაინტერესება ეკონომიკური საკითხებით. არსებითად სწორადაა განსაზღვრული მისი წვლილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. რა თქმა უნდა, ამ საკითხში მონტესკიეს მოსაზრებები ორიგინალობით არ გამოირჩეოდა და მას არ შეუქმნია რაიმე ახალი თეორიები. იგი იმ დროისათვის საფრანგეთში მიღებული მერკანტილიზმის გავლენას განიცდიდა (88, გვ. 26-27).

მოტესკიე „სპარსულ წერილებში" გამოხატავს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ჯონ ლოუს რეფორმებისადმი. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძის ბროშურაში არ იგრძნობა მონტესკიეს შეხედულებისადმი კრიტიკული მიდგომა. საფიქრებელია, რომ ალ. ნამორაძე არცთუ მაინცდამაინც მაღალი აზრის იყო ლოუს რეფორმებზე. ლოუს მოღვაწეობისადმი ასეთი დამოკიდებულება საკამათო შეიძლება იყოს. ის გარემოება, რომ ჯონ ლოუ შვედია, შესაძლოა, კორექტურული შეცდომაც კი იყოს, რომელიც, ეტყობა, ბ-ნ ალექსანდრეს რაღაცნაირად მხედველობიდან გაეპარა. ჯონ ლოუ შოტლანდიელია. რა თქმა უნდა, ძნელი საფიქრებელია, რომ იმ რანგის ისტორიკოსს, როგორიც ალ. ნამორაძეა ეს არ ცოდნოდა. ჯონ ლოუს მონათვლა „ავანტურისტად" (88. გვ. 37) ცხადია, უმართებულო იქნებოდა. ჯონ ლოუს რეფორმებს უარყოფითთან ერთად ჰქონდა ბევრი დადებითი, რომელზეც თვალის დახუჭვა სწორი არ იქნებოდა. ლოუს რეფორმები იყო ფრანგული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთი გზა. ლოუს სურდა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიის კაპიტალი გამოეძევებინა ისეთი არარენტაბელური სფეროდან, როგორიც იყო სახელმწიფოს საგადასახადო აპარატი და სახელმწიფო კრედიტები - და წარემართა მრეწველობაში. ჯონ ლოუში შეიძლება დავინახოთ კოლბერის პოლიტიკის გამგრძელებელი. შოტლანდიელი ფიქრობდა, რომ ქაღალდის ფულის გამოშვებას შეუძლია აანაზღაუროს მონეტის ნაკლებობა. იაფფასიანი კრედიტი უზრუნველყოფს ფულისა და საქონლის ცირკულაციას და ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობას. ლოუს რეფორმებმა მძლავრი სტიმული მისცა კრედიტისა და ფულის მიმოქცევას საფრანგეთში. ყველაფერი ისე არ მოხდა როგორც ლოუს უნდოდა. ბანკნოტის გაუთავებელ ემისიას დაემატა მოიჯარეების ინტრიგები (ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ძმები პარები), რომელსაც ზურგს უმაგრებდა სასახლის კამარილია. ჯონ ლოუს ბანკი გაკოტრდა. 1720 წლის დეკემბერში იგი საფრანგეთიდან გაიქცა (444, გვ. 95-96; 254, გვ. 289).

მონტესკიეს მოღვაწეობის მნიშვნელოვან ტეხილს წარმოადგენს საზღვარგარეთ გატარებული სამი წელი (1728-

1731). როგორც ერთსულოვნად აღნიშნავენ ბიოგრაფები განსაკუთრებით ღრმა კვალი დაამჩნია მის მსოფლმხედველობას „ინგლისში გატარებულმა პერიოდმა. ამის შემდეგ მისი პოლიტიკური სიმპათიები სულ უფრო ხშირად იხრება კონსტიტუციური მონარქიისაკენ" (195; 156).

მონტესკიეს თხზულება „მსჯელობები რომაელთა აღზევების და დაცემის მიზეზებზე" უპირველეს ყოვლისა იმიტომ იპყრობს ყურადღებას, რომ მასში ყველაზე უფრო რელიეფურად, მკაფიოდ მოჩანს მონტესკიე, როგორც ისტორიკოსი. ნაშრომის ყურადღების ცენტრშია მეტად აქტუალური თემა რომის აღზევების და დაცემის მიზეზები. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა მონტესკიემდეც ბევრს აინტერესებდა, მაგალითად მაკიაველი და მონტესკიეს დროსაც არა ერთი დიდი მოაზროვნე (307; 145; 430; 520; 174) ეხებოდა, მაგალითად ჰერდერის (201; 213) და გიბონის (203) დასახელებაც კი იკმარებდა, მაგრამ მონტესკიემ მას გასცა სრულიად ახლებური, ორიგინალური პასუხი. ალ. ნამორაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონტესკიეს კონცეფცია წარმოადგენდა თვისებრივ სიახლეს ისტორიული მეცნიერების განვითარების გზაზე და სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიასთან შედარებით. განმანათლებლებმა, მათ შორის მონტესკიემ, ისტორიიდან განდევნეს განგების ძალა და ეს იყო ისტორიულ აზროვნებაში გრანდიოზული მნიშვნელობის რევოლუციური გადატრიალება (246, გვ. 43-44; 48, გვ. 24). მონტესკიეს ღრმად სწამს, რომ არც რომაელთა აღზევებას და არც დაცემას არანაირი კავშირი არ აქვს ზეციურ ძალებთან. მონტესკიე, როგორც ისტორიკოსი შიშველი ემპირიზმის, ფაქტოგრაფიის მომხრე არ უნდა იყოს. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად ჩანს მონტესკიეს თხზულების სათაურიდანაც. ეჭვს გარეშეა, რომ მისი ანალიტიკური გონება ანალიზისაკენ უფრო იხრება და ეს ბუნებრივია, მისასალმებელია. „23 თავისაგან შემდგარი ნაშრომში ვპოვებთ არა იმდენად თანამიმდევრულ გადმოცემას, რამდენადაც თვით ფაქტების და მოვლენების ახსნას და მათ შორის მიზეზობრივი კავშირის გამოვლინებას. ზოგიერთი მოსაზრება, მოცემული ამ ნაშრომში, დღესაც მოძველებული არ არის" (88, გვ. 31). მეორე ადგილას, რომელიც მონტესკიეს თხზულების მნიშვნელობის თავისებურ რეზიუმედ შეიძლება მივიჩნიოთ, ალ. ნამორაძე დასძენს: „აღნიშნული ნაშრომი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ისტორიოგრაფიისათვის უკვე იმ გარემოების გამო, რომ აქ გატარებული თვალსაზრისი ფაქტებს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის შესახებ უპირისპირდება. შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ პროვიდენციალიზმს ფაქტებსა და მოვლენებს შორის საერთო მიზეზობრივი კავშირის გარკვევის აზრი და წარსულის მიხედვით აწმყოს ახსნა ახალი და პროგრესული იყო მონტესკიეს დროის საისტორიო დარგისათვის, ვინაიდან, მანამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ ისტორია წარმოადგენს ურთიერთდაუკავშირებულ შემთხვევით მოვლენებს, ანდა, რომ ამ მოვლენებს განაგებს ღმერთი" (88, გვ. 32). ალ. ნამორაძემ, ვფიქრობთ, კარგად გაიცნობიერა მონტესკიეს როგორც ისტორიკოსის წვლილი. მონტესკიეს თანახმად, რომის აღზევების მიზეზები ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათში უნდა ვეძიოთ. რომის აღზევება განაპირობა თავისუფლების სიყვარულმა, ხოლო როდესაც გაჰქრა ეს გრძნობა, რომის დაცემაც გარდაუვალი შეიქნა. ეს კონცეფცია, შეიძლება ამომწურავი არ იყოს, მაგრამ წარმოადგენს ახალ სიტყვას ისტორიოგრაფიაში და მას აღნიშნული საკითხის ვერც ერთი მკვლევარი ვერ ანაცვლებს.

საზოგადოებრივი კანონების ძიებამ მონტესკიე გეოგრაფიული ფაქტორის აღიარებამდე მიიყვანა. მონტესკიეს მოძღვრება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, ალბათ, სასურველი იყო ალ. ნამორაძეს ხაზი გაესვა, რომ მას ჟან ბოდენის სახით თვალსაჩინო წინამორბედი ჰყავდა (468). მონტესკიე სავსებით სამართლიანად ითვლება გეოგრაფიული სკოლის მამამთავრად, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად გეოგრაფიულ გარემოს აღიარებს. (ჰაერი, ფლორა, ფაუნა, კლიმატი, ნიადაგი). შესაძლოა მონტესკიე აჭარბებდეს, როცა გეოგრაფიულ გარემოს გადამწყვეტ როლს აკუთვნებს, მაგრამ მისი მნიშვნელობის უგულვებულყოფა შეუძლებელია (121). მონტესკიემ საფუძველი ჩაუყარა მთელ მიმდინარეობას ისტორიოგრაფიაში, რომელსაც, სხვათა შორის, მომხრეები უკვე მის თანამედროვეებს შორის გამოუჩნდა (ჰერდერი, ლესინგი, შილერი, ბოლტინი) და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

„კანონთა არსი" მონტესკიეს შემოქმედების თავისებურ გვირგვინად მოგვევლინა.

შეიძლება ითქვას, რომ მას ცოტათი უცნაური ბედი ერგო. აქ ვგულისხმობთ, იმას, რომ „სპარსული წერილებისაგან" განსხვავებით რომელიც მკითხველმა უმალ დაიტაცა და მის ავტორს საყოველთაო აღიარება მოუტანა, „კანონთა არსზე" ამას ვერ ვიტყვით. ამ თხზულების აღქმა თანამედროვეებს შედარებით გაუჭირდათ და მისი მნიშვნელობა მხოლოდ მოგვიანებით იქნა ღირსეულად დაფასებული.

ალ. ნამორაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „სპარსულ წერილებში" მონტესკიეს პოლიტიკური სიმპათიები რესპუბლიკისაკენ უფრო იხრება (88, გვ. 40). ეს შეხედულება საკამათო შეიძლება იყოს. ამ პერიოდში მონტესკიე უფრო მეტად ძიებების პროცესში იმყოფება და მისი პოლიტიკური შეხედულებები მხოლოდ მას შემდეგ იღებს მეტნაკლებად დასრულებულ სახეს როდესაც ინგლისიდან დაბრუნდა. მონტესკიემ მოგვცა სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმების კლასიფიკაცია. მონარქია, დესპოტია, რესპუბლიკა. იგი აღნიშნავს, რომ მმართველობის არცერთი ფორმა არაა იდეალური და არ გამორიცხავს მათ შორის კომპრომისს. ასე წარმოიშობა კონსტიტუციური მონარქიის იდეა. ვ. ვოლგინი ფიქრობს, რომ რესპუბლიკისადმი მონტესკიეს დამოკიდებულება პლატონურია. რესპუბლიკა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იქ, სადაც არის „ჯმირული კეთილშობილება". ასეთი „კეთილ-

შობილება, მონტესკიეს ღრმა რწმენით, არც კი შეიძლება მოეთხოვათ მის თანამედროვეებს „ამიტომ, მონტესკიეს აზრები ტოვებენ გმირულ წარსულს, რათა იპოვონ შესაძლო სიკეთე თანადროულობის პოლიტიკურ სინამდვილეში“. (195, გვ. 49-50). ამ ძიებებმა, როგორც ეს კარგად ჩანს მისი თხზულებიდან „კანონთა არსი“ მონტესკიე კონსტიტუციური მონარქიის იდეამდე მიიყვანა.

„ჩემი პრინციპები - დასძენს მონტესკიე - გამოყვანილია არა ჩემი ცრურწმენიდან, არამედ თვით საგანთა ბუნებიდან“ კანონისადმი დამოკიდებულებას ფრანგი მოაზროვნე ასე აყალიბებს „კანონები ამ სიტყვას ყველაზე ფართო გაგებით, აღნიშნავს იგი თავის თხზულებაში „კანონთა არსი“, ის უცილობელი ურთიერთობანია, რომელიც საგანთა ბუნებიდან გამომდინარეობს. ამ თვალსაზრისით, ყოველივეს, რაც არსებობს თავისი კანონები აქვს. იგი აქვს ღმერთს, მატერიალურ სამყაროსაც, ზეადამიანური გონების არსებობასაც. ცხოველებსაც და ადამიანებსაც“ აქ მონტესკიე ფაქტობრივად ახალ სიტყვას ამბობს სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებზე, რომელიც როგორც ალ. ნამორაძე აღნიშნავს, წარმოადგენდა სერიოზულ წინსვლას თომას ჰობსის შეხედულებებთან შედარებით (88, გვ. 39). მონტესკიეს თანახმად, შეიძლება ვილაპარაკოთ ოთხი ბუნებრივი კანონის შესახებ: მშვიდობა წარმოადგენს ადამიანის პირველ ბუნებრივ კანონს, მეორეა ადამიანის ბუნებრივი მისწრაფება მოიპოვოს საზრდო, მესამე - მისწრაფება ურთიერთდახმარებისაკენ, მეოთხე - საზოგადოებაში ყოფნის სურვილი.

ხელისუფლების სამად განაწილება აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო მონტესკიეს მოძღვრების დედაბოძია. ალ. ნამორაძე დაწვრილებით ჩერდება ამ საკითხზე და მისი განხილვისას ავლენს ღრმა ჩახედულებას იურისპრუდენციაში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ფართო ერუდიციას და განსწავლულობას (88, გვ. 40-55). სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძე გვერდს უვლის საკითხის გენეზისს. არისტოტელეს და ლოკის მოძღვრებას, რომლებიც მონტესკიეს წინამორბედად გვევლინებიან (238).

თავისი ბროშურის დასასრულს ალ. ნამორაძე ჩერდება კიდევ ერთ საინტერესო საკითხზე — მონტესკიეს იდეების გავლენა საფრანგეთის რევოლუციის დროს. მონტესკიეს მოძღვრება დიდი პოპულარობით სარგებლობდა საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში (1789-1792) და საფუძვლად დაედო 1791 წლის კონსტიტუციას (88, გვ. 60). შემდგომში 1792-1794 წლებში მონტესკიეს იდეებისადმი ინტერესი თითქოს ერთგვარად შენელდა. ამ ხანებში მონტესკიეს პირდაპირ გავლენაზე საუბარი ძნელია, თუმცა არაპირდაპირი გავლენა მაინც ძალაში რჩება. აქ ვგულისხმობთ „პოლიტიკური კეთილშობილების“ იდეას. 9 თერმიდორის გადატრიალების შემდეგ მონტესკიეს გავლენამ კვლავ იჩინა თავი და 1795 წლის კონსტიტუციაში ისევ იგრძნობა მონტესკიეს იდეები (600).

ალ. ნამორაძის ბროშურაზე მსჯელობა შეიძლება ამით დაგვემთავრებინა, რომ არა ერთი გარემოება. ალ. ნამორაძე დუმს იმის შესახებ, რომ მონტესკიე თავის თხზულებებში „სპარსული წერილები“ და „კანონთა არსი“ მოიხსენიებს საქართველოს და ეხება მის წარსულს (100, გვ. 29-30).

ამრიგად, ალ. ნამორაძის ბროშურა, ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნიდა XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის შარლ ლუი მონტესკიეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ფრანკლინი. თუ მონტესკიეზე დაწერილი ბროშურა ეძღვნება დიდი ფრანგი განმანათლებლის გარდაცვალებიდან 200 წლისთავს, ფრანკლინზე დაწერილი ნაშრომი ეხმაურება ამერიკული განმანათლებლობის პატრიარქის ფრანკლინის დაბადების 250 წლისთავს. თემის არჩევანი მისასალმებელია და იგი ეხება ამერიკის ისტორიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, რომლის ყურადღების ცენტრშიც დგას მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა, ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე და XVIII საუკუნის ამერიკული განმანათლებლობის აღიარებული ლიდერი, ბენჯამენ ფრანკლინი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მისმა მოღვაწეობამ უმალ მიიპყრო თანამედროვეთა ყურადღება და მათი მაღალი შეფასება დაიმსახურა. აქ ვგულისხმობთ ევროპული რომანტიზმის კორიფეს და აღიარებულ ლიდერს ჯორჯ ბაირონს. 1813 წლის 23 ნოემბერს დილით თავის დღიურში ჩაუწერია „იყო სახელმწიფოში პირველი ადამიანი, არა დიქტატორი, არა სულა, არამედ ვაშინგტონი ან არისტიდი (საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი XIX საუკუნის 20-იან წლებში - მ. ჭ.) პირველი ნიჭით და ჭეშმარიტი სიყვარულით - ეს თითქმის იგივეა, რომ იყო ღმერთი, ფრანკლინი, პეინი, მათ კვალდაკვალ ბრუტუს და კასიოს, იქნებ მირაბო ან სენ-ჟიუსტი“ (151, გვ. 158).

ალ. ნამორაძის ბროშურის გამოქვეყნება თავის დროზე ვერ მოხერხდა და მის ხელნაწერს წავაწყდი არქივში, თუმცა, როგორც ჩანს, ბ-ნ ალექსანდრეს ბევრი უცდია რათა ნაშრომს დღის სინათლე ეხილა და მკითხველამდის მიეღწია.

1957 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს გივი კიღურაძეს მიუმართავს საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის ალ. ნამორაძის ნარკვევის ბენჯამენ ფრანკლინის გამოცემის აუცილებლობის თაობაზე (712, ფ 1). ამის შემდეგ საქმე, როგორც ჩანს, ადგილიდან დაძრულა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს წარწერა, რომელიც გაკეთებულია ალ. ნამორაძის ბროშურის ხელნაწერის სატიტულო ფურცელზე. „ამხანაგ ბახტაძეს, გადაეცით რედაქტორს. ტექსტი დაყვანილ იქნას ნორმამდე. სტილის გასწორების შემდეგ გაუშვით წარმოებაში.“ თითქოს ყველაფერი წესრიგშია და ალ. ნამორაძის ბროშურის გამოქვეყნებას წინ აღარაფერი უდგას, მაგრამ იგი მაინც არ იქნა გამოცემული. თუ რა სირთულეები

წარმოიშვა შემდგომში ძნელი სათქმელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ბროშურა ფრანკლინის მოღვაწეობის შესახებ ჯერ კიდევ 1900 წელს გამოვიდა (118) და იგი შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძის გარკვეულ წინამორბედადაც კი მოგვევლინა. როგორც ჩანს, ბ-ნ ალექსანდრე ამ თხზულებას გაცნობილი არ უნდა იყოს, რადგან მას არსად არ მოიხსენიებს, როგორც თავის წინამორბედს, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ფრანკლინის მოღვაწეობის სერიოზული მეცნიერული შესწავლის პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძეს ეკუთვნის. უთუოდ, გასათვალისწინებულია ისიც, რომ პირველი სერიოზული ნაშრომი ფრანკლინზე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეიქმნა 1972 წელს (244). აღსანიშნავია, რომ მისი მოღვაწეობის ინტენსიური შესწავლა საბჭოთა კავშირში დაიწყო 50-იან წლების შუა ხანებში, როდესაც აღინიშნა ფრანკლინის დაბადების 250 წლისთავი (192; 409; 354; 539; 557; 620; 206; 618; 377). ამიტომ, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ალ. ნამორაძე იყო ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფრანკლინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სერიოზული შესწავლის სათავეებთან იდგა.

ალ. ნამორაძე ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ უცხოური სახელები საჭიროა წარმოითქვას და დაიწეროს ისე, როგორც მშობლიურ ენაზე. ამიტომ განსაკუთრებით მოულოდნელად მიგვაჩნია, რომ იგი ფრანკლინის სახელს წერს რუსულის გავლენით ბენიამინ და არა ინგლისურის მიხედვით ბენჯამენ ფრანკლინი, რაც ბუნებრივია, უფრო სწორი იქნებოდა. ამიტომ, ალ. ნამორაძის ბროშურის გამოქვეყნების შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა ეს შეუსაბამობა გასწორდეს.

ალ. ნამორაძე თავისი ნაშრომის პირველსავე გვერდზე ხაზს უსვამს იმ მოტივებს, რომლებმაც განაპირობეს მისი დაინტერესება ფრანკლინის ცხოვრებით და მოღვაწეობით. „ფრანკლინი ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის, როგორც მეცნიერ-ფიზიკოსი, როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწე და ბრწყინვალე დიპლომატი, როგორც განმანათლებელი და ფილოსოფოს-მორალისტი, როგორც პუბლიცისტი და მოწინავე იდეების პოპულარიზატორი, როგორც საზოგადო მოღვაწე და როგორც შესანიშნავი ადამიანი, თავისი პირადი სანიმუშო თვისებებით და ბოლოს, იგი ცნობილი პატრიოტია და თავის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი თანამედროვეები აღნიშნავენ, რომ „ეს იყო ადამიანი, რომელმაც გამოსტაცა ღმერთს მეხი და ტირანს ძალაუფლება."

ბენჯამენ ფრანკლინი დაიბადა კოლონია მასაჩუსეტის ქალაქ ბოსტონში 1706 წლის 17 იანვარს. 1685 წლამდე მათი ოჯახი ინგლისში ცხოვრობდა (244, გვ. 6). გაჭირკებამ და ხელმოკლეობამ აიძულა მამამისი ამერიკაში გადასახლებულიყვნენ. მრავალრიცხოვან ოჯახში კარგად იცოდნენ შრომის ფასი (პატარა ბენჯამენი მეთხუთმეტე შვილი იყო). „ბენჯამენ ფრანკლინმა უკვე პატარაობიდანვე იგემა სიღარიბე და გაჭირვება, უკვე ბავშვობიდან წილად ხვდა მას საკუთარი შრომით ერჩინა თავი და დიდი ტანჯვით გადაელახა ეკლიანი გზა. ამ მხრივ, მასთან შედარებით, გაცილებით უფრო ბედნიერი იყო მისი თანამედროვე ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე" (88, გვ. 3).

ღრმად მოხუცებული ფრანკლინი ამბობდა: „მე ზოგჯერ მინდა ვთქვა, რომ თუ მექნებოდა თავისუფალი არჩევის უფლება, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი ხელმეორედ გამეკლო იგივე ცხოვრება თავიდან ბოლომდე, მე მხოლოდ მსურდა მესარგებლა იმ უპირატესობით, რომელიც გააჩნიათ მწერლებს, როდესაც უშვებენ მეორე გამოცემას, სადაც ასწორებენ პირველი გამოცემის დროს დაშვებულ უზუსტობებს" (244, გვ. 3).

ფრანკლინი ბავშვობიდანვე ხარბად დაეწაფა კითხვას და ცოდნას. იგი ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა „მე არ მახსოვს ის ასაკი, როდესაც მე არ ვიცოდი კითხვა" (244, გვ. 12). 1714 წელს ფრანკლინი შედის ბოსტონის გრამატიკულ სკოლაში, მაგრამ იქ სულ ერთი წელი დაჰყო და, ლინკოლნის მსგავსად, სწავლას თავი დაანება (104; 243). სამაგიეროდ, იგი ძალიან ბევრს კითხულობდა. ალ. ნამორაძის ბროშურაში საინტერესოდაა მოთხრობილი ფრანკლინის ბავშვობა, ჭაბუკობა, ახალგაზრდობის წლები, მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა (678, გვ. 10-11). საგულისხმოა, ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელსაც ფრანკლინი ეწეოდა ფილადელფიაში. ჯერ იყო და დაარსა ცნობილი კლუბი „იუნტა", რომელიც იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მსგავსი ორგანიზაცია და მიზნად ისახავდა თვითგანათლებას. აღსანიშნავია, რომ ფრანკლინის ინიციატივით 1731 წლის 1 ივლისს დააარსდა საჯარო ბიბლიოთეკა. 1749 წელს ფრანკლინის თაოსნობით დაარსებულ იქნა პენსილვანიის უნივერსიტეტი. 1752 წელს მან ფილადელფიაში დააარსა პირველი საავადმყოფო, მასვე ეკუთვნის ფილადელფიის მეცნიერებათა აკადემიის შექმნის იდეაც (678, გვ. 10-14).

ალ. ნამორაძე თავის ნარკვევში საგანგებოდ ჩერდება ფრანკლინის შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესზე. ეს ერთ-ერთი საინტერესო საკითხია წიგნში. ის ხაზს უსვამს, ფრანკლინის შეხედულებების ჩამოყალიბების საქმეში ინგლისელი განმანათლებლების ლოკის, შევსტბერის, მანდევილის როლს. ამავე დროს, ფრანკლინი ძალიან კარგად იცნობდა XVIII საუკუნის ფრანგ განმანათლებლებს, ენციკლოპედისტებს და ყველაზე მაღლა აყენებდა ვოლტერს და მონტესკიეს (678, გვ. 15).

საყურადღებოა ის 13 პრინციპი, რომლითაც ფრანკლინის თვალსაზრისით შეიძლება ხელმძღვანელობდეს თითოეული ადამიანი: 1. თავის შეკავება - არ ჭამო და არ სვა ზომაზე მეტი; 2. ენის შეკავება - არ იყბედო, იცოდე ადამიანის მოსმენა და ილაპარაკე მარტო იმაზე, რაც მისთვის და მისი თანამოსაუბრისათვის სასარგებლოა; 3. წესრიგი - ყოველი საქმის დროული შესრულება; 4.

სიმტკიცე - გადაწყვეტილების აუცილებელი გატარება ცხოვრებაში; 5. მომჭირნეობა - არ ხარჯო ფული უთავბოლოდ; 6. შრომა გამოსადეგი და არა უაზრო; 7. გულწრფელობა, ილაპარაკოს და იმოქმედოს ისე, როგორც ფიქრობს; 8. სამართლიანობა - ნურავის ნუ ავნებდი ეცადე მოიმოქმედო სიკეთე; 9. ზომიერება - ყოველგვარი უკიდურესობის თავიდან აცილება; 10. სიფაქიზე; 11. სიმშვიდე; 12. უბიწოება; 13. თავმდაბლობა (678. გვ. 15).

ალ. ნამორაძე თავის ბროშურაში ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, ეხება კიდევ ერთ აქტუალურ თემას: ფრანკლინის რელიგიურ შეხედულებებს. დიდი ამერიკელი ჰუმანისტი სასტიკად ილაშქრებდა რელიგიური ფანატიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ და რჯულშემწყნარებლობის მხურვალე მომხრე იყო. რა თქმა უნდა, ფრანკლინი ათეისტი არასოდეს არ ყოფილა. იგი დეიზმის ზომიერი ფრთის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია, რაც ვოლტერისა და მონტესკიეს გავლენის შედეგია (678, გვ. 16-18; 244, გვ. 143-153; 620, გვ. 192). სხვათა შორის, თავის რელიგიური მრწამსი ფრანკლინმა კარგად გამოხატა სიკვდილის წინ ერზე სტაილსისადმი მიწერილ წერილში. ამერიკელი ისტორიკოსის ვერნერ ერვინის თქმით „ამ წერილში არის შეჯამებული ფრანკლინის რელიგიური შეხედულებები" (244, გვ. 152-153).

ალ. ნამორაძე მოკლედ ჩერდება ფრანკლინის წვლილზე პოლიტიკური ეკონომიკის სფეროში და ყურადღებას მიაქცევს მის ნაშრომს „ქაღალდის ფულის ბუნება და საჭიროება" (678, გვ. 22) თუმცა მიგვაჩნია, რომ ეკონომიკურ პრობლემებზე ფრანკლინის შეხედულებების განხილვა არასრულია, რაც იმით გამოიხატება, რომ ფრანკლინის შეხედულებები აგრარულ საკითხზე ჩრდილში მოექცა (537).

ბიოგრაფთა ერთი ნაწილი და მათ შორის ალ. ნამორაძე ფიქრობენ, რომ თხზულება „ისტორიული ნარკვევი პენსილვანიის კონსტიტუციის და მთავრობის შესახებ" ფრანკლინის დაწერილია (678, გვ. 10; 243, გვ. 131-132). ასეთი კატეგორიული განცხადება საკამათოა, ვინაიდან ეს ნაშრომი შეიძლება ფრანკლინის დაწერილი არც კი იყოს. ამერიკელმა ისტორიკოსმა სპარკსმა გამოაქვეყნა ფრანკლინის წერილი იუმისადმი 1760 წლის 27 სექტემბერს, რომელიც გარკვეულ შუქს ფენს ამ საკითხს. ფრანკლინი მადლობას მოახსენებს იუმს იმ გულისხმიერებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ამ ნაშრომის მიმართ და დასძენს, რომ ის მისი დაწერილი არაა (ეტყობა, იუმსაც ავტორი ფრანკლინი ეგონა), იგი დაწერილია სხვა ავტორის მიერ. ვარაუდობენ, რომ ის შეიძლება იყოს რიჩარდ ჯექსონი, თუმცა ფრანკლინის გავლენას არავინ არ გამორიცხავს (545, გვ. 120).

დიდი მეცნიერული ღირებულება გააჩნდა ფრანკლინის ნაშრომს „შენიშვნები ჩრდილოეთ ამერიკის ველურების შესახებ". ამით მან თავისი სიტყვა თქვა პირველყოფილი საზოგადოების და კულტურის შესწავლის საკითხში. ნაშრომში თავმოყრილ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და იგი შეიცავს უძვირფასეს ინფორმაციას ეთნოგრაფებისათვის (678, გვ. 29). ჩვენი აზრით, ფრანკლინის როგორც ისტორიკოსის შესახებ კიდევ უფრო მეტის თქმა იყო საჭირო და ისტორიული მეცნიერების წინაშე მისი დამსახურება მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს (246, გვ. 35-36, 76;48, გვ. 159).

საკმაოდ ძნელი და რთული საკითხია ფრანკლინის მსოფლმხედველობის შეფასება. ამერიკული განმანათლებლობის რომელ ფრთას შეიძლება მივაკუთვნოთ იგი? ეს ისტორიკოსთა შორის ცხარე კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. საინტერესოა, როგორი იყო ალ. ნამორაძის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი? უპირველეს. ყოვლისა, მისასალმებელია, რომ იგი არ გაურბის ასეთი ძნელი საკითხების დასმას და ცდილობს შეძლებისდაგვარად გასცეს მათ პასუხი. ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ფრანკლინი ამერიკული განმანათლებლობის ზომიერი ფრთის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო (244, გვ. 545). ისტორიკოსთა მეორე ნაწილი მას დემოკრატთა ბანაკს აკუთვნებდა (377). ვფიქრობთ, ალ. ნამორაძე უფრო ამ მეორე მოსაზრებისაკენ უნდა იხრებოდეს (678, გვ. 15). ფრანკლინის მიკუთვნება რადიკალურ-დემოკრატიული ბანაკისადმი საკამათოა და გადაჭარბებულად მიგვაჩნია. სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ფრანკლინი იყო ამერიკული განმანათლებლობის ზომიერი, პროგრესულ-ლიბერალური მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი სიმპათიები მონტესკიესა და ვოლტერისადმი შემთხვევითი არაა და ნათქვამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

ცალკე თემაა ფრანკლინი და ფიზიკა, რომელსაც ალ. ნამორაძის ნარკვევში საკმაო ადგილი ეთმობა. და საინტერესოდ არის მოთხრობილი მის მოღვაწეობაზე მეცნიერების ამ სფეროში (678, გვ. 15). ეს გვერდები პირველ ყოვლისა, იმ თვალსაზრისითაა საგულისხმო, რომ კარგად გვიჩვენებს ალ. ნამორაძის ღრმა განსწავლულობასა და ფართო ერუდიციას არა მარტო ჰუმანიტარულ, არამედ ტექნიკურ მეცნიერებებში. ფრანკლინის, როგორც ფიზიკოსის ერთ-ერთი დიდი დამსახურება იყო მეხამრიდის გამოგონება (565).

50-იანი წლები ფრანკლინის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპია. შეიძლება ითქვას, რომ ამიერიდან მისი პოლიტიკური საქმიანობა კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. საქმე ისაა, რომ ფრანკლინის სახელი გასცდა ამერიკის ფარგლებს და მთელს ევროპას მოედო, ხოლო მისი სახელი მსოფლიოს ისტორიის კუთვნილებად იქცა. რა პოზიცია ეკავა ფრანკლინს ყველაზე უფრო მწვავე საკითხში მეტროპოლიასა და კოლონიას შორის კონფლიქტში? ეს არის მისი პოლიტიკური შეხედულებების ღერძი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს მთელი მისი დიპლომატიური მოღვაწეობა. ალ. ნამორაძე ცდილობს თვალი გაადევნოს ფრანკლინის პოლიტიკური შეხედულებების ევოლუციას და საერთო ხაზებში დამაჯერებლად წარმოაჩინა ის პოზიცია,

რომელიც ამ პრინციპულ საკითხში ფრანკლინმა დაიკავა. თავდაპირველად, 50-60-იანი წლების დასაწყისში ფრანკლინი არ ჩანს რადიკალურად განწყობილი. იგი არ იყო სამხედრო კონფლიქტის მომხრე და შესაძლებლად მიაჩნდა კომპრომისი მეტროპოლიასთან. ინგლისი არ აპირებდა რეპრესიებზე ხელის აღებას და 60-იან წლებში მიიღო მთელი რიგი კანონები, რომელიც ჯეფერსონის თქმით, წარმოადგენდა „საპარლამენტო უზურპაციის ჯაჭვს". ამის შემდეგ, ფრანკლინის პოზიცია უფრო უკომპრომისო შეიქნა და იგი მიზანშეწონილად სცნობდა ბოლო მოღებოდა ინგლისის ბატონობას. ფრანკლინი კოლონიების სრული დამოუკიდებლობის მომხრეა (678, გვ. 88).

წიგნში მოთხრობილია ფრანკლინის აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობაზე 50-იან წლებში, რომლის მწვერვალია 1757 წელს ფრანკლინის დანიშვნა ინგლისში პენსილვანიის ასამბლეის ინტერესების დამცველად. ამ პოსტზე მან 1762 წლამდე დაჰყო, მაგრამ ფრანკლინის ყოფნა სამშობლოში მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და სულ მალე იგი კვლავ იღებს კურსს ინგლისისაკენ. 1764-1775 წლებში იგი არის ინგლისში პენსილვანიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მეტროპოლიასა და კოლონიას შორის ურთიერთობის ყველაზე უფრო მწვავე და დაძაბული წლები და შეიძლება ითქვას, რომ ფრანკლინმა თავის რთულ დიპლომატიურ მისიას წარმატებით გაართვა თავი. 60-იანი წლების მიწურულს და 70-იანი წლების დასაწყისში ვითარება კიდევ უფრო მეტად დაიძაბა, რასაც მოჰყვა ფრანკლინის მკვეთრი რეაქცია. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი პამფლეტები, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი საზოგადოებრივი აზრის მომზადებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში (194, გვ. 46-52).

1775 წლის მარტში ფრანკლინი ტოვებს ლონდონს და სამშობლოში ბრუნდება. ამ დროისათვის მეტროპოლიასა და კოლონიას შორის ურთიერთობაც დაჭიმულია. მათ შორის კონფლიქტი გარდაუვალი ჩანს. 1775 წელს ფრანკლინს ირჩევენ მეორე კონტინენტური კონგრესის დელეგატად. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა კულმინაციას უახლოვდება. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს დამოუკიდებლობის დეკლარაციის პროექტის შედგენაში, რომელიც მიიღეს 1776 წლის 4 ივლისს. მან გვამცნო ახალი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების დაბადება (539). მაგრამ ფრანკლინს სამშობლოში ყოფნა ცოტა ხანს მოუხდა და იგი იძულებულია ისევ ევროპაში გაემგზავროს. იგი ინიშნება ამერიკის ელჩად საფრანგეთში. ეს იყო ფრანკლინის დიპლომატიური და პოლიტიკური მოღვაწეობის აპოგეა. ფაქტობრივად ფრანკლინი იყო პირველი დიპლომატი, რომელსაც ამერიკა აგზავნიდა ევროპაში. ფრანკლინის უდიდესი მიღწევა იყო 1778 წლის 6 თებერვალს საფრანგეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულება (678, გვ. 55-57). ფრიად სიმპტომატურია, რომ ამის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სწრაფად გაარღვია ის დიპლომატიური იზოლაცია, რომელშიც სურდა მოექცია ამბოხებული კოლონიები ინგლისს (251; 601; 544; 167; 194) და ამაში ლომის წილი, რა თქმა უნდა, ფრანკლინს ედო. ამან, ფაქტობრივად გადაწყვიტა ომის ბედი და 1783 წლის 3 სექტემბერს პარიზში ხელმოწერილი იქნა ზავი. 1785 წელს ვალმოხდილი ფრანკლინი სამშობლოში დაბრუნდა.

ფრანკლინის მიერ მონობის წინააღმდეგ გალაშქრება მისი მოღვაწეობის დასკვნითი აკორდი აღმოჩნდა. 1790 წლის 17 აპრილს იგი გარდაიცვალა.

ალ. ნამორაძის ნარკვევის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ იგი თავის ნაშრომში გვერდს უვლის ფრანკლინის სამხედრო კარიერას. ამერიკელი ისტორიკოსის დ. ნოულენის თქმით „ბენჯამენ ფრანკლინის სამხედრო კარიერა გრძელდებოდა ექვსი კვირა. ეს იყო მისი ცხოვრების საინტერესო და უცნობი ეპიზოდი, რომელიც აღსავსეა მრავალი მოვლენით "(244, გვ. 105).

შეიძლება ალ. ნამორაძის ნარკვევი ფრანკლინზე ანალიზის სიღრმით ცოტათი ჩამოუვარდება მის ბროშურას მონტესკიეზე. ეს არცაა გასაკვირი. ვინაიდან ალ. ნამორაძე საქართველოში საფრანგეთის XVIII საუკუნის ისტორიის „ძველი რეჟიმის" ერთ-ერთი კომპეტენტური სპეციალისტია და მაინც მიუხედავად ამისა ალ. ნამორაძემ, ვფიქრობთ, წარმატებით გაართვა თავი უშუალო ამოცანას და წიგნის გამოქვეყნების შემთხვევაში ქართველ მკითხველს საფუძვლიანად გააცნობდა ბენჯამენ ფრანკლინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. „ეს ორი, პატარა მოცულობის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი დაწერილია იშვიათი გემოვნებით, საგნისა და ეპოქის ღრმა ცოდნით" (452, გვ. 162), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ფრანკლინზე ალ. ნამორაძის ნაშრომის თავის დროზე გამოქვეყნება XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული წარმატება იქნებოდა.

ალ. ნამორაძის ორი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა" და „ბენჯამენ ფრანკლინი" საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალ. ნამორაძე საქართველოში ამერიკის ახალი ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის ფუძემდებლად მოგვეელინა.

"საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია" ეს იყო ალ. ნამორაძის პირველი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომელიც ეძღვნებოდა მსოფლიოს ისტორიის ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის 100 წლისთავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ალ. ნამორაძემ ამ სერიოზულ თემაზე ინტენსიურად მუშაობდა 40-იანი წლების მანძილზე (662ა, ფ. 288). აღსანიშნავია, რომ წიგნი მოიწონეს სპეციალისტებმა: გივი კიღურაძის და ვარლამ დონაძის დადებითი რეცენზია დათარიღებულია 1950 წლით (675, ფ. 2) როგორც ჩანს, გამოცემა მაინც გაჭიანურებულა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრას 1956 წელს ხელმეორედ დაუსვამს ეს საკითხი (670, ფ. 1). მიუხედავად ამისა, ალ. ნამორაძის მონოგრაფია „საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია" მაინც გამოუქვეყნებელი დარჩა.

რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძეს ეს ნაშრომი ჩაფიქრებული ჰქონდა ორ ნაწილად, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა, რაც იმით აიხსნება, რომ პირველი ნაწილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა, ეტყობა, გული გაუტეხა ალ. ნამორაძეს და მონოგრაფიის მეორე ნაწილი უკვე აღარ დაუწერია. ხოლო თუ როგორ ჰქონდა გააზრებული ალ. ნამორაძეს საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია ეს ძალიან კარგად ჩანს, მის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩინებულად წაკითხული სპეცკურსიდან, რომლის ჩანაწერებსაც მოულოდნელად წავაწყდით ალ. ნამორაძის პირად არქივში (ეს მასალები ჩვენ გადმოგვცა ბ-ნ ალექსანდრეს ქალიშვილმა ქნ-მა ნინომ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ).

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ალ. ნამორაძის ნაშრომის გეგმა, რომელშიც აღმოვაჩინეთ იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ველოდით ალ. ნამორაძის მოხსენების კონსპექტში „ეროვნული კონვენტი და სათემო მიწები" (66, ფ 12).

„პატარა შესავალი, სადაც აღნიშნული იქნება საერთო მნიშვნელობა 48 წლის რევოლუციებისა ევროპაში და კერძოდ საფრანგეთში. 48 წლის რევოლუცია მარქსისტული მეთოდის მიხედვით, რევოლუციის აღმოცენება და მისი მიზეზები. ეს ყველაფერი უნდა ვეძიოთ წინა პერიოდში, ამიტომ, საჭიროა ივლისის მონარქიის გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავეცნოთ ივლისის მონარქიის წარმოშობის საკითხს.

თავი პირველი: ივლისის მონარქია. სათაური ეს ექნება. ფაქტობრივად ვილაპარაკებ წინა პერიოდზე, რესტავრაციის ხანაზე, რომლის კრახმა გამოიწვია ივლისის მონარქიის გამოსვლა ისტორიის ასპარეზზე.

თავი მეორე: ივლისის მონარქია: ა. სოციალ-პოლიტიკური ვითარება; ბ. ეკონომიკური მდგომარეობა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა); გ. მუშათა მოძრაობა და სოციალური თეორიები.

თავი მესამე: თებერვლის რევოლუცია და დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება.

თავი მეთოთხე: დროებითი მთავრობის (რევოლუციური) კანონმდებლობა.

თავი მეხუთე: დამფუძნებელი კრება და 1848 წლის კონსტიტუცია.

თავი მეექვსე: საკანონმდებლო კრება.

თავი მეშვიდე: ივნისის დღეები.

თავი მერვე: ლუი-ნაპოლეონის სახელმწიფო გადატრიალება.

თავი მეცხრე: 1848 წლის რევოლუციის გამოძახილი საქართველოში.

თავი მეათე: საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის შეფასება მარქსიზმის კლასიკოსების მიერ.

მოკლე რეზიუმე.

ლიტერატურა და წყაროები.

ამ გეგმის გაცნობის შემდეგ ძნელი არაა დავასკვნათ, თუ რაოდენ სერიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა ალ. ნამორაძეს. განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება მეცხრე თავი, სადაც განზრახული ჰქონდა 1848 წლის რევოლუციის გამოძახილის განხილვა საქართველოში. მით უმეტეს, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ის უკავშირებს ევროპის ისტორიას საქართველოს.

ჩვენი აზრით ამ გეგმის ძირითად ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ალ. ნამორაძეს მასში არ შეუტანია საკითხის შესახებ არსებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა. ასეთი ქვეთავი აუცილებელიც კი იყო. მით უმეტეს, რომ ალ. ნამორაძეს ეს მშვენივრად ხელეწიფებოდა და ძალიან კარგად გააკეთა თავის სახელმძღვანელოში. „დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1. ფეოდალური ქალაქის გენეზისი და სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება", თუმცა, შესაძლოა, ეს მან სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომში საჭიროდ არ ცნო.

ზემოთმოყვანილი გეგმის შემდგომი სრულყოფა გამორიცხული არ უნდა იყოს: ა. შესავალში დასმული საკითხი „48 წლის რევოლუცია მარქსისტული მეთოდის მიხედვით და მეათე თავი ერთიდაიგივეს გამეორებად მიგვაჩნია და ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ამ საკითხზე საუბარი ერთ ადგილას ნაშრომის შესავალში. ბ. ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა ნაშრომის პირველი და მეორე თავის გაერთიანება, ყველაზე უფრო ზუსტი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის მიზეზები. პირველი თავის სათაური და შინაარსი ერთმანეთს არ შეესატყვისება. ივლისის მონარქიის წარმოშობას ე. ი. წინა პერიოდს ბურბონთა რესტავრაციის ხანას შეიძლებოდა შევხებოდით სულ რამდენიმე გვერდზე იმ თავში, სადაც საუბარი გვექნებოდა ივლისის მონარქიაზე. გ. ჯერ მეხუთე თავში განვიხილოთ დამფუძნებელი კრება და 1848 წლის კონსტიტუცია, რომელიც მიიღეს 1848 წლის 4 ნოემბერს და შემდეგ დავუბრუნდეთ დროებითი მთავრობის პოლიტიკას და მეექვსე თავში და მეშვიდეში განვიხილოთ ივნისის მოვლენები, რომელიც 1848 წლის რევოლუციის კულმინაცია იყო. უხერხულად მიგვაჩნია და საკამათო შეიძლება იყოს. ჯერ უნდა განვიხილოთ დროებითი მთავრობის პოლიტიკა, შემდეგ ვისაუბროთ დამფუძნებელი კრების არჩევნებზე და მის საზეიმო გახსნაზე 1848 წლის 4 მაისს, მერე გადავიდეთ ივნისის მოვლენებზე და ამის შემდეგ დავიწყოთ საუბარი 1848 წლის კონსტიტუციაზე. ჩვენი ღრმა რწმენით, ალ. ნამორაძეს ნაშრომის მეორე ნაწილი რომ დაეწერა, სწორედ ასე მოიქცეოდა და პატარა შესწორებას შეიტანდა თავის გეგმაში.

როგორც რეცენზენტების მიერ აღინიშნა ალ. ნამორაძის წიგნის ღირსება მიზეზები უპირველეს ყოვლისა მის შემეცნებით მნიშვნელობაში უნდა ვეძიოთ. სხვათა შორის საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვით ალ. ნამორაძეც წიგნის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას სწორედ მის შემეცნებით ხასიათში ხედავდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მისი წერილი 1948 წლის დეკემბერს: „ქართულ საისტორიო ლიტერატურაში (ვგულისხმობთ მსოფლიო ისტორიას)

ძალიან ღარიბია საერთოდ, განსაკუთრებით კი ახალ ისტორიაში. საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის შესახებ არა მოგვეპოვება რა ქართულ ენაზე. უმაღლესი და საშუალო სკოლების უამრავი მოსწავლე მოკლებულია საშუალებას, უფრო ფართოდ გაეცნოს (ვიდრე ეს საშუალო სკოლის სახელმძღვანელოშია მოცემული) ამ მნიშვნელოვან მოვლენას.

შედარებით ვრცელი პოპულარული ხასიათის მონოგრაფია საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციაზე დიდი ხანია აუცილებელი საჭიროებაა, როგორც მოსწავლეებისათვის ისე სტუდენტებისათვის... "(670, ფ. 3). აქ, ალ. ნამორაძე საკმაოდ კარგად ასაბუთებს თავისი წიგნის გამოცემის აუცილებლობას, მაგრამ ყველაფერი ეს დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და ეს საინტერესო ნარკვევი გამოქვეყნებული არ ყოფილა და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული საკითხის შესახებ ქართულ ენაზე დღემდე არაფერი არ გაგვაჩნია.

ნაშრომი იწყება იმ დროისათვის ფრიად სოლიდური და დიდებულად გამართული შესავალით, რომელიც, ბუნებრივია, ძირითადად ეყრდნობა სტალინის და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებს. რა თქმა უნდა, ეს მონაკვეთი კონიუნქტურული ხასიათისაა და ალ. ნამორაძე იძულებულია ანგარიში გაუწიოს ბოლშევიკური იდეოლოგიის მონოპოლიას (657, ფ 15). ჩვენი აზრით, სასურველი და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შესავალში, ამასთან ერთად, განხილული ყოფილიყო საკითხის შესახებ არსებული წყაროები და ლიტერატურა. მით უმეტეს, რომ ამ საკითხის წინ წამოწევას გარდა წმინდა მეცნიერული მნიშვნელობისა გარკვეული შემეცნებითი დატვირთვა ენიჭება, ვინაიდან ქართულ ენაზე ამ საკითხზე არაფერი დაწერილა.

ალ. ნამორაძის მონოგრაფიის პირველი წიგნი ორი მონაკვეთისაგან შედგება: რევოლუციის წინაისტორია (1815-1847) და 1848 წლის რევოლუციის დასაწყისი.

რა თქმა უნდა, საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი გამომწვევი მიზეზები, რევოლუციის წინა პერიოდში უნდა ვეძიოთ. ამ პრობლემით ალ. ნამორაძის დაინტერესება საესებით ლოგიკურია და ამ თემას აღნიშნული საკითხის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. მან თავის წიგნში ხაზგასმით და დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია იყო ქვეყნის ისტორიული განვითარების კანონზომიერი შედეგი, მაგრამ აღნიშნულ თემაზე საუბრის დაწყება ნაპოლეონის პირველი გადადგომით და ბურბონთა პირველი რესტავრაციით 1814 წელს, ძალზე შორეულად მიგვაჩნია. ამ შეუსაბამობას, ეტყობა, ალ. ნამორაძეც გრძნობდა და ცდილობდა თავი დაეცვა „ამგვარად 1848 წლის რევოლუციის წინაპერიოდად ვიღებთ რესტავრაციისა და ივლისის მონარქიის პერიოდებს ერთად აღებულს, რაც თუ დამრგვალებული რიცხვით აღვნიშნავთ, სულ 33 წლის ისტორიას მოიცავს და ვერ გავიზიარებთ იმ მოსალოდნელ საყვედურს, თითქოს ჩვენ 1848 წლის რევოლუციას ადამ და ევადან ვიწყებთ" (657, ფ. 4). რევოლუციის წინაპერიოდზე და მის მიზეზებზე მსჯელობა ორ თავში, ჩვენი აზრით, გადაჭარბებული შეიძლება იყოს და სწორედ ამის შედეგია ის შეუსაბამობა, რომელიც პირველ წიგნში თვალშისაცემია. ვგულისხმობთ იმას, რომ რევოლუციის წინა პერიოდს ე. ი. ისტორიულ ფონს, ეთმობა წიგნის ნახევარზე მეტი 156 გვერდი, ხოლო რევოლუციის დასაწყისს სულ რაღაც 132 გვერდი. ალ. ნამორაძეს იმდენად ფართოდ აქვს განხილული რევოლუციის წინა პერიოდი, რომ ის თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ცალკე საინტერესო ნარკვევი საფრანგეთის ისტორიაზე 1814-1847 წლებში, მით უმეტეს, რომ მას გარკვეული შემეცნებითი დატვირთვა ენიჭება, რადგან მის შესახებ ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა. ის მოსაზრებები, რომელიც აღნიშნული მონაკვეთის გაცნობის დროს გაგვიჩნდა, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ღირსებას.

რევოლუციის წინა პერიოდის განხილვის დროს წიგნში აშკარად გამოიყოფა სამი ნაწილი. ბურბონთა რესტავრაცია, 1830 წლის რევოლუცია, ივლისის მონარქია.

რესტავრაციის ხანა საფრანგეთში პირობით ორ ეტაპად შეიძლება გავყოთ: ლუი XVIII მოღვაწეობის დასაწყისი (1815-1820) და XIX საუკუნის 20-იანი წლები, როდესაც ხდება მკვეთრი შემობრუნება მთავრობის პოლიტიკაში. ლუი XVIII მმართველობის დასასრული (1820-1824) და შარლ X ზეობა (1824-1830).

ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს იმ დიდ როლს, რომელიც 1814 წელს ნაპოლეონის დამხობის საქმეში შეასრულა ტალეირანმა (386; 113; 168; 389; 310; 442), მაგრამ სუსტად არის გაშუქებული ფუშეს როლი ნაპოლეონის მეორედ გადადგომის საკითხში 1815 წელს (443; 128; 310, გვ. 753-754).

ლუი XVIII მოღვაწეობა პირობით ორ ეტაპად შეიძლება გავყოთ. დასაწყისში, როდესაც ის ცდილობს ანგარიში გაუწიოს რევოლუციის შედეგად მომხდარ ცვლილებებს და შედარებით ლიბერალურ პოლიტიკას ატარებდა, რომლის მთავარი სულისჩამდგმელი იყო მინისტრი რიშელიე (657, ფ. 23-40), რომელიც ტალეირანის მოსწრებული თქმით, „მთელს საფრანეთში ყველაზე უფრო კარგად იცნობდა რუსეთს" (აქ იგი გულისხმობს იმას, რომ რევოლუციის დროს რიშელიე ემიგრაციაში იმყოფებოდა რუსეთში და კარგა ხანს ოდესაში ცხოვრობდა). 20-იან წლებში ლუი XVIII მოხუცდა, დაავადმყოფდა და როიალისტებმაც იმძლავრეს. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ვილელის აღზევება, რომლის ულტრაროიალისტურმა მთავრობამ შვიდი წელი იარსება (1821-1828). წიგნში საკმაოდ მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ რეაქციამ თავის აპოგეას მიაღწია შარლ X-ის მეფობი დროს (657, ფ. 40-49). ტალეირანის თქმით, „ბურბონებმა ემიგრაციაში ვერაფერი შეიგნეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს".

რესტავრაციის პერიოდის საფრანგეთის საგარეო პოლიტიკისთვის გვერდის ავლა ალ. ნამორაძის მსჯელობის

აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. თავის მოქმედებას ალ. ნამორაძე ასე ასაბუთებს „შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ რევოლუციის წინა პერიოდის საგარეო საქმეები განზე დავტოვეთ და მთელი ჩვენი ყურადღება მივაქციეთ საშინაო საქმეებს, გამოსული ამ მოსაზრებიდან, რომ გვეჩვენებინა მხოლოდ იმ შინაური ძალთა განვითარების გენეზისი, რამაც საქმე რევოლუციამდე მიიყვანა" (657, ფ. 4). ამგვარი არგუმენტაცია, ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს და არ გვაძლევს საშუალებას, ფართო პროფილით წარმოვაჩინოთ რევოლუციის მიზეზები. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ პერიოდში საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის განხილვა კი არ გვაშორებს ძირითად საკითხს, არამედ მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საგარეო პოლიტიკა ბურბონთა რეაქციული საშინაო პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა. ფრიად ნიშანდობლივია, რომ 1830 წელს ალჟირში მოპოვებულმა წარმატებამ ფრთები შეასხა მთავრობას და იგი ლიბერალური ოპოზიციის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა (255, გვ. 218-220). ამდენად, ალჟირში მოპოვებული წარმატება იყო ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა რევოლუციური აფეთქება საფრანგეთში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის წინ წამოწევით ალ. ნამორაძე კიდევ უფრო მეტ შუქს მოჰფენდა ბურბონთა რეჟიმის კატასტროფის და რევოლუციის მიზეზებს.

წიგნში თავმოყრილი ფაქტობრივი მასალა საშუალებას აძლევს მკითხველს, კარგად გაიაზროს ბურბონთა დინასტიის კატასტროფის ტრაგიკულობა და 1830 წლის რევოლუციის მართლზომიერება.

1830 წლის რევოლუცია, უთუოდ, მნიშვნელოვანია ფრანგული მონარქიის ევოლუციის გზაზე. წიგნში ქართველი მკითხველი იპოვის საინტერესო ინფორმაციას ამ ისტორიული მოვლენის შესახებ, რომელსაც თავისი შემეცნებითი ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს, ვინაიდან მის შესახებ ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა (657, ფ. 49-62; 580). თავისი სოციალური აზრით, 1830 წლის რევოლუცია ძალიან წააგავს 1688 წლის სასახლის გადატრიალებას ინგლისში. ორივე შემთხვევაში ერთი არაპოპულარული დინასტია შეიცვალა მეორეთი (657, ფ. 56 და 78).

რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ წიგნში ალ. ნამორაძე ქართველ მკითხველს აწვდის საინტერესო ინფორმაციას ბურბონთა უმცროსი შტოს ორლეანელთა დინასტიის შესახებ და მოკლედ ჩერდება ლუი-ფილიპეს ბიოგრაფიაზე (657, ფ. 78-83; 608).

ვფიქრობთ, საჭირო იყო წიგნში კიდევ ხაზგასმით და მკაფიოდ თქმულიყო იმ გარკვეულ პროგრესზე, რომელსაც მოასწავებდა ბურბონების ორლეანებით შეცვლა. მათ შორის არსებული განსხვავება კარგად ჩანდა ცენზიტარული მონარქიისადმი დამოკიდებულების საკითხში. თუ ბურბონები მხოლოდ მინიმალურ დეკორატიულ დათმობებზე მიდიოდნენ და ფრანგი ხალხის თვალში ლამის რეაქციის სიმბოლოდ იქცნენ, ორლეანები უფრო ლიბერალურ პოლიტიკას ადგნენ, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო უპრინციპობა და მზაკვრობა.(608).

სხვათა შორის, ახალი მთავრობის სახე ძალიან კარგად გამოიკვეთა საგარეო პოლიტიკის სფეროში, კონკრეტულად კი, ევროპაში დემოკრატიულ მოძრაობასთან მიმართებაში. მეფის რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებული პოლონელი პატრიოტების დასახმარებლად კაზიმირ პერიეს მთავრობამ თითი არ გაანძრია და ამით გაუადვილა რუსეთს 1831 წელს სისხლში ჩაეხშო აჯანყება. ასევე გულგრილი რეაქცია ჰქონდა საფრანგეთის მთავრობას 1830 წლის ბელგიის რევოლუციის მიმართ (324). თუ რესტავრაციის ეპოქის საგარეო პოლიტიკას ალ. ნამორაძე დუმილით უვლის გვერდს, აქ პირიქით, ივლისის მონარქიის საგარეო პოლიტიკა კარგად წარმოაჩენს თვით ამ მონარქიის სახეს (656, გვ. 92-94).

წიგნში განხილულია ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა ორლეანისტების დამოკიდებულება რესპუბლიკელებისადმი, მუშათა აჯანყება ლიონში, პარიზის ამბოხი 1832 წლის ივნისში და ლეგიტიმისტური ამბოხი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა საფრანგეთის ტახტზე ანრი V აყვანას (656, გვ. 95-96). საკითხის სრულყოფილი წარმოჩენისათვის, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ბონაპარტისტულ გამოსვლებზე. პირველ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1836 წლის 30 სექტემბერს, ხოლო მეორეს - 1840 წლის 6 აგვისტოს. ორივე ეს გამოსვლა მარცხით დამთავრდა, რაც გარკვეულწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ბონაპარტისტები იყვნენ მცირერიცხოვანი და ქვეყნის შიგნით რაიმე სერიოზული დასაყრდენი არ გააჩნდათ. ამ პუტჩის მოთავეს ლუი - ნაპოლეონს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ 1846 წელს მან მოახერხა ციხიდან გაქცევა (227).

ალ. ნამორაძე თავის წიგნში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს და საინტერესოდ განიხილავს საფრანგეთის ეკონომიკურ განვითარებას 1814-1847 წლებში. არსებითად ეს იყო საფრანგეთის სამრეწველო რევოლუციის წარმოჩენის პირველი სერიოზული მცდელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ თვალსაზრისით, წიგნის ეს მონაკვეთი უდავოდ ღირებულია და მას თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძემ ქართველ მკითხველს დამაჯერებლად უჩვენა ფრანგული ეკონომიკის განვითარების საკვანძო მომენტები. მან ნათელყო, რომ საფრანგეთის ეკონომიკა XIX საუკუნის დასაწყისში მართალია ნელი ტემპით, მაგრამ აღმავალი, პროგრესული გზით ვითარდებოდა (657, გვ. 100-138), მაგრამ რატომღაც ალ. ნამორაძე თავს იკავებს ახსნას აღნიშნული მეტამორფოზის მიზეზები. ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელიც აფერხებდა საფრანგეთის ეკონომიკის წინსვლას, იყო კონფლიქტი მრეწველებსა და ფინანსისტებს შორის (349).

წიგნის შემდგომი მონაკვეთი ეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის ფრიად აქტუალურ თემას სოციალი-

სტური და კომუნისტური თეორიები XIX საუკუნის 30-40-იან წლებში. ამ საკითხზე მსჯელობას ალ. ნამორაძე იწყებს ცოტა შორიდან, საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან, ბაბეფის შეხედულებების განხილვით (657, გვ. 132,-144; 521, გვ. 28; 217; 426). ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობათ ფრანგული უტოპიური სოციალიზმის მამამთავრის კლოდ ანრი სენ-სიმონის მოღვაწეობისა და შეხედულებების განხილვას (656, გვ. 144-154; 196; 558; 572). წიგნის ეს მონაკვეთი დაუსრულებელის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან აქ არაფერია ნათქვამი არა მარტო ოუენისა და ფურიეს შეხედულებაზე, არამედ XIX საუკუნის დასაწყისის სხვა სოციალ-უტოპისტებზეც. ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთი არათანმიმდევრულობა ალ. ნამორაძეს მოსვლოდა, ამიტომ, გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ წიგნის ცალკეული გვერდები, შესაძლოა, გაიბნა და დაიკარგა.

სოციალისტურ და კომუნისტურ თეორიებზე აქცენტის გადატანა, ცხადია, ადვილი გასაგებია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ცოტათი აღარიბებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის იდეური ცხოვრების სურათს, ვინაიდან იგი სინამდვილეში გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. მთავარი ტონის მიმცემია არა სოციალისტური და კომუნისტური თეორიები, არამედ ლიბერალური იდეები (175). ამით არსებითად მთავრდება რევოლუციის წინა პერიოდის მიმოხილვა და ალ. ნამორაძე იწყებს მსჯელობას საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის უშუალო მიზეზებზე.

უპირველეს ყოვლისა, ალ. ნამორაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ რევოლუციის წინა წლებში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობა მწვავდება. ოპოზიციური განწყობა ძლიერდება. ის მოითხოვს დაუყოვნებლივ რეფორმების გატარებას. ოპოზიციას თავისი კონკრეტული მიზანი აქვს „რეფორმები რევოლუციის მაგივრად". მთავრობამ სათანადო ელასტიურობა ვერ გამოიჩინა, დროზე ვერ აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას და ვერ მოახერხა კატასტროფის თავიდან აცილება. საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის მიზეზებს შორის ალ. ნამორაძე ასახელებს კიდევ ორ ფაქტორს 1845-47 წლების აგრარულ კრიზისს, კერძოდ, კარტოფილის მოუსავლიანობას და 1847 წლის სამრეწველო კრიზისს (657, გვ. 8).

მთავრობის რეაქციულმა პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი რევოლუციური ტალღის აზვირთებას. კვანძის გახსნა ახლოვდებოდა. თანამედროვეებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. წინასწარმეტყველურად გაისმა ტოკვილის სიტყვები 1848 წლის 29 იანვარს „რევოლუციის ძირითადი ძალა პროლეტარიატი იქნება".

წიგნში საკმაოდ კვალიფიცირებულად, საქმის ცოდნით არის განხილული ურთიერთობა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. ხაზგასმულია, რომ მთავრობა ჯიუტად ამბობდა უარს რეფორმებზე, ხოლო ამის ალტერნატივა რევოლუცია იყო. ნაჩვენებია ოპოზიციის არათანამიმდევრულობა და უპრინციპობა. ცნობილი მწერალი პროსპერ მერიმე, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული იმის თაობაზე, რაც პარიზში ხდებოდა, აღნიშნავდა, რომ „დედაქალაქში შექმნილი ვითარებით ხელისუფლებაზე არანაკლებ არის დაფიქრებული ოპოზიცია" (255, გვ. 264). ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ 21 თებერვალს საღამოს ოპოზიციამ მოუწოდა ხალხს, რომ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას, მაგრამ მოვლენათა ჩარხის უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო. თებერვლის სამი დღე ივლისის მონარქიისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. რევოლუციამ პირისაგან მიწისა აღგავა ორლეანელთა დინასტია. 23 თებერვალს გადადგა მინისტრი ფრანსუა გიზო. 24 თებერვალს გადადგა ლუი-ფილიპე. ივლისის მონარქიამ არსებობა შეწყვიტა. თებერვლის რევოლუციას ალ. ნამორაძის წიგნში, ბუნებრივია, დიდი ადგილი ეთმობა. მკითხველი ამ მონაკვეთს, უთუოდ, დიდი ინტერესით გაეცნობა. აქ დეტალურად არის გაშუქებული მოვლენები და ერთი ამოსუნთქვით იკითხება (657, გვ. 186-222). წიგნის ამ მონაკვეთთან დაკავშირებით მოკრძალებით გვინდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება. ალბათ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა 23 და 24 თებერვლის ერთმანეთთან გაერთიანება, უფრო უპრიანი იქნებოდა 24 თებერვლის ცალკე გამოყოფა. თებერვლის სამი ისტორიული დღე ცალ-ცალკე იქნებოდა განხილული.

მეფის გადადგომის შემდეგ რევოლუციის წინაშე ორი პრობლემა იდგა: ახალი მთავრობის არჩევა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობა. ნაშრომის შემდეგი თავიც სწორედ ამ საკითხებს ეთმობა.

ხელნაწერში დაწვრილებით არის განხილული დროებითი მთავრობის არჩევა და ჩამოყალიბება, მაგრამ სიტყვაც არაა ნახსენები რესპუბლიკის გამოცხადებაზე (657, გვ. 222-239). ეს შეუსაბამობა ალ. ნამორაძეს როგორც ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩენია. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მისივე ხელით ფანქრით გაკეთებული მინაწერი „სად და როდის გამოცხადდა რესპუბლიკა და რა სახით, სად არის ამაზე ლაპარაკი" (657, გვ. 239). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალ. ნამორაძეს განზრახული ჰქონდა ამ მონაკვეთის გასწორება, მაგრამ რადგან წიგნის გამოცემა უსაშველოდ გაჭიანურდა, როგორც ჩანს, გული აუცრუვდა, ხელი ჩაიქნია და ეს ადგილი ძველი სახით დარჩა. ცხარე დისკუსიის შემდეგ 25 თებერვალს, საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. ალ. ნამორაძე თავისი ნაშრომის ხელნაწერებისადმი საკმაოდ თვითკრიტიკულადაა განწყობილი და, როგორც ჩანს, მასში გარკვეული კორექტივების შეტანაც სურდა.

ნაშრომში, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესოა 1848 წლის რევოლუციის მოღვაწეთა დახასიათება (657, გვ. 239-254). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ალ. ნამორაძეს სერიოზული წინამორბედი ჰყავდა. ამ საკითხს თავის დროზე საგანგებო ნაშრომი უძღვნა ფრანგმა ისტორიკოსმა ო. ვერმორელმა „ორმოცდარვა წლის რევოლუციის მოღვაწეები" (183), რომელსაც ალ. ნამორაძე, ცხადია, კარგად იცნობს და მასში გამოვლენილ

საინტერესო ფაქტობრივ მასალას სათანადოდ იყენებს, მაგრამ იგი ბრმად არ მიჰყვება თავისი წინამორბედის მიერ განვლილ გზას. ქართველი ისტორიკოსი წარმოაჩენს ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც ვერმორელის წიგნში არ არის. ესენია: ალბერი, ფრანსუა არაგო, დიუპონ დე ლიერი, გარნიე პაჟესი. საკამათოდ მიგვაჩნია ისეთი არაორდინალური პიროვნებისადმი გვერდის ავლა, როგორიც ოდილიონ ბარაა. შესაძლოა, ეს იმით იყო განპირობებული, რომ ბოლშევიკური იდეოლოგია მას ალმაცერად უყურებდა, როგორც ბურჟუაზიული ბანაკის თვალსაჩინო ფიგურას. ალბათ, სასურველი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ ლამარტინიმ და ბლანმა შექმნეს საინტერესო ნაშრომი XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუციაზე (281; 163; 159; 160). ამას, ვფიქრობთ, გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა ექნებოდა.

აღნიშნული საკითხის შესახებ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება დღეს ძალიან მკაცრი და საკამათო შეიძლება მოგვეჩვენოს და ეს ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არაა მთავარი და ძირითადი. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი და დღემდე ერთადერთი ცდაა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის წარმოჩენისა, რაც ალ. ნამორაძის დამსახურებაა.

ამის შემდეგ დროებითი მთავრობის პოლიტიკაზე გადასვლა საკამათო შეიძლება იყოს. უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ჯერ დროებითი მთავრობის პოლიტიკა განგვეხილა და მერე გვესაუბრა 1848 წლის რევოლუციის მოღვაწეებზე? ვფიქრობთ, ასე უფრო ლოგიკურია. როგორი იყო დროებითი მთავრობის პირველი ნაბიჯები? მის მიერ გატარებული სოციალური ღონისძიებები, კანონმდებლობა. ამ აქტუალურ თემაზე არის მსჯელობა პირველი წიგნის ბოლო გვერდებზე. აქ საუბარია შრომის უფლების განხორციელებაზე, სახელმწიფო სტანდარტების შემოღებაზე. მობილური გვერდის შექმნაზე, სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე (657, გვ. 254-265). სავსებით ვიზიარებთ ნაშრომის მინდორზე თავად ბ-ნ ალექსანდრეს მიერ ფანქრით გაკეთებულ მინაწერს, რომ უკეთესი იქნებოდა „ჯერ მოეთავსებინა ქვეთავი ლუქსემბურგის კომისიაზე, ხოლო შემდეგ ქვეთავი ნაციონალურ სახელოსნოებზე, როგორი თანამიმდევრობითაც ეს აქვთ ერტიეს, ლოზინსკის, გრიმს და სხვ." (657, გვ. 265). ფაქტობრივად ამით მთავრდება ნაშრომის პირველი მონაკვეთი. ალბათ, სასურველი იქნებოდა ამ თავში ორიოდე სიტყვა თქმულიყო დროებითი მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე. დროებითი მთავრობა უარყოფითად ეკიდება გერმანიის გაერთიანების ყოველგვარ გამოვლინებას. ეს გასაგებიცაა. საფრანგეთს, ბუნებრივია, ხელს აძლევდა მეზობლად ჰყოლოდა დაქუცმაცებული, დაქსაქსული, სახელმწიფო, ვიდრე ძლიერი, გაერთიანებული გერმანია. დროებითმა მთავრობამ ნორმალური ურთიერთობები დაამყარა დიდ სახელმწიფოებთან: ინგლისთან, რუსეთთან, ავსტრიასთან. დროებითი მთავრობის ნეიტრალურმა პოზიციამ საშუალება მისცა ავსტრიას ჩაეხშო იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

შემდგომი თაობა, რა თქმა უნდა, საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის ზოგიერთ საკითხს ცოტა სხვაგვარად შეხედავს, ცოტა სხვაგვარად გააშუქებს, ცოტა სხვა აქცენტებს დასვამს, მაგრამ ამ საკითხის ვერც ერთი ქართველი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ალ. ნამორაძის ნაშრომს.

ალ. ნამორაძის გარდაცვალების შემდეგ წიგნის ხელნაწერის მეორე ნაწილი ძალიან ბევრი ეძებეს, მაგრამ მის კვალს ვერსად ვერ მიაგნეს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გაიბნა და, ეტყობა, დაკარგულია, მაგრამ სინამდვილეში საქმის ვითარება, ჩვენი აზრით, ცოტა სხვაგვარად უნდა იყოს. უნებლიედ ჩნდება ერთი კითხვა — თუ შემორჩა საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციაზე ალ. ნამორაძის სპეცკურსის ჩანაწერები, სად შეიძლება გამქრალიყო მისი ნარკვევის მეორე ნაწილი? ჩვენი ვარაუდით, ალ. ნამორაძეს ეს ნაშრომი არ დაუსრულებია. როგორც უკვე ითქვა, იმ ხელოვნურმა დაბრკოლებებმა, რომელიც შეხვდა პირველი ნაწილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ეტყობა, იმდენად გაუტეხა გული ღვაწლმოსილ მეცნიერს, რომ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი წიგნის გაგრძელებაზე, მისი მეორე ნაწილი, როგორც ჩანს, არც კი დაუწერია. თუ როგორ შეიძლებოდა ჰქონოდა ალ. ნამორაძეს გააზრებული თავისი წიგნის გაგრძელება ეს ძალიან კარგად ჩანს იმ გეგმიდან და უნივერსიტეტში წაკითხული სპეცკურსის ერცელი ფრაგმენტებიდან, რომელიც შემოგვრჩა.

ალ. ნამორაძის სალექციო ჩანაწერები, უდავოდ, საინტერესოა და საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი სპეცკურსს საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციაზე მისთვის ჩვეულ მაღალპროფესიულ დონეზე ატარებდა, მაგრამ შემორჩენილი ჩანაწერები არ წარმოადგენს მწყობრ, კომპაქტურ, გაბმულ სალექციო კურსს, რომელიც საშუალებას მოგვცემდა შეგვევსო ის ვაკუუმი, რომელიც შეიქმნა ხელნაწერის დაუსრულებლობის გამო. ამიტომ, მათი გამოქვეყნება, როგორც პირველი წიგნის გაგრძელება, მიზანშეწონილად არ გვესახება. ამ ფრაგმენტებიდან ყველაზე უფრო ღირებულია 1848 წლის კონსტიტუციის განხილვა, რომელიც თითქმის სამ ათეულ ფურცელს შეიცავს (647).

ალ. ნამორაძის მინაწერი, რომ „მას 1848 წლის რევოლუცია აგეგმილი აქვს მარქსის მიხედვით" (647), რა თქმა უნდა, ადვილი გასაგებია და იმ დროისათვის, როდესაც ალ. ნამორაძე წერდა თავის ნაშრომს, ეს სავსებით ბუნებრივი იყო. ალ. ნამორაძე, ცხადია, იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებულ იდეოლოგიას. ეს ნიუანსი, ვფიქრობთ, სერიოზულ ჩრდილს ვერ აყენებს ალ. ნამორაძის ნაშრომს, ვინაიდან მასში ღირებული გაცილებით უფრო მეტია და თავის დროზე მისი გამოქვეყნება იქნებოდა ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

* * *

შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი პროფ. ალ. ნამორაძე ენერგიას არ იშურებდა, რომ საშუალო სკოლაში მსოფლიოს ისტორიის სწავლება სათანადო დონეზე ყოფილიყო. ალ. ნამორაძის ასეთი პოზიცია ღრმად მოქალაქეობრივი იყო და იგი ორი ფაქტორით არის მოტივირებული. პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ალ. ნამორაძეს შესანიშნავად ესმოდა საშუალო სკოლაში ისტორიის ცოდნის ამაღლების გარეშე ყოვლად შეუძლებელია უმაღლეს სასწავლებელში კვალიფიცირებული კადრების მიზიდვა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მან ძალიან კარგად იცოდა, რომ მსოფლიოს ისტორიის ელემენტარული ცოდნის გარეშე კულტურული ადამიანი ვერ ჩამოყალიბდებოდა. ამიტომ, სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძე, როგორც უმაღლესი სკოლის პროფესორი დიდ გულისყურს იჩენდა საშუალო სკოლაში შექმნილი ვითარებისადმი და ყოველთვის მზად იყო დახმარების ხელი გაეწოდებინა მისთვის. ამ მხრივ მისი ამაგი, უდავოდ დასაფასებელია.

რა თქმა უნდა, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ალ. ნამორაძის ინიციატივას ფრთები ჰქონდა შეკვეცილი და ის, რისი გაკეთებაც მან შეძლო, ძალზე მნიშვნელოვანია. პირველ ყოვლისა, ალ. ნამორაძე მშვენივრად ხედავდა თუ რა ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა საშუალო სკოლის მასწავლებელს, რომელსაც დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის შესახებ ლიტერატურა მშობლიურ ენაზე თითქმის არ მოეპოვებოდა. ამის გარეშე კი, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. იგი ყოველთვის დაუზარელად ეხმარებოდა საშუალო სკოლის მასწავლებელს პროფესიული დაოსტატების ამაღლების საქმეში. ხელმძღვანელობდა სკოლაში ახალი ისტორიის სწავლების მეთოდიკის დამუშავებას. რედაქციას უკეთებდა საშუალო სკოლის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს. აღსანიშნავია, რომ ვ. ეფიმოვის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს პირველი თარგმანის რედაქტორიც ღვაწლმოსილი ქართველი ისტორიკოსი პროფ. ალ. ნამორაძე იყო (40).

საშუალო სკოლაზე ზრუნვის გამოვლინებაა აგრეთვე მისი რეცენზია ე. კოსმინსკის შუა საუკუნეების ისტორიის სკოლის სახელმძღვანელოზე (667, ფ. 4). უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძე თარგმანს იწონებს და გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას, რომელიც, სხვათა შორის, მისმა მოწაფეებმა გაითვალისწინეს ძველი სახელმძღვანელოების რედაქტირების და ახალ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დროს. ალ. ნამორაძე მოითხოვდა, რომ სახელები და ტერმინები ვწეროთ ისე, როგორც ის მშობლიურ ენაზე წარმოითქმის და, რამდენადაც ამის საშუალებას ქართული ფონეტიკა გვაძლევს. ასე მაგალითად: არა ლუდოვიკო XI, არამედ ლუი XI, არა გუთები, არამედ გოთები და სხვ (667, ფ.2). ალ. ნამორაძე შესაძლო გამონაკლისად მიიჩნევდა მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც თარგმნის დროს დამახინჯებულმა ტერმინმა ფართოდ მოიკიდა ფეხი და მოქალაქეობის უფლება მოიპოვა. ასე მაგალითად: იაკობინები და ჟაკობინები, მოსკოვი და არა მოსკვა.

უდავოდ, მისასალმებელი იყო ალ. ნამორაძის მიერ მასწავლებელთა დასახმარებლად გადათარგმნილი შუა საუკუნეების ისტორიის ქრესტომათია ნ. გრაციანსკის და ა. უდალცოვის რედაქციით (688, ფ. 221). როგორც ირკვევა, უნივერსიტეტის გამომცემლობა აპირებდა ამ თარგმანის დაბეჭდვას. მაგრამ სულ უკანასკნელ მომენტში, ოფიციალური ვერსიით ქაღალდის დეფიციტის გამო, იგი გამოქვეყნებული არ ყოფილა (645).

ფაქტობრივად, ალ. ნამორაძემ გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯი მსოფლიოს ისტორიის სწავლების საკითხში უმაღლეს და საშუალო სკოლას შორის აქტიური თანამშრომლობის გზაზე. შემდგომში, ეს კარგი ტრადიცია რატომღაც გაწყდა. ამჟამად, არის ცდა კონტაქტების აღდგენისა. ამის ნათელ ილუსტრაციად ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა მიგვაჩნია (66; 67).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ. ნამორაძე, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი დიდ ყურადღებას აქცევდა პირველწყაროებზე მუშაობას და მათ საფუძველიან შესწავლას. ამ მხრივ, მას პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მართლაც უზარმაზარი შრომა აქვს გაწეული, რომელიც მოიცავს რამდენიმე საარქივო საქმეს და არის 1700 გვერდზე მეტი (665, ფ. 96; 655, ფ 178; 654, ფ. 751; 653. ფ. 381; 688, ფ. 221; 658, ფ. 62; 663, ფ. 24: 662, ფ. 32). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შრომატევადი სამუშაო ძირითადად ორ დანიშნულებას ემსახურებოდა: 1. ალ. ნამორაძე, რომელიც ბრწყინვალედ იცნობდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესახებ არსებულ პირველწყაროებს, უხვად იყენებდა მათ თავის სალექციო კურსში და ამით, ცხადია, კიდევ უფრო ამდიდრებდა თავის შესანიშნავ და საინტერესო ლექციებს 2. როგორც ჩანს, იგი ფიქრობდა შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ქრესტომათიის შექმნას.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ქრესტომათიის შექმნა მიგვაჩნია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ძნელ საქმეში პირველი სერიოზული ნაბიჯების გადადგმა ჯერ კიდევ ალ. ნამორაძეს უცდია. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მან შეკრიბა წყაროები ცეზარისა და ტაციტუსის ცნობებით დაწყებული და XVIII საუკუნის დოკუმენტური მასალით დამთავრებული. ეს იყო ჩინებული მასალა, რომლისგანაც ძალიან კარგი ქრესტომათია შედგებოდა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ალ. ნამორაძეს განუხორციელებელი დარჩა და ქრესტომათიების ქართულ ენაზე გამოცემა ვერ მოახერხა, რაც ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული დანაკლისია და ამ სახის ნაშრომი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღემდე არ მოგვეპოვება. თავის დროზე ასეთი სერია, უდავოდ, სასარგებლო საქმე იქნებოდა და წინწასწევდა საშუალო და უმაღლეს სკოლაში ისტორიის სწავლებას, აამაღლებდა ისტორიის ცოდნის დონეს. იგი დიდ დახმარებას გაუწევდა სტუდენტებს და მასწავლებლებს.

მისმა მოწაფეებმა 1979 წელს, პროფ. გივი კილურაძის და დოც. მიხეილ მამფორიას რედაქციით გამოსცეს ახალი ისტორიის ქრესტომათიის პირველი ნაწილი, რომელშიც მოთავსებული იქნა წყაროები ინგლისის რევოლუციიდან საფრანგეთის რევოლუციამდე (1640-1789) (119). ამით მათ ფაქტობრივად დაიწყეს იმის შესრულება, რაც ალ. ნამორაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა, თუმცა იმ ხანებში მხოლოდ ერთი მონაკვეთის გამოქვეყნება მოხერხდა და ამიტომ, ამ საშური საქმის ბოლომდე მიყვანა მისასალმებელი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, ალ. ნამორაძის მიერ ჩატარებული მუშაობა შეიძლება საგულისხმო იყოს და მის მიერ თარგმნილი დოკუმენტების გამოქვეყნება შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ქრესტომათიების შედგენის დროს გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ამრიგად, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ქრესტომათიის შედგენის იდეა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ალ. ნამორაძის კიდევ ერთი სერიოზული დამსახურებაა.

უმაღლეს სასწავლებლებში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის სწავლების მიზნით ალ. ნამორაძემ თარგმნა „კლასთა ბრძოლა სავაჭრო კაპიტალის ეპოქაში" და ჰ. კუშნერის „დასავლეთ ევროპის ისტორია" (52; 59). ეს წიგნები სავსებით პასუხობდნენ იმ დროის მოთხოვნებს და მათი თარგმნით ალ. ნამორაძემ ქართველი სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, უდავოდ, სასარგებლო შრომა გასწია.

ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს ალ. ნამორაძის სამი ნაშრომი, რომელიც ეხება ცნობილ ისტორიკოსებს: გრ. ნათაძეს, მ. პოკროვსკის და ნ. დუბროვსკის. როგორც აღვნიშნეთ, მან მეტად თბილი და გულისხმიერებით აღსავსე წერილი მიუძღვნა მის უფროს კოლეგას, ქართული მედიევისტიკის ფუძემდებელს პროფ. გრ. ნათაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (517). ამ საკითხზე საუბარი უკვე გექონდა ნაშრომის წინა თავში და ამიტომ, მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. თუ მისი წერილი გრ. ნათაძის შესახებ მეცნიერული ხასიათი იყო მისი გამოსვლა ორი ცნობილი ისტორიკოსის მ. პოკროვსკის და ნ. დუბროვსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით უფრო მეტად პოპულარულ ხასიათს ატარებდა.

საფიქრებელია, რომ ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის მ. პოკროვსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ალ. ნამორაძეს დაავალეს გამოსულიყო მოხსენებით, რაც მას, როგორც ჩანს, გაუკეთებია კიდეც ორჯერ. ჯერ 1933 წლის 21 აპრილს წაუკითხავს მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ 1935 წელს გამოსულა მოხსენებით ორი კათედრის მსოფლიოს ისტორიის და რუსეთის ისტორიის გაერთიანებულ სხდომაზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალ. ნამორაძეს ამით თავისი მისია ამოწურულად მიუჩნევია და მისი დაბეჭდვა არც კი უფიქრია (702, ფ. 20; 378, ; 582).

ალ. ნამორაძის შრომები ქართული ისტორიოგრაფიის კლასიკაა. დღეს ეს შრომები, რომლებიც გამოქვეყნებულია, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ხოლო მეორე ნაწილი ჯერ კიდევ არ ყოფილა გამოქვეყნებული და ამიტომ, ცხადია, აუცილებელია ალ. ნამორაძის თხზულებების სამტომეულის გამოცემა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი პირველად არ დასმულა და იგი უკვე წამოიჭრა ღვაწლმოსილი მეცნიერის გარდაცვალებისთანავე, ჯერ კიდევ 60-იან წლების დასაწყისში (452, გვ. 127), მაგრამ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მისი გამოცემა გაჭიანურდა და გადაიდო. ამიტომ, ეს საკითხი სახელგანთქმული მეცნიერის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით ხელმეორედ წამოიჭრა, მაგრამ ვერც ამჯერად მოება თავი ამ საქმეს. 90-იან წლებში იგი კვლავ განსახორციელებელია, თუმცა, დღევანდელ გაჭირვებულ ყოფაში ამ საშური საქმის განხორციელება საეჭვოდ მიგვაჩნია. მომავლისათვის სამტომეულის გამოცემა ასე წარმოგვიდგენია:

პირველ ტომში უნდა დაიბეჭდოს სტატია „ალ. ნამორაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე" „ქალაქები ლუი XIV დროს"; „ადმინისტრაციული მეურნეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII-XVIII საუკუნეში"; „დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1. ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება" და „ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესაძებ".

მეორე ტომში - საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის სათემო მიწების განაწილებისადმი მიძღვნილი შრომები და 1848 წლის საფრანგეთის რევოლუცია.

მესამე ტომში - „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა"; „შარლ ლუი მონტესკიე"; „ბენჯამენ ფრანკლინი". „პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე"; „სპეცსემინარზე ისტორიული დოკუმენტის შესახებ"; „ასპირანტურის მდგომარეობის შესახებ". რეცენზიები გივი კილურაძის და ვარლამ დონაძის ლექციების კურსზე.

ალ. ნამორაძის სამტომეულის გამოცემის შემთხვევაში, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა გავითვალისწინოთ: 1. ის ადგილები, სადაც ალ. ნამორაძე იძულებულია რეფერანსები გააკეთოს არსებული ბოლშევიკური იდეოლოგიის მიმართ, ბუნებრივია, დატოვებული უნდა იქნას. მიუხედავად იმისა, რომ ეს იდეები ძალით იყო თავსმოხვეული მისი ტექსტიდან ამოღება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, მივიღებთ ისტორიული მეცნიერების განვითარების არაადეკვატურ სურათს. 2. ფრანგული და გერმანული ტექსტები შეიძლება ჩატანილი იქნეს ქვემოთ სქოლიოში, ხოლო ტექსტში შევიდეს ქართული თარგმანი. 3. ის მრავალრიცხოვანი კორექტურული შეცდომები, რომლებიც გაპარულია ალ. ნამორაძის შრომებში და რომელიც იმ დროს პოლიგრაფიის დაბალ დონეზე მიგვანიშნებს, ცხადია, უნდა გასწორდეს, ხოლო სტილი უცვლელი დარჩეს.

დასკვნა

საქართველოში შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიების და სწავლების სათავეებთან დგას შესანიშნავი ტრიუმვირატი: ნიკოლოზ დუბროვსკი, გრიგოლ ნათაძე, ალექსანდრე ნამორაძე. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ყოველი მათგანი იყო მაღალი რანგის მკვლევარი-მეცნიერი და ლექტორი.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ნიკოლოზ დუბროვსკი იყო ევროპული დონის მკვლევარი-ისტორიკოსი, რაც, სხვათა შორის, ძალიან კარგად ჩანს მისი პირველი შრომებიდან. საფიქრელი იყო, რომ შემდგომში იგი კიდევ უფრო გაიზრდებოდა, დაიხვეწებოდა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი რეცენზია ალ. ნამორაძის სადოქტორო დისერტაციაზე, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ პოლონეთის დატოვების და საბჭოთა კავშირში ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების შემდეგ, ეტყობა, მან საბოლოოდ ჩაიქნია ხელი და პრაქტიკულად ჩამოშორდა აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობას, რაც თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენს ხელთ არსებული მისი მეცნიერული შრომები რაოდენობრივად მცირერიცხოვანია.

გრ. ნათაძე და ალ. ნამორაძე, ევროპული ყაიდის ეს ორი ქართველი მეცნიერი გაცილებით უფრო მეტს და ღირებულს შექმნიდნენ, ხოლო გრ. ნათაძეს არ მოუხდებოდა იმ მძიმე და დამამცირებელი ხარკის გადახდა ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის და მისი იდეოლოგიისადმი, რომელიც ჩრდილს აყენებს მის სამეცნიერო მოღვაწეობას.

სამივე ისტორიკოსის დამოკიდებულება ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის და მისი იდეოლოგიისადმი ნეგატიურია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ რთული ვითარებიდან ყოველმა მათგანმა სრულიად სხვადასხვაგვარი გამოსავალი გამოძებნა. ვერცერთს ვერ გავამტყუნებთ, რადგან ეს იყო გადასარჩენად მიღებული მათი პირადი არჩევანი.

ნ. დუბროვსკიმ, როგორც მკვლევარმა ბოლშევიკურ რეჟიმთან და მის იდეოლოგიასთან არანაირ კომპრომისზე წასვლა არ ისურვა და საბოლოოდ თქვა უარი მეცნიერულ მუშაობაზე. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ნ. დუბროვსკის პრინციპულობა, ძალზე ვაფასებთ მის ვაჟკაცობას, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილება, როგორც უკვე ვთქვით, თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ ასეთი რადიკალური ნაბიჯი საკამათო არ იყოს. რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო მას ამ ხნის განმავლობაში? ამიტომ, საერთო საქმისათვის იქნებ სჯობდა გარკვეულ კომპრომისზე წასვლა? თუმცა, კვლავ ვიმეორებთ, რომ სრულიადაც არ ვამტყუნებთ ნ. დუბროვსკის და კარგად გვესმის მისი.

ალ. ნამორაძე კიდევ უფრო ნაკლებად, გრ. ნათაძე, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო მეტად, იძულებულია წავიდნენ კომპრომისზე მარქსისტულ-ლენინურ, საბჭოთა იდეოლოგიის წინაშე. ეს შემთხვევითი არ ყოფილა და მას გააჩნია თავის ახსნა. რა თქმა უნდა, არც ერთს და არც მეორეს ბოლშევიკები კარგი თვალით არ უყურებდნენ. მართალია, ალ. ნამორაძე, გრ. ნათაძისაგან განსხვავებით, აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკაში არ იღებდა. იყო ფედერალისტთა პარტიის წევრი, მაგრამ როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ბოლშევიკები უკვე 20-იან წლებში ასპირანტურაში სწავლის პერიოდში უნდობლად უყურებდნენ მას, და არასაიმედოდ მიიჩნევდნენ (648, ფ. 49). მაგრამ, ეტყობა, ალ. ნამორაძეს ისინი მარტო პოტენციურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდნენ, ხოლო გრ. ნათაძეს ორივედ - იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ და ამიტომ, როგორც ჩანს, მასზე ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ზეწოლა გაცილებით უფრო ძლიერი იყო. თავის დროზე, გრ. ნათაძე მონაწილეობას იღებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ესერთა პარტიის აქტიური წევრი და ბოლშევიკების პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო. ამიტომ, თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე ხშირად უხდებოდა თავის მართლება საკუთარი „ცოდვებისათვის". იგი იძულებული იყო, სულ უფრო მეტ დათმობაზე წასულიყო მარქსისტულ-ლენინური, საბჭოური იდეოლოგიის მიმართ. მისი შრომები სულხან ბარათოვზე, „დოფშის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი", ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაციაა. აქ, გრ. ნათაძე თუ შეიძლება ასე ითქვას, ცდილობს „რომის პაპზე უფრო მეტი კათოლიკე" გახდეს. მიუხედავად ამისა, ძნელი სათქმელია, რომ მან შეძლო ბოლშევიკური ხელისუფლების გულის მოგება და ნდობის მოპოვება. ყველაფერი ეს, პირველ ყოვლისა, ნაკარნახევი იყო ფიზიკური გადარჩენის აუცილებლობით და ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად გვესმის გრ. ნათაძის. ისტორიის გადასახედიდან განსჯა ძალიან ადვილია, მაგრამ არავინ იცის, როგორ მოიქცეოდა თითოეული ჩვენთაგანი ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში.

აქ, უსათუოდ, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი. ნ. დუბროვსკი რუსულ ენაზე წერდა და მას ჰქონდა ასეთი ფუფუნების უფლება. გრ. ნათაძე და ალ. ნამორაძე, ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვერ მისცემდნენ. რომლებიც ქართველი მკითხველისათვის წერდნენ, რომელსაც დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესახებ მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურა თითქმის არ გააჩნდა. საჭირო იყო ამ სიცარიელის შევსება და მათ ამ მისიის აღსრულება იკისრეს. ამა მოცანის თუნდაც ნაწილობრივ განხორციელება ბოლშევიკურ-ტოტალიტარულ რეჟიმთან და მის იდეოლოგიასთან კომპრომისის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა. უსათუოდ, ეს იყო კიდევ ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელიც აიძულებდა მათ კომპრომისზე წასულიყვნენ.

ამ თვალსაზრისით, ფრიად მრავლისმეტყველად მიგვაჩნია ის დიდი ყურადღება, რომელსაც ორივე ქართველი ისტორიკოსი იჩენდა ევროპული ისტორიოგრაფიის

მიმართ. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა და მას წმინდა მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად თავისი შემეცნებითი-პოლიტიკური დატვირთვა გააჩნდა. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ეს შეიძლება იყო მკითხველთან საუბარი „ეზოპეს ენაზე" და ევროპელ ისტორიკოსთა შეხედულებების გადმოცემის გზით ისინი ცდილობდნენ მიეხვედრებინათ მისთვის სიმართლე. დასაკლეთ ევროპის გამოჩენილი ისტორიკოსების შეხედულებების მარქსისტული ანალიზის ფონზე, მკითხველს ჩაახედებდნენ ევროპული ისტორიოგრაფიის საგანძურში.

ალბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ სამივე ეს მეცნიერი ნ. დუბროვსკი, გრ. ნათაძე, ალ. ნამორაძე ტრაგიკული პიროვნებები იყვნენ, მაგრამ მათ შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო ტრაგიკული იყო გრ. ნათაძის ბედი.

ამ სამეულში ყველაზე უფროსია ნ. დუბროვსკი, რომელმაც ნაწილობრივ მაინც მოასწრო თავისი სათქმელის თქმა, ხოლო პოლონეთიდან წამოსვლის და საბჭოთა კავშირში ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის და მისი იდეოლოგიის დამყარების შემდეგ მეცნიერული მუშაობას სულ მთლად ჩამოშორდა. ეს იყო ამ პიროვნების უდიდესი ტრაგედია. ცხადია, რომ ყველაზე უფრო გულწრფელი სახით, სწორედ, მისმა შეხედულებებმა მოაღწია, რაც მისი შრომების ყველაზე დიდი ღირსებაა.

გრ. ნათაძის და ალ. ნამორაძის პიროვნული ტრაგედია სულ სხვა ხასიათს ატარებდა. მათ შორის ყველაზე უმცროსი ალ. ნამორაძე იყო. პრაქტიკულად, მისი ინტენსიური მეცნიერული მუშაობა იწყება სადოქტორო დისერტაციის დაცვით 1938 წელს. ეს უკვე ის პერიოდია, როდესაც სამინელი რეპრესიების ყველაზე, უფრო დიდი ტალღა გადავლილია. რეპრესიები თანდათან ცხრება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ალ. ნამორაძეს შეეძლო ეწერა თავისუფლად. ერთი მარქსისტულ-ლენინური, საბჭოური იდეოლოგიის არტახებში მომწყვდეულ ალ. ნამორაძეს თავისი ნიჭის სრულყოფილად გამოვლინების საშუალება არ ჰქონდა. სწორედ ეს იყო მისი პიროვნული ტრაგედია. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად ამით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა თავისებურად გამოიყურება. ამ რანგის ისტორიკოსს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო. იგი იძულებული შეიქნა ორი სერიოზული პრობლემით შემოფარგლულიყო: ადმინისტრაციული მეურვეობა ძველი რეჟიმის დროს და სათემო მიწების განაწილების საკითხი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში მისი, როგორც ისტორიკოსის მდიდარი პოტენციური შესაძლებლობები ფაქტობრივად გამოუყენებელი დარჩა.

კიდევ უფრო განსხვავებულია გრ. ნათაძის ხვედრი. მე ვიტყოდი, რომ გრ. ნათაძე არის ის უიღბლო ისტორიკოსი, რომლის ინტენსიური მეცნიერული მოღვაწეობის მონაკვეთი 20-იანი წლების შუა ხანები - 40-იანი წლების შუა ხანები, ტოტალიტარული რეჟიმის ყველაზე უფრო მძიმე პერიოდს დაემთხვა. შეიძლება ითქვას, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოს მხრივ, ყველაზე უფრო მძლავრი და ხანგრძლივი ზეწოლა სწორედ მან განიცადა. გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების, ალბათ, მაინც მისი ესერული პოლიტიკური წარსულის გამო იგი იძულებულია დაემორჩილოს ბოლშევიკურ იდეოლოგიას. სწორედ ამაშია გრ. ნათაძის პიროვნული ტრაგედია. იგი კარგად ხვდებოდა, რომ თუ ისე არ მოიქცეოდა, როგორც ამას ხელისუფლება ითხოვდა, უმალ გაუხსენებდნენ თავის პოლიტიკურ წარსულს და ამიტომ, იძულებულია სულ უფრო მეტ დათმობებზე წავიდეს მარქსისტულ-ლენინური, საბჭოური იდეოლოგიის მიმართ. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იგი ალ. ნამორაძისაგან განსხვავებით, იძულებულია კიდევ უფრ მეტ დათმობებზე წავიდეს ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან.

ამ სამი შესანიშნავი ისტორიკოსის მოღვაწეობა, ალბათ, კიდევ ერთი კარგი ნიმუშია იმისა თუ, რაოდენ ძნელი და მძიმე ხვედრი მოელის მეცნიერს ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში.

თუ ჩვენ მათ გამოკვლევებს მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, მიგვაჩნია რომ ფასეული გაცილებით მეტი რჩება. მათი შრომების მეცნიერულ ღირებულებასაც სწორედ ეს განსაზღვრავს.

სამივე ისტორიკოსი პროფესორი ნიკოლოზ დუბროვსკი, პროფესორი გრიგოლ ნათაძე, პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე იყვნენ რაფინირებული ინტელიგენტები, რომლებსაც თან მოჰყვა XIX საუკუნის ინტელიგენტის გარეგნული სახე და სულისკვეთება.

ლიტერატურა

წიგნები:

1. ავალიშვილი ზ., ორი ისტორიული ნარკვევი ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1929, 111 გვ.

2. აკოფაშვილი გ., გლეხური და საბატონო მეურნეობის განვითარება – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 533-540.

3. აკოფაშვილი გ., ვაჭრობა, მრეწველობა და საქალაქო ცხოვრების განვითარება საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 540-554.

4. ანთაძე კ., გივი კიღურაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1983, 47 გვ.

4ა. ანთაძე კ., ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 185 გვ.

5. ანთაძე კ., ფირცხალავა ლ., შუა საუკუნეების ისტორია, I ნაკვეთი, თბ., 1996, 261 გვ.

6. ანთაძე კ., ფირცხალავა ლ., შუა საუკუნეების ისტორია, II ნაკვეთი, თბ., 1996, 215 გვ.

7. ანთელავა ირ., XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1971, 226 გვ.

8. არისტოტელე, ათენელთა სახელმწიფო წყობილება, თარგმნა ს. ყაუხჩიშვილმა, ქუთაისი, 1935, 40 გვ.

9. ბადრიძე შ., საქართველო და ჯვაროსნები, თბ., 1973, 36 გვ.

10. ბერიძე ვ., კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წწ.), თბ., 1992, 30 გვ.

11. ბერიძე ვ., მოგონებები, თბ., 1987. 452 გვ.

12. ბიკოვი ა., ამბები ინგლისის ისტორიიდან, XI საუკუნიდან XIX საუკუნის დამლევამდის, კ.ს. ჩხეიძის თარგმანი, ბათუმი, 1901, 388 გვ.

13. ბოლოთაშვილი გ., უახლესი ისტორია, ნაკვეთი 1, თბ., 1996 280 გვ.

14. ბოლოთაშვილი გ., უახლესი ისტორია. ნაკვეთი II, თბ., 1996, 175 გვ.

15. ბრეგვაძე ბ., ნიკოლო მაკიაველი – წიგნში: ნ. მაკიაველი „მთავარი", თბ., 1984. 591 გვ.

16. ბრიჯისი, კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა, ტფ., 1928, 48 გვ.

17. გაბაშვილი ტ., მიმოხილვა, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1956, 159 გვ.

18. გაჩეჩილაძე რ., ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა, თბ., 1994, 210 გვ.

19. გაწერელია ა., ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968, 29 გვ.

20. გეხტმანი გ., ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან, თბ., 1940, 192 გვ.

21. გვრიტიშვილი დ., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968, 148 გვ.

22. გვრიტიშვილი დ., მასალები საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1979, 341 გვ.

23. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 1955, 464 გვ.

24. გვრიტიშვილი დ., მესხია შ., თბილისის ისტორია, თბ., 1952, 295 გვ.

25. გვრიტიშვილი დ., მესხია შ., დუმბაძე მ., სურგულაძე აკ., თბილისის ისტორია, თბ., 1958, 566 გვ.

26. გლეხთა საკითხი საფრანგეთში, თარგმანი ქარუმიძის, 1906, 40 გვ.

27. გოგოლაძე დ., სამთამადნო სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966, 212 გვ.

28. გორგილაძე ლ., სოციალიზმის ისტორიიდან, თბ., 1967, 363 გვ.

29. გოცაძე მ., სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955; 272 გვ.

30. გრიშაშვილი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1927, 181 გვ.

31. დონაძე ვ., აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწილი I, თბ., 1968, 516 გვ.

32. დონაძე ვ., საზღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი I, 1642-1870, თბ., 1968, 402 გვ.

33. დონაძე ვ., საზღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი 2, 1870-1918, თბ. 1965, 500 გვ.

34. დონაძე ვ., საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978, 202 გვ.

35. დონაძე ვ., ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970, 324 გვ.

36. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957, 415 გვ.

37. მ. დუმბაძე, იმერეთის სამეფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, 844-890 გვ.

38. დუნდუა თ., საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1995, 63 გვ.

39. ერისთავი რ., ქრისტეფორე კოლუმბი, 1887, 32 გვ.

40. ეფიმოვი ვ., ახალი ისტორია, თბ., 1969, 348 გვ.

41. თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990, 452 გვ.

42. თვალავაძე ვ., ვარლამ დონაძე, თბ., 1993, 27 გვ.

43. თვალიაშვილი ქ., ჩიკვაიძე ც., ძველი მსოფლიოს ისტორია, I ნაკვეთი, თბ., 1995, 192 გვ.

44. თვალიაშვილი ქ., ჩიკვაიძე ც., ძველი მსოფლიოს ისტორია, II ნაკვეთი, თბ., 1995, 192 გვ.

45. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბ., 1980, 741 გვ.

46. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.. 2, თბ., 1981, 743 გვ.

47. კიკნაძე ვ., შილერი ქართულ სცენაზე, თბ., 1957, 69 გვ.

48. კილურაძე გ., ახალი ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1970, 477 გვ.

49. კილურაძე გ., XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაწ. 1, თბ., 1979, 504 გვ.

50. კილურაძე გ., XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაწ., 2. თბ., 1983, 469 გვ.

51. კილურაძე გ., საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), თბ., 1982, 389 გვ.

52. კლასთა ბრძოლა სავაჭრო კაპიტალის ეპოქაში, თბ., 1931, 158 გვ.

53. კოდუა ე., ისტორიის იმანენტური საზრისი, თბ., 1979, 233 გვ.

54. კოდუა ე., ისტორიის საზრისის საკითხისათვის, თბ., 1976, 461 გვ.

55. კოდუა ე., ისტორიის ფილოსოფია, თბ., 1966, 414 გვ.

56. კოვალევსკი მ., ოჯახის და კერძო საკუთრების წარმოშობა-განვითარება, თარგმნა სპ. ჭელიძემ, ბათუმი., 1905, 74 გვ.

57. კოსვენი მ., პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თარგმნა გ. ჩაჩაშვილმა, თბ., 1971, 259 გვ.

58. კუდრიავსკი დ., როგორ ცხოვრობდა ძველი ადამიანი, თარგმნა ის. კვიცარიძემ, ტფ., 1920, 104 გვ.

59. კუშნერი პ., დასავლეთ ევროპის ისტორია, ნაწილი 1, თარგმანი და შენიშვნები ალ. ნამორაძის, თბ., 1935, 186 გვ.

60. ლაშქარაძე დ., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1972, 426 გვ.

61. ლომოური ნ., კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, 88 გვ.

62. ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973, 372-507 გვ.

63. ლორთქიფანიძე მ., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1976, 32 გვ.

64. ლორთქიფანიძე ვ., საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ნაწ.1, (1789-1792), თბ., 1906, 96 გვ.

65. მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა), თბ., 1995, 330 გვ.

66. მამუკელაშვილი ნ., ახალი ისტორია, თბ., 1992, 214 გვ.

67. მამუკელაშვილი ნ., ახალი ისტორია 1814-1870, თბ., 1992, 229 გვ.

68. მესხია შ., საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, 179 გვ.

69. მესხია შ., ძლევაი საკვირველი, თბ., 1972, 161 გვ.

70. მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმისა, თბ., 1962, 195 გვ.

71. მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, 114 გვ.

72. მეტრეველი რ., დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 1978, 87 გვ.

73. მეტრეველი რ., ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი, თბ., 1996, 117 გვ.

74. მეტრეველი რ., მეფე თამარი, თბ., 1991, 374 გვ.

75. მეტრეველი რ., ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972, 185 გვ.

76. ნათაძე გრ., დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1926, 250 გვ.

77. ნათაძე გრ., დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1933, 158 გვ.

78. ნათაძე გრ., ინგლისის მოკლე ისტორია, თბ., 1919, 115 გვ.

79. ნათაძე გრ., კაპიტალიზმის ისტორიიდან, თემა 2, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, თბ., 1933, 200 გვ.

80. ნათაძე გრ., პარიზის კომუნა (დოკუმენტების კრებული) თარგმანი, შენიშვნები გრ. ნათაძის, თბ., 1938, 110 გვ.

81. ნათაძე გრ., პირველყოფილი კულტურა, თბ., 1920, 120 გვ.

82. ნათაძე გრ., საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხი, თბ., 1931, 119 გვ.

83. ნათაძე გრ., საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწილი I, ჭუთაისი., 1925, 131 გვ,

84. ნათაძე გრ., საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწილი II, ჭუთაისი., 1925, 128 გვ.

85. ნამორაძე ალ., ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მართველობა საფრანგეთში, თბ., 1935, 220 გვ.

86. ნამორაძე ალ., დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი I, ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, თბ., 1933, 212 გვ.

87. ნამორაძე ალ., კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა, თბ., 1961, 201 გვ.

88. ნამორაძე ალ., შარლ-ლუი მონტესკიე თბ., 1956, 62 გვ.

89. ნაპოლეონი, რჩეული ნაწერები, თბ., 1943, 363 გვ.

90. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, 398 გვ.

91. ონიაშვილი, ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება, გორი., 1920, 48 გვ.

92. პერშიცი ა., მონგაიტი ა., ალექსეევი კ., პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, მთარგმნელი გ. ავალიშვილი, თბ., 1988, 324 გვ.

93. პლუტარქე, რჩეულთა ბიოგრაფიები, თარგმნა ა. ურუშაძემ, თბ., 1975, 711 გვ.

94. პოლიევქტოვი მ., გრ. ნათაძე, ძველი ტფილისი, ტფ., 1930, 90 გვ.

95. ჟანა დარკი, 1889, თბ., 18 გვ.4, იან ჰუსი, 1889, 21 გვ.

96. ჟორდანია ნ., საფრანგეთის ისტორია, დიდი რევოლუცია, თბ., 1906, 62 გვ.

97. რაჭველიშვილი ქრ., საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1926, 152 გვ.

98. რევიშვილი შ., ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე, თბ., 1987, 407 გვ.

99. რევიშვილი შ., ფრიდრიხ შილერი და ქართული საზოგადოება, თბ., 1959, 37 გვ.

100. რევიშვილი შ., ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობებიდან, თბ., 1965, 277 გვ.

101. სადიპლომო ნაშრომის შესრულების მეთოდური მითითებები, შემდგენელი ლალი ფირცხალავა, თბ., 1993, 17 გვ.

102. სანიკიძე ლ., რომის იმპერია, თბ., 1984, 345 გვ.

103. საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი, თბ., 1991, 377 გვ.

104. სენდბერგი ვ., ლინკოლნი, თბ., 1966, 689 გვ.

105. სიდამონიძე უ., ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხი, თბ., 1978, 165 გვ.

106. სიდამონიძე უ., საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970.

107. სოსელია გ., საქართველოს საზოგადოება და სახელმწიფო წყობა „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, სოხუმი, 1956, 239 გვ.

108. სტალინი ი., დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, თბ., 1938.

109. სურგულაძე ა., არდავიწყება მოყვრისა, თბ., 1986; 174 გვ.

110. სურგულაძე ა., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1976, 47 გვ.

111. სურგულაძე ივ., სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის"მიხედვით, თბ., 1977, 260 გვ.

112. ტარლე ე., ნაპოლეონი, თბ., 1942, 554 გვ.

113. ტარლე ე., ტალეირანი, თბ., 1965, 337 გვ.

114. უზნაძე დ., ისტორია პირველყოფილი კულტურის, თბ., 1919, 68 გვ.

115. უზნაძე დ., მსოფლიო ისტორია, ნაწ. 1. (პირველყოფილი კულტურა და ძველი აღმოსავლეთი), თბ., 1916, 80 გვ.

116. ფირცხალავა ლ., ისტორიული მეცნიერების შესავალი, თბ., 1994, 233 გვ.

117. ფირცხალაიშვილი ალ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, 122 გვ.

118. ფრანკლინი, 1900, 54 გვ.

119. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, ნაწილი I, თბ., 1979, 255 გვ.

120. ყორანაშვილი გ., მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმამდელი ფორმაციების შესახებ. თბ., 1976, 159 გვ.

121. ყორანაშვილი გ., პროფესია ისტორიკოსი, თბ., 1986, 133 გვ.

122. ყორანაშვილი გ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწილი I, თბ., 1994, 239 გვ.

123. ყორანაშვილი გ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწილი II, თბ., 1995, 375 გვ.

124. შარია პ., შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი, თბ., 1976, 225 გვ.

125. შველიძე დ., პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, ნაკვეთი 1, თბ., 1993, 310 გვ.

126. ჩხატარაიშვილი ქ., შაიშმელაშვილი ივ., დიდგორის ბრძოლა, თბ., 1978, 108 გვ.

127.ა.ჩხეიძე, ბათუმი ინგლისის ახალო აღმოსავლურ პოლიტიკაში (1875-1878), ბათუმი, 1974, 166 გვ.

128. ცვაიგი ს., ჟოზეფ ფუშე, ბათუმი, 1972, 259 გვ.

129. ცისკრიშვილი დ., ნაპოლეონი, წიგნი I, თბ., 1995, 460 გვ.

130. წერეთელი ა., ჩემი თავგადასავალი, თბ., 1990, 96 გვ.

131. წერეთელი ალ., სოციალური რეფორმები ძველ საბერძნეთში, სოლონის სისახთეა, თბ., 1925, 190 გვ.

132. წერეთელი ალ., ძველი საბერძნეთი, თბ., 1956, 445 გვ.

133. წერეთელი გ., მგზავრის წერილები ანუ კიკოლიკო, ჩიკოლიკო და კუდაბზიკა, თბ., 1935, 148 გვ.

134. ხავთასი გრ., ფრიდრიხ შილერი, თბ., 1959, 44 გვ.

135. ხახანაშვილი ალ., ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე, ქუთაისი., 1910, 182 გვ.

136. ხუროძე გ., ცენტრალური ამერიკის აღმოჩენა და დაპყრობა, თბ., 1935, 58 გვ.

137. ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, თბ., 1921, 224 გვ.

138. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 1907, 110 გვ.

139. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, – თხზულებები ტ.2, თბ., 1983, 445გვ.

140. ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორია, თბ., 1943, 388 გვ.

141. ჯიბლაძე გ., ნ. ბარათაშვილის პოეზიის გენია, თბ., 1968, 480 გვ.

142. ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, 611 გვ.

143. ჰეროდოტე, ისტორია, თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1975, 357 გვ.

144. Акты Кремонь 10-13 вв. В собрании академии наук СССР, подготовлены к изданию Аннинским С., М., 1937, 220.

145. Алексеев А., Макиавелли как политический мыслитель, М., 1880

146. Алпатов М., Политические идеи Французской буржуазной историографии 19 в., М., 1949, 407 с.

147. Ардашев П., Абсолютная монархия на Западе, СПб., 1902, 183 с.

148. Ардашев П., Провинциальная администрация во Франции в последнюю пору старого порядка 1774-1789, СПб. т.1, 1900., 658с.

149. П. Ардашев, Провинциальная администрация во Франции в последнюю пору старого порядка 1774-1789, СПб., т.2. 1906, 733 с.

150. Асмус Ф., Маркс и буржуазный историзм, М., 1933, 345 с.

151. Байрон Дж., Дневники, М., 1963, 439 с.

152. Баратов С., История Грузии, тетрадь 1-5, СПб., 1871

153. Барг М., Исследования по истории английского феодализма 11-13 вв. М., 1962, 379 с.

154. Барг М., Освещение межформационных кризисов в современной западной историографии (на материале дискуссии о так называемом кризисе 17 в.)- в кн.: Критика современной буржуазной и реформистской историографии, М., 1974, с. 23-50.

155. Барг М., Проблемы социальной истории, М., 1973, 230 с.

156. Баскин М., Монтескье, М., 1965, 160 с.

157. Басовская Н. Столетняя война. 1337-1453 гг. М., 1985, 185 с.

158. Бейкер Дж. История географических открытий и исследований, М., 1950, 571 с.

159. Бендерикова Л., Луи Блан как историк, М., 1959, 101 с.

160. Бендрикова Л., Французская историография революции 1848-1849 гг. во Франции (1848-1968), М., 1969, 397 с.

161. Бердяев Н., Смысл истории, М., 1990

162. Бессмертный Ю., Феодальная деревня и рынок в Западной Европе, 12-13 вв. М., 1969, 365 с.

163. Блан Л., История Французской революции, т. 1-12, СПб., 1907-1912 гг.

164. Блок М., Апология истории, М., 1988, 121 с.

165. Блок М., Феодальное общество. - В кн.: М. Блок, Апология истории, М., 1988, с. 121-181.

166. Блок М., Характерные черты французской аграрной истории, М., 1957, 315 с.

167. Болховитинов Н., Становление русско-американских отношений 1775-1815 гг. М., 1968, 272 с.

168. Борисов Ю., Шарль Морис Талейран, М., 1989, 315 с.

169. Брагина Л., Итальянский гуманизм, М., 1977, 245 с.

170. Бузескуль В., Афинская политика Аристотеля как источник истории государственного строя Афин, Харьков, 1895, 476 с.

171. Бузескуль В. Введение в историю Греции, т. 1, Петроград. 1915, 570 с.

172. Бузескуль В., Всеобщая история и ее представители в России, т. 2, М. 1931, 223 с.

173. Бузескуль В., История Афинской демократии, СПб., 1909, 464 с.

174. Бурлацкий Ф. Загадка и урок Никколо Маккиавелли, М., 1977, 251 с.

175. Бутенко В., Либеральная партия во Франции в эпоху реставрации, т. 1 (1814-1820), СПб., 1813, 629 с.

176. Бюхер К., Возникновение народного хозяйства, М., 1907, 206 с.

177. Вайнштейн О., Изучение Французской революции в СССР, "Французский Ежегодник 1958", М., 1959, 598 с.

178. Вайян Дж., История ацтеков, М., 1949, с. 243.

179. Вебер М., Город. Петроград. 1923, 135 с.

180. Вебер М., Избранное произведение, М., 1990, 808 с.

181. Вебер Б. Историографические проблемы, М., 1974, 331 с.

182. Вебер М., История хозяйства, М., 1924, 239 с.

183. Верморель О., Деятели сорок восьмого года, М.–Л., 1923, 330 с.

184. Веселовский А., Вилла Альберти. Новые материалы для характеристики литературного и общественного перелома в итальянской жизни 14-15 столетий, М., 1870, 380 с.

185. Виллар К., Виллар Ж. Формирование французской нации (10- начало 19 в.), М., 1957, 335 с.

186. Вилари П. Никколо Маккиавелли и его время, СПб., 1914, 431 с.

187. Виноградов П. Исследование по

социальной истории Англии. СПб., 1887, 266 с.

188. Виноградов П. Происхождение феодальных отношений в Лангобардской Италии, СПб., 1880, 446 с.

189. Виноградов П. Средневековое поместье в Англии, СПб., 1911. 367 с.

190. Виппер Р. История Греции в классическую эпоху, М., 1916, 575 с.

191. Виппер Ю. Лекции по истории Греции ч.1, М., 1905, 230 с.

192. Владимиров М., Франклин, М., 1934, 222 с.

193. Внутренняя политика французского абсолютизма, под ред. А. Люблинской, М-Л., 1966, 278 с.

194. Война за независимость и образование США., под ред. Н. Севастьянова, М., 1976, 521 с.

195. Волгин В., Развитие общественной мысли во Франции в 18 веке, М., 1977, 262 с.

196. Волгин В. Сен-Симон и сен-симонизм, М., 1961, 158 с.

197. Вольский С., Писаро (1470-1541), М., 1935, 274 с.

198. Вольтер С., Исследование по аграрной истории Франции в 18 веке, М-П., 1923, 340 с.

199. Вольтер Ф. История о крестовых походах, СПб., 1872.

200. Всемирная история, т.2, М., 1956, 898 с.

201. Гердер И., Идеи к философии истории человечества, М., 1977, 608 с.

202. Герье В., Французская революция 1789-95 гг. в освещении Тена, СПб., 1911, 493 с.

203. Гиббон Э. История упадка и разрушения Римской империи, ч. 6, М., 1885, 613 с.

204. Гиббон Э. История упадка и разрушения Римской империи, т. 1-7, М., 1869-1886.

205. Гиро П. Фюстель де Куланж, СПб., 1898, 208 с.

206. Гольдберг Н., Свободомыслие и атеизм в США (18-19 в.) М.-Л., 1965, 300 с.

207. Грановский Т. Аббат Сугерии, М., 1849, 139 с.

208. Грацианский Н., Бургундская деревня в 10-12 столетиях, М.-Л., 1935, 254 с.

209. Грацианский Н., Введение к изданию "Салической правды", в кн.: Н. Грацианский, Из социально-экономической истории западного средневековья, М., 1960, 408 с.

210. Грацианский Н., Критика Capitulare de villis, в кн.: Грацианский, Из социально-экономической истории западного средневековья, М., 1960, 408 с.

211. Гуляев В., По следам конкистадоров, М., 1976, 160 с.

212. Гуляев В., Сколько раз открывали Америку, М., 1978, 112 с.

213. Гулыга А. Гердер, М., 1975, 174 с.

214. Гуревич А., Проблемы генезиса феодализма в Западной Европе, М., 1970, 224 с.

215. Гутнова Е., Возникновение английского парламента (Из истории английского общества и государства в 13 в.), М., 1960, 580 с.

216. Гутнова Е., Историография истории средних веков, М., 1974, 388 с.

217. Далин В., Гракх Бабеф накануне и во время Великой французской революции (1785-1794), М., 1963, 616 с.

218. Далин В., Историки Франции 19-20 веков, М., 1981, 315 с.

219. Далин В., Кропоткин историк Великой французской революции, в кн.: Далин В., Историки Франции 19-20 в. М., 1981, 96-129 сс.

220. Далин В., Мануфактурная стадия капитализма во Франции 18 века в освещении русской школы, в кн.: В. Далин, Люди и идеи, М., 1970. 294-344 сс.

221. Данилов А., Проблемы аграрной истории раннего средневековья в немецкой буржуазной историографии конца 19 - начала 20 вв., М., 1958, 368 с.

222. Дживелегов А., Армия Великой французской революции и ее вожди, М.- Л., 1923, 218 с.

223. Дживелегов А., Средневековые города в Западной Европе, СПб., 1902, 202 с.

224. Документы по истории гражданских войн во Франции 1561-1563 гг., под ред. Люблинской, М.-Л., 1962, 364 с.

225. Древние германцы, сборник документов, вводн. ст: и редакция А. Удальцова, М., 1937.

226. Дундуа Т., Православный мир, Тб., 1996, 7 с.

227. Дюнг А., Бонапарты перед судом истории, Наполеон ..., СПб., 1871.

228. Дьяков В., Методология истории в прошлом и настоящем, М., 1974, 187 с.

229. Ерофеев Н., Что такое история, М., 1976, 131с.

230. Жилин П., Гибель наполеоновской армии в России, М., 1974, 407 с.

231 Жорес Ж. Социалистическая история Французской революции, т.1, книга 1, М., 1976, 516 с.

232. Жуков Е., Методология истории, М., 1980, 246 с.

233. Заборов М., Введение в историографию крестовых походов (Латинская хронология 11-13 вв.), М., 1966, 381с.

234. Заборов М., Историография крестовых походов, М., 1971, 382 с.

235. Заборов М., Крестовые походы, М., 1956, 279 с.

236. Заборов М., Папство и Крестовые походы, М., 1960, 263 с.

237. Зайдель Г Цвибак М., Классовый враг на историческом фронте, М.-Л., 1931.

238. Зайченко Г Дж. Локк, М., 1988, 196 с.

239. Захер Я., Движение "Бешеных", М., 1961.

239а. Замечание о конспекте учебника новой истории, сб.: К изучению истории, М., 1938.

240. Захер Я., Тюрго, Бмиг, 75 с.

241. Злотников М., Континентальная блокада и Россия, М., 1966, 357 с.

242. Золотарев В., Историческая концепция Н.И. Кареева: содержание и эволюция, Л., 1988, 155 с.

243. Иванов Р., Авраам Линкольн и гражданская война в США, М., 1964, 494 с.

244. Иванов Р., Франклин, М., 1972, 255 с.

245. Из истории якобинской диктатуры, Одесса, 1962, 570 с.

246. Историография нового времени стран Европы и Америки, М., 1967, 642 с.

247 Историография нового и новейшего времени стран Европы и Америки, М., 1977, 596 с.

248. Историческая энциклопедия, т.3, М., 1957, 975 с.

249. История Греции, под ред. В. Струве и Д. Калистратова, М., 1956, 612 с.

250. История 19 века, под ред. Э. Лависса и А. Рамбо, т.3, М., 1938, 518 с.

251. История дипломатии, т.1, М., 1959.

252. История Италии, т. 1. М., 1970, 579 с.

253. История средних веков, М., 1991, 400 с.

254. История Франции, т. 1, М., 1972, 329 с.

255. История Франции, т. 2, М., 1973, 605 с.

256. Кавелин К., Разговор социалистам-революционерам, в кн.: К. Кавелин, наш умственный строй, статьи по философии, русской истории и культуре, М., 1989, 653 с.

257 Кареев Н. А. Сорель как историк. СПб., 1908.

258. Кареев Н. Было ли восстание 13 Вандемейера роялистическим мятежом? СПб., 1914.

259. Кареев Н., Западная Европа в новое время (Революция и Наполеоновская эпоха), Петроград, 1922, 115 с.

260. Кареев Н., Историки Французской революции, т. 2, Французские историки второй половины 19 века и начала 20 века, Л., 1924, 295 с.

261. Кареев Н. Историки Французской революции, т.3, Изучение Французской революции вне Франции, Л., 1925, 306 с.

262. Кареев Н., Крестьяне и крестьянский вопрос во Франции в последней четверти 18 века, М., 1879.

263. Карсавин Л., Введение в историю (теория истории), СПб., 1920, 79 с.

264. Кирилова А., Вопросы социальной и классовой борьбы в английских городах 14 в., М., 1969.

265. Ковалевский М., Происхождение мелкой крестьянской собственности во Франции, СПб., 1912, 191 с.

266. Ковалевский М., Происхождение современной демократии, т.1, ч.1 и 2, изд. 2, М., 1901, 687 с.

267. Ковалевский М., Происхождение современной демократии, т. 1, часть 3, М., 1895, 577 с.

268. Ковалевский М., Экономический рост Западной Европы до возникновения капитализма, т.1, М., 1898, 712 с.

269. Кон И. Философский идеализм и кризис буржуазной исторической мысли, М., 1959, 403 с.

270. Конокотин А., Очерки по аграрной истории северной Франции в 9-14 веках, Иваново, 1958

271. Корелин М., Очерки итальянского Возрождения, М., 1896, 360 с.

272. Корелин М., Ранний итальянский гуманизм и его историография, изд. 2, СПб., 1914, 448 с.

273. Косминский Е. Исследования по аграрной истории Англии 13 века, М.-Л.,

1947, 485 с.

274. Косминский Е. Курс историографии истории средних веков, М., 1963, 430 с.

275. Котельникова Л., Итальянское крестьянство и город в 11-14 вв. по материалам Средней и Северной Италии, М., 1957, 363 с.

276. Котлярский Н., Мировая скорбь, СПб., 1910.

277. Кропоткин П. Великая французская революция 1789-1793 гг. М., 1979, 452 с.

278. Кунин Л., Магеллан. М., 1940, 304 с.

279. Куниский С. Поздняков В., Общинные земли в эпоху Великой французской революции, М., 1927, 170 с.

280. Лависс Э. и Рамбо А., Всеобщая история, т. 2, М., 1898.

281. Ламартин А., История жирондистов. СПб., т. 1-8, 1911

282. Лампрехт К., История германского народа, т.2, М., 1895, 656 с.

283. Ланглуа Ш., Сеньобос Ш., Введение в историческую науку, СПб., 1899, 275 с.

284. Ланфре П., История Наполеона, СПб., 1871, 436 с.

285. Лапо-Даниеловский А., Методология истории, СПб., 1913, 273 с.

286. Леви-Строс К., Первобытное мышление М., 1994, 369 с.

287 Левицкий Я., Города и городское ремесло в Англии 10-12 вв. М., 1960, 299 с.

288. Ленге П.В. Великий скиталец - жизнь Христофора Колумба, М., 1984, 224 с.

289. Лефевр Ж., Аграрный вопрос в эпоху террора (1793-1794), М.-Л., 1936. 202 с.

290. Литаврин Г Болгария и Византия, 11-12 вв. М., 1960, 472 с.

291. Лозинская Л., Фридрих Шиллер, М., 1960, 334 с.

292. Лукин Н. Борьба классов во французской деревне и продовольственная политика Конвента в период действия второго и третьего максимума, "Избр. труды", т.1, М., 1960, 254-307 сс.

293. Лукин Н. Избранные труды, т.1, М., 1960. 505 с.

294. Лукин Н. Из истории революционных армий, М., 1923.

295. Лукин Н., Ленин и проблема якобинской диктатуры., Избранные труды, т.1, М., 322-389 сс.

296. Лукин Н., Максимильян Робеспьер, Избр. труды, т. 1, М., 1960, с. 16-155.

297. Луцато Д., Экономическая история Италии. Античность и средние века, М., 1954. 456 с.

298. Лучицкий И., Состояние земледельческих классов во Франции накануне революции и аграрная реформа 1789-1793 годов. Киев, 1912, 157 с.

299. Люблинская А., Франция в начале 17 века (1610-1620 гг.), Л., 1959, 294 с.

300. Люблинская А. Франция при Ришелье, 1982, 275 с.

301. Люблинская А., Французские крестьяне 16-18 вв. Л., 1978, 246 с.

302. Люблинская А., Французский абсолютизм в первой трети 17 в. М-Л., 1965, 361 с.

303. Ляскоронский Филипп-Август в его отношениях к городам, Киев, 1912.

304. Магидович И., Христофор Колумб, М., 1956, 36 с.

305. Магидович И., Магидович В., Очерки по истории географических открытий, М., т. 2, 1983, 399 с.

306. Макаренко В., Вера, власть, бюрократия (Кризис социологии Макса Вебера), Ростов-на-Дону, 1988.

307. Маккиавелли Н., История Флоренции, М., 1973, 410 с.

308. Малая советская энциклопедия, издание 1, т.3, М., 1928.

309. Манфред А., Великая Французская буржуазная революция, М., 1956, 286 с.

310. Манфред А., Наполеон Бонапарт М., 1973, 762 с.

311. Манфред А., Три портрета, М., 1978, 439

312. Маркс К. и Энгельс Ф. Собр. соч., т. 21, М., 1962.

313. Матьез А. Как побеждала Великая французская революция, М., 1928, 188 с.

314. Матьез А., Новое о Дантоне, М., 1928, 156 с.

315. Маурер Г Введение в историю общинного, подворного, сельского, городского устройства и общественной власти, М., 1880, 398 с.

316. Мейер Эд. Рабство в древнем мире, М., 1899, 55 с.

317. Мейер Эд. Теоретические и методические вопросы истории, М., 1904., с. 66

318. Мейер Эд., Экономическое развитие древнего мира, М., 1910, 108 с.

319. Мишо Ж. История Крестовых походов, СПб., 1884, 229 с.

320. Мишле Ж. История 19 века, СПб., 1883. 361 с.

321. Молчанов Н., Монтаняры, М., 1989, 557 с.

322. Моносов С., Очерки по истории якобинского клуба, М., 1925. 154 с.

323. Мортон А., История Англии, М., 1950, 463 с.

324. Намазова А., Бельгийская революция 1830 года, М., 1979, 158 с.

325. Наморадзе Ал., Французские города при Людовике 14, Киев, 1914, 51 с.

326. Наморадзе Н. Грузинская передовая общественность о зарубежной Европе (по материалам газеты "Дроэба" (1866-1885), Тб., 1984 (Автореферат кандидатской диссертации'), 25 с.

327. Наполеон, Избранные произведения, М., 1956, 788 с.

328. Немецкий город 14-15 вв., сб. материалов, вводн. ст., подбор матер., перев., приложение и коммент. В Стоклицкой-Теренкович, М., 1936, 176 с.

329. Неусыхин А, Возникновение зависимого крестьянства как класса раннефеодального общества в Западной Европе 6-8 вв., М, 1956, 420 с.

330. Неусыхин А., Общественный строй древних германцев., М., 1929, 229 с.

331. Неусыхин А., Судьбы свободного крестьянства в Германии в 8-12 вв. М., 1964, 331 с.

332. Неусыхин А., Эмпирическая социология Макса Вебера и логика исторической науки В кн.: "Проблемы европейского феодализма", М., 1974, 536 с.

333. Новая история, под ред. Юровской, М., 1972, 757 с.

334. Новая история, часть 2, под ред. Е. Тарле. М., 1939, 576 с.

335. Овет А., Итальянская литература, М., 1922, 328 с.

336. Ожеганов Э., Политическая теория Макса Вебера (Социология, государство и право), Рига, 1988.

337. Олар А., Политическая история Французской революции. Происхождение и развитие демократии и республики 1789-1804 гг. М., 1938, 980 с.

338. Очерки истории исторической науки в СССР в 5-ти томах. М., 1955-1985, т.3, под ред. М. Нечкина, М., 1963, 831 с.

339. Палиенко Е. Городское управление во Франции при Людовике 14, Киев, 1917.

340. Петрушевский Д., Великая хартия вольностей и конституционная борьба в английском обществе во второй половине 13 в. М., 1915, 76 с.

341. Петрушевский Д., Возникновение городского строя средних веков (очерки теории), В кн. Г Фон Белов, Городской строй и городская жизнь средневековой Германии, СПб., 1912, 9-67с.

342. Петрушевский Д., Очерки из истории средневекового общества и государства, М., 1922, 272 с.

343а. Пирен А., Средневековые города Бельгии, М., 1937, 555 с.

343б. Пирен А., Средневековые города и возрождение торговли, Горький, 1941.

344. Пирцхалава Л., Газета "Иверия" о проблемах новой истории Европы (1886-1902 гг.), Тб., 1990 (Автореферат кандидатской диссертации), 25 с.

345. Пигафетта А., Путешествие Магеллана, М., 1950, 179 с.

346. Поршнев Б., Очерки политической экономии феодализма, М., 1956, 207 с.

347. Поршнев Б., Франция, Английская революция и европейская политика в середине 17 века, М., 1970, 378 с.

348. Потомкин Ф., Промышленная революция во Франции, т.1, М., 1971, 449 с.

349. Потомкин Ф., Промышленная революция во Франции, т.2, 1971, 298 с.

350. Пти-Дютай Ш., Феодальная монархия во Франции и Англии 10-13 вв. М., 1938, 424 с.

351. Проблемы якобинской диктатуры - Французский ежегодник 1970, М., 1972, 278-314 сс.

352. Прокофий Кесарийский, Война римлян с вандалами, СПб., 1871, 355 с.

353. Путешествие Христофора Колумба. Дневники, письма, документы, М., 1961, 515 с.

354. Радовский М., Вениамин Франклин и его связи с Россией, М-Л., 1958, 76 с.

355. Ранцов В., Ришелье, СПб., 1883, 78 с.

356. Ревуненков В., Марксизм и проблемы якобинской диктатуры, М., 1966, 176 с.

357. Ревуненков В., Парижская Коммуна

1792-1794, Л., 1976, 238 с.

358. Ревякина Н., Проблемы человека в итальянском гуманизме второй половины 14-первой половины 15 в. М., 1974, 264 с.

359. Реизов Б., Французская романтическая историография, М., 1956, 535 с.

360 Рикерт Г История философии, СПб., 1908, 155 с.

361. Рогава Ап., Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия 2, Тб., 1974, 254 с.

362. Рутенбург В., Италия и Европа накануне нового времени (очерки), М., 1974, 323 с.

363. Рутенбург В., Народные движения в городах Италии. 14 начало 15 в., М.-Л., 1956, 383 с.

364. Рутенбург В., Титаны Возрождения, М., 1976, 144 с.

365. Рюде Дж. Народные низы в истории 1730-1848 гг., М., 1984, 316 с.

366. Савело К., Раннефеодальная Англия, Л., 1977, 144 с.

367 Салвиоли. Капитализм в античном мире, СПб., 1922, 217 с.

368. Саньяк Ф., Гражданское законодательство Французской революции 1789-1804 гг. М., 1928, 370 с.

369. Сафронов Б. Историческое мировоззрение Р.Ю. Виппера и его время, М., 1976, 221 с.

370. Сафронов Б., Ковалевский как социолог, М., 1960, 263 с.

371. Свет Я., Фернандо Магеллан, М., 1956, 36 с.

372. Сказкин С., Очерки по истории западноевропейского крестьянства в средние века, М., 1968, 377 с.

373. Смирнов А., Коммуны средневековой Франции Северной полосы и центральной в связи с политическим ростом третьего сословия, Казань, 1873, 310 с.

374. Снисаренко А., Рыцари удачи, М., 1991, 443 с.

375. Собуль А., Парижские санкюлоты во время якобинской диктатуры, М., 1966, 530 с.

376. Собуль А., Первая республика, М., 1974, 392 с.

377. Согрин В., Идейные течения в американской революции 18 века, М., 1980, 296 с.

378. Соколов О., Покровский М., Советская историческая наука, М., 1970, 276 с.

379. Сорель А., Европа и Французская революция, т. 1-8, СПб., 1892-1906.

380. Сорель А., Монтескье, СПб., 1898, 210 с.

381. Стам. Экономическое и социальное развитие раннего города (Тулуза, 11-12 вв.). М., 1969, 429 с.

382. Старосельский Я. Проблема якобинской диктатуры, М., 1930, 306 с.

383. Стоклицкая-Терешкович В., Основные проблемы истории средневекового города, М., 1960, 338 с.

384. Стоклицкая-Терешкович В., Очерки по социальной истории немецкого города 14-15 вв., М.-Л., 1936, 341 с.

385. Стоклицкая-Терешкович В., Плешкова В., Средневековый город в Западной Европе 11-15 вв. Учебно-методическое пособие, вып. 1, М., 1969, 48 с.

386. Талейран, Ш. Мемуары, М., 1959, 380 с.

387 Тарле Е., Жерминаль и прериаль, сочинение, т.6, М., 1959, 815 с.

388. Тарле Е., Континентальная блокада-сочинение, т.3, М., 1958, 654 с.

389. Тарле Е., Наполеон, М., 1957, 466 с.

390. Тарле Е., Нашествие Наполеона в Россию, - Тарле Е., Собр. соч., т.7, М., 1957, 862 с.

391. Тарле Е., Очерки истории колониальной политики западноевропейских государств (конец 15-начало 19 в.), М.-Л., 1965, 427 с.

392. Тацит. Древние германцы, под ред. А. Удальцова, М., 1937

393. Тейлор Э., Антропология (СПб., 1896-1897), 434 с.

394. Тейлор Э., Первобытная культура, М., 1939, 570 с.

395. Тен И., Наполеон Бонапарт, СПб., 1912, 107 с.

396. Тойнби Ар., Цивилизация перед судом истории, М., 1996, 410 с.

397а. Токвиль А., Старый порядок и революция, СПб., 1861, 335 с.

397б. Трачевский А., Наполеон 1, первые шаги и консульство, 1769-1804. М., 1907, 312 с.

398. Турский Г., История франков, М., 1987, 318 с.

399 Тюменев А., Очерки экономической истории древней Греции, т.1, Революция, Петроград, 1920, 179 с.

400. Тьерри О., Городские коммуны во Франции, 1901, 236с.

401. Тьерри О., Опыт истории происхождения и успехов третьего сословия. О. Тьер, Избран. соч., М., 1937, 438 с.

402. Удальцов А., Из аграрной истории Каролингской Фландрии, М., 1935, 100 с.

403. Удальцов А. Свободная деревня в западной неистэрии в эпоху Меровингов и Каролингов, СПб., 1912

404. Успенский Ф., История Византийской империи, т.3, М.-Л., 1948, 860 с.

405. Успенский Ф. Крестовые походы, СПб., 1901, 170 с.

406. Февр Л. Бой за историю, М., 1991, 626 с.

407. Фойгт Г., Возрождение классической древности или первый век гуманизма, т.1, СПб., 1884, 540 с.

408. Фор Э. Опала Тюрго, М., 1979, 566 с.

409. Франклин Б. Избранные произведения, М., 1956, 631 с.

410. Французская буржуазная революция 1789-1794, под ред. В. Волгина и Е. Тарле, М.-Л., 1941, 798 с.

411. Фридланд Ц., Жан-Поль Марат и гражданская война 18 в. М., 1959

412. Фукидид, История, Л., 1981, 400 с.

413. Фюстель де Куланж, История общественного строя древней Франции, т.1. Римская Галлия, СПб., 403 с.

414. Фюстель де Куланж, История общественного строя древней Франции, т. 2. Германское вторжение и конец Империи, СПб., 1904, 717 с.

415. Фюстель де Куланж, История общественного строя древней Франции, т. 1-6, СПб., 1904-1916

416. Хачатурян Н., Возникновение генеральных штатов, М., 1976, 210 с.

417. Хачатурян Н., Сословная монархия во Франции 13-16 вв. М., 1989. 271 с.

418. Хвостов М., История Греции, Казань, 1924, 262 с.

419. Хрестоматия по истории средних веков, под ред. С. Сказкина и Н. Грацианского, т.2, ч.1, М.-Л., 1963, 751 с.

420. Цагарели А., Грузинские памятники на Святой земле и на Синае, СПб., 1883, 82 с.

421. Цвейг С., Подвиг Магеллана, Симферополь, 1988, 220 с

422. Чапкович Е., Евгений Викторович Тарле, М., 1975, 127 с.

423. Черкасов П., Генерал Лафайет, политическая биография, М., 1987.

424. Черкасов П., Кардинал Ришелье, М., 1990, 378 с.

425. Черкасов П., Лафайет, политическая биография, М., 1991, 356 с.

426. Черткова Г., Гракх Бабеф во время термидорянской реакции, М., 1980, 201 с.

427. Шервуд Е., От англо-саксов к англичанам (Проблемы формирования английской нации), М., 1983, 240 с.

428. Шерэ Э., Падение старого режима (1787-1789), т.1, СПб., 1907, 389 с.

429. Шерэ Э., Падение старого режима (1787-1789), т.2, СПб., 1908. 268 с.

430. З. Шефтель (Чимакадзе) Исторические труды Никколо Маккиавелли, Тб, 1948.

431. Шиллер Франц, Фридрих Шиллер, М., 1955, 405 с.

432. Шпенглер О., Закат Европы, М., 1923, 467 с.

433. Штокмар В., История Англии в средние века, М., 1973, 184 с.

434. Штокмар В., Очерки по истории Англии 16 в., Л., 1957, 160 с.

435. Archives parlamentaires, serie 1, t 66

436. Buchwald R., Fr. Schiller. Berlin, 1959

437. B. von Wiese, Fr. Schiller, Wienna, 1959

438. Gandilhon R., Politique economique de Lous X1, Paris, 1941

438б. SEE, H. Louis XI et les villes, Paris, 1891

439. Inama-Sternegg K.T., Deutsche Wirtschafts geschischte, Band 1-3, 1879-1901

440. J. Flach, Les origines de l'ancienne France, vol 1-4, Paris, 1886-1917.

441. Inama-Sterneg K.T., Deutschen Wirfschaftsgeschichtg, Band 1-3, Leipzig, 1879

442. Lacour-Gayet G., Talleyrand, t 1-4, Paris, 1932-36

443. Madlen L., Fouche, vol L-2, Paris, 1914

444. Marion M. Histoire financiere de la France depuis 1715, Paris, 1927

445. Nadiradze C., Zur Reabilitierung des Historikers-Sulehan Barataschvili - "Georgia" 1996

446. Pages G., La monarchie d'ancien regime en France (De Henri 4 a Lous 16), Paris, 1946

447. Pirenne H., Mahomet et Charlemagne. Paris-Brusselles, 1937

448. Schillers Leben karolina von Wolzogen, Stutgart S. 175.

სტატიები

449. აბრამიძე შ., გეორგ ფონ ბელოვი, ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ – ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXXIV, 1971, გვ. 84-90.

450. აბრამიძე შ., ვერნერ ზომბარტი შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის შესახებ – ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV. 1955, გვ. 193-213.

451. აბრამიძე შ., შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის საკითხისათვის (ანრი პირენის თეორია) – ალექსანდრე წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, 1954, გვ. 183-209.

452. ანთაძე კ., ალექსანდრე ნამორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა – ქართული ისტორიოგრაფია, თბ., 1963, გვ. 149-166.

453. ანთაძე კ., სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია ამერიკის აღმოჩენის შესახებ – თსუ-ს შრომები, ტ. 78, თბ., 1963, გვ. 185-187.

454. ანთაძე კ., კალანდაძე მ., მეშველიანი კ., ისტორიის პერიოდიზაციისათვის, „მაცნე" ისტორიის სერია, 1992, N 2. გვ. 20-45.

455. ანთაძე კ., მეშველიანი კ., კალანდაძე მ., მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის, „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში", 1992, N 1-2, გვ. 5-12.

456. არდაშელია ო., ნაპოლეონ I პოლიტიკა ირანის მიმართ (1802-1807 წწ.) და საქართველო – „საქართველო და ევროპის ქვეყნები", წ. 5, თბ., 1991, გვ. 86-93.

457. ბერძენიშვილი ნ., კლასობრივი და შიგაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში – საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 511.

458. ბერძენიშვილი ნ., სამღვბროების შესახებ XVIII საუკუნის საქართველოში – „საქართველოს ისტორიის საკითხები", ტ. IV, თბ., 1967, 366 გვ.

459. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, 1954, N 6, გვ. 121-139.

460. გამრეკელი გ., პედაგოგის გახსენება – ალექსანდრე წერეთელი – „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში", 1980, N 3, გვ. 60-64.

461. განარიძე (გრ. ნათაძე), ნ. ბარათაშვილი როგორც ისტორიული ტიპი – „ცნობის ფურცელი", 1902, N 1842, 1843, 1844.

462. გუჩუა ვ., საქართველოს XV-XVIII სს. ეკონომიკური ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში – ქართული ისტორიოგრაფია, თბ., 1968, გვ. 154-183.

463. დონაძე ვ., ინდოეთში ლაშქრობის ერთი პროექტის საკითხისათვის – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 83, თბ., 1956.

464. „დროება" 1873 N 1 (დამატება), საფრანგეთი პარიზიდან.

465. დუმბაძე მ., თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში – „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბ., 1966. გვ. 385-399.

466. ეფრემიძე მ., ნაპოლეონი და საქართველო (18 ბრიუმერის გადატრიალებამდე) – საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ნაწ. I, თბ., 1974.

467. ეფრემიძე მ., საფრანგეთის ახალი აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო (1800 წ). – საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ნაწ. 5., თბ., 1978.

468. ეფრემიძე მ., საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის საწყისებთან – გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1965.

469. ეფრემიძე მ., სენიორალური გადასახადის მოსპობის საკითხი საფრანგეთში და 1790 წლის მარტის დეკრეტები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა შრომების კრებული, წიგნი I, თბ., 1950.

470. კაკაბაძე ს., საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში – „მნათობი", 1924. N 2-3. გვ. 214-242.

471. კალანდაძე მ., ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია – „საქართველოს კომუნისტი", 1990, N 11. გვ. 72-76.

472. კალანდაძე მ., ბელგიელი ისტორიკოსი ანრი პირენი – „ჭრაალი", 1994, N 1, გვ. 209-216.

473. კალანდაძე მ., ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ოპონენტები – სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, N 55-56, თბ., 1989, გვ. 95-104.

474. კალანდაძე მ., რიჩარდ III, დროშა, 1993, N 5-6. გვ. 20.

475. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუცია – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში", 1989, N 1, გვ. 63-71.

476. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში, „საქართველოს კომუნისტი", 1989, N 7, გვ. 92-94.

477 კალანდაძე მ., ფრიდრიხ შილერი და ვილჰელმ ტელის ამბავი – ხელოვნება, 1990, N 6, გვ. 131-137.

478. კალანდაძე მ., ფუძემდებელი – პროფ. ალ. ნამორაძის დაბადების 100 წლისთავი (ერთობლივი სამეცნიერო სესია), თბ., 1990, გვ. 3-8.

479. კალანდაძე მ., ღვაწლმოსილი მეცნიერი – „ახალი ივერია", 1991, 27 ივნისი.

479ა. კალანდაძე მ., შარლ ლუი მონტესკიე, „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში"; 1975, N 1, გვ. 29-33.

480. კიკვიძე ან., საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან. თსუ-ს შრომები, ტ. VI, 1938, გვ. 103-118.

481. კილურაძე გ., ინგლისი და საფრანგეთის ბურ-

ჟუაზიული რევოლუცია – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, თბ., 1955, გვ. 139-160.

482. კიღურაძე გ., ჟირონდისტები და „პროვანდისტული ომის" ლოზუნგი – უნივერსიტეტის შრომები, 1972, გვ. 117-125.

483. კიღურაძე გ., საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წ. რევოლუციის წინ – ხელმძღვანელი პროფ. ალ. ნამორაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია (24-27 აპრილი) – მუშაობის გეგმა მოხსენების თეზისები, თბ., 1946, გვ. 11-13.

484. კიღურაძე გ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბ., 1959, გვ. 261-282.

485. კიღურაძე გ., საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ისტორიიდან – „მნათობი", 1961, N 1, გვ. 105-123.

486. კიღურაძე გ., 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ – თსუ შრომები, ტ. 107, თბ., 1964, გვ. 191-227.

487. კიღურაძე გ., წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით (დანტონისტები) – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 87, თბ., 1960, გვ. 189-215.

488. კოპალიანი ვ., საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XIII) – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, თბ., 1968.

489. ლორთქიფანიძე მ., მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის IX-X სს. საქართველოში – „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვეთი 34, თბ., 1962, გვ. 211.

490. მამუკელაშვილი ნ., ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში – ალ. ნამორაძის სახელობის კრებული, თბ., 1993, გვ. 3-27.

491. მამუკელაშვილი ნ., საზოგადოებათ მეცნიერების სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში – ალ. ნამორაძის სახელობის კრებული, თბ., 1993, გვ. 47-62.

492. მეტრეველი ელ., იერუსალიმის ერთი ხელნაწერი – ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის მოამბე; ტ. XV, თბ., 1948.

493. ნადირაძე გ., სულხან ბარათაშვილი, ცისკარი, 1993, N 8, გვ. 170-178.

494. ნათაძე გრ., ასმათი ფეოდალური სისტემის ასპექტში და სამამულო ომის გმირები – წიგნში ი. სტალინის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1942, გვ. 71-73.

495. ნათაძე გრ., ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი – უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, თბ., 1925, გვ. 162-178.

496. ნათაძე გრ., დადიანების არქივი და სამეგრელოს ავტონომიის პრობლემა XIX საუკუნის დასაწყისში – ჩვენი მეცნიერება: N 17-18, 1926, გვ. 80-90.

497. ნათაძე გრ., დოფშის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი – უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXVI, 1944, გვ. 159-190.

498. ნათაძე გრ., Capitullare de Villis ერთი ნიმუში ფორმალურ-ლოგიკური მიდგომისა ისტორიულ კვლევაში – უნივერსიტეტის შრომები, სერია 1, თბ., 1936.

499. ნათაძე გრ., მარქსიზმი შრომის სკოლაში – „ჩვენი მეცნიერება", 1924, N 2, გვ. 82-88.

500. ნათაძე გრ., მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში" – ა.ს. პუშკინის ინსტიტუტის შრომები, ტ 3. 1943, გვ. 105-131.

501. ნათაძე გრ., მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების დროს – უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXIV, 1942, გვ. 105-124.

502. ნათაძე გრ., ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი – თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 5, 1925, გვ. 41-53.

503. ნათაძე გრ., ნაპოლეონ I-ის დაწინაურების მიზეზები – უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 8, 1927, გვ. 213-276.

504. ნათაძე გრ., რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობის – უნივერსიტეტის მოამბე, 1922, N 2, გვ. 156-177.

505. ნათაძე გრ., საზოგადოებათმცოდნეობა შვიდწლედში (პირველყოფილი კულტურა და თემური წესწყობილება), „საქართველოს განათლების შესახებ", 1925, N 2. გვ.16-25.

506. ნათაძე გრ., საზოგადოებრივი მეცნიერება პირველ ოთხწლედში, პირველი დაკვირვებები „საქართველოს განათლების მუშაკი„ 1924, N 3-4, გვ. 39-47.

507. ნათაძე გრ., საზოგადოებრივი მეცნიერება შრომის სკოლის პირველ ოთხწლედში, „საქართველოს განათლების მუშაკი", 1924, N 7-8. გვ. 26-31.

508. ნათაძე გრ., სალიკური კანონი როგორც წყარო ევროპის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად – უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, 1938, გვ. 73-104.

509. ნათაძე გრ., სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში – უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVI, 1940, გვ. 47-89.

510. ნათაძე გრ., ტფილისის მხარეთმცოდნეობისათვის – წიგნში: მ. პოლიევქტოვი, გრ. ნათაძე, ტფ., 1930, გვ. 1-7.

511. ნათაძე გრ., უძველესი საბერძნეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა როგორც კილონის აჯანყების საფუძველი, ტფილისი, 1924, გვ. 124.

512. ნათაძე გრ., შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიკური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობები მე-9-მე-10 საუკუნეებში – მნათობი, 1929, N 3, გვ. 202-232, N 4, გვ. 141-158.

513. ნათაძე გრ. ჰექტემორების საკითხი და კილონის აჯანყების დათარიღება – „ჩვენი მეცნიერება", 1925, N 3-4, გვ. 173-181.

514. ნამორაძე ალ., ადმინისტრაციული მეურვეობა და სამუნიციპალო მმართველობა საფრანგეთში ძველი რეჟიმის დროს, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე,

ტ. X 1930, გვ. 149-224.

515. ნამორაძე ალ., ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 1938, გვ. 123-150.

516. ნამორაძე ალ., ლეგისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს – ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949, გვ. 177-202.

517. ნამორაძე ალ., პროფესორი გრიგოლ იასონის ძე ნათაძე – თსუ-ს შრომები, ტ. 77, თბ., 1959, გვ. 357-390.

518. ნამორაძე ალ., შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ. წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში – თსუ-ს შრომები, ტ. 55, თბ., 1954, გვ. 161-177.

519. ნიკოლაძე ნ., გერმანიის მდგომარეობა, თხზულებები, ტ., 2. 1962, გვ. 664.

520. პაიჭაძე ღ., ნ. მაკიაველის „ფლორენციის ისტორია" – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში", 1987, N 4, გვ. 60-73.

521. სიკინჭილაშვილი რ., გრახკუს ბაბეფის რევოლუციური შეხედულებების შესახებ – უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები., ტ. 11-12, თბ., 1972.

522. სიკინჭილაშვილი რ., საგლეხო მიწათმოქმედება საფრანგეთში 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ და „რუსული სკოლა" – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა შრომების კრებული, წიგნი 1, თბ., 1950 გვ.

523. ტაბაღუა ი., ნაპოლეონ I-ის აღმოსავლური პოლიტიკის ისტორიიდან – „საქართველო და ევროპის ქვეყნები", ნაწ. 4. თბ., 1989, გვ. 103-117.

524. ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში, თბ., 1974.

525. ტაბაღუა ი., ფრანგი ისტორიკოსი ნაპოლეონ I საფრანგეთის და იმერეთის ურთიერთობის შესახებ – „მაცნე", ისტორიის სერია, 1974, N 4, გვ. 188-194.

526. ტაბაღუა ი., ჩოჩია ვ., მსოფლიოს ისტორიის სწავლება და კვლევა საქართველოში – ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, თბ., 1983, გვ. 182.

527. ყორანაშვილი გ., მოძღვრის არდავიწყება – „ლიტერატურული საქართველო", 1990, 2 მარტი.

528. ციციშვილი გ., გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები, „ცისკარი", N 1995, N 2.

529. ციციშვილი გ., დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები – „სახალხო განათლება", 1990, N 3, 17 იანვარი.

530. ციციშვილი გ., საიდუმლო დოკუმენტი – „ერი", 1991, N 9, 27 თებერვალი.

531. ჭანტურიშვილი ს., სტრუქტურალიზმი ეთნოგრაფიაში, კლოდ-ლევი-სტროსი – „ცისკარი", 1988, N 3, გვ. 129-136.

532. ხანთაძე შ., საინტერესო ქართული ცნობა ნაპოლეონ ბონაპარტის შესახებ – „დროშა", 1958, N 9. გვ. 17.

533. ხოშტარია - ბროსე ე., ბრძოლა ივ. ჯავახიშვილის და მისი სკოლის წინააღმდეგ 30-იანი წლების შუა ხანებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, ტ 32, თბ., 1996, გვ. 7-17.

534. Адо А., К вопросу о социальной природе якобинской диктатуры - "Новая и новейшая история", 1972, т. 1, с. 149-157

535. Адо А. Крестьянское движение во Франции во время Великой буржуазной революции 18 века, М., 1971, 453 с.

536. Адо А., Место Французской революции в процессе перехода страны от феодализма к капитализму "Новая и новейшая история", 1989,' 3, 17-26 сс.

537. Аникин А., Бенджамен Франклин - ученый-экономист США. Экономика, политика, идеология, М., 1975,№ 10, 45-51 сс.

538. Барг М., Сравнительно-историческое изучение буржуазных революций 16-18 вв. "Вопросы истории", 1975, 9. 68-69 сс.

539. Белявский И. Франклин - деятель национально-освободительного движения американского народа - "Вопросы истории", 1956, 10, 32-45 сс.

540. Бессмертный Ю. Проблема западноевропейской торговли в 9-13 вв. в современной западной медиевистике (к обсуждению концепции А. Пирена). Сб. "Средние века", вып. 23, М., 1963.

541. "Вестник древней истории", 1990, N1.

542. Виноградов В., Макс Вебер и "либеральный империализм", "Новая и новейшая история", 1988,' 2, 148-169 сс.

543. Гавриличев В., Из истории изучения в СССР Великой Французской революции Наталией Павловной Фрейберг, в кн. Европа в новом и новейшем времени, М., 1966, 162-175 сс.

544. Гинцберг Л., Война за независимость США и германские государства "Ежегодник германской истории, 1976", М., 1977, 222-243 сс.

545. Гольдберг Н., История США в произведениях Т. Пейна и Б. Франклина, в кн.: Основные проблемы истории США в американской историографии, М., 1971, 111-123 сс.

546. Гончарова А., Индейская Америка: пять столетий колонизации и перспективы возрождения, "Новая и новейшая история", 1992, 6. 36-47 сс.

547. Гуревич А. О кризисе современной

исторической науки, "Вопросы истории", 1991, 2-3, 21-37 сс.

548. Гутнова Е., Академик Сергей Данилович Сказкин (1890-1973), "Новая и новейшая история", 1993, 2, 145-164 сс.

549. Гутнова Е. Фюстель де Кулáнж и его концепция генезиса феодализма, сб.: "Средние века", вып. 35, М., 1972, 255-281 сс.

550. Донадзе В. Планы Наполеона Бонапарта в отношении Грузии (на рубеже 18-19 вв.), Труды ТГУ, Тб., 1984, т.246, сс. 109-118

551. Дубровский Н., Июльская революция и буржуазия, "Мир Божий", 3, 1906, 42-83 сс.

552. Дубровский Н. Официальная наука в царстве Польском (Варшавский университет по личным воспоминаниям), СПб., 1908, 138 с.

553. Дубровский Н, Учено-литературная деятельность. Н.И. Кареева, "Исторический вестник", т. XC1X, СПб., 1905, 209-223 сс.

554. Дубровский Н., Флорентийский публицист конца 14 столетия, "Историческое обозрение", т. 14, 1905, 1-44 сс.

555. Дубровский Н., Франция, июль 1830 года, Р/Д, 1905, 26 с.

556. Дунаевский А., Великая Французская революция в довоенной советской историографии, "История и историки", М., 1966, 45-87 сс.

557. Ефимов А., Общественная деятельность Вениамина Франклина, "Вестник АН СССР", 1956, 3, 86-96 сс.

558. Застенкер Н., Анри де Сен-Симон, "История социалистических учений", М., 1962, 471 с.

559. Захарова Ж., Война США за независимость и Франция, "Вопросы истории", 1974, 7, 141-155 сс.

560. Золотарев В., "История Западной Европы в новое время" Н.И. Кареева: замысел и воспоминание, "История и историки 1982-83", М., 1987, 201-213 сс.

561. Золотарев В., Николай Иванович Кареев (1850-1931), "Новая и новейшая история", 1992, 4, 128-146 сс.

562. "Историк-марксист", 1928, 8, 79-128 сс.

563. Какабадзе С., Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в 18 веке, "История классовой борьбы в Закавказье", 1930, 153-194 сс.

564. Какабадзе С., Рецензия на книгу Гвритишвили, Вопросы истории, 1956, N 10, с. 175-176

565. Капица П., Научная деятельность В. Франклина, "Вестник АН СССР", 1956, N 2, 65-75

566. Кинтеро Р., Путешествие Колумба и страны Латинской Америки "Новая и Новейшая история", 1992, N 3, 78-88 сс.

567. Ковалев С., Проблема социальной революции в античном обществе, Игаимк, вып. 76, М.-Л., 1934, 27-61 сс.

568. Коган-Бернштейн Р., Экономические взгляды Бодена, "Средние века", вып. 2, М., 1946, 333-349 сс.

569. Корсунский А., О статусе франкских колонов, сб. "Средние века", вып. 32, М., 1969, 26-48 сс.

570. Корсунский А., Проблема революционного перехода от рабовладельческого строя к феодализму в Западной Европе, "Вопросы истории", 1964, 5, 95-112 сс.

571. Крюгер О., Рабские восстания 2-1 вв. до нашей эры как начальный этап революции рабов, Игаимк вып. 76. 1934, 111-131 сс.

572. Кучеренко Г., Фурье и Сен-Симон - "Вопросы истории", 1975, 1, 116-134 сс.

573. Лебедева Л., "Ужин в Бокере" Наполеон Бонапарта "Французский ежегодник, 1986". М., 1988, 233-237 сс.

574. Лучицкий И.В., Крестьянство и крестьянская реформа во Франции во время революции, "Книга для чтения по новой истории", т.3, Киев, 1912.

575. Манфред А., Государственный переворот 18 Брюмера 8 год - "Прометей", 1972, 9, 248-272 сс.

576. Манфред А. О природе якобинской власти, "Вопросы истории", 1969, 5, 92-108 сс.

577 Мильская Т., А.И. Неусыхин выдающийся ученый и педагог "Вопросы истории", 1991, N2-3, 231-238 сс.

578. Мильская Т., Александр Иосифович Неусыхин - тернистый путь ученого - "Новая и новейшая история", 1992, N3, 147-174 сс.

579. Мишулин А., Восстание Спартака в древнем Риме, Игаимк, вып. 76, М.-Л., 1934, 132-164 сс.

580. Молок А., Июльские дни 1830 г. в Париже, "Исторические записки", т. 20, М., 1946.

581. Момзен В., Макс Вебер и историческая наука, "Новая и новейшая история", 1990, N4, 55-65 сс.

582. Найденов М.; М. Покровский и его место в советской исторической науке, "История СССР", 1962, N3.

583. Нарочницкий А., Юбилей Французской революции: поиски и проблемы - "Новая и новейшая история", 1989, N3, 3-17 сс.

584. Натадзе Гр., К вопросу об экономическом положении Грузии в конце 18 столетия, ИКБЗ, 1930, 123-152 сс.

585. Натадзе Гр., Крестьяне "Сахасо" в Восточной Грузии в конце 18 века. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვეთი V, Тб., 1937. 323-366 с. .

586. Натадзе Гр., Опыт применения краеведческого подхода: специальные исторические исследования, Труды Первой всесоюзной конференции историков-марксистов 28 декабря 1928-4 января 1929 года, т.2, М., 1929, 341-359 сс.

587. Натадзе Г Сулхан Баратов как историк Грузии, Тб., 1934, 104 с.

588. Наумов Е., Политическая карта Европы 1300 года в оценке Данте, "Дантевские чтения", М., 1976, 13-44 сс.

589. Неусыхин А., Новые данные по историковедению "Салической правды", очерк 1, "Средние века", вып. 17, 1960, 394-409 сс.

590. Неусыхин А., Новые данные по источниковедению "Салической правды", очерк 2, "Средние века", вып. XX1, 1962, 212-237 сс.

591. Неусыхин А., Новые данные по источниковедению "Салической правды", очерк 3, "Средние века", вып. 25, М., 1964, 35-52 сс.

592. Неусыхин А., Новые данные по источниковедению "Салической правды", очерк 4, "Средние века", вып.30, 1967, 41-60, сс.

593. "Новая и новейшая история", 1989, N1 и N5, 1990, N4, 1991, N4,1992 N1-6, 1993,N 1-6.

594. Ону А., "Мир божий", 1901

595. Патрушеев А., К вопросу об оценке Макса Вебера в современной буржуазной историографии, "История и историки" 1976", М., 1979, 211-230 сс.

596. Патрушеев А. Ренессанс Макса Вебера: истоки, дискуссии, тенденции "Новая и новейшая история", 1993, N1, 55-70 сс.

597. Петров Е., Борьба за общинные земли и декрет Конвента 10 июня 1793 г., "Ученые записи ЛГУ", N52, Серия истории, вып. 6, 1940.

598. Петров Е., Социальная роль общинного землевладения во Франции перед революцией, "Исторический журнал", 1936, N5.

599. Плавинская Н., Вандея, "Новая и новейшая история", 1993, N6, 209-213 сс.

600. Плавинская Н., Идейное наследие Монтескье в политической мысли Франции периода Директории, "Французский ежегодник, 1986", М., 1988, 114-131 сс.

601. Пожарская С., О признании Испанией независимости США, "Новая и новейшая история", 1975, N1, 83-95 сс.

602. Пожарская С., Открытие Америки, взгляд историка, "Новая и новейшая история", 1992, N3, 72-78 сс.

603. Пономарев М., Несостоявшийся "русский брик" Наполеона Бонапарта, "Новая и новейшая история", 1993, N3, 234-241 сс.

604. Попов Б., Эдуард Гиббон - историк, писатель и мыслитель эпохи просвещения (1737-1794), "Новая и новейшая история", 1993,№ 3, 177-196 сс.

605. Пригожин А., Гибель античного мира и проблема социальной революции в античности, "Известия государственной академии истории материальной культуры" (Игаимк), вып. 76, Л., 1934, 7-26 сс.

606. Ревуненков В., Санкюлоты и якобинцы, "Новая и новейшая история", 1969, N3, 54-70 сс.

607. Ревуненкова Н., К истории свободного ремесла в городах южной Франции, в сб.: "Средние века", вып. XX1, М., 1962

608. Ревякин А., Французские династии: Бурбоны, Орлеаны, Бонапарты, "Новая и новейшая история", 1992, 4, 82-111 сс.

609. Репина Л., История средневековой Англии на страницах международного журнала Journal of Medieval History, "Проблемы британской истории", М., 1982, 240-252 сс.

610. Савукова В., Грегорий Турский и его сочинения, в кн. Г. Турский, История франков, М., 1987, 322-351 сс.

611. Садретдинов Г. К критике куланжистской методики исторического исследования, "Методические и историографические вопросы исторической науки", вып. 4, Томск, 1964

612. Садретдинов Г. К характеристике становления и эволюции общеисторических взглядов Анри Пирена, "Методические и историографические вопросы исторической науки", вып. 6, Томск, 1969.

613. Сироткин В., Строинова М., Бонапарт на Корсике, "Новая и новейшая история", 1987, Т6. 174-189 сс.

614. Сказкин С., Дифференциации крестьянства во Франции накануне революции. "Пахари и поденщики" в Шампани в 18 веке, в кн.: Сказкин С., Избранные труды по истории, М., 1973, 454 с.

615. Сказкин С., Спорные вопросы аграрной истории Франции 18 в., в кн.: "Европа в новое и новейшее время", 1966, 683 с.

616. Сказкин С., Февдист Эвре и его учение о цензиве в кн.: С. Сказкин, Избранные труды, М., 1973, 454 с.

617. Смоленский Н., К критике концепции Макса Вебера о природе исторического познания, "Новая и новейшая история", 1985, N3, 30-42 сс.

618. Согрин В. Джеферсон, Пейн, Франклин и становление демократической социально-политической мысли США, "Американский ежегодник, 1979", М., 1980

619. Старостин Е. К истории изучения П.А. Кропоткиным Великой Французской ревлюции, "Французский ежегодник, 1967", М., 1968, 293-304 сс.

620. Старцев А., Франклин, "Иностранная литература", 1956, N1

621. Табагуа И., Франко-персидские отношения и Грузия (конец 18-начало 19 века) ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები. ნაწ.2, თბ., 1978, გვ. 136-162.

622. Тюменев А., Разложение родового строя и революции в 7-8 вв. в Греции Игаимк, вып. 76, Л., 1934, 62-110 сс.

623. Уидоборо Г., Америка 500 лет назад: современный взгляд, "Новая и новейшая история", 1992, N4, 40-46 сс.

624. Учанеишвили Д. К вопросы об экономическом развитии Восточной Грузии во второй половине 18 века, "მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვეთი 5, 1937, 375-428 გვ.

625. Фрайберг Н. Декрет 19 вандемеира и борьба "бешеных" за конституцию 1793 г. "Историкмарксист", 1927, N6, 142-174 сс.

626. "Французский ежегодник, 1970", М., 1972, 278-314 сс.

627. Фролова И., Значение исследований Н.И. Кареева для разработки истории французского крестьянства в эпоху феодализма, "Средние века", вып 7, 1955, 315-337 сс.

628. Хачатуров А., Встреча двух миров, "Новая и новейшая история", 1992, N3, 69-72 сс.

629. Хольцафель К., К предыстории Базельского мира 1795 года, "Французский ежегодник, 1986", М., 1988, 151-171 сс.

630. Чапкович Е. Страницы биографии академика Е.В. Тарле, "Новая и новейшая история", 1990, N4, 37-55 сс.

631. Черняк Е. 1794-й год. Некоторые актуальные проблемы исследования Великой Французской революции, "Новая и новейшая история", 1989, N1, 77-96 сс.

632. Чистозвонов А., О стадиально-региональном изучении буржуазных революций 16-18 веков в Европе. "Новая и новейшая история", 1973, 86-100 сс.

633. Чудинов А. Назревшие проблемы изучения истории Великой французской революции (по материалам обсуждения в Институте всеобщей истории АН СССР), "Новая и новейшая история", 1989, N2, 65-75 сс.

634. Шакина Т. Первый период научной деятельности А.И. Неусыхина (1922-1931), в сб. "Средние века", вып. 42, 1972.

635. Шевеленко А., Фюстель де Куланж (штрихи к портрету ученого), "Вопросы истории", 1991, N12, 216-224.

636. Шиллер Ф., Обзор важнейших событий всемирной истории во времена императора Фридриха 1, Собр. соч., т. 5, 1957, 449-477 сс.

637. Яжбовская И. Юлиан Мархеловский как историк, "История и историки, 1976", 1979, 245-262 сс.

საარქივო მასალა

638. ანთაძე კ., – პირადი არქივი. პროფ. ალ. ნამორაძის მიმოწერა ასპირანტ კ. ანთაძესთან.

639. გრიგოლია გ., – პირადი არქივი. გრ. ნათაძე და საქართველოს ისტორია.

639ა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი.

640. დუბროვსკი ნ., – პირადი საქმე, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 867 ფ 10.

641. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სხდომის ოქმი №22; 1922წ. 22 ივნისი.

642. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის ოქმი N 62; 1922 წ. 5 აპრილი.

643. ნათაძე გრ., – პირადი საქმე, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 1426, ნუსხა 291.

644. ნათაძე გრ., – პირადი საქმე, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 1426, ნუსხა 293.

645 ნამორაძე ალ., – პირადი საქმე, კადრების განყოფილება, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ფურცელი 541, ნუსხა N 767, ფ. 2.

646 ლორთქიფანიძე მ., – პირადი არქივი. ლორთქიფანიძე მ., ჯაფარიძე ო., მოგონებები პროფესორ ნ. დუბროვსკიზე

647. ნამორაძე ალ., – პირადი არქივი. მიმოწერა და ლექციების კონსპექტები.

პოლიტიკური პარტიების არქივი.

648. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების დოკუმენტი – „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების და მეცნიერ მუშაკების დახასიათება". ფონდი 14, საქმე 7817, ფ. 15.

649. ჟორდანია გ., – პირადი არქივი. პროფ. გ. ჟორდანიას მოგონება პროფ. ნ. დუბროვსკიზე.

650. საქართველოს განათლების მუზეუმი. ნათაძე გრ. მოგონებანი. ფონდი 1773, N 40.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

651. ალ. ნამორაძე,1905-1911 წლის რევოლუცია ირანში – ფ. 2079, ან 1, ს 83, ფ 5.

652. აკად. ე. ტარლეს წერილი უნივერსიტეტისადმი ალ. ნამორაძის შრომების მნიშვნელობის შესახებ – ფ. 2079, ან 1, ს 230, ფ. 8.

653. ალ. ნამორაძე, დოკუმენტების კრებული. ინგლისი საფრანგეთი XII საუკუნეში – ფ 2079, ან 1, ს 44, ფ 181.

654. ალ. ნამორაძე, დოკუმენტების კრებული შუა საუკუნეების ისტორიაზე – ფ 2079, ან 1, ს 66, ფ 178.

655. ალ. ნამორაძე, დოკუმენტების კრებული შუა საუკუნეებში – ფ 2079, ან1, ს 105, ფ751.

656. ალ. ნამორაძე, ეროვნული კონვენტი და სათემო მიწები – ფ 2070, ან 1, ს 28, ფ.2.

657.ალ. ნამორაძე, საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია – ფ 2079. ან. 1 ს. 5. ფ 288.

658. ალ. ნამორაძე. ლორენცო ვალა – ფ 2079, ან 1, ს 58, ფ 26 ა 191

659. ალ. ნამორაძე, მარენის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების შესახებ ლეგისლატივში 1792 წელს – ფ 2079. ან 1, ს 10, ფ 20.

660. ალ. ნამორაძე, ფაბრის მოხსენება და პროექტი – ფ 2079, ან 1, ს 14, ფ 45.

661. ალ. ნამორაძე, ფაბრის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ საფრანგეთში, წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 – ფ 2079, ან 1, ს 11, ფ 2.

662. ალ. ნამორაძე, სამეფო და საეკლესიო მიწების აღწერილობა საფრანგეთში – ფ 2079, ან 1, ს 24, ფ 32. 192 662ა.

663. ალ. ნამორაძე, საფრანგეთის XVII საუკუნის მანუფაქტურა – ფ 2079, ან 1, ს 32, ფ 24.

664. ალ. ნამორაძე – სუეს მოხსენება და პროექტი სათემო მიწების განაწილების შესახებ – ფ 2079, ან 1, ს 9, ფ 1.

665 ალ. ნამორაძე, უ. ცეზარი – ფ 2079, ან 1, ს 79. ფ 96.

666. ალ. ნამორაძის მოხსენება უნივერსიტეტში ასპირანტურის მდგომარეობის შესახებ – ფ 2079, ან 1, ს 139, ფ 3.

667. ალ. ნამორაძის რეცენზია ე. კოსმინსკის სკოლის სახელმძღვანელოზე შუა საუკუნეების ისტორია – ფ 2079, ან 1, ს 156, ფ 4.

668. ალ. ნამორაძის სიტყვა ნ. დუბროვსკის გარდაცვალების გამო – ფ 2079, ან 1, ს 120, ფ 7.

669. ალ. ნამორაძის სტატია შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის კათედრის ისტორია – ფ 2070, ან 1, ს 122$ ფ 4.

670. ამონაწერი ახალი ისტორიის კათედრის N 12 ოქმიდან 1956 წლის 5 ივნისს – ფ 2079, ან 1, ს 30, ფ 1.

671. ანტიკური ისტორია (საბერძნეთი, რომი) – ჯ 2079, ან 1, ს 74, ფ 61.

672 ალ. ნამორაძე, ბაბილონი – ფ 2079, ან 1, ს 141 ა 14.

673. ალ. ნამორაძე, ბურჟუაზიული რევოლუცია თურქეთში – ფ 2079, ან 1, ს 140, ფ 15.

674 გ. კილურაძე, რეცენზია ალ. ნამორაძის ნაშრომზე „მარენის მოხსენება და პროექტი" – ფ 2079, ან 1, ს 258.

675 გ. კილურაძის და ვ. დონაძის დადებითი რეცენზია – ფ 2079, ან 1, ს 274, ფ.2.

676. გ. ჟორდანია, რეცენზია ალ. ნამორაძის ნაშრომზე „სუეს მოხსენება და პროექტი" – ფ 2070, ან 1, ს 234.

677 გრ. ნათაძე, გამოხმაურება ალ. ნამორაძის ნაშრომზე „კონვენტი და სათემო მიწები 1789 წლის რევოლუციის დროს – ფ 2079, ან1, ს 30.

678. ალ. ნამორაძე, ბენიამინ ფრანკლინი – ფ. 2079. ან 1 ს. 17. ფ. 56.

679. გრ. ნათაძე, რეცენზიები ალ. ნამორაძის შრომებზე: „ფეოდალური ქალაქის გენეზისი" და სათემო მი-

წები საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ – ფ 2079, ან 1, ს 238, ფ 1.

680. გრ. ნათაძის მოხსენებითი ბარათი – ფ 2079, ან 1, ს 236.

681. ზოგიერთი შენიშვნები ე. ტარლეს რედაქციით გამომცემელი „ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოს შესახებ.

682 თსუ სამეცნიერო საბჭოს 1938 წლის 3 ნოემბრის საჯარო სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში – ფ 2079, ან 1, ს 183.

683. მასალები ალ. ნამორაძის სადოქტორო დისერტაციის დაცვის შესახებ – ფ 2079, ან 1, ს 186.

684 პალესტინა – ფ 2079, ან 1, ს 142, ფ 6.

685. რევოლუციური მოძრაობა ინდოეთში და ჩინეთში – ფ 2079, ან 1, ს 82, ფ 24.

686. რომის იმპერიის დაცემის მიზეზები – ფ 2079, ან 1, ს 71, ფ 5.

687. რომის ისტორია – ფ 2079, ან 1, ს 63, ფ 59.

688. საშუალო საუკუნეების ისტორიის ქრესტომათია ნ. გრაციინსკის და ა. უდალცოვის რედაქციით. დამხმარე წიგნი საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის. თარგმნა ალ. ნამორაძემ. – ფ 2079, ან 1, ს. 104, ფ 221.

689. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის ოქმი №22, 1992 წ., 22 ივნისი.

690. ტარლეს წერილები ნამორაძისადმი – ფ 2079, ან 1, ს 214, ფ 8.

691 ტ. კასრაძე, პროფესორ გრიგოლ იასონის ძე ნათაძის შრომების ბიბლიოგრაფია – ფ 2079, ან 1, ს 262, ფ 13.

692 ფინიკია – ფ 2079, ან 1, ს 143, ფ 8.

693. ჩინეთის გადაქცევა მსოფლიო იმპერიალიზმის ნახევარკოლონიად. ჩინეთის რევოლუცია 1912-1913 წლებში – ფ 2079, ან 1, ს 78, ფ 17.

694. ძველი ეგვიპტე – ფ 2079, ან 1, ს 79, ფ 15.

695. ძველი ინდოეთი – ფ 2079, ან 1, ს 81, ფ 22.

696. ძველი ირანი – ფ 2079, ან 1, ს 84, ფ 18.

697. ძველი საბერძნეთი – ფ 2079, ან 1, ს 75, ფ 108.

698. ძველი საბერძნეთის ისტორია – ფ 2079, ან 1, ს 73, ფ 36.

699. ძველი ჩინეთი – ფ 2079, ან 1, ს 77, ფ 14.

700. ფ 2079, ან 1, ს 1. 2079, ან 1, ფ 15 ა 14

701. ფ 2079, ან 1, ჩ 113 ფ 111

702. ფ 2079, ან 1, ს 115,

703. ფ 2079, ან 1, ს 116, ფ 8

704. ფ 2079, ან 1, ს 134, ფ2.

705. ფ 2079, ან 1, ს 139, ფ 8

706. ფ 2079, ან 1, ს. 145. ფ 8.

707. ფ 2079, ან 1, ს 152, ფ 18.

708. ფ 2079, ან 1, ს 158, ფ 27.

709. ფ 2079, ან 1, ს 185.

710ა. ფ 2079, ან 1, ს 206, ფ 5.

710ბ. ფ 2070, ან 1, ს 229

711 ფ 2079, ან 1, ს 235.

712. ფ 2079, ან 1, ს 259, ფ 1.

713. ფ 2079, ან 1, ს 269, ფ 4.

714. ფ 2079, ან 1, ს 304

715. ფ 2079, ან 1, ს 305

716 ფ 2079, ან 1, ს 306

717 ფ 2079, ან 1, ს 307

718. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი რუსული 31221, ტ 4, ფონდი 26-41.

719. სტენოგრამა „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 471, აღწერა 19. საქმე 4 და 5.

720. ალ. ნამორაძე, ავენელის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში, წარდგენილი საკანონმდებლო კრებაში 1722 წ. – სრ.ფ. 2079 ან 1.ს.10.

Summary

The study of Medieval and Modern West European histories has certain traditions in Georgia. Conditionally it can be divided into three stages.

The first period covers the first half of XX century and is closely associated with the life and activities of three outstanding historians, namely with the Professors Nicholai Dubrovsky, Grigol Natadze and Alexandre Namoradze. The best period of their scientific activities coincided with the zenith of the Communist totalitarian regime reinforcement which influenced their scholar heritage greatly: N. Dubrovsky gave up his scientific researches and limited himself to pedagogic activities only, Gr. Natadze, mostly because of his political past, and Alexandre Namoradze to a lesser degree, had to agree to compromise with the Bolshevik-totalitarian government and its ideology. Just it was their great personal tragedy. They grew up in a different world, in a comparatively free thinking community, but had to live and create in the Bolshevik totalitarian state, where any attempt of free thinking was forbidden. The scientists' conformism was justified in full, otherwise we would not have had even the least we have in Georgian historiography at present.

The activities of the three brilliant historians excellently illustrate the difficulties confronting the scholars while carrying out researches under the totalitarian regime.

It should be emphasised that the life and activities of Nicholai Dubrovsky are entirely unknown for the foreign historiography and have not been investigated up to the present time.

Nicholai Dubrovsky was a scientist of unusual principles, never making any compromise, well-educated and erudite person, polyglot and must be undoubtedly considered a historian of European rank, brilliant lecturer, standing at the sources of World history teaching in Georgia.

In our deep confidence, it is a great honour that such a highly skilled specialist worked at Tbilisi State University. Many legends floated about N. Dubrovsky as a pedagogue and lecturer in Tbilisi, Kutaisi and Sukhumi.

N. Dubrovsky's contemporaries had a vague view of his scientific heritage and it was easy to explain: being afraid of the totalitarian regime he carefully hid his works published at the beginning of XX century. Thus for a long time the scholar activities of N. Dubrovsky had been obscure and he had an image of an excellent lecturer, scientist, but not of an author of scientific works. And this kind of image was not adequate for his real activities.

After a long search through the libraries of Moskow we found out and introduced to the scientific community N. Dubrovsky's works considered to be lost: "Florentine publicist", "The scientific and Literary Activities of N. Kareev", "July Revolution and Bourgeoisie", "Official Science at Warsaw University".

N. Dubrovsky's essay "Florentine publicist of the end of XIV century" is the best of his scholarly works. Careful historiographical analysis of Kareev's concepts is given in Dubrovsky's essay on the scientific and literary activities of the scholar. Of a popular scientific character is his work "July Revolution and Bourgeoisie"

On the base of appropriate reasoning we contend that the author of the scholarly work "France in July 1830", published in Rostov-na-Donu in 1905, should be of some other N. Dubrovsky, not the one we consider.

N. Dubrovsky puts some interesting considerations about history teaching at Warsaw University.

Especially deplorable occurrence is that in fact the scholarly activities of N. Dubrovsky were interrupted at the very beginning. Two circumstances influenced N. Dubrovsky greatly: in 1912 he had to leave Poland and thus had to be out of touch with the direct subject of his researches, that is to lose any touch with the rich source materials on Western European history. After establishing the totalitarian Bolshevik regime in 1917 he completely gave up scientific researches.

Professor Grigol Natadze's long and painstaking explorations have contributed enormously to the studies and teaching of World history in Georgia. For a long time he had performed this laborious task alone. Later on Alexandre Natadze and Nicolai Dubrovsky attended to the studies.

The first serious steps on the road to exploring Gr. Natadze's life and activities have already been taken by Alexandre Natadze. But it should be mentioned that A. Natadze's scholarly heritage has not come to bea subject of profound consideration for Georgian historiography yet.

Gr. Natadze was a witty and immensely erudite man, a historian of great range, having good command of the ancient languages as well as the European ones. Thorough knowledge of the languages was the pledge of his fruitful scientific investigations in World history.

Gr. Natadze's scientific interests were broad in scope and covered the problems of Medieval and Modern histories, history of Georgia, history of the primitive culture, methodology of history, archive studies and so on.

Gr. Natadze's works on Medieval history are of special interest. By the middle of the 20-ies Gr. Natadze as a Medieval history researcher had already chosen his own way and followed closely the innovations taking place in Medieval studies in Europe at the beginning of the century. In spite of some moot points his researches on Medieval history and the old Germans raise a lot of interest.

Having been influenced by the Russian historians Iv. Luchinsky and R. Viper, Gr. Natadze was interested in sociological approach to history and soon was affected by economic materialism. Thus social and economic problems became the focus of his research. As to the political history or culture– these themes were introduced rather scantily. The scholar's works on Revolt in Kilon, brief history of England, manuals in Medieval and Modern histories, short sociological review of the history of Georgia were based on such an outlook.

It is obvious that the maintenance of a good balance in the presentation of different historical problems in the writings of Georgian historiographers would have given his works much more completeness. Thus the scholarly works of Natadze on World history contain a lot of arguable points and we consider them to be one-sided.

One of the most vivid figure among these three historians was Professor Alexandre Namoradze. He has made a valuable contribution to the scientific studies and teaching of the Modern history of West Europe. Alexandre Namoradze was the founder of the Department of the Modern history of West European countries. Now the Department is named in his honour.

Although one of Professor Namoradze's disciples– K. Antadze– has written an essay of a popular-scientific character about his teacher, the life and activities of the distinguished Georgian scholar still are not learned thoroughly and has become a matter of special studies for the Georgian historiography.

It should be said that Alexandre Namoradze carried out his researches into four directions:

1. Administrative guardianship and municipal governing in France in XVII-XVIII centuries.
2. Agrarian problem of the Great French Revolution, distribution of the common lands.
3. Popularization and propaganda of World history.
4. Training of new staff.

The great service that Alexandre Namoradze has rendered to historical science is largely conditioned by his highly reputable scholarly work – Administrative guardianship and municipal governing in France in XVII-XVIII centuries. In fact it was the first doctorial thesis defended in Georgia on Medieval and Modern histories of the West European countries. The research mentioned above was the acme of the Georgian historiographical achievements in this field. The enthusiastic review on the named historical research of Alexandre Namoradze written by the great Russian historian, Academician E. Tarle (to whom the text of the work was specially translated) can serve as an eloquent testimony to the aforesaid.

In his work Alexandre Namoradze emphasizes an enormous difference between the Government's formal data and the objective reality. We suppose that in this case Namoradze considers not only the pre-Revolutionary France but his contemporary Bolshevik-totalitarian regime (he had to live under), when the difference between the formal materials and the real life reached an unprecedented scale. And what is more, at the close of XX century this phenomenon exceeded all bounds.

While being a student Alexandre Namoradze set to study the history of the French cities under supervision of the famous Russian historian P. Ardashev. He wrote the diploma thesis: "French cities under Lois XIV" that was approved by P. Ardaschev himself. But in 1914 the First World War broke out. Namoradze's work mentioned above remained unpublished and for a long time it was thought to be lost. Recently we have been lucky enough to run across it in the archive.

Apparently Namoradze was fascinated by the theme so much that he carried out careful studies is the history of the West European cities of XI-XVI centuries and wrote a supplementary reading book on the issue. Here the author appears as a skilful researcher of Medieval history. Evidently he was absorbed by the historiography of the problem very much and devoted a special scholar work to the issue – "The market theory about the origin of the feudal city"

A next serious issue Namoradze undertook to develop was the agrarian problem of the Great French Revolution with special emphasis on the common lands distribution. On this issue Alexandre Namoradze intended to write a special work but was not able to succeed in doing it. He devoted six works to the problem but only two of them were published. The rest four works we have found out among the archive materials and put them at the disposal of historiographers and those interested in World history. Here too, we suppose, Namoradze had in mind not only France of the end of XVII century, but Georgia of his time as well.

For the Georgian historian any forcible solution of the agrarian problem by the dictatorial regime was absolutely unacceptable. Thus he tried to find a practical answer to the subject in the history of France.

The two outstanding Georgian historians (Gr. Natadze and A. Namoradze) showed great interest in the problem of West European historiography and manifested thorough knowledge of the subject. However it should be mentioned that their judgement on the matter is of general character and lacks specificity. In the first place this refers to Gr. Natadze and partially to A. Namoradze.

Alexandre Namoradze focused special attention on popularization and propaganda of World history in such a small country as Georgia. From that point of view the following works hold interest for us: "Columbus and the

Discovery of America", "Charles Louis Montesquieu", "Benjamen Franklin" and "The French Revolution of 1848". Unfortunately, in spite of A. Namoradze's special effort, the last two works were not published. Recently we have found them and make became available for the historiography researchers.

Alexandre Namoradze has contributed enormously to the training of scientific staff. The first steps in this direction however had been made by Gr. Natadze. This support, assistance and advancement of Alexandre Namoradze can serve as an excellent example of Natadze's generosity and moral strength. One of the followers of N. Dubrovsky was a noted historian Varlam Donadze. Alexandre Namoradze successfully continued the cause begun by the two outstanding scholars. It should be mentioned that the majority of the experts in Medieval and Modern histories of West Europe are followers or disciples of A. Namoradze.

Undoubtedly N. Dubrovsky, Gr. Natadze and A. Namoradze were historians of the European rank. But in our opinion their scientific research potential was not used in full under the Bolshevik-totalitarian regime. Now their investigations are being continued in Georgia by their disciples and new generation of historians.

შინაარსი

შესავალი 3.

პარი პირველი

პროფესორი ნიკოლოზ დუბროვსკი (1874-1943 წწ.) 5
თავი I. ნ. დუბროვსკის ბიოგრაფია 6
თავი II. ნ. დუბროვსკი მსოფლიო ისტორიის საკითხებზე 9

პარი მეორე

პროფესორი გრიგოლ ნათაძე (1878-1951წწ.) 21
თავი I. გრ. ნათაძის ბიოგრაფია 22
თავი II. გრ. ნათაძე ძველი ისტორიის საკითხებზე 31
თავი III. გრ. ნათაძე ქართული მედიევისტიკის მესაძირკვლე 45
თავი IV. გრ. ნათაძე და ახალი ისტორიის პრობლემები 81
თავი V. გრ. ნათაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები 109

პარი მესამე

პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე (1890-1958 წწ.) 129
თავი I. ალექსანდრე ნამორაძის ბიოგრაფია 130
თავი II. ალ. ნამორაძე, როგორც დასავლეთ ევროპის ქალაქების
და საქალაქო წყობის მკვლევარი 144
საფრანგეთის ქალაქები ლუი XIV დროს 144
დასავლეთ ევროპის ისტორია განაკვეთი 1. ფეოდალური ქალაქის
გენეზისი და მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება 147
ადმინისტრაციული მეურვეობა მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში
XVII-XVIII სს. ეპოქის ადმინისტრაციული კორესპონდენციებისა და
საკანონმდებლო აქტების მიხედვით 165
თავი III. ალ. ნამორაძის შრომები საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ საკითხზე 179
თავი IV. ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პოპულარული შრომები 197
დასკვნა 215
ლიტერატურა 217
წიგნები 217
სტატიები 227
საარქივო მასალა 233
Summary 235

Каландадзе Мераб Леванович

Изучение истории средних веков и нового времени в Грузии в первой половине XX века

(на грузинском языке)

Издательство Тбилиского Университета
Тбилиси 1998

გამომცემლობის რედაქტორი ზ. ყაორდაძე
ტექრედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ქ. ვანეკინლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.98
საბეჭდი ქაღალდი 60X80 1/8
ნაბეჭდი თაბახი 23,5
სააღრ. საგამომცემ. თაბახი 31,18
შეკვეთა №88 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14
გამომცემლობა „მერიდიანი", „კაბადონი",
თბილისი, გურამიშვილის გამზ., 74